კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თამარ გოგოლაძე ნინო მინდიაშვილი

ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018

უაკ (UDK) 821.161.1-2+821.161.1.03=353.1
ჩ 543

ცნობილი მწერლის, პროზაიკოსის, დრამატურგის, ა.პ. ჩეხოვის (1860-1904) უკანასკნელი პიესა „ალუბლის ბაღი“ (1904) განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა ინტელექტუალური საზოგადოებისთვის, ქართულ კულტურულ სივრცეში ამ ნაწარმოებით დაინტერესება მყისიერად მოხდა, რისი მაგალითიცაა ოთხი თარგმანი (სოფიო ციციშვილი, შალვა დადიანი, მიხეილ ქვლივიძე, მანანა ანთაძე), სხვადასხვა რეჟისორის მიერ განხორციელებული დადგმები ქართულ სცენაზე და არაერთი საინტერესო კვლევა ქართულ სალიტერატურო დისკურსში.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი და წარმოჩენილია ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივი, რომელიც გამოადგება ჩეხოვის შემოქმედებით დაინტერესებულ ქართველ ლიტერატურათმცოდნეთ, ხელოვნებათმცოდნეთ, ფილოლოგიისა და სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტების სტუდენტებსა და საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს.

რედაქტორი: **როსტომ ჩხეიძე**

რეცენზენტები: **მარიამ მირესაშვილი**
ოლღა პეტრიაშვილი

მხატვარი: **ავთანდილ ღუდუშაური**

© თ. გოგოლაძე, ნ. მინდიაშვილი, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-293-7

სარჩევი

რედაქტორისაგან 4

ა.პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივი 7
I. ავტორის ჩანაფიქრიდან პიესის დადგმამდე 7
II. „ალუბლის ბაღის“ ქართული დისკურსი 14
III. „ალუბლის ბაღის“ ქართულ ენაზე თარგმანებიდან დადგმამდე. ბიბლიოგრაფია 22

ტ. შახ-აზიზოვა „თუმანიშვილის სეზონი“ (ნაწყვეტები რეცენზიიდან) 47
მ. თუმანიშვილი „იმპროვიზაცია „ალუბლის ბაღის“ თემაზე“ 58
როსტომ ჩხეიძე „ალუბლის სევდა“ და არტისტული ქალაქი 99

А.П. ЧЕХОВ «Вишневый сад» 106

„ალუბლის ბაღის“ ქართული თარგმანები:
ს. ციციშვილის 160
შ. დადიანის 217
მ. ქვლივიძის 285
მ. ანთაძის 351

ფოტოგალერეა 411
Resumme 427
Резюме 428

იდეაა და: მარჯვედ მიგნებული.

მასალებია და: გულდასმით მოჩხრეკილ-მოძიებული და დალაგებული.

ხორცშესხმაა და: შესაფერისად აკინძული და ანალიტიკურად განსჯილ-შეფასებული.

და საბოლოოდ – ერთი ყველაზე ორიგინალური წიგნი ჩვენი დროისა, ერთნაირად მნიშვნელოვანი, როგორც ლიტერატურული, ისე თეატრალური პროცესებისათვის.

თამარ გოგოლაძისა და ნინო მინდიაშვილის ერთობლივი გარჯის წარმატებული ნაყოფი: „ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივი“.

ანტონ ჩეხოვის დრამა „ალუბლის ბაღი“ პირწმინდად რუსულ სინამდვილესაც წარმოსახავდა და ზოგადსაკაცობრიო განცდებსა და ტკივილებსაც. და ამიტომაც აჰყვებოდნენ იმთავითვე სხვადასხვა ქვეყნებშიც და საქართველოშიც: თარგმანს თარგმანი რომ მოჰყვებოდა (სოფიო ციციშვილის, შალვა დადიანის, მიხეილ ქვლივიძის, მანანა ანთაძის. არსებობდა გადმოკეთებული ვერსიაც ივანე ბარველის) და დადგმა დადგმას.

ის კი არა, ვინც ვერ შეასხამდა ხორცს სპექტაკლად, ისინიც ძალიან მოინდომებდნენ და დიდხანსაც იფიქრებდნენ შესატყვისი სცენური ფორმის გამოძებნაზე. თვით მიხეილ თუმანიშვილს ჩაჰყვებოდა სამარეში ოცნება „ალუბლის ბაღის“ გასპექტაკლებაზე. და მართალია ვერ მოასწრებდა მაყურებელი გაეხადა სპექტაკლში გათამაშებული ტანჯვის თანამონაწილე, რათა მერე მას თავისი ტანჯვისათვის გარედან შეეხედა, მაგრამ მისი მრავალწლიანი ძიებანი „ალუბლის ბაღისათვის“ შესაფერისი ფორმის მისაგნებად ამ წიგნის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად თუ სულაც საყრდენად უნდა ქცეულიყო.

ბოლო ხანს გორის დრამატული თეატრის სცენაზე უნდა ეხილა მაყურებელს ჩეხოვის ეს არაორდინარული პიესა სოსო ნემსაძის რეჟისორობით, მერე კი ფოთის თეატრსაც წარ-

მოედგინა დავით მღებრიშვილის ინტერპრეტაციით, გორის სპექტაკლი მაინც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა და სასიამოვნო აჟიოტაჟიც მოჰყვებოდა მაყურებლებშიც და პრესის ფურცლებზეც, ამ ქალაქის არტისტული სულის ხელშესახებ დადასტურებადაც რომ წარმოჩნდებოდა, არამცთუ თეატრალური ტრადიციისა. და თვალნათლივ წარმოაჩენდა, რაოდენ აქტუალურია მისი პრობლემატიკა, თითქოს ქართული რეალობის დრამატიზმს შევყურებდეთ.

პერსპექტივაში რომ გაადევნებ მზერის შემოქმედებით ისტორიასაც და მონაწილეთა გალერეასაც, მაინც სულ სხვა სიღრმით აღიქვამ ყოველივეს.

ერთი რამაც გამოიკვეთებოდა კანთიელად ამ წიგნის გაცნობის შემდეგ:

როგორ გადაჯაჭვია ჩეხოვის ეს პიესა ჩვენს თეატრალურ ყოფას კერძოდ და ჩვენს სულიერ ცხოვრებას საერთოდ. და შთამაგონებელიც ეს ვითარება გახდებოდა თამარ გოგოლაძისა და ნინო მინდიაშვილისათვის ამ წიგნის შესადგენად.

მარჯვედ მიგნებული იდეაო...

ეს თავისთავად.

და უეჭველად უბიძგებს სხვა მკვლევართაც, ამგვარი იდეების ხორცშესასხმელად. ბევრი თუ არა, ხომ მაინც მოგვეპოვება არაერთი უცხოური პიესა, არამარტო თეატრალური, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ნაწილად რომ ქცეულა – რამდენიმე თარგმანიც არსებობს, რამდენჯერმეც დადგმულა და შესაფერისი გამოხმაურებაც მოჰყოლია.

დაე მოიძიონ ეს ნიმუშებიც.

დაე ასევე დაალაგონ, აკინძონ, საფუძვლიანი მიმოხილვა თუ ანალიტიკური ნარკვევიც დაურთონ და ერთიანობაში განგვაცდევინონ თვითეული ამ ნიმუშის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

ხომ არსებობს მხატვრული ქმნილებანი, რომელთაც არანაკლებ სახიერი და შემძვრელი ბიოგრაფიები აქვთ, ვიდრე ადამიანებს.

აგერ „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივიც განა ამას არ გვითვალსაჩინოებს?!.

***

ყველაფერი მაინც მარჯვედ მოფიქრებული იდეით დაიწყო და იმ სატკივრით, როგორ შეიძლება უგულისყურობით (რომ აღარ ითქვას: უთავბოლობით) გაგვიქრეს ხელიდან ყველაზე ფესვეული, ყველაზე ღირებული და ყველაზე ჩვენეული... ჩვენთვის ყველაზე სანუკვარის ხორცშესხმული ხატებანი...

ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივი

I. ავტორის ჩანაფიქრიდან პიესის დადგმამდე

მწერლის, ჩვენ შემთხვევაში დრამატურგის, შემოქმედებითი ლაბორატორია საოცრად რთულია და მრავალწახნაგოვანი, როდის მოვა თემა, ბუნებრივია თუ ძალდატანებითი, როგორ განვითარდება და რა ბედი ეწევა მას სცენაზე, მაყურებლის თვალწინ. აქ ყველაფერი თუმცა ძალზე ინდივიდუალურია, მაგრამ ერთ კანონზომიერებას მაინც ექვემდებარება: პერსონაჟები, მათი დიალოგ-მონოლოგი, ქმედებანი – დრამატუ-რგისეული ჩანაფიქრის მიხედვით უნდა აღიქვას მაყურებელმა. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად, შეიძლება სხვა ზემოქმედება იქონიოს, ბუნებრივია, რეჟისორის ჩანაფიქრის (თუკი ეს ემთხვევა დრამატურგის მიზანსწრაფვას) გათვალისწინებით, მსახიობთა გარდასახვის უნარით და სხვ. და ამავე დროს „Как правило, драма организует всякое событие через речь, представляет действие через слово. Гегель, рассматривавший драму как соединение лирики и эпоса, выделял в ней два разнородовых начала, – событийность и речевую экспрессию, подчеркивал тяготение драмы к внешне эффективной подаче изображаемого... читатель, зритель словно оказывается свидетелем развития ситуации“[1]

აქვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპოქას, წრეს, რომელშიც იშვა და განვითარდა დრამატურგის შემოქმედება, გარემო, ლიტერატურული გემოვნება, პიესის ღირსეული გატანა სცენაზე (სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის ფონზე), მაყურებლისა და, შემდგომ, მკითხველისეული შეფასებანი XX საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა რუსი მწერლის, დრამატურგის ანტონ პავლეს ძე ჩეხოვის (1860-1904) უკანასკნელი

[1] Косицин А.А. Теория литературы. Основные понятия и термины. Изд. СГАУ, Самара 2012, с.21-22 (ხაზი ჩვენია- თ.გ., ნ.მ.)

პიესა „ალუბლის ბაღი“, ანუ დრამატურგის ოცნება „დიდ პიესაზე“.

„ალუბლის ბაღს“ მრავალი სუბიექტურ-ობიექტური ფაქტორი უსწრებდა წინ: პიესა უნდა შექმნილიყო 1901 წლის 31 იანვარში მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე „სამი დის“ წარმატებული პრემიერის შემდგომ და არა ისეთი, რომელიც „ლოდივით დააწვებოდა სულზე“ მაყურებელს, არამედ სიცოცხლით აღსავსე, მხიარული, ამავდროულად, რეალისტური და ახალიც, ისეთ სცენაზე, რომელიც იქნებოდა ეპოქის მოვლენების შესატყვისი. ამას ხელს უწყობდა თვით სამხატვრო თეატრის სტატუსიც: «Художественный театр возник в то время (1898 г.), когда сознание необходимости обновления театра охватило всю прогрессивную театральную общественность. В.И. Немирович-Данченко давно мечтал о сближении современной литературы и сцены. Причем свои мечты о новом театре он, как и К.С. Станиславский, связывал его служением демократическому зрителю, его запросам и интересам. Поэтому в основу создания театра они положили идею общедоступности, которая была для них не формальным, а существенным понятием».[2]

თვით ჩეხოვი 1901 წლის 22 აპრილს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა არც თემა, არც პერსონაჟები მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში, წერდა: „Минутами на меня находит сильнейшее желание написать для Художественного Театра 4-актный водевиль или комедию. И я напишу, если ничего не помешает, только отдам в театр не раньше конца 1903 года“ (П., т.10, с.15)[3] თავდაპირველად ეს სურვილი ბუნდოვნად, მაგრამ შემოქმედის ტვინის ხვეულებში აღიბეჭდებოდა ჯერ კიდევ 1888 წლიდან, როცა გაიყიდა მშობლიური სახლი ტაგანროგში, შემდგომ ხარკოვის გუბერნიის, სუმის, დაცა-

[2] Соколов А.Г. История русской литературы конца XIX-начала XX века. «Высшая школа», М., с.13.

[3] აქ და ქვემოთაც ვემყარებით ა.ი. რევიაკინის გამოკვლევას „Творческая история пьесы „Вышневый сад“ – http://otvet. mail.ru.

რიელებულ და მომაკვდავ აზნაურთა ბუდეების ხილვისას, ბაბკინოში, მელიხოვოში... უცხოეთშიც კი ელანდებოდა ა.პ. ჩეხოვს მამულის სახლი... სევდა მწიფდება და მწიფდება, სევდა გაყინულ, მიტოვებულ აზნაურთა ბუდეებზე, წარსულზე...

დრამატურგს აჩქარებენ: თეატრი, რეჟისორები, მსახიობები და, იქნებ ინტუიტიურად, მოსალოდნელი აღსასრულის შეგრძნებაც. მაგრამ მწერალი ჭირვეულობს, სხვადასხვა მსახიობში ხედავს თავის მომავალ გმირთა პროტოტიპებს, აკვირდება, აკეთებს ჩანაწერებს ძალზე სასაცილო პიესის შესაქმნელად.

თუმცა უკვე იხაზება რაღაც, რომელიც ღია ფანჯრებში შემოჭრილი, აყვავებული ალუბლის ტოტებიდან მოდის. შემდგომ პიესის სათაურიც, რომელსაც, როგორც რაღაც საიდუმლოს, ისე უმხელს ოლგა ლეონარდოვნა კნიპერს: „Я хочешь скажу тебе как будет называться пьеса? (1902 г.) – «Вишневый сад» (იხ. Ревякин «История пьесы «Вишневый сад»).(там же).

მოგვიანებით კ. სტანისლავსკი მომავალი პიესის სათაურში ჩადებულ სიმბოლიკას ახსნის ერთი ეპიზოდით ჩეხოვის ცხოვრებიდან: „Первоначально Чехов хотел назвать пьесу «Вишневый сад», но затем остановился на заглавии, смаковал его, «напирая», на нежный звук в слове «вишнёвый», точно стараясь с его помощью обласкать прежнюю, красивую, но теперь ненужную жизнь, которую он со слезами разрушал в своей пьесе. На этот раз я понял тонкость: «Ви́шнёвый сад» - это деловой, коммерческий сад, приносящий доход. Такой сад нужен и теперь. Но «Вишне́вый сад» дохода не приносит, он хранит в себе и в своей цветущей белизне поэзию былой барской жизни. Такой сад растет и цветет для прихоти, для глаз избалованных эстетов. Жаль уничтожать его, а надо, так как процесс экономического развития страны требует этого»[4]

[4] Станиславский К.С., Собрание сочинений в 8 т. т.1, М., 1954-1960., с. 269.

ქართულად თითქოს გამოკვეთილი არაა „ალუბლის ბაღ-სა“ და „ალუბლისდარ (ასე ვთარგმნეთ – თ. გ., ნ. მ.) ბაღს“ შორის სხვაობა ჩეხოვისეული ინტერპრეტაციით. ამიტომ პირველი თარგმანებიდან მოყოლებული (1905 წ.), დღემდე პიესა იწოდება „ალუბლის ბაღად“, მაგრამ, აშკარაა, დრამატურგისათვის ეს სახელწოდება არსებითი უნდა ყოფილიყო. „ალუბლის ბაღის“ პირველი მონახაზი 1902 წლის აპრილში იქმნება, ზაფხულში უკვე სრული კონტურები მოინიშნა, ივლის-აგვისტოში, ლუბიმოვკაში (მოსკოვის მახლობლად), ჩეხოვი თითქოს ქმნის შესაფერ გარემოს პიესისათვის, მაგრამ როგორ სევდიანად, თითქოს ძალდატანებით ისმის მისი ამონათქვამი: „ჰო, ვწერ, ვწერ...“ 1 ოქტომბერს ჩეხოვი ატყობინებს სტანისლავსკის, რომ ჯერ არაა მზად პიესა, ალბათ, აკლია „თოფის წამალი...“

14 დეკემბერს მწერალი თავის მეუღლეს აცნობს გეგმებს: როცა „ალუბლის ბაღზე“ გავაგრძელებ მუშაობას, მოგწერო. ათი დღის შემდეგ პიესა მას სამმოქმედებიანად წარმოუდგენია. გამოიკვეთა პერსონაჟებიც. მემამულე რანევსკაიამ სახე იცვალა: ბებრუხანა მემამულე ქალიდან, მონტე-კარლოში რომ ანიავებს ფულს, ნელ-ნელა გაახალგაზრდავება დაიწყო, ბილიარდის მოთამაშეების ლექსიკა ბლოკნოტიდან პიესაში ინაცვლებს და ა.შ.

ჩეხოვი ოცნებობს, რომ თებერვალში დაიწყებს პიესის წერას, ხოლო მოსკოვში დაბრუნდება უკვე დასრულებულით, ამავდროულად აგრძელებს მოთხრობაზე („საცოლე“) მუშაობას. მაგრამ პლევრიტი და სამხატვრო თეატრის ზეწოლა ტანჯავს დრამატურგს. როგორც კი ოდნავ მომჯობინდება, აგრძელებს წერას და ფიქრობს ერთ თვეში დაასრულოს, მაგრამ, თუმცა 27 თებერვალს უკვე დააპირა შესდგომოდა მასზე მუშაობას, ვერ ახერხებს, რადგან ფიქრობს ხასიათების გამოკვეთაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებებსა და როლის ადგილზე პიესაში. ეს ყველაფერი მისი უბის წიგნაკის ფურცლებზე იკვეთება ჩანაწერების სახით. ხანდახან უიმედობაც იპყრობს და, თუმცა სიახლის ასახვის აუცილებლობას გრძნობს, მაინც ეჭვით აღნიშნავს: „ჩემი პიესა ცოტა-

ცოტათი იკაფავს გზას, მაგრამ, ვშიშობ, რომ ჩემი ტონი მოძველდაო“

თუმცა ეს მთლად ასე არაა. ზოგიერთი მკვლევარი (ვ.ვ. ვინოგრადოვი) მიიჩნევს, რომ ჩეხოვისეული მანერა ისაა, ადამიანის ხასიათები და მათი შინაგანი სამყარო იმგვარად ასახოს, მათში გახსნას სოციალური მოვლენების ძირითადი აზრი, რაც შეესაბამება იმ ახალ ფორმებს, როგორიცაა „сплетения, слияния, противопоставления и взаймодействия элементов, авторского и субъективно-экспрессивного, идущего от персонажа“[5]

ჩეხოვმა ერთგვარად შეაჯერა რაზნოჩინულ-დემოკრატიული ლიტერატურა და რუსული ფსიქოლოგიური რეალიზმი და სათავე დაუდო ახალ ეტაპს რუსულ ლიტერატურაში (არამხოლოდ რუსულშიც), მისი სტილი ხომ მდგომარეობს სახეობრივი განზოგადების დრამატულ ძალაში, ერთგვარად ცხოვრების თავისებურ რეალისტურ სიმბოლიზაციაში, რაც ყველაზე მეტად დრამატურგიაში აისახა. ცხოვრებისეული დრამა იხსნება იმ ყოველდღიურობაში, რომელშიც აღიბეჭდება საზოგადოებასთან ადამიანის ურთიერთობის სირთულეები. თითქოს სიმძიმის დრამატული ცენტრი ერთგვარად გადანაცვლდება საქციელ-ქმედებაზე, გმირის მოვლენისგარე დამოკიდებულებაზე სინამდვილისადმი, მის რეაქციაზე სამყაროს მიმართ.

ჩეხოვის დრამებში კერძო კონფლიქტები პერსონაჟებს შორის არ თამაშობენ გმირებისათვის მათ ბედისწერაში გადამწყვეტ მნიშვნელობას. მაგრამ ეს კაბელური განშტოებანი ერთ კვანძში მთლიანდება და ხსნის ჩეხოვისეულ თვალთახედვას საგნების არსებულ სოციალურ-ზნეობრივ წესრიგზე. თუმცა ჩეხოვი რჩებოდა საყოველთაო-დემოკრატიული იდეალების ჩარჩოებში და მის გმირებს მშვენიერი, ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობის იდეალის ხორცშესხმა მხოლოდ სამომავლოდ ესახებათ. ალბათ, ამიტომაც წერდა ერთგან:

---

[5] Виноградов В.В., О языке художественной литературы. М., 1959, с.151.

„После лета должна быть зима, после молодости старость, за счастьем несчастье и наоборот." ადამიანმა კი მხოლოდ თავისი როლი უნდა შეასრულოსო. სწორედ ეს სურდა გადმოეცა „ალუბლის ბაღშიც", იქნებაც... ჩეხოვი ხატავდა გარეგნულად მშვიდ ყოფას სხვადასხვა ხშირი ცხოვრებისეული დრამებით. მოჩვენებითი სიმშვიდის უკან იმალება ქარიშხლიანი პროცესები, სწორედ ეს ახასიათებს, დ. გოლსუორსის აზრით, გვიანდელ ჩეხოვს: მან შეძლო სიმშვიდე მღელვარე გრძნობების გადმოსაცემად გამოეყენებინაო. ალბათ, ამიტომაც კითხულობს ჩეხოვს მსოფლიო, ამიტომაც იგებს კარგად...

ჩეხოვი თავის პიესას დასადგმელად წერს, ამიტომ არაიშვიათად ატყობინებს ვ.ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს: „Обстановочную часть в пьесе, я свёл до минимума, декорации никаких особенных не потребуется и пороха выдумывать не надо"[6]

სამმოქმედებიანის ნაცვლად პიესა ოთხმოქმედებიანი გამოვიდა. 1903 წლის 25 სექტემბერს მან დაასრულა ეს მოქმედებაც და 26-ში პიესა უკვე მზად იყო: „...в моей пьесе, как она не скучно, есть что-то новое" – წერდა იგი თავის მეუღლეს. დაიწერა პიესა, მაგრამ პირველად თეატრისათვის, შემდგომ რამდენჯერმე ჩასწორდა თვით ავტორის მიერ და მომზადდა კიდევ ერთი ვარიანტი კრებულისათვის „Знание"-ს ამხანაგობისა (1904 წ. ტ. II), რომელიც 90-იანი წლების მწერალთა გაერთიანების („Среда", რომელშიც ა.პ. ჩეხოვიც შედიოდა) ორგანოდ იქცა, პიესა მზადდებოდა დასადგმელად. 1903 წლის 25 ნოემბერს მან მიიღო ცენზურის ნებართვა. 4 დეკემბრიდან მიმდინარეობს მზადება, რეპეტიციები. ჩეხოვი მოსკოვში დაბრუნებისას ცუდად გრძნობს თავს. ამიტომ, რომ არ გადაეღალათ, თავდაპირველად მის ბინაზე მიმდინარეობდა დისკუსია. შემდეგ ჩეხოვი ესწრება სისტემატურად რეპეტიციებს და ტექსტზე მუშაობასაც განაგრძობს. მსახიობები იმედიანად იყვნენ განწყობილნი, ავტორი – სკეპტიკურად.

[6] Ревекин А.И., там же.

ლამის იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩეხოვმა შესთავაზა თეატრს: 3000 რუბლად ეყიდათ პიესა მუდმივი სარგებლობისათვის.

და აი, მღელვარების პიკზე, 1904 წლის 17 იანვარს, შედგა პიესის, „ალუბლის ბაღის", პრემიერა, ის „დაემთხვა ჩეხოვის დაბადების დღესა და ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავს. მოსკოვის საზოგადოებას უნდოდა მწერლის პატივსაცემად სპექტაკლის შემდეგ საიუბილეო საღამო მოეწყო. ჩეხოვი იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო პრემიერას ვერ ესწრებოდა. თეატრში შეკრებილი საზოგადოების მოთხოვნით გაგზავნეს ეტლი და ავადმყოფი მწერალი მიიყვანეს თეატრში. მესამე მოქმედება რომ დამთავრდა, დაიწყო ზეიმი. სცენაზე ფერმიხდილი მწერალი ხველებას ძლივს იკავებდა"[7].

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, იგი აღინიშნა როგორც დიდი თეატრალური მოვლენა. დარბაზი სავსე იყო ლიტერატურულ-თეატრალური საზოგადოებით. კ. ს. სტანისლავსკი და ვ.ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო მაღალ შეფასებას აძლევენ პიესას. სტანისლავსკი ქალივით ტიროდა და მას დრამად მიიჩნევდა, ჩეხოვი კი აცხადებდა, რომ ეს ფარსია, კომედია. „Эта трагедия, какой бы исход к лучшей жизни Вы не открывали в последнем акте – писал Станиславский Чехову, - утверждая свою логику движения пъесы к трагическому финалу, означавшему, в сущности, конец прежней жизни, утрату дома и исчезновение сада. В его видении спектакль лишался комедийных интонации, что бесконечно возмущало Чехова. По его мнению Станиславский (исполнитель роли Гаева) в четвёртом акте затягивал действие. «Как это ужасно!-писал Чехов жене, – Акт, который должен продолжаться 12 минут maximum, у вас идёт 40 минут. Сгубил мне пъесу Станиславский»[8] – წერს რევიაკინი. და მართლაც, დღესაც არაა დადგენილი, რომელ

[7] ტალიაშვილი გიორგი, „ა.პ. ჩეხოვი, ცხოვრება და შემოქმედება, „საბჭოთა საქართველო", თბ., 1960, გვ.80.

[8] Ревякин А.И, там же.

ჟანრს მივაკუთვნოთ „ალუბლის ბაღი“. ჩეხოვი მას კომედიას, ან ფარსს უწოდებდა, თეატრმა იგი დრამად მიიჩნია, ზოგი ლირიკულ კომედიას უწოდებს, ზოგი ტრაგიკომედიას, ზოგიც – კომედიას (კ. რუდნიცკი, ს.კაფტიმოვი, გ.ბ.კატაევი და სხვა).

რეჟისორი მ. ო. კნებელი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ალუბლის ბაღის“ ავტორს ძალიან კარგად ესმოდა, რას ნიშნავს დაკარგო ძალიან ძვირფასი, უსაზღვროდ ახლობელი. თითოეულ ჩვენგანს არაერთხელ დაუკარგავს თავისი „ალუბლის ბაღი“. ასეთ დროს გგონია, რომ ყველაფერს კარგავ, მაგრამ წინ მთელი ცხოვრებაა, რომელიც ათასჯერ უფრო სისხლსავსეა, ვიდრე დანაკარგი (მ.ო. კნებელი, „მთელი ცხოვრება“).

ჩეხოვისეული ჩანაფიქრიდან დადგმამდე ბევრი რამე შეიცვალა. იქნებ ასეც უნდა ყოფილიყო, ერთი და იგივე ფაქტი შეიძლება სხვაგვარად ჩაიფიქროს ავტორმა, სხვაგვარად აღიქვას რეჟისორმა, მსახიობმა, მკითხველმა, მაყურებელმა...

თუმცა იქნებ ამაშია ა.პ. ჩეხოვის პიესის გენიალობაც.

II. ქართული დისკურსი ა.პ. ჩეხოვის შესახებ

ა.პ. ჩეხოვი და მისი შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი იყო, არის და იქნება. მისი პროზა თუ დრამატურგია პოპულარული იყო მწერლის სიცოცხლეშივე და მის შემდგომადაც მთელს ევროპაში, რასაც შესანიშნავად ადასტურებს, წარმოშობით რუსი, ინგლისელი რეჟისორი და თეატრის თეორეტიკოსი პიტერ ბრუკი, ცდილობს რა უარყოს ჩეხოვის ნატურალიზმი: „ჩეხოვს... არასოდეს გაუხდია მიზნად „ცხოვრების ნაგლეჯების“ შექმნა – ის ექიმი იყო და შესაშური სიმშვიდითა და მზრუნველობით აცლიდა ცხოვრებას ათასობით სხვადასხვა თემას. ჩეხოვი ამ ფენებს ჯერ გულდასმით ამუშავებდა, მერე კი, საოცარი მოხერხებულობით, აბსოლუტური ოსტატობითა და მრავალმნიშვნე-

ლოვანი თანამიმდევრობით ალაგებდა ყველაფერს, თანაც ისე, რომ მისი მუშაობის შედეგი გასაღების ჭუჭრუტანიდან დანახულს დამგვანებოდა, რაც, რასაკვირველია, სრულებითაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. „სამი დის“ ყოველ ფურცელზე ისეთი სრული განცდაა ცხოვრების მდინარებისა, თითქოს მაგნიტოფონი დარჩენიათ ჩართულიო“[9].

ქართველი დრამატურგი გურამ ბათიაშვილიც ასევე გამოკვეთს ა.პ. ჩეხოვის დრამატურგიის მარადიულობის მიზეზებს: „მე რომ მკითხოს კაცმა, ყველაზე თანამედროვე დრამატურგიულ ფორმად სწორედ ჩეხოვისეული ფორმა მიმაჩნია – ჩეხოვთან ხომ ძალზე უბრალოდ, ჩვეულებრივად იხსნება ფარდა და ძალზე ჩვეულებრივად იხურება. არა მგონია, თანამედროვე დრამატურგიაში მოიძებნებოდეს უფრო ახლებური, უფრო ზუსტი გამოსახვის საშუალებანი, ვიდრე ჩეხოვისთვის იყო დამახასიათებელი. ჩეხოვი დროს ეპოქის გარეგნულ ნიშნებში კი არ დაეძებს ადამიანის სულს, ცდილობს ისე ამოატრიალოს ადამიანის შინა სამყარო, რომ ხელისგულზე დავალაგოთ ეს უკანასკნელი“[10].

ჩეხოვის შემოქმედება, უპირველესად, რუსულ ენაზე, ორიგინალში, შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, ამას მოჰყვა თარგმანები, გადმოკეთებანი, ხოლო 1888, 1900 წლებში მისი სტუმრობაც საქართველოში.

ჩეხოვის პროზა, მისი დრამატურგია, გასცენიურება ხშირად გვხვდება ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა, მწერალთა თუ თეატრმცოდნეთა ნააზრევში (ვ. კიკნაძე „ქართული თეატრის ისტორია“, ტ. I; „გამოჩენილი ხელოვანის წერილები“; ა. გერსამია „ჩეხოვი ქართულ სცენაზე“; ლ. ოჩიაური „უკან, ჩეხოვისკენ“; გ. ბათიაშვილი „ჩეხოვი – ჩვენი თანამედროვე“; ვ. კუხალაშვილი „ითარგმნებოდა და იდგმებოდა“, ა. ეგუტია „სუმბათაშვილ-იუჟინი და ჩეხოვი“; გ. ტალი-

---

[9] პიტერ ბრუკი, ცარიელი სივრცე. „ხელოვნება“, თბილისი, 1984, გვ. 83 (ხაზი ჩვენია – თ.გ., ნ.მ.)

[10] ბათიაშვილი გურამ, „ჩეხოვი – ჩვენი თანამედროვე“, გ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ., 11 იანვარი, №2, გვ.4

აშვილი „ა.პ. ჩეხოვი ცხოვრება და შემოქმედება“, გ. სტეფანოვი, „ჩეხოვის მოგზაურობა კავკასიაში“; ერ. ქარელიშვილი „ანტონ ჩეხოვი“; პ. ღუდუშაური „ჩეხოვი და ქართული ლიტერატურა“; მალალო ჩხეიძე „ა.პ. ჩეხოვი ქართულ სცენაზე“ და სხვ.). ამიტომ ვცადეთ სწორედ ამ ქვეთავში, ქართულ დისკურსში, წარმოგვედგინა, როგორ აღიქვამდნენ ქართულ კულტურულ სივრცეში მის სახელს, მის ცხორებას, ტექსტებს, პიესებსა თუ დადგმებს.

„ა.პ. ჩეხოვი საქართველოში ორჯერ იყო, 1888 წლის ივლისში და 1900 წლის მაისის ბოლოს და ივნისის პირველ რიცხვებში. ორივეჯერ „იგი ყირიმიდან ჩამოვიდა“[11]. იქიდან კი იგი გემ „იუნონათი“ გამოემგზავრა. 25 ივლისს ა.პ. ჩეხოვი ახალ ათონშია, სადაც გაატარა ღამე მონასტერში და გაუჩნდა განწყობა, ჩაეხატა სამახსოვრო ადგილები. სოხუმში მან 1 დღე დაჰყო, ხოლო 27 ივლისს კი ფოთისკენ გამოემგზავრა.

თავის წერილებსა და მოგონებებში ანტონ პავლოვიჩი არაერთხელ გამოხატავს სინანულს იმის გამო, რომ ვერ შეძლო ემუშავა ამ შესანიშნავ ქვეყანაში.

ჩეხოვს ძალიან უნდოდა თბილისის მონახულება. ამიტომ 1900 წლის მაისში მ. გორკის, ვ. ვასენცოვსა და ექიმ ა. ალექსინთან ერთად იალტიდან ჯერ ვლადიკავკაზში ჩავიდა, აქედან თბილისში გამოემგზავრა და დაბინავდა „ჩრდილოეთის სასტუმროში“ („Северные номера“). აღნიშნული სასტუმროს შენობა იდგა გუდიაშვილის ქუჩის შესახვევში, რომელიც ადრე შაბუროვს ეკუთვნოდა, 1890 წლიდან – თავად ჭავჭავაძეს. „1885 წელს ვოლფზონმა მასში გახსნა „Северные номера...“, 1900 წელს „Северные номера“-ში დაბინავდნენ მწერლები ანტონ ჩეხოვი და მაქსიმ გორკი და მხატვარი ვიქტორ ვასნეცოვი“[12].

---

[11] ტალიაშვილი გ., „ა.პ. ჩეხოვი-ცხოვრება და შემოქმედება“ „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966. გვ.81

[12] Гитович Н., Жизнь и творчество А.П. Чехова. Москва, 1955, с. 623, იბეჭდება დ. ხოშტარიას წიგნიდან „თბილისის ძველი სასტუმროები“, „არტანუჯი“, თბილისი, 2011 , გვ. 76.

რუსულენოვანი გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ იტყობინებოდა, როგორ მოუწყეს ა.პ. ჩეხოვს შეხვედრა თბილისის რკინიგზის სადგურზე, ხოლო ვერის ბაღში, ყოფილ „ფანტაზიაში“, მისთვის სადილი გაუმართავთ.

1 ივნისს ჩეხოვი მცხეთას მოინახულებს, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ სამშობლოსაკენ გაემგზავრა. „მწერლის ფიქრი და გონება დღენიადაგ სამშობლოს დასტრიალებდა თავს. მას აღელვებდა თავისი ქვეყნის მომავალზე ფიქრი. 1903 წლის ბოლოს ჩეხოვმა დაამთავრა პიესა „ალუბლის ბაღი“, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი მწერლის „გედის სიმღერად“ იქცა“[13] – წერდა გ.ტალიაშვილი.

ჩეხოვის გარდაცვალება განიცადა ქართულმა საზოგადოებრიობამ, ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, გამოქვეყნდა ნეკროლოგები, ხოლო რუსულენოვანი გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ აღნიშნავდა: „განსვენებულს მწერალს ჩვენი ლიტერატურაც აქცევდა ყურადღებას: ბევრი მისი პატარა მოთხრობა გადაითარგმნა და დღესაც იბეჭდება და ითარგმნება ქართულ პერიოდულ პრესაშიო“.

1961 წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ა.პ. ჩეხოვის დაბადებიდან 100 წლისთავი (პ. ღუდუშაური, „ჩეხოვი და ქართული ლიტერატურა“).

ვ. კუხალაშვილმა გაზეთ „თბილისში“ 1960 წელს გამოაქვეყნა წერილი „ითარგმნებოდა და იდგმებოდა“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „ა. ჩეხოვის პიესებში, ყველაფერი განათებულია მაღალი პოეზიით, მშვენიერების დიადი გრძნობით. „ალუბლის ბაღი“, „სამი და“, „თოლია“, „ძია ვანო“ და „ივანოვი“ სრულიად ახალ პოეტურ სამყაროს ქმნიან რუსულ დრამატურგიაში. აქ არის ცხოვრების წარმავლობის სევდიანი განცდა და მომავალზე ლირიკული ოცნება, კონფლიქტი სინამდვილესა და წარმოსახვაში შექმნილ ქვეყანას შორის. ამ პიესების საერთო ტენდენციაში მწერალი ამჟღავნებს თავის კრიტიკულ პოზიციას ფატაზიორობისა და უსაგნო ოც-

[13] ტალიაშვილი გ., გვ. 80.

ნების წინააღმდეგ“[14] ა. ჩეხოვის დრამატურგიამ თავიდანვე მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება. 1889 წელს ვოლსკიმ (უმწიფარიძე) ქართულად გადმოაკეთა „დათვი“.[15] ეს პიესა იმავე წლის ივლისში წარმოადგინა ქართულმა დრამატურგთა დასმა. პიესა კვლავ დაიდგა 1891 წლის 15 სექტემბერს, სეზონის გახსნის შემდეგ. ამავე პიესაში გამოდიოდნენ ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა. მისივე ინფორმაციით, 1890 წელს, ვასო აბაშიძის საბენეფისოდ, მ. ნასიძემ ქართულად გადმოთარგმნა „ივანოვი“. 1903 წელს „ს. ბ.“-ს ფსევდონიმს ამოფარებულმა ავტორმა თარგმნა „ძია ვანო“ ქართული თეატრის მოთხოვნით „ნიკო ჯამბარაშვილის“ სახელწოდებით. ძია ვანოს როლს ასრულებდა ვალერიან გუნია“.[16]

„ალუბლის ბაღი“ პირველად 1904 წელსვე თარგმნა სოფიო ციციშვილმა, რომელიც დაიბეჭდა გ. „ივერიის“ ბიბლიოთეკის სერიით 1905 წელს.

მაგრამ ეს პიესა, მოგვიანებით, სერგო გერსამიას ცნობით, 1908 წელს გადმოკეთებული იქნა ქართულად და ეწოდა „სალხინო“. როგორც მზია მიქაძე გვამცნობს თავის დისერტაციაში („А.П. Чехов в грузинской критике и переводах“, თბ., 1982) იგი ქართულად გადმოუკეთებია ივანე ბარველს. „სალხინო“ დაიდგა პირველად ქუთაისის თეატრის სცენაზე და გადმოქართულების შედეგად წარმოადგენდა ერთგვარ ლხინს ჟამიანობის დროს, ბევრი რამ გაქართულებული იყო (მაგ.: ალუბლის მაგიერ – ვაზი, ფილოქსერით დაავადებული, თვით პერსონაჟებიც ქართულ ხასიათს წარმოსახავდნენ). პიესა კომიკური შინაარსისა იყო, მას განასახიერებდნენ მსახიობები: ვ. შალიკაშვილი ზვარეთელს (გაევს), ჯავახიშვილი – ლუბა ანდრეევნას და სხვ., მაყურებელს განსაკუთ-რებით მოსწონებია ვ. შალიკაშვილის თამაში. ა. ჩეხოვის მეოთხე პიესა „ალუბლის ბაღი“ გადმოკეთებული სახით პირველად

---

[14] კუხალაშვილი ვ., ითარგმნებოდა და იდგმებოდა, გ. „თბილისი“, 1960, 28 იანვარი, 323, გვ.3.

[15] იქვე.

[16] იქვე.

დადგეს ქართულ სცენაზე თბილისში 1909 წლის 11 იანვარს „სალხინოს“ სახელწოდებით. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ საუკეთესო აქტიორები: კ. მესხი, ვ. აბაშიძე, ნ. გვარაძე, ნ. ჯავახიშვილი, ი. იმედაშვილი, გ. არადელ-იშხნელი და სხვ.

მაგრამ აქვე კრიტიკაც გაჩნდა პიესის გადმოკეთებასთან დაკავშირებით. გაზეთი „დროება“ 1909 წელს აღნიშნავდა, რომ „ჩეხოვის ძლიერ თვისების კალამს ჩვენი საზოგადოება იცნობს. მის პიესებს არც განმარტება ესაჭიროება, არც ახსნა. ჩეხოვის პიესები ყოველთვის განსაზღვრულ სულიერ განწყობილებას ახასიათებენ და ისე ოსტატურად, რომ სათეატრო დარბაზი ერთი სულიერი მდგომარეობით იმსჭვალება. მის პიესებში არც საეფექტო სცენებია, არც საეფექტო სიტყვები. მაგრამ მაყურებელი გრძნობს, რომ თითქოს ჩეხოვი სულსა და გულში ჩასჯდომოდეს მას და აქ წნავდეს თავისი ფიქრებისა და გრძნობების ბადეს. ჩეხოვის პიესებში რუსული ცხოვრების საუკეთესო ხასიათია, ჩრდილოეთის შვილთა ბუნებრივი ტემპერამენტი, რუსული ტიპების ნიშანდობლივი თვისებები ისე განუყრელად არის შეზელილი სიუჟეტთან და პიესაში სულიერ განვითარებასთან, რომ მათი განცალკევება ყოვლად შეუძლებელია“.

აქედან გამომდინარე, რეცენზიის ავტორი ასკვნის: „ამიტომ არ შეგვიძლია სახეირო განზრახვად ჩავთვალოთ მისი პიესების გადმოქართულება. პიესის გადმოკეთება საერთოდ შესაწყნარებელი და მოსაწონი საქმე არ არის ხელოვნების თვალსაზრისით, ხოლო ისეთი ნაციონალური პიესის გადმოკეთება, როგორიც „ალუბლის ბაღია“, ჩვენი ფიქრით, სრულებით შეუწყნარებელი“, „უკეთესი იქნება ასეთი პიესები ითარგმნოს და ისე დაიდგას“[17].

იკვეთება აზრი: ჩეხოვის პიესები კი არ უნდა იქნას გადმოკეთებული ქართულად, არამედ უნდა ითარგმნოს და ისე დაიდგას. ეს აზრი დიდხანს ტრიალებდა ქართველ რეჟისორთა წარმოსახვაში, აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში

[17] გ. „დროება“, 1909 წ. 2 იანვარი. იქვე მინაწერია: „რეცენზენტის ასეთ მოსაზრებას სხვებიც უჭერენ მხარს“.

დგებოდა მათი მაღალმხატვრული თარგმნისა და ღირსეულად დადგმის საკითხი.

გურამ ბათიაშვილი 1980 წელს წერილში „ჩეხოვი – ჩვენი თანამედროვე“ სრული კატეგორიულობით აცხადებს: „უჩეხოვოდ ხომ არ ვაღარიბებთ ჩვენს რეჟისურას აჩვენოს თეატრალური ცხოვრება... თუ ჩვენ ძალგვიძს ასეთ დონეზე დავდგათ სოფოკლე, შექსპირი, ბრეხტი და ვერ ვდგამთ ჩეხოვს, ამის მიზეზი ჩეხოვის დრამატურგიაში კი არ უნდა ვეძებოთ, ან ქართველ მაყურებელში, არამედ ჩვენს შემოქმედებით პრაქტიკაში...

სწორედ ჩეხოვის პრინციპებით შექმნილი პიესები პოულობენ გამარჯვებას...

ამიტომ „ქართული თეატრის განვითარების დღევანდელ ეტაპზე დადგა დრო ჩეხოვით გადავამოწმოთ ჩვენი პოტენციალი. წავიდეთ ჩეხოვისეული სიღრმეებისაკენ. უკან ჩეხოვისაკენ!“[18]

ქართველი რეჟისორები განაგრძობენ ჩეხოვის პიესების თარგმნას, მაგრამ ბოლო პიესა „ალუბლის ბაღი“ იქცევა მათთვის ერთგვარ გამოუცნობ, ძნელადმისაღწევ, ძნელადგასცენიურებულ ნაწარმოებად, რომელზედაც წლობით ფიქრობენ, მსჯელობენ.

ასეთი სპექტაკლი ჭეშმარიტად ღირსეულ თარგმანს ითხოვდა ჩეხოვის პიესისა. ამიტომ რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ პოეტს, რუსული ენის ღრმად მცოდნეს, მიხეილ ქვლივიძეს შეუკვეთა ჩეხოვის პიესების თარგმნა ქართულ ენაზე (თუმცა ამ დროისათვის უკვე არსებობდა „ალუბლის ბაღის“ ორი თარგმანი): „თეატრალური რეჟისურა, მსახიობები, ისე ვიყავით შეყვარებული მიშა ქვლივიძის ძარღვიან ქართულზე, რომ მის გარეშე არსებობაც კი შეუძლებლად მიგვაჩნდა: როსტანის „სირანო“, ვადიმ კოროსტილევის „ასი წლის შემდეგ“, მისივე „ფიროსმანი“, მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, ევგენი შვარცის „ჩრდილი“ (რეჟისორი გია ანთაძე), ა.

---

[18] ბათიაშვილი გურამ, „ლიტერატურული საქართველო“, 1980, 11 იანვარი, №2, გვ.4.

ჩეხოვის „თოლია“ (რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე). ამას მოჰყვა ჩეხოვისავე „ალუბლის ბაღის“ და „ივანოვის“ ბრწყინვალე თარგმანები, რომელთა დადგმა ვერ განვახორციელეთო“.

როგორც რეჟისორის ქალიშვილი ელენე თუმანიშვილი იხსენებს, „ხშირად მიფიქრია, რა საინტერესოა, სტრიქონებს მიღმა, ნაფიქრს მიღმა ამოიცნო, ამოიკითხო ადამიანი. თუნდაც, ზოგად ხაზებში, ცოტათი მაინც მიუახლოვდე მის პიროვნებისეულს, სიღრმისეულს და შეეცადო გაიგო, რა არის მასში არსებითი, ნიშნეული... წინ მიდევს რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის სარეჟისორო გეგმა-ექსპლიკაცია სათაურით: „იმპროვიზაცია ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ თემაზე“. ბევრი წელი დასტრიალებდა თავს რეჟისორის ფიქრი ჩეხოვის ამ პიესას... ნელი-ნელ, თითქოს პარვით უახლოვდებოდა რეჟისორი პიესას: ოდნავ შეეხებოდა თუ არა, გვერდით გადასდებდა, გარკვეული ხნით განეშორებოდა, მერე კვლავ მიუბრუნდებოდა, ისევ განერიდებოდა... – უფრთხოდაო თითქოს. ჩანს, რაღაც ძალიან-ძალიან ძვირფასი, ძალიან-ძალიან სათუთი, პირადული იყო მისთვის ამ პიესაში... ისეთი, რასაც ასე, ხელის ერთი დადებით ვერ შეეხები“.

მიხეილ თუმანიშვილს ოცნებად დარჩა „ალუბლის ბაღის“ დადგმა, „თუმცა თუმანიშვილმა მაინც ვერ დადგა „ალუბლის ბაღი“, ვერ მოასწრო. 80-იანი წლებიდან ელტვოდა ჩეხოვის ამ პიესას. სამჯერ დაიწყო მასზე მუშაობა, სულ რაღაც აჩერებდა. საქართველოში მომხდარი კატაკლიზმები და კატასტროფები აიძულებდა შეეწყვიტა რეპეტიციები. მესამედ უკვე საფუძვლიანად იმუშავა, სცენაზე ავიდა და მოკვდა...

...როდესაც მიშა თუმანიშვილს ასაფლავებდნენ, მის გვერდით ცოცხალი ალუბლის ხე იყო, სცენაზე ყვავილები ეფინა, ხოლო იატაკზე, კუბოს გარშემო, ალუბლის ტოტები“

– წერდა ნატალია კრიმოვა, მიხეილ თუმანიშვილის დიდი ხნის მეგობარი."[19]

შემდგომად და, ალბათ, თუმანიშვილის ოცნების ხორცშესხმისათვის რეჟისორმა გიორგი მარგველაშვილმა ახალი თარგმანი შეუკვეთა კინომსახიობთა თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს, მთარგმნელს მანანა ანთაძეს, ალბათ, ამიტომ და იქნებ ამიტომაც შეირჩა ჩვენი წერილიც, რომელიც წარმოადგენს საკუთრივ ერთი პიესის, „ალუბლის ბაღის" ისტორიას თარგმანებით დაწყებული მის დადგმამდე ქართულ სცენაზე.

III. „ალუბლის ბაღის" ქართულ ენაზე თარგმანებიდან დადგმამდე

ა.პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღმა" მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ მთარგმნელობით სივრცეში. არადა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თარგმნა-გადმოკეთებას უკვე ფართოდ, შეუზღუდავად მისდევენ მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, მსახიობები თუ მასწავლებლები. ინტერესი, მშობლიურ ენაზე ეხილათ უცხოური ნაწარმოები, იმდენად დიდი იყო, რაიმე პრინციპის დაცვა თითქოს თავის აუცილებლობას ჰკარგავდა, მაგრამ სამოციანელთა მოწინავე შეხედულებანი, რომლითაც ძირითადად მთარგმნელობითი პრინციპების დადგენას ცდილობდნენ, ჯერ კიდევ თავს იჩენს ილია ჭავჭავაძის პირველი წერილიდან „ორიოდე სიტყვა" (თუმცა აქ საქმე პოემის თარგმანს ეხება, უკვე გამოკვეთილია, რა უნდა ვთარგმნოთ და როგორ), უცხო მწერლის ნაწარმოები უნდა ინარჩუნებდეს თარგმანში ეროვნულ სულს და არ უნდა დაირღვეს ქართული ენის სიწმინდე. მოგვიანებით წერილების ციკლში „ქართული თეატრი" ილია გადაჭრით აცხადებს: „...როცა სასცენო ხელოვნება სხვისის ცხოვრების ხატსა ჰკიდებს ხელს ჩვენს სცენაზე გადმოსატა-

[19] შახ-აზიზოვა ტ., „თუმანიშვილის სეზონი", „24 საათი", №5, (797), 2006 წლის თებერვალი.

ნად, ორში ერთი უნდა იქონიოს სახეში: ან იგი, რომ სხვისი ცხოვრება, ხასიათს თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული, გვაცოდინოს ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად, ან იგი, რომ მარტო აზრი, საგანი აიღოს, თუნდაც მთელი აგებულებაც პიესისა, ოღონდ იქ კი, საცა სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვიხდება, გვეუცხოება – იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ცხოვრების ვითარება ჩააყენოს. ამით უცხო ხატი სხვისი ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდაიქმნება და რამოდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი. პირველ შემთხვევაში ნაშრომს თარგმანი ჰქვიან და მეორეში – „გადმოკეთებული“[20].

თარგმნილი და გადმოკეთებული–ასე წარმოგვიდგება უცხოური დრამატული ნაწარმოები ქართულ თეატრალურ სივრცეში XIX საუკუნიდან XX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე.

უკვე 1900-იანი წლებიდან ქართული თეატრის მოთავეების წინაშე დგება გადმოკეთებულის უარყოფისა და ხარისხიანი თარგმანის საკითხი, განსაკუთრებით, თუ იგი სცენისათვის არის განკუთვნილი. ამიტომ გაზეთი „ცნობის ფურცლის“ („ჰ“-ს ფსევდონიმს ამოფარებული) ავტორი 1903 წლის 27 იანვარს სწორედ ჩეხოვის „ივანოვის“ გადმოკეთებასთან დაკავშირებით (გადმოკეთდა „ნიკო ჯამბარაშვილად“) მკაცრად აცხადებდა: „საკვირველია: როგორც ორიგინალური პიესების, ისე პიესების გადმოთარგმნას – გადმოკეთებას ჩვენში ისეთი ადამიანები კისრულობენ, რომელთაც, ეტყობა, არავითარი წინსვლა არა აქვთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ძლიერ ცუდათაც ესმით დრამატული ხელოვნების და მწერლის.

მაგრამ ყოველს ბარონსა თავისი ფანტაზია აქვს და ყველას შეუძლია, რაც უნდოდეს, ის გადმოთარგმნოს და გად-

---

[20] ჭავჭავაძე ი., ქართული თეატრი, რჩ., თხზ. ხუთ ტომად, ტ.III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ.113.

მოაკეთოს? ეს იმის თავისუფალია, ვერვინ ვერაფერს აუკრძალავს. მხოლოდ სამწუხარო და გასაკიცხი აქ ის არის, რომ ასეთ ყოვლად შეუფასებელ გადმოთარგმნილ და გადმოკეთებულ პიესებს ვხედავთ ჩვენ ქართულ სცენაზე" (გ. „ცნობის ფურცელი").

ასე მწიფდება საკითხი, ყურადღება გამახვილდეს კარგ თარგმანზე და თბილისის დრამატული საზოგადოება იძულებული ხდება ამ დროისათვის დააწესოს ფულადი ჯილდო მათთვის, ვინც კარგად გადათარგმნის ქართულ ენაზე საუკეთესო რუსულ და ევროპულ პიესებს.

როგორც თარგმნის თეორეტიკოსი გივი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, XIX საუკუნის „თარგმნილ ლიტერატურაში პირველი ადგილი უჭირავს რუსეთს – მის წილად მოდის 1921 წლამდე თარგმნილი ლიტერატურის დაახლოებით ნახევარი"[21]

უცხოელი მწერლით დაინტერესება ხშირად მისი ორიგინალში გაცნობით იწყება, შემდგომ პოპულარობას მოსდევს სურვილიც, გადმოაკეთონ ან თარგმნონ იგი მშობლიურ ენაზე, დადგან (თუ საქმე დრამატულ ნაწარმოებს ეხება) ქართულ სცენაზე. „თარგმანი ისტორიული კატეგორიაა და ამიტომ მისი ხარისხის შეფასებაც ცვალებადია, რაც მკაცრ კანონზომიერებათა ციკლს ემორჩილება. თარგმნის შეფასება დამოკიდებულია საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებაზე, რაც, თავის მხრივ, იმავე საზოგადოების ესთეტიკური დონით არის გაპირობებული.

მართალია, ალბათ, ბენედეტო კროჩე, რომელსაც მიაჩნია, რომ არა მარტო თარგმანი ახდენს გავლენას, ორიგინალური ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური კრედო მნიშვნელოვნად განაპირობებს თარგმანის კულტურასა და ესთეტიკას"[22].

---

[21] გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმნის თეორიის შესავალი, „განათლება", თბილისი, 1966, გვ.98.

[22] წიბახაშვილი გ., თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თსუ, თბილისი, 2000, გვ. 27.

როგორც Sussana Bassnett წერს, „დრამატული ტექსტების თარგმნის სპეციფიკურ პრობლემებთან დაკავშირებით არსებული მასალა საკმაოდ მწირია, ხოლო თეატრალური თარგმანების შესახებ მოსაზრებები ხშირად გულისხმობს, რომ თარგმნის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია იმავე მიდგომას გულისხმობს, როგორც პროზაული ტექსტების თარგმნისას“ (გვ. 124).

„თუმცა, საკითხის ყველაზე ზედაპირულად განხილვისასაც კი უნდა ჩანდეს, რომ დრამატული ტექსტის თარგმნა შეუძლებელია პროზაული ტექსტის მსგავსად. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თეატრალური ტექსტი სხვაგვარად იკითხება. ის იკითხება, როგორც გარკვეულწილად *დაუსრულებელი* და არა როგორც სრული ერთეული, რადგანაც მხოლოდ თეატრალური წარმოდგენის დროს ხდება ტექსტის პოტენციალის ბოლომდე რეალიზება. ეს კი მთარგმნელს უმთავრეს პრობლემას უქმნის: თარგმნოს ტექსტი წმინდა ლიტერატურულ ტექსტად, თუ სცადოს მისი თარგმნა მისი *ფუნქციის* შესაბამისად, როგორც სხვა, უფრო რთული სისტემის ელემენტისა. როგორც თეატრთან დაკავშირებულ ნაშრომებში ჩანს, ლინგვისტური სისტემა მხოლოდ ერთი შერჩევითი კომპონენტია იმ ურთიერთდაკავშირებული სისტემების ნაკრებისა, რომლებიც ქმნიან *სპექტაკლს*. ანე უბერსფელდი განსაზღვრავს, თუ როგორ არის შესაძლებელი *ტექსტის* განცალკევება *წარმოდგენისგან*, იმდენად რამდენადაც თეატრალური წარმოდგენა შედგება ამ ორის დიალექტიკური ურთიერთობისაგან; ის ასევე ამტკიცებს, რომ ტექსტსა და წარმოდგენას შორის ხელოვნურად შექმნილმა განსხვავებამ გამოიწვია ლიტერატურული ტექსტისთვის უფრო მაღალი სტატუსის მინიჭება. ლიტერატურული ტექსტის უზენაესობის ერთ-ერთი შედეგი, მისი აზრით, თეატრალური წარმოდგენის მხოლოდ „თარგმანის“ სახით აღქმა.

დაწერილი ტექსტის უპირატესობა თავის მხრივ წარმოშობს მოსაზრებას, რომ არსებობს ტექსტის წაკითხვის და,

აქედან გამომდინარე, არსებობს თეატრალური წარმოდგენის მხოლოდ ერთი *სწორი* გზა, რა შემთხვევაშიც მთარგმნელი ვალდებულია უფრო მკაცრად გაითვალისწინოს პირველადი მოდელი, ვიდრე ეს პოეტური ან პროზაული ტექსტების მთარგმნელის შემთხვევაში ხდება" (გვ. 124).

„თუკი თეატრალური ტექსტის მთარგმნელი ხვდება *თამაშის უნარის* დამატებით კრიტერიუმს, როგორც წინაპირობას, მისგან მაშინვე მოითხოვება სხვა ტიპის ტექსტის მთარგმნელისგან რაიმე განსხვავებულის განხორციელება. უფრო მეტიც, დაწერილ ტექსტზე დამატებითი განზომილების ცნება, რომელსაც მთარგმნელი რამენაირად უნდა ჩაეჭიდოს, მაინც გულისხმობს განსხვავებას ტექსტისა და წარმოდგენის იდეებს შორის, დაწერილსა და ფიზიკურს შორის. აქედან გამომდინარე, უფრო ლოგიკური იქნებოდა ვივარაუდოთ, რომ თეატრალური ტექსტი, რომელიც იწერება მისი სამომავლოდ დადგმის გათვალისწინებით, შეიცავს განმასხვავებელ სტრუქტურულ თავისებურებებს, რომელიც მას წარმოდგენითს ხდის სცენის გარეთაც კი. შედეგად, მთარგმნელის ამოცანაა განსაზღვროს ეს სტრუქტურები და თარგმნოს ის, მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ლინგვისტურ და სტილისტურ ჭრილებში" (გვ. 25).

(Sussana Bassnett „Translation Studies" – ნაწყვეტების თარგმანი ინგლისურიდან ეკუთვნის გოგა რუხაძეს).

მეტიც, თეატრის თამაშის სტილი და კონცეფციები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტებში, რაც მთარგმნელისათვის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ელემენტია.

დიახაც, აღნიშნავს გიორგი წიბახაშვილი, როდესაც მკითხველი არ იცნობს ნაწარმოებს ორიგინალში, მას თარგმანის მიხედვით აღიქვამს და აფასებსო. ამის მაგალითად სწორედ ა. ჩეხოვის სამტომეულს მიიჩნევს, ქართულ ენაზე თარგმნილს: „ასე დაემართა ...ა. ჩეხოვის სამტომეულს ქარ-

თულად, სადაც იმდენი და ისეთი ხარვეზებია, რომ ქართველ მკითხველს გაუჭირდება აღიაროს ა. ჩეხოვის გენიალობა"[23].

ამ სამტომეულში შედის ჩეხოვის „ალუბლის ბაღის" შალვა დადიანისეული თარგმანი, მაგრამ ეს შეფასება ხდება 50 წლის შემდეგ, როცა იცვლება თვით ეპოქა და თარგმნის მეთოდიც. სავარაუდოდ, შალვა დადიანს ჩეხოვის ეს პიესა უნდა სცნობოდა ჯერ კიდევ 1908 ან 1909 წელს, როდესაც იგი ივანე ბარველის მიერ გადმოკეთებული იქნა ქართულად და მას „სალხინო" ეწოდა. თუმცა აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უკვე 1905 წელს გამოდის „ალუბლის ბაღის" პირველი თარგმანი ქართულ ენაზე. ის შეასრულა სოფიო ციციშვილმა (1904), რომელიც „ჯეჯილის" რედაქციის აქტიური თანამშრომელი, „რედაქტორის მარჯვენა ხელი იყო და თანამშრომლების სული და გული" (ე. გაბაშვილი), საბავშვო მწერალი (ავტორი მოთხრობებისა: „გულადი", „მეფეს სძინავს", „შობის ხე ტყეში", „ბუს თავგადასავალი", „პატარა დედოფალი", „საშობაო კოჭი", „ვასოს საიდუმლო", „ჭრელი სტვირი" და სხვ.), მთარგმნელი. სამწუხაროდ, ეკატერინე გაბაშვილის მიერ „ჯეჯილში" (1905 წ. №6) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში, „პორტრეტი", არაა მოხსენიებული არც დაბადების წელი, არც სხვა რაიმე ინფორმაცია მისი ოჯახური მდგომარეობისა თუ განათლების შესახებ. მხოლოდ აღნიშნულია, რომ „სონა კითხულობდა მრავალ საყმაწვილო ჟურნალს და წინასწარ თუ იპოვიდა რასმე რიგიან და გამოსადეგს ქართველი მკითხველისათვის, მაშინვე, შეუდგებოდა იგი გადმოთარგმნას ან გადმოკეთებას".

სოფიო (სონა) ციციშვილს ჩეხოვის „ალუბლის ბაღი" დაწერიდან, მისი პირველი დადგმიდან მალე უნდა ეთარგმნოს, 1904 წელსვე, გამოქვეყნებით კი 1905 წელს დაიბეჭდა „ივერიის" ბიბლიოთეკაში. მანამდე თბილისში გამართულა სპექტაკლი „ალუბლის ბაღი". როგორც რუსულენოვანი გაზეთის „კავკაზის" (1904 წლის 24 იანვარი, №22) რუბრიკის „თეატრი

[23] იქვე, გვ.29.

და მუსიკა“ ავტორი იტყობინება, „არტისტული საზოგადოების თეატრში გაიმართა პრემიერა ა.პ. ჩეხოვის პიესისა ენერგიული ანტრეპრენიორის კრასოვის ხელმძღვანელობით. და ეს მაშინ, როდესაც 17 იანვარს შედგა პრემიერა მხატში, და საქართველოშიც მაშინვე ჩამოიტანეს სპექტაკლი. კრასოვს, ეტყობა, შეეძლო ეშოვა ხელნაწერი ავტორისაგან. ალბათ, კარგად გამართულიც რომ არ იყო მის მიერ. პიესა ყოფილა იუმორით აღსავსე, მხიარული. ვფიქრობთ, ეს დადგმა იქნებ ა.პ. ჩეხოვის სურვილსაც ეხმიანებოდა – პიესა-კომედია“.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 1912 წელს სწორედ „ალუბლის ბაღის“ პირველი თარგმანებიდან გერმანულ ენაზე იწყება მისი აღქმაც. პირველი მთარგმნელია მიუნხენში მცხოვრები რუსი ლიტერატორი ზიგფრიდ აშკენაზი. მაგრამ ესაა მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რომელსაც საბოლოოდ დასრულებული სახე მიანიჭა ცნობილმა მწერალმა ლიონ ფეიხტვანგერმა. მთარგმნელებმა პირველწყაროდ გამოიყენეს არა ორიგინალური გამოცემა ჩეხოვის „ალუბლის ბაღისა“, არამედ მისივე დამუშავებული ვარიანტი სამხატვრო თეატრში დადგმისათვის. ამასთან დაკავშირებით გერმანელი თეატრმცოდნე კლაუს ბედნარცი აღნიშნავდა: **„Объективная оценка перевода едва ли представляется возможной, так как нельзя определить, какие недостатки нужно записать насчёт переводчика, а какие содержал источник, положенный в основу перевода“**[24]

აღნიშნული მაგალითი დაგვჭირდა იმის დასამტკიცებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს თარგმანის ორიგინალს. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია, საიდან უნდა ეთარგმნა სოფიო ციციშვილს, ან გადმოეკეთებინა ივანე ბარველს. ვარაუდით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ დროი-

[24] Олицкая Д.А. «Чеховский текст в пространстве межкультурного диалога. Немецкие переводы «Вишневого сада» в сб. «Европа чете Чехов», изд. «Св. св. Кирил и Методий». Велико Търново, 2012, с. 287.

სათვის, 1904 წლისათვის, არსებობდა თვით ჩეხოვის მიერ გამოსაცემად მომზადებულ-ჩასწორებული ტექსტი, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „Сборникъ товарищества «Знание» за 1903 год, СПБ, 1904, Вып. 2». ამ კრებულისათვის ჩეხოვმა აიღო თეატრალური დადგმისათვის მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარებიდან ერთი, სცენისათვის მომზადებულ-ჩასწორებული, და ახალი კორექტურით გაგზავნა რედაქციაში. აქ გზადაგზა ავტორი ითვალისწინებდა მეტ-ნაკლებად დადგმის დროის ხარვეზებს, მსახიობთა სურვილებს: ასე იხვეწებოდა რანევსკაიას, გაევის როლები, ძლიერდებოდა კომიზმი პიშჩიკის ეპიზოდებში და სხვ. ანუ, როგორც მკვლევარი ა. რევიაკინი აღნიშნავს: „Все другие поправки, сделанные в этот период, ставили своей целью углубить индивидуальную характеристику персонажей... Все исправления, сделанные Чеховым после отправки рукописи в набор, были внесены им в первую корректуру, которую он читал в конце января 1904 г...

Долгие годы писательской деятельности убедили Чехова, что создавать подлинно художественные произведения даже при наличии гениального дарования можно только длительным, терпеливым, скурпулёзным трудом... Плодом художественного гения и явился поэтический шедевр Чехова – пьеса «Вишневый сад»[25]

თითქმის ყველა ჩასწორება ხელნაწერში შესრულდა 1904 წლის იანვარში. ჩეხოვი ძირითადად ემყარებოდა კანონიკურ ტექსტს, რომლადაც მიიჩნია „Знание"-ს კრებულში გამოქვეყნებული, თუმცა დადგმების დროს ითვალისწინებდა რეჟისორთა და მსახიობთა აზრსაც. მაგრამ თუ რამე არ მოეწონებოდა დადგმებისას, ჩეხოვი სასტიკად ბრაზდებოდა და ამბობდა: ეს მე არა ვარ, თვითონ მოიფიქრეს. ეს ხომ საშინელებაა, რაც თავში მოუვათ, იმას აკეთებენ, ავტორმა კი პასუხი უნდა აგოსო (ა. რევიაკინი).

---

[25] Ревякин А.И. Творческая история пьесы «Вишневый сад».

ამდენად „Сборник“-ში გამოქვეყნებული ტექსტი, როგორც თვით ავტორი მიიჩნევდა, უნდა ვიგულისხმოთ კანონიკურად, მითუმეტეს, პიესა მალე გამოდის ცალკე წიგნადაც: (Вишневый сад. Комедия въ 4-хъ действияхъ, Артисты. заведение А.Ф. Маркса. Измайл. пр. №29). აქვე გასათვალისწინებელია მისი დადგმისათვის ავტორის მიერ გაკეთებული ჩასწორებანიც.

შევეცადეთ შეგვედარებინა ა. რევიაკინთან მოხმობილი ჩეხოვისეული კორექტურით გამოცემული ტექსტიდან ნაწყვეტები ს. ციციშვილის თარგმანთან და რამდენადმე დავრწმუნდით, რომ იგი მთარგმნელს პირველი გამოცემიდან უნდა შეესრულებინოს. მაგალითისათვის გამოდგებოდა პიშჩიკის დიალოგი რანევსკაიასთან. შარლოტას ფოკუსების ჩვენების ეპიზოდი და ფირსთან მისი საუბრის მეორე მოქმედების დასაწყისში გადატანა, ანუ ავტორისეული ჩასწორებანი, რაც განმეორებულია თარგმანის ტექსტშიც.

ჩვენთვის სავსებით უცნობია, ი. ბარველის მიერ გადმოკეთებული „სალხინო“ ჩეხოვის რომელიმე გამოცემიდან შესრულდა თუ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ეგზემპლარიდან, მაგრამ რამდენადაც 1904 წლის გამოცემისათვის ჩეხოვიც ჩქარობდა, რადგან პროვინციული თეატრები გამუდმებით სთხოვდნენ ავტორს, მათთვის მიეწოდებინა დაზუსტებული ტექსტი, ვვარაუდობთ, რომ ისიც „Сборник“-ში გამოქვეყნებული ტექსტიდან, ან ცალკე გამოცემიდან უნდა შეესრულებინა.

რაც შეეხება პროზაიკოსის, დრამატურგის, რეჟისორის შალვა დადიანის თარგმანს (1874–1959), აქაც მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ. „ალუბლის ბაღის“ მისეული თარგმანი პირველად გამოსცა 1954 წელს „ხელოვნებამ“. 1962 წლისათვის კი, როდესაც გამოვიდა ა. ჩეხოვის თხზულებათა მესამე ტომი (რომელშიც შედიოდა „ალუბლის ბაღის“ ეს თარგმანი) არსებობდა რუსულ ენაზე ჩეხოვის თხზულებათა და წერილების სრული კრებული 20 ტომად (M., 1944-1951), სხვადასხვა დროის უამრავი ცალკე გამოცე-

მანი, მაგრამ, აშკარაა, შ. დადიანს არ უნდა გაეთვალისწინებინოს ს. ციციშვილის თარგმანი, რასაც ერთი პატარა მაგალითიც გვიდასტურებს: ს. ციციშვილის თარგმანის ერთერთ ეპიზოდში (რომელზედაც ჩეხოვიც ამახვილებდა ყურადღებას) იაშა ასე ახასიათებს ეპიხოდოვს: „მეტად სასაცილოა ეპიხოდოვი, – თავცარიელია, ოცდაორი უბედურება“. დადიანისეულ თარგმანში კი: „მეტად სასაცილო რამ არის ჩვენი ეპიხოდოვი, ჭკუათხელი კაცი. ოცდაორფათერაკიანი“. აშკარაა, თავცარიელი-ჭკუათხელის სინონიმები ერთმა თავისი დროის ლექსიკაში მიღებულიდან აიღო, რუსულ დამცინავ ფორმას პირდაპირი თარგმანი მოუძებნა – двадцать два несчастья – 22 უბედურება, ხოლო მეორე მთარგმნელმა მოხდენილად შეუფარდა „ფათერაკიანი“. რომელ ტექსტს უნდა ემყარებოდნენ მიხეილ ქვილივიძე და მანანა ანთაძე? მანანა ანთაძემ თარგმნა წიგნიდან: А.П. Чехов «Избранные произведения», т.III, М., 1999.

აქაც მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ მიხეილ ქვლივიძის წყაროსთან დაკავშირებით. 1982 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ იბეჭდება „ალუბლის ბაღის“ თარგმანი (1982 წლის №4, გვ., 135-156). შემდგომში კი 1990 წელს ის შევიდა ჩეხოვის პიესების კრებულში, გამომცემლობა „ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა გაერთიანების“ ეგიდით.

2003 წელს იგივე ტექსტი შედის ა.პ. ჩეხოვის თხზულებათა კრებულში გამომცემლობა „პალიტრას“ სერიით „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ (წიგნი 13, 2013, გვ. 224-275).

თარგმანზე მუშაობის დასაწყისისათვის, შესაძლოა, მ. ქვლივიძეს ხელთ არ ჰქონოდა ჩეხოვის თხზულებათა სრული კრებული 30 ტომად (М., 1974-1983) ამიტომ მაინც ოცტომეული უნდა ვივარაუდოთ (1944-1951), რომლიდანაც შესაძლოა ესარგებლა შალვა დადიანს, ან იქნებ ცალკე გამოცემითაც.

მანანა ანთაძის თარგმანი სპეციალურად 2004 წელს, „ალუბლის ბაღის“ დადგმისათვის შესრულდა და შემდგომ

2014 გამოიცა „კენტავრის“ მიერ პიესის მონაწილე მსახიობების ჩამონათვალით.

ყველა, ოთხივე, თარგმანი მეტად სპეციფიკურია, ოთხივე სცენისთვის, დადგმისთვის განკუთვნილი, მათი ღირსებანაკლოვანებანი დღემდე არ გამოკვეთილა, თუ არ ვიგულისხმებთ გ. წიბახაშვილის უარყოფით მინიშნებას შ. დადიანისეულ თარგმანზე, რომელსაც 50-იოდე წლის შემდეგ ჩაანაცვლებენ ახალი თარგმანებით, უფრო ზუსტად, ამა თუ იმ სპექტაკლისათვის საჭირო თარგმანით (კინომსახიობთა თეატრის დადგმისათვის მ. ანთაძე).

1996 წელს პოლონეთში მოღვაწე ქართველ რეჟისორს ანდრო ენუქიძეს, ვროცლავში ვაუჩესის თეატრმა შეუკვეთა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ დადგმა, რისთვისაც გამოყენებული იქნა პოლონელი რეჟისორის იეჟე იაროცკის მიერ რუსულიდან პოლონურად შესრულებული თავისუფალი თარგმანი.

გორის გ. ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორმა სოსო ნემსაძემ სპექტაკლის სცენარისათვის თავდაპირველად დადიანის თარგმანს მოჰკიდა თურმე ხელი, შემდეგ კი მიხეილ ქვლივიძის თარგმანზე შეჩერდა.

მთარგმნელობითი საქმიანობის გენეზისიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ თარგმანმცოდნეთა ნააზრევს, 1905 წლის თარგმანი მეტ-ნაკლებად უნდა ექვემდებარებოდეს ერთ ძირითად მეთოდს: „მთარგმნელები, იმის მიუხედავად, მიმართავენ ისინი დედანსა თუ ასრულებენ თარგმანის თარგმანს, ცდილობენ შეჰქმნან ქართველი მკითხველისათვის გასაგები ნაწარმოები, რომელსაც მკითხველი აღიქვამს, როგორც მშობლიური ლიტერატურის ნიმუშს, ფორმით და სტილით ქართულს“[26].

---

[26] გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. „განათლება“, 1966, გვ. 103..

ამ პერიოდში მთარგმნელის ძირითადი ყურადღება მიქცეულია მხატვრული ტექსტის ფორმობრივ შესატყვისობაზე, ამიტომაც თავისუფლებას ანიჭებენ ისეთ დეტალებს, როგორიცაა გმირის ხასიათი, ქცევის თავისებურება, ფრაზეოლოგიზმები, ანთროპონიმები და სხვ. მაგ.: ს. ციციშვილის თარგმანში XIX საუკუნის მეტყველებისათვის დამახასიათებლად ჟღერს პერსონაჟთა სახელები და გვარები: ლუბა ანდრიას ასული რანევსკაია, ანნა, ვარო, მაგრამ შარლოტა ივანოვნა რატომღაც უცვლელადაა გადმოტანილი თარგმანში.

გამოყენებულია თეატრალური ტერმინოლოგია: მოქმედება პირველი, მეორე და ა.შ.

თუმცა, ამისდამიუხედავად, თარგმანი ლაღია, გასაგები, ალაგ-ალაგ ენობრივი საღებავებით გამუქებულ-გაღიავებული...

ჩვენთვის უცნობია, იყო თუ არა ციციშვილის თარგმანი არამარტო წასაკითხად, არამედ დადგმისთვისაც განკუთვნილი. მაგრამ, სავარაუდოდ, რაღაცამ შეუშალა ხელი ამ თარგმანის მეშვეობით 1908 წელს „ალუბლის ბაღის“ წარმოდგენას ქუთაისის სცენაზე. ამიტომ და იქნებ ამიტომაც მიმართა ი. ბარველმა მის გადმოკეთებას „სალხინოს“ სახელწოდებით.

მთავარი მაინც ერთია: პიესა „ალუბლის ბაღი“ ქართული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი თარგმნით დაწყებული, გადმოქართულებული სპექტაკლის სახით. მაგრამ აი გადის წლები და „ალუბლის ბაღის“ დადგმას ვერ კიდებენ ხელს ქართველი რეჟისორები.

მაინც რა პრობლემების წინაშე იდგა თვით ა.პ. ჩეხოვი, როგორც ავტორი, და რეჟისორები, რომლებიც სცენაზე დგამდნენ მის პიესებს? ეს საკითხი ჯერ კიდევ ჩეხოვის სიცოცხლეშივე წარმოიშვა და, ვფიქრობთ, საუკუნის შემდეგაც მუსირებს თეატრალურ სამყაროში.

ბუნებრივია, უნდა მოიძებნოს თვით ა.პ. ჩეხოვის დრამატურგიის სპეციფიკის ნიშნები და ავტორისეული ჩანაფიქ-

რის თეატრალური ხორცშესხმისათვის აუცილებელი კანონზომიერებანი, რაც იდგა მაშინდელი რუსული თეატრალური საზოგადოების წინაშე.

თუ ჩეხოვამდელი რუსული დრამატურგია ემყარებოდა ძირითადად მოვლენის, კომუნიკაბელობის სიგნიფიკაციას, მიბაძვას კი არა, არამედ ქმედითობასა და ცხოვრებას, ბედნიერებასა თუ უბედურებას (არისტოტელესეული განსაზღვრა), ჩეხოვის შემდგომი უფრო იმ მარტივ სისტემას ემყარება, რომლითაც კონსტატირდება ნიშნების ენის არაჩვეულებრივი გამოყენება და რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი ფაქტები ადრესატისათვის იძენენ ვირტუალური მოვლენის მნიშვნელობას, ანუ კომუნიკატორულ მოვლენას. „ალუბლის ბაღში" მაგალითად, – აღნიშნავს ი.ვ. შატინი, ხდება უამრავი ცვლილება. რანევსკაია საყვარელს აპატიებს და პარიზში ბრუნდება, გაევი ბანკში შოულობს სამსახურს, ანია აპირებს გამოცდები ჩააბაროს და მერე იმუშაოს, ვარია რაგულინებთან ეკონომქალად მუშაობას აპირებს, ლოპახინი კი მამულის გადაკეთებაზე ოცნებობს. ამასთან არცერთი მოვლენის კომუნიკაცია არ ჰპოვებს შემდგომ განვითარებას და აქცენტს აკეთებს პიესის სემანტიკურ ერთეულზე.

«Напротив, все единицы человеческих фабул снимаются единицами более высокого порядка, так называемыми профанируемыми символами. Примерами профанируемого символа в пьесах Чехова являются, в частности... вишневый сад, который нужно вырубить, чтобы спасти... Такие единицы, задаваемые как заявки на сакральный смысл, в конце концов профанируются в дискусивном пространстве того или иного персонажа... Чехов сделал гораздо больше, превратив словесное выражение торгующей России в «борьбу против зачарования нашего интеллекта средствами нашего языка» (Л. Витгенштейн) путём обнаруженных разрывов между денотатом и референтом»[27]

---

[27] Шатин Ю.В., «Коммуникативное событие в пьесе и спектакле («Вишневыё сад» А.П. Чехова – Э. Наякрошюса) в сборнике

აცხადებს შატინი და აქვე ასკვნის: «Теперь мы можем сказать, в чем именно заключается главная новация Чехова драматурга: Она в наложении уже имеющих символистических значении «компонентами иконических и индексальных знаков: Так с точки зрения коммуникативной стратегии, текст «Вишневый соада» - это виртуланое поле бессмысленных слов, произносимых персонажами, поверх которого создатель спектакля может выполнит мозайку собственных смыслов» – (ხაზი ჩვენია – თ.გ., ნ.მ.)

ზემოთმოყვანილი ციტატა 21-ს საუკუნის მკვლევარს ეკუთვნის და, ბუნებრივია, ცოდნის გავრცობის საფუძველზე, ა.პ. ჩეხოვის დრამატურგიასთან ახლებური მიდგომის მცდელობაცაა, ამავდროულად, ერთგვარი ახსნაც, რატომ უჭირდათ თუ უჭირთ მისი პიესების დადმა და რა შესაძლებლობანი შეიძლება გაიხსნას რეჟისორებისათვის სამომავლოდ.

მაგრამ ა.პ. ჩეხოვის ეპოქაში, მიუხედავად სიმბოლისტური ხელოვნების გააქტიურებისა, მაინც მოქმედებს ჯერ დაუწერელი, შემდგომ 1909 წელს რუსეთის რეჟისორთა მეორე ყრილობაზე ერთგვარად გამოკვეთილი, პრობლემები თეატრში: (ა) მენინგელები და დასავლეთის თეატრი ბ) მოსკოვის სამხატვრო თეატრი, ახალი ტენდენციები თეატრში (რეალიზმი, სიმბოლიზმი, სტილიზაცია), რომელმაც ცვლილებების წინაშე დააყენა სამხატვრო თეატრი.

„ალუბლის ბაღის" დადგმისათვის იგი დღიდან თავისი დაარსებისა (1898 წ.), ავითარებს რა რუსული დემოკრატიული თეატრალური კრიტიკის ტრადიციების, მასში მაინც აირეკლა ის ზოგადი პროცესებიც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საუკუნის დასაწყისის რუსულ რეალიზმში. ვ.ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო კ.ს. სტანისლავსკისთან ერთად დიდი ხანი ოცნებობდა თანამედროვე ლიტერატურისა და სცენის დემოკრატიული მაყურებლის ინტერესებისათვის თეატრის დაახ-

---

«Международна научна кноференция «Европа, чете Чехов», Изд. «Св. Св. Кирил и Методии», Велико Търново, 2012, с. 936

ლოებაზე. 1898 წელს რეპეტიციის დაწყების წინ სტანისლავსკი აცხადებს: «мы приняли на себя дело, имеющее не простой, частный, а общественный характер, не забывайте, что мы стремимся осветить темную жизнь бедного класса, дать им счастливое минуты среди той тьмы, которое покрыло их»[28].

ამ პერიოდისათვის კოტე მარჯანიშვილიც სამხატვრო თეატრის რეპერტუარს (გორკისა და ჩეხოვის პიესებს) ეყრდნობა და ეპოქის მოწინავე მისწრაფებათა გამომხატველ პიესებზე მუშაობით იძენს რეჟისორულ ოსტატობას[29] (დ. ჯანელიძე).

კ. მარჯანიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ თეატრს უსამართლოდ საყვედურობდნენ, „რატომ დღემდე არ დადგა მან არამცთუ მარტო გამოუქვეყნებელი პიესები, არამედ ჯერაც დაუწერელიო, (sic...), მაგალითად, ჩეხოვის „ალუბლის ბაღი". პიესა ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ავტორსო"[30]. მარჯანიშვილი ესწრებოდა თურმე „ალუბლის ბაღის" წარმოდგენებს მხატში და აღტაცებით აღნიშნავდა: „ჩეხოვის პიესები მაყურებელთა ისეთივე ინტერესს იწვევენ ახლა, როგორც ეს წინათ იყო და ძალიან კარგ შემოსავალსაც იძლევიანო"[31]. თუმცა „ალუბლის ბაღს" მან არ მოჰკიდა ხელი.

გადმოკეთებული პიესა „სალხინო", სავარაუდოდ, ცნობილი უნდა ყოფილიყო შალვა დადიანისათვის, რომელიც ს. გერსამიას ცნობით („ქუთაისის თეატრი", თბილისი, 1947), უძღვებოდა 1907/1908 და 1908/1909 სეზონებს. მისი მეთაურობით შემდგარ მსახიობთა ამხანაგობაში შედიოდნენ დესპინე ივანიძე, ლიზა გვეტაძე, პ. შოთაძე, ანდრო მურუსიძე, ვ. შალიკაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, სანდრო ბოჭორიშვი-

---

[28] Соколов А.Г. «История русской литературы конца XIX –начала XX века», М., «Высшая школа», 1988,с.13)

[29] „მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა", „კოტე მარჯანიშვილი", წ.I, „ხელოვნება", „თბილისი", გვ..

[30] იქვე, გვ. 114.

[31] იქვე, გვ. 126.

ლი, გრ. ჩარკვიანი, პეტრე ძელგენიძე, ნინო დავითაშვილი და ეფემია მესხი. აქედან რამდენიმე მსახიობი მონაწილეობდა „სალხინოს“ ქუთაისის თეატრის დადგმაშიც: ვალერიან შალიკაშვილი თამაშობდა ზვარეთელს (ჩეხოვის გაევს) და, როგორც გაზეთი „ამირანი“ (1908 წლის 26 სექტემბერი) იუწყება, მას ისეთი ცოცხალი და უშუალო სახე განუხორციელებია, რაც არასოდეს გვინახავსო სხვა დროსო.

როგორც აღინიშნა, პიესა „სალხინომ“ თუმცა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა, გამოიწვია დიდი ხმაურიც კატეგორიული მოთხოვნით – გადმოკეთების ნაცვლად ჭეშმარიტი თარგმანი დადგმულიყო ქართულ სცენაზე.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ „ალუბლის ბაღის“ დადგმას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ რეჟისორები. გურამ ბათიაშვილი ამის მიზეზს ხედავს ნაკლებ მონდომებასა და შემოქმედებით მიდგომაში. იგი გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ ქუთაისის თეატრში აპირებდა გიორგი ქავთარაძე თურმე „ალუბლის ბაღის“ დადგმას, მაგრამ ვერ განახორციელა... მაგრამ სპექტაკლი „ვთამაშობთ ჩეხოვს“ მაინც დადგა გ. ქავთარაძემ თეატრალურ სარდაფში 1992 წელს და ის აერთიანებდა ჩეხოვის სამ პიესას („ალუბლის ბაღს“, „სამ დასა“ და „თოლიას“) სპექტაკლი რეჟისორმა გაიტანა ა.ჩეხოვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფესტივალზეც.

და აი, წლების, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ „ალუბლის ბაღის“ დადგმას ხელი მოჰკიდა მიხეილ თუმანიშვილმა. მისთვის ეს ოცნება იყო, სულთან ახლოს მდგომი ოცნება, სიყვარული, სევდა, რასაც მიუძღვნა კიდეც თავისი „იმპროვიზაცია ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ თემაზე“ (ჟურნალი „ხელოვნება“, 1995 წლის №1,2,3).

მიხეილ თუმანიშვილი მიიჩნევდა, რომ, მთავარია გაუწონასწორებლობის, კონფლიქტის მიზეზის დადგენა, ვინ უშლის ხელს, ვინ რითაა დაინტერესებული... რა ამოძრავებს კონფლიქტთა სისტემას? თუმცა კონფლიქტი სულაც არ ნიშნავს ჩხუბს, აურზაურს, ცხოვრებისეული კონფლიქტები უმეტესწილად ჩვენში ხდება, ჩვენს და ჩვენს ირგვლივ

მყოფთ შორის, ჩვენსა და სხვადასხვა გარემოებას შორის. ყველა ამ კონფლიქტს ჩვენ, უბედურები, საოცარი სიმძაფრითა და განცდით აღვიქვამთ“ (გვ. 294). დიახ, ამ კონფლიქტის მოძებნას ცდილობდა გენიალური რეჟისორი, ამიტომ დამუშავდა თითოეული მოქმედება, გამოიკვეთა თავისებურად პიესაში განვითარებული „ცხოვრების სამი წესი“ (სისტემა), რეჟისორი თავად მიიჩნევდა „ალუბლის ბაღს“ მუსიკად, პიესად ცხოვრებაზე, რომელიც იწყება და სრულდება: ეს პიესა სულიერების, ცხოვრების აზრის შესახებ გვესაუბრება“ (გვ. 317). მანვე მეოთხე მოქმედებას შეუსაბამა ფ. შოპენის ნოქტიურნი და მაზურკა (a-moll, op. 16, №49).

მ. თუმანიშვილისათვის ეს პიესა და, განსაკუთრებით ბოლო მოქმედება, არ იყო ჩეხოვის ჩანაფიქრის მიხედვით მხიარული: „მაგრამ ჩემთვის ეს ასე არ არისო.“

რეჟისორს მიაჩნდა, რომ მისი დადგმის მიხედვით, თავად თეატრის არსიდან გამომდინარე, მაყურებელი უნდა გამხდარიყო სპექტაკლში გათამაშებული ტანჯვის თანამონაწილე, „რათა მერე თავის ტანჯვას გარედან შეხედოსო“.

მსახიობებიც შეირჩა, რეპეტიციებიც ჩატარდა, ვეღარ მოასწრო...

და აი, რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი ხელს ჰკიდებს „ალუბლის ბაღს“, მაგრამ არა თუმანიშვილისეული, არამედ საკუთარი გადაწყვეტით. თარგმანიც მისთვის შეირჩა, ახალი თარგმანი მანანა ანთაძისა.

„ალუბლის ბაღის“ პრემიერა შედგა 2005 წლის 22 ოქტომბერს. მას მოჰყვა გამოხმაურებები პრესაში (ლ. ოჩიაური). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ნინელი ჭანკვეტაძე (რანევსკაია), პაატა ბარათაშვილი (გაევი), გიორგი როინიშვილი (ლოპახინი), მაია გელოვანი / მარი კიტია (ანია), თინათინ კორძაძე / ნანა ბუთხუზი (ვარია), გიორგი ნაკაშიძე (ტროფიმოვი), გია აბესალაშვილი (სიმეონოვ-პიშჩიკი), ეკა ჩხეიძე (შარლოტა), ზაზა მიქაშავიძე (ეპიხოდოვი), ქეთევან მიქაშავიძე (დუნიაშა), რევაზ თავართქილაძე (ფირსი), ბექა ჯუმუტია (იაშა) და სხვ. განსაკუთრებით გამოიკვეთა რანევსკაიას

როლის შემსრულებლის ნინელი ჭანკვეტაძის ბრწყინვალე თამაში.

იგი საგასტროლოდაც წავიდა მოსკოვში, რასაც მოჰყვა მხურვალე ოვაციები და რეცენზიები. ხელოვნებათმცოდნე გიორგი გვახარიამ სპეციალური ინტერვიუც ჩაწერა რეჟისორ გიორგი მარგველაშვილთან: „სარისკო იყო ოთხსაათიანი „ალუბლის ბაღის“ წარმოდგენა. გაზეთ „კულტურას“ მიმომხილველის, ინა ბეზირგანოვას, თქმით, მარგველაშვილმა ჩეხოვის პიესის „წყალქვეშა დინება“ გამოხატა, უარი თქვა დრამატურგის მიერ ჩაფიქრებულ „ნაზ და ფაქიზ ინტრიგაზე...“ მარგველაშვილის წარმოდგენაში ალუბლის ბაღის მოსალოდნელი გაყიდვა ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე ჩეხოვთან... ეს მართლაც ასეა, მაგრამ აიტანდა კი ამგვარ ინტერპრეტაციას მოსკოველი მაყურებელი? გიორგი მარგველაშვილის თქმით, იგი ელოდა თეატრის მოყვარულთა კეთილგანწყობას, მაგრამ ეშინოდა, რომ ასეთ „ალუბლის ბაღს“ პუბლიკა ბოლომდე ვერ გაიგებდა – თუმანიშვილელთა წარმოდგენა ხომ პირველ რიგში თბილისელი მაყურებლისთვის იყო განსაზღვრული [გიორგი მარგველაშვილის ხმა] 22.4.40“ იმდენჯერ არის დადგმული, იმდენი ვარიანტია გაკეთებული (და არამარტო რუსულ სპექტაკლებში) – ჩეხოვი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დრამატურგია ევროპაშიც, ამერიკაშიც. ის ძალიან ხშირად იდგმება, ამიტომ ინტერპრეტაციები „ალუბლის ბაღისა“ უამრავია – რა თქმა უნდა, ვღელავდი, მაინტერესებდა, როგორ მიიღებდნენ ჩვენებურ ვარიანტს, რადგან მე მაინც დავდგი სპექტაკლი იმაზე, რაც საქართველოში ხდება. შევეცადე დამედგა სპექტაკლი ჩვენზე, ქართველებზე, ჩეხოვის პიესის მიხედვით, მაგრამ ჩვენზე ერთი რამ მათთვის ძალიან მათი აღმოჩნდა... აქცენტი კეთდებოდა ლოპახინის პერსონაჟის ინტერპრეტაციაზე – იმ ხაზზე, რომელზედაც აგებულია მისი გმირის მოქმედება სპექტაკლში“ (გ. გვახარიას ინტერვიუდან „დღეს ჩვენს ყოველკვირეულ კულტურულ მიმოხილვაში“, 2006 წ. 25. 06).

ამას მოჰყვა წარმატებული გასტროლები მოსკოვში, მოსკოვეტის თეატრში, 2006 წლის ივნისის დასაწყისში პიესა მონაწილეობდა „Gift Festival 2006“ (თბილისში, 2006 წლის 25 ოქტომბერს).

გ. მარგველაშვილის დადგმაზე შესანიშნავად მსჯელობს ტატიანა შახ-აზიზოვა სტატიაში „თუმანიშვილის სეზონი“, რომლის ფრაგმენტიც ცალკე დავურთეთ ნაშრომს.

ანდრო ენუქიძემ 2015 წლის 29 იანვარს თბილისში ა.ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში ა.პ. ჩეხოვის პიესის „ალუბლის ბაღის“ მოტივებზე წარმოადგინა ერთმოქმედებიანი სპექტაკლი. როგორც მაკა ვასაძე წერილში „მოარული „მითების“ ნგრევა – ანდრო ენუქიძისეული „ალუბლის ბაღი“ გრიბოედოვის თეატრში“, წერს, „ანდრო ენუქიძემ ჩეხოვისეული ამბავი, სამშობლოს მოწყვეტილი, ხანშიშესული და შუა ასაკის, ორი „გაბოროტებული“, ერთმანეთისადმი ფარული ზიზღით აღვსილი ქალის მოგონებად აქცია. საინტერესოდ აქვს რეჟისორს მოფიქრებული „ალუბლის ბაღის“ მეტაფორა“.

სპექტაკლს აღფრთოვანებული სტატია მიუძღვნა ი.ბეზირგანოვამ. სპექტაკლი შეიქმნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის“ მხარდაჭერით და მიეძღვნა ა.პ. ჩეხოვის დაბადებიდან 155-ე წლისთავს. სცენური ვერსიის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი იყო ანდრო ენუქიძე, პროდიუსერი ნიკოლაი სვეტნიცკი. როლებს განასახიერებდნენ: ლუბოვ ანდრეევნა რანევსკაიას საქართველოს სახალხო არტისტი, კ. მარჯანიშვილისა და მ. თუმანიშვილის პრემიის ლაურეატი გურანდა გაბუნია, ქალს – ირინა მელვინეთუხუცესი, გაევს – ოლეგ მჭედლიშვილი, ლოპახინს – არჩილ ბარათაშვილი, პეტია ტროფიმოვს – მიხეილ ამბროსოვი, სიმეონოვ-პიშჩიკს – მიხეილ არჯევანიძე.

„ალუბლის ბაღის“ ა. ენუქიძისეული სცენური ვერსიით ასაკს მიღწეული ლუბოვ ანდრეევნა რანევსკაია იხსენებს პარიზში განცდილს, მტკივნეული მოგონებანი მის წინ კინო-

კადრივით ჩაივლის და უამრავ კითხვას ტოვებს ... უყვარს კი მას სამშობლო, რატომ გაიყიდა ალუბლის ბაღი, უყვარს თუ არა თავისი ახლობლები ან, საერთოდ, ვინმე კი უყვარს, რა მოუვიდა ფირსს ბოლოსდაბოლოს? რანევსკაია (გ. გაბუნია) ესაუბრება ვიღაც ქალს, ვინაა ეს ანია, ვარია თუ შარლოტა? დაჭრილებლად გრძელდება ეს დიალოგი. პიესამ წარმატებით ჩაიარა რუსული თეატრის სცენაზეც გასტროლების დროს.

2015 წლის 28 ნოემბერს გიორგი ერისთავის გორის დრამატული თეატრის „მესამე სივრცის" სცენაზე დადგა „ალუბლის ბაღი" თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სოსო ნემსაძემ (სცენოგრაფია ს. ნემსაძისა). პიესას დიდი წარმატებები ჰპოვა და შეფასებანიც. (ნათია ხორბალაძე „მესამე სივრცე ერისთავის თეატრში", გ. „გორის მაცნე", №46, 30 ნოემბერი-6 დეკემბერი, 2015 წ; თეა კახიანი „ალუბლის ბაღი" ქართულ სუფრაზე", ჟ. „თეატრი და ცხოვრება", 2016 წლის №1; როსტომ ჩხეიძის „ალუბლის სევდა და არტისტული ქალაქი", გ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2016 წლის 6 იანვარი;ნინო გაბრავას „ალუბლის ბაღი" და სხვა).

სპექტაკლში, რომელიც ერთ მოქმედებად წარმოადგინა სოსო ნემსაძემ, მონაწილეობდნენ: ლუბოვ რანევსკაია – გვანცა კანდელაკი, ანია – თეკლა მარჯანიშვილი, ვარია – ანა ჭოგოვაძე, გაევი – კახა ბერიძე, ერმოლაი ლოპახინი – ომარ ბექაური /შოთა ხანჯალიაშვილი, პიოტრ ტროფიმოვი – ზაზა თედელური, ფირსი – ანზორ გვაძაბია, დუნიაშა – მარი არღუთაშვილი, გამვლელი – კობა კოპაძე.

რეჟისორმა 6 პერსონაჟი (სიმეონოვ-პიშჩიკი, შარლოტა, ეპიხოდოვი, იაშა, სადგურის უფროსი, ფოსტის უფროსი) ამოაღო პიესიდან, მაგრამ ავტორისეული ჩანაფიქრი აღნიშნულ სპექტაკლში არ კარგავს თავის გეზს. როგორც თეა კახიანი აღნიშნავს, „ეს ჩვენი „ალუბლის ბაღია" – რომანტიზებული, ინფანტილურობასთან ახლოს მდგომი თაობისა, და შეიძლება უფრო განზოგადებულად, მთელი ერის სუმბურუ-

ლი სავანე, სცენაზე დაშვებული საქანელების მსგავსად, ცას რომ ეკუთვნის, ვიდრე მიწას“[32]

თეატრმცოდნე ყურადღებას ამახვილებს სპექტაკლში მონაწილე თითოეულ პერსონაჟსა და მათ დანიშნულებაზე და ასკვნის, რომ „ს. ნემსაძე თითქოს რამდენიმე პირობის დადგენის შემდეგ თავისუფალ სივრცეში უშვებს პერსონაჟებს, არცერთი მხარის მიმართ არ იგრძნობა დამდგმელის განსაკუთრებული სიმპათია. ის მხოლოდ წარმოადგენს მოვლენებს, ფაქტებსა და ადამიანებს ყოველგვარი განსჯის გარეშე“. „სოსო ნემსაძის რეჟისურაში სივრცის განაწილებას ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა და შინაარსი აქვს. მნიშვნელოვანია პერსონაჟის მდებარეობა ამა თუ იმ სცენის მიმდინარეობისას. ამ წარმოდგენაში ფირსის ფიგურა ცენტრალურია. ვგრძნობთ, თუ როგორ მთავრდება მის ირგვლივ მოძრავი სამყარო“, „ანზორ გვაძაბია ფირსის როლში მთელი თავისი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი ბექრაუნდით“ წარსდგა. მისი ბიოგრაფიული მონაცემები შესასრულებელი როლის ბუნებას მთელი ორგანულობით დაუკავშირდა და შეიქმნა მხატვრული სახე, რომელსაც თავისი დოკუმენტალურობაც ახლავს თან. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც ზუსტად იცი, ვინ არის ფირსი!“

ამასვე აღნიშნავს ნინო გაბრავაც: „ვხედავ, როგორც ზუსტად იპოვა რეჟისორმა ფირსი საკუთარ დასში და, მართლაც, როცა ბატონ ანზორს ვხედავთ სცენაზე, ვხვდებით, რომ სხვას ვის უნდა ეთამაშა, თუ არა მას“. ასევე გამორჩეულად შეფასდა ანზორ გვაძაბია ფირსის როლში 2017 წლის თურქეთში, ადანას მე-19 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელზედაც გორის თეატრი წარსდგა სპექტაკლით „ალუბლის ბაღი“. სწორედ ეს სპექტაკლი შეირჩა კიდეც 4 სხვასთან ერთად სტამბოლის, საბანცის უნივერსიტეტის თეატრში, სათამაშოდ (ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 2017 წ.№3)

[32] კახიანი თ., „ალუბლის ბაღი“ ქართულ „სუფრაზე“, ჟ. თეატრი და ცხოვრება“, 2016 წ. №1, გვ. 39.

მანამდე კი საქართველოს თეატრალური კავშირის გრანპრის მფლობელი გახდა გორის თეატრში დამდგმული ა.პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი".

პიესას თავის დროზევე გამოეხმაურა მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე თავისი უაღრესად პოეტური, შინაგანად საოცრად ამაღლებული წერილით „ალუბლის სევდა და არტისტული ქალაქი" (რომელსაც ცალკე ვურთავთ ჩვენს ნაშრომს). როსტომ ჩხეიძე სწორედ ქართული სატკივრიდან დანახულ საწუხარზე ამახვილებს ყურადღებას ჩეხოვის პიესაში: „უნდა დამდგარიყო ამ პიესის გასპექტაკლების ჟამიც ისე, მიხეილ თუმანიშვილს რომ ეოცნებებოდა. და ეს უნდა მომხდარიყო სოსო ნემსაძის რეჟისორული ხელოვნების წყალობით. და ეს უნდა მომხდარიყო გორში".

როსტომ ჩხეიძის ყურადღების მიღმა არ რჩება მაყურებლის განცდა, კათარზისს რომ იწვევს და, უწოდებს რა სამართლიანად, „უკიდურესად დაძაბულ, მღელვარების ზღვარზე გათამაშებულ დრამას, კიდევ ერთხელ რომ მოგვაბლაუჭებს ჩვენ – ჩვენ მიწას ბაღს, ალუბლებს... თორემ ალუბლის მტვერივით ჩაგველევა ხელში ის, რაც ყველაზე ძვირფასად და სანუკვრად გვეგულებოდა და სიმხნევეს გვინარჩუნებდა, ძახილად გარდასული ჟამისა, შორეულ მოვლენებად სამოთხიდროინდელი სინამდვილისა."

გორის თეატრის ეს სპექტაკლი კიდევ ერთხელ აჩვენებს რეჟისორის შემოქმედებითობასა და, ამავდროულად, ჩეხოვის თანადროულობას. სამართლიანია, ამ კუთხით თითქოს სტერეოტიპული ფრაზა: „უკან, ჩეხოვისაკენ", რაც დაადასტურა სწორედ „ალუბლის ბაღმაც".

2017 წლის მარტში ფოთის თეატრში რეჟისორმა დავით მღებრიშვილმა წარმოადგინა სპექტაკლი „ალუბლის ბაღი. რეპეტიცია".

2017 წლის 9 ოქტომბერს რეჟისორმა დავით დოიაშვილმა, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, წარმოადგინა რუმინეთში, ბუქარესტში, დადგმული სპექტაკლი ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი", რომელშიც მონაწი-

ლეობდნენ: მონიკა დავიდესკუ, ირინა მოვილა, კრინა სემჩიუკი, რალუცა აპროდუ, ავრილ პატრუ, იოან ანდრე იონესკუ, რარეს ანდრიცი, ვიტალი ბიჩირი, იშტვან ტუგლასი, იდრის კლატე, ანა კოვალჩიუკი, მიჰაი კონსტანტინი, სილვიუ მირჩესკუ.

ჩეხოვის შემოქმედების ქართული დისკურსი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ შევეცადეთ მხოლოდ მის „ალუბლის ბაღზე" შეგვეჩერებინა ჩვენი ყურადღება, რასაც 2010 წლიდან მოყოლებული მივუძღვენით რამდენიმე სტატია რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ-გამოქვეყნებული მოხსენების სახით.*

---

* წინამდებარე ნაშრომის ნაწილები 2010 წლიდან მოყოლებული ჩვენ მიერ (თ. გოგოლაძე, ნ. მინდიაშვილი) წაკითხული იქნა და გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს.

1. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М., «Межкультурные коммуникации в грузинском переводческом и театральном пространстве (на примере драматургии А.П. Чехова) – ქუთაისის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „კულტურათშორისი დიალოგი და ენობრივი კონტაქტები" (2010 წლის 30.10-1.11);
2. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М. «Варианты иноязычных переводов и художественный код автора», თურქეთში, სტამბოლის კულტურის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონგრესზე ენათმეცნიერებასა და შედარებით ლიტერატურაში" (2011 წლის 12-13 ოქტომბერი);
3. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М. «Вишневый сад» А.П. Чехова в грузинских переводах и постановках, დაიბეჭდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის II საერთაშორისო კონფერენციის («Русский язык и культура в зеркале перевода» მასალებში (2010 წ.);
4. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М. «Из грузинской чеховианы» დაიბეჭდა ბულგარეთში, ველიკო ტირნოვოს უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, „ევროპა კითხულობს ჩეხოვს" (2012).

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმნის თეორიის შესავალი, „განათლება“. თბილისი, 1966, გვ.98;
2. ჟ. „დროება“, 1909 წ. 2 იანვარი;
3. ბათიაშვილი გ., „ჩეხოვი – ჩვენი თანამედროვე“, გ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ. 11 იანვარი;
4. ბათიაშვილი გ., „ლიტერატურული საქართველო“, 1980, 11 იანვარი, №2, გვ.4;
5. კახიანი თ., „ალუბლის ბაღი“ ქართულ „სუფრაზე“, ჟ. თეატრი და ცხოვრება“, 2016 წ. №1, გვ. 39;
6. კუხალაშვილი ვ., ითარგმნებოდა და იდგმებოდა, გ. „თბილისი“, 1960, 28 იანვარი, 323, გვ.3;
7. „მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა“. „კოტე მარჯანიშვილი“, წ.I, „ხელოვნება“, „თბილისი“;
8. პიტერ ბრუკი, ცარიელი სივრცე. „ხელოვნება“, თბილისი, 1984, გვ. 83;
9. ტალიაშვილი გ., „ა.პ. ჩეხოვი, ცხოვრება და შემოქმედება, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1960, გვ.80;
10. შახაზიზოვა ტ., „თუმანიშვილის სეზონი“, „24 საათი“, №5, (797), 2006 წლის თებერვალი;
11. წიბახაშვილი გ., თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თსუ, თბილისი, 2000, გვ. 27;
12. ჭავჭავაძე ი., ქართული თეატრი, რჩ., თხზ. ხუთ ტომად, ტ.III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ.113;
13. Виноградов В.В., О языке художественной литературы. М., 1959, с.151;
14. Гитович Н., Жизнь и творчество А.П. Чехова. Москва, 1955, с. 623 (იბეჭდება დ. ხოშტარიას წიგნიდან თბილისი ძველი სასტუმროები“, „არტანუჯი“, თბილისი, 2011 , გვ. 76);
15. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М., «Ьежкультурные коммуникации в грузинском переводческом и театральном пронстранстве (на примере драматургии А.П. Чехова) – ქუთაისის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე

„კულტურათშორისი დიალოგი და ენობრივი კონტაქტები“ (2010 წლის 30.10-1.11);
16. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М. «Варианты иноязычных переводов художественный код автора», თურქეთში, სტამბოლის კულტურის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონგრესზე ენათმეცნიერებასა და შედარებით ლიტერატურაში“ (2011 წლის 12-13 ოქტომბერი);
17. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М. «Вишневый сад А.П. Чехова в грузинских переводах и постановках, დაიბეჭდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის II საერთაშორისო კონფერენციის («Русский язык и культура в зеркале перевода» მასალებში (2010 წ.);
18. Гоголадзе Т.А., Миндиашвили Н.М. «Из грузинской чеховианы» დაიბეჭდა ბულგარეთში, ველიკო ტირნოვის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, „ევროპა კითხულობს ჩეხოვს“ (2012);
19. КосицинА.А. Теория литературы. Основные понятия и термины. Изд. СГАУ, Самара 2012, с.21-22;
20. Олицкая Д.А. «Чеховский текст в пространстве межкультурного диалога. Немецкие переводы «Вишневого сада» в сб. «Европа чете Чехов», изд. «Св. св. Кирили Методий». Велико Търново, 2012, с. 287;
21. Ревекин А.И „Творческая история пьесы „Вышневый сад“ – http://otvet.ru
22. Соколов А.Г. «История русской литературы конца XIX – начала XX века», М., «Высшая школа», 1988, С.13);
23. Станиславский К.С., Собрание сочинений в 8 т. М., т.1, 1954-1960;
24. Шатин Ю.В., «Коммуникативное событие в пьесе и спектакле («Вишневыё сад» А.П. Чехова – Э. Наякрошюса) в сборнике «Международна научна кноференция «Европа, чете Чехов», Изд. «Св. Св. Кирил и Методии», Велико Търново, 2012, с. 936.

თუმანიშვილის სეზონი
(ნაწყვეტები რეცენზიიდან)

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თბილისის კინომსახიობთა თეატრისთვის წლევანდელი სეზონი ოცდამეათეა. მაისში 10 წელი შესრულდება, რაც გარდაიცვალა მისი დამაარსებელი, რომელსაც თებერვლის დასაწყისში 85 შეუსრულდებოდა. ყოველი მრგვალი თარიღი მუდამ აცოცხლებს, ძაბავს მეხსიერებას და გაიძულებს წარსულში დაბრუნდე, რათა თეატრალურ სფეროში მოღვაწე ახალგაზრდა თაობას წარუდგინო ის, ვის შესახებაც მან შეიძლება აღარაფერი იცის და თუ იცის, მხოლოდ ყურმოკვრით. ხოლო, ვინც იცნობდა, დაე მათთვის ეს კიდევ ერთი შეხვედრა იყოს წარსულთან.

***

მისმა ოცნებამ ხორცი ვერ შეისხა სცენაზე, მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ჟანრიც განმარტა: „იმპროვიზაციები ალუბლის ბაღის თემაზე“ – დატოვა აღსარება, ლირიკული ესეი.

კითხულობ და საოცარი გრძნობა გეუფლება. ხედავ და გრძნობ სამყაროს, რომელიც ავტორმა შექმნა, იძირები, ცხოვრობ მასში. თუმცა ეს არ არის „ალუბლის ბაღის სამყარო“ – აქ რეალური და გამონაგონი ისეა მოცემული, როგორც ამას ფელინი ახერხებდა. ეს ქართული „ამარკორდის“ ესკიზია...

„ნატიფ მთხრობელს“ – როგორც მას კრიმოვა უწოდებდა, თავის სამყაროში შევყავართ.

„სპექტაკლი პოეტურ მოთხრობასავით უნდა შეთხზა, ზოგჯერ შეიძლება ავტორს არც კი მისდიო. უმჯობესია პიესა რამდენიმე ხნით გადადო და საკუთარი სამყარო შეთხზა. მერე კი, თუ ეს კარგი ავტორია, როგორც ჩეხოვი ან სოფოკლე, დაეკითხები: შეიძლება თუ არა ასე? ჩემთვის ყველაზე

ბედნიერი წუთები მაშინ დგება, როდესაც თავისუფლად ვიწყებ შეთხზვას და არაფრის მეშინია. ამ დროს გმირების, ჩემი ან ჩემი ახლობლების ცხოვრება ერთმანეთს შეერწყმება, ერთ მთლიანობად იქცევა".

ვკითხულობ რეპლიკებს და ჩემს წარმოსახვაში ჩნდება რაღაც განუმეორებელი, ნაცნობი და ამავე დროს უცნობიც: თანდათანობით იკვეთება ადამიანთა ბედი, აწმყო თუ წარსული, თან შენიც და თანაც არაშენი. აი, დაიბადა სუნთქვა, ხმა, მოძრაობა. ჰაერი, ესაა ფირი წარმავალ და მომავალ თაობაზე, ოცნებებზე, ცხოვრების დასაწყისსა და დასასრულზე, ჩვენზე. რა არის იქ მერე?

რეჟისორის მეხსიერებაში დარჩენილია ბავშვობა, „ბებოს სახლი მცხეთაში, ალუბლის ბაღი და ნუშის ხეები", – საბავშვო ოთახი – „ყველაზე ინტიმური, ყველაზე თბილი და ძვირფასი ოთახია ქვეყანაზე". „კაკლის ხის ვეებერთელა კარადა, ჩემთვის ეს გასული ცხოვრების სიმბოლოა", „ასეთი კარადის წინ მონოლოგის თქმაც კი შეიძლება..." ცხოვრებისეული რეალიები, „ალუბლის ბაღში" დანახული.

ჩეხოვისეული პიესის პერიპეტიები აღქმულია, როგორც საკუთარი სახლის და ბაღის დაკარგვა. ცხოვრებისეული პრობლემები, რომლებიც სხვა ოჯახებსაც დაატყდა თავს „ძველი" და „ახალი" ცხოვრების შესაყარზე. ეს არის ჩანახატი, გასაღებია, რომელიც გარკვეულ მორალს, ტრადიციას ერგება: „ლია ელიავამ გვიამბო, მშობლების დაპატიმრების შემდეგ ის და ბებიამისი, როგორ ცხოვრობდნენ სადღაც სარდაფში და როგორ ასწავლიდა ბებია მას მაზურკის ცეკვას".

და დასკვნა, მკაფიო და მარტივი:

„ესაა ისტორიის გამჭოლ ქარში ცხოვრება".

„ალუბლის ბაღი" მუსიკასავითაა. ეს პიესა ცხოვრებაზეა, რომელიც იწყება და სრულდება. ცხოვრების აზრის შესახებ გვესაუბრება. გვესაუბრება მოუხერხებელ ადამიანებზე, რომლებმაც არ იციან, როგორ იცხოვრონ. „ალუბლის ბაღი" შედევრია. ესაა ფიქრი დროზე, წარმავალ თაობებზე, მოახლოებულ საშინელებებზე: ფიქრი მოუწყობლობაზე, ადამი-

ანთა რწმენაზე, რომ წარსული ბევრად უკეთესი და საინტერესო იყო.

„ეს ჩემი ცხოვრების შესახებაა. ჩვენი ცხოვრების შესახებ, ყველა ჩემიანის, ცოცხლებისა და წასულების, კეთილი, მაგრამ არაპრაქტიკული ადამიანების შესახებ, რომლებსაც არასოდეს გააჩნდათ სულიერებისა და თამაშის გარდა. თამაშისა ცხოვრებაში, პოლიტიკაში, შემოქმედებაში. ჩვენ მოუხერხებლები ვართ, მაგრამ ჩვენს გარეშე არ შეიძლება, ეს არის ცივილიზაციის საფუძველი, სასაცილო და ოდნავ სევდიანია ეს ყოველივე“.

ეს მისი პიესა იყო. მისთვის დაწერილი. თვითონაც ამ პიესის მოქმედ პირად გრძნობდა თავს. „ჩვენ“-ო ამბობდა, მაგრამ ასე ნამდვილად არ ყოფილა. შესაძლოა „მოუხერხებელი“, რომელსაც „სულიერებისა და თამაშის გარდა არაფერი გააჩნდა“, იყო კიდევაც, მაგრამ შემოქმედის მტკიცე ნება არასოდეს აძლევდა საშუალებას თავისი თავისთვის ეღალატა. უკვე ნახევარ საუკუნეს გადაბიჯებულმა ხელახლა დაიწყო ცხოვრება, ახალი საქმე წამოიწყო.

ის იყო „შინაგანად სავსე“ – კეთილი, მოკრძალებული, გაბედული, წარმოუდგენელი ხიბლის მქონე. ამიტომაც უყვარდათ თბილისშიც და მოსკოვშიც, ყველას, ვისაც თეატრი უყვარს, მაგრამ არა როგორც კერპი, არამედ როგორც ახლობელი, ძვირფასი ადამიანი. მოწაფეებსაც მამასავით უყვარდათ, მათ, ვინც ოსტატმა გამოზარდა, არ სჭირდებათ მეხსიერების დაძაბვა, რომ გაიხსენონ. ის მუდამ მათთან არის, რა ქარტეხილიც არ უნდა დაატყდეს საქართველოს თავზე. მისი სახელი ეწოდა თეატრს. შესასვლელთან მისი ძეგლი დგას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი წარსულის კუთვნილება არ გახდა. იგი არსებობს მოგონებებშიც და თეატრის მომავალშიც.

როგორ გაუმართლა, რომ ასეთი მადლიერი მოწაფეები ჰყავს – მათ მიღებაც იციან და გაღებაც, არასოდეს ივიწყებენ მის ხსოვნას. ერთმა ასეთმა ერთგულმა მოწაფემ, ენერგიულმა ცეცხლივით, ქეთი დოლიძემ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი დააარსა და მიხეილ თუმანიშვილის სა-

ხელი უწოდა, არავითარ დაბრკოლებას და სიძნელეს არ უფრთხის. მეორემ, რომელიც ახლა თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია, გოგი მარგველაშვილმა, გააგრძელა და დაასრულა მისი დაწყებული საქმე, მისი „ალუბლის ბაღი“.

„მისი გარდაცვალების შემდეგ ვფიქრობდით, ეს საქმე იმავე ვარიანტით, იმ საბოლოო ვერსიით მიგვეყვანა ბოლომდე, როგორც ამას თვითონ ფიქრობდა. განვაახლეთ რეპეტიციები, მაგრამ ცოტა ხანში მივხვდით, რომ შეუძლებელია დადგა ის, რაც სხვა ადამიანმა მოიფიქრა, ყოველ შემთხვევაში თეატრში ეს შეუძლებელია. ამიტომ რეპეტიციები მალევე შეწყდა. გადავწყვიტეთ: რადგან მან ვერ განახორციელა ამ პიესის დადგმა, ესე იგი, ეს ესეც უნდა მომხდარიყო.

მაგრამ, დადგა დრო და მომეჩვენა, რომ დღევანდელი საქართველოსათვის, დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის უფრო აქტუალური პიესის მოძიება ძნელია და გადავწყვიტე დამედგა „ალუბლის ბაღი“.

როდესაც ქვეყანაში გადატრიალება და ყველა ღირებულების იმ მასშტაბით გადაფასება ხდება, როგორც ეს ახლა საქართველოში მოხდა, საზოგადოებაში ჩნდება სასოწარმკვეთი შიში, რომ ყველაფერი დამთავრდა და იქნება შეუძლებელიც კია ახალი „ალუბლის ბაღის“ გაშენება.

აქ არ არის ნოსტალგია, მოგონებებისეული ლირიკა, ზმანებები და არც ის, რასაც ანატოლი ეფროსი „ცხოვრებისეულ პოეზიას“ უწოდებდა. თითქოს ოსტატისგან აღებული ფორმულა – „ცხოვრება გამჭოლ ქარში“, გამოყენებულია, როგორც სპექტაკლის ატმოსფერო და ხატი.

სცენაზე ყველაფერი (მხატვარი შოთა გლურჯიძე) ნაცრისფერია და ამაფორიაქებელი: შავი ღრუბლები უკანა კედელზე, სიჩუმე, სიბნელე, სიცივე. არ გჯერა ჩიტების ჭიკჭიკის, სცენის მიღმა რომ მოისმის. იქნებ ეს ვინმეს ეჩვენება, ან აგონებს იმას, რაც უნდა იყოს – „ალუბლის ბაღს“, მაგრამ ბაღი არ არის. შემდეგ უკან კონტურულად, ესკიზის სახით გამოკრთებიან ხეები, რომლებიც ყოველივე წარმავალთან გამოთხოვების ნიშნად ნელ-ნელა ჩნდებიან.

გამჭოლ ქარში, ამ ცარიელ სივრცეში მდგომ მიუსაფარ სახლს არ გააჩნია სახურავი და კედლები. აღმოჩნდება, რომ ცალად მდგომი ძველი კარადა კარია, რომელსაც არსად მივყავართ და რომლის მიღმაც მეჯლისის დროს თანმიმდევრობით ხან ანია და ხან ვარია ქრებიან და ხანაც რანევსკაია.

კარადის გარდა სცენაზე სკივრიცაა, მასავით დიდი და ძველი და მასავით ორმაგი, უცნაური დანიშნულების. ფინალში ამ სკივრში რანევსკაია ჩაიკარგება და თვითონვე დაიხურავს სკივრის თავსახურს...

სცენა თანდათან იცლება. იატაკის ფიცარნაგი ყოველი აქტის ბოლოს ნაწილ-ნაწილ ადის ზევით – აქ სახურავი რაა, იატაკიც კი აღარ დარჩება.

თავიდან ყველაფერი გულისგამაწვრილებლად დიდხანს იწელება: მოქმედება ვერა და ვერ იწყება, მიუხედავად ჩამოსვლასთან დაკავშირებული აურზაურისა და სხვადასხვა გათამაშებული ჩანართებისა – ხან იაშა უღებს ფოტოებს ოჯახს, ხან პიშჩიკი ყლაპავს აბებს და გულყრის იმიტირებას ახდენს. გეჩვენება, თითქოს ყველაფერი ნელ-ნელა ცოცხლდება, თავის ჩვეულ მდგომარეობას, დაძაბულ, არათანაბარ რიტმს უბრუნდება.

მეორე აქტში თამაში მეტია – ხან რანევსკაიას ცეკვა სამ კავალერთან, ხან ერთგვარი ტურნირი, ლოპახინისა და პეტიას პაექრობა, მაგრამ ამ მხიარულება-თამაშში, რომელიც თავისებური თავდაღწევაა მოძალებული ყოველდღიური პრობლემებისაგან, ჯერ არ ჩანს ის ინფერნალობა, რასაც გვპირდება სცენის უცნაური ჩაცმულობა და რაც თავს იჩენს მესამე აქტში, მეჯლისის გადამწყვეტ სცენაში.

ეს მეჯლისი, რომელიც ძალიან იშვიათად გამოდის სცენაზე წარმატებული, სავსეა ბოროტი და სახიფათო ენერგიით. ეს ენერგია პირველად გაკრთება რანევსკაიასა და პეტიას შელაპარაკებაში, შემდეგ გამარჯვებული ლოპახინის ღიმილში, და ყველაზე მეტად შარლოტას (რუსუდან ბოლქვაძე) გამოჩენისას. სტუმრებს ხელში ატაცებული დროშასავით შემოყავთ შარლოტა, შემდეგ, კარადის თავზე ამხედრებული, ის აქ ისეთი ეშმაკეული შემართებით მეუფებს, რომ უეცრად

ვოლანდის მეჯლისი გაგახსენდება „ოსტატი და მარგარიტიდან“ და აქ ეძებ რაღაც კავშირს.

მეჯლისი დამთავრდება, რანევსკაია კარადაში გაუჩინარდება, ლოპახინი (გიორგი როინიშვილი) განაცხადებს თავის კრედოს და აქედან ყველაფერი, როგორც იტყვიან, განსაკუთრებული კოდით იწყებს სვლას. მეოთხე აქტი იქცევა ასეთ გახსნილ კოდად, ამ ხანგრძლივი ისტორიის ფინალად. ყველაფრი დასრულდება მკაფიო, აუღელვებელ რიტმში, თავშეკავებულად, საქმიანად, მელოდრამის გარეშე. დასრულდება სამუდამოდ. რანევსკაია თვითონვე ჩაწვება თავის სკივრ-კუბოში. სპექტაკლის უკანასკნელი ჟესტი: ყველასგან მივიწყებული ფირსი პისტოლეტს მიიტანს საფეთქელთან.

ყველა ამ გამონათებასა და ჩავარდნაში იგრძნობა სიცოცხლია აგონია, რომელიც ადამიანებსღა შემორჩათ, მათ ირგვლივ სამყაროში ის უკვე აღარ არის. ჟღალთმიან რანევსკაიაში (ნინელი ჭანკვეტაძე), უფრო პარიზელში, ვიდრე რუსში, ცოცხალსა და ნერვიულში, ზოგჯერ უმწეოსა და მიზეზიანში – და ყოველთვის დაუმარცხებლად ქალურში.

ბომბორა, თავადურად მძიმე და მოუქნელ გაევში (პაატა ბარათაშვილი) ერთ-ერთ იმ „შემოდგომის აზნაურთაგანში“, რომელთაც კარგად იცნობენ საქართველოც და რუსეთიც. და მის მეგობარშიც, ასეთსავე საყვარლად მოუქნელ სიმეონოვ-პიშჩიკშიც (გ. აბესალაშვილი), რომელსაც სპექტაკლში ბევრად მეტი დრო და ყურადღება ეთმობა, ვიდრე თვით პიესაში. პატარა, მორიდებულ ვარიაშიც (თ. კორძაძე), რომელიც თავგამოდებით, მაგრამ უშედეგოდ იცავს ჩამქრალ კერას.

მათში, ვინც შინაგანად აღარ ეკუთვნიან ამ სამყაროს, ამ სახლსა და ბაღს, ვინც თავისუფალია ამ ყველაფრისაგან, წარსულის მაგიისაგან – მხიარულ და ძლიერ პეტიაშიც (გ. ნაკაშიძე) და ის არანაირად არ არის „ჩამოფხაული მებატონე“. ანიაში (მ. გელოვანი), რომელიც თანამედროვე თინეიჯერებს უფრო ჩამოჰგავს.

მთელი ეს თანამედროვე და მარადიული ტიპაჟი ქმნის ცოცხალ, მრავალგვაროვან მასას, რომელიც ჯერ კიდევ რა-

ღაცით შეკავშირებულია, მაგრამ კავშირი სუსტდება და ჩვენს თვალწინ ირღვევა, ყველა სხვადასხვა მხარეს იფანტება და და ისმის ამ პიესის დღევანდელი დღისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა.

„ამ პიესაზე მუშაობისას ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო თვით ის, რამაც მიბიძგა, ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია – მივმხვდარიყავი რატომ მოხდა ასე? რა არის მიზეზი? ის ხომ არა, რომ მათ, ვინც კარგავს ამ ბაღს, თვით მიიყვანეს აქამდე საქმე და ძალაუნებურად აღმოჩნდნენ ამ სიტუაციაში. ალბათ, თითოეულისათვის, ვინც ამ პიესაზე მუშაობდა, თვითოეული მსახიობისათვის შემდეგ ეს იქცა მთავარ საკითხად. იყო ცხარე კამათი, იმიტომ რომ მსახიობთაგან ერთნი ამტკიცებდნენ – რა უნდა ექნა კეთილშობილთა ფენას, რომელიც არ იყო მზად ასეთი ცხოვრებისათვის? არ შეუძლია ამ ხალხს ვაჭრუკანობაო. ხოლო მეორენი ამბობდნენ – საქმე ის არის, რომ მათ ეს არც უნდოდათო.

მსახიობებიცა და რეცენზენტებიც ზოგჯერ ერთად ესხმოდნენ თავს ამ უნიათოებს და დღევანდელი საქართველოსა და გუშინდელი რუსეთის ყველა უბედურებაში სწორედ მათ სდებდნენ ბრალს. აქ ძალაში შედის თვითონ ჩეხოვის პიესის მთავარი მზაკვრობა და მისი უმთავრესი წესი, – არავინ გაამართლო და ბრალი არავის დასდო, და კიდევ უფრო მეტი მზაკვრობა სცენისა – ცოცხლად, თბილად, ადამიანურად ნათამაშევი უნიათოები დამნაშავეებად არ გამოდგებიან.

ადამიანი ადამიანია და დრო მასზე უფრო ძლიერია – ბედისწერას ვერ გაექცევი. ოსტატისა არ იყო, რეჟისორისთვისაც პროკურორის პოზიცია მიუღებელია, მისი თვალთახედვა საღია და ფართო.

„ზოგჯერ შეუძლებელია გადაარჩინო „ალუბლის ბაღი", რომელიც ყოველ ადამიანს, თაობას, საზოგადოებას, ყოველ ერს თავისი აქვს, იმიტომ, რომ გარემოებებია ასეთი, შეუძლებელია მათი დაძლევა მაშინ, როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდები. ალბათ, ამ მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე წინასწარ ფიქრობ, როგორ შეიძლება მოხდეს ეს. ამ დარტყმის შერბილება, ალბათ, რაღაცნაირად შეიძლება, აცილება კი არა".

უნიათოების ამ კრებულში არსებითად ერთი მოქმედი პირია – ლოპახინი, დღევანდელი დღისა და სპექტაკლის გმირი.

„იმ მსახიობებისათვის, ვინც პიესაზე მუშაობდნენ აქ ყველაფერი ისეთი ნაცნობი, იმდენად დღევანდელი იყო, – ის, რაც ქვეყანაში ხდება, როცა ყველაფერი შეიცვალა, შეიცვალნენ ადამიანები, ისეთი მოვლენები განვითარდა, რომლებისთვისაც მთლიანობაში საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა, სამაგიეროდ, სრულიად მოულოდნელი ადამიანები აღმოჩნდნენ მათთვის მზად. ერთი სიტყვით, წინასწარ ვერავინ გათვლიდა, რომ ადამიანი, რომელიც თითქოს ნებისმიერი ლოგიკით ახლა არ უნდა მართავდეს სიტუაციას – უცებ ყოველისშემძლე ხდება.

სიტუაციას ლოპახინები მართავენ. აქაური ლოპახინი არ ჰგავს ახალ რუსებს, მოდური კარიკატურული ინტერპრეტაციით. მსახიობის ნერვიული, დახვეწილი სახე და მისი ინტელიგენტურობის აურა ცხადყოფს, რატომ მოითხოვდა ასე დაჟინებით ჩეხოვი ამ როლზე სტანისლავსკის.

მას ფსიქოლოგიური დრამის პერსონაჟი სჭირდებოდა, უკვე გაკულტურულებული რთული ადამიანი და არა ვაჭრუკანა.

აქაც ასეთია საჭირო. მაგრამ აქ უფრო მეტად, ვიდრე ჩეხოვთან, – ის ქმედების კაცია, მყარი ნებისყოფით, გამარჯვებული, თანაც ევროპული ყაიდის. მისი მოდელი – ჩვენი საუკუნის დასაწყისშია და არა გასულის, ახალგაზრდა, ჭკვიანი, ხისტი ადამიანების იმ თაობაში, რომელიც ახლა მოქმედებს საქართველოშიც და რუსეთშიც.

თვითონ საქმე განაპირობებს სიხისტეს და ლოპახინიც ასე მოქმედებს, როცა რწმუნდება, რომ სხვა მეთოდები არ გამოდგება, რომ მისი ყველა რჩევა ფუჭია.

ლოპახინი უცებ იმ სიტუაციაში აღმოჩნდა, როცა მის გულწრფელ სურვილს – დაეხმაროს, დაარწმუნოს, მისცეს გადარჩენის ერთდაერთი შესაძლებლობა, წინ უბრალოდ წინააღმდეგობა კი არა, რაღაც ქედმაღლური დამოკიდებულება დახვდა, ამან მის თავმოყვარეობაზე იმოქმედა.

„მსახიობები მეკითხებოდნენ: – განა არ შეეძლო გამოესყიდა და ეჩუქებინა ბაღი, რომელიც ხუთჯერ უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე სინამდვილეში ღირდა? რატომ არ მოიქცა ასე? – ალბათ, იმიტომ, რომ ეს არ იყო გამოსავალი. პიესაზე მუშაობისას, მასალებში ამოვიკითხე, რომ პირველ რედაქციაში ლოპახინის ტექსტი, როცა ის თავის პროექტს წარმოადგენს, ცოტა სხვანაირი იყო. „თქვენი მამული რომ წამგებიანი არ იყოს, ყოველ დილით 4 საათზე უნდა ადგეთ და მთელი დღე იშრომოთ. თქვენთვის ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მესმის“, ე.ი. მან აპრიორი იცოდა, რომ ამ ჟესტით (თვითონ ეყიდა და ეჩუქებინა) ის ვერაფერს გადაარჩენდა“.

ამასთანავე, რამდენიც უნდა ილაპარაკოს რადიკალმა პეტიამ, ლოპახინი მტაცებელი არ არის. მას სიყვარულის უნარი აქვს. ხანგრძლივი, იდუმალი სიყვარულის, ამის ხაზგასასმელად მისი მონოლოგი-აღსარება რანევსკაიასადმი რეჟისორმა პიესის შუა ნაწილიდან პირველი აქტის ბოლოს გადაიტანა და აქედან გამომდინარე, შთამბეჭდავ კოდად აქცია.

ლოპახინის ტირადა, სადაც ის რანევასკაიასთან შეხვედრისას მას სიყვარულს უხსნის და ეუბნება, რომ უყვარს, როგორც „თავისიანი, ღვიძლი და უფრო მეტადაც“, ჩვენ პირველი ქმედების ბოლოს გადავიტანეთ და დამამთავრებელ, დამოუკიდებელ ეპიზოდად ვაქციეთ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ლოპახინის დამოკიდებულება რანევსკაიასადმი ყოფილიყო ისეთი, როდესაც კაცი აღმერთებს ქალს, კი არ უყვარს – აღმერთებს. და მისი ცხოვრებისეული წარმატების მთავარი მოტივაციაც, ალბათ ეს ქალი იყო.

მამაკაცის ცხოვრებაში ქალი უდიდეს როლს თამაშობს. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი წარმატება, იქნება ეს ბიზნესსა თუ შემოქმედებაში (ნებისმიერ სფეროში), უმრავლეს შემთხვევაში ქალებითაა მოტივირებული. ყველაფერს, რაც გააჩნია, „ლოპახინმა, ალბათ, იმიტომ მიაღწია, რომ რანევსკაიას აღმერთებდა და მდიდარიც იმიტომ გახდა, რომ როგორმე თავისი სტატუსი აემაღლებინა“.

„და უცებ – მარცხი“.

მათი ურთიერთობის განვითარებისათვის თეატრს მოძებნილი აქვს ზუსტი ახსნა რანევსკაიასადმი ლოპახინის გაუცხოებისა, და მისი გაუცხოებისა ყველაფრისაგან, რაც რანევსკაიას უკავშირდება, რომლის გარეშეც – ვინ იცის, იქნებ ეს ამბავი სხვანაირად დასრულებულიყო. აქ ჩნდება დანაშაულის გრძნობა, არა ყოფითის, კლასობრივის – ყოფილ მეპატრონეთა დანაშაულისა მომავალთა წინაშე. უნებლიე, წვრილმანი, მაგრამ რეალური დანაშაულისა, რომელსაც ყოველთვის როდი ამჩნევენ. ეს არის ზევიდან ქვევით მიპყრობილი მზერა მათკენ, ვინც აღზრდით, ჩამომავლობით და სხვა ნიშან-თვისებებით ქვემოთაა, უბრალოა, სხვანაირია. და იმის ნაცვლად, რომ მიიჩვიონ ისინი – მათ ხელს ჰკრავენ, აბოროტებენ, და აღვივებენ მათში რევანშის აღების სურვილს. ასე ექცეოდნენ დები პროზოროვები ნატაშას („ძვირფასო, თქვენ ქამარი გიკეთიათ“) ან სოლენის. მარგველაშვილის სპექტაკლში ასეთი ურთიერთობა აქვს რანევსკაიას ლოპახინთან, სხვადასხვა კავალერებთან ცეკვისას ის რატომღაც გვერდს უქცევს ლოპახინს. ეს არ არის ხაზგასმული, მაგრამ დარბაზიდან შესამჩნევია, მითუფრო ამჩნევს ამას ლოპახინი და ეს ილექება მასში.

იქნებ სწორედ აქედან იბადება მისი გამარჯვებული ღიმილი აუქციონის შემდეგ, მაყურებელთა დარბაზისკენ მიპყრობილი ღიმილი, რომელიც გამარჯვების სიხარულით კი არა, ირონიითაა სავსე.

მისი პერსპექტივა კი ახლობელია და გასაგები.

ისიც იქცევა ხალიფად ერთი საათით, და მისთვისაც მზადდება ცვლა. ოღონდ ამჯერად არა ეპიხოდოვის სახით (როგორც ეს ხანდახან თეატრში ხდება), ან იაშასი, რაც პრინციპში ყოვლად შეუძლებელია (თუმცა ჩვენ ჩვენი „ახალი ცხოვრების“ გარიჟრაჟზე ამის შეგვეშინდა), ან პეტიასი, როგორც ცოტა ხნის წინათ გვეგონა და შევცდით.

სპექტაკლში ლოპახინს ფეხდაფეხ დასდევს მისი რეფერენტი თუ ასისტენტი – ღმერთმა უწყის ვინ; თან ახლავს მას, მუდმივად ინიშნავს რაღაცას ბლოკნოტში, ბიჭი აშკარად აზრზეა, რაც უნდა – ის ხვალინდელი vip-პერსონაა. აი

ასე, დღევანდელი რეალიებიდან და განწყობილებებიდან, მაგრამ დღევანდელობის უკიდურესობების გარეშე იბადება საჩუქარი მასწავლებლებისადმი – ეს სპექტაკლი.

ჯერ კიდევ ვერ იდგა მყარად ფეხზე შემოდგომის პრემიერებზე, როდესაც მომეცა საშუალება მენახა. ვფიქრობ, რომ ახლა, ალბათ, თანდათან მომწიფდა. სპექტაკლი, რომელმაც პრესა ააფორიაქა. ეტყობა, ზუსტად მოარტყა მიზანში, კიდევ ერთი ბილიკი გაიკვალა ჩეხოვისკენ, რომლის გათავისებასაც საქართველოში დიდი სიფრთხილით ეკიდებიან.

მარგველაშვილი აშკარად დამუხტული და შეპყრობილია ჩეხოვით.

„ეს ძალიან მკაცრი, უსაზღვროდ მკაცრი გამომცდელია. და ყველაზე საშიში მასში – მისი ირონიაა, რომელიც სულ თან გდევს. აბა მიხვდი? მოიფიქრე რამე თუ ვერ მოიფიქრე? ითამაშეს თუ ვერ ითამაშეს? ეს გაქეზებს კიდევ და რაღაც ბოროტი აზარტიც გიჩნდება: კიდევ რა გავაკეთო?

ჩვენ დიდხანს ვმუშაობდით, თითქმის ორი წელიწადი. ვისაც დაუდგამს ჩეხოვი და განსაკუთრებით „ალუბლის ბაღი", მიხვდება, ეს რას ნიშნავს, იმიტომ, რომ მე არ მეგულება სხვა პიესა, რომელსაც გააჩნია ამ რაოდენობის სხვადასხვა პლანი, ამ რაოდენობის შესაძლებლობა ყოველი სცენის გადაწყვეტისა. და ძალიან ძნელია მოწყდე მასალას, ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება: აი მხოლოდ ასე – და წავიდეთ ვიმუშაოთ. სულ გინდა დაუბრუნდე უკვე გაკეთებულ, აწყობილ სცენას. მუდმივად მიდის ძიება, რაღაცას ახალს პოულობ და ხშირად ჩიხში შედიხარ.

მსახიობები მონდომებით მუშაობდნენ, თუმცა ხშირად თავიანთ შესაძლებლობათა ზღვარზე, იმიტომ, რომ ჩეხოვზე მუშაობისას ხშირია სიტუაცია, როცა ყველაფერი ნათელია, ყველაფერი დალაგდა, აგრძელებ მუშაობას! და უცებ ჩიხში ექცევი, უბრუნდები და ისევ იწყებ ჩიჩქნას და ყველაფრის თავიდან აწყობას, და, რაც ყველაზე საინტერესოა, შეიძლება ვარიანტების უსაზღვრო რაოდენობა წარმოიდგინო.

მინდა გითხრათ, რომ ეს ისეთი დანაღმული ველია, რომელზე სიარულიც მხოლოდ სახიფათო და საშიში კი არა, მიმ-

ზიდველიცაა. ნაღმები კი იმდენია მის პიესებში ჩადებული, განსაკუთრებით ამ პიესაში, რომ სხვა ანალოგიების მოყვანა, რომ არა შექსპირი, საკმაოდ ძნელია.

ჩეხოვი ჩემთვის გამოცანაა. არ ვიცი, შეძლებს კი ვინმე ამ გამოცანის გამოცნობას... მაგრამ რამხელა ბედნიერებაა რეჟისორებისა და მსახიობებისათვის მასთან მუშაობა..."

გაზეთიდან „ეკრანი და სცენა", №5 (797) 2006 წლის თებერვალი

მიხეილ თუმანიშვილი

იმპროვიზაცია ჩეხოვის „ალუბლის ბაღის" თემაზე

დილაობით ადრიანად ვდგები და ახალი დღის მოახლოება რომ არ გამომრჩეს, მაშინვე ქუჩაში გავდივარ. გარიჟრაჟი – ნამდვილი საოცრებაა. ყურს ვუგდებ მას.

ჩქარი (რამდენადაც გამომდის) ნაბიჯით პარკისკენ, სტადიონისკენ მივდივარ. იქ ჩემი უბნელები – ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები და კაცები, ბავშვები დამხვდებიან. ყველა ვარჯიშობს: ზოგი დარბის, ზოგი ჩქარი ნაბიჯით დადის, ზოგიც ჩოგბურთს თამაშობს, ანდა კუს ტბისკენ მიმავალ აღმართს მიუყვება. ჩვენ დავრბივართ, ერთი მსუქანი კაცი შეძახილებით გვამხნევებს: „მოუმატე, მოუმატე!"

დილაობით, სეირნობისას ვფიქრობ, ვთხზავ, ვგეგმავ, ახალი დღისათვის ვემზადები. ვფიქრობ „ალუბლის ბაღზე", ვფიქრობ იმაზე, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ცვალებადია და წარმავალი. ქრება რაღაც, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ძვირფასი.

სადღაც აღმოსავლეთით ცის ელვარე მნათობი ამობრწყინდება და გვეუბნება – დილა მშვიდობისა, ადამიანებო-ო-ო!

* * *

იწყება „ალუბლის ბაღი“. ზაფხულობით, სამ საათზე, ჯერ კიდევ ბნელა. გარეთ წვიმს, მოქუფრული ცა უფრო მეტად აბნელებს ღამეს. დიდი სახლია, ძველი, სახურავიდან წყალი ჩამოდის. მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში ტაშტები და ქვაბებია დადგმული. დუნიაშას დროდადრო წყლით სავსე ტაშტი გააქვს, მერე ცარიელი შემოაქვს და კვლავ უდგამს. წვიმა ხან მატულობს, ხანაც ცოტათი იკლებს. ცაზე ვეებერთელა, გოლიათი ღრუბლები ერთმანეთს ებრძვიან. ტახტზე ლოპახინს სძინავს. მერე ეღვიძება, გაუგებარია, რატომ? იქნებ დუნიაშამ სიბნელეში შემთხვევით სკამი წააქცია და ხმაურმა გააღვიძა, იზმორება.

- რომელი საათია?

- მალე ორი გახდება.

ახალ, ყვითელ ფეხსაცმელში საშინლად დაუბუჟდა ფეხები. ძლივს გაიხდის ფეხსაცმელს, ხელით ისრესს ფეხის თითებს. ჩაფიქრდება. თავის თავს ებაასება. იხსენებს რანევსკაიას, ბავშვობას. ფეხსაცმელს ჩაიცვამს, შეიკრავს. ადგება, წვიმის წყლით სავსე ტაშტს მიუახლოვდება. ხელებს გადაიბანს. ამ დროს დუნიაშაც შემოდის. დოქით სუფთა წყალი მოაქვს მისთვის. უცებ ლოპახინი წელამდე გაშიშვლდება. სიამოვნებით, ხმაურით იბანს. დუნიაშა განუწყვეტლივ ყბედობს. ლოპახინი საბოლოოდ გამოფხიზლდება. დუნიას პირსახოცი მოაქვს. ლოპახინი ნელა, აუჩქარებლად იმოსება. რანევსკაიასთან შესახვედრად ემზადება. კვლავ თავის თავს ესაუბრება. მხოლოდ ერთხელ, ისიც უკმაყოფილოდ, გახედავს დუნიას, დუნიაშა ბატონებს ბაძავს – ეს კი მას არ მოსწონს.

ტემპი შენელებულია. ჭერიდან ჩამოსული წვიმის წვეთები წკაპა-წკუპით ეშვება ტაშტში – ყურს თუ დაუგდებთ, თავისებურ მუსიკას მოუსმენთ.

სველი ჩექმებით შემოაბიჯა ეპიხოდოვმა. ალუბლის ხის ტოტები მოაქვს. ამ სიბნელეში როგორ იარა ბაღში, ანდა როგორ დატეხა ტოტები, როგორია ეს ბაღი? იქნებ აღარ ჰგავს

იმ წინანდელ აყვავებულ ბაღს? ფირსი ხომ ამბობს, რომ იყო დრო, როდესაც ამ ალუბლისაგან მურაბას ხარშავდნენ, ახმობდნენ კიდეც და ქალაქს მიჰქონდათ გასაყიდად. ახლა კი... მებაღეობის წიგნში ამოვიკითხე, რომ ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ალუბლის ხე უნდა ამოძირკვო და მის ადგილს ახალი დარგო. ბაღი, რომელსაც ასე მისტირიან, კარგა ხანია თითქმის აღარ არსებობს, ყველანი ჩვენს წარსულს მივტირით და ხშირად შორიდან მშვენიერი გვეჩვენება. პარიზში ყოფნისას რანევსკაია თავის წარმოსახვაში არაჩვეულებრივ ალუბლის ბაღს ხატავს. ამ ბაღში ტალავერებიცაა, მღვიმეებიც, გუბურებიც, მშვენიერი ჰაერი, საქანელები. არაჩვეულებრივი ბაღია, პირველქმნილი სილამაზე! პარიზიდან დილიჟანსით ან ფაეტონით დიდხანს რომ იმგზავრო, ბოლოს და ბოლოს ჩააღწევ რუსეთამდე, ალუბლის ბაღამდე, ბავშვობამდე, ბავშვობა კი უმშვენიერეს, ულამაზეს ალუბლის ბაღშია ჩაფლული მუდამ.

ბავშვობა. მცხეთა, ბებიაჩემის სახლიდან ქვემოთ, ხიდიდან ხელმარცხნივ, პატარა სამჭედლოსთან, ბებრისციხის მიმართულებით, ბებრისციხემდე, ალუბლის ბაღებია გაშენებული. მარჯვენა მხარეს არაგვის ხმაურობს. მის უკან, ციცაბო ფერდობზე ჯვრის მონასტერია აღმართული. კოხტა და ლამაზი, მშვენიერ საზაფხულო კაბაში გამოწყობილი ბებია შვილიშვილებთან ერთად ეტლში ზის და ყველანი ალუბლის საკრეფად მივდივართ. ირგვლივ არავინაა. სიჩუმეა. ამ სიჩუმეში მხოლოდ ჭრიჭინებისა და სხვადასხვა მწერის ბზუილი ისმის. ძალიან მაღლა, უკიდეგანო ცაზე მწველი მზე გამოკიდულა. სიცხეა, ალუბლის ტოტებქვეშ გადაწოლილ ჩრდილში კი სასიამოვნო სიგრილეა. ვკრეფთ დამწიფებულ ნაყოფს, ბებიას შექება გვინდა დავიმსახუროთ. ყუნწებზე ორ-ორი, ზოგჯერ სამი ალუბალიც ჰკიდია ერთად. რა საოცარი, მსუყე ფერი აქვს მწიფე ალუბალს, რა დამათრობელი სიგრილითაა აღსავსე...

გადმოცემით ვიცი, რომ ოდესღაც ეს ბაღი ბაბუაჩემს ეკუთვნოდა, მერე კი ვიღაც მდიდარი სომხისთვის მიუყიდია.

და მაინც რა ხდება, რა იმალება სიტყვებს მიღმა? მატარებელი იგვიანებს. იმ დროშიც იგვიანებდნენ მატარებლები, ლოპახინს ჩაეძინა. საგანგებოდ, მათ დასახვედრად ჩამოვიდა, მაგრამ ჩაეძინა.

ღამის სამი საათია. რანევსკაია, გაევი, ანია სახლში წასვლის ნაცვლად სადგურში შეჩერდნენ წასახემსებლად. ნუთუ მაშინ ბუფეტები ღამის სამ საათზეც მუშაობდა? ალბათ, ბარგს თუ ელოდებოდნენ. ერთი ჩემოდნით ხომ არ ჩამოვიდოდნენ. დღეს შეიძლება ერთი ჩემოდნით მთელი მსოფლიოს შემოვლა, თორემ მაშინ სხვანაირად მგზავრობდნენ, სად არის ანია? შეიძლება მოსაცდელში სკამზე ზის... იქნებ ჩათვლიმა კიდეც.

არსებობს სამხედრო სპეციალობა – მენაღმე. ისინი განსაკუთრებული ხელსაწყოთი, გარკვეულ ადგილებში – ხიდებქვეშ, სახლებში – ეძებენ ნაღმებს და უვნებელყოფენ. ჩვენ, რეჟისორები მენაღმეების მსგავსად ვეძებთ ნაღმებს, ოღონდ მათგან განსხვავებით – ვაფეთქებთ. პიესაში სად არის დამალული ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმები. მთავარია გაუწონასწორებლობის, კონფლიქტის მიზეზის დადგენა, ვინ ვის უშლის ხელს, ვინ რითაა დაინტერესებული... რა ამოძრავებს კონფლიქტთა სისტემას? თუმცა კონფლიქტი სულაც არ ნიშნავს ჩხუბს, აურზაურს, ცხოვრებისეული კონფლიქტები უმეტესწილად ჩვენში ხდება. ჩვენსა და ჩვენს ირგვლივ მყოფთ შორის, ჩვენსა და სხვადასხვა გარემოებას შორის. ყველა ამ კონფლიქტს ჩვენ, უბედურები, საოცარი სიმძაფრითა და განცდით აღვიქვამთ.

რა მოხდა ალუბლის ბაღის მკვიდრთ შორის? რას იტყვიან ამ ამბავზე მრავალი წლის შემდეგ აქ დასახლებული მოაგარაკენი, რაზე იჭორავებენ? იქნებ იმაზე, რაც ამ სასაცილო, ყოვლად მოუხერხებელ, უუნარო ადამიანებს გადახდათ თავს? რას მოგვითხრობენ ისინი?

ვალები. პროცენტების გადაუხდელობის გამო ალუბლის ბაღი უნდა გაიყიდოს. საღად მოაზროვნე, პრაქტიკული ადამიანი აქ მაცხოვრებელთ გადარჩენის საშუალებას სთავაზობს. ეს გეგმა კი მათთვის საშინელი, წარმოუდგენელი რამაა. ამ ადამიანისთვის „ბაღი“ – ხეებია. მათთვის კი – სულიერი ცხოვრების კვალი, ისინი უუნარონი არიან. წუხანდელი, ჩავლილი დღის მსგავსნი. სასწაულსღა ელოდებიან. სასწაული კი არ ხდება. „ბაღი“ საჯარო ვაჭრობაზე გაიყიდა. პრაქტიკულმა ადამიანმა იყიდა, მორჩა და გათავდა. არაპრაქტიკული ადამიანები კი თანდათან მიდიან და თან მიაქვთ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, ძვირფასი, ის, რისი არც ყიდვა შეიძლება და არც გაყიდვა.

მშვიდობით, ალუბლის ბაღო!

ზოგი გაკიცხავს ამ არაპრაქტიკულ ადამიანებს, სხვა სევდანარევი აღფრთოვანებით ისაუბრებს მათზე, ზოგიერთნი საქმიანი ადამიანების საზრიანობით აღფრთოვანდებიან, ზოგმა კი შეიძლება სწორედ ამ პრაქტიკული ჭკუის გამო გაკიცხოს ისინი, ამას წინათ ერთი საკმაოდ სიმპათიური ადამიანი დიდხანს მიხსნიდა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა დღეს. თურმე იმისათვის, რომ შექმნა ხელოვნება, თეატრშიც და ცხოვრებაშიც ფულის კეთება უნდა ისწავლო. ვთქვათ, ციმბირში იყიდი ტყეს (!) და ინგლისში გაყიდი (!), მერე მონაგები ფულით ფილმს გადაიღებ. ანდა კახეთში მოხარშავ კაკლის მურაბას და მერე გაყიდი... არ ვიცი, იქნებ რაღაც ვერ გავიგე. შეიძლება გააკრიტიკო ჩემი ნაცნობი. ტაძარს შესული ეს საქმოსანი გაკიცხო, ან პირიქით, აღფრთოვანდე მისი საზრიანობით. თითოეულმა თხრობის საკუთარი ვერსია უნდა აირჩიოს, საკუთარი ამბავი მოყვეს.

მოვიდა ეპიხოდოვი. ერთი უიღბლო, გამეშჩანებული ხეპრე. ქვემოთ, კიბესთან შეჩერდა. სისულელეებს ბლუყუნებს, მას ყურადღებას არ აქცევენ. თუმცა არა, აი, დუნიაშამ გაია-

რა და, თითქოს შემთხვევით, ეპიხოდოვს და მის მოტანილ ტოტებს ჭუჭყიანი წყალი გადაასხა.

წვიმამ ისევ დაუშვა. დუნიაშა ტაშტებით შემორბის და დგამს იქ, სადაც წვეთავს, წვეთების ხმას, ზარის წკრიალი უერთდება. ეს პირველი ეტიუდია.

ძალიან შემიყვარდა პიტერ ბრუკი – ანთებული, გატაცებული, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული... ძველებური პატარა თეატრი აქვს, იარუსებით, ოდესღაც ოქროთიც ყოფილა მოპირკეთებული. ბრუკმა გააუქმა სცენა, მოაშორა პარტერი და შუაში ნახევარი მეტრის სიმაღლის ფიცარნაგი დადგა. როდესაც მასთან თეატრში ვიყავით, ბრუკმა ფეხზე გაიხადა, მსახიობებთან ერთად წრეში ჩადგა და მათთან ერთად სავარჯიშოებს შეუდგა: მაღალი ინდოელი რაღაც რთულ მოტივს ღიღინებდა, დანარჩენები კი, პიტერ ბრუკის ჩათვლით, ტაშს უკრავდნენ და მელოდიას იმეორებდნენ. თან გზადაგზა რიტმს და მონახაზს ცვლიდნენ. ისინი ამ სავარჯიშოებს ატარებდნენ, როგორც რიტუალს, რიტუალის გარეშე კი ნამდვილი თეატრი არ არსებობს.

წვიმს. სახურავს გასდის, ცაში შავ-თეთრ ღრუბლებს ომი აქვთ გაჩაღებული. გაუთავებლად ერთმანეთს ეჯახებიან. სადღაც სადგურში რანევსკაია, გაევი, ანია და სხვები ბარგს ელოდებიან. რა მოელით ამ საოცრად სიმპათიურ, მაგრამ არაპრაქტიკულ ადამიანებს?

სადგურში გაევი დას და დისწულს ძალიან ენერგიულად, ხმაურიანად შეხვდება. მერე კი უცებ მოეშვება. ადგილს ვერ პოულობს, დაჯდება... წამოხტება, სწრაფად გაივლის ბაქანს, საბარგო განყოფილებისკენ მიემართება, რომელიც სადგურის ბოლოს, ასანთის ქარხნის ახლოს მდებარეობს. მერე მოსაცდელ დარბაზში შევა. რატომღაც ყურადღებით წაიკითხავს მატარებლის განრიგს, ხანძრისა და მალარიის კოლოს შესახებ პლაკატებს დაათვალიერებს, სადგურის ნახევრადმძინარე უფროსთანაც შეივლის. მერე თავისიანებთან დაბრუნდება, რესტორანსა თუ ბუფეტში წაიყვანს ყველას. გაევი

აღელვებულია – აი, ჩამოვიდა და დაიწყებს უფროსობას. ეჰ, არა უშავს, როგორღაც ყველაფერი მოგვარდება!

შორიდან მეეტლის ზარის წკრიალი მოისმა... სახლში ყველა გამოცოცხლდა, ატყდა სირბილი, ფაციფუცი, ორივე კარი ღიაა და პირველ სართულზე, შემოსასვლელში ატეხილი აურზაური ზევითაც ისმის. კიბეზე ანია ამორბის, მოჰქრის, სველ მოსასხამს იატაკზე დააგდებს. ნამგზავრს თმა აშლია. ამოდის ვარია. ისიც გალუმპულია (ეს ყველაფერი ეტიუდებია).

შემდეგ დანარჩენებიც შემოდიან. მუშები უზარმაზარ სკივრებს, ბაულებს, კალათებს ეზიდებიან. საქმიანად გაივლის გაევი – თითქოს უამრავი საქმე ჰქონდეს და ვერ ასწრებდეს. სინამდვილეში სულაც არ აქვს საქმე.

და აი, როდესაც სცენაზე ხალხი ირევა (მაგრამ ყველა ჩურჩულით ლაპარაკობს, ჯერ ხომ ღამეა!), შემოდის რანევსკაია! შეჩერდა, ეგონა, ყველა გაირინდებოდა, ის ხომ თავის სამშობლოში დაბრუნდა! მაგრამ მის მღელვარებას ვერავინ ამჩნევს. არ შედგა! ყველაფერი ჩაიშალა, რანევსკაია აირევა, თავის თავში ჩაიკეტება და საბავშვო ოთახიდან გადის. ეს ხომ ყოფილი საბავშვო ოთახია.

საბავშვო ოთახი! ეს ყველაზე ინტიმური, ყველაზე თბილი და ძვირფასი ოთახია ქვეყანაზე. აქ ცხოვრობდნენ ბავშვები. აქ ეძინათ, თითოეულს თავისი პატარა საწოლი ედგა. სათამაშოები ჰქონდათ, თამაშობდნენ, კუთხეში მარმარილოს პირსაბანი იდგა. იქვე პირსახოციც ეკიდა. საღამოობით აქ ზღაპრებს გვიყვებოდნენ – იყო და არა იყო რა... აქვე ფორტეპიანოზე გედიკეს ეტიუდებს გვიკრავდნენ და ჩვენ, ყველანი ერთად, ვმღეროდით. აქ ნაძვის ხის სათამაშოებს და სამასკარადო ქუდებს გვიკერავდნენ. ეს ყველაზე ნათელი ოთახი იყო მთელ სახლში. საბავშვო ოთახი – ბედნიერი ბავშვობისა და წარსულის სიმბოლოა! ეს არის ის, რისი გულისთვისაც ჩამოვიდა რანევსკაია, მაგრამ ზღაპრის ნაცვლად მას ჭერჩამოქცეული, მინებჩამტვრეული გამავალი ოთახი დახვდა, სადაც ეს საზიზღარი ტაშტები დაუდგამთ.

გაევი და რანევსკაია და-ძმანი არიან. მათი მამა — გენერალი გაევი, უაღრესად ღვთისმოსავი ადამიანი გახლდათ. საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდა. აწყობდა მეჯლისებს, გენერლები მოდიოდნენ. „ალუბლის ბაღი“ ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც კი შეიტანეს. რანევსკაია – ქმრის გვარია, უყვარდა სტუმრები, დღესასწაულები, მუსიკა, მხიარულება. უდარდელი, დიდბუნებოვანი ადამიანია. ცხოვრება უიღბლოდ წარემართა: დედის სურვილის წინააღმდეგ, ცოლად გაჰყვა არა აზნაურს, არამედ უბრალო გვარის წარმომადგენელს.

ქმარი შამპანურის სმას გადაჰყვა (ლოთი იყო).

რანევსკაია სხვას გაიჩენს.

ამ დროს პატარა გრიშა მდინარეში დაიხრჩობა. საშინელებაა.

რანევსკაია საზღვარგარეთ გარბის.

საყვარელი გაედევნება. მერე ავად ხდება (რით?).

მენტონის მახლობლად ყიდულობს აგარაკს (ფული?).

სამი აუტანელი წელიწადი მენტონის აგარაკზე.

აგარაკს ვალების გასასტუმრებლად ყიდიან.

პარიზს მიემგზავრება. საყვარელს გაურბის, მაგრამ ის კვლავ დაედევნება. მთელ მის ქონებას გაფლანგავს პარიზში.

საყვარელი ღალატობს. რანევსკაია თავს იწამლავს.

სირცხვილი, დამცირება, სასოწარკვეთა, დარდი სამშობლოზე.

ჩამოდის ანია, რანევსკაიას ამცნობს, რომ ვალებში ალუბლის ბაღი უნდა გაყიდონ.

სამშობლოში დაბრუნება, სირცხვილი, სასოწარკვეთა.

სამშობლოში უკანასკნელი ფული გაანიავა. ლოპახინისგან 40 ათასი ისესხა.

სახლი და ბაღი გაყიდეს.

საყვარელი პარიზში დაბრუნებას სთხოვს დაჟინებით.

უკანასკნელი ფულით (რაც კი შერჩათ, ყველაფერს წაიღებს) ბრუნდება პარიზში, სამუდამოდ?

მზის წითელი დისკოდან, აგიზგიზებული ცეცხლოვანი ბრძმედის სიღრმიდან პატარა, გამხდარი, გამლღვალი კაცუნები მოძვრებიან. დისკოს კიდეზე ჩამოსხდებიან და მხიარულად ათამაშებენ ფეხებს. მერე ზღვაში გადაეშვებიან. ტალღებზე მიცურავენ. მზიდან ნაპირისკენ მიმავალი კაშკაშა, ელვარე ზოლი წარმოიქმნება. ზოლი ისე ბრწყინავს, რომ თვალები გეჭუტება. მზე კი სულ დაბლა და დაბლა ეშვება, რომ კაცუნები ერთად შეაგროვოს და შორს, ჰორიზონტს იქით ზღვის მორევში მიაძინოს. მოელვარე ბილიკიც ქრება. არც დღეა, არც ღამე. რაღაც შუალედურია, თითქოს გაჩერდა ყოველივე. მთვარე ღამის ნათურას ანთებს და ყველას მიაძინებს. ბოდვაა და მეტი არაფერი. საღამოა. საღამოობით სევდა მომეძალება ხოლმე. მუდამ ასე ვიყავი, ბავშვობიდან. საღამოობით სევდა მერევა და მარტოობას ვგრძნობ. იმიტომ, რომ ჩემი პატარა, გამხდარი. გამლღვალი კაცუნები სადღაც დასაძინებლად მიდიან.

ყველა მოვლენაში, საერთოდ ყველაფერში, რაც კი ჩემს ირგვლივ ხდება, ამ პატარა კაცუნებს და ვეებერთელა გოლიათებს ვხედავ. როდესაც ცაზე ბევრი ღრუბელია ერთად, ჩემს წარმოსახვაში ერთდროულად პატარა, გამხდარი, ოდნავ წაგრძელებული კაცუნები და უშველებელი, ზორბა, ღრუბლებზე მაღალი, ღრუბლებისგან ქმნილი გოლიათები ჩნდებიან. ისინი მშვენივრად თანაარსებობენ, ან უფრო სწორად, ვერც კი ამჩნევენ ერთიმეორეს, სხვადასხვა განზომილებაში არიან. პატარებისათვის გოლიათები იმდენად დიდები არიან, რომ ისინი ვერ აღიქვამენ მათ, გოლიათები კი პატარებს უბრალოდ ვერ ამჩნევენ. კაცუნებს და გოლიათებს შინაგანი მზერით, შეგრძნებით აღვიქვამ, რა საინტერესოა მათზე დაკვირვება.

ყოფილი საბავშვო ოთახი დერეფანს დაემსგავსა. სიმყუდროვე გაქრა, რანევსკაია ოთახში შევიდა და გაშრა, გაქვავდა. ჯერ კიდევ პარიზში, შემდეგ კი გზაში ეს სცენა წარმოსახვაში მრავალჯერ გაითამაშა. საშინლად ღელავს. საკუთარი თავის შეცნობითაა დაკავებული. შინაგან ხმასაც უსმენს და ამავე დროს გაუცხოებულადაც უყურებს. უცებ ძა-

ლიან შეეცოდება საკუთარი თავი. გრიშას სიკვდილის შემდეგ ამ ოთახში პირველად შემოვიდა.

მახსენდება: ბებიაჩემი თავისი დაღუპული შვილის, მიშას, ყოველ გახსენებაზე ჩუმად, სხვებისაგან მალულად ტიროდა. მის ხსენებაზე დიდრონი ნაცრისფერი თვალები უმალ ცრემლით ევსებოდა. კედელზე მდიდრულ ვერცხლისფერ ჩარჩოში მიშას სურათი ეკიდა – სამხედრო ქუდითა და ხმლით. სულ ეს დარჩა მისგან. 1921 წლის 19 თებერვლის იმ საშინელ დილას წავიდა და ტაბახმელასთან ახლოს მოკლეს კიდეც.

ან მეორე ვარიანტი: რანევსკაია მარტო გამოჩნდა სიბნელეში, ქვითინებს, როდესაც სხვები შემოვლენ, პატარა საბავშვო სკამიდან წამოდგება და თავის თავში წასული, ჩაკეტილი, ოთახს დატოვებს, მისი აღზრდის ადამიანებმა იცოდნენ გრძნობების დამალვა.

ჩამონაჟონი წყლის კვალი შიშველ კედლებზე. ვეებერთელა კაკლის ხის კარადა. კარადაზე ფანჯრიდან ჩამოგლეჯილი გამჭვირვალე მდიდრული ფარდა. ჩარჩოს ერთ კუთხეში ბაბუას სურათთან ერთად გრიშას სურათიცაა. ჭერიდან უშველებელი აბაჟური ეშვება, ავეჯი ძველებურია. დღეს ასეთი ავეჯი აღარ მზადდება. ოთახი დასალაგებელია. მოუწესრიგებელი (ვერ გაიგებ, რა ოთახია). შუა ოთახში რატომღაც პირსაბანის ნიჟარა დგას და არავის აფიქრდება მისი სადმე სხვა ადგილას დადგმა. ამ ოთახსაც ჰქონდა თავისი წარსული. აქ გაისმოდა მუსიკა, ღებულობდნენ სტუმრებს, განსაკუთრებულ ლიქიორს საგანგებო პატარა ჭიქებით მიირთმევდნენ...

მახსენდება ჩემი ცხოვრება ჯავახიშვილის ქუჩაზე. ასე მგონია, ეს ჩემი ახალგაზრდობის უბედნიერესი, უმშვენიერესი ხანა იყო. სინამდვილეში, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ანდა მახსენდება ბებიაჩემის სახლი მცხეთაში, ალუბლის ბაღი, ნუშის ხეები...

ყველაფერი, რაც წარსულშია, მშვენიერია, განუმეორებელი, მხოლოდ ერთხელ არსებული. წარსულმა დიდი ხანია განვლო, ჩვენ კი კვლავ იქა ვართ.

ესაა ისტორიის გამჭოლ ქარში ცხოვრება. აი, როგორც ახლა: ვერაფრით გაგვიგია, რა გველის.

ვარიას ანიასაგან მგზავრობის შედეგების შეტყობა სურს: პარიზიდან ჩამოიტანეს თუ არა პროცენტების გადასახდელი ფული? ამ დროს ანია ჩემოდნის ამოლაგებას იწყებს. ამოიღებს ღამის პერანგს, ფლოსტებს, ნელსაცხებლებს, სუნამოს, ვარიას საჩუქარს. თან ყვება (თავს იმართლებს), დედა ცუდ დღეშია, ფული ვერ ჩამოიტანა, რაც ჰქონდა, ისიც გაფლანგა. ვარიას საყვედურებით ავსებს: რატომ გამიშვი პარიზში, რა საჭირო იყო, არც ფრანგული ვიცი წესიერად, თან, კიდევ ეს შარლოტა! (ასე მელაპარაკება ხოლმე ჩემი შვილი ლიკა, თუმცა იცის, რომ მაინც არ ვუპასუხებ).

ვარიას მარტო დარჩენა მოუნდა. მიხვდა, პროცენტების გადასახდელი ფული არ არის. ცდილობს მღელვარება დამალოს. ოთახიდან გასვლისას კარებთან ანიას კითხვა დაეწევა:

– პროცენტები გადაიხადეთ?

– საიდან!

ყველაფერი გასაგებია. კატასტროფა, პაუზა. ყველაზე მეტად ხომ ამისი ეშინოდათ, და აი, აღსრულდა კიდეც.

შემოდის ლოპახინი. ლოპახინმა ბაღის გადარჩენის გეგმა მოიფიქრა და ამის შესახებ რანევსკაიას ხუთ საათამდე უნდა შეატყობინოს. ვარია მას ოთახიდან აგდებს – უკვე გვიანია, ანიაც ჩაუცმელია.

ანია ოდნავ გაბრაზებული ეკითხება: ერთი ამიხსენი, ცოლად რატომ არ მიჰყვები? ეს საყვედურია. შენ ბევრი სიკეთე გახსოვს ჩვენი ოჯახიდან. შეგეძლო ამ გასაჭირის ჟამს დაგვხმარებოდი!

ვარია აღელდება. ანიას მიუხვდება. თავის გამართლებას ცდილობს. მერე უცებ ჩაეხუტებიან და ებოდიშებიან ერთმანეთს. ატირდებიან, ვარიას შემთხვევით კაბაზე დამაგრებული ქინძისთავი შეერჭობა. წამოიყვირებს. ანია სადღაც გარბის, ღამის პერანგი და ფლოსტები ავიწყდება.

აი, აღელვებული დუნიაშა გამოჩნდება. ვერ გაუგია, რა მოუხერხოს ახალ ყავის საფქვავს, ის ხომ განსაკუთრებულია, პარიზული.

მერე ისევე ანია შემორბის, ფლოსტების წასაღებად. ნახევრად გახდილია. უცებ შეჩერდება! – ყურს უგდებს განთიადს.

ვარია – ერთი, შენი თავი გაგვათხოვებინა ვინმე მდიდარ კაცზე.

ანია – ჩიტები ჭიკჭიკებენ (სამშობლოში, საკუთარ სახლში იგრძნო თავი, დაავლებს ხელს ღამის პერანგს და თავის ოთახისკენ გარბის).

დილით, რანევსკაიას ჩამოსვლის წინ ლოპახინი იხსენებდა: რა გამხდარია ლიუბა! ლოპახინი შეყვარებულია მის სიგამხდრეში. შეყვარებულია ამ სიფრიფანა, დახვეწილ, არაჩვეულებრივ ქალში. ეს ქალი ყოველთვის ხიბლავდა, იზიდავდა, თუმცა ახლოს არასოდეს მიუშვია. მასთან არ შეიძლება იყო უბრალოდ, შინაურულად, თვითონ კი ყველასთან შინაურულადაა.

და აი, ჩამოდის რანევსკაია. ის სულაც არ შეცვლილა, ისეთივეა, როგორიც იყო: პატარა, უმწეო, უსაზღვროდ კეთილი. ღია ფერის თმა და საოცრად ღრმა ცისფერი თვალები აქვს. ოდნავ მგრძნობიარე ტუჩები. თმის ვარცხნილობას ხშირად იცვლიდა და ყველანაირი ვარცხნილობა უხდებოდა. ლამაზი, კოხტა, მიუხედავად ასაკისა, მაინც ახალგაზრდა ლიუბა... უბრალო კაბაც კი საოცრად შვენის. ყოველთვის კარგი ფეხსაცმელი ეცვა. უყვარდა სიმღერა და თვითონაც კარგად მღეროდა. როიალზე შოპენის მაზურკებს უკრავდა. ხშირად იდუმალი ღიმილი დაჰკრავდა სახეზე, მაგრამ თვალები ცრემლით აევსებოდა ხოლმე. ყველგან, სადაც უნდა გამოჩენილიყო, მუდამ ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ამას მშვენივრად გრძნობდა და სიამოვნებდა, რომ ყველას მოსწონდა. ხშირად ჭირვეულობდა, ზოგჯერ გაბრაზებაც იცოდა. ირონიით პათეტიკაში გადადიოდა, პათეტიკიდან – ღრმა სევდაში: „ჩემი გრიშა, ჩემი... ბიჭი, იქ ანიას სძინავს. მე კი...

ასე ვხმაურობ". ლოპახინისგან უზარმაზარი თანხა ისესხა და მთელი აზარტით კარტს (ფრაპს) თამაშობს, ძალიან განიცდის ამ ამბავს. ისე განიცდის, რომ ირგვლივ ყველაფერი ავიწყდება.

ლოპახინის საქმიანი წინადადება – მოქმედების ეპიცენტრია. ლოპახინმა რანევსკაიას და ანიას ჩამოსვლისთანავე, ფაეტონთან რომ მიეგება მათ, გაევს უთხრა, რომ ის დილის ხუთ საათზე მიემგზავრება და ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოელაპარაკოს საქმეზე. რაღაც მოვიფიქრე – უთხრა ლოპახინმა – გაევმა ვერაფერი გაიგო. მაგრამ უპასუხა: „ე-ეეს გენიალურია!!!" ახალი ამბის შესატყობინებლად დასთან გაიქცა – გამოსავალი ნაპოვნია. ლოპახინი, ალბათ, პროცენტებს გადაიხდის და ეს ვარიასათვის საქორწინო საჩუქარი იქნება.

მოლაპარაკებაზე ყველა თანახმაა, აი, სამგზავრო ტანსაცმელს გამოიცვლიან, მოწესრიგდებიან და ამ დიდ, ძველებურ, ფირსივით დაშლილ სახლში გადაწყვეტენ იმ დიდ პრობლემას, ასე რომ აწუხებს ყოველ მათგანს. კარგ დღეში რომ ყოფილიყო სახლი, ლოპახინი ხომ არ დაანგრევდა მას? აქ უამრავი ოთახია, კიბეები, აივნები, ვერანდები, შენობის გარემონტებას, ალბათ, დიდძალი თანხა დასჭირდება და უფრო ძვირიც დაჯდება. მოაგარაკენი, როგორც წესი, ასეთ სახლებს არ ქირაობენ. ჩვეულებრივ, მათ ანგრევენ და იმ მასალით ახალ აგარაკებს აშენებენ.

შეიკრიბნენ. მთავარ თემაზე საუბრის დაწყებას თავის არიდებენ. რანევსკაია პარიზიდან ჩამოტანილ საჩუქრებს არიგებს. გავიხსენოთ, როგორ ხდება საჩუქრების დარიგება: თითოეულს საგანგებოდ გადასცემენ საჩუქარს და ისინიც განსხვავებულად მიიღებენ მას. ეს – ვარიას, ეს – ფირსს, თოჯინა – დუნიაშას. რანევსკაიას დუნიაშას წლოვანება უკვე დაავიწყდა.

და აი, უცებ რანევსკაიამ ძველი კარადა შენიშნა: ბავშვობის ამ კვალმა შეძრა... ბავშვობისდროინდელი რამდენიმე ძველი ნივთი შემომრჩა. ისინი განსაკუთრებით ძვირფასია

ჩემთვის. მხოლოდ ჩემთვის. როცა სევდა შემომაწვება ხოლმე, ვიღებ ამ ნივთებს, ვწმენდ და ვაკვირდები. წარმოსახვით ვცდილობ, ჩავწვდე. მივუახლოვდე და გავიხსენო წარსული... მათი მეშვეობით მოგონებებში გადავეშვები ხოლმე. კარადა! კაკლის ხის ვეებერთელა, ზორბა, ტლანქი კარადა! ჩემთვის ეს გასული ცხოვრების სიმბოლოა. ხშირად, როცა მარტო დარჩენა მინდოდა, დავიმალებოდი კარადის უკან კუთხეში და ვარკვევდი, რატომ იყო ჩვენი ბინის ეს კუთხე სხვა კუთხეებზე მეტად წანვეტებული. კარადის თავზე ძველი, რევოლუციამდელი საბავშვო ჟურნალები ეწყო. რამდენჯერ დავმალულვარ ამ კარადაში, როგორ მიყვარდა იქ ჯდომა. ეს კარადა ჩემი წარსულის სიმბოლოა. ჩვენი კარადა იმხელა იყო, რომ შიგ ბინაში ააწყვეს – კარში ვერ შემოეტია. ასეთი კარადის წინ მონოლოგის თქმაც კი შეიძლება.

ლოპახინმა სიურპრიზი მოამზადა: ალუბლის ბაღი ნაკვეთებად გდავანაწილოთო. ეს დღეს იგივეა, რომ ჩემთვის ეთქვათ: მოდით, თქვენი ბინა სამ თითო ოთახად დავყოთო. გექნებათ საერთო სამზარეულო და ტუალეტი. სამაგიეროდ, ამ ოთახებს თვეში 100 მანეთად (დღეს არ ვიცი, რამდენი ეღირებოდა) სტუდენტებს მიაქირავებთ და მოგებაც გექნებათო! ლოპახინს არავინ უსმენს. იქნებ გაუგებრად ლაპარაკობს: იქნებ სხვანაირად უნდა აეხსნა? არადა, როგორ უხაროდა, ეგონა, ბაღის გადარჩენის ასეთი კარგი გეგმა გაახარებდა მათ.

რა სისულელეა! ალუბლის ბაღი ხომ საგვარეული მამულია!

ლოპახინს ვერა და ვერ გაურღვევია მათი მოჩვენებითი უყურადღებობა. ყველა აღელდა, სახეზე წამოწითლდნენ. მერე ფერი დაკარგეს. მოლაპარაკება არ შედგა. ბაღის ნაკვეთებად დაყოფა? რა სისულელეა! გაევისა და რანევსკაიასათვის ეს სრულიად წარმოუდგენელია. ლიუბა არც კი დაინტერესებულა წვრილმანებით, მკვახედ უარყო ლოპახინის მოსაზრებები. ლოპახინს აღარ უსმენდნენ, რადგან ამ უცნაური ადამიანებისთვის თავისთავად ცნება „ბაღის გაყიდვა", მისი

ნაკვეთებად დაყოფა და გაქირავება – უხამსობაა! უზნეობაა! განა შეიძლება სული, გული ნაწილებად დაყო?

გაევი წამიწითლდა (შეურაცხყოფისაგან წნევამ აუწია) და ამ ხეპრე ლოპახინს ახსნა დაუწყო, რომ ბაღი ეროვნული და საგვარეულო საიმაყეა, რომ მათ ასწლიანი ფესვები აქვთ, გენებს ძველებური ვენზელები უმშვენებს, რომ მათმა წინაპრებმა რომი იხსნეს ოდესღაც, ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ასე მოექცე ბაღს? აი, სწორედ ამ სიტუაციაში იბადება გაევის მონოლოგი კარადაზე – ეს ქარის წისქვილებთან ბრძოლაა. ლოპახინი დაბნეული უსმენს ამ ბებერ, არაფრის-მაქნის ბავშვ-მემამულეს და აღარ იცის, რა უპასუხოს. მას ხომ მთელი არსებით სურს დახმარება. ისინი კი ხელს უშლიან. არ ესმით, რომ ეს ფანტაზიები წარსულზე პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. აქ ხომ ყველაფერის შეცვლაა საჭირო, სახლი მთლიანად უნდა გადაკეთდეს. მათსა და ლოპახინს შორის გაუგებრობის კედელი აღიმართა. ლოპახინი ხვდება, რომ ყრუ ადამიანს ესაუბრება და თანდათან მეორე პლანზე გადადის: მოკლედ, მოიფიქრეთ, ერთ-ორ კვირაში ჩამოვალო!

გაევი გაბრაზებულია დაზე – ლიუბას ბრალია, თავისი დაუფიქრებლობით ყველაფერი გააფუჭა. ჩემთვის მაინც ეკითხა რჩევა. ჯერ პროექტი უნდა განხილულიყო. იქნებ ლოპახინი ამ საქმეში ფულს აბანდებდა? ლიუბას რა ენაღვლება, რა, მოკურცხლავს ისევ თავის პარიზში... ჩვენ ვიკითხოთ, რა გვეშველება. ჯანდაბას მაგის თავი! ისე ლოპახინიც კარგი ვინმეა, თავხედი! ამ სისულელის შემოთავაზება როგორ გაბედა!

რანევსკაია თავს იმართლებს, ცდილობს, ახსნას უარის თქმის მიზეზი. მთელ ჯავრს პეტიაზე იყრის, რომელიც ასე უდროო დროს მოვიდა. გაევი ბრაზობს, თუმცა თავის შეკავებას ცდილობს. იცდის, ლიუბას გასვლას ელოდება.

ოთახში ვარია და ანია რჩებიან. დის საქციელით აღშფოთებული გაევი გულს გადაუშლის ვარიას (ლიუბას რა ენაღვლება. ჩაჯდება მატარებელში და მოკურცხლავს პარიზში, ამათ რა ეშველებათ, ამ უბედურებასა და გასაჭირში რომ უნ-

და იცხოვრონ!). გაევი გრძნობს, გადარჩენის ბოლო შესაძლებლობაც აღარ არსებობს. ბრაზობს, დაუსწრებლად ლანძღავს დას. უზნეობას და, ვინ იცის, კიდევ რას აღარ დასწამებს. რა არის ეს? სიძულვილი? ნუთუ მართლა ასე ფიქრობს გაევი? ჩემს ნათესავებს ერთმანეთი ძალიან უყვართ, მაგრამ სულ აკრიტიკებენ ერთმანეთს: იმან ასე უთხრა, ამან ასე უპასუხა, ის ასეთია და ისეთი! მაგრამ საკმარისია ვინმე გარეშემ რომელიმე მათგანი აუგად მოიხსენიოს, რომ ყველა ერთად თავს დაესხმის, სიტყვასაც არ შეარჩენენ. გაევიც ასეა. მას ძალიან უყვარს თავისი და, ანია, ვარია, მაგრამ აკრიტიკებს მათ. ჩემი ძვირფასი, საყვარელი ნათესავები საოცრად ჰგვანან გაევის ამ კომპანიას. ისინიც, ალუბლის ბაღის მფლობელთა მსგავსად, არაპრაქტიკულნი და გულუბრყვილონი არიან. მეოცე საუკუნის ბოლოს მეცხრამეტე საუკუნის წესებითა და ნორმებით ცხოვრობენ. ღმერთმანი, ეს მშვენიერია.

ანია – ბიძია, არ გინდა, გაჩუმდი.

გაევს შერცხვება. ხელს შემოხვევს დისწულს და გადარჩენის სრულიად წარმოუდგენელი გეგმის შეთხზვას იწყებს. ამ ოცნებით ანიასაც ამშვიდებს და თვითონაც ცხრება. ბოლოს, შთაგონებას აყოლილი, საკუთარ მონაგონს დაიჯერებს და სხვის დარწმუნებასაც ცდილობს. რა კარგია, როცა სასოწარკვეთილს იმედს ჩაგინერგავენ და გეტყვიან – ყველაფერი მოგვარდება. ყველაფერი კარგად იქნებაო.

რა ხდება მერე? ყველა ამთქნარებს, ყველას საშინლად ეძინება. ამთქნარებენ გაუთავებლად. ყველაზე პათეტიკურ მომენტშიც, ამთქნარებენ მაშინაც კი, როცა გაევი არწმუნებს ანიას, რომ ყველაფერი მშვენივრად მოგვარდება.

აი, პირველი მოქმედების ძირითადი კვანძი. წარმოიქმნა ორი ძალა: ლოპახინის საქმიანი წინადადება და გაევის არაპრაქტიკული გამონაგონი (ბებია გვასესხებს).

ვიწყებ შეთხზვას. ვცდილობ, შევიგრძნო კარ-მიდამოს ცხოვრებისეული ატმოსფერო, ამოვიცნო მოქმედ გმირთა სურვილები. საკუთარი ცხოვრებიდან მსგავს სიტუაციებს,

წარსულში მომხდარ ამბებს ვიხსენებ. ეს ჩემთვის ყველაზე ბედნიერი წუთებია. ვთხზავ რანევსკაიას და გაევის ბავშვობას, ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ ცხოვრობდნენ, რას თამაშობდნენ, სად დარბოდნენ. მართლაც ასეთი არაჩვეულებრივი იყო მაშინ ყველაფერი, როგორც ახლა, უკვე ასაკში შესულთ წარმოუდგენიათ? რანევსკაიამ ძლივს იცნო დუნიაშკა, პეტია, ფირსი (რომელიც ისეა დაფეხვილი, ძლივს დგას ფეხზე), ეს ლოპახინი კიდევ ისეა გამოწკეპილი, რომ...

და საერთოდ, შეიძლება კი ანტონ ჩეხოვის ამ საუკეთესო პიესის გაანალიზება, მოვლენებად დაშლა, ანყობა და ა.შ.? პიესა მოვლენების მიხედვით დავყავი და შემდეგ პასიანსივით დავალაგე. მოვლენათა რიგი შევადგინე. თითქოს ყველაფერი თავთავის ადგილას დალაგდა. მაგრამ ეპიზოდები გადავიკითხე და ვიგრძენი, რომ ყველაზე მთავარი ხელიდან მისხლტებოდა. განა შეიძლება, დეგას გენიალური ბალერინები – ლაქების, ფერების, ფიქრების, განცდების მთელი ეს სამყარო რაიმე სქემაში მოაქციო?! განა შეიძლება შოპენის მაზურკების სქემა ააგო? რა დარჩება მათგან? მე რას ვაკეთებ? ვკითხულობ რეპლიკებს და ჩემს წარმოსახვაში ჩნდება რაღაც განუმეორებელი, ნაცნობი და, ამავე დროს, უცნობიც: თანდათანობით იკვეთება ცხოვრება, ადამიანთა ბედი, აწმყო თუ წარსული, თან შენიც, თანაც არა-შენი. აი, დაიბადა სუნთქვა, ხმები, მოძრაობები, ფაჩუნი, ყოფის შეგრძნება. ჰაერი, ესაა ფიქრი წარმავალ და მომავალ თაობებზე, ოცნებებზე, ცხოვრების დასაწყისსა და დასასრულზე, ჩვენზე, რაღა იქნება მერე?

რით უშველონ „ალუბლის ბაღს“? ჩამოვიდნენ, შეიკრიბნენ ბაღის ბედის გადასაწყვეტად და ვერ შეძლეს. თითქოს სახლში, სადღაც სხვა ოთახში, მძიმე ავადმყოფი წევს, დანარჩენები კი აქეთ, ცალკე ოთახში შეკრებილან. ყველამ იცის, ავადმყოფის დღეები დათვლილია, მაგრამ ვერ გადაუწყვეტიათ, როგორ უნდა მოიქცნენ მერე, როდესაც ის აღარ იქნება, რა მოუხერხონ ბაღს?

დილაა. წვიმამ გადაიღო. ბუჩქებში, აქა-იქ გაბმულ ობობას ქსელში ალმასებივით ბრწყინავენ წვიმის გაყინული,

დიდრონი წვეთები. სიჩუმეა. პეტიას რომანის დილაა. „წამოდი, წამოდი, ძვირფასო...“ ვარია გაიყვანს ანიას. შორს, ბაღის სიღრმიდან პიკოლოს ჩუმი ხმა ისმის. პირველი მოქმედების დასასრული.

მეორე მოქმედება

ეს პიესა იმდენად იდუმალია, რომ ლიონ ფეიხტვანგერმა მას „ჯოკონდას ღიმილი“ უწოდა. ალბათ, აღარასოდეს დავდგამ „ალუბლის ბაღს“, მაგრამ ზოგჯერ გადავხედავ ხოლმე, რაღაც გამახსენდება, ვიფიქრებ დღევანდელობაზე, წარსულზე... როგორია აქ ჩეხოვი, სევდიანი თუ ირონიული, შემოდგომისაა თუ გაზაფხულის?

ბორცვზე აქა-იქ უზარმაზარი, ხავსმოკიდებული ლოდები ყრია, სხვადასხვა ფერის ხავსია მოდებული: მწვანე, ყვითელი, ნაცრისფერი. ირგვლივ უამრავი მინდვრის ყვავილია. აქედან კარგად ჩანს სოფლისაკენ ზოზინით მიმავალი ნახირი. ძროხები თვითონ აგნებენ თავთავიანთ ეზოებს. გარშემო საოცარი სიჩუმეა, ჩვენც აქვე, გორაკზე ვსხედვართ და მზის ჩასვლას ვუყურებთ.

რენუარი თავის პარიზს ხატავს. იგი ფერთა ლაქებით, ფერთმუსიკითაა გატაცებული, მაგრამ მისთვის მთავარია პარიზი, მისი სული, მისი ცხოვრება. ჩემი ფანჯრების წინ პაწაწინა ბაღია. ბაღში იები ყვავის. ყოველთვის მიყვარდა იები. მუდამ ვაკვირდები მათ. მთავარია, არ აჩქარდე. შეეცადე ყური მიუგდო, დაინახო, შეიგრძნო მათში სიცოცხლე, ისინი ჩვენსავით არიან. იები ალიონზე, ადრიანად იღვიძებენ, იზმორებიან, გაიხედ-გამოიხედავენ, მეზობლებს ეძებენ, მიესალმებიან, მერე თავებით ზევით-ზევით მიიწევენ და მზის სხივებს ეგებებიან. თორმეტი საათისათვის კი, ფოთლების ჩრდილში მიმალულნი, ყველანი ერთად სადღაც უჩინარდებიან. თუ ამ დროს უცებ შხაპუნა წვიმა დაუშვებს და თან მზეც გამოანათებს, აი, როცა მზე პირს იბანს, მაშინ ჩემი იებისათვის ნამდვილი დღესასწაული დგება. თუკი კარგად მი-

უგდებ ყურს, შეიძლება გაიგონო, როგორ ჭორაობენ იები მხოლოდ მათთვის გასაგებ პრობლემებზე. როგორ მსჯელობენ, განა არ შეიძლება ყოველივე ამის ეტიუდში გათამაშება? ნამდვილი თეატრი ხომ ეტიუდიდან იწყება და არა სიტყვიდან.

ამ დილით პარკში კავალერი-ძაღლი თავის „სატრფოს" ეარშიყებოდა. მათ ერთმანეთი უყვარდათ! უცებ საიდანღაც ხეპრე ძაღლი გამოჩნდა. კავალერს შეუღრინა, ეცა, კინაღამ კბილებით გაგლიჯა. ის საწყალი ტკივილისაგან წკმუტუნებდა, ყმუოდა, მერე ზურგზე დაწვა, მაგრამ ხეპრე ცხოველი არ მოეშვა. კბილებით ხახაში სწვდა – ჩემია, აქ ყველაფერი ჩემია. ყველგან ყველაფერი ჩემია. მისთვის ჯენტლმენობა, რაინდობა გაუგებარია. ბოლოს, როგორც იქნა, მოეშვა, გაბრაზებული გაეცალა მას. დამარცხებული კავალერი კუდამოძუებული განზე გადგა, „თავხედურ ძალას" დაემორჩილა. ამ დროს კი სატრფო გაუნძრევლად იწვა – თითქოს მას ეს ყველაფერი არც ეხებოდა.

მოვდიოდი და ვფიქრობდი – ჩვენც, ადამიანები, ხშირად ხომ ასე მხეცურად, თავხედურად ვიქცევით. შეიძლება ვიღაცას ყელი არ გამოვღადროთ, მაგრამ ქცევით კი დაახლოებით ამგვარადვე ვიქცევით. თავხედთა წესია თავხედობა, მძულს!

ბალახზე უზარმაზარი ბოშური შალია გაშლილი. მასზე მსახურები წამოგორებულან, ფეხსაცმელები გაუხდიათ და შიშველი ფეხის თითებს ათამაშებენ. დუნიაშკა აღფრთოვანებულია ანიას გარეგნობით. ანია ნაზი მეოცნებე ქალიშვილია, დუნიაშას კი ფეხის ზომა 42 აქვს. იაშას ყვითელი ფერის კუბოკრული ჟილეტი აცვია, სიგარას ეწევა, ამ საშინელ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეუძლია, აქაურობა არ შეეფერება, საკუთარი დედისაც კი რცხვენია. განსხვავებული კულტურა. სხვანაირი, ფრანგული სიყვარული მოუნდა იაშკას. ანდა ეპიხოდოვი, ეს ფარშევანგისფრთიანი ყვავი (მართალია წიგნებს კითხულობს, მაგრამ მათი არაფერი გაეგება), არაფრის მაქნისია, თავი კი არისტოკრატად მოაქვს. ღმერთო, შეუნდე!

ამ არისტოკრატიის შემხედვარეს შიში გეუფლება კაცს. ღვთის მადლით, მეოთხე მოქმედებაში ლოპახინი კარმიდამოს შეისყიდის, მისი პატრონი გახდება, ეპიხოდოვს დახრავს და ისიც კუდამოძუებული მუშაობას შეუდგება.

ეპიხოდოვს პისტოლეტი უჭირავს. ქალაქში შეიძინა. როდესაც ყიდულობდა. დიდხანს იჯდა და ირჩევდა – უნდოდა, მაღაზიაში ყველას დაენახა, რასაც აკეთებდა. როდესაც ადამიანი იარაღს ყიდულობს, ის არ ხუმრობს. ამ თემის გარშემოც შეიძლება ეტიუდის გათამაშება. მოვიდა, თავის სქელი ერთი ნაწილით დააჯდა საფლავის ქვას. მართალია წარწერა ქვაზე წაშლილია, მაგრამ ის ხომ ადამიანთა მეხსიერებას ინახავს. დაჯდა და წამოწოლილ წყვილს თავხედური დელიკატურობით უყურებს. საზიზღრად მღერის რომანსს. იქნებ მართლაც უყვარს დუნიაშა ან უბრალოდ შეყვარებულის როლი მოსწონს. საშიში მამაკაცია. საკუთარ თავსა და ტემპერამენტზე პასუხს არ აგებს. თუმცა ეპიხოდოვს ტემპერამენტი არსებითად არცა აქვს. მეტისმეტად ეძალება ნაირ-ნაირ განცდას. როდესაც აღგზნებულია, მდინარესთან მიდის და გაუხდელად ხტება წყალში. აი, ახლაც ისე იქცევა, თითქოს თვითმკვლელობას აპირებს. ანდა სხვისი (ალბათ, იაშკას) მოკვლა სურს, ან იქნებ დუნიაშკასი, რომელიც სიყვარულისაგან გვრიტივით დაიბერა. გამოუცდელი დუნიაშკა მეტისმეტად ეტმასნება იაშკას. ეს სულელი სოფლის გოგო ცდილობს იაშკასთან სიახლოვე მთელს ქვეყანას მოსდოს. იაშკა ეუბნება: მოითმინეთ, მომწყდით თავიდან. ახლა ბატონები მოვლენ! არა, არა, სულ სხვაა პარიზელი გოგოები, ისინი უმალვე ხვდებიან ყველაფერს.

ვინ არიან ეს ადამიანები, ადრე სამზარეულოს იქით ფეხს რომ არ ადგმევინებდნენ და დღეს რომ (ახლა ხომ დემოკრატია გვაქვს) ბატონების ოთახში დაბრძანდებიან. მსჯელობენ, ხალხს ტელევიზიით მორალს უკითხავენ, ყველას ჭკუას არიგებენ.

დიდრონი ვარდებით მოჩითული ბოშური შალი. შორს, ჰორიზონტზე საკვამლე მილი მოჩანს. იქნებ სატელეგრაფო მავთულები ზუზუნებენ. გავიხსენოთ, როგორ ზუზუნებენ

მავთულები. იქნებ ახლა მათი მეშვეობით პარიზიდან რანევსკაიას სახელზე ტელეგრამას გადმოსცემენ: „ჩამოდი, უშენოდ აღარ შემიძლია“, ან იქნებ ანიას ბებიის ტელეგრამა მოდის: „მიიღეთ ფული!“

ყველა თავის საქმითაა დაკავებული. შარლოტა ჯიბიდან კიტრს ამოიღებს და ხრაშუნით ჩაკბეჩს. ალბათ, ეს-ესაა ბოსტანში მოწყვიტა. შარლოტა, ვინ არის ის? უთვისტომო, ყველასაგან მიტოვებული შარლოტა. წევს დახუჭული თვალებით და საუბრობს. მერე ოდნავ გაახელს თვალებს და შუა ცაზე მიმავალ ღრუბლებს გახედავს. ელოდება. სამეულზე ირონიულად ლაპარაკობს. ჯამბაზს ჰგავს. აიღებს თოფს. რისთვის, სანადიროდ? იქვე, ტყეში, ბილიკების გადასაყართან, მინდორში გავა. მზე ჩავიდა. ირგვლივ მაყვლის ბუჩქებია, ზოგ მათგანზე ნაყოფი დამწიფდა კიდეც. ბინდდება. უკვე კანტი-კუნტად გაისმის ჩიტების ჟღურტული. შარლოტას მომავალი ცხოვრება დამოკიდებულია დეპეშაზე, რომლის მოსატანადაც ახლა წავიდნენ ბატონები – გამოაგზავნის თუ არა ბებია ფულს. გადაიხდის თუ არა პროცენტებს?

როგორც იქნა, ხმები გაისმა. იაშკა წამოხტა, ხელი ჰკრა დუნიაშკას, ჩქარა გასწი აქედან, მდინარისკენ წადი!

აი, ანიაც გამოჩნდა მეზღვაურის კოსტიუმში გამოწყობილი. ბავშვობაში ჩვენც ვატარებდით ასეთ კოსტიუმებს. წვრილი ხელჯოხები, მარაოები, ჯოხები, მინდვრის ყვავილები, თაიგულები. რანევსკაია აღგზნებულია. ქალაქიდან ოდნავ ნასვამი დაბრუნდა. სადგურში დეპეშისათვის წავიდნენ, გზად კი რესტორანში გაუხვიეს. „რა საჭიროა ამდენი ჭამა, რა საჭიროა ამდენი სმა, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი“ – ამბობს რანევსკაია. ახსენდება პარიზი, თავისი სატრფო. მსუბუქად წაიცეკვებს, იხსენებს, ოდნავ ალამაზებს მონაყოლს.

მოვიდნენ, დასხდნენ, დაიწყეს ბაასი, მაგრამ მთავარზე საუბარს ყველა გაურბის. გაჩუმდნენ, რაიმე მნიშვნელოვანის გადასაწყვეტად უძლურნი არიან, რადგანაც ავადმყოფს ვენაში ყველანაირი წამალი უკვე გაუკეთეს და მაინც არაფერი ეშველა. ექსტრასენსებიც იყვნენ. ექიმბაშებიც, ვინ აღარ

იყო. ყველა რაღაცას ელოდება, იქნებ ჩეხოვის გამწყდარი სიმის ხმას?

ცხოვრების სამი წესი (სისტემა)

გაევი და რანევსკაია – ჩვენმა წინაპრებმა რომი გადაარჩინეს.

ცხოვრება წარსულით.

პეტია – ოცნება და მოწოდება უკეთესი ცხოვრებისაკენ, რაიმე ქმედების გარეშე.

ლოპახინი – საქმის კეთება.

ლოპახინი! საგანგებოდ ჩამოვიდა. უამრავი საქმე ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი მიატოვა და „ალუბლის ბაღის" გადასარჩენად ჩამოვიდა. მშვენიერი გამოსავალი იპოვა, ყველაფერს თვითონ მოაგვარებს. ლოპახინი გადაარჩენს მათ, გადაარჩენს რანევსკაიას – ყველაზე არაჩვეულებრივ ქალს მთელს ქვეყანაზეა!

ან იქნებ დაყრუვდნენ და აღარაფერი ესმით! ლოპახინი უხსნის და უხსნის, იქნებ როგორმე შეუშვას მათ არაპრაქტიკულ თავებში, რომ მომაკვდავის გადასარჩენად აუცილებელია მოქმედება. ნუთუ არ ესმით, რომ ეს გაპარტახებული ბაღი აღარ ვარგა? ან იქნებ ამ სახელწოდების მიღმა სხვა რამეს გულისხმობენ? ლოპახინისთვის ბაღი შეშა, გასაყიდი მასალაა, სახლი კი – ერთი ძველი, დანგრეული შენობა, რომელიც უნდა დაინგრეს და მის ადგილზე ახალი აშენდეს. იქნებ მათთვის „ალუბლის ბაღი" ნიშნავს სულს, ხსოვნას, წარსულს, ფასეულობას?!

ლოპახინი გიჟდება, იტანჯება, ცდილობს დაარწმუნოს, მაგრამ უშედეგოდ, ისინი სულ სხვა რამეზე საუბრობენ, ლაპარაკობენ... გაუთავებლად „ვინაიდან გულის სისავსისაგან მეტყველებს ბაგე" (მათე, XII, 34), მჭერმეტყველებას ამოფარებულნი იმალებიან, ლოპახინს დამალვა არ სჭირდება, მან ყველა კონკურენტს უნდა გამოგლიჯოს „ალუბლის ბაღი", უნდა იბრძოლოს, გადაარჩინოს წარსული: მისი მამა-პაპა

ყმები იყვნენ, მას კი ბაღის ყიდვა შეუძლია, ბაღის მეპატრონე გახდება! მაგრამ... აი, ამ მოუხერხებელ ადამიანებს აქვთ რაღაც ისეთი, რასაც ვერაფრით იყიდი და რისი ყიდვაც, მიუხედავად დიდძალი ფულისა, ლოპახინს არ ძალუძს! საქმეც ესაა!

მზე ჩაესვენა.

როგორ უნდა იცხოვრო? იცხოვრო წარსულით, აწმყოთი, იოცნებო თუ ბევრი იმუშაო? თუ მხოლოდ უკეთესი მომავლისაკენ უნდა მოუწოდო და არაფერი აკეთო. როგორ უნდა იცხოვრო მომავალში?

ძველი ურთიერთობები გაქრა (ბატონი, მეპატრონე, მსახური, მეცნიერი, მზარეული, გლეხი) და გაჩნდა ახალი: ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია, ძლიერია ის, ვისაც ფული აქვს, ვისაც საქმის კეთება შეუძლია. ყველა პრობლემას, ყველა ურთიერთობას ფული წყვეტს. სულიერება გაქრა. კიკეთის დარაჯის ცოლი მთავრობის სახლში მებუფეტედ მუშაობს. დარაჯს მიაჩნია, რომ კიკეთი მისი საკუთრებაა. თავხედია, მაგრამ აი, ისეთმა ადამიანებმა, როგორიც ლოპახინია, ვაჭრებმა, საქმოსნებმა რანევსკაიების წყალობით ინტელიგენტობა, დიდი კულტურა შეითვისეს და შემდგომ მსახურად დაუდგნენ ამ კულტურას. ფაქტობრივ, რუსეთში ყველა დიდი საქმისა თუ წამოწყების სულისჩამდგმელები მდიდარი ვაჭრები იყვნენ. ისინი თეატრებს აშენებდნენ. მუზეუმებს ხსნიდნენ. არსებობს საინტერესო ფოტოსურათი: ვაჭარი მოროზოვი სამხატვრო თეატრის მშენებარე ნაგებობასთან დგას და ხელოსანს აგურს აწვდის. თეატრი ორ წელიწადში ააშენეს. ეს ადამიანები თვითონ მუშაობდნენ, კულტურას ემსახურებოდნენ. ისინი თავიანთი ბუნებით მოღვაწეები იყვნენ, შეეძლოთ ფულის კეთება, ცოდნას ინტელიგენციისაგან, გაღატაკებული თავადაზნაურობისაგან ღებულობდნენ.

ლოპახინი რანევსკაიას აღმერთებს, იქნებ შეყვარებულიცაა. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში იყო ერთი მანდილოსანი, სულ მის გვერდით მინდოდა ყოფნა. ჩემზე ბევრად უფროსი იყო. მისგან ვიღებდი იმას, რისი არც ყიდვა შეიძლება და არც

გამეორება. ყველაფერს განსაკუთრებულად აკეთებდა: მისი სამოსი თუ სიარული, სიცილი თუ ჭამა, კითხვა თუ ჰამაკში დასვენება განსაკუთრებული იყო, რანევსკაია გამოუცნობია. იდუმალი. იგი მაგნიტივით გიზიდავს, ის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

„სახლი, რომელშიც ვცხოვრობთ, დიდიხანია აღარ არის ჩვენი სახლი" – ამბობს ანია, თითოეულმა მათგანმა (ალბათ, შარლოტას გარდა) დაახლოებით მაინც მონიშნა თავისი მომავალი ცხოვრება. მონიშნა შეგრძნებით, მიახლოებით, მაგრამ ესეც ფანტაზიაა, არარეალური პროექტები. გაევი ბანკის შესახებ მიედმოედება რაღაცას, მაგრამ ვინ მიიღებს ბანკში? საჭიროა მუშაობა, გაევმა კი მუშაობა არ იცის. გაევს შეუძლია მაღალფარდოვნად ისაუბროს მორალზე, მოვალეობაზე, გენებზე... სოკრატეს ზუგდიდელმა შვილმა გარიგება შემოგვთავაზა (მე ვყიდი, თქვენ ყიდულობთ, მომეცით ფული – ბინა თქვენია). ჩვენ აღვშფოთდით (ტროფიმოვი, ანია). წესიერებისაკენ მოვუწოდებთ, იდეალებზე ვესაუბრებით... სულიერებას ვქადაგებთ... სოკრატეს შვილი კი სულიერების მიმართ ყრუა, ჩვენი არ ესმის, მომავალში თუ რაიმე შეიცვლება, ამის იმედი აღარა გვაქვს. პეტიას კი ჯერაც სწამდა.

ან რა უნდა ეშველოს ამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაბალზამებულ ფირსს? როგორ უნდა იცხოვროს დღეს? წარსულის იდეალებით, ფულით, რევოლუციით, თავისუფლებით (რა არის ეს თავისუფლება, თავისუფლება რისგან?) თუ კიდევ რაღაც სხვით. პეტია და ლოპახინი კამათობენ. გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, ვერაფერზე შეთანხმდნენ, იმიტომ, რომ ერთმანეთის არ ესმით. მათ განსხვავებული ზნეობრივი კოდექსები, ქცევის განსხვავებული ეთიკური ნორმები და ცხოვრების წეს-ჩვეულებები აქვთ. ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. აი, როგორც ოდესღაც ბაბილონში: ადამიანთა ამპარტავნებამ ღმერთი განარისხა და მან ისე არია ერთმანეთში ენები, რომ ადამიანები ერთმანეთს ველარ ელაპარაკებოდნენ. ამას კოშკის მშენებელთა შორის ისეთი არეულობა მოჰყვა, რომ მათ განზრახვაზე უარი თქვეს და ქვეყ-

ნის სხვადასხვა მხარეს გაიშალნენ. გაევს „ალუბლის ბაღის“ გადარჩენა სურს, მაგრამ როგორ? არ იცის. ერთ დროს იცოდა, მაგრამ გადაავიწყდა. რანევსკაიასაც არ შეუძლია. იგი ცდილობს თავისი ოჯახის უბედურების მიზეზი გაარკვიოს: ეს ჩვენი ცოდვებია! ის, რასაც ლოპახინი სთავაზობს, მისთვის უზნეობაა. საჩვენო საქმე არ არის.

და უცებ, თითქოს ქვესკნელიდან, აჩრდილ-გამვლელი აღმოცენდება! არყისთვის ფულს მათხოვრობს. მაწანწალაა, თავხედური გამომეტყველებით, თუმც ინტელიგენტად მოაქვს თავი. ეს ადამიანთა განსაკუთრებული ტიპია. მათთვის ყველაფერი ნებადართულია, უფრო სწორად, თვითონ აძლევენ თავს ყველაფრის უფლებას. სირცხვილის გრძნობა არ გააჩნიათ. მათი თავხედობისაგან გარშემომყოფნი წითლდებიან, თვითონ ისინი კი – არა. სხვანაირად ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენიათ. ზოგჯერ მათში ნიჭიერებიც და ასე თუ ისე განათლებულებიც გამოერევიან. რაც კიდევ უფრო სახიფათოა. ისინი საზოგადოების ეთიკურ მცნებებს ირონიით უყურებენ. იქნებ სწორედ ესაა თავისუფლება? მაშინ მე არ მინდა ასეთი თავისუფლება. მათ გვერდით ყოფნა სახიფათოა. ცხოვრებაში შემხვედრიან ასეთი ადამიანები და ყოველთვის გავურბოდი მათ.

რანევსკაიამ პარიზიდან კიდევ ერთი დეპეშა მიიღო. ასე მგონია, მას შინაგანად უკვე გადაწყვეტილი აქვს პარიზში დაბრუნება, იცის, რომ ვერ შეძლება აქ ცხოვრებას. შორიდან, პარიზიდან, სახლი, კარმიდამო რომანტიკულად ლამაზ ფერებში წარმოედგინა, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ დახვდა. რანევსკაია მართლაც მთელი არსებით მოიწევდა თავისი ბავშვობისაკენ, თავის წარმოსახვაში შექმნილი ალუბლის ბაღისაკენ, სამშობლოსაკენ, მაგრამ... არა, არა, თავის მანსარდას, პარიზს ის ვერ მიატოვებს. უკვე სხვა ცხოვრებასაა მიჩვეული. თან კიდევ გრიშას საფლავის ქვა. გრიშა სულ ხუთი წლისა იყო! არა, არა, აქ დიდხანს ვერაფრით გაძლებს. რუსეთში ერთი, ორი ან, სულ დიდი, სამი თვით შეიძლება ჩახვიდე, მაგრამ არა სამუდამოდ. აი, გაევი კი პარიზში

ცხოვრებას ვერ შეძლებდა, ის ალუბლის ბაღივითაა, ფირსივითაა. გაევი აქაურია, შეზრდილია აქაურ მიწას, ამ ქალაქს, უმიზნოდ შემოირბენდა ხოლმე ქალაქს, ნაცნობ-ნათესავებს დაივლიდა. სადღაც, ალბათ, საყვარელიც ჰყავდა. დიდი ხნით არსად ჩერდებოდა, სულ ეჩქარებოდა, თუმცა საქმე არ ჰქონდა.

სადღაც, ოცნებათა მხარეში ეძახის პეტია ტროფიმოვი ანიას და ანიაც მიჰყვება, მიჰყვება მის იდეებში, მის რწმენაში, მის რევოლუციურ რომანტიზმში შეყვარებული. ანია ამაღლებულზე, მშვენიერზე, თავგანწირვაზე ოცნებობს. და აი, თავის წარმოსახვაში ფეხშიშველი მტვრიან, ჭუჭყიან გზაზე მიდის უკვე და ხალხისთვის რწმენა, შვება, ბედნიერება მოაქვს, სიკეთეს ქადაგებს! და სჯერა, რომ ცაზე ალმასები აკიაფდებიან! ოჰ, ეს საცოდავი-ბედნიერი გოგონა! მის ცხოვრებაში ხომ ყველაფერი პირიქით მოხდება. მას მოუწყობელი, აწეწილი, გაჭირვებული ცხოვრება ელის, არა ოჯახი, არა სიყვარული... ასე კარდაკარ ივლის სხვის სადილებზე და გაკვეთილებს ჩაატარებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მუდამ ოცნებითა და იმედით იცხოვრებს.

მოქმედი გმირების შესახებ ჩეხოვის აზრი ამოვიკითხე.

რანევსკაია – კეთილი სულელი, მდიდრულად არა, მაგრამ ყოველთვის დიდი გემოვნებით აცვია, ძალიან კეთილია, დაბნეული, საკუთარ შეცდომებს ყოველთვის აღიარებს, მოინანიებს. სახე მუდამ მომღიმარი აქვს. არა, არასოდეს მდომებია ამ ქალის დამშვიდებული ყოფნა. მას მხოლოდ სიკვდილი თუ დაამშვიდებს. რანევსკაიას თამაში რთული არ არის. ღიმილისა და სიცილის მანერაა მოსანახი. კარგად ჩაცმაც უნდა იცოდეს, სცენაზე რანევსკაია უკვე განვლილი ცხოვრებით უნდა გამოვიდეს. ძალიან ალერსიანი უნდა იყოს. თითებზე უამრავი ბეჭედი უკეთია. მისი ხელები მუდამ ეფერებიან, ეალერსებიან საგნებს. რბილად ეხებიან ადამიანებს.

ლოპახინი – მომისმინეთ, ის არ ყვირის. მას ხომ ყვითელი ფეხსაცმელი და ბევრი ფული აქვს. ეს კომიკური როლია, ცენტრალური. თუ ლოპახინი ფერმიხდილი იქნება, როლიც, მთელი პიესაც ჩავარდება. ის ხომ ვაჭარი არ არის ამ სიტ-

ყვის ადრინდელი მნიშვნელობით – ეს უნდა გავაცნობიეროთ, ის რბილი ადამიანია.

ანია – ახალგაზრდა მსახიობი.

ვარია – გერი. 22 წლის. კომიკური როლი.

მეორე და მეოთხე მოქმედებებში ხმა უნდა იყოს მოკლე და შორეული. მეოთხე მოქმედება უნდა გრძელდებოდეს 12 წუთი და არა ორმოცი, როგორც სამხატვრო თეატრში.

მესამე მოქმედება

სიღრმეში უზარმაზარი თეთრი კედელია, წყლის ჩამონაჟონით დალაქული. ზემოთ ალუბლის ტოტებია. მარცხნივ, კედლის წინ ნამდვილი საჰაერო ბუშტის მცირე მაკეტია. ამ ბუშტით ანია პარიზში დაფრინავდა. ბუშტი ანიას განწყობის მიხედვით (როგორც ბარომეტრი) ხან დაბლა ეშვება, ხან კი მაღლა-მაღლა მიიწევს. ბუშტი სიბნელეშიც შიგნიდან ანათებს. სცენის დიაგონალზე დიდი მაგიდა დგას სკამებით. სუფრა ლამაზადაა გაწყობილი 20 კაცზე. მაგიდის ერთ კუთხეში სანთლები დგას. როგორც მიცვალებულის სასთუმალთან, მაგიდაზე ძალიან მდიდრული ნაქსოვი სუფრაა გადაფარებული, რომელიც დაბლა ეშვება და იატაკს ხალიჩასავით ეფინება. მასზე დადიან. ეს სუფრა-ხალიჩაა. სცენაზე, აქა-იქ, ძველებური სათაგურები დაუდგამთ, ფირსი, როგორც ამ საქმის დიდი სპეციალისტი, სულ სათაგურითაა დაკავებული, რასაკვირველია, სცენაზე თაგვებს არ იჭერენ.

სპექტაკლი პოეტური მოთხრობასავით უნდა შეთხზა. ზოგჯერ შეიძლება ავტორს არც კი მისდიო, უმჯობესია პიესა რამდენიმე ხნით გადადო კიდეც და საკუთარი სამყარო შეთხზა. მერე კი, თუ ეს კარგი ავტორია, როგორც ჩეხოვი ან სოფოკლე, დაეკითხები: შეიძლება თუ არა ასე? ჩემთვის ყველაზე ბედნიერი წუთები მაშინ დგება, როდესაც თავისუფლად ვიწყებ შეთხზვას და არაფრის მეშინია. ამ დროს გმირების, ჩემი ან ჩემი ახლობლების ცხოვრება ერთმანეთს შეერ-

წყმის, ერთ მთლიანობად იქცევა. ხარკოვიდან უახლოეს სადგურამდე გამყავს რკინიგზა, რანევსკაიას მამულის ახლომახლო ვაშენებ სახლს. ვარკვევ, სად ცხოვრობს ანიას ბებია, მაინტერესებს, როგორ ბინაში ცხოვრობს ეპიხოდოვი: მსურს გავარკვიო, ვინ არიან ამ ებრაული ორკესტრის მუსიკოსები, როგორები არიან, როგორ მოვიდნენ და დასხდნენ, როგორ უკრავენ? სცენის უკან, კულისებში თუ ნახევრადჩაბნელებულ სცენაზე?

უკრავს ორკესტრი. მესამე მოქმედებაა. საშინელი საღამოა. ვხედავ გაურკვეველ ჩრდილებს, უზარმაზარ ჩრდილებს. ჭერსა და კედლებზე რომ დაცოცავენ, განათებაც შემზარავია, იქნებ ვიღაცამ ნავთის ლამპა „ელვა“ (მახსოვს, ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი ნათურები) იატაკზე დადგა და ამიტომ სინათლე ქვემოდან ამოდის. ასე ხდება, როდესაც ოდნავ შეზარხოშებულები რაღაცას ვიგონებთ: ცეკვები, ცეკვები სიბნელეში. შარლოტამ რაღაც ახალი ნიღბები გამოიგონა, ვიღაცამ თქვა, ბერიკები მოვიდნენო. ახლა სულაც არ მაინტერესებს, საიდან გაჩნდნენ აქ ბერიკები, ამას მერეც გავარკვევ. ამ წუთას ისინი სცენაზე სიგიჟის აგონიის შესაქმნელად მჭირდებიან. ეს კარგად უნდა მოვიფიქრო: ლხინი ჟამიანობის დროს.

შარლოტას ტრაგიკული ბალაგანი, ჯამბაზის კოსტიუმი აცვია. ერთბაშად თითქოს ყველა გადააავიწყდა მოახლოებული კატასტროფა. შარლოტას მშობლები ოდესღაც ცირკში მუშაობდნენ. საინტერესოა ცირკის მსახიობებზე დაკვირვება, ოღონდ არენაზე კი არა, კულისებში. მათი სამყარო სრულიად განსხვავებულია. მათ განსაკუთრებული ცხოვრების პირობები აქვთ, განსაკუთრებული ვარჯიშები. ისინი ნახერხისა და ცხოველების სუნის განსაკუთრებულ გარემოში ცხოვრობენ. ისინი ყველანი ჯამბაზები არიან. მათი შვილებიც აუცილებლად ცირკის მსახიობები ხდებიან. „ვინა ვარ მე, ვის ვჭირდები?“, ხვალ ამ სახლს გაყიდიან, მე რა ვქნა, სად წავიდე?“

მსჯელობენ ყველაფერზე, ალუბლის ბაღის გარდა, რანევსკაია თავზე წამოცმული ცილინდრით მაზურკას ცეკვავს.

ლია ელიავამ მიამბო. მშობლების დაპატიმრების შემდეგ ის და ბებიამისი სადღაც სარდაფში როგორ ცხოვრობდნენ და როგორ ასწავლიდა ბებია მას მაზურკის ცეკვას. ეს ეპიზოდი უნდა გამოვიყენო. რანევსკაია პეტიას მაზურკის ცეკვას ასწავლიდა! პეტია ეწინააღმდეგება, რანევსკაია იძულებით აცეკვებს და კმაყოფილია ამით. უცნაური ქალია, ალბათ, ძნელია მასთან ცხოვრება.

მერე უცებ რანევსკაია ვარიაზე, ლოპახინზე იწყებს საუბარს, ცდილობს მთავარს გვერდი აუაროს, რაღაც სხვაზე გადაერთოს, მაგრამ სულის სიღრმეში ახლობლების ბედ-იღბალი აღელვებს. სასწაულს ელოდება, რაღაცის იმედი აქვს, თუმცა კი იცის, რომ ბაღი დაღუპულია. ღმერთო, როგორ უნდა, რომ ეს ყველაფერი დამთავრდეს. ყოველივე დაივიწყოს! ცდილობს ცეკვითა და იმ სულელური ფოკუსებით, რომლებსაც შარლოტა უკვე მეათასჯერ აჩვენებს, გაირთოს თავი და გაურკვევლობის შიშს განერიდოს. ელოდებიან, ყველა ელოდება გულის რთული ოპერაციის შედეგს. ძალიან ღელავენ, მაგრამ სულ იღიმებიან. სად არის აქამდე ძმა? რა ხდება, რატომაა ცხოვრებაში ასეთი საშინელი პაუზა? ეს სულელური საღამო, ცეკვები, სტუმრები – ყველაფერი ლიუბას მოგონილია, რათა საკუთარი თავიცა და სხვებიც დაარწმუნოს, რომ ყველაფერი რიგზეა, განსაკუთრებული არაფერი ხდება.

და აი, ლიუბა, თავიდან კარგად რომ ეჭირა თავი, თანდათანობით კონტროლს კარგავს, პეტიას ეკამათება, ცდილობს გული ატკინოს, თითქოს ყველაფერში პეტიაა დამნაშავე (გრიშა რომ დაიღუპა, პეტია იქ იყო), კამათში იხარჯება. პეტია – გამხდარია. გრძელთმიანი, მუდამ წიგნი უჭირავს ხელში, თავიდან რაღაცას თავისებური გატაცებით უმტკიცებს რანევსკაიას, მერე შეცბება. დაიბნევა, ლიუბას პირდაპირობისა შეეშინდება და გაიქცევა, სადღაც კიბეზე დაეცემა.

„ადამიანებისაგან შეუმჩნევლად შიში ისადგურებს“ – ასე წერდა ამ სცენის შესახებ მეიერჰოლდი. ვიღაცა გიტარას აკვნესებს. ცოტაოდენ შეზარხოშებულნი არიან. იაშკა ხარხარებს (ჯადოსნური ფარნით შიშველ გოგოებს აჩვენებს, პარიზიდან ჩამოიტანა), საზიზღარი, ბოროტი იაშკა, პერსონაჟები ჯადოსნური ფარნის სხივში მოძრაობენ, რის გამოც თეთრ კედელზე უზარმაზარი, შემზარავი ჩრდილები ჩნდება. იაშკა სატანა. მესამე მოქმედებაში ის მართავს მეჯლისს, თავისი პერსონით მთელ სათამაშო სივრცეს ავსებს, ორკესტრს დირიჟორობს, საზღვარგარეთულ სიმღერებს მღერის – თავისი საზიზღარი, წრიპინა ხმით გააყრუა აქაურობა. თავხედურად ცხოვრობს, ისე, როგორც მოეპრიანება! ხეპრე! ვერ ვიტან!

და აი, ამ სოდომში, მთელი ქვეყნის უკიდეგანო სივრცის შორეთიდან ანია რანევსკაიას უყვირის: სამზარეულოში თქვეს, რომ ბაღი გაიყიდა!!! რანევსკაიას შემზარავი ხმით აღმოხდება: ვინ იყიდა? – თითქოს ახლა ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. მთავარია – ბაღი გაიყიდა და ის უკვე აღარ არსებობს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სადღაც მიიმალა, ალბათ, იმის გასაგებად, თუ ვინ იყიდა ბაღი. მხოლოდ ფირსი დაფაჩუნობს უხმოდ პარკეტზე. წინა საუკუნეში ჩარჩენილი ფირსი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება. რანევსკაია სიჩუმეში აუჩქარებლად ეკითხება: შენ სად წახვალ? პასუხი – სადაც მიბრძანებთ. შემზარავი რეპლიკაა.

აღელვებული შემორბის იაშკა. უკვე მიხვდა, რომ რანევსკაია პარიზში წასვლას დააპირებს. იქნებ როგორმე დაითანხმოს და გაჰყვეს. იაშკას პარიზში უნდა! ამ გადაჯიშებულს თავის სამშობლოში გაჩერება აღარ შეუძლია. შემორბის პიშჩიკი. რანევსკაიას საცეკვავოდ იწვევს. ვალსის ნელი ცეკვით გადიან. სიჩუმეა.

გააზნაურებული ხეპრეები შემორბიან – ეს რეაქციაა სიჩუმეზე. ხარხარებენ, ხორხოცობენ, როგორც ბოროტი სულები ვალპურგის ღამეს. იაშკა და ეპიხოდოვი გამოთვრნენ.

ეს უკანასკნელი დუნიაშკას სიყვარულს უხსნის, ყვირის, ყველა ყვირის და ხარხარებს. სასაცილოა თუ არა, მაინც ყველა სიტყვაზე იცინიან. უაზრო ხარხარია, ისეთი, როცა თვითონ ხარხარი განიჭებს სიამოვნებას და არა ის, რაზეც იცინი. ნახევრადსიბნელეში ოდნავ ნასვამი დუნიაშკა ვალსს ცეკვავს. იაშკა ცენტრშია!

და უცებ ვარიას ისტერიკა, **სამოთხიდან განდევნა**. ბილიარდის ჯოხს წაავლებს ხელს და ამ თავგასულ მსახურთ ბატონების სახლიდან ერეკება. სამზარეულოში, ეზოში გაყრის. ვარია გაცოფებულია. ყველანი ადგილებზე!!!

პაუზა. პაუზა. ყველა გაშეშდა, გაირინდა, როგორც პანაშვიდზე, ჩუმად დგანან და ელოდებიან.

მოდის გაევი. უჩუმრად მიემართება თავის ოთახისაკენ. ცდილობს არ დაენახოს დას. გაისმა ბილიარდის ბურთების რაკარუკის ხმა. ორკესტრი თანდათან ჩუმდება. რანევსკაია: ალუბლის ბაღი გაიყიდა? ვინ იყიდა? – და აი, აქ, ჩუმად, თითქოს მობოდიშებით, ლოპახინი:

– მე ვიყიდე.

გრძელი პაუზა. ვარია გასაღებების აცმას გადაუგდებს. ხმა – წერტილი.

ლოპახინმა სითამამისათვის გადაჰკრა და საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა: აქ მე ვარ ბატონ-პატრონი! დღეიდან მე ვარ! აი, აქ არის მთელი პიესის ვულკანის ამოფრქვევის მწვერვალი. ვიყიდე, თუმცა მაინცდამაინც არ მჭირდებოდა. ამ არაჩვეულებრივ ქალთან ახლომახლო ყოფნა – აი, ეს იყო ჩემი ოცნება.

რას კარგავენ?

რანევსკაია – წარსულს, ყველაფერს, რაც ესოდენ ძვირფასი იყო მისთვის. ახლა პარიზში წავა, მანსარდაში იცხოვრებს.

გაევი – მამულს, სახლ-კარს, ფირსს. ცხოვრების ცენტრს. ბანკში მუშაობა რომც დაიწყოს, მაშინვე მიხვდებიან, ვისთან აქვთ საქმე და გამოაგდებენ.

ანია – ბავშვობა. მასწავლებლობას მიჰყოფს ხელს. მუდამ გაჭირვებაში იცხოვრებს. ალმასებით მოჭედილ ცაზე იოცნებებს.

ფირსი – ცხოვრებას, ყველაფერს.

დუნიაშკა – კეთილ ბატონებს – ლოპახინი ყველას მუშაობას აიძულებს. თუ არ იმუშავებენ – გააგდებს.

იაშკა – ერთხანს რანევსკაიასთან იმსახურებს, ვიდრე ლიუბას იაროსლაველი ბებიის ფული გამოელეოდეს. მერე რესტორანს გახსნის.

ეპიხოდოვი – ლოპახინი ეპიხოდოვს გააგდებს. მას მუშაობა აღარ შეუძლია.

ვარია – ვინმესთან სახლში კარგ გუვერნიორად იმუშავებს ან მონასტერში წავა.

პეტია – ასე მთელი ცხოვრება რაღაცას იქადაგებს. მერე რევოლუციის მოწინააღმდეგე გახდება. იქნებ სადღაც გადაკარგულში, ციმბირის მაღაროებში დალიოს სული.

ლოპახინი – დიდ საქმეებს დაატრიალებს, მთელი ცხოვრება ალუბლის ბაღს გაიხსენებს.

„ალუბლის ბაღი“ მუსიკასავითაა. ეს პიესა ცხოვრებაზეა, ცხოვრებაზე, რომელიც იწყება და სრულდება. ეს პიესა სულიერების, ცხოვრების აზრის შესახებ გვესაუბრება. გვესაუბრება. გვესაუბრება მოუხერხებელ ადამიანებზე, რომლებმაც არ იციან, როგორ იცხოვრონ, „ალუბლის ბაღი“ შედევრია. ესაა ფიქრი დროზე, წარმავალ თაობებზე, მოახლოებულ საშინელებებზე: ფიქრი მოუწყობლობაზე, ადამიანთა რწმენაზე, რომ წარსული ბევრად უკეთესი და საინტერესო იყო.

კარგი იქნებოდა, ყოველ ჩვენგანზე, ჩვენს საზოგადოებაზე მოგვეთხრო, დაგვედგა სასაცილო და ოდნავ სევდიანი სპექტაკლი ჩვენს შესახებ.

ჩვენ მუდამ არაპრაქტიკულები ვიყავით, მაღალი მატერიებით, სულიერი ფასეულობებით ვცხოვრობდით. მატერიალურ ფასეულობებს ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც ვიცოდით, როგორ შეგვეძინა თუ დაგვეგროვებინა ისინი. ჩვენს შორის არასოდეს ყოფილა ლოპახინები... არადა,

სწორედ ისინი აკეთებდნენ საქმეს: ბაღებს ჩეხავდნენ, ცხოვრების ახალ მოდელებს აგებდნენ, დაკარგვისა არ ეშინოდათ, მაგრამ გზადაგზა კარგავდნენ იმას, რისი შეძენაც შეუძლებელია. თუ მხოლოდ გვეჩვენება ეს!

ჩემმა მეუღლემ, ლეილამ, მითხრა: ვერ გამიგია „ალუბლის ბაღი“ რატომ მოგწონს? საზიზღარი ხალხია. რანევსკაია და მისი ძმა სულ ერთმანეთის ლანძღვაში არიან, საქმეს არ აკეთებენ, ყველაფერი საზღვარგარეთ დაანიავეს. ნორმალური ოჯახი ვერ შექმნეს, ბაღი დაღუპეს. ვის რად უნდა ასეთი ადამიანები? ყველაფერში თვითონვე არიან დამნაშავენი.

რობერტ სტურუა კი „ალუბლის ბაღის“ შესახებ აი, რას წერს: „ჩეხოვი იცინოდა, ის ვერ იტანდა, ეცოდებოდა ინტელიგენცია და მიაჩნდა, რომ ყველა უბედურება მათგან და მათი ამპარტავნებიდან მოდის... ლოპახინი კი არ არის დამნაშავე, არამედ თავად ინტელიგენცია და ამის შესახებ მათ ხანდისხან უნდა შევახსენოთ.“

არ ვეკამათები მათ, შეიძლება ისინი მართლებიც არიან, მაგრამ ჩემთვის ეს კონცეფცია სევდისმომგვრელია. რატომღაც აღარ ახსოვთ ინტელიგენციის სიკეთე. ამ ადამიანებთან ერთად რაღაც კარგი, განუმეორებელი წავიდა. ისინი თეთრი წეროებივით არიან. ეს მშვენიერი ფრინველები თანდათანობით ქრებიან. ყოველ გაზაფხულზე ველოდებით, აბა, ამ ჯერზე რამდენი მოფრინდება, ანკი მოფრინდებიან საერთოდ?!

მეოთხე მოქმედება

შოპენის ნოქტიურნი და მაზურკა (a-moll, op. 17 №49)

აუჩქარებლად გავდივარ რეპეტიციას. საოცარ სიამოვნებას განვიცდი. მეოთხე მოქმედება გარინდებულია, მიყუჩებული: აღარ ისმის ბილიარდის ბურთების რაკუნი. ყველა კუთხე-კუთხე იმალება – თითოეულ მათგანს, თუნდაც წამით, სახლთან მარტო დარჩენა სურს, ყველა სხვადასხვა მხარეს დაიფანტება. რანევსკაია ოჯახის ჯგუფურ ფოტოსუ-

რათს გამოიღებს ჩარჩოდან. იქ, პარიზში, ეს მისი უძვირფასესი რელიკვია იქნება.

ალუბლის ბაღი გაყიდულია. ცხოვრება ახლიდან უნდა დაიწყონ, ხელახლა მოაწყონ. ქალაქ-ქალაქ დაიფანტებიან სხვა, რეალური ცხოვრების საძებნელად, „ალუბლის ბაღის“ მითის გარეშე, რომელიც ენციკლოპედიურ ლექსიკონშია შეტანილი. ლუკმაპურის საშოვნელად დაიწყებენ ცხოვრებას, მასწავლებლობას, გუვერნიორობას, მოხელეობას მიჰყოფენ ხელს. სტუდენტები გახდებიან, ჯამაგირიდან ჯამაგირამდე დაიწყებენ ცხოვრებას. ისე მოიქცევიან, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, მათ ძალიან კარგად იციან თავის დაჭერა. იციან, როგორ დამალონ ის, რაც შინაგანად სტანჯავთ. აგიჟებთ. საშინლად დაბნეულები, დათრგუნულები, ყველაფერის მიუხედავად, იღიმებიან, ისე იქცევიან, თითქოს ყველაფერი რიგზეა. ეს ფინალური სცენები „მხიარულად“ უნდა გათამაშდეს, რაც მათ განწირულობას კიდევ მეტად გაუსვამს ხაზს.

ახლები კი ისე დაიწყებენ ცხოვრებას, როგორც სჭირდებათ: დიდ საქმეებს დაატრიალებენ, სახლებს, მაღაზიებს აიშენებენ, ოფისებს გახსნიან, თავიანთ მომავალს უზრუნველყოფენ.

თემიდან გადახვევა

ჩვენ რეჟისორები, ინტელიგენტები უნდა ვიყოთ, მსახიობებს თავაზიანად ვეპყრობოდეთ, რადგან ისინი ყველაზე უბედური და დამოკიდებული ხალხია ქვეყანაზე. როდესაც სპექტაკლი ჩავარდება, ჩვენ, რეჟისორები, ჩვეულებრივ კულისებში ვიმალებით, საწყალი მსახიობები კი ყველას დასანახად სცენაზე არიან, არა, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის მსახიობების მხარეს ვარ. ისინი დაუცველები არიან. იმის შიშით, როლის გარეშე არ დავრჩეთო, ცდილობენ რეჟისორს არ წაეჩხუბონ. მსახიობები ჭირვეულები, საზიზღრები, აუტანლები არიან, მაგრამ უიმათოდ ჩვენ რა ვართ – არაფერი, თეატრი – მსახიობია!

მეოთხე მოქმედება

1. გასამგზავრებლად ემზადებიან. ნივთებს ალაგებენ, ჩემოდნებს კრავენ. გამოსამშვიდობებლად გლეხები მოვიდნენ. ეს სცენა ტექსტიდან ქმედებაში უნდა გადმოვიტანო.

2. ტროფიმოვისა და ლოპახინის ბოლო კამათი ორ იდეოლოგიას შორის კამათია. ისინი კი არ ჩხუბობენ, არამედ კამათობენ. არკვევენ. საზოგადოდ მოსწონთ კიდეც ერთმანეთი.

3. პირველ მოქმედებაში ანიას სკივრიდან ფრთხილად ამოაქვს პარიზში ახალნაყიდი ლამაზი სერვიზი. მესამე მოქმედებაში სუფრას ამ სერვიზით აწყობენ. მეოთხე მოქმედებაში კი მას კვლავ სკივრში ალაგებენ, თითოეულ ნივთს ნაჭერსა თუ ქაღალდში ფრთხილად ახვევენ.

4. ფირსი ბედის ანაბარა დატოვეს. უყურადღებო ადამიანები არიან. ვერ შეამჩნიეს, ვიღაცას მაინც ხომ უნდა შეემჩნია იგი, მაგრამ ვის?

5. დუნიაშა უბედურია. იაშკას ეთხოვება. სოფლელი დედაკაცივით ტირის (იქნებ ფეხმძიმედაა). იაშკა ცდილობს როგორმე ხელიდან გაუსხლტეს.

6. ოპტიმისტები – ისე უჭირავთ თავი, თითქოს ყველაფერი რიგზეა.

7. შარლოტას საშინელი სცენა. უკანასკნელი რეპლიკა: ჩემო პატარავ, ნანა-ნანა, ჩუ, ჩემო ბიჭო, ჩემო კარგო, როგორ მეცოდები... მთელი სიცხადით შეიგრძნეს შარლოტას მარტოობა. ყველა სახტად რჩება.

8. პიშჩიკი ვალებს ისტუმრებს. ამ მოქმედებაში ყველაზე ბედნიერი ადამიანია. ძალიან აქტიურია, აღელვებული, სანტიმენტალური, პიშჩიკი სულმუდამ განსაცდელშია, სულმუდამ საზრუნავი აქვს – ისესხოს, ვალები გაისტუმროს, მერე კვლავ ისესხოს და იქნებ გასაჭირს თავი დააღწიოს... უამრავი ვალი აქვს.

9. რანევსკაია ვარიას მოწყობას ცდილობას. ლოპახინს ახვედრებს (ნუ დაგვავიწყდება, რომ რანევსკაიას ლოპახინის 40 ათასი მართებს. ღმერთო, რამდენია!).

10. ხელის თხოვნა – სასაცილოა და სევდიანი, როდესაც ლოპახინი დააპირებს სიყვარული აუხსნას ვარიას, უცბად დაინახავს, რომ კარადის უკან რანევსკაია იმალება. საშინლად შეცბება, არაფერი გამოუვიდა. ან იქნებ ლოპახინი უბრალოდ ვეღარ შეჰბედავს ვარიას ხელის თხოვნას, ან, იქნებ, რანევსკაია სულაც არ იყო იქ.

11. **ხმაურიანი გამგზავრება**. ოთახებში ვიღაცეები მიდი-მოდიან. აი, ის საზიზღარი ხეპრე გამვლელიც მეორე მოქმედებიდან – ბარგს მოათრევს. სკივრებისა და კალათების გადატანაში ეხმარება. ხეპრეები ყველა კუთხე-კუნჭულიდან მოძვრებიან. მთელ სახლს ავსებენ. ყველა თავისას ითხოვს, მაგრამ ლოპახინი ამუშავებს მათ. გაუთავებლად წინ და უკან დადიან. როგორც სადგურში. წინათ ბოდიშის მოხდით ეკითხებოდნენ: შეიძლება შემოვიდეთ? ახლა უკითხავად, ყოვლად უტიფრად მოძვრებიან. ბოლოს ლოპახინი მაინც ყველას იძულებით აამუშავებს, ეპიხოდოვსაც კი – უსაქმურებს ფულს არ გადაუხდის. დუნიაშკა მაშინვე მოსამსახურედ გადაიქცევა, იაშკა ცდილობს რანევსკაიას მოემსახუროს, რომ როგორმე აქ არ დატოვონ. სცენაზე ხეპრეს სიმბოლური ფიგურა დასეირნობს. რა უნდათ აქ, ვინ შემოუშვა, ვინ დაუძახა? ვინ სთხოვა? მათ უცებ აიტაცეს ლოზუნგი „თანასწორობა, ძმობა, თავისუფლება!“ ყველაფერი ხელთ იგდეს, წესიერი ხალხი გააძევეს. განათლებულები გახდნენ, განათლებული ხეპრე კი გაუნათლებელზე ბევრად საშიში და სახიფათოა.

Любовь Андреевна. Теперь можно и ехать. Уезжаю я с двумя заботами. Первая – это больной Фирс. (Взглянув на часы.) Еще минут пять можно...

Аня. Мама, Фирса уже отправили в больницу. Яша отправил утром.

Любовь Андреевна. Вторая моя печаль – Варя. Она привыкла рано вставать и работать, и теперь без труда она как рыба без воды. Похудела, побледнела и плачет, бедняжка...

Пауза.

Вы это очень хорошо знаете, Ермолай Алексеич; я мечтала... выдать ее за вас, да и по всему видно было, что вы женитесь. (Шепчет Ане, та кивает Шарлотте, и обе уходят.) Она вас любит, вам она по душе, и не знаю, почему это вы точно сторонитесь друг друга. Не понимаю!

Лопахин. Я сам тоже не понимаю, признаться. Как-то странно все... Если есть еще время, то я хоть сейчас готов... Покончим сразу – и баста, а без вас я, чувствую, не сделаю предложения.

Любовь Андреевна. И превосходно. Ведь одна минута нужна, только. Я ее сейчас позову...

Лопахин. Кстати и шампанское есть. (Поглядев на стаканчики.) Пустые, кто-то уже выпил.

Яша кашляет.

Это называется вылакать...

Любовь Андреевна (оживленно). Прекрасно. Мы выйдем... Яша, allez26! Я ее позову... (В дверь.) Варя, оставь все, поди сюда. Иди! (Уходит с Яшей.)

Лопахин (поглядев на часы). Да...

Пауза.

За дверью сдержанный смех, шепот, наконец входит Варя.

Варя (долго осматривает вещи). Странно, никак не найду...

Лопахин. Что вы ищете?

Варя. Сама уложила и не помню.

Пауза.

Лопахин. Вы куда же теперь, Варвара Михайловна?

Варя. Я? К Рагулиным... Договорилась к ним смотреть за хозяйством... в экономки, что ли.

Лопахин. Это в Яшнево? Верст семьдесят будет.

Пауза.

Вот и кончилась жизнь в этом доме...

Варя (оглядывая вещи). Где же это... Или, может, я в сундук уложила... Да, жизнь в этом доме кончилась... больше уже не будет...

Лопахин. А я в Харьков уезжаю сейчас... вот с этим поездом. Дела много. А тут во дворе оставляю Епиходова... Я его нанял.

Варя. Что ж!

Лопахин. В прошлом году об эту пору уже снег шел, если припомните, а теперь тихо, солнечно. Только вот холодно... Градуса три мороза.

Варя. Я не поглядела.

Пауза.

Да и разбит у нас градусник...

Пауза.

Голос в дверь со двора: «Ермолай Алексеич!..»

Лопахин (точно давно ждал этого зова). Сию минуту! (Быстро уходит.)

Варя, сидя на полу, положив голову на узел с платьем, тихо рыдает. Отворяется дверь, осторожно входит Любовь Андреевна.

Любовь Андреевна. Чтó?

Пауза.

Надо ехать.

Варя (уже не плачет, вытерла глаза). Да, пора, мамочка. Я к Рагулиным поспею сегодня, не опоздать бы только к поезду...

Любовь Андреевна (в дверь). Аня, одевайся!

Входит Аня, потом Гаев, Шарлотта Ивановна. На Гаеве теплое пальто с башлыком. Сходится прислуга, извозчики. Около вещей хлопочет Епиходов.

Теперь можно и в дорогу.

Аня (радостно). В дорогу!

Гаев. Друзья мои, милые, дорогие друзья мои! Покидая этот дом навсегда, могу ли я умолчать, могу ли удержаться, чтобы не высказать на прощанье те чувства, которые наполняют теперь все мое существо...

Аня (умоляюще). Дядя!

Варя. Дядечка, не нужно!

Гаев (уныло). Дуплетом желтого в середину... Молчу...

Входит Трофимов, потом Лопахин.

Трофимов. Что же, господа, пора ехать!

Лопахин. Епиходов, мое пальто!

Любовь Андреевна. Я посижу еще одну минутку. Точно раньше я никогда не видела, какие в этом доме стены,

какие потолки, и теперь гляжу на них с жадностью, с такой нежной любовью...

Гаев. Помню, когда мне было шесть лет, в Троицын день я сидел на этом окне и смотрел, как мой отец шел в церковь...

Любовь Андреевна. Все вещи забрали?

Лопахин. Кажется, всё. (Епиходову, надевая пальто.) Ты же, Епиходов, смотри, чтобы все было в порядке.

Епиходов (говорит сиплым голосом). Будьте покойны, Ермолай Алексеич!

Лопахин. Что это у тебя голос такой?

Епиходов. Сейчас воду пил, что-то проглотил.

Яша (с презрением). Невежество...

Любовь Андреевна. Уедем – и здесь не останется ни души...

Лопахин. До самой весны.

Варя (выдергивает из угла зонтик, похоже, как будто она замахнулась; Лопахин делает вид, что испугался). Что вы, что вы... Я и не думала.

Трофимов. Господа, идемте садиться в экипажи... Уже пора! Сейчас поезд придет!

Варя. Петя, вот они, ваши калоши, возле чемодана. (Со слезами.) И какие они у вас грязные, старые...

Трофимов (надевая галоши). Идем, господа!..

Гаев (сильно смущен, боится заплакать). Поезд... станция... Круазе в середину, белого дуплетом в угол...

Любовь Андреевна. Идем!

Лопахин. Все здесь? Никого там нет? (Запирает боковую дверь налево.) Здесь вещи сложены, надо запереть. Идем!..

Аня. Прощай, дом! Прощай, старая жизнь!

Трофимов. Здравствуй, новая жизнь!.. (Уходит с Аней.)

Варя окидывает взглядом комнату и не спеша уходит. Уходит Яша и Шарлотта с собачкой.

Лопахин. Значит, до весны. Выходите, господа... До свиданция!.. (Уходит.)

Любовь Андреевна и Гаев остались вдвоем. Они точно ждали этого, бросаются на шею друг другу и рыдают сдержанно, тихо, боясь, чтобы их не услышали.

Гаев (в отчаянии). Сестра моя, сестра моя...

Любовь Андреевна. О мой милый, мой нежный, прекрасный сад!.. Моя жизнь, моя молодость, счастье мое, прощай!.. Прощай!..

Голос Ани весело, призывающе: «Мама!..» Голос Трофимова весело, возбужденно: «Ау!..»

Любовь Андреевна. В последний раз взглянуть на стены, на окна... По этой комнате любила ходить покойная мать...

Гаев. Сестра моя, сестра моя!..

Голос Ани: «Мама!..» Голос Трофимова: «Ау!..»

Любовь Андреевна. Мы идем!..

Уходят.

Сцена пуста. Слышно, как на ключ запирают все двери, как потом отъезжают экипажи. Становится тихо. Среди тишины раздается глухой стук топора по дереву, звучащий одиноко и грустно. Слышатся шаги. Из двери, что направо, показывается Фирс. Он одет, как всегда, в пиджаке и белой жилетке, на ногах туфли. Он болен.

Фирс (подходит к двери, трогает за ручку). Заперто. Уехали... (Садится на диван.) Про меня забыли... Ничего... я тут посижу... А Леонид Андреич небось шубы не надел, в пальто поехал... (Озабоченно вздыхает.) Я-то не поглядел... Молодо-зелено! (Бормочет что-то, чего, понять нельзя.) Жизнь-то прошла, словно и не жил. (Ложится.) Я полежу... Силушки-то у тебя нету, ничего не осталось, ничего... Эх ты... недотепа!.. (Лежит неподвижно.)

Слышится отдаленный звук, точно с неба, звук лопнувшей струны, замирающий, печальный. Наступает тишина, и только слышно, как далеко в саду топором стучат по дереву.

Занавес.

1 После Святой – после Пасхи; Святая, или Святая неделя, – праздник Пасхи у христиан.
2 Страстна́я неделя – последняя неделя перед Пасхой.
3 Па́тер – католический священник.
4 Ментóна – курортное место на юге Франции.
5 «Пошла бы себе в пу́стынь, потом в Киев... » – то есть на богомолье. Пу́стынь – монастырь, построенный в безлюдной местности и возникший на том месте , где раньше жил отшельник; «в Киев» – в Киево-Печерскую лавру, – крупнейшее из «святых мест» – место паломничества богомольцев.
6 Поддёвка – одежда без рукавов, поддеваемая под верхний кафтан.
7 П а ч у́ л и – сильно пахнущие духи из эфирного масла; добываются из п а ч у́ л е й – небольших тропических растений с душистыми листьями и ветками.
8 А у к ц и о н (нем. Auktion – возрастание) – публичная распродажа имущества, при которой продаваемая вещь достается тому, кто предложит наивысшую сумму.
9 salto mortale (ит.) – сальто-мортале; буквально: смертельный прыжок акробата, при котором его тело описывает в воздухе круг.
10 Б о к л ь Г е н р и Т о м а с (1821–1862) – английский историк, автор «Истории цивилизации в Англии», книги, пользовались большой популярностью в России в 60-е годы XIX века.
11 Дуплет в угол... Крузе в середину – термины, употребляемые при игре на бильярде.
12 «И за деньги русака немцы офранцузятся» – видимо, строка из куплетов, исполняемых в популярном тогда водевиле.
13 Камердинер – слуга в дворянском доме, обычно приближенный хозяина.
14 Враздробь – искаженное «вразброд».
15 «Брат мой, страдающий брат...» – Прохожий неточно цитирует строку из популярного в девяностые годы стихотворения С. Надсона, начинающееся строкой: «О брат мой, усталый, страдающий брат!... »

16 «Выдь на Волгу: чей стон раздается...» – строка из стихотворения Н. Некрасова «Размышления у парадного подъезда».

17 «Охмелия, иди в монастырь...», «Охмелия, о нимфа, помяни меня в твоих молитвах!» О х м е л и я – искаженное Офелия – героиня из трагедии В. Шекспира (1564-1616) «Гамлет». Обе фразы – цитата из «Гамлета».

18 Grand-rond (фр.) – большой круг – фигура в бальных танцах; promenade à une paire! – пройдитесь парами!; grand-rond balancez! – большой круг, балансируйте, то есть делайте «балансé» – особую фигуру в танце; las cavaliers à genoux et remerciez vos dames! – кавалеры на колено и благодарите ваших дам! Все эти французские выражения – названия танцевальных фигур и принятые обращения распорядителя к танцующим.

19 Лошадь Калигулы. – Римский император Гай Цезарь (12–31 гг. н. э.), прозванный Калигулой (от Galiga – башмак, лат.); отличался деспотизмом и сумасбродством; намеревался, издеваясь над своими сенаторами, сделать консулом своего коня.

20 Ницше Фридрих – немецкий философ-идеалист, проповедник сверхиндивидуализма.

21 Ein, zwei, drei! (нем.) – Раз, два, три!

22 Guter Mensch, aber schlechter Musikant (нем.) – хороший человек, но плохой музыкант.

23 Анчоусы – рыба породы сельдей, которую солят с пряностями; вкусное, дорогое блюдо.

24 «Циркуляция дела не в этом». – Лопахин неправильно употребляет незнакомое ему иностранное слово (лат. Circulation – круговращение).

25 Да здравствует Франция!... (фр.)

26 Allez! (фр.) – Идите!

პ. ჩეხოვი

„ალუბლის ბაღი“*

თარგმანი *სოფიო ციციშვილისა.*

მომქმედნი:

ლუბა ანდრიას ასული რანევსკაია, მემამულე
ანნა – ამისი ქალი, 17 წლისა.
ვარო – რანევსკის შვილობილი, 24 წლისა.
ლეონიდ ანდრიას ძე გაევი, ლუბა ანდრეევნას ძმა.
ერმილე ალექსის ძე ლოპახინი, ვაჭარი.
პეტრე სერგეის ძე ტროფიმოვი – სტუდენტი.
ბორის ბორისის ძე სიმეონოვ-პიშჩიკი – მემამულე.
შარლოტა ივანოვნა – გუვერნანტკა.
სიმეონ პანტელეიმონის ძე ეპიხოდოვი – რანევსკის კანტორშიკი.
დუნიაშა – მოსამსახურე გოგო.
ფირსი – მოხუცი მოსამსახურე, 87 წლისა.
იაშა – ყმაწვილი კაცი, მოსამსახურე.
უცხო კაცი.
სადგურის უფროსი.
ფოსტის მოხელე, სტუმრები და მოსამსახურენი.

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ოთახს, რომელსაც ისევ ბავშვების ოთახს ე ძახიან და რომლის ერთი კარი გადის ანნას ოთახში. გათენებაა. მა ლე მზეც ამოვა. მაისია. ალუბლის ხეები ყვავიან, მაგრამ ბაღში მაი ნც ცივა. დილის სუსხია. ფანჯრები დახურულია. შემოდის დუნიაშ ა, სანთელით და ლოპახინი – წიგნით.

---

* იბეჭდება „ივერიის“ ბიბლიოთეკის 1905 წლის დამატებაში გამოქვეყნებულის მიხედვით.

ლოპახინი: მადლობა ღმერთს, მატარებელი მოვიდა. რომელი სა ათია?

დუნიაშა: ორი საათია. (სანთელს აქრობს) გათენებულა!

ლოპახინი: კარგად დაიგვიანა მატარებელმა, სულ ცოტა, მგონი, ორი საათით. (ამთქნარებს და იზმორება) მეც რა სისულელე მომივიდა! განგებ აქ იმიტომ მოვედი, რომ სადგურზე შევხვედროდი, და აქ-კი დამეძინა... დავჯდომილს ჩამძინებოდა. რა გული მომდის ჩემს თავზე!... შენ მაინც რატომ არ გამაღვიძე...

დუნიაშა: მე მეგონა, რომ თქვენ სადგურზე წახვედით. (ყურს უგდებს) აი, მგონია, კიდეც მოდიან.

ლოპახინი: (ყურს უგდებს) არა... ბარგის მიღებაო, ეს ერთიო, ეს მეორეო. (პაუზა) ლუბა ანდრეევნა, აგერ ხუთი წელიწადია, საზღვარ გარეთა სცხოვრობს. არ ვიცი, ახლა როგორი ადამიანია... კარგი რამ იყო წინად; კეთილი, სადა მახსოვს, მე რომ პატარა ვიყავი, ასე თხუთმეტი წლისა, ცხონებულმა მამაჩემმა, მაშინ ამ სოფელში დუქანს ამუშავებდა, ერთხელ შიგ სახეში მუშტი მთხლიშა. ცხვირიდან სისხლი ნიაღვარივით წამსქდა... იმ დროს რიღასთვისაც ორივე აქ მოვდიოდით. მამაჩემი გადაკრულში იყო. ლუბა ანდრეევნამ, – თითქო ახლაც თვალ-წინ მიდგას, სულ ყმაწვილი იყო, მეტად სუსტი აგებულობისა, – მიმიყვანა პირსაბანთან, აი სწორედ ამ ოთახში – „ნუ სტირი, პატარა გლეხის ბიჭოო, ქორწილამდის მორჩებიო“. (პაუზა) გლეხის ბიჭოო... მამაჩემი, მართალია, გლეხი იყო, მაგრამ მე ახლა თეთრ ჟილეტში და ყვითელ ახალმოდურ ფეხსაცმელებში ვარ გამოჭიმული, მეც მარაქაში გავერიე!... მართალია, მდიდარი ვარ, ფული ბლომათა მაქვს, მაგრამ კაცმა რომ მუშტრის თვალით გამშინჯოს, გლეცი მაინც გლეხად დავრჩი. (ფურცლავს წიგნს) ბევრი ვიკითხე, აი, ეს წიგნი, მაგრამ ვერაფერი გავიგე, კითხვაში დამეძინა (პაუზა).

დუნიაშა: ძაღლებს კი მთელ ღამეს არ დაუძინიათ! ეტყობა, ბატონების მოსვლას გრძნობენ.

ლოპახინი: დუნიაშა, შენ რაღაცნაიარათა ხარ! რა გემართება?

დუნიაშა: ხელები მიკანკალებს. აგერ, გული შემიწუხდება.

ლოპახინი: ძალიან განაზებული ხარ, დუნიაშა, ჩაცმით ხომ ისენ იცვამ, თითქოს ქალბატონი იყო, თავსაც სწორედ ისე ივარცხნი. აგრე არ შეიძლება, უნდა შენი ვინაობა გახსოვდეს. (შემოდის ეპიხოდოვი. ხელში თაიგული უჭირავს. პიჯაკი აცვია. ფეხსაცმელი შესამჩნევად გაწმენდილ-გაპრიალებული აქვს, რომლებსაც ხმამაღლა გააქვთ ჭრიჭინი. შემოსვლის დროს თაიგული ხელიდან გაუვარდება).

ეპიხოდოვი: (საჩქაროდ აიტაცებს თაიგულს) ეს თაიგული მებაღემ გამოგზავნა. სასადილო ოთახში დადგით (აძლევს თაიგულს დუნიაშას).

ლოპახინი: დუნიაშა, ბარემ კვასიც მომიტანე.

დუნიაშა: ბატონი ბრძანდებით (გადის).

ეპიხოდოვი: დილის სუსხია. ყინვა სამ გრადუსამდე იქნება. ბაღში კი ალუბლები ყვავიან. სწორედ რომ უცნაურია ჩვენებული ჰავა. (ოხრავს) არ მომწონს აქაური ჰავა, ხელს ვერ უწყობს ბუნებას. ერმილე ალექსეიჩ, გთხოვთ მომისმინოთ. ამ სამი დღის წინად ვიყიდე, აი, ეს წაღები და, სწორედ მოგახსენოთ, ისეთნაირად ჭრიჭინებენ, რომ ძალა აღარ არის. მასწავლეთ, რა წაუსვა.

ლოპახინი: ერთი თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს. გააჭირე საქმე!

ეპიხოდოვი: ყოველ დერ უთუოდ რამე უბედურება მემართება, მაგრამ ბედს არ ვუჩივი, შევეჩვიე. (შემოდის დუნიაშა და ლოპახინს კვასს უდგამს). მე წავალ. (მიდის, სკამს მიეხლება და წააქცევს) აი... (მნიშვნელოვნად) ხედავ! რა შემემთხვა! უკაცრაული პასუხია, სხვათა შორის, ჩვენთვის რომ ვსთქვათ: ეს შესანიშნავი ამბავია!... (გადის).

დუნიაშა: ერმილე ალექსეიჩ, ერთი რამ უნდა მოგახსენოთ... ეპიხოდოვი მთხოულობს.

დუნიაშა: არ ვიცი, რა ვქნა... მართალია, დინჯი კაცია, მაგრამ ხანდახან, რომ ლაპარაკს დაიწყებს ხოლმე, თითქო კარგათაც ლაპარაკობს, გრძნობითაც, მაინც არა მესმის-რა! თითქო მომწონს კიდეცა. იმასაც გაგიჟებით ვუყვარვარ. უბედური კაცია. ყოველ დღე რამე უბედურება ემართება. მაგას აქ ყველა ოცდაორ უბედურებას ეძახის.

ლოპახინი: (ყურს უგდებს) აი, მგონია, ახლა-კი მოდიან.

დუნიაშა: მოდიან! რა მემართება, მთლად გავყინე.

ლოპახინი: მართლა მოდიან. წავიდეთ, მივეგებოთო. ნეტა, თუ მიცნობს? ხუთი წელიწადია, არ მინახავს.

დუნიაშა: (აღელვებული) მეშინიან, არ წავიქცე... საცაა, დავეცემი. ეტლების ხმა ისმის (ლოპახინი და დუნიაშა საჩქაროდ გადიან, სცენა ცალიერია. გარედან ხმაურობა მოისმის. გამოივლის ფირსი, თან ჯოხს ებჯინება. ძველებური ლივრეი აცვია, მაღალი ქუდი ხურავს. ეტყობა ბატონების შესახვედრად ყოფილა. ერთთავად რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებს. ხმაურობა კულისებში თანდათან ემატება. ისმის: „აქეთ გამოიარეთ, აქეთ“ შემოდიან: ლუბა ანდრეევნა, ანნა, შარლოტა ივანოვნა, რომელსაც ჯაჭვით პატარა ფინიალ მოჰყავს, ვარო პალტოთი და თავზე შალ-მოხვეული, გაევი, სიმონოვ-პიშჩიკი, ლოპახინი, დუნიაშა ბოღჩითა და ქოლგით და მოსამსახურეები – ბარგით).

ანნა: ასე გავიაროთ, დედილო, გახსოვს ეს ოთახი?

ლუბა. ანდ.: (სიხარულით ცრემლები ერევა) ბავშვების ოთახია!

ვარო: რა სიცივეა! ხელები მთლად გამეყინა. (ლუბა. ანდ.) თქვენი ოთახები, დედილო, თეთრი და იისფერი, ისევ ისე დაგახვედრეთ.

ლუბა ანდ.: ბავშვების ოთახი! ჩემო საყვარელო, კოხტა ოთახო... აი, აქ მეძინა ხოლმე, როდესაც პატარა ვიყავი. (ტირილით) ახლაც, თითქო ისევ ბავშვი ვიყო, ისე მიხარის. (ჰკოცნის ძმას, ვაროს, ისევ ძმას). ვარო, შენც ისევ

ისა ხარ, შოლოზანსა ჰგევხარ. აი, დუნიაშაც ვიცანი. (ჰკოცნის დუნიაშას).

გაევი: მატარებელმა ორ საათს დაიგვიანა. როგორ მოგწონთ? რა უწესოებაა!

შარლოტა: (პიშჩიკს) ჩემი ძაღლი თხილსაცა სჭამს.

პიშჩიკი: (გაკვირვებით) წარმოიდგინეთ! (ყველანი გადიან, ანნასა და დუნიაშას გარდა).

დუნიაშა: თქვენს ლოდინში სული დაგველია... (ხსნის შლიაპს, პალტოს).

ანნა: ოთხი ღამეა, არა მძინებია: ამ დილას ხომ სულ გავიყინე.

დუნიაშა: დიდ მარხვაში რომ წახვედით, მაშინ უფრო თოვლიც იყო და ყინვაცა... ახლა-კი? ჩემო სასურველო ქალბატონო... (თან იცინის, თან ჰკოცნის) ძლივს მოვესწარ თქვენს მოსვლას, ჩვენო სიხარულო, ჩვენო მანათობელო... რაღაცა მაქვს სათქმელი, ეხლავე უნდა გითხრა ერთ წამსაც ვერ მოვითმენ.

ანნა: (ზარმაცად) კიდევ რა?

დუნიაშა: კანტორშჩიკი ეპიხოდოვი აღდგომის შემდეგ ცოლათ მთხოულობს.

ანნა: შენ სხვა არა გახსოვს-რა. (თმებს ისწორებს) ყველა შპილკები დავკარგე... (დაღალვისაგან თითქმის ბარბაცებს).

დუნიაშა: არ ვიცი, რა ვქნა... ისე ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ, რომ...

ანნა: (შესცქერის თავის ოთახის კარებს და ალერსით) ჩემი ოთახი, ჩემი ფანჯარა! თითქო სულაც არსად წავსულვარ... ჩემს სახლში ვარ! ხვალ დილას ავდგები, გავიქცევი ბაღში... ოხ, ნეტავი ეხლა-კი დამეძინოს და! მთელი გზა ისე გამოვიარე, რომ არა მძინებია. სულ რაღაც მაწუხებდა...

დუნიაშა: ეს სამი დღეა, პეტრე სერგეიჩი აქა ბრძანდება.

ანნა: (სიხარულით) პეტო!

დუნიაშა: აბანოში სძინავს, იქვე სცხოვრობს. სულ იმას გაიძახის, მეშინიან, არავინ შევაწუხოო (უბის საათს შინ-

ჯავს) ახლა-კი დროა, რომ გავაღვიძო. მაგრამ ვარვარა მიხაილოვნამ ამიკრძალა, ნუ გააღვიძებ, შენი საქმე არ არისო. (შემოდის ვარო. წელზე გასაღებების გროვა ჰკიდია).

ვარო: დუნიაშა, ჩქარა ყავა დაამზადე, დედა თხოულობს.

დუნიაშა: ამ წუთში (გადის).

ვარო: (ალერსით) მადლობა ღმერთს, ძლივს მოხვედი. ისევ შენ სახლში ხარ, ჩემო სულიკო, ჩემო მშვენიერო.

ანნა: იჰ, ვარო, რაც მე გაჭირება გამოვიარე!

ვარო: წარმოდგენილი მაქვს, ჩემო კარგო.

ანნა: აქედან ხომ ჯვარცმის კვირაში წავედი, ძალიან სიცივე იყო. შარლოტა გზაში სულ ყბედობდა. ათასნაირ ფოკუსებს აკეთებდა, გამიჭირა საქმე. ნეტა ვიცოდე, რა საჭირო იყო, რომ ამიკვიატე!

ვარო: ჩემო მტრედო, ჩვიდმეტი წლის ქალი ხარ და როგორ შეიძლებოდა შენი მარტო მგზავრობა!

ანნა: მივედით პარიზში. იქაც სიცივე, თოვლი. ამას გარდა ხომ იცი, რომ ფრანგულს გლახად ვლაპარაკობ, როგორც იყო მივაგენით დედის ბინას. სადღაც მეხუთე სართულში იდგა. მივედით, ვნახოთ: სხედან ვიღაც ფრანგები: კაცები, ქალები, ბებერი პატრი – წიგნით ხელში. საძაგელი თუთუნის სუნი იდგა. ოთახი არეულ-დარეული. საშინლად შემეცოდა საწყალი დედა, ისე შემეცოდა, რომ მივვარდი, ჩავიკარ გულში და ვეღარ ვიშორებდი. დედამაც დამიწყო ალერსი და თან ტიროდა.

ვარო: (თვალცრემლიანი) კარგი, კარგი, ნუღარას მეტყვი, ნუღარას!

ანნა: მენტონთის ახლოს რომ სააგარაკო სახლი ჰქონდა დედას, უკვე გაუყიდნია. აღარაფერი არ დარჩენია, სულ დაუხარჯავს. მეც, რაც მქონდა, სულ დავხარჯე, ერთი გროში აღარ დამრჩა, სახლამდის ძლივს მოვახწიეთ. დედამ კი ამაებისა სულ არაფერი იცის, არაფერი ესმის. გადავიდოდა ხოლმე სადგურზე, სასადილო ოთახში და სულ ძვირფასს საჭმელებს თხოულობდა, ლაქიებსაც საჩუქრათ სულ თითო მანათობით ურიგებდა. ახლა

შარლოტას ცალკე კერძი, იაშაც-კი ცალკე თხოულობდა საშინელებაა!... იცი, იაშა ვინ არის? დედას მოსამსახურეა, თან მოვიყვანეთ.

ვარო: ვნახე ის ვიღაც უსირცხვილო იაშაა.

ანნა: რა ჰქენით? როგორ არის საქმე? შეიტანეთ ბანკში სარგებელი?

ვარო: სად არის

ანნა: ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ვარო: აგვისტოშია დანიშნული საჯარო ვაჭრობა.

ანნა: ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ლოპახინი: (შემოიხედავს კარებში და ძროხასავით ბღავის) მეეე!... (გადის).

ვარო: (ცრემლ მორეული) ოხ, ერთი მაგისთვის მაცემინა! (მუსტს უღერებს).

ანნა: (ეხვევა და ჩუმად) ვარო, ცოლათ გითხოვა? (ვარო უარის ნიშნად თავს იქნევს) ხომ უყვარხარ მაგ კაცს... რატომ არას ეტყვით ერთმანეთს? რას გაჩუმებულხართ?

ვარო: მე ასე მგონია, რომ ჩვენს შორის არაფერი არ მოხდება. ეგ დიდი საქმის კაცია და რა ჩემი ჯავრი აქვს. ყურადღებასაც არ მაქცევს. ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ნეტა თვალითაც აღარ დამენახვებოდეს. მთელი ქვეყანა ჩვენს შეუღლებაზე ლაპარაკობს, ყველა მილოცავს და საქმით კი არაფერი სჩანს. ღმერთმანი თითქო სიზმარში ვარ... (ხმას იცვლის) შენი ბროშკა რა სხვანაირია, თითქო ფუტკარი გაზისო.

ანნა: (შეწუხებული) დედამ მიყიდა (მიდის თავის ოთახისაკენ და მხიარულად, ბავშვურად ლაპარაკობს) იცი, რა გითხრა, ვარო: პარიჟში ჰაეროსტატით ვიფრინე!

ვარო: ჩემო სულიკო, ძლივს არ მოხვედი, ჩემო მშვენიერო. (დუნიაშას შემოაქვს ყავადანი და ყავას ამზადებს).

ვარო: (კარებთან დგას) ჩემო გვრიტო, მთელ დღეს ოჯახში რომ დავტრიალებ, სულ იმაზე ვფიქრობ: ნეტა, ერთი გავათხოვო ჩემი ანნა, შევრთო მდიდარი კაცი და მოვისვენო-მეთქი. წავალ მერე უდაბნოში, –კიევში... მოსკოვში და

ასე ვივლიდი და ვივლიდი წმინდა ადგილების თაყვან-საცემლად. ოჰ, რა სულის ნეტარება იქნებოდა!..

ანნა: ჩიტებმა ჭიკჭიკი, დაიწყეს, რამდენი საათია?

ვარო: სამი უნდა იყოს. შენი დაძინების დროა, ჩემო კარგო. (შედის ანნას ოთახში) რა სულის ნეტარება იქნებოდა!... (შემოდის იაშა ჩამადნით ხელში. პლედი ასხია).

იაშა: (ზრდილობიანის ნაბიჯით) შეიძლება ასე გავიარო?

დუნიაშა: ვეღარც-კი გიცნობთ კაცი, იაშა! ძალიან გამოცვლილხართ საზღვარ გარეთ!

იაშა: თქვენ ვინა ბრძანდებით?

დუნიაშა: როდესაც თქვენ აქედან წახველით. მე, აი, ამოდენა ვიყავი, (აჩვენებს ხელით იატაკიდან) დუნიაშა ვარ, თევდორე კოზოედოვის ქალი. არ გახსოვართ?

იაშა: ჰმ... კიტრივით კი ხარ გარგვალებული. (აქეთ-იქით მიიხედავს, მოეხვევა და აკოცებს. დუნიაშა შეჰკივლებ და ლამბაქი ხელიდან გაუვარდება. იაშა საჩქაროდ გადის).

ვარო: (უკმაყოფილოდ იძახის კარებიდან) რა ამბივია?

დუნიაშა: (ტირილით) ლამბაქი გამიტყდა.

ვარო: ეგ კარგი ნიშანია.

ანნა: (გამოდის) დედას უნდა შევატყობინოთ, რომ პეტო აქ არის.

ვარო: მე ნაბრძანები მაქვს, რომ პეტო უჩემოთ არ გააღვიძონ.

ანნა: (დაფიქრებული) ექვსი წლის წინად მამა–ჩემი გარდაიცვალა. ერთის თვის შემდეგ ძმა დამეხრჩო. დამეხრჩო, ჩემი საყვარელი, ლამაზი, ყოჩაღი ძამია გრიშა. დედამ ეს ვეღარ აიტანა და წავიდა. წავიდა ისე, რომ უკან აღარ მოუხედნია. (მწუხარედ) რომ იცოდეს ჩემმა დედილომ, როგორ თანავუგრძნობ! (პაუზა) პეტრე ტროფიმოვი გრიშას მასწავლებელი იყო. მას შემდეგ დედას არ უნახავს და ახლა მისი დანახვა მწუხარებას განუახლებს. (შემოდის ფირსი პიჯაკით და თეთრი ჟილეტით).

ფირსი: (მიდის ყავადანთან და ფათურობს) ქალბატონი აქ მიირთმევს ყავას... (იცვამს თეთრს ხელთათმანებს) ყავა მზად არის? (დუნიაშას) შენ, ეი! ნაღები სადღაა?

დუნიაშა: ოხ, ღმერთო ჩემო!... (საჩქაროდ გადის).

ფირსი: (ყავადანთან ფუსფუსებს) ოხ, მოუშუშარი! (ბუტბუტებს) მოვიდნენ... პარიჟიდან... ერთ დროს დიდი ბატონიც ყოფილა პარიჟში... ეკიპაჟით... (იცინის).

ვარო: რას ბუტბუტებ, ფირს?

ფირსი: რა გნებავთ? (მხიარულად) რაკი ჩემი ქალბატონის მოსვლას მოვესწარ, ახლა თუნდაც მოვკვდე!.. (სიხარულით სტირის. შემოდიან ლუბა ანდრევნა, გაევი და სიმონოვ-პიშჩიკი. პიშჩიკს აცვია გლეხური შავ-მაუდის ტანისამოსი. გაევი ტანში ისე ირხევა და ხელებს ისე აქნევს, თითქო, ბილლიარდს თამაშობსო).

ლიუბ. ანდ.: როგორ იყო? დაიცა, მოვიგონო: **жёлтого въ уголъ! дуплетъ въ середину!**

გაევი: **Ръжу въ уголъ!** ერთ დროს, ჩემო დაო, მე და შენ ამ ოთახში გვეძინა ხოლმე, ახლა კი მე აგერ 51 წლისა ვარ. განა ეს უცნაური რამ არ არის?

ლოპახინი: დიახ, დრო მიფრინავს.

გაევი: რაო?

ლოპახინი: დრო მიფრინავს-მეთქი.

გაევი: აქ რაღაც პაჩულის სუნი დგას.

ანნა: წავალ, დავიძინებ. ღამე მშვიდობისა, დედა! (ჰკოცნის დედას).

ლუბა ანდ.: ჩემო ძვირფასო შვილო. (ხელებს უკოცნის) გიხარიან, რომ შენ სახლში დაბრუნდი? მე ჯერ გონებას ვერ მოვსულვარ.

ანნა: ნახვამდის, ძია.

გაევი: (ჰკოცნის პირსა და ხელებზე) ღმერთმა დღე მოგცეს, რანაირად ჰგევხარ დედაშენს! (დას) ლუბა, ამის ხანში შენ სწორეთ ასეთი იყავი, (ანნა ლოპახინსა და პიშჩიკს ხელს ჩამოართმევს, გადის და კარგს გაიხურავს).

ლუბა ანდ.: მგზავრობაში ძალიან დაიღალა.

პიშჩიკი: დიდი გზა გამოიარეთ, ქალბატონო!

ვარო: (ლოპახინს და პიშჩიკს) აბა, ბატონებო, რას აპირებთ? სამი საათია, ძილის დროა და მგონი წაბრძანების დროც უნდა იყოს.

ლუბა ანდ.: (იცინის) შენ ისევ ის ვარო ხარ. (ჰკოცნის) აი, დავლევთ და ყველანი წავალთ. (ფირსი ფეხებს ქვეშ ბალიშს უდებს) მადლობელი ვარ, ჩემო კარგო! ყავასა ვარ შეჩვეული; დღეცა ვსვამ და ღამეც. მადლობელი ვარ, ჩემო ბებრუხანა ფირსო! (ჰკოცნის ფირსს).

ვარო: აბა ერთი ვნახო, სულ ბარგი მოიტანეს თუ არა (გადის).

ლუბა ანდ.: ნუ თუ ჩემ სახლში ვარ? (იცინის) მინდა ვიცინო, ვიხტუნო! (პირზე ხელებს აფარებს) ხომ არა მძინავს! ღმერთმა ხომ იცის, მიყვარს ჩემი სამშობლო, გულით მიყვარს. ვაგონიდან ვერ ვიხედებოდი, სულ მეტირებოდა. (ცრემლებით) ეს ყავა გაცივდა, უნდა დავლიო. მადლობელი ვარ, ფირსო, მადლობელი, ჩემო ბებრუცუნა! რა მიხარის, რომ ისევ ცოცხალი დამიხვდი.

ფირსი: გუშინწინ.

გაევი: ყართ აკლია.

ლოპახინი: ამ დილით ხუთ საათზე ხარკოვს მივდივარ. რა რიგად მწყინს: გულით მინდოდა ცოტა ხანს თქვენთან დავრჩენილიყავ, თქვენთან მელაპარაკნა... თქვე ისეთივე მშვენიერი გართ.

პიშჩიკი: (ძლივს სუნთქავს) უფროც გალამაზებულა... ნამდვილ პარიზულათაა ჩაცმული... ეჰ, **пропала моя телъга**...

ლოპახინი: თქვენიუ ძმა, ლეონიდ ანდრეიჩი, მე გაუთლელს, ჩარჩს, წურბელას მეძახის, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ, რაც უნდა, ის დამარქვას. მე მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენ, უწინდებულად შემომხედოთ ხოლმე. ღმერთო მოწყალეო! მამაჩემი თქვენი მამა-პაპის ყმა იყო, მაგრამ თქვენ, განსაკუთრებით თქვენ, ერთ დროს ისეთი დიდი სიკეთე მიყავით, რომ სრულიად დამავიწყდა ყმის შვილობა, და შემიყვარდით ისე, როგორც საკუთარი ნათესავი... არა ნათესავზე უფრო მეტად.

ლუბა ანდ.: ერთ ადგილს გაჩერება არ შემიძლიან. (წამოდგება და აღელვებული დადის) ვერ ავიტან ამდენს სიხარულს... დამცინეთ ამ სისულელისათვის... შკაფო, ჩემო ნათესავო! არა, ნათესავზე მეტი ხარ ჩემთვის. (ჰკოცნის შკაფს) ჩემო მაგიდავ!

გაევი: შენს იქ ყოფნაში საწყალი ძიძა გარდაიცვალა.

ლუბა ანდ.: (დაჯდება და ყავას სვამს) გავიგე. ღმერთმა აცხონოს, მწერდნენ მის სიკვდილს.

გაევი: ანასტასიაც მოკვდა. ელამი პეტრე რომ მყავდა, გამექცა და ახლა ქალაქში დგას ბოქაულთან.

(ჯიბიდან ამოიღებს კოლოფით ყინვარე შაქარს და ერთ ნატეხს პირში იდებს).

პიშჩიკი: ჩემი ქალი დაშა მოკითხვასა გწერთ.

ლოპახინი: ძალიან გულით მინდა სასიამოვნო, სამხიარულო გითხრათ რამე. (შინჯავს საათს) მაგრამ ახლავ უნდა წავიდე, სალაპარაკო დრო აღარა მაქვს... ერთი-ორი სიტყვით მოგახსენებთ: თქვენ, უეჭველია, გაგებული გექნებათ, რომ თქვენი ალუბლის ბაღი ვალში გეყიდებათ. 22-ს აგვისტოს არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა. მაგრამ თქვენ ნუ შესწუხდებით, ჩემო ძვირფასო, საქმეს ადვილად მოევლება. აი, რას გირჩევთ, ყური დამიგდეთ: თქვენი მამული ქალაქიდან ოცი ვერსტის მანძილზე მდებარეობს, ახლა გვერდით რკინის გზა გაიყვანეს და, თუ ალუბლის ბაღსა და მიწებს პატარ-პატარა სააგარაკო ადგილებად დაჰყოფთ და სააგარაკო სახლების ასაშენებლად იჯარით გასცემთ, წელინადში შემოსავალი გექნებათ, სულ ცოტა, ოცდახუთი ათასი მანეთი.

გაევი: უკაცრავათ კი არ გახლდეთ და, ეგ მტკნარი სისულელეა!

ლუბა ანდ.: ერმილე ალექსეიჩ, მე თქვენი ლაპარაკისა სრულიად არა მესმის-რა.

ლოპახინი: თქვენ თითო მოაგარაკესაგან ერთ დესეტინაში, სულ ცოტა, ოცდახუთს მანათს აიღებთ წელინადში და, ამას თუ ეხლავე გამოაცხადებთ, რაზედაც გინდათ და-

გენაძლევებით, რომ შემოდგომამდის არც ერთი დღიური აღარ დაგრჩებათ თავისუფალი, სულ დაიტაცებენ. ერთის სიტყვით, ეხლავე შემიძლიან მოგილოცოთ, რომ თავს დაიხსნით. ადგილმდებარეობა საუცხოვო აქვს თქვენს მამულს. იქვე გვერხე დიდი მდინარე ჩამოუდის. მხოლოდ, რასაკვირველია, მამულს გაწმენდა-გასუფთავება უნდა... უნდა დაინგრეს ყველა ძველი შენობა, აი, ვთქვათ ეს სახლი, რომელიც ეხლა აღარაფრისთვის აღარ ვარგა, უნდა გაიჩეხოს ძველი ალუბლის ხეები.

ლუბა ანდ.: გაიჩეხოს?! ჩემო კარგო, უკაცრავათ და, თქვენ სრულიად არაფერი გესმით! მთელს გუბერნიაში თუ არის რამე შესანიშნავი, ეს მხოლოდ ჩვენი ალუბლის ბაღია.

ლოპახინი: შესანიშნავი მხოლოდ იმითია, რომ მეტად დიდი ადგილი უჭირავს. ალუბალი ორწელიწადში ერთხელ ისხამს და ისიც ვერ გამოგიყენებიათ, არა საღდება, გასავალი არა აქვს.

გაევი: ენციკლოპედიურს ლექსიკონშიაც კი არის მოხსენებული ჩვენი ალუბლის ბაღი!

ლოპახინი: (საათს შინჯავს) თუ ეხლავე არ გადასწყვეტთ და ვერაფერს იღონებთ, 22 აგვისტოს ალუბლის ბაღიცა და მთელი მამულიც საჯარო ვაჭრობით გაგეყიდებათ. გადასწყვიტეთ ეხლავე, გეფიცებით, სხვა გზა არ არის, არა და არა!

ფირსი: უწინ, ამ ოცი-ორმოცდაათის წლის წინედ ალუბლისაგან ბევრს რამეებს აკეთებდნენ; კერკად ახმობდნენ, ჩურჩავდნენ, წნილად სდებდნენ, მურაბებს აკეთებდნენ. ამას გარდა კიდევ...

გაევი: გაჩუმდი, ფირსო.

ფირსი: გამხმარს ალუბალს ურმობითა გზავნიდნენ ხოლმე მოსკოვსა და ხარკოვში. ფოლიც მოდიოდა. იმ დროის გამხმარი ალუბალი მეტად გემრიელიც იყო, რბილი, ტკბილი, სუნნელოვანი... ეეჰ, იმდროს კარგად იცოდნენ ალუბლის ხელობა.

ლუბა ანდ.: რა უყვეს ახლა მაგ ხელობას.

ფირსი: დაივიწყეს, ქალბატონო, აღარავის ახსოვს.

პიშჩიკი: სხვაა? პარიზის ამბავი გვიამბეთ რამე. ბაყაყებს მიირთმევდით.

ლუბა ანდ.: ნიანგის ხორცს გიახლებოდით.

პიშჩიკი: (გაოცებული) ნუ თუ!!...

ლოპახინი: აქამდის სოფლებში ცხოვრობდნენ მხოლოდ მებატონეები და ყმები, ახლა-კი მოაგარაკეები გამოჩნდნენ. თითქმის ყველა ქალაქებს, პატარებსაც-კი აგარაკები არტყია. ოცის წლის შემდეგ ძალიან გამრავლდება. ეხლა ისინი მხოლოდ ჩაისა და სადილ-ვახშამს მიირთმევენ სოფელში, მაგრამ მოვა ის დროც, რომ მეაგარაკეები მეურნეობასაც დაიწყებენ, და მაშინ თქვენი ალუბლის ბაღი უფრო გამშვენიერდება, გამდიდრდება, გაბედნიერდება...

გაევი: (შფოთავს) რა სისულელეა! (შემოდიან ვარო და იაშა).

ვარო: დედილო, ორი ტელეგრამაა თქვენ სახელზე (ეძებს გასაღებს და შკაფის კარს აღებს) აგერ!

ლუბა ანდ.: პარიზიდან არის (წაუკითხავად ხევს) პარიზიდან აღარაფერი ამბის მიღება არ მინდა – პარიზთან ყველაფერი საქმე გავათავე.

გაევი: იცი, ლუბა, ეს შკაფი რამდენი წლისაა? ამ ერთი კვირის წინედ უჯრა გამოვსწიე და ვხედავ, ზედ რიცხვია ამოჭრილი! ეს შკაფი თურმე სწორედ ამ ასის წლის წინედ არის გაკეთებული! რას იტყვი? ჰა? შეიძლება იუბილეი გავუმართოთ? თუმცა უსულო საგანია, მაგრამ, რაც გინდა სთქვი და, წიგნების შკაფია!

პიშჩიკი: ასი წელიწადი!... თქვენ წარმოიდგინეთ!...

გაევი: დიახ, ეს ძვირფასი (ხელს უსვამს შკაფს) ნივთია! დიდად პატივსაცემო შკაფო, მოვესალმები შენს ასის წლის არსებობას! ამ დროის განმავლობაში პირნათლაც ემსახურებოდი სიკეთისა და სიმართლის ნათელ იდეალს. შენი უტყვი მოწოდება ნაყოფიერ შრომისადმი არ შეჩერებულა ასის წლის განმავლობაში. შენ ამხნევებდი ჩვენს შთამომავლობას, რომ იგინი ყოფილიყვნენ ყოველის სიკეთით სრულნი და მორწმუნენი უკეთესის მო-

მავლისა. შენ ჩვენში ნერგავდი სიკეთისა და საზოგადო თვითცნობიერების იდეალს. (პაუზა).

ლოპახინი: დიახ!...

ლუბა ანდ.: შენ ისევ ის ლეო ხარ!

გაევი: (ცოტა დარცხვენით) Отъ шара на право въ уголъ! Ръжу среднюю!

ლოპახინი: (საათს უყურებს) ჩემი წასვლის დროა.

იაშა: (აწოდებს ლუბა ანდრეევნას კოლოფით ამბებს) აბებს ხო მარ ინებებთ?...

პიშჩიკი: აღარაფერი წამლობა აღარ გინდით, ჩემო კარგო, მაგ წამლებისაგან არა გამოდის-რა, არცა რგებს და არცა სწყენს. მიბოძეთაქა, (გამოართმევს აბების კოლოფს, დაიყრის ხელის გულზე, შეუბერავს, ერთბაშად ჩაიყრის პირში და ზედ კვასს დააყოლებს) აი, ასე უნდა.

ლუბა ანდ.: (შეშინებული) გაგიჟდით!

პიშჩიკი: სულ ყველა ერთათ გადავყლაპე.

ლოპახინი: სვავია, სწორედ, სვავი! (ყველა იცინის).

ფირსი: ეგ ბატონი აღდგომის შემდეგ ჩვენთან ბრძანდებოდა და ნახევარ ჩანახი კიტრი ერთბაშად შეჭამა (ბუტბუტებს გაუგებრად).

ლუბა ანდ.: რაო, რას, ამბობ?

ვარო: სამი წელიწადია, აგრე ბუტბუტებს. ჩვენ შევეჩვიეთ კიდეც.

იაშა: ეგ სიბერემ იცის. (შემოდის შარლოტა თეთრის კაბით. ძალიან გამხდარია და ძალიან ვიწროდ შეკერილი კაბა ლორნეტი წელზე ჰკიდია).

ლოპახინი: უკაცრავად, შარლოტა ივანოვნა, წელან სალამის მოცემა ვერ მოვასწარ (ხელზე კოცნას უპირობს).

შარლოტა: (ხელს გამოსტაცებს) ეხლა რომ ხელზე კოცნის ნება მოგცე, მერე კლავზე მომინდომებ კოცნას, შემდეგ მხარზე და...

ლოპახინი: დღეს ცუდ ფეხზე ავმდგარვარ. (ყველანი იცინიან) შარლოტა ივანოვნა, აბა რამე ფოკუსი გვაჩვენეთ.

შარლოტა: ქეიფზე არა ვარ, მეძინება (გადის).

ლოპახინი: მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (ლუბა ანდ. ხელზე ჰკოცნის) სამ კვირას უკან ვნახამთ. ახლა-კი დროა. (გაევს) ნახვამდის. (პიშჩიკს ჰკოცნის) ნახვამდის. (ხელს ართმევს ვაროს, შემდეგ ფირსსა და იაშას) მენანება, რომ გშორდებით. (ლუბა ანდრეევნას) თუ მოიფიქრებთ აგარაკების შესახებ და რამეს გადასწყვეტთ, შემატყობინეთ და სესხით გინდ ხუთი-ათასობით გიშოვით, კარგად მოიფიქრეთ.

ვარო: (გაჯავრებით) კარგი, წადით, და!

ლოპახინი: მივდივარ, მივდივარ... (გადის).

გაევი: გაუთლელი, ხეპრე, მაგრამ უკაცრავად... ეგ ხომ ვაროს საქმროა.

ვარო: ძია, ნუ იცით ეგ უალაგო ლაპარაკი.

ლუბა ანდ.: რატომ, ვარო, ძალიან მესიამოვნება თუ ლოპახინს შეირთავ, კარგი კაცია.

პიშჩიკი: უნდა გამოგიტყდეთ, რომ... ყოვლად პატიოსანია. ჩემი დაშაც... ისიც ამბობს, რომ... რაღაებსაც ამბობს... (ხვრინავს. მალე ფხიზლდება) ეგ იქით იყოს და, ჩემო ძვირფასო, მომეცით... მასესხეთ ორას ორმოცი მანათი... ხვალ გირავნობის სარგებელი უნდა შევიტანო.

ვარო: არა გვაქვს, არა!

ლუბა ანდ.: მართლაც, არაფერი არა მაქვს.

პიშჩიკი: მოვახერხოთ. (სიცილით) მე კიდევ იმედი მაქვს. ყოველთვის ასე მემართებოდა ხოლმე. რომ ვფიქრობდი, ე სარის ყველა იმედი დაკარგულია და ვიღუპები-მეთქი, ჩემს მამულში რკინის გზა გაიყვანეს... და ფულები მომცეს. დღეს ან ხვალ შეიძლება კიდევ რამე მოხდეს... შეიძლება ჩემმა დაშამ ორასი ათასი მოიგოს, ბილეთი აქვს.

ლუბა ანდ.: ყავას მოვრჩით. ახლა შეიძლება დავიძინოთ?

ფირსი: (ჩოთქით უწმენდავს გაევს ტანისამოსს და თან არიგებს) თქვენ კიდევ ის შარვალი არ ჩაგივცამთ! რა უნდა გიყოთ კაცმა, ღმერთმანი!

ვარო: (ჩურჩულით) ანნას სძინავს. (ფრთხილად აღებს ფანჯარას) მზე კიდეც ამოვიდა. აღარცა ცივა. დედილო,

ერთი შეხედეთ რა მშვენიერი სანახავია ხეები! ღმერთო ჩემო! რა ჰაერია! შოშიებიც გალობენ.

გაევი: (აღებს მეორე ფანჯარას) მთელი ბაღი გადათეთრებულია. გახსოვს, ლუბა, ეს გრძელი ხეივანი? რა სწორეა, საბელივით კი გაჭიმულა! ხო მარ დაგავიწყდა, მთვარიან ღამეში როგორ კაშკაშებს ხოლმე?

ლუბა ანდ.: (ფანჯრიდან გაჰყურებს ბაღს) ოხ, ჩემო უმანკოებავ, ჩემო სიყმაწივლევ! ამ ოთახში მეძინა ხოლმე. ყოველ დღე რა ბედნიერად ვიღვიძებდი. აქედან გავყურებდი ჩემ,ს საყვარელს ბაღს, მაშინაც ამისთანა იყო, არაფერი ცვლილება არა მომხდარა-რა. (სიამოვნებით იცინის) მთლად, მთლად თეთრად გადაპენტილა! ოხ, ჩემო ბაღო! მოღუშულ შემოდგომისა და ცივ ზამთრის შემდეგ, შენ ისევ ისე ნორჩი და მოღიმარი ხარ. კეთილი ანგელოზები არ გაშორებენ თავიანთ მოწყალე კალთას... ოხ, რომ შეიძლებოდეს იმ მძიმე მწუხარების მოშორება, რომელიც ისე ლოდივით მაწევს გულზე... რომ შემეძლოს ჩემი წარსულის დავიწყება.

გაევი: ეს ბაღიც უნდა ვალში გაიყიდოს! უსამართლობა არ არის!

ლუბა ანდ.: შეხედეთ, განსვენებული დედაჩემი ბაღიდან მოდის... თეთრი კაბა აცვია! (მხიარულის სახით) ის არის, ის!

გაევი: სად არის?

ვარო: ღმერთო ჩემო! რა დაგემართათ, დედავ?

ლუბა ანდ.: არავინაც არ არის, მომეჩვენა. მარჯვნივ, ფანჩატურის გვერდით, მოსახვევთან თეთრად აყვავებული ხეა, ისე ინძრეოდა, რომ ნამდვილად ქალს ჰგავდა. (შემოდის ტროფიმოვი სტუდენტის გახუნებულ ტანისამოსით). გასაოცარი ბაღია! თეთრი ყვავილების ზღვა... ფირუზის ფერი ცა...

ტროფიმოვი: ლუბა ანდრეევნა! (ლუბა შენიშნავს ტროფიმოვს) მე მხოლოდ სალამს მოგცემთ და მაშინვე წავალ. (ხელზე ჰკოცნის) მიბრძანეს, რომ დილამდის არ გჩვენებოდით, მაგრამ ვერ მოვითმინე!.. (ლუბა ანდრეევნა გაშტრებით შესცქერის).

ვარო: (თვალ-ცრემლიანი) ეს, დედა, პეტრე ტროფიმოვია.

ტროფიმოვი: თქვენი გრიშას მასწავლებელი... განა ისე გამოვიცვალე? (ლუბა ანდრევნა თან ეხვავდა თან ტირის).

გაევი: (დარცხვენით) კმარა, კმარა, ლუბა!

ვარო: (ტირის) ხომ გითხარით, პეტრე, ხვალემდის მოიცადეთ-მეთქი...

ლუბა ანდ.: ჩემო გრიშა... ჩემო ბიჭიკო... ჩემო შვილო...

ვარო: რა გაეწყობა, დედილო, ნება ღვთისა ასრულდა.

ტროფიმოვი: (თვალცრემლიანი, ალერსით) კმარა, გეყოფათ...

ლუბა ანდ.: (ჩუმად ქვითინებს) დაიღუპა ბავშვი, დაირჩო... რათა, რისთვის, რისთვის, ჩემო კარგო! (ჩუმად) ანნას სძინავს და მე კი ასე ხმა-მაღლა ვლაპარაკობ!.. ვხმაურობ... სხვა, პეტრე? რანაირად წამხდარხარ, დაბერებულხარ!

ტროფიმოვი: ვაგონში ერთმა დედაკაცმა გაქუცული ბატონო დამარქვა.

ლუბა ანდ.: მაშინ სულ ბავშვი იყავი, საყვარელი სტუდენტი. ახლა თმა გაგთხელებია!... ეს სათვალეები... განა ისევ სტუდენტი ხარ? (მიდის კარებისაკენ).

ტროფიმოვი: მგონია, თავის დღეში სტუდენტადაც დავრჩები.

ლუბა ანდ.: (ჰკოცნის ჯერ ძმას, მერე ვაროს) წადით, დაიძინეთ... ჩემო ლეონიდ, შენც დამიბერდი.

პიშჩიკი: (მისდევს უკან) იძინებთ... ოხ, ქარები, ქარები! გამიჭირა საქმე. მე აქ დავრჩები თქვენთან... ლუბა ანდრეევნა, ჩემო სულო, ხვალისათვის ორას ორმოცი მანათი...

გაევი: ეს ისევ თავისას გაიძახის!

პიშჩიკი: ორას ორმოცი მანათი... ზაკლადნოის სარგებელი უნდა შევიტანო.

ლუბა ანდ.: ფული სრულებით არა მაქვს, ჩემო კარგო.

პიშჩიკი: ჩემო სიცოცხლევ, ისევ მალე მოგართმევ... რა დიდი რამ არის.

ლუბა ანდ.: კარგი, ლეონიდი მოგცემს... მიეცი ლეონიდ...

გაევი: მივართმევ, როგორ არა! ჯიბის პირი გაიხსნა.

ლუბა ანდ.: რა გაეწყობა, მიეცი... ისევ მალე მოგცემს. (ლუბა ანდრევნა, ტროფიმოვი და პიშჩიკი გადიან).

გაევი: ჩემი დაჲ კიდევ არ გადაჩვეულა ფულების ფანტვას. (იაშას) მოგვშორდი, თუ დმერთი გწამს, რა ქათამივით დაფრატუნობ.

იაშა: (ღიმილით) არ გამოცვლილხართ, ლეონიდ ანდრეიჩ!

გაევი: რაო? (ვაროს) რა სთქვა?

ვარო: (იაშას) სოფლიდან დედაშენი ჩამოვიდა, გუშინდელს აქეთია, სამზარეულოში ზის, შენი ნახვა უნდა.

იაშა: სწორეთ იმის ჯავრი მაქვს.

ვარო: რა უსვინდისო ხარ!

იაშა: ძალიან საჭიროა, განა ხვალ ვერ მივიდოდა. (გადის).

ვარო: მართლა ისევ ის არის, დედა, სრულიად არ გამოცვლილა! რომ შეეძლოს, რაც რომ ხელში მოხვდება, სულ აქეთ-იქით დაარიგებს.

გაევი: დიახ... (პაუზა) როდესაც რომელისამე სენის მოსარჩენად ავათმყოფს სხვადასხვა წამლის მიღებას ურჩევენ, ეს იმას ნიშნავს რომ სენი უკურნებელია. ბევრსა ვფიქრობ, თავს ვიტეხ, ბევრი ღონისძიება მაქვს, ძალიან ბევრიც, მაგრამ გამოდის, რომ არც ერთიც არა მქონია... კარგი იქნება, რომ ვისგანმე მემკვიდრეობა დამრჩეს. კარგი იქნება, რომ ანნამ მდიდარი კაცი შეირთოს, კარგი იქნება, რომ იაროსლავში ნავიდე და მამიდა გრაფინიას გამოვცინცლო რამე... მამიდა ხომ ძალიან მდიდარია.

ვარო: (ტირილით) თუ ღმერთი შეგვეწია.

გაევი: ნუ სტირი... მამიდა ჩემი ძალიან მდიდარია, მაგრამ ჩვენ იმას არაფრად მივაჩნივართ. ამის მიზეზი პირველი ის არის, რომ ჩემმა დამ შეირთო ვექილი, რომელიც კეთილშობილის ჩამომავლობისა არ იყო. (ანნა გამოჩნდება კარებში) კეთილშობილი არ იყო. ამას გარდა, კაცმა მართალი უნდა თქვას, ლუბას ვერც ეჭირა თავი კარგათ. კარგი რამ არის, კეთილი, მე ძალიან მიყვარს

ჩემი დაჲ, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ, რაც უნდა ვეცადო, მაინც სახელს ვერ გავუწმენდ, ის შემცოდეა. ეს ერთი შეხედვითვე ეტყობა.

ვარო: (ჩურჩულით) ანნა კარებში სდგას.

გაევი: რაო? (პაუზა) საკვირველია, მარჯვენა თვალში რაღაც ჩამივარდა... გლახად ვხედავ. ოთხშაბათს სამსახურში რომ ვიყავი... (შემოდის ანნა).

ვარო: ანნა, რატომ არ გძინავს?

ანნა: ბევრს ვეცადე, მაგრამ არ დამეძინა.

გაევი: ჩემო პატარავ. (ჰკოცნის ანნას ხელსა და პირზე) ჩემო შვილო!.. (თვალცრემლიანი) შენ დისწული კი არა ხარ ჩემი, ანგელოზი ხარ. შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ. ამაზე დარწმუნებული იყავ.

ანნა: დარწმუნებული ვარ, ძია. შენც ყველას უყვარხარ, ყველა პატივსა გცემს. მაგრამ, ჩემო საყვარელო ძია, რომ გაჩუმებული იყო ხოლმე, ის უმჯობესი იქნება. რას ლაპარაკობდი ამ წამში დედაჩემზე, შენს დაზე? რა საჭირო იყო იმისი თქმა.

გაევი: დიახ, დიახ... (ანნას ხელებს სახეზე მიიფარებს) მართლა რომ საშინელებაა! ღმერთო ჩემო, შენ დამიფარე! დღეს შკაფსაც კი ქება-დიდება შევასხი!... რა მივქარე!... როდესაც გავჩუმდი, მაშინ ვიგრძენ, რომ სისულელე მომივიდა!

ვარო: მართლა, ძია, უნდა ჩუმად იყო ხოლმე, ნუღარას ილაპარაკებთ და ის უკეთესი იქნება.

ანნა: შენთვის კარგია, – თუ ჩუმად იქნები, უფრო დამშვიდებით იცხოვრებ.

გაევი: ჩუმად ვიქნები. (ანნას და ვაროს ხელზე ჰკოცნის) ჩუმად ვიქნები. მხოლოდ საქმეზე ვილაპარაკებ. ოთხშაბათს სასამართლოში ვიყავი. შემოვიდნენ ვიღაც-ვიღაცეები. ჩამოვარდა ლაპარაკიო აქეთურზე-იქითურზე და, მგონია, მოვახერხებ ვექსილით ფულის შოვნას, რომ ბანკში სარგებელი შევიტანო.

ვარო: თუ ღმერთმა ქნა და მოხერხდა.

გაევი: სამშაბათს წავალ და კიდევ მოველაპარაკები. (ვაროს) შენ ნუ სტირი (ანნას) დედაშენი ლოპახინს მოელაპარაკება, იმედია, უარს არ ეტყვის... შენ კი ჯერ ცოტა შეისვენე და იაროსლავში წადი პაპიდა შენ გრაფინიასთან. ასე, ჩემო კარგო, დავტრიალდეთ სამივე და, იმედია საქმეს გავაკეთებთ, დარწმუნებული ვარ, სარგებელს შევიტანთ... (იდებს პირში შაქრისყინულს) გეფიცებით ჩემს პატიოსნებას, რომ მამული არ გაგვეყიდება, (აღტაცებით) გეფიცებით ჩემს ბედს. აი ჩემი ხელი, თუ მე იქამდის მივიყვანო საქმე, რომ საჯარო ვაჭრობით ჩვენი მამული გაიყიდოს, მაშინ, რაც გინდათ, ის დამიძახეთ, წამხდარი, გაფუჭებული, უსვინდისო.

ანნა: (დამშვიდდება და ღიმილით) რა კარგი რამ ხარ, ძიავ, რა ჭკვიანი! (ეხვევა) მე ეხლა დამშვიდებული ვარ, ბედნიერი. (შემოდის ფირსი).

ფირსი: (საყვედურით) ლეონიდ ანდრეიჩ! ღმერთი არა გწამთ, როდის-ღა უნდა გამოიძინთ?

გაევი: ეხლავე, ეხლავე, შენ წადი, ფირს. რაც გახდეს, – გახდეს. მე თითონ გავიხდი. აბა, შვილებო, ნანაი... დანარჩენი ხვალ, ახლა კი დაიძინეთ. (ჰკოცნის ანნას და ვაროს) მე ოთხმოციანი წლების ადამიანი ვარ... თუმცა იმ დროის ხალხს მიმართულებას არ უქებენ, მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვა, ბევრი უსიამოვნება შემხვედრია ჩემი მიმართულების წყალობით. ტყუილად კი არ ვუყვარვარ გლეხობას. გლეხ კაცს უნდა იცნობდე კარგად, უნდა იცნობდე როგორის...

ანნა: კიდევ დაიწყე, ძიავ?

ვარო: ჩუმად იყავი, ძიავ!

ფირსი: ლეონიდ ანდრეიჩ!

გაევი: მივდივარ, მივდივარ... დაწექით. Отъ двухъ бортовъ (გადის ფირსი უკან მისდევს).

ანნა: სრულიად გულ-დამშვიდებული ვარ. იაროსლავში წასვლა ახლა არაფრად მიამება, სწორე გითხრა, არც მამიდა გრაფინიას ნახვა მეჭაშნიკება რათმე, მაგრამ მაინც

კმაყოფილი ვარ, დამშვიდებული. რა მადლობელი ვარ ბიძაჩემისა! (ჯდება).

ვარო: ძილის დროა, ახლა კი წავალ. რა საძაგლობა იყო აქაურობა უშენოთ. ძველ დარბაზში, ხომ იცი, ბებერი მოსამსახურეები სცხოვრობენ: ექვთიმე, პოლია, ესტატე და კარპე. ესენი ისე გათამამდნენ, რომ ყველა მაწანწალას სახლში იწვევდნენ. მე გაჩუმებული ვიყავი, არას ვამბობდი. ერთიც ვნახოთ, ხმა გავარდა, ვითომც მე მებრძანებინოს, რომ იმათ ცალიერა ცერცვის მეტს ნურას აჭმევთო. გესმის, ვითომ ეს სიძუნწით მომდიოდეს. თურმე ვინ ავრცელებს ამ ხმებს, იცი? ბებერი ესტატე. მაშ კარგი-მეთქი, თუ აგრეა, დამაცადეთ, რას გიზამთ-მეთქი!... დავიბარე ესტატე... (ამთქნარებს) მობრძანდა... ესტატე, ვეკითხები, რად გითქვამს შენ ესა და ეს, შე სულელო-მეთქი. (შეხედავს ანნას) ანეტა!... (პაუზა) დაუძინია!... (ხელსა ჰკიდებს) წამოდი, ლოგინში დაწექი, ჩემო სულიკო. (მიჰყავს) ჩემმა მტრედმა დაიძინა... წამოდი, გენაცვალე (მიდიან. შორიდან მოისმის სალამურის ხმა. ტროფიმოვი გამოივლის სცენაზე და, რომ დაინახავს მიმავალს ქალებს, შეჩერდება).

ვარო: სსსუ... სძინავს... წამოდი, ჩემო კარგო.

ანნა: (ბურანშია, ნელა ლაპარაკობს) ძალიან დავიღალე... ყველა ზარები... საყვარელო... ძია... დედა... ძია...

ვარო: წამოდი, ჩემო დაიკო, წამოდი... (გადიან ანნას ოთახში).

ტროფიმოვი: (აღელვებული) ჩემო მზევ! ჩემო გაზაფხულო!

ფარდა.

მოქმედება მეორე

(სცენა წარმოადგენს მინდორს. შუაზე მოჩანს ძველი, გაგვერდელავებული სამლოცველო. მის გვერდით ჭა. აქა-ის დაძველებული საფლავების ქვები ჰყრია. სამლოცველოს ახ-

ლოს სდგას სკამი. მოჩანს გაევის სახლისკენ მიმავალი გზა. ერთ მხარეს მაღალი წიფლის ხეებია ჩამწკრივებული. იქვე იწყება ალუბლის ბაღი. სჩანს ტელეგრაფის ბოძებიც. შორს ბუნდათ მოჩანს ქალაქი, რომელსაც მხოლოდ კარგ დარში გაარჩევს კაცი. მზე ჩასასვლელს არის. შარლოტა, იაშა და დუნიაშა სკამზე სხედან. ეპიხოდოვი მათ ახლოს სდგას და გიტარას უკრავს. ყველა დაფიქრებულია. შარლოტას ძველი შლიაპა ხურავს, მხრიდან თოფი ჩამოუხსნია და თასმებს უსწორებს).

შარლოტა: (დაფიქრებული) რიგიანი ბაშფორთი არა მაქვს. არ ვიცი, რამდენი წლისა ვარ. ჩემი თავი ძალიან ყმაწვილი მგონია. როდესაც პატარა ვიყავი, მახსოვს, ჩემი დედ-მამა ბაზრობაზე დადიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ, ძალიან კარგადაც არდგენდნენ. მეც დავხტოდი, გადავდიოდი ყირამალა და ათასნაირ ეშმაკობას ჩავდიოდი. როდესაც დედ-მამა დამეხოცა, ერთმა ნემეცის ქალმა ამიყვანა და სწავლება დამიწყო. გამოვიზარდე და ოჯახებში მასწავლებლობა დავიწყე. საიდანა ვარ და ვინა ვარ, არაფერი არა ვიცი-რა... ან ჩემი დედ-მამა ვინ იყო, იქნიბა, ჯვერ დაუწერლებიც იყვნენ, ვინ იცის! (ამოიღებს ჯიბიდან კიტრს და სჭამს). (პაუზა) ძალიან მინდა ვისმე ველაპარაკო, მაგრამ რომ არავინ არის... არავინ გამაჩნია.

ეპიხოდოვი: (უკრავს გიტარას და მღერის) „რა მაქვს ხალხთან საერთო, ან რად მინდა მეგობარი და მტერი“... რა სასიამოვნოა მანდოლინაზე დაკვრა.

დუნიაშა: ეგ მანდოლინა კი არა, გიტარაა. (იყურება სარკეში და პუდრს იყრის).

ეპიხოდოვი: ვინც სიყვარულისათვის გიჟიდება, ეს იმისთვის მანდოლინაა. (მღერის) „საყვარლის თანაგრძნობით თუ გული მაქვს გამთბარი“ (იაშა ბანს აძლევს).

შარლოტა: რა საძაგლად მღერიან!... ფუი, ნამდვილი ტურების ჭყავილია.

დუნიაშა: მაინც დიდი ბედნიერებაა საზღვარ-გარედ მოგზაურობა.

იაშა: ოღონდაც, მაგაზე არ შეიძლება არ დაგეთანხმო. (ჯერ დაამთქნარებს და მერე სიგარას დაუწყებს წევას).

ეპიხოდოვი: რა თქმა უნდა, მართალს ამბობთ. საზღვარ გარედ, დიდი ხანია, ცხოვრება უნაკლულოდაა მოწყობილი.

იაშა: ჭეშმარიტს ბრძანებთ.

ეპიხოდოვი: მე გონება გახსნილი კაცი ვარ, სხვადასხვა შესანიშნავ წიგნებს ვკითხულობ, მაგრამ ჯერ ვერ გამიგია, რა მინდა, რა მწადიან! ვიცოცხლო თუ თავი მოვიკლა. მაგრამ რევოლვერი კი მუდამ თან დამაქვს. აი, სადა მაქვს შენახული (აჩვენებს რევოლვერს).

შარლოტა: გავათავე. ახლა-კი წავალ. (თოფს გადიკიდებს) ეპიხოდოვო, შენ ძალიან ჭკვიანი კაცი ხარ და ძალიან საშიშარიც. ქალებს გაგიჟებით უნდა უყვარდე... შრრრ! (მიდის) ჭკვიანი ხალხი სულ ასე სულელები არიან. ერთი ადამიანი არ არის, რომ ველაპარაკო... სულ მარტო ვარ, მარტო, არავინ არა მყავს. და ვინა ვარ, რათა ვარ გაჩენილი... ეს სწორედ არ ვიცი. (ნელანელა გადის).

ეპიხოდოვი: სწორედ რომ ვსთქვა, სხვა საგნებს არას შევეხო, მხოლოდ ჩემს თავზე რომ მოგახსენოთ, სხვათა შორის, ვიტყვი, რომ ბედი მე ისე შეუბრალებლად მექცევა, როგორც გრიგალი პატარა გემს. თუ რომ, ვსთქვათ, ამაში შემცდარი ვარ, მაშ ის რაღა იყო, რომ დილით გავიღვიძე და, ვნახოთ, ჩემს გულზე დიდი ბაბაჭუა დაცოცავს; ...აი, ამოდენა (აჩვენებს ორივე ხელით) ან კიდევ ვიღებ ჭიქით კვასს, რომ დავლიო, და, ვნახოთ, შიგ რაღაც, უკაცრაული პასუხია, უწმინდურება გდია, მაგალითად, აბანოს დიდი ჭია (პაუზა) ბოკლი წაგიკითხავთ? (პაუზა) ავდოტია თეოდოროვნა, თქვენთან ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

დუნიაშა: ბრძანეთ.

ეპიხოდოვი: მე მსურს თქვენთან მარტოდ... (ოხრავს).

დუნიაშა: (დარცხვენით) კარგით... მხოლოდ ჯერ ჩემი წამოსასხამი მომიტანეთ... შკაპის გვერდით ჰკიდია... ახლა ცოტა სინოტიოა.

ეპიხოდოვი: კარგი... მოგიტან... ახლა კი ვიცი, რისთვისაც მოვიხმარო ჩემო რევოლვერი... (აიღებს გიტარას, თან მიდის და თან უკრავს).

იაშა: ეს ოცდაორი უბედურება, ჩვენში კი დარჩეს და... წაისულელებს.

დუნიაშა: ღმერთმა ნუ ქნას, რომ თავი მოიკლას (პაუზა) მეტად მშიშარა გავხდი, ყველაფერი მაშინებს. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, რომ ბატონებთან წამომიყვანეს. ახლა გლეხის ცხოვრებას სრულიად გადავეჩვიე, ხელები ისე გამითეთრდა, როგორც ქალბატონს. სხვანაირიდ გავხდი: ნაზი, ზრდილობიანი, კეთილშობილური, ყველაფრისა მეშინიან... შიშის ზარი მეცემა. და თუ, იაშა, თქვენ მომატყუეთ, არ ვიცი, მაშინ ჩემს ძარღვებს რა დაემართებათ.

იაშა: ჩემო კიტრუნა! რასაკვირველია, ყველა ქალი თავის თავს უნდა უფრთხილდებოდეს. მე ყველაფერზე ძრიელ ის მეჯავრება, თუ ქალი ცუდ ყოფა-ქცევისა არის.

დუნიაშა: მე გაგიჟებით შემიყვარდით, იაშა, თქვენ განათლებული ხართ. ყველაფერზე ლაპარაკი შეგიძლიანთ... (პაუზა).

იაშა: (ამთქნარებს) დიახ... ჩემის აზრით, თუ ქალმა სხვა შეიყვარა, გარყვნილია. (პაუზა) სასიამოვნოა წმინდა ჰაერზე სიგარის წევა (ყურს უგდებს) ბატონები... მოდიან... (დუნიაშა უცებ მოეხვევა იაშას) წადით სახლში, უთხარით საბანაოდ ვიყავითქო. იქითა გზით წადით, თორემ შეგხვდებათ ვინმე და ჩემზე იფიქრებენ, ვითომ დაბარებული მყავდით. ეს მე საშინლად მეჯავრება.

დუნიაშა: სიგარამ თავი ამატკია. (გადის. იაშა ზის შემოდიან ლუბა ანდ. და ლოპახინი).

ლოპახინი: უნდა რამე გადასწყვიტოთ, დაგვიანება არ შეიძლება... სულ უბრალო საქმეა, თანახმა ხართ აგარაკე-

ბად დაჰყოთ თქვენი მამული თუ არა? მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა სთქვათ.

ლუბა ანდ.: ნეტა ვიცოდე, ამ საძაგელ სიგარას ვინა სწევს? (ჯდება).

გაევი: გაიყვანეს რკინის გზა და ყველაფერი გადაადვილდა, წავედით ქალაქში და ვისაუზმეთ... Желтаго въ середину! მოდი ჯერ სახლში შევალ და ერთ პირს ვითამაშებ.

ლუბა ანდ.: კედევ მოასწრებ, ნუ გეშინიან.

ლოპახინი: მხოლოდ ერთის სიტყვით (ხვეწნით) მიპასუხეთ.

გაევი: (ამთქნარებს) რაო?

ლუბა ანდ.: (შინჯავს ფულის ქისას) გუშინ იმდენი ფული მქონდა და დღეს კი სულ ცოტა-ღა დამრჩა. საცოდავი ჩემი ვარო, ისე უფრთხილდება ყველაფერს, რომ კერძოობას მარტო ცალიერი რძის ფაფითა ჰკვებავს. ბებრებს ხომ ცერცვის შეჭამადის მეტს არას აძლევს და მე-კი რა სულელურად ვფლანგავ ფულებს! (გააგდებს ხელიდან ქისას და ფული დაეპნევა) ოჰ, დაიპნა!

იაშა: მოითმინეთ, ახლავე ავკრებავთ (ჰკრებს ფულებს).

ლუბა ანდ.: გეთაყვა, იაშა, აჰკრიბე... რა საჭირო იყო, სასტუმროში რომ ვისაუზმეთ... საძაგლობაა აქაური სასტუმროები, მუსიკით. სუფრებს ხომ სულ საპნის სუნი უდიოდათ... რა არის, ლეონიდ, შენგან იმოდენა სმა და ჭამა? ან იმდენს რათ ლაპარაკობ? დღეს სასტუმროში სულ შენ ლაპარაკობდი, ამასთან რა უსაგნოთ მოჰყევი: მესამოცე წლებიო, დეკადენტობაო. მერე რათ? ვისთვის? რა საჭირო იყო სასტუმროს ბიჭებთან დეკადენტობაზე ლაპარაკი?

ლოპახინი: დიახ!

გაევი: (ხელებს ძირს დაიქნევს) ეჰ, ცხადია, ეხლა ჩემი გამოცვლა ყოვლად შეუძლებელია (იაშას, გულმოსული) რა არის, რომ მუდამ თვალწინ გვერჩხირები?

იაშა: თქვენი ხმა რომ მესმის სიცილს ძლივს ვიკავებ.

გაევი: (დას) ან მე უნდა ვიყო ამ სახლში, ან ეს!

ლუბა ანდ.: იაშა, წადით, წადით ეხლავე.

იაშა: (აძლევს ლუბა ანდ. ფულის ქისას) ეხლავე წავალ. (სიცილს ძლივს იკავებს) მივდივარ... (გადის).

ლოპატინი: მდიდარი ვაჭარი დერიგანოვი აპირობს თქვენი მამულის ყიდვას, საჯარო ვაჭრობის დროს თურმე თითონ აპირობს ჩამოსვლას.

ლუბა ანდ.: ეგ თქვენ ვისგან გაიგეთ?

ლოპახინი: ქალაქში ლაპარაკობდნენ.

გაევი: მამიდა გვპირდება, იაროსლავიდან გამოგიგზავნითო, მაგრამ არ ვიცით, რამდენს ან და როდისთვის გამოგვიგზავნის.

ლოპახინი: რამდენს გამოგიგზავნით? ასი ათასს? ორას ათასს?

ლუბა ანდ.: იმისიც დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ თხუთმეტ ათასს გამოგვივზავნის.

ლოპახინი: უკაცრავად კი ვარ, ბატონებო, და ისეთს მოუფიქრებელს, ისეთს საქმის უცოდინარს და უცნაურს ხალხს, როგორც თქვენა ხართ, ჯერ არ შევხვედრივარ! გეუბნებიან – მამული გეყიდებათო, და თქვენ კი, თითქო არ გესმოდეთ, ყურს არ უგდებთ!

ლუბა ანდ.: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, გვასწავლეთ.

ლოპახინი: ბარემ ყოველ დღე გასწავლით, ყოველ დღე ერთსა და იმავეს გელაპარაკებით, ალუბლის ბაღი და მიწები დაჰყავით, იჯარით გაეცით, რომ ზედ სააგარაკო სახლები გაკეთდეს-მეთქი. გაეცით ეხლავე, საჩქაროდ, რადგან თქვენის მამულის საჯარო ვაჭრობა მოახლოვებულია, გესმით, მოახლოვებულია. თუ გადასწყვეტთ რასმე და მალე გამოაცხადებთ, რომ თქვენს მამულს დაჰყოფთ და სააგარაკოებათ გასცემთ, მაშინვე, რამდენსაც გინდათ, ფულს იშოვით და მამულს შეინარჩუნებთ.

ლუბა ანდ.: აგარაკები და მოაგარაკენი!... უკაცრავად და ეს მეტის-მეტი უგვანობაა...

გაევი: მეც მაგ აზრისა ვარ.

ლოპახინი: ღმერთმანი ან ტირილს დავიწყებ, ან ყვირილს და ან გული შემიწუხდება! ამაზე მეტი აღარ შემიძლიან, სწორეთ ჯვარს მაცვით!... (გაევს) ქალაჩუნავ!

გაევი: რაო?

ლოპახინი: ქალაჩუნავ! (წასვლას აპირობს).

ლუბა ანდ.: (შეშინებული) არა! არა. ნუ წახვალთ. გეთაყვა, მოიცადეთ. იქნება, რამე მოვიფიქროთ.

ლოპახინი: რაღაა აქ მოსაფიქრებელი?

ლუბა ანდ.: გთხოვთ, ნუ წახვალთ. თქვენ რომ აქა ხართ უფრო მხიარულობაა... (პაუზა) თითქო რაღასაც ველი, თითქო სახლი თავზე უნდა დამექცესო.

გაევი: (ღრმად ჩაფიქრებული) Дуплетъ въ уголъ, круазе въ середину.

ლუბა ანდ.: ძალიან ბევრის შემცოდე ვართ.

ლოპახინი: თქვენ რა შეცოდება გექნებათ...

გაევი: (იდებს პირში შაქრის ყინულს) ამბობენ, ვითომც მთელი ჩემი საცხოვრებელი ტკბილეულობაში გამეფლანგოს! (იცინის).

ლუბა ანდ.: ოხ, ჩემნი შეცოდებანი... მთელს ჩემს სიცოცხლეში ფულებს გიჟსავით ვფლანგავდი. გავყევი ცოლად ისეთს კაცს, რომელსაც ვალების მეტი არა შემოჰქონდა-რა სახლში და რომელსაც შამპანიურმა მოუღო ბოლო. საშინლად, ლოთობდა საცოდავი. ჩემდა საუბედუროდ, შემდეგ სხვა კაცი შემიყვარდა. დავიწყე მასთან ცხოვრება. სწორედ ამ დროს მომევლინა საშინელი სასჯელი, პირველი მეხი, რომელიც ზედ თავზე დამეცა. აი, აქ, ამ წყალში... დაიხრჩო ჩემი ბიჭიკო, ჩემი შვილი. ამ ამბის შემდეგ მაშინვე წავედი საზღვარ-გარედ, სამუშაოდ, რომ აღარ დავრბრუნებულიყავ აქ, აღარ დამენახა ეს წყალი... თვალ-დახუშული მივდიოდი, მე თითონ არ ვიცოდი – სად! ისიც უკან დამედევნა... შეუბრალებლად, მხეცურად!... ვიყიდე სააგარაკო სახლი ბენტონთან ახლოს... ის ძალიან ავად გახდა. სამი წელიწადი დღე და ღამე დაუსვენებელს ტანჯვაში გავატარე. ავადმყოფმა ჯვარს მაცვა, გული გამიშრო. შარშან, რო-

დესაც სახლი ვალში გამიყიდეს და პარიზში წავედი – იქ იმან გამქურდა, მომპარა ყველაფერი და სხვა ქალთან დაიწყო ცხოვრება. მე მინდოდა თავი მომეწამლა... რა სისულელეა!... უცებ გულმა აქედ გამოიწია, ჩემს სამშობლოში, ჩემს ქალთან... (ცრემლებს იწმენდს) ღმერთო მაცხოვარო, შემიბრალე, მაპატიე ჩემი შეცოდებანი! მეტად ნუღარ დამსჯი! (ამოიღებს ჯიბიდან დეპეშას) დღეს მივიღე პარიზიდან... მთხოვს, მეველრება, ვაპატიო და ისევ მასთან დავბრუნდე. (ხევს დეპეშას) თითქო მუსიკის ხმა ისმის. (ყურს უგდებს).

გაევი: ეს ჩვენი მემუსიკე ურიების გუნდია. გახსოვს – სკრიპკა, ფლეიტა და კონტრაბასი.

ლუბა ანდ.: განა ისევ აქ არიან? ერთხელ, როგორმე საღამო გავმართოთ და მოვიწვიოთ.

ლოპახინი: (ყურს უგდებს) აღარ ისმის... (ღიღინებს) ფული თუ გაქვს, ნემეცები უცებ გაგაფრანცუზებენ! (იცინის) რანაირ პიესას არდგენდნენ წუხელის თეატრში? ძალიან ბევრი ვიცინეთ.

ლუბა ანდ.: დარწმუნებული ვარ, არაფერი სასაცილო არა იქნებოდა-რა. თქვენ თეატრებს კი ნუ ადევნებთ თვალყურს, თითონს თქვენ ცხოვრებას დაუგდეთ ყური. რა უფერული ცხოვრება გაქვთ, რამდენს ტყუილ-უბრალოდ ლაპარაკობთ!...

ლოპახინი: სრულიად ჭეშმარიტს ბრძანებთ. უნდა სწორედ სთქვას კაცმა, რომ ჩვენი ცხოვრება მეტად სულელურაი. (პაუზა) მამაჩემი ერთი უბრალო გლეხი იყო, ბრიყვი, არაფერი არ ესმოდა. მე სწავლაში არსად მიმცა და შინ ცემა-ტყეპით მზრდიდა, მეტადრე მაშინ, როცა თვრებოდა... მეც ისეთივე ხეპრე და ბრიყვი ვარ, ვერაფერი შევისწავლე. წერითაც კი საძაგლადა ვწერ, ისე საძაგლადა ვწერ, ისე, ისე საძაგლად, გლეხურად, რომ ხალხისა მრცხვენიან.

ლუბა ანდ.: ჩემო მეგობარო, თქვენ უეჭველად ცოლი უნდა შეირთოთ.

ლოპახინი დიაღ... ნამდვილსა ბრძანებთ.

ლუბა ანდ.: აი, ვთქვათ, ჩვენი ვარო... ძალიან კარგი ქალია.

ლოპახინი: დიაღ...

ლუბა ანდ.: ძალიან ყოჩაღი და უბრალოდ გაზრდილი ქალია, მთელს დღეს მუშაობს, მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ თქვენ უყვარხართ. თქვენც-კი, მგონია, კაი ხანია, მოგწონთ...

ლოპახინი: რატომ, რატომ?.. მე წინააღმდეგი არა ვარ... ძალიან კარგი ქალია.

გაევი: (დას) ბანკში ადგილს მპირდებიან. წელიწადში ექვსას თუმანს დაგინიშნავთო... გაიგე?

ლუბა ანდ.: რა შენი საქმეა... იჯექი შენთვის სახლში. (შემოდის ფირსი, ხელში პალტო უჭირავს).

ფირსი: (გაევს) ინებეთ პალტო, ბატონო, ჩაიცვით თორემ ძალიან ნოტიოა.

გაევი: (პალტოს იცვამს) თავი მომაბეზრე, ჩემო ძმაო.

ფირსი: ბევრს ნუ ლაპარაკობთ... დილასაც ისე გამოხვედით, არა შემატყობინეთ-რა. (ათვალიერებს გაევს).

ლუბა ანდ.: ძალიან დაბერებულხარ, ფირს.

ფირსი: ოჰ, დიდი ხნისა ვარ. მე რომ ცოლის შერთვას მიპირობდნენ – მამათქვენი მაშინ დაბადებული არ იყო... (იცინის) ბატონ-ყმობა რომ გადავადა, მაშინ მამემრდინერად ვიყავი, არსად წავედი, ბატონთან დავრჩი. თავისუფლება ყველას უხაროდა და რად უხაროდათ – არ იცოდნენ.

ლოპახინი: მაშინდელი დრო კარგი იყო, გამათრახება მაინც იცოდნენ.

ფირსი: (ვერ გაიგონებს) ოღონდაც. გლეხები ბატონთან იყვნენ, ბატონები – გლეხებთან... ახლა-კი ვყელა თავისთვის არის, კაცი ვერაფერს გაიგებს.

გაევი: კარგი, გაჩუმდი, ფირსო. ხვალ ქალაქში უნდა წავიდე. დამპირდნენ, ერთ გენერალს გაგაცნობთ, რომნლსაც შეუძლიან ფული გასესხოსო.

ლოპახინო: მაგიტაც არა გამოვა-რა. სარგებელსაც ვერ შეიტანთ.

ლუბა ანდ.: ეგ ისე, ლაპარაკობს რაღა. გენერალი კი არა და! (შემოდიან ტროფიმოვი, ანნა და ვარო).

გაევი: აი, ჩვენებიც მოდიან.

ანნა: დედა, აქა ხარ?

ლუბა ანდ.: (ალერსით) მოდი, მოდი... ჩემო ყველავ... (ეხვევა ანნას და ვაროს) რომ იცოდეთ, ორივე რა ძლიერ მიყვარხართ. დასხედით ჩემთან, აი, აგრე (ყველანი სხდებიან).

ლოპახინი: ჩვენო საუკუნო სტუდენტო, სულ ქალებთან დასეირნობ?

ტროფიმოვი: ეგ თქვენი საქმე არ არის.

ლოპახინი: აგერ ორმოცდაათის წლისა შესრულდება და ისევ სტუდენტად არის.

ტროფიმოვი: სულელურ ხუმრობას თავი დაანებეთ.

ლოპახინი: შე კაი კაცო, რას ბრაზობ?

ტროფიმოვი: ნუ იცი ჩაციება.

ლოპახინი: არ შეიძლება მიბრძანოთ, თქვენ ჩემზე რა აზრისა ხართ?

ტროფიმოვი: მე თქვენზე, ერმილ ალექსეიჩ, აი, რა აზრისა ვარ: თქვენ მდიდარი კაცი ხართ, მალე მილიონის პატრონი შეიქნებით. როგორც ცხოვრების ჩარხისათვის საჭიროა ის მხეცი, რომელსაც, წინ რაც შეეფეთება, ყველაფერსა სჭამს, ისე თქვენა ხართ საჭირო (ყველანი იცინიან).

ვარო: პეტრე, უმჯობესია თქვენ რამე გვიამბოთ ვარსკვლავებზე.

ლუბა ანდ.: არა, მოდი წუხანდელ ამბავს დავუბრუნდეთ.

ტროფიმოვი: რა ამბავს?

გაევი: აი, კაცის სიამაყეზე რომ ლაპარაკობდი.

ტროფიმოვი: ჩვენ წუხელის დიდხანს ვილაპარაკეთ, მაგრამ ვერაფერ დასკვნა-კი ვერ დავადექით. ამაყი კაცი, თქვენის აზრით, რაღაც საიდუმლოებას წარმოადგენს. შეიძლება არც სცდებოდეთ. მაგრამ თუ არ გამოვიძიებთ და უბრალოდ განსჯით, რა სიამაყე, რის სიამაყე? თუკი კაცი აგებულობით უხეიროდ არის მოწყობილი,

ხეპრეა, უჭკუო, მაშინ უბედურია. კაცმა თავის-თავის მოწონებას თავი უნდა დაანებოს და მხოლოდ იმუშაოს.

გაევი: სულ ერთია მაინც მოკვდება.

ტროფიმოვი: ეგ ვინ იცის? ან რას ნიშნავს – მოკვდება? იქნება კაცს ასი გრძნობა აქვს და, როდესაც აღსასრულის დღე მოუვა, მასთან მოკვდეს მხოლოდ მისი ხუთი გრძნობა და დანარჩენი ოთხმოცდათხუთმეტი კი ისევ ცოცხალი დარჩეს.

ლუბა ანდ.: რა ჭკვიანი რამა ხარ, პეტრე!

ლოპახინი: (ირონიულად) მეტის-მეტი!...

ტროფიმოვი: კაცობრიობა წინ მიდის, თან-და-თან ძალას იკრებს. რაც ეხლა მისთვის გაუგებარია, ოდესმე ანბანურ ჭეშმარიტებად გადაიქცევა, მხოლოდ მუშაობა და შრომაა საჭირო. დახმარება უნდა მათ, ვინც კვლევა-ძიებთ, სიბრძნეს იძენს. ჩვენში ჯერ ძალიან ცოტაა მუშა. უმეტესი ნაწილი იმ ინტელიგენციისა, რომელსაც მე ვიცნობ, არაფერ აკეთებს, არაფერს იკვლევს, ერთის სიტყვით, მუშაობის უნარი არა აქვს. თავის-თავს ინტელიგენტებს ეძახიან და მოსამსახურეებს-კი „შენობით“ ელაპარაკებიან. გლეხკაცობას ისე ექცევიან, როგორათაც პირუტყვებს. გლახად სწავლობენ, სამეცნიერო წიგნებს არა კითხულობენ, სრულიად არას აკეთებენ. მეცნიერებაზე მხოლოდ ლაპარაკობენ, ხელოვნებისა კი არა გაეგებათ-რა; ყველა დაფიქრებულია, ყველას სასტიკი შეხედულობა აქვს, ყველა „დიდ საქმეზე“ ლაპარაკობს, ფილოსოფოსობს და ამავე დროს უმეტესობა, ასში ოთხმოცდა-ცხრამეტი სცხოვრობს, როგორც ნადირი ხალხი. თუ რამე აწყენინე, მაშინვე მუშტებს მომართავს და ლანძღვა-გინებას დაიწყებს. ჭამა-სმა საზიზღარი აქვთ, სძინავთ ჭუჭყიან ლოგინში, შეხუთულ ჰაერში; ყველგან უსუფთაობაა: ბაღლინჯოები, ნოტიობაა, ზნეობითი სიბინძურე... ცხადია ყველა პტყელ-პტყელ სიტყვებს იმიტომ ვისვრით, რომ ჩვენც თვალები ავიხვიოთ და სხვათაც. მაჩვენეთ ერთი, სად არის ის ბავშვთა თავშესაფარი, რომელზედაც ისე ხშირად ვლა-

პარაკობთ ხოლმე? სად არის სამკითხველოები? ყველა ამაებზე მხოლოდ სწერენ, საქმით-კი არა სჩანს-რა, სჩანს მხოლოდ სიბინძურე, გარყვნილობა, ველურობა. მე ძალიან მეშინიან და კიდეც მეჯავრება წარბ-შეკრული სახეები, ჭკვიანური ლაპარაკი. უმჯობესია, სულ ჩუმათ ვიყოთ.

ლოპახინი: იცით ბატონებო, მე ყოველთვის დილის ხუთ საათზე ვდგები, ვმუშაობ დილიდან საღამომდის, ჩემს ხელში მუდამ ტრიალებს ჩემი და სხვისი ფული და ამიტომ კარგად ვიცნობ ჩვენს ხალხს. საკმარისია რამე საქმე დაიწყოთ, მაშინვე გაიგებთ, რა ცოტაა ხეირიანი, პატიოსანი ხალხი. ხანდახან, როდესაც ძილი გამიტყდება ხოლმე, ვფიქრობ: ღმერთო, შენ ხომ მოგვეცი კაცობრიობის უზარმაზარი ტყეები, თვალუწვდენელი მინდვრები, უძირო ცის ცე და განა აქ მცხოვრებნი ძლიერი გმირებისივრ არ უნდა ვიყვნეთ?

ლუბა ანდ.: თქვენ ძლიერ გმირებს ახსენებთ. ისინი მხოლოდ ზღაპრებში არიან კარგები. ნამდვილათ კი საშიშრები არიან. (სცენის სიღრმეში გაივლის ეპიხოდოვი. გიტარას უკრავს). ეპიხოდოვი მოდის!

ანნა: (დაფიქრებული) ეპიხოდოვი მოდის.

ტროფიმოვი: დიაღ.

გაევი: (ხმადაბლა, ვითომ მჭევრმეტყველურათ) ოხ, მშვენიერო ბუნებავ, შენ ანათებ უკვდავის ბრწყინვალებით, შენა ხარ ტურფა, თან გულგრილი! შენ, რომელსაც დედათ გსახავთ, აერთებ სიკვდილ-სიცოცხლეს, შენ აცოცხლებ და არღვევ ყველაფერს...

ვარო: (მუდარით) ძია!

ანნა: ძია, კიდევ დაიწყე!...

ტროფიმოვი: თქვენ უმჯობესია – желтаго въ середину дуплетомъ.

გაევი: გავჩუმდები, გავჩუმდები. (ყველა დაფიქრებულია. სიჩუმეა. მხოლოდ ფირსის ბუტბუტის ხმა ისმის. შორიდან გაისმის რაღაც უცნაური ხმა, ყრუ, მწუხარე, თითქო სიმი გაწყდაო).

ლუბა ანდ.: ეს რა ხმა იყო?

ლოპახინი: არ ვიცი. ალბათ შორს, სადმე მაღაროში, რამე გატყდა, ან ჩამოუვარდათ. შორიდან კი მოისმა და!

გაევი: ან იქნება რამე ფრინველი... აი, ვსთქვათ, წერო...

ტროფიმოვი: ან, იქნება, ჭოტი!...

ლუბა ანდ.: (გააძოძგინებს) რაღაც ნაირად მეჯავრა (პაუზა).

ფირსი: იმ უბედურების წინად ასე იყო ხოლმე, ხან ბუ ბღუოდა, ხან სამოვარი დაიწყებდა შეუჩერებელს ყუყუნს...

გაევი: რომელ უბედურების წინად?

ფირსი: აი, ბატონყმობის გადავარდნის წინად.

ლუბა ანდ.: წავიდეთ, ბატონებო, უკვე ღამდება. (ანნას) თვალები ცრემლიანი გაქვს... რა ამბავია, ჩემო გოგონა? (ეხვევა).

ანნა: ისე, დედილო, არაფერი.

ტროფიმოვი: ვიღაც მოდის. (გამოჩნდება ვიღაც კაცი, თეთრი ძველი ქუდითა და პალტოთი, ცოტად გადაკრულია).

უცხო კაცი: თუ შეიძლება, მიბრძანეთ, აქედან პირდაპირ სადგურზე წასვლა შეიძლება?

გაევი: შეგიძლიან, აი, იქით, პირდაპირ გზაზე წადი.

უცხო კაცი: დიდათ გმადლობთ. (ახველებს) მშვენიერი დარია... (დრამატიულათ) ჩემო ძმაო, ტანჯულო ძმაო... გადი ვოლგაზე, ვისი კვნესა ისმის... (ვაროს) ქალ-ბატონო, უწყალობეთ მშიერს მოქალაქეს ერთი ექვსიოდე შაური. (ვარო შეშინებული შეჰკივლებს).

ლოპახინი: (გაჯავრებული) ყოველს სისაძაგლეს თავისი დროს აქვს!

ლუბა ანდ.: აი, წაიღეთ... აჰა... (ეძებს ქისას) ვერცხლის ფული არა მქონია. სულ ერთია, აჰა ოქრო.

უცხო კაცი: უმორჩილესად გმადლობთ. (გადის. ყველანი იცინიან).

ვარო: (შიშით) მე წავალ... წავალ... დედა, სახლში ხალხისათვის საჭმელი არა გვაქვს-რა და თქვენ კი მაგ კაცს ოქრო აჩუქეთ!

ლუბა ანდ.: რას იზამთ, სულელი ვარ, სულელი! ყველაფერს შენ გადმოგცემ, რაც კი რამა მაქვს. ერმილე ალექსეიჩ, მასესხეთ კიდევ ფული!

ლოპახინი: ბატონი ბრძანდებით.

ლუბა ანდ.: წამობრძანდით, ბატონებო, დროა. ვარო, ჩვენ შენ დაგნიშნეთ კიდეცა, მომილოცავს.

ვარო: (თვალ-ცრემლიანი) დედა, ეგ რა სახუმაროა!

ლოპახინი: ოხფელია, წადი მონასტერში.

გაევი: ხელები მიკანკალებს. რამდენი ხანია ბილიარდზე არ მითამაშნია.

ლოპახინი: ოხფელიავ! ოხფელიავ! მეც მომიხსენე ლოცვასა შენსა!

ლუბა ანდ.: წამობრძანდით, ბატონებო, ვახშმის დროა.

ვარო: რანაირად შემეშინდა! გული ისევ მიკანკალებს.

ლოპახინი: კიდევ გაგახსენებთ, ბატონებო, რომ ოცდაორს მარიამობისთვეს ალუბლის ბაღი გაიყიდება. ამაზე კარგათ მოიფიქრეთ. (ყველანი გადიან ტროფიმოვსა და ანნას გარდა).

ანნა: (სიცილით) რა კარგი საქმე ქნა იმ კაცმა, რომ ვარო შეაშინა, თორემ ჩვენ ხომ მარტო არ დაგვტოვებდა.

ტროფიმოვი: ვაროს ეშინიან, რომ ჩვენ ერთმანეთი არ შევიყვაროთ, და ამიტომ მთელს დღეს თვალს არ გვაშორებს. იმას თავისი მოკლის ჭკუით ის ვერ წარმოუდგენია, ჩვენ სიყვარულზე უფრო წმინდა ვართ. მოვიშორეთ თავიდან ის წვრილმანობა და ცრუ-მორწმუნეობა, რომელიც ხელს უშლის თავისუფლებას, ბედნიერებას. აი, ეს არის მიზანი ჩვენის ცხოვრებისა. გავსწიოთ წინ, ბრწყინვალე ვარსკვლავისაკენ, რომელიც შორიდან გზას გვინათებს. გავსწიოთ, უკან არ ჩამოვრჩეთ, მეგობრებო!

ანნა: (ხელი-ხელს შემოჰკრავს) რა კარგათ ლაპარაკობთ! (პაუზა) რა მშვენიერებაა დღეს აქაურობა!

ტროფიმოვი: დიაღ, საუცხოო დროა.

ანნა: რანაირად შემიცვალეთ გული, პეტრე! რატომ ჩვენი ალუბლის ბაღი ისე აღარ მიყვარს, როგორც წინად? ოხ,

რა ნაირათ მიყვარდა. ასე მეგონა, ჩვენ ალუბლის ბაღზე ლამაზი ადგილი მთელს ქვეყნიერობაზე არსად იყო.

ტროფიმოვი: მთელი რუსეთი ჩვენი ბაღია. ქვეყანა თვალუწვდენელი და მშვენიერია, ბევრი ლამაზი ადგილი მოიპოვება. (პაუზა) დაფიქრდით ანნა: თქვენი მამა-პაპა დაყ ველა წინაპარნი იყვნენ მებატონენი, მფლობელნი მრავალის ყმებისა, ცოცხალ ადამიანებისა, და განა ყველა ალუბლის ტოტი, ყოველი ფოთოლი არ გაგონებთ იმ მონა ადამიანებს? არ გესმით მათი ხმა? ოჰ, თქვენი ალუბლის ბაღი საზარელია და, როდესაც საღამოს, ან ღამე გაივლი ალუბლის ხეებთან, მათი ძველი ქერქიდან ბუნდი სინათლე გამოკრთის, თითქო ხეები სთვლემენ და სიზმრათ ხედავენ იმას, რაც ასი-ორასი წლის წინად ხდებოდა, და ეს საშინელი ზმანება სულს უხუთავს მათ. რა თქმა უნდა, ჩვენ მეტის-მეღად უკან ჩამოთვრჩით, ჯერ არაფერი არა გაგვიკეთებია-რა. არა გვაქვს გამორკვეული თუ რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს წარსულთან, მხოლოდ ვფილოსოფოსობთ, ან ვწუწუნობთ, ან-და ვსვამთ არრაყს. ეს ცხადია, რომ, თუ გინდა ახალი ცხოვრება დაიწყო, ჯერ უნდა გამოისყიდო ძველი შეცოდებანი, მოსპო ყოველივე კავშირი მასთან. წარსულის ცოდვის მონანიება კი შეიძლება მხოლოდ დაუღალავის, შეუწყვეტელის შრომით, ტანჯვით, გაიგეთ ეს, ანნა!

ანნა: ეს სახლი, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი ხანია, ჩვენი აღარ არის. მეც წავალ აქედან, გაძლევ პატიოსან სიტყვას.

ტროფიმოვი: თუ თქვენ ხელთ არის რისამე გასაღები გადისროლეთ წყალში და წადით, ანნა! გაინთავისუფლეთ თავი ისე, როგორადაც ქარია თავისუფალი.

ანნა: (აღტაცებით) ოხ! რა კარგათა სთქვით!

ტროფიმოვი: მერწმუნეთ ამაზე, ანნა, მერწმუნეთ! ჯერ ოცდა-ათი წლისა არა ვარ, ისევ ყმაწვილი ვარ, სტუდენტი, მაგრამ რამდენი რამ გამოვცადე! როგორც კი ზამთარი დადგება, გლახასავით დავდივარ, მშიერი, ღარიბი,

ავადმყოფი, შეწუხებული. სად არ მიმაგდო ბედმა, სად არ ვიყავი, მაგრამ ყოველთვის, ყოველს წამს, დღე და ღამ ჩემი სული რაღაც გამოურკვეველის წინად-გრძნობით იყო სავსე. მე ბედნიერს მომავალს ვგრძნობ, ანნა, თითქო ვხედავ კიდეც.

ანნა: (დაფიქრებული) მთვარე ამოდის. (ისმის ეპიხოდოვის გიტარის მწუხარე ხმა, მთვარე ამოდის).

ვარო: (დაეძებს ანნას და იძახის) ანნა, სადა ხარ?

ტროფიმოვი: დიაღ, მთვარე ამოდის. (პაუზა) აი, ბედნიერება, აგერ მოდის. ახლოვდება თანდათან ახლოა, ფეხის ხმა მესმის და, თუ ვერ ვხედავთ ვერ ვამჩნევთ, არა უშავს-რა, სხვები დაინახავენ.

ვაროს ხმა: ანნა, სადა ხარ?

ტროფიმოვი: ისევ ეს ვარო! (გაბრაზებით) ილაჯი წაიღო.

ანნა: წავიდეთ წყლის პირისკენ. იქა სჯობს.

ტროფიმოვი: წავიდეთ, წავიდეთ. (მიდიან).

ვაროს ხმა: ანნა! ანნა!

ფარდა.

მოქმედება მესამე

სასტუმრო დიდი ოთახი, რომელიც დარბაზისაგან თაღით არის გაყოფილი, ხომლი ანთია. უკრავს იმ მემუსიკეთა გუნდი, რომელზედაც მეორე მოქმედებაში ლაპარაკობდნენ. საღამოა, დარბაზში ცეკვამენ. სიმონოვ-პიშჩიკის ხმა ისმის, მეთაურობს. სასტუმროში გამოდიან პირველ წყვილათ პიშჩიკი და შარლოტა, მეორედ ტროფიმოვი და ლუბა ანდრეევნა, მესამედ ანნა და ფოსტის მოხელე, მეოთხედ ვარო და სადგურის უფროსი და სხვა. ვარო ჩუმად სტირის და ცეკვის დროს თვალებს იწმენდს. უკანასკნელათ შემოდის დუნიაშა. გაივლიან სცენაზე. პიშჩიკი ყვირის ფრანგულად. ფირსს ფოდნოსით ზელტერის სასმელი დააქვს, შემოდიან ტროფიმოვი და პიშჩიკი.

პიშჩიკი: მეტად სისხ-ჭარბი ვარ. ორჯელ დამბლაც მომივიდა. ცეკვა მიძნელდება, მაგრამ, რომ იტყვიან: „სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“, ჩემი საქმეც ასეა. საღი კი ვარ ცხენსაებ. განსვენებული მამაჩემი იტყოდა ხოლმე, მეტად ხუმარა იყო ცხონებული, რომ სიმონოვ-პიშჩიკები იმ ცხენის ჩამომავალნი ირიან, რომელიც კალიგულამ სენატში დასვაო. (ჯდება) მაგრამ უბედურება ეს არის, ფული არა მაქვს, მშიერ ძაღლს მხოლოდ უმი ხორცი გამოაფხიზლებსო... (ხვრინავს, ისევ ჩქარა ფხიზლდება) მეც ისე ვარ, მხოლოდ ფული მაგონდება...

ტროფიმოვი: მართლა, შეხედულობა კი თითქო ცხენისა გაქვთ!

პიშჩიკი: რა არის მერე?... ცხენი ძალიან კარგი ცხოველია... ცხენის გაყიდვა შეიძლება. (დარბაზიდან ბილიარდის მოთამაშეთა ხმა ისმის. არკაში გამოჩნდება ვარო).

ტროფიმოვი: (აგულისებს) მადამ ლოპახინისავ! მადამ ლოპახინისავ?

ვარო: (გაბრაზებული) გაქუცულო ვაჟბატონო.

ტროფიმოვი: დიახ, მე გაქუცული ვარ და ამითი თავიც მომწონს.

ვარო: (დაფიქრებული) მემუსიკეები დაიჭირეს და იმას-კი აღარ ფიქრობენ, საიდან არ მივცეთ! (გავა).

ტროფიმოვი: (პიშჩიკს) ის ენერგია, რაც თქვენ ვალის სარგებელში მისაცემ ფულის შოვნაზე დაგიხარჯავთ თქვენს სიცოცხლეში, სხვა რამეზე რომ მოგეხმარებინათ, აქამდის მთელ ქვეყანას გადააბრუნებდით.

პიშჩიკი: ნიცშე ფილოსოფოსი... უდიდესი და წარჩინებული კაცი, უბრძენესი და უმაღლესი ჭკუის პატრონი... სწერს თავის თხზულებაში, რომ ვითომ ყალბი ქაღალდის ფულის გაკეთება შეიძლებაო!

ტროფიმოვი: განა თქვენ ნიცშესი რამე წაგიკითხავთ?

პიშჩიკი: მე კი არა, ჩემმა დაშამ მიამბო. და მე ამჟამად ისეთს მდგომარეობაში ვარ, თუნდა ყალბ ფულსაც-კი გავაკეთებ. ზეგ 310 მანათი უნდა შევიტანო... ას-ოცდა-

ათი კი ვიშოვე... (ეძებს ჯიბეში, შეშინებული) ფულები დამკარგვია! სადღაც გამქრალა! (თვალ-ცრემლიანი) რა მექნა ფული?! (სიხარულით) აი, სად ჩავარდნილა! სარჩულსა და საპირეს შუა... უჰ! ოფლი დამასხა... (შემოდიან ლუბა ანდრეევნა და შარლოტა).

ლუბა ანდ.: (ლეკურის ხმაზე ღიღინებს) რატომ აქამდის ლეონიდი არსად სჩანს? რას აკეთებს ქალაქში? (დუნიაშას) დუნიაშა, მემუსიკეებს ჩაი მიართვი.

ტროფიმოვი: უთუოდ ვაჭრობა არ მოხდა.

ლუბა ანდ.: მემუსიკეებიც უდროვო დროს მოვიდნენ. ეს საღამოც უდროვო დროს გავმართეთ... მაგრამ არაფერია... (ჯდება და ღიღინებს).

შარლოტა: (აძლევს პიშჩიკს სათამაშო ქაღალდს) აგერ ეს სათამაშო ქაღალდი, აბა რომელიმე ჩანიშნეთ.

პიშჩიკი: ჩავნშნე.

შარლოტა: ახლა აურიეთ, კარგად. ახლა მომეცით, ეჰ, ჩემო ბატონო, პიშჩიკო! აინ, ცვაინ, ტრაინ! აბა თქვენი ჩანიშნული ქაღალდი ჯიბეში ინახეთ.

პიშჩიკი: (ჯიბიდან იღებს ქაღალდს და ტროფიმოვს) ყვავის რვიანი! ნამდვილია! (გაოცებული) წარმოიდგინეთ!

შარლოტა: (ქაღალდს ხელის გულზე დაიდებს და ტროფიმოვს) სთქვით ჩქარა, ზემოდან რომელი ქაღალდია?

ტროფიმოვი: ყვავის ქალია.

შარლოტა: აგრეა (პიშჩიკს) ახლა თქვენა სთქვით: ზემოდან რომელი ქაღალდია?

პიშჩიკი: აგურის კიკოა.

შარლოტა: აგრეა. (შემოჰკრავს ხელს ხელზედ. ქაღალდი სადღაც გადავარდება) დღეს რა მშვენიერი დარია! (გაისმის საიდუმლო ხმა, თითქო იატაკ ქვემოდან იძახისო: – „დიაღ, ქალბატონო, მშვენიერი დარია!“) თქვენ მეტად კარგი რამა ხართ, სწორედ ჩემი იდეალი! (ხმა: – ქალბატონო. მე თქვენ ძალიან მომწონხართ!“).

სადგურის უფროსი: ვაშა, ვაშა! ქალბატონო, მუცლით მოლაპარაკევ!

პიშჩიკი: (გაკვირვებული) წარმოიდგინეთ!... გულის წარმტაცო შარლოტა ივანოვნა... მე თქვენ მიყვარხართ...

შარლოტა: (მხრებს იწევს) გიყვარვართ? განა თქვენ სიყვარული შეგიძლიანთ?

ტროფიმოვი: (პიშჩიკს მხარზე ხელსა სცემს) აჰაი, თქვე ცხენო!...

შარლოტა: სმენა იყოს და გაგონება. აი კიდევ ერთი ფოკუსი: (აიღებს კამოდიდან შალს) აი ეს მშვენიერი შალი მინდა გავყიდო... (ბერტყავს) ხომ არ გინდან იყიდოთ?

პიშჩიკი: (გაოცებული) თქვენ წარმოიდგინეთ!...

შარლოტა: აინ, ცვაინ, ტრაინ... (უცებ ასწევს ჩამოფარებულს შალს, უკან მიფარებული სდგას ანნა, რომელიც ხალხს თავს უკრავს, მერე მოეხვევა დედას, აკოცებს და ისევ იმალება. ყველა აღტაცებულია).

ლუბა ანდ.: ვაშა! ვაშა! (ტაშს უკრავს).

შარლოტა: ერთიც კიდევ. აინ, ცვაინ, ტრაინ (ასწევს ისევ ჩამოფარებულს შალს და ახლა ვარო გამოჩნდება და ყველას თავს უკრავს).

პიშჩიკი: (გაოცებული) თქვენ წარმოიდგინეთ!

შარლოტა: ახლა-კი გათავდა. (გადააფარებს პიშჩიკს შალს, ყველას თავს უკრავს და გარბის).

პიშჩიკი: (სირბილით უკან მისდევს) აი, აი, შე კუდიანო!.. რა ნაირია!...

ლუბა ანდ.: ლეონიდი კიდევ არა სჩანს. ამდენს ხანს რას აკეთებს ქალაქში, არ მესმის! აქამდის უეჭველია ყველაფერი გათავდებოდა; ან ვაჭრობას გადასდებდნენ, ან მამული გაიყიდებოდა. ნეტა რას გვაწვალებენ, რომ აქამდის არას გვატყობინებენ!

ვარო: (ცდილობს ნუგეში სცეს) დარწმუნებული ვარ მამულს უთუოდ ძია იყიდდა.

ტროფიმოვი: (დაცინვით) ნამდვილათ.

ვარო: ბებიამ ძიას ვექილობა გამოუგზავნა, მამული ჩემს სახელზე იყიდეო. ეს მამული რომ იმას ანნასთვის უნდა, ამაში მე ეჭვი არა მაქვს. ღმერთი მოუმართავს ხელს ძიას და მამულს უთუოდ იყიდის.

ლუბა ანდ.: მამიდას თხუთმეტი ათასი მანეთი გამოუგზავნია, რომ მამული მის სახელზე გადავიტანოთ! ჩვენ აღარ გვენდობა! მაგრამ ეს თხუთმეტი ათასი რომ სარგებელსაც არ ეყოფა. (პირზე ხელებს იფარებს) დღეს გადასწყდება ჩემი ბედი.

ტროფიმოვი: (ვაროს აბრაზებს) მადამ ლოპახინისავ!

ვარო: (ჯავრობს) საუკუნო სტუდენტო! ორჯელ უკვე გამოგაგდეს უნივერსიტეტიდან.

ლუბა ანდ.: რათა ჯავრობ, ვარო? ლოპახინზე გეხუმრებიან? რა ვუყოთ. თუ გინდა, მისთხოვდი ლოპახინს, კარგი კაცია. და თუ არ გინდა, ნუ, მისთხოვდები, შვილო, ძალას არავინ დაგატანს.

ვარო: მე მაგ საქმეს, დედა, უფრო სხვა თვალით ვუყურებ. ეგ სახუმარო არ არის. მართალი უნდა გითხრათ, ძალიან კარგი კაცია, მომწონს კიდეც.

ლუბა ანდ.: მაშ შეირთე! არ მესმის, რაღას უცდით!

ვარო: დედა, მე ხო მარ დავუწყებ ხვეწნას, შენი ჭირიმე, შემირთე-მეთქი. ეს ორი წელიწადია, ყველა ლოპახინზე მელაპარაკება და თითონ ლოპახინი კი ან ჩუმად არის ან მასხარაობს. მე ვხედავ, რომ ის თან-და-თან მდიდრდება, საქმეებშია გართული და ჩემთვის არა სცალიან. მე რომ ცოტაოდენი ფული მქონოდა, თუნდა, თუნდ ასი მანეთი, დავანებებდი ყველაფერს თავს და გადვიკარგებოდი სადმე, მონასტერში წავიდოდი.

ტროფიმოვი: რა სულის ნეტარებაა!

ვარო: სტუდენტი ჭკვიანი უნდა იყოს. (გული უდუღს, თითქოს სტირის) რანაირად გამოიცვალეთ, პეტრე! გაფუჭდით, დაბერდით. (ლუბა ანდ. თამამად) მხოლოდ დედაჯან, უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლიან, მუდამ, უთუოდ რასმე უნდა ვაკეთებდე! (შემოდის იაშა).

იაშა: (სიცილს ძლივს იკავებს) ეპიხოდოვმა ბილიარდის ჯოხი გატეხა... (დადის).

ვარო: რა უნდოდა ეპიხოდოვს იქ! ბილიარდზე თამაშობის ნება ვინ მისცა!... სწორედ ვერა გამიგია-რა ამ ხალხისა?... (გადის).

ტროფიმოვი: (გაბრაზებით) ჰმ!...

ლუბა ანდ.: ნუ ბრაზობთ პეტრე. ვარო ხომ ხედავთ, უიმისოდაც ჯავრიანად არის.

ტროფიმოვი: მეტის-მეტია. ყოველთვის იქ ეჩრება, სადაც მაგის საქმე არ არის. მთელს ზაფხულს მოსვენებას არ გვაძლევდა, არც მე და არც ანნას, ეშინოდა, ვაი თუ ერთმანეთი შეგვეყვარებინა. ეს რა მაგისი საქმეა? ან და მე ხომ საბუთი არა მიმიცია-რა? ფიქრადაც არ მომიმა ეგ გარყვნილი აზრი. ჩვენი გრძნობა ამნაირს სიყვარულზე ბევრად წმინდა გრძნობაა.

ლუბა ანდ.: მე-კი აგრე წმინდა არა ვარ. (შეშფოთდება) რატომ აქამდის ლეონიდი არ მოდის! ნეტა ერთი შევიტყო, გაიყიდა მამული თუ არა. ეს უბედურება ისეთი მოულოდნელი იქნება ჩემთვის, რომ ვერც-კი წარმომიდგენია. დაფანტული ვარ... შეიძლება ღრიალიც დავიწყო, ან რამე სისულელე ჩავიდინო... გამომარკვიე ამ მდგომარეობიდან, პეტრე, სთქვით რამე!

ტროფიმოვი: დღეს გაიყიდება თქვენი მამული თუ ხვალ, სულ ერთი არ არის? ეს საქმე, დიდი ხანია, გადაწყვეტილია, გამობრუნება აღარ შეიძლება, გზა შეკრულია. დამშვიდდით ჩემო ძვირფასო, თავს ნუ ატყუებთ. ერთხელ მაინც სწორედ შეხედეთ საქმე,ს სიმართლეს თვალი გაუსწორეთ.

ლუბა ანდ.: რომელ სიმართლეს? თქვენ შეიძლება არჩევდეთ სიმართლესა და სიცრუეს. მე-კი ისე დავკარგე მხედველობა, რომ ვერაფერს ვხედავ. თქვენ ყველა ძნელ საქმეზე ადვილად სჯით. გეთაყვა, ნამდვილი მითხარით, ეგ იმიტომ ხო მარ მოგდით, რომ ჯერ ყმაწვილი ხართ და არც ერთ საგანსე არ გიფიქრიათ, თქვენ თავზე არა გამოგიცდიათ-რა, არ ტანჯულხართ? თქვენ თამამად გაიყურებით წინ, იმიტომ კი არა, რომ ვერსა ხედავდეთ, ან საშიშარს არას მოელოდეთ, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრება ჯერ უცხოა, უცნობია თქვენის ნორჩის თვალისთვის! თქვენ ჩვენზე უფრო პატიოსანი ხართ, უფრო ჭკვიანი, გულადი, მაგრამ დაფიქრდით, გამოიჩინეთ

იმდენი გულკეთილობა, რომ ცოტათი მაინც შემიბრალოთ მე ხომ აქა ვარ დაბადებული, აქ ცხოვრობდნენ ჩემი დედა, მამა, პაპა. მე მიყვარს ეს სახლი. ვერც კი წარმომიდგენია სიცოცხლე უალობლის ბაღოდ! და თუ მაინც-და-მაინც საჭიროა მისი გაყიდვა, მაშინ ბალთან ერთად მეც გამყიდეთ... (მოეხვევა ტროფიმოვს და შუბლზედ ჰკოცნის) ჩემი შვილი ხომ აქ დაირჩო... (სტირის) შემიბრალე, კარგო, კეთილო ადამიანო!

ტროფიმოვი: თქვენ კარგად იცით, რომ სულით და გულით თანაგიგრძნობთ.

ლუბა ანდ.: მაგრამ სხვანაირად, სხვანაირად მითხარით. (ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს და ჯიბიდან ტელეგრამა დავარდება). თქვენ ვერ წარმოიდგენთ, დღეს გული რა მძიმეთა მაქვს. აქაური ხმაურობა მეტად მაწუხებს, ყოველ ფეხის ხმაზე გული მიკანკალებს. მთლად ვთრთი. ჩემს ოთახში შესვლაც კი არ შემიძლიან, მარტო დარჩენა, შიშის ზარსა მცემს. ნუ გამკიცხავთ, პეტრე... მე თქვენ ისე მიყვარხართ, როგორც ჩემი საკუთარი ნათესავი. გეფიცებით, რომ დიდის სიამოვნებით მოგათხოვებდით ანნას, მხოლოდ, ჩემო კარგო, ჯერ უნდა სწავლა დაასრულო, კურსი გაათავო. თქვენ ეხლა არაფერს აკეთებთ. უსაქმოდ აქეთ-იქით ეცემით. ხომ მართალს ვამბობ?... არა? ამ თქვენ წვერსაც უნდა რამე მოუხერხოთ, რომ ცოტათი წამოიზარდოს. (იცინის) რა სასაცილო ხართ!

ტროფიმოვი: (ტელეგრამას აიღებს), მე სრულიადაც არა მსურს, რომ ლამაზათ გამოვჩნდე.

ლუბა ანდ.: ეგ ტელეგრამა პარიზიდან არის, ყოველ დღე მომდის, გუშინაც მომივიდა, დღესაც. ის მხეცი კაცი კიდევ ავად გამხდარა, ცუდად არის. მთხოვს–ვაპატიო. მეხვეწება, მოდიო. სწორედ რომ სთქვას კაცმა, ისეთს მდგომარეობაშია ის საცოდავი, რომ უნდა წავსულიყავ, მოვჯდომოდი გვერდით და მომევლო... მეტად სასტიკი შეხედულება გაქვთ, პეტრე, მაგრამ რა ვქნა, ჩემო კარგო, რა ვუყო; ის ავადმყოფია, მარტოა, უპატრონო,

უბედური. რამე სისულელეს ჩაიდენს და ვინ მიხედავს, ვინ მიხედავს, ვინ უგდებს ყურს? ვინ მიაწოდებს თავთავის დროზე წამლებს? ან რა დასამალავია, – ეს ცხადია, რომ მე ის კაცი მიყვარს, მიყვარს და მიყვარს... ის ჩემი ტვირთია და უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან. (ტროფიმოვს ხელზე ხელს უჭერს) ნუ გამკიცხავ, პეტრე... ნურაფერს მეტყვი, ნურაფერს...

ტროფიმოვი: (თვალცრემლიანი) მომიტევეთ მართლის თქმისათვის,– იმ კაცმა ხომ თქვენ გაგქურდათ?...

ლუბა ანდ.: არა, არა, არა! ურას მეტყვით (ყურებზე ხელებს იფარებს).

თროფიმოვი: თქვენ თვალს არიდებთ მის უსვინდისობას. ის კაცი მეტის-მეტი სულმდაბალია, უსვინდისო.

ლუბა ანდ.: (გაბრაზებულია, მაგრამ თავს იმაგრებს) ოცდაექვსისა თუ შვიდის წლის ყმაწვილი ხარ და ჯერ ისევ მეორე კლასის გიმნაზიელსა ჰგევხარ.

ტროფიმოვი: ჩემთვის სულ ერთია, ვისაც უნდა ვგავდე.

ლუბა ანდ.: უნდა კაცი იყოთ, თქვენს ხანში კარგათ უნდა გესმოდეთ იმისი მდგომარეობა, ვინც შეყვარებულია... თქვენც უნდა შეიყვაროთ... უნდა გიყვარდეთ...(გაბრაზებული) დიაღ, დიაღ, თქვენ წმინდა მეტად ხართ, არა გაქვთ სიწმინდავე, თქვენ მეტად სასაცილო ხართ, რაღაც უცნაური, არა-კაცი, მახინჯი!

ტროფიმოვი: (თავზარდაცემული) რას ამბობს!!

ლუბა ანდ.: „ჩვენი გრძნობა სიყვარულზე წმინდა გრძნობაა!“ თქვენი გრძნობა სიყვარულზე წმინდა კი არა, როგორც ფირსი ამბობს, რაღაც მოუშუშარია, უმი, თქვენს ხანში რომ კაცს ჯერ საყვარელი არა ჰყავდეს!!...

ტროფიმოვი: (შეძრწუნებული) ეს საშინელებაა!... აღარ შემიძლიან, უნდა წავიდე!... (მიდის, ისევ ბრუნდება) ჩვენში ყოველისფერი გათავებულია (გადის დერეფანში).

ლუბა ანდ.: (ეძახის) პეტრე, პეტრე, მოიცადეთ! ღა სასაცილო ხართ! ეხუმრებოდი! (ტროფიმოვის ფეხის ხმა ისმის, კიბეზე რომ ჩადის. ბოლოს ვიღაც წაიქცევა და

ბრახუნით ძირს ჩაგორდება, ანნა და ვარო ჯერ შეჰკივლებენ და მერე იცინიან).

ლუბა ანდ.: რა ამბავია! (შემორბის ანნა).

ანნა: (სიცილით) პეტრე კიბეებზე ჩაგორდა. (გარბის).

ლუბა ანდ.: რა უცნაური კაცია! (სადგურის უფროსი, შუა დარბაზში გაჩერებული, ა. ტოლსტოის თხზ. „შემცოდე ასულს“ კითხულობს, ხალხი ყურს უგდებს, მაგრამ ჯერ ოთხი პწკარიც არ წაუკითხავს, რომ მუსიკა ვალსს დაუკრავს და ისიც კითხვას შეაჩერებს. ველა ცეკვას იწყებს. შესვლა-გასვლაა. შცენაზე გამოდიან ტროფიმოვი, ანნა, ვარო და ლუბა ანდრეევნა).

ლუბა ანდ.: კარგია, პეტრე, კარგი... წმინდა არსებავ... ბოდიშს ვიხდი... მოდი, ვიცეკვოთ. (დაიწყებენ ტროფიმოვთან ცეკვას, ანნა და ვაროც ცეკვამენ. შემოვა ფირსი, ჯოხს კარებთან მიაყუდებს... იაშა სასტუმრო დარბაზიდან შემოდის და ცეკვას თვალს ადევნებს).

იაშა: რაო, პაპა?

ფირსი: ისე, შეუძლოთა ვარ. წინეთ რომ ჩვენ მეჯლისებს ვმართავდით, სულ ღენერლები ცეკვამდნენ ხოლმე, ბარონები, ადმირალები, ეხლა კი ვეხვეწებით ვიღაც ფოსტის მოხელეებს, სადგურის უფროსებს და ისინიც იმადლებიან მოსვლას. ეჰ, დავსუსტდი როგორღაც. ანსვენებული დიდი ბატონი ავადმყოფობას წითელი ლაქათი არჩენდა მეც, აგერ ოც წელიწადზე მეტია, ყოველდღე ლაქასა ვსვამ; იქნება, იმისაგანაცა ვარ აქამდის ცოცხალი.

იაშა: გააჭირე საქმე, პაპავ. (ამთქნარებს) ერთი ჩქარა მაინც ჩაღრძვებოდე.

ფირსი: ეეჰ, შე...მოუშუშარო. (ბუტბუტებს ტროფიმოვი და ლუბა ანდრევნა ცეკვით გამოდიან დარბაზიდან).

ლუბა ანდ.: Mersi! აქ დავისვენებ. (ჯდება) დავიღალე.

ანნა: (აღელვებული) ეს არის, ეხლა ვიღაც კაცი შემოვიდა სამზარეულოში და ამბობს, რომ ჩვენი ალუბლის ბაღი დღეს კიდეც გაყიდულა!

ლუბა ანდ.: ვის უყიდნია?

ანნა: არ უთქვამს, ვის. ჭავიდა კიდეც. (დაიწყებს ტროფიმოვთან ცეკვას და ორივე ცეკვით გადიან).

იაშა: ვიღაც ბერიკაცი იყო და ის როშავდა.

ფირსი: ლეონიდ ანდრეიჩი კი ჯერ არ მობრძანებულა. შაზაფხულო პალტო აცვია, ერთიც ვნახოთ გაცივდეს. ღა არის სიყმაწვილე!

ლუბა ანდ.: მე ჩემი ღამემართება. წადით, იაშა, და გამიგეთ ვინ იყიდა ჩვენი ალუბლის ბაღი.

იაშა: ის ბერიკაცი, დიდი ხანია წავიდა, ქალბატონო (იცინის).

ლუბა ანდ.: (გულმოსული) აბა რას იცინი, იაშა? რა გიხარიან?

იაშა: მეტად სასაცილოა ეპიხოდოვი, თავცალიერია, ოცდაორი უბედურება.

ლუბა ანდ.: ფირსო, მამული რომ გაგვიყიდონ, შენ სად წახვალ?

ფირსი: (ირონიულად) დიაღ! მე რომ დავიძინო, მერე უჩემოდ აქ ვინ რას მოგართმევთ ვინ რა თადარიგს მისცემს? ერთად-ერთი მე ვარ მთელი სახლის-ყურის მგდებელი.

იაშა: (ლუბა ანდრეევნა) ლუბა ანდრეევნა! ება მიბოძეთ, ერთი რამ გთხოვოთ. ისეთი მოწყალება მოიღეთ, რომ, თუ ისევ პარიზში წახვიდეთ, მეც თან წამიყვანეთ. შეუძლებელია ჩემი აქ დარჩენა. (აქეთ-იქით იხედება და ჩურჩულით) რაღა თქმა გინდათ! თქვენც ხედავთ, რომ ეს ქვეყანა მეტად გაუნათლებელია, ხალხი მთლად გარყვნილი. საშინელი მოსაწყენია. სამზარეულოში ხომ კაცს მშიერსა ჰკლავენ. აქ კიდე ფირსმა გააჭირა სახმე, დადის და სულ რაღაცას ბუტბუტებს. გევედრები, მიყავი სიკეთე და თან წამიყვანე.

პიშჩიკი: (შემოდის) მშვენიერო, გთხოვთ ცოტა ხანს ვალსი იცეკვოთ. (ლუბა ანდრეევნა მისდევს, ცეკვავენ) მომხიბვლელი არსება ხართ, მაგრამ ასორმოც მანათს მაინც გამოგართმევთ. (გადიან ცეკვით).

იაშა: (მღერის) ვინ რა იცის ჩემი გულის დარდები. (დარბაზში ვიღაც დახტის, ნაცრისფერ ცილინდრში და ჭრელ შარ-

ვალში გამოწყობილი. ხმა: ვაშა, ვაშა, შარლოტა კარლოვნა! შემორბის დუნიაშა).

დუნიაშა: (შეჩერდება და პუდრს იყრის) ანნამ მიბრძანა, იცეკვეო, მოცეკვავე კაცები ბლომად არიან და ქალები–ცოტაო. მე-კი ცეკვის დროს თავ-ბრუ მეხვევა და გული მიკანკალებს. ფირს ნიკალაიჩ, ეს არის ახლა, ფოსტის მოხელემ ისეთი რამ მითხრა, რომ სული მიგუბდება (მუსიკა გაჩუმდება).

ფირსი: ისეთი რა გითხრა?

დუნიაშა: თქვენ სწორედ ვარდი ხართო.

იაშა: (ამთქნარებს) რა უზრდელობაა... (გადის).

დუნიაშა: როგორც ვარდიო... მე თითონ ზრდილობიანი ქალი ვარ და საშინლად მიყვარს საალერსო სიტყვები.

ფირსი: მე ვიცი, შენ სულ გაგიჟდები.

ეპიხოდოვი: (შემოდის) თქვენ, ავდოტია თეოდორვნა, მგონია, ჩემი თვალით დანახვაც-კი აღარ გინდათ... თითქო მე რამე უბრალო ჭია ვიყო... (ოხრავს) ეჰ, ცხოვრებავ!

დუნიაშა: რა გნებავთ?

ეპიხოდოვი: ეჭვი არა მაქვს, შეიძლება, თქვენ მართალიც იყოთ (ოხრავს), მაგრამ, რასაკვირველია, თუ ჩაუკვირდებით ამ საქმეს, გამოდის, რომ თქვენ,– მომიტევეთ რომ ამას ვამბობს, ბოდიშს ვიხდი მართლის თქმისათვის და, – ისეთ გუნებაზე დამაყენეთ, რომ... მე კარგა ვიცი ჩემი ბედის ამბავი, ყოველ დღე, უეჭველად რამე უნდა შემემთხვეს. ამას-კი მე, დიდი ხანია, შევეჩვიე, ისე რომ, ჩემ ბედს გულგრილად შევყურებ. თქვენ პირობა მომეცით და თუმცა მე...

დუნიაშა: გთხოვთ, მაგაზე შემდეგ მოვიპალარაკოთ და ახლა-კი თავი დამანებოთ. ახლა მე ოცნებაში ვარ. (მარაოს ათამაშებს).

ეპიხოდოვი: ყოველ დღე, უეჭველად, რამე უბედურება მემართება და ნება მომეცი, ასე გამოვსტქვა, მხოლოდ ვიღიმები ხოლმე, თითქმის ვიცინი... (დარბაზიდან ვარო გამოდის).

ვარო: შენ კიდევ არ წასულხარ, სვიმონ? ღმერთმანი ერთი ბეწვა პატივისცემა არა გაქვს. (დუნიაშას) გადი აქედან დუნიაშა. (ეპიხოდოვს) ხან ბილიარდზე თამაშობ და ჯოხებს ამტვრევ, ხან სასტუმრო ოთახში დასეირნობ, თითქო მოწვეული სტუმარი იყო!

ეპიხოდოვი: ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ თქვენ ნება არა გაქვთ ჩემის ჩხუბისა.

ვარო: მე კი არ გეჩხუბები, ისე გეუბნები, შენ აქეთ-იქით სიარულის მეტი არა შეგიძლიან-რა, საქმეს ვერას აკეთებ, კანტორის მოხელე გვიჭირავს და, ღმერთმა იცის, რისთვის.

ეპიხოდოვი: (წყენით) ვმუშაობ რასმე თუ არა, დავდივარ სადმე, ვჭამ რასმე, ან ბილიარდს ვთამაშობ თუ არა – ამის განსჯის ნება აქვს მხოლოდ შეგნებულს ადამიანს და ჩემს უფროსებს.

ვარო: განა მანდამდისაც მიხვედი, რომ მაგაებს მიბედავ! (შეტევით) როგორ მიბედავ?! მაშ მე შეუგნებელი ადამიანი ვარ? დამეკარგე აქედან! ამ წამში დამეკარგე!

ეპიხოდოვი: (ცოტა შემკრთალი) უმორჩილესად გთხოვთ, ცოტა ზრდილობიანად მელაპარაკოთ.

ვარო: (მოთმინებიდან გამოსული) ამ წამში დამეკარგე-მეთქი აქედან. დამეკარგე! (ეპიხოდოვი მიდის, ვარო უკან მისდევს) ოცდა-ორო უბედურებავ, შენი ხსენება აღარ იყოს ამ სახლში. თვალით აღარ დამენახო! (ეპიხოდოვი გადის, კულისიდან ისმის მისი ხმა: იცოდეთ სასამართლოში გიჩივლებთ!) ისევ უკანა ბრუნდები?... (ვარო აიღებს ხელში ფირსის ჯოხს) წადი... წადი... წადი, მე შენ გაჩვენებ სეირს... ისევ მოდიხარ?! ოდიხარ? მაშ ესეც შენ!... (ჯოხს მოუქნევს, ამ დროს შემოდის ლოპახინი).

ლოპახინი: უმორჩილესად გმადლობთ!

ვარო: (გაჯავრებით და დაცინვით) უკაცრავად.

ლოპახინი: არსფერს!... გმადლობა კეთილი სალამისთვის.

ვარო: არა ღირს მადლობად. (მიდის. ისევ მიბრუნდება და თანაგრძნობით) ხომ არა გატკინეთ-რა?

ლოპახინი: არა, არაფერია. ისე ცოტა მოზრდილი კოპი ამიბურცდა.

ხმა დარბაზიდან: ლოპახინი მოსულა! რმილე ალექსეიჩ!

პიშჩიკი: თვალით ვხედავ, მესმის მისი ხმა (ჰკოცნის ლოპახინს) კონიაკის სუნი გიდის, ჩემო კარგო, ჩემო სულიკო! ჩვენც მხიარულად ვატარებთ დროს. (შემოდის ლუბა ანდრეევნა).

ლუბა ანდ.: მოხვედით, ერმილე ალექსიჩ? რად დაიგვიანეთ? ლეონიდი რაღა იქნა?

ლოპახინი: ლეონიდ ანდრეიჩი და მე ერთად მოვედით. ახლავე შემოვა.

ლუბა ანდ.: რა ამბავია? იყო ვაჭრობა? სთქვით რაღა!

ლოპახინი: (სიხარულს მალავს. ცოტა დარცხვენით) ვაჭრობა ოთხ საათზე გათავდა, მატარებელმა გამოგვასწრო და ათის ნახევრამდის მოგვიხდა ცდა. (გაჭირებით ამოისუნთქავს) უჰ! თავბრუ მეხვევა. (შემოდის გაევი; მარჯვენა ხელში სავაჭროები უჭირავს, მარცხენა ხელით ცრემლს იწმენდავ).

ლუბა ანდ.: ლეო, რას იტყვი? ჰა? (მოუთმენლად, ცრემლით) ღვთის გულისათვის, ჩქარა სთქვი.

გაევი: (დას არა ეუბნება. ფირს უქნევს ხელსახოცს და ტირილით) აჰა, წაიღე... ამ კოლოფებში სხვა-და-სხვა-ნაირი თევზეულობაა. დღეს არაფერი არა მიჭამია-რა! რაც მე ტანჯვა გამოვიარე! (ბილიარდის სათამაშო ოთახის კარი ღიაა, ისმის ბილიარდის ბურთების ტკაცა-ტკუცი და იაშას ხმა: „შვიდი და თვრამეტი“. გაევი მშვიდდება, აღარ სტირის) ძალიან დავიღალე. ფირსს, ერთი სხვა ტანისამოსი ჩამაცვი. (გადის თავის ოთახში. ფირსი უკან მისდევს).

პიშჩიკი: რა ამბავი მოხდა? გვიამბე რამე ვაჭრობისა.

ლუბა ანდ.: გაიყიდა ალუბლის ბაღი?

ლოპახინი: გაიყიდა.

ლუბა ანდ.: ვინ იყიდა?

ლოპახინი: მე ვიყიდე. (პაუზა. ლუბა ანდრეევნა მეტად სასოწარკვეთილია. მაგიდასა და სავარძელს შუა რომ არ

მდგარიყო, ძირს დაეცემოდა. ვარო მოისხნის წელიდან გასაღებებს, გადისვრის იატაკზე და გადის).

ლოპახინი: დიაღ, მე ვიყიდე. ღვთის გულისთვის დამიცადეთ, ბატონებო, თავბრუ მეხვევა, ლაპარაკს ვეღარ ვახერხებ... (იცინის) მივედით იმ დროს, როდესაც ვაჭრობა დაიწყო და დერიგანოვი უკვე იქა ბრძანდებოდა. ლეონიდ ანდრეიჩს მხოლოდ თხუთმეტი ათასი მანეთი ედო ჯიბეში. დერიგანოვმა კი, ვალს გარდა, ერთბაშად ოცდა ათი ათასი მეტი შეაძლია, რომ დავინახე, საქმე ასე დატრიალდა, შევეჯიბრე – გავხადე ორმოც ათასად. იმან ორმოცდა ხუთი ათასი შეაძლია, მე ორმოცდა თხუთმეტი ათასი. ბოლოს გათავდა, ვალს გარდა დავუმატე ოთხმოცდა ათი ათასი და მამული მე დარმჩა. ალუბლის ბაღი ახლა ჩემია, ჩემი! (ხარხარებს) ღმერთო მაცხოვარო! ალუბლის ბაღი ჩემია!... დამარწმუნეთ, რომ მთვრალი ვარ, ან ჭკუაზე შეშლილი და ყველა ეს მებლანდება. (ფეხებს ატყაპუნებს) ნუ დამცინით! ეხლა რომ მამა-ჩემმა და პაპა-ჩემმა საფლავიდან წამოიხედონ და ნახონ ეს ამბავი, ნახონ თუ მათმა ნაცემ-ნატყეპმა, უსწავლელმა ერმილემ, რომელიც ზამთრობით ფეხშიშველა დარბოდა ხოლმე, სწორეთ იმ ერმილემ იყიდა ასეთი მამული, რომლის უმშვენიერესი მთელს ქვეყანაზე არა მოიპოვება-რა! მე ვიყიდე ის მამული, სადაც სცხოვრობდნენ ჩემი მამა-პაპანი, როგორც უბრალო მონა-ყმანი. ამ მამულის პატრონები ჩემ მამა-პაპას სამზარეულოშიაც-კი არ უშვებდნენ! არა, მგონია მძინავს! მესიზმრება ყველა ეს, მოჩვენებაა. ეს მხოლოდ თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც საიდუმლოებით არის მოცული. (აიღებს გასაღებს და ალერსითა და ღიმილით) გადისროლა... ამით უნდა გამოაცხადოს, რომ ამ სახლში დიასახლისად აღარ არის... (აჩხაკუნებს გასაღებს). ეჰ, რაც უნდა ქნას, სულ ერთია. (მუზიკას მართავენ, აჭრიჭინებენ). თქვენ ეი! მემუსიკეებო! დაუკარით, მინდა ყური დაგიგდოთ! მოდით ყველა და ნახეთ ერმილე ლოპახინი, როგორ დაუწყებს ალუბლის

ხეებს ცულით ჭრას, როგორ დაეყრებიან ეს ხეები ძირს. ჩავამწკრივებ სააგარაკო-სახლებს და აქ ჩვენი შვილები, შვილი-შვილები დაიწყებენ ახალ ცხოვრებას... მუსიკა, დაუკრით! (მუსიკა უკრავს. ლუბა ანდრეევნა სავარძელში ზის და სტირის).

ლოპახინი: (საყვედურით) რატომ არ გაიგონეთ ჩემი რჩევა, რატომ? ჩემო კარგო, ჩემო საბრალოვ, ეხლა ვეღარას უშველით. (ცრემლ-მორეული) ოხ, ნეტავი ჩქარა გაიაროს ამ დრომ, ჩქარა შეიცვალოს ჩვენი დაუწყობელი, უბედური ცხოვრება.

პიშჩიკი: (მკლავს მკლავში გაუყრის და ხმა-დაბლა) ტირის... წავიდეთ დარბაზში, მარტო დარჩენა ურჩევნიათ... წავიდეთ (მიდიან და თან ლაპარაკობენ).

ლოპახინი: რა ვუყოთ, მემუსიკეებო, გარკვევით დაუკრით. ყველა ისე უნდა მოიქცეს, როგორც მე მსურს. (ირონიულად) მოდის ახალი მემამულე, ალუბლის ბაღის პატრონი! (უცაბედათ მიეხლება სტოლს და კანდელიაბრებს კინაღამ ჩამოაგდებს) ყველაფერს ვზღამ! (გადის პიშჩიკთან ერთად. დარბასსა და სასტუმრო ოთახში არავინ არის, ლუბა ანდრეევნას გარდა, რომელიც მოკუნტული ზის სავარძელში და საცოდავად სტირის, მუსიკა ნელ-ნელა უკრავს. საჩქაროდ შემოდიან ანნა და ტროფიმოვი. ანნა მიუახლოვდება დედას დამ ის წინ დაიჩოქებს. ტროფიმოვი შემოსავალ კართან გაჩერდება).

ანნა: დედა!... დედა, სტირი? ჩემო საყვარელო, კარგო, კეთილო დედა, ჩემო მშვენიერო, მე შენ მიყვარხარ... ალუბლის ბაღი გაიყიდა, ჩვენი აღარ არის. ეს მართალია, მართალი, მაგრამ ნუ სტირი, ჩემო დედა. შენ ჯერ კიდევ მთელი ცხოვრება გაქვს. შენ ჯერ კიდევ გაქვს შენი კეთილი წმინდა გული. წამოდი ჩემთან, წავიდეთ აქედან, ჩემო საყვარელო, წავიდეთ... ჩვენ გავაშენებთ ახალ ბაღს, ბევრით ამ ბაღზე უკეთესს. შენ ნახავ, ჩემო დედა, ამ ახალ ბაღს, ახალ ბედნიერებას. მზის სხივებსავით ბრწყინვალე სიხარული მოეფინება შენს გულს

და შენც ღიმილით მიეგებები ამას, ჩემო საყვარელო დედავ! წამოდი, ჩემო ძვირფასო, წავიდეთ!...

(ფარდა)

მოქმედება მეოთხე

(დეკორაცია პირველის მოქმედებისა. ჩამოღებულია ფანჯრებიდან ფარდები და კედლე-ბიდან სურათები. დატოვებულია ცოტაოდენი ავეჯი, რომლებიც, თითქო გასაყიდიაო, კუთხეშია მოგროვილი. სახლი სულ დაცალიერებულია. გასავალ კარიდან, სცენის სიღრმეში მოჩანს ჩემოდნები, ბოხჩები და სხვადასხვა სამგზავრო სამზადისი. მარცხენა კარი ღიაა, იქიდან მოისმის ანნასი და ვაროს ხმაურობა. ლოპახინი გაჩერებულია. იაშას ხელში უჭირავს ფოდნოსი, რომელზედაც შამპანიურით სავსე ჭიქები აწყვია. დერეფანში ეპიხოდოვი სკვირს თოკებს უჭერს. სცენის გარედ გლეხები ხმაურობენ, რომლებიც გამოსათხოვრად მოსულამ. გაევის ხმა: „მადლობელი ვარ, ჩემო ძმებო, მადლობელი!").

იაშა: გლეხკაცობაა, გამოსათხოვრად მოსულა. უნდა მოგახსენოთ ჩემი აზრი, ერმილე ალექსეიჩ, რომ ეს გლეხკაცობა, მართალია, გულკეთილი ხალხია, მაგრამ ბევრი არა ესმის-რა, გაუნათლებელია. (ხმაურობა შეწყდება. დერეფნიდან შემოდიან ლუბა ანდრეევნა და გაევი. ლუბა ანდრეევნა, თუმცა აღარ სტირის, მაგრამ ფერმკრთალია, სახე უკანკალებს, ვერ ლაპარაკობს).

გაევი: ლუბა, რა ჰქენი, სულ რათ მიეცი, რაც ქისაში გქონდა! ეგრე როგორ იქნება, როგორ შეიძლება!

ლუბა ანდ.: უარის თქმა ვერ შევიძელ და რა ვქნა! (ორივე გადიან).

ლოპახინი: (მისდევს კარებამდის) მობრძანდით, უმორჩილესად გთხოვთ, თითო ჭიქა მიირთვით. გამოთხოვებისას, მხოლოდ თითო ჭიქა, ქალაქიდან ვერ წამოვიღე შამპა-

ნიური, დამავიწყდა და აქ, სადგურზე, მხოლოდ ერთი ბოთლი ვიშოვე! მობრძანდით!... (პაუზა) რა ამბავია, ბატონებო! არ გნებავთ? (მოშორდება კარებს) ასე რომ მცოდნოდა, არ ვიყიდდი, მაშ არც მე დავლევ. (იაშა ფრთხილად სდგამს მაგიდაზე ფოდნოსს) იაშა, შენ მაინც დალიე.

იაშა: წამსვლელთ გზა მშვიდობისა, თქვენ კი ბედნიერად ბრძანდებოდეთ. (სვამს) ეს, მერწმუნეთ, ნამდვილი შამპანიური არ არის.

ლოპახინი: ბოთლი რვა მანეთიანია. (პაუზა) რა ოხერი სიცივეა!

იაშა: დღეს ბუხრები არ დაგვინთია. მაინც წასვლას ვაპირობთ (იცინის).

ლოპახინი: რას იცინი?

იაშა: ეს სიხარულისაგან მომდის.

ლოპახინი: ოქტომბერში და ასეთი წყნარი, მზიანი დღეები! თითქო ზაფხულიაო! ასლი შენობის დროა (საათს დახედავს) ბატონებო, იცოდეთ მატარებლის წასვლამდის ორმოცდა ექვსი წამი-ღა დარჩა, ასე რომ ორი წამის შემდეგ უნდა სადგურზე წახვიდეთ, დაეჩქარეთ (ტროფიმოვი ეზოდან პალტოთი შემოდის).

ტროფიმოვი: მე მგონია, წასვლის დროა. ცხენები მზად არის. (კარებიდან უძახის) ანნა, ჩემი კალოშები არსადა სჩანს, ვერ ვიპოვე.

ლოპახინი: ხარკოვში საქმე მაქვს და მეც თქვენთან წამოვალ. ერთი მატარებლით წავალთ. იქ მთელს ზამთარს დავრჩები. ეს რამოდენი ხანია სულ თქვენთან ვტრიალებ და მომკლა უსაქმურობამ. უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლიან. ტყუილ უბრალოდ დავაქნევ ხელებს, რა ვუყო, არ ვიცი, ასე მგონია ჩემები არ არიან-მეთქი.

ტროფიმოვი: ჩვენ ეხლავე წავალთ და შეგიძლიანთ, თქვენ სასარგებლო მუშაობას მიჰყოთ ხელი.

ლოპახინი: ერთი ჭიქა მაანც დალიე, კაცო!

ტროფიმოვი: არ მინდა.

ლოპახინი: მაშ ეხლა მოსკოვში მიდიხარ?

ტროფიმოვი: დიახ, ჯერ მაგათ ქალაქამდის მივაცილებ და ხვალ მოსკოვში წავალ.

ლოპახინი: დიაღ... პროფესორები ლექციებს არა კითხულობენ თურმე, შენს მისვლას ელიან.

ლოპახინი: ეგ შენი საქმე არ არის.

ლოპახინი: რამდენი წელიწადია, რაც უნივერსიტეტში სწავლობ?

ტროფიმოვი: ახალი რამე სთქვი. ეგ ოხუნჯობა დაძველებულია, კბილ-ჩავარდნილი. (კალოშებს ეძებს) იცი, რა გითხრა? შეიძლება, ერთმანეთი ვეღარც კი ვნახოთ და ამიტომ, გამოთხოვების დროს, მოდი ერთ რჩევას მოგცემ:ნუ იცი ეგ ხელების ქნევა, გადაეჩვიე მაგ უცნაურს ჩვეულებას. ამას გარდა, რომ აგიხირებია, სააგარაკო სახლებს ავაშენებო, ყველა მოაგარაკე კარგი მემამულე იქნებაო, ესეც ხომ შენი ხელების ქნევას ჰგავს. რაც უნდა სთქვა, მაინც მიყვარხარ, შენ არტისტივით მეტად სათუთი და შუშა თითები გაქვს და სუფთა და ნაზი გული.

ლოპახინი: (ეხვევა) მშვიდობით, ჩემო გვრიტო, ყველაფრისთვის მადლობელი ვარ. თუ საჭიროა შენთვის სამოგზავრო ფული, მითხარი და მოგცემ.

ტროფიმოვი: რა საჭიროა! არ მინდა.

ლოპახინი: ამჟამად ხომ არა გაქვს ფული?

ტროფიმოვი: გმადლობ, როგორ არა მაქვს, თარგმანებში მივიღე, აგერ, აქა მაქვს, ჯიბეში. (შეშფოთებით) კალოშები არსადა სჩანს.

ვარო: (ოთახიდან იძახის) წაიღეთ ეს თქვენი ჟლანები. (გადმოისვრის სცენაზე ერთ წყვილ ძველ კალოშებს).

ტროფიმოვი: რა გაჯავრებთ, ვარო! მ... მ... ეს ხომ ჩემი კალოშები არ არის.

ლოპახინი: გაზაფხულზე ორი ათასი დღიური ხაშხაში დავთესე და ეხლა ორმოცი ათასი წმინდა მოგება დამრჩა. როდესაც ყვაოდა, უნდა გენახა, რა მშვენიერი სანახავი იყო! ჰო და, იმას გეუბნები, ორმოცი ათასი მოვიგე-მეთქი და, თუ საჭირო იყოს ფული, ისესხე ჩემგან, ეს

იმიტომ, რომ შეძლება მაქვს. რას იპრანჭები, ალალის გულით გეუბნები, მე უბრალო გლეხი ვარ.

ტროფიმოვი: მამაშენი უბრალო გლეხი იყო, მამაჩემი მეაფთიაქე! მერე ეგ რა შუაშია!... (ლოპახინი ფულის ქისას ამოიღებს უბიდან) დაანებე თავი, დაანებე ორასი ათასიც რომ მომცე, არ გამოგართმევ. მე თავისუფალი კაცი ვარ და რასაც თქვენ, მდიდრები თუ ღარიბები ისე დიდათ აფასებთ, ჩემზე იოტის ოდენათაც არ იმოქმედებს. უთქვენოთაც იოლად წავალ. მე ძალა მაქვს და სიამაყე, კაცობრიობა მიისწრაფვის უმაღლეს სიმართლისაკენ, ბედნიერებისაკენ, როგორც კი შესაძლებელია ამ ქვეყნად, და მე ამ კაცობრიობის პირველ რიგში ვურევივარ.

ლოპახინი: მიაღწევ კი იქამდის?

ტროფიმოვი: მივაღწევ... (პაუზა) მივაღწევ. ან და სხვებს გავუკლვევ გზას (ხეებს სჭრიან და მისი ხმა შორიდან მკაფიოდ გაისმის).

ლოპახინი: მშვიდობით, ჩემო კარგო. წასვლის დროა. ჩვენ ერთმანეთს ცხვირს ვუბზუებთ და სიცოცხლე კი თავისს-თავად გარბის. როდესაც ბევრს ვმუშაობ, აზრებიც უფრო თავისუფლად მოქმედებენ და ამდროს თითქო მეც მესმის ხოლმე, რისთვისაც ვცხოვრობ. ეჰ, ჩემო ძმაო, რამდენი ხალხია რუსეთში, რომლებიც, არავინ იცის, რისთვის სცხოვრობენ. მაგრამ საქმე ამაში არ არის, ამბობენ, ლეონიდ ანდრეევიჩმა ბანკში სამსახური იშოვა. ექვსასი თუმანი ჯამაგირი ექნებაო... მაგრამ განა ის ერთ ადგილს გასძლებს! მეტად ზარმაცი კაცია!

ანნა: (კარებიდან იძახის) ერმილე ალექსეიჩ, დედამა გთხოვა, მანამ წავიდოდე, ალუბლის ბაღის ჩეხას თავი დააანებებინეთო.

ტროფიმოვი: ნუ თუ მართლა იმდენი მოფიქრება აღარა გაქვთ! (გადის).

ლოპახინი: ეხლავ შევაჩერებ, ეხლავ... ეჰ, რა ხალხია! (გადის).

ანნა: ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

იაშა: მე დილითვე ვუთხარი და ალბად წაიყვანდნენ.

ანნა: (ეპიხოდოვს, რომელიც სცენაზე გაივლის) სვიმონ პანტელეევიჩ, შეიტყვეთ, გეთაყვა, ფირსი წაიყვანეს თუ არა საავადმყოფოში.

იაშა: (წყენით) დილას მე ვუთხარი იაგორას, რალა ათასჯერ კითხულობთ!

ეპიხოდოვი: მრავალ წლოვანი ფირსი, ჩემის აზრით, დასაკერებლად აღარ ვარგა. ის უნდა თავის მამაპაპასთან გაისტუმროთ. მე შევნატრი იმის ბედს. (ჩემოდანს დაადებს შლიაპას კარდონს და გასტეხს). აი, ბატონებო, მე კი არ ვიცოდი! (გადის).

იაშა: (დაცინვით) ოცდა-ორი უბედურება.

ვარო: (გარედან იძახის) ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

ანნა: წაიყვანეს.

ვარო: მერე ექიმთან წერილი რატომ არ წაიღეს.

ანნა: მაშა საჩქაროდ უნდა დაადევნოთ კაცი (გარბის).

ვარო: (გარედანვე) იაშა სად არის? უთხარით, რომ დედამისი მოვიდა გამოსათხოვრად.

იაშა: (ხელებს გაიქნევს) მოთმინებიდან გამოიყვანენ კაცსა. (დუნიაშა ბარგთან ფათურობს და, რომ დაინახავს იაშა მარტო დარჩა, მივა მასთან).

დუნიაშა: იაშა, ერთხელ მაინც გადმოიხეთეთ ჩემსკენ... მიდიხართ... მტოვებთ... (ტირილით. მოეხვევა ყელზე).

იაშა: რა გატირებს? (სვამს შამპანურს) ექვსი დღის შემდეგ ისევ პარიზში გავჩნდები. ხვალ ჩავსხდებით მსწრაფლ მატარებელში და გავსწევთ. თითქოს როგორღაც არა მჯერა. „ვივ ლაფრანს“. აქ ცხოვრება რა ჩემი საქმეა, ვეღარ გავძლებ... ვერსა გავაწყობ. მეყო, რაც აქ სიბრიყვე ვნახე. (სვამს შამპანიურს) რა გატირებს, დუნიაშა? პატიოსნურად მოიქეც და სატირალი არა გექნებარა.

დუნიაშა: (სარკეში იყურება და პურდს იყრის) წერილი მომწერეთ ხოლმე პარიზიდან. მე ხომ თქვენ მიყვარდით, იაშა, ძალიან მიყვარდით! მეტად ნაზი აგებულებისა ვარ, იაშა!

იაშა სსსუ! მოდიან. (ჩემოდანთან ფათურობს და ნელის ხმით ღიღინებს. შემოდიან ლუბა ანდრეავნა, გაევი, ანნა და შარლოტა).

გაევი: წასვლის დროა, ცოტა დრო-ღა დარჩა. (იაშას შესცქერის) რა სელიოტკის სუნი მოდის?

ლუბა ანდ.: ათი წამის შემდეგ ავდგეთ და გავუდგეთ გზას. (აქეთ-იქით იცქირება) მშვიდობით, ჩემო საყვარელო სახლო, ჩემო სამშობლოვ! გაივლის ზამთარი, დადგება გაზაფხული და შენი ხსენება გაჰქრება, დაგანგრევენ. რამდენი რამის მომსწრეა ეს კედლები? (ჰკოცნის ქალს გატაცებით) ჩემო საუნჯევ, შენ მხიარულადა ხარ, თვალები ალმასებივით გიბრწყინავს, კმაყოფილნი ხარ, შვილო? ძალიან?

ანნა: ძალიან, დედა, ახალი ცხოვრება იწყება ჩემთვის.

გაევი: (მხიარულად) მართლაცა და ეხლა ყველაფერი კარგათაა მოწყობილი, მანამ ალუბლის ბაღი გაიყიდებოდა, ჩვენ ყველა ვშფოთავდით, ვიტანჯებოდით და, როდესაც საქმე საბოლოოდ გადაწყდა, როდესაც დავრწმუნდით, რომ საქმეს აღარა ეშველება-რა, ყველა დავმშვიდდით, თითქმის კიდევაც გავმხიარულდით... მე ეხლა ბანკის მოხელე ვარ, ფინანსისტი... Желтого въ середину და შენც, ლუბა, რაც გინდა სთქვი, ეხლა ბევრით უფრო უკედ გამოიყურები.

ლუბა ანდ.: მართალი ხარ, ეხლა უფრო დამიმშვიდდა ძარღვები. (მოუტანენ ქუდსა და პალტოს) უფრო კარგად მძინავს ხოლმე. გაიტანეთ ჩემი ბარგი, იაშა, დროა, (ანნას) ჩემო გოგონა, როდის-ღა ვნახავთ ერთმანეთს... მე პარიზში მივდივარ იმ ფულით, რომელიც იაროსლავიდან პაპიდა-შენმა გამოგზავნა მამულის დასახსნელად. გაუმარჯოს პაპიდას... თუმცა დიდხანს კი არ იკმარებს ეს ფული...

ანნა: შენ მალე უნდა დაბრუნდე, დედილო, ძალიან მალე – ხომ დედა? მე მანამდის მოვემზადები, დავიჭერ გიმნაზიაში ეგზამენს და მერე დავიწყებ მუშაობას. მოგეხმარები ყველაფერში, ჩემო დედილო, ერთად დავიწყებთ

ხოლმე წიგნების კითხვას... არა, დედა? (ხელზე ჰკოცნის) შემოდგომის ღამეები დიდია, ბევრს წიგნებს წავიკითხავთ, ერთის სიტყვით, ახალსა და მშვენიერს ცხოვრებას დავიწყებთ... (ოცნებობს) უთუოდ მალე მოდი, დედა.

ლუბა ანდ.: მოვალ, ჩემო ბრილიანტო, მოვალ (ეხვევა ანნას. შემოდიან ლოპახინი, შარლოტა, რომელიც ნელის ხმით ღიღინებს).

გაევი: რა ბედნიერია შარლიტა, რომ ემღერება!

შარლოტა: (აიღებს ბოხჩას, რომელიც ისე გრძლად არის შეკრული, თითქო ბავშვი შეუხვევიათო) ნანა, ნანა, ჩემო შვილო... (თითქო ბავშვი ტირისო:უა, უა, უა!) გაჩუმდი, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო ბიჭიკო. (უა, უა, უა!) უჰ, რა მეცოდები! (გადააგდებს ბოხჩას თავის ადგილს) გეთაყვა, ალაგი მიშოვეთ სადმე. ასე დარჩენა არ შემიძლიან.

ლოპახინი: გიშოვით, გიშოვით, შარლოტა ივანოვნა, მაგაზე ნუ სწუხართ.

გაევი: ყველა თავს გვანებებს. ვაროც მიდის, ერთის სიტყვით, აღარავის ვუნდივართ (შემოდის პიშჩიკი).

ლოპახინი: საკვირველებავ ბუნებისავ!...

პიშჩიკი: (ქშენით) ოჰ, დამაცადეთ, სული მოვიბრუნო... დავიტანჯე, ბატონებო... წყალი... წყალი მომაწოდეთ.

გაევი: კიდევ ფულისთვის მოსულხარ? ვერ მოგართვი (გადის).

პიშჩიკი: რამდენი ხანია. თქვენსა აღარა ვყოფილვარ, უუმშვენიერესო... (ლოპახინს) აქა ხარ... რა მიხარიან შენი ნახვა... დიდი ჭკვიანი კაცი ხარ... ინებე... მიიღე... (აძლევს ფულს) ოთხანი მანეთია... კიდევ დარჩება ჩემზე რვაას ორმოცი.

ლოპახინი: (გაკვირვებული) სიზმარში ხომ არა ვარ!... სად იშოვე?

პიშჩიკი: დამაცადე... უჰ, მცხელა... მოულოდნელი შემთხვევაა... მოვიდნენ ვიღაც ინგლისელები

ფარდა.

ალუბლის ბაღი

კომედია 4 მოქმედებად
თარგმანი რუსულიდან შალვა დადიანისა*.

მოქმედი პირნი:

ლიუბოვ ანდრეევნა რანევსკაია, მემამულე.
ანია, მისი ქალიშვილი, 17 წლის.
ვარია, რანევსკაიას ნაშვილები, 24 წლის.
ლეონიდ ანდრეევიჩ გაევი, რანევსკაიას ძმა.
ერმოლაი ალექსეევიჩ ლოპახინი, ვაჭარი.
პიოტრ სერგეევიჩ ტროფიმოვი, სტუდენტი.
ბორის ბორისოვიჩ სიმეონოვ-პიშჩიკი, მემამულე.
შარლოტა ივანოვნა, გუვერნანტკა.
სემიონ პანტელეევიჩ ეპიხოდოვი, კანტორი მოსამსახურე.
დუნიაში, მოსამსახურე გოგო.
ფირსი, ლაქია, 87 წლის მოხუცი.
იაშა, ახალგაზრდა ლაქია.
გამვლელი.
სადგურის უფროსი.
ფოსტის მოხელე.
სტუმრები, მოსამსახურეები.

მოქმედება მიმდინარეობს ლ.ა. რანევსკაიას მამულში.

---

* იბეჭდება ა.პ.ჩეხოვის თხზულებათა სამტომეულიდან (ტ.III) „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1968, გვ. 347-412.

ოთახი, რომელსაც აქამდე საბავშვო ოთახს ეძახიან. ერთ-ერთი კარი შედის ანიას ოთახში. განთიადია, მალე მზე ამოვა. უკვე მაისია და ალუბლები აყვავებულა, თუმცა ბაღში ცივა, დილის სუსხია. ოთახში ფანჯრები მიხურულია.

შემოდის დუნიაშა სანთლით და ლოპახინი წიგნით ხელში.

ლოპახინი. მატარებელი მოვიდა, მადლობა ღმერთს, რომელი საათია?

დუნიაშა. მალე ორი იქნება (სანთელს აქრობს). უკვე თენდება.

ლოპახინი. მატარებელმა ნეტა რამდენი დაიგვიანა? მე მგონი, ორი საათი მაინც. (ამთქნარებს, იზმორება). მეც კარგი ვინმე ვარ, აი! რა სიბრიყვე მომივიდა? საგანგებოდ ჩამოველ აქ, რომ სადგურზე შევგებებოდი და ჩამეძინა... რომ ვიჯექი, ისე ჩამეძინა. ვნანობ... შენ მაინც გაგელვიძებინე.

დუნიაშა. მე კი მეგონა, რომ წახვედი. (მიაყურებს) აი, მგონი მოდიან.

ლოპახინი. (მიაყურებს). არა... ბარგი აქვთ გამოსატანი, ესაო, ისაო...

პაუზა.

ლიუბოვ ანდრეევნამ საზღვარგარეთ ხუთი წელიწადი გაატარა, ახლა კი არ ვიცი როგორი გახდა... კარგი ადამიანია, უბრალო, არ არის მძიმე ხასიათის. მახსოვს, როცა მე თხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, განსვენებულმა მამაჩემმა – ის მაშინ აქ, სოფლად დუქანში ვაჭრობდა – სახეში მუშტი ჩამარტყა და ცხვირიდან სისხლი წამსკდა... იმ დროს რატომღაც ორივენი აქ მოვედით, მამაჩემი ნასვამი იყო. ლიუბოვ ანდრეევნა მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო, გამხდარი. კარგად მახსოვს, მიმიყვანა პირსაბანთან, სწორედ აი ამ ოთახში, ბავშვების ოთახში და მითხრა: ნუ ტირი, შე გლეხუჭავ, შენა! ჯვარის წერამდე მოგირჩებაო...

პაუზა.

გლეხუჭა!... მამაჩემი მართლაც რომ გლეხი იყო, მე კი აგერ თეთრ ჟილეტსა და ყვითელ ფეხსაცმელს ვატარებ... ისე ვარ როგორც ყვავი ფარშავანგის ფრთებით, მხოლოდ ეს არის, რომ მდიდარი ვარ, ფულები ბლომადა მაქვს, მაგრამ კარგად რომ ჩაუკვირდე, გლეხობით კი გლეხი ვარ... (წიგნს გადაფურცლავს). აი, ვკითხულობდი ამ წიგნს და ვერაფერი ვერ გავიგე: კითხვაში ჩამეძინა.

პაუზა.

დუნიაშა. ძაღლებსაც კი მთელი ღამე არ ეძინათ, იგრძნეს, რომ პატრონები მოდიან.

ლოპახინი. შენ რაღა მოგდის, დუნიაშა?...

დუნიაშა. ხელები მიძიგძიგებს. აგერ-აგერ გული შემიწუხდება.

ლოპახინი. ძალიან ნაზი ვინმე მყავხარ, დუნიაშა. შენც დიდკაცის ქალიშვი-ლებივით იცვამ-იხურავ, თმასაც იმათსავით იკეთებ. მაგრამ ასე არ შეიძლება. თავისთავი უნდა გახსოვდეს.

შემოდის ეპიხოდოვი თაიგულით ხელში, აცვია პიჯაკი და გავასვასებული ყელიანი ჩექმები. ჩექმები სიარულის დროს ძალზე ჭრიჭინებს. ეპიხოდოვი შემოვა თუ არა, თაიგული ხელიდან გაუვარდება.

ეპიხოდოვი. (აიღებს თაიგულს). მებაღემ გამომგზავნა. ამბობს, სასადილოში მოათა-ვსეთო. (თაიგულს დუნიაშას გადასცემს).

ლოპახინი. თან ბურახიც მომიტანე.

დუნიაშა. მესმის, (გადის).

ეპიხოდოვი. ჯერ კიდევ დილის სუსხია, ყინავს. სამი გრადუსია. ალუბალი კი ჰყვავის. არ მომწონს აქაური ჰავა. (ამოიოხრებს) არ შემიძლია მისი მოწონება. აქაურ ჰავას არ შეუძლია ხელი შეგიწყოს. ამასთან, ერმოლაი ალექსეიჩ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ შემდეგი, რომ ამ სამი დღის წინ ჩექმები ვიყიდე, ვკადნიერდები და და-

გარწმუნებთ, ისე ჭრიჭინებენ, რომ მეტი არ შეიძლება. რა უნდა წავუსვა?

ლოპახინი. დამეხსენ. თავი მომაბეზრე.

ეპიხოდოვი. ყოველ დღეს რაიმე ფათერაკი რომ არ შემემთხვეს, არ შეიძლება. მე არა ვჩივი, მივეჩვიე და ვიღიმები.

დუნიაშა შემოდის, ლოპახინს ბურახს მოიტანს.

ეპიხოდოვი. მე წავალ, (დაეჯახება სკამს, სკამი წაიქცევა). აი... (თითქო ძალიან გაეხარდაო). აი, ხომ ხედავთ, უკაცრაული პასუხია და რა მდგომარეობაა... სხვათა შორის ეს პირდაპირ შესანიშნავია! (გადის).

დუნიაშა. მე კი, ერმოლაი ალექსეიჩ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეპიხოდოვმა წინა-დადება მომცა ცოლად გავყვე.

ლოპახინი. ა!

დუნიაშა. არ ვიცი კი როგორ... კაცმა რომ თქვას, წყნარი კაცია, მხოლოდ, როდესაც ლაპარაკს დაიწყებს, ვერაფერს ვერ გაუგებ. ვითომ კარგია, ვითომ მგრძნობიარე სიტყვებიცაა, მაგრამ გასაგები არ არის. მე თითქო მომწონს კიდეც. მას კი გაგიჟებით ვუყვარვარ. ისე კი უბედურია – დღე არ გავა, რომ რაიმე უბედურება არ შეემთხვეს. დასცინიან კიდეც: ფათერაკიანიაო. ოცდაორ ფათერაკიანს უწოდებენ.

ლოპახინი. (მიაყურებს). აი, მგონი... მოდიან...

დუნიაშა. მოდიან, მოდიან! ეს რა მემართება... სრულიად გავიყინე.

ლოპახინი. ნამდვილად მოდიან. წავიდეთ, შევეგებოთ. ნუთუ არ მიცნობს? ხუთი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს.

დუნიაშა. (აღელვებულია). გული მიღონდება... ნამდვილად წავიქცევი!

მოისმის სახლს როგორ მოადგა ორი ეკიპაჟი. ლოპახინი და დუნიაშა სასწრაფოდ გავლენ. სცენა ცარიელია. მეზობელ ოთახებში იწყება ხმაური... ჯოხზე დაყრდნობილი, მთელ სცენას ჩქარი ნაბიჯით გადაივლის

ფირსი, რომელიც ლიუბოვ ანდრეევნას შესახვედრად იყო წასული. აცვია ძველებური ლივრეა და მაღალი ქუდი; რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის. სცენის გარეთ ხმაური თანდათან მატულობს. ხმა: „აი აქ გავიაროთ...“ ლიუბოვ ანდრეევნა, ანია და შარლოტა ივანოვნა, ჯაჭვზე მიბმული ძაღლით, სამგზავროდ არიან ჩაცმულები. ვარიას პალტო აცვია და თავზე მანდილი ახურავს. გაევი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ლოპა-ხინი, დუნიაშა ფუთათი და ქოლგით, მოსამსახურე სხვადასხვა ბარგით – ყველანი გაივ-ლიან ოთახზე.

ანია. აქ გავიაროთ. გახსოვს, დედა, ეს რა ოთახია?

ლიუბ. ანდ. (სიხარულით აცრემლებული). ბავშვების ოთახი!

ვარია. როგორა ცივა, ხელები სულ გამიშეშდა. (ლიუბოვ ანდრეევნას) თქვენი თეთრი და იისფერი ოთახები, დედიკო, ისევ ისეთებია, როგორიც იყო.

ლიუბ. ანდ. საბავშვო ოთახი! რა კარგია, რა მშვენიერია... ბავშვობისას მე აქ მეძინა. (ტირის). ახლაც ისეთი ვარ, თითქო ბავშვი ვიყო... (ჰკოცნის ძმას, ვარიას, შემდეგ ისევ ძმას) ვარია კი ისევ ისეთია, როგორიც იყო, მონაზონსა ჰგავს. დუნიაშაც ვიცანი... (ჰკოცნის დუნიაშას).

გაევი. მატარებელმა ორი საათი დაიგვიანა. როგორია, ა? რასა ჰგავს ასეთი წესი?

შარლოტა. (პიშჩიკს). ჩემი ძაღლი კაკალსაც ჭამს.

პიშჩიკი. (გაკვირვებით) რასა ბრძანებთ?!

ანიასა და დუნიას გარდა ყველანი გავლენ.

დუნიაშა. თქვენს მოლოდინში გული გადაგველია. (ანიას პალტოს და ქუდს ჩამოართმევს).

ანია. მე კი მთელი ოთხი დღე გზაში არ მიძინია... ახლა ძალზე მცივა, გავიყინე.

დუნიაშა. თქვენ დიდმარხვაში წახვედით, თოვლი იყო, ყინავდა, ახლა კი! საყვარელო! (ჰკოცნის) თქვენს ლოდინში გული გადაგველია, ჩემო სიხარულო, თვალის ჩი-

ნო... ახლავე გეტყვით, ერთი წუთიც არ შემიძლია მოვითმინო...

ანია. (მოდუნებული). კიდევ რაღაა?

დუნიაშა. კანტორაში მომუშავე ეპიხოდოვმა ნააღდგომევს ხელი მთხოვა.

ანია შენ სულ ამაზე ფიქრობ... (თმას ისწორებს). თმის დასამაგრებელი სარჭი ყველა დავკარგე... (ძალიან დაღლილია, თითქმის ბარბაცებს).

დუნიაშა. სწორედ არ ვიცი რა ვიფიქრო! სიყვარულით კი ისე ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ...

ანია. (შეაჩერდება თავის კარებს, სინაზით). ჩემი ოთახი, ჩემი ფანჯრები, თითქო არც წავსულიყო. შინა ვარ ახლა, სახლში, დილით წამოვდგები თუ არა, ბაღში ჩავირბენ... ოო, რომ დამეძინებოდეს! მთელი გზა არ მიძინია, ძალზე მოვიქანცე.

დუნიაშა. სამი დღეა, რაც პიოტრ სერგეიჩი ჩამოვიდა.

ანია. (გაეხარდება). პეტია!

დუნიაშა. სააბაზანო ოთახში სძინავს, იქვე ცხოვრობს. არ მინდა შეგავიწროვოთო. (დახედავს თავის ჯიბის საათს) უნდა გამეღვიძებინა, მაგრამ ვარვარა მიხაილოვნამ ნება არ მომცა. მიბრძანა – არ გააღვიძოო.

შემოდის ვარია, გასაღებების მთელი კონა აქვს სარტყელზე ჩამოკიდებული.

ვარია. დუნიაშა, აბა ყავა, მალე. დედიკო ყავასა თხოულობს.

დუნიაშა. ამ წუთას. (გადის).

ვარია. მადლობა ღმერთს, უკვე ჩამოხვედით. შენ ისევ შინა ხარ, (ეალერსება) ჩემი სულიკო ჩამოვიდა. ჩემი ლამაზი გოგო ჩამოვიდა!

ანია. ბევრი რამ ავიტანე.

ვარია. წარმოდგენილი მაქვს!

ანია. მე ვნებათ კვირაში წავედი, მაშინ ციოდა. გზაში შარლოტა სულ ლაპარა-კობდა, ფოკუსებს მიჩვენებდა. რას გადამკიდე ამ შარლოტას?

ვარია. აბა მარტო როგორ უნდა წასულიყავ, ჩემო კარგო, ჩვიდმეტი წლისა ხარ!

ანია. ჩავედით პარიზში, ცივა, თოვლია. ფრანგულად საძაგლად ვლაპარაკობ. დედა მეხუთე სართულზე ცხოვრობს. მივედი მასთან, ვიღაც ფრანგები არიან, ქალები, მოხუცი პატერი წიგნით ხელში. თამბაქოს კვამლით გამურულია იქაურობა, ოთახიც ვერ არის მყუდრო. უეცრად დედაჩემი ისე შემეცოდა, რომ თავზე ხელი მოვხვიე დ ავერ ვუშველებ. ამის შემდეგ დედა სულ მეფერებოდა, ტიროდა...

ვარია. (იცრემლება) ნუ ამბობ, ნუ!

ანია. მენტონის ახლოს თავისი აგარაკი გაუყიდია და აღარაფერი დარჩენია, აღარაფერი. მეც ერთი გროში აღარ შემრჩა, ძლივს ჩავაღწიეთ. დედას კი არ ესმის. ვაგზალში დავჯდებით სასადილოდ, დედა კი თხოულობს ყველაფერს ძვირფასს და მოსამსახურეებს თითო მანეთობით აძლევს. შარლოტაც, იაშაც თავისთვის პორციობით თხოულობენ, საშინელებაა. დედას რომ ლაქია ჰყავს, იაშა, აქ ჩამოვიყვანეთ.

ვარია. ვნახე ის საზიზღარი, ისა.

ანია. აქ როგორღაა საქმე? პროცენტები გადაიხადეთ?

ვარია. აბა საიდან?

ანია. ღმერთო ჩემი, ღმერთო ჩემო!

ვარია. აგვისტოში მამული გაიყიდება...

ანია. მერთო ჩემო!

ლოპახინი. (კარებში შემოიხედავს, ზმუის). მე... ე... (გადის).

ვარია. (ცრემლიანი). ოჰ, ერთს ისეთს გავუშლიდი, რომ... (მუშტებს უღერებს).

ანია. (ეხვევა ვარიას, ხმადაბლა). ვარია, მაგან წინადადება მოგცა, ხომ? (ვარია უარის ნიშნად თავს გააქნევს). აკი უყვარხარ... რატომ არ მოილაპარაკებთ, არ გამოარკვევთ თქვენს საქმეს? რას ელოდებით?

ვარია. მე ასე ვფიქრობ, რომ ჩვენ არაფერი არ გამოგვივა. მაგას ბევრი საქმეები აქვს, ჩემთვის არა სცალია... არც

მაქცევს ყურადღებას, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, მე კი მემძიმება მისი დანახვა... ყველანი ჩვენს ჯვარისწერაზე ლაპარაკობენ, ყველანი მილოცავენ, მაგრამ ნამდვილად კი არაფერი არ არის, ყველაფერი სიზმარია... (სხვა კილოთი). შენი გულის ქინძისთავი ფუტკარსა ჰგავს.

ანია. (ნაღვლიანად). დედამ მიყიდა (მიდის თავის ოთახისაკენ, ლაპარაკობს მხიარულად, ბავშვურად). პარიზში მე აეროსტატით ვიფრინე!

ვარია. ჩემი სულიკო ჩამოვიდა! ჩემი ლამაზი გოგო ჩამოვიდა.

დუნიაშა დაბრუნდა, მოაქვს საყავე და ყავას ამზადებს.

ვარია. (დგას კარებთან). მთელი დღე საოჯახო საქმეებზე დავდივარ, ჩემო სულიკო, და სულ ვოცნებობ. გამეთხოვებინე ვინმე მდიდარ კაცზე, მაშინ დავმშვიდდებოდი, წავიდოდი უდაბნოში, შემდეგ კიევს... მოსკოვს, სულ მოვივლიდი წმინდა ადგილებს... სულ ვივლიდი და ვივლიდი. მშვენიერება იქნებოდა.

ანია. ბაღში ჩიტები გალობენ. რომელი საათი იქნება?

ვარია. სამი უნდა იყოს. შენი ძილის დროა. (შედის ანიასთან) მშვენიერებაა!

შემოდის იაშა, მოაქვს პლედი და სამგზავრო კალათა.

იაშა. (ოთახზე გავლა უნდა, ზრდილობიანად). შეიძლება გავიარო?

დუნიაშა. კაცი ვერ გიცნობთ, იაშა. როგორ გამოცვლილხართ საზღვარგარეთ...

იაშა. ჰმ... თქვენ ვინა ბრძანდებით?

დუნიაშა. თქვენ რომ აქედან მიდიოდით, მე მაშინ აი ამხელა ვიყავი (უჩვენებს) დუნი-აშა ვარ, ფედორ კოზოედოვის ქალიშვილი... არ გახსოვართ?

იაშა. ჰმ... კიტრუნა! (მიხედ-მოიხედავს და მოეხვევა, დუნიაშა მიაკივლებს და ხელიდან ლამბაქი გაუვარდება. იაშა საჩქაროდ გადის).

ვარია. (კარებში, უკმაყოფილო კილოთი). რა ამბავია?

დუნიაშა. (ცრემლმორეული). ლამბაქი გავტეხე...

ვარია. ეგ კარგი ნიშანია.

ანია. (თავისი ოთახიდან გამოვიდა). დედა გავაფრთხილოთ: პეტია აქ არის...

ვარია. მე ვუბრძანე, რომ არ გააღვიძონ.

ანია. (ფიქრში). ექვსი წლის წინათ მამა გარდაიცვალა, ერთი თვის შემდეგ ჩემი ძმა გრიშა მდინარეში დაიხრჩო, მშვენიერი, შვიდი წლის ბიჭი. დედამ ეს ვერ აიტანა და წავიდა და წავიდა. წავიდა ისე, რომ უკან აღარც კი მოუხედავს... (შეკრთება) რომ იცოდეს, რა კარგად მესმის მისი განცდა!

პაუზა.

პეტია ტროფიმოვი კი გრიშას მასწავლებელი იყო და შეიძლება გაახსენდეს...

შემოდის **ფირსი**, პიჯაკითა და თეთრი ჟილეტით მორთული.

ფირსი. (მიდის საყავესთან, მზრუნველობით). ქალბატონი აქ მიირთმევს... (იცვამს თეთრ ხელთათმანებს) ყავა მზად არის? (დუნიაშას მკაცრად) შენ! ნაღები?

დუნიაშა. უიმე! (საჩქაროდ გადის).

ფირსი. (ფუსფუსებს საყავესთან). ო, შე დონდლო, შე... (ბურტყუნებს თავისთვის) ჩამოვიდნენ პარიზიდან... ბატონიც ოდესღაც ჩავიდა პარიზში... ცხენებით... (იცინის).

ვარია. ფირს, რას ლაპარაკობ?

ფირსი. რა მიბრძანეთ? (სიხარულით) ჩემი ქალბატონი ჩამობრძანდა! მოვესწარ! ახლა თუნდა მოვკვდე კიდეც... (სიხარულისაგან ტირის).

შემოდიან **ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი, ლოპახინი, სიმეონოვ-პიშჩიკი.** სიმეონოვ-პიშჩიკს აცვია წკინდა მაუდის ხიფთანი და შარვალი. გაევი შემოსვლისას ხელებს და სხეულს ისე ამოძრავებს, თითქოს ბილიარდზე თამაშობდეს.

ლიუბ. ანდრ. ეს როგორ არის? დაიცა, გავიხსენო... ყვითელი კუთხეში! დუპლეტი შუაში!

გაევი. ვურტყამ კუთხეში! ოდესღაც, ჩემო დაო, მე და შენ ამ ოთახში გვეძინა. ახლა კი საოცარია, უკვე ორმოცდათერთმეტი წლისა ვარ.

ლოპახინი. დიახ, დრო გადის.

გაევი. აქ ცუდი სურნელოვანი წყლის სუნი დის.

ანია. წავალ, დავიძინებ. ღამე მშვიდობისა, დედა. (ჰკოცნის დედას).

ლიუბ. ანდ. ჩემო თვალის ჩინო. ჩემო ბალღო! (უკოცნის ხელებს). ხომ გიხარია, რომ შინა ხარ? მე ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ.

ნია. მშვიდობით, ძია!

გაევი. (უკოცნის პირს, სახეს, ხელებს). ღმერთი იყოს შენი მოწყალე, ანია. როგორა ჰგავხარ დედაშენს! (დას). შენ, ლიუბა, ამ ხანაში სწორედ ეგეთი იყავი.

ანია ხელს ჩამოართმევს ლოპახინს და პიშჩიკს, გადის და კარებს მიიხურავს.

ლიუბ. ანდ. ძალიან მოიქანცა.

პიშჩიკი. ნუ გეშინია. ცოტა გზა არ გამოუვლია.

ვარია. (ლოპახინს და პიშჩიკს). რაღას უყურებთ, ბატონებო? მესამე საათია, დროა უკვე.

ლიუბ. ანდ. (იცინის). შენ ისევ ისეთი ხარ, ვარია. (თავისკენ მიიზიდავს და აკოცებს). აი დავლევ ყავას და შემდეგ ყველანი წავალთ.

ფირსი ფეხებქვეშ ბალიშს დაუდებს.

გმადლობ, ჩემო კარგო. ყავასა ვარ დაჩვეული. დღისითაც ვსვამ და ღამითაც. გმადლობა, ჩემო ბებერო! (აკოცებს ფირსს).

ვარია. ერთი ვნახოთ, ბარგი მოიტანეს თუ არა... (გადის).

ლიუბ. ანდ. ნუთუ ეს მე ვარ, რომ ვზივარ? (იცინის) მე კი ხტუნვა მინდა, მოძრაობა, ხელების გაშლა. (სახეზე ხელებს მიიფარებს) ან შეიძლება მძინავს! ღმერთო შენ

ხომ იცი, რომ მე სამშობლო მიყვარს. მიყვარს ნაზად, ვაგონიდან ვერ ვიცქირებოდი, სულ მეტირებოდა. (აცრემლებული). ყავა კი უნდა დავლიო. დიდი მადლობა, გმადლობთ, ფირს, ჩემო ბებერო. ძალიან მიხარია, რომ ცოცხალი ხარ.

ფირსი. გუშინწინ...

გაევი. ყურს აკლია.

ლოპახინი. მე დილის ხუთ საათზე ხარკოვს უნდა წავიდე. ძალიან მენანება! მინდოდა თქვენი ნახვა, გამოსაუბრება. თქვე ისევ ისეთი მშვენიერი ხართ.

პიშჩიკი. (მძიმედ სუნთქავს). გალამაზებულა კიდეც... პარიზულად აცვია...

ლოპახინი. თქვენი ძმა, აი ლეონიდ ანდრეევიჩი ამბობს, რომ გაუთლელი, ბრიყვი ვინმე ვარ, სოფლის წურბელა, მაგრამ ეს ჩემთვის სულერთია. ილაპარაკოს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენ ნინანდებურად მიჯერებდეთ, რომ თქვენი საკვირველი, გრძნობიარე თვალები ისევ ისე შემომჩერებოდნენ, როგორც წინათ. ღმერთო მოწყალეო! მამაჩემი თქვენი პაპისა და მამის ყმა იყო, მაგრამ თქვენ, სწორედ თქვენ ოდესღაც ჩემთვის იმდენი რამ გააკეთეთ, რომ მე ყველაფერი გადამავიწყდა და ისევ მიყვარხართ, როგორც ჩემიანი... კიდევ უფრო მეტად.

ლიუბ. ანდ. ვერ დავმჯდარვარ, არ შემიძლია... (წამოხტება და ძალზე აღელვებული მიდი-მოდის). არა, არ შემიძლია... მე ვერ გავუძლებ. დამცინეთ, სულელია-თქო... აგერ კარადა... ესეც ჩემიანია... (კოცნის კარადას) ჩემი მაგიდა...

გაევი. აქ კი უშენოდ ჩვენი გამდელი გარდაიცვალა.

ლიუბ. ანდ. (ჯდება, ყავას სვამს). ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, მწერდნენ.

გაევი. ანასტასიც მოკვდა. პეტრუშკა-გვერდელა ჩემგან წავიდა და ახლა ბოქაულთან ცხოვრობს. (ჯიბიდან შაქარყინულს ამოიღებს და წუწნის).

პიშჩიკი. ჩემმა ქალმა... დაშენკამ... მოგიკითხათ.

ლოპახინი. მე კი მინდა, რაიმე სასიამოვნო გითხრათ, სამხიარულო. (საათს დახედავს). ახლავე უნდა წავიდე, საუბრის დრო აღარა მრჩება... მაგრამ ორი სამი სიტყვით მიანც გადმოგცემთ, თქვენ უკვე იცით, რომ თქვენი ალუბლის ბაღი ვალში იყიდება, აგვისტოს ოცდაორს არის დანიშნული საჯარო გაყიდვა. მხოლოდ თქვენ ამაზე ნუ შეწუხდებით, ჩემო ძვირფასო, იძინეთ მშვიდად, შეუშფოთებლად, გამოსავალი არის... აი ჩემი პროექტი. გთხოვთ ყური დამიგდოთ! თქვენი მამული ქალაქიდან მხოლოდ ოცი ვერსის მანძილზე მდებარეობს, ამ მამულს რკინიგზამ ახლოს ჩაუარა, ასე რომ, ალუბლის ბაღი და მდინარის პირზე მდებარე მიწები სააგარაკო ნაკვეთებად რომ დაიყოს და შემდეგ აგარაკებისათვის იჯარით რომ გაიცეს, მაშინ თქვენ წლიურად უკანასკნელი ოცდახუთი ათასი მანეთი მაინც შემოგივათ.

გაევი. უკაცრავად, მაგრამ აბა რას მიჰქარავთ!

ლიუბ. ანდ. მე თქვენი კარგად არ მესმის, ერმოლაი ალექსეევიჩ.

ლოპახინი. მოაგარაკეებისაგან თქვენ თვითეულ დესეტინაზე წელიწადში ოცდახუთ მანეთს მაინც აიღებთ და თუ ამას ახლავე გამოაცხადებთ, როგორიც გინდათ, ისეთ საწინდარს გავიღებ, რომ შემოდგომამდე ერთი თავისუფალი ნაკვეთიც კი არ დაგრჩებათ, სულ წაიღებენ. ერთი სიტყვით, შემიძლია მოგილოცოთ, – გადარჩებით. ადგილმდებარეობა მშვენიერია, მდინარე ღრმა არის. მხოლოდ, რასაკვირველია, საჭიროა გაწმენდა, გასუფთავება, განლაგება... მაგალითისათვის მოგახსენებთ – საჭირო შეიქნება ყველა ეს ძველი შენობები, თვითონ ეს სახლიც, რომელიც უკვე აღარაფრად არ ვარგა და მეტად მოძველებულია, აღებულ იქნას, ძველი ალუბლის ბაღიც უნდა აიჭრას...

ლიუბ. ანდ. აიჭრას? ჩემო კარგო, ნუ გეწყინება და თქვენ არაფერი არ გაგეგებათ. მთელს ჩვენს გუბერნიაში თუ რამე არის საყურადღებო, საგულისხმო და შესანიშნავიც კი, ეს მხოლოდ ჩვენი ალუბლის ბაღია.

ლოპახინი. ამ ბაღის სიკეთე მხოლოდ ის არის, რომ დიდია. ალუბალი კი ორ წელიწადში ერთხელ მოდის და ისიც არსად არ საღდება. არავინ არ ყიდულობს.

გაევი. ეს ბაღი ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც კი არის მოხსენიებული.

ლოპახინი. (საათს დახედავს). თუ არაფერი არ მოვიფიქრეთ და არავითარ დასკვნამდე არ მივედით, მაშინ აგვისტოს 22-ს ალუბლის ბაღიც და მთელი მამულიც საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. გადაწყვიტეთ... სხვა გამოსავალი, გეფიცებით, არ არის. არა და არა.

ფირსი. წინანდელ დროში, ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ ალუბალს ახმო-ბდნენ, ალბობდნენ, მწნილად დებდნენ, მურაბებს აკეთებდნენ, და ზოგჯერ...

გაევი. გაჩუმდი, ფირს.

ფირსი. ზოგჯერ ასეც იყო, რომ გახმობილ ალუბალს ფუთობით მოსკოვსა და ხარ-კოვს აგზავნიდნენ. ფული შემოდიოდა! ალუბლის კერკი რბილიც იყო, წვნიანიც, ტკბილიც, სურნელოვანიც... მაშინ იცოდნენ ამის ხერხი...

ლიუბ. ანდ. ახლა სადღაა ეს ხერხი?

ფირსი. დაავიწყდათ. არავის არ ახსოვს.

პიშჩიკი. (ლიუბოვ ანდრეევნას). რა არის პარიზში? როგორია? ბაყაყები მიირთვით?

ლიუბ. ანდ. ნიანგიც მიჭამია.

პიშჩიკი. რას ბრძანებთ! თქვენ წარმოიდგინეთ...

ლოპახინი. აქამდე სოფელში მხოლოდ მებატონეები და გლეხები იყვნენ, ახლა მოაგარაკეებიც გაჩნდნენ. ყველა ქალაქს, დიდებსაც კი, ახლა აგარაკები აკრავთ გარს. შეიძლება ითქვას, რომ ოცი წლის შემდეგ მოაგარაკეთა რიცხვი არაჩვეულებრივად გაიზრდება. ის ახლა მხოლოდ ჩაისა სვამს თავის აივანზე, მაგრამ ხომ შეიძლება ისედაც მოხდეს – თავის ერთ დესეტინაზე მოაგარაკემ მეურნეობაც გაიჩინოს, მაშინ თქვენი ალუბლის ბაღი გახდება ბედნიერი, მდიდარი, საუცხოო.

გაევი. (აღშფოთებული). რა მიქარვაა!

ვარია. დედიკო, აქ თქვენ სახელზე ორი ტელეგრამაა მიღებული. (აარჩევს გასაღებს და აღებს შკაფს, გაღების დროს კლიტე ზანზალაკით გაიწკარუნებს) აგერ.

ლიუბ. ანდრ. ეს პარიზიდან არის. (დახევს ტელეგრამას). პარიზთან ყოველივე გათავებულია.

გაევი. იცი, ლიუბა, ეს კარადა რამდენი წლის არის? ერთი კვირის წინათ ქვედა უჯრა გამოვწიე, ვხედავ ზედ ციფრებია ამომწვარი. კარადა სწორედ რომ ასი წლის წინათ გაუკეთებიათ. როგორია ა? შეიძლებოდა იუბილეც კი გადაგვეხადა. უსულო საგანია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც წიგნის კარადაა.

პიშჩიკი. (გაკვირვებით). ასი წელიწადი... თქვენ წარმოიდგინეთ?

გაევი. დიახ... ეს ნივთია... (ხელს შეახებს შკაფს). ძვირფასო, დიდად პატივცემულო კარადავ! მივესალმები შენს არსებობას, რომელიც აგერ ასი წელიწადია მიმართული იყო სიკეთისა და სამართლიანობის ნათელი იდეისაკენ, შენი იდუმალი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამ ასი წლის განმავლობაში არასოდეს არ შესუსტებულა და ჩვენი ოჯახის თაობებს (ცრემლები ერევა). უნერგავდა სიმხნევეს, უკეთესი მერმისის რწმენას და ზრდიდა ჩვენში სიკეთისა და საზოგადოებრივი შეგნების იდეალს.

პაუზა.

ლოპახინი. დიახ...

ლიუბ. ანდ. შენ მაინც ისევ ისა ხარ, ლეონიდ.

გაევი. (ცოტათი დაირცხვენს). ბურთულისაგან მარჯვნივ კუთხეში! ვჭრი შუაში!

ლოპახინი. (დახედავს საათს). ჩემი დრო დადგა. უნდა წავიდე.

იაშა. (ლიუბოვ ანდრეევნას წამალს აწოდებს). შეიძლება აბები მიიღოთ...

პიშჩიკი. არაფერი საჭიროა, ძვირფასო ლიუბა, წამლის მიღება, მაგათ არც ზიანი მოაქვთ და არც სარგებლობა... მიბოძეთ აქ... (აიღებს აბებს, დაიყრის ხელის გულზე, შეუბერავს, ერთიანად გადაყლაპავს და თან ბურახს დააყოლებს) აი, ხომ ხედავთ?

ლიუბ. ანდ. (შეშინებული). ეს რა ჰქენით, ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ?

პიშჩიკი. ყველა გადავყლაპე.

ლოპახინი. რა ყანყრატო გქონიათ!

ყველა იცინის.

ფირსი. აღდგომაზე ჩვენთან ბრძანდებოდა და ნახევარი ვედრო კიტრის წნილი მიირთვა... (რაღაცას ბურტყუნებს).

ლიუბ. ანდ. რას ლაპარაკობს?

ვარია. სამი წელიწადია ასე ბურტყუნებს. ჩვენ მივეჩვიეთ.

იაშა. ხანდაზმულობამ იცის.

შარლოტა ივანოვნა თეთრ კაბაში, ძალზე გამხდარია, გამწლეული, წელზე ლორნეტი ჰკიდია, გაივლის სცენაზე.

ლოპახინი. უკაცრავად, შარლოტა ივანოვნა, ვერ მოვასწარ მოგსალმებოდით. (უნდა ხელზე აკოცოს).

შარლოტა. (ხელს წაართმევს). თქვენ რომ ხელზე კოცნის ნება მოგცეთ, შემდეგ მოინდომებ იდაყვზე კოცნას, შემდეგ მხარზე და...

ლოპახინი. დღეს როგორღაც ბედი არა მწყალობს.

ყველანი იცინიან.

შარლოტა ივანოვნა, გვიჩვენეთ ფოკუსები.

ლიუბ. ანდ. შარლოტა, არაფერი საჭირო არ არის. მე მეძინება (გადის).

ლოპახინი. სამი კვირის შემდეგ მოგინახულებთ. (ლიუბოვ ანდრეევნას ხელზე ჰკოცნის) ჯერჯერობით მშვიდობით. დროა. (გაევს). ნახვამდის. (პიშჩიკს ჰკოცნის) ნახ-

ვამდის. (ხელს ართმევს ვარიას, შემდეგ ფირსსა და იაშას). მიმძიმს წასვლა. (ლიუბოვ ანდრეევნას). თუკი აგარაკების საკითხს გადაწყვეტთ, მაცნობეთ და მე სესხად ორმოცდაათი ათასს გიშოვნით. კარგა მოიფიქრეთ.

ვარია. (გაჯავრებული) აღარ წახვალთ?!

ლოპახინი. მივდივარ... მივდივარ... (გადის).

გაევი. ბრიყვი. თუმცა... პარდონ. ვარია მაგას ცოლად მიჰყვება, ვარიას საქმროა.

ვარია. ზედმეტს ნუ ლაპარაკობ, ძია!

ლიუბ. ანდ. რატომ, ვარია, რატომ, მე ძალიან გამეხარდება. კარგი კაცია.

პიშჩიკი. მართალი უნდა ითქვას, რომ... ღირსეული კაცია... ჩემი დაშენკაც ამბობს, რომ... ბევრ რასმე ამბობს. (ხვრინავს, მაგრამ იმ წამსვე გამოელვიძება) ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ორას ორმოცი მანეთი მაინც უნდა მასესხოთ, ძვირფასო და პატივცემულო ჩემო, გირავნობის პროცენტების გადასახდელად...

ვარია. (შეშინებული). არა გვაქვს, არა.

ლიუბ. ანდ. მე მართლაც რომ არაფერი არა მაქვს.

პიშჩიკი. არაფერია, გეშოვნებათ. (იცინის). მე იმედს არასოდეს არა ვკარგავ. რომ მგონია ყველაფერი მომესპო და დამელუპა-მეთქი, გაიხედავ და აგერ რკინიგზა არ გაიყვანეს ჩემს მიწაზე?.. გადამიხადეს. იქით კიდევ გაიხედავ და რამე მოხდება, ან დღეს, ან ხვალ... ორასი ათასს მოიგებს დაშენკა... ბილეთი აქვს.

ლიუბ. ანდ. ყავა დავლიე, ახლა მოსვენებაც შეიძლება.

ფირსი. (ტანისამოსს უწმენდს გაევს, დარიგების კილოთი). ისევ სხვა შარვალი ჩაგიცვამთ. რა უნდა გიყოთ, რა?

ვარია. (ხმადაბლა). ანიას სძინავს. (ფანჯარას აღებს). უკვე მზე ამოვიდა, აღარ ცივა. შეხედეთ, დედიკო: რა საუცხოო ხეებია! ღმერთო ჩემო, რა კარგი ჰაერია! შაშვები გალობენ!

გაევი. (გააღებს მეორე ფანჯარას). მთელი ბაღი გათეთრებულა. შენ ხომ არ დაგვიწყებია, ლიუბა? ეს გრძელი ხეივანი მიდის სულ პირდაპირ, თითქო გაჭიმული ღვედი

იყოს, მთვარიან ღამეში გაბრწყინებულია, ხომ გახსოვს? ხო მარ დაგვიწყებია?

ლიუბ. ანდ. (ფანჯრიდან ბაღს გასცქერის). ო, ჩემი ბავშვობა, ჩემი უმანკოება! ამ ოთახში მეძინა, გავცქეროდი ბაღს, ყოველ დილას ჩემთან ერთად ბედნიერება იღვიძებდა, ბაღიც ისეთი იყო, როგორიც ახლაა, არაფერი არ შეცვლილა (გახარებული იცინის). თეთრია, თეთრი სულერთიანად! ჩემო ბაღო, ავდრიანი შემოდგომისა და ცივი ზამთრის შემდეგ შენ ისევ ისე ახალგაზრდა ხარ, აღსავსე ხარ ბედნიერებით, ზეციურ ანგელოზებს შენ არ დაუტოვებიხარ... რომ შეიძლებოდეს ჩემი მკერდიდან და ზურგიდან ჩამოვიშორო მძიმე ლოდი, რომ შევიძლებდე ჩემი წარსულის დავიწყებას...

გაევი. დიახ... საოცარია, მაგრამ ბაღს მაინც ვალში გაჰყიდიან.

ლიუბ. ანდ. შეხედეთ, განსვენებული დედა ბაღში დადის... თეთრი კაბით (გახარებული იცინის) ის არის, ის.

გაევი. სად?

ვარია. აბა რას ბრძანებთ, დედიკო.

ლიუბ. ანდ. ჰო, არავინ არის. მომეჩვენა. მარჯვნივ, ფანჩატურის მოსახვევთან თეთრი ხე გადაღუნულიყო, ქალსა ჰგავდა...

შემოდის ტროფიმოვი, გაცვეთილი სტუდენტის მუნდირი აცვია, სათვალეს ატარებს.

ლიუბ. ანდ. რა გასაოცარი ბაღია! უამრავი თეთრი ყვავილი, დიდი მტრედისფერი ცა...

ტროფიმოვი. ლიუბოვ ანდრეევნა!

ლიუბოვ ანდრეევნამ მოიხედა

მე მხოლოდ თავს დაგიკრავთ და წავალ, (მხურვალედ ჰკოცნის ხელზე) ნაბრძანები მქონდა დილამდე დამეცადა, მაგრამ მოთმინება არ მეყო.

ლიუბოვ ანდრეევნა გაშტერებულია.

ვარია (ცრემლმორეული). ეს პეტია ტროფიმოვია.

ტროფიმოვი. პეტია ტროფიმოვი გახლავართ, თქვენი გრიშას ყოფილი მასწავ-ლებელი... ნუთუ ასე გამოვიცვალე? (ლიუბოვ ანდრეევნა მოეხვევა და ნელა ტირის).

გაევი (შეწუხებული). კარგია, გეყოფა, ლიუბა.

ვარია (ტირის). ხომ გეუბნებოდით, პეტია, მოგეცადათ ხვალამდე.

ლიუბ. ანდ. ჩემი გრიშა... ჩემი ბიჭი... გრიშა... ჩემი შვილი...

ვარია ახლა რა გაეწყობა, დედიკო... ღვთის ნებაა.

ტროფიმოვი (ცრემლიანი). კმარა, გეყოფათ.

ლიუბ. ანდ. (ჩუმად ტირის). ჩემი ბიჭი დაიღუპა, დაიხრჩო... რათა, რისთვის, ჩემო მეგობარო? (ხმადაბლა) იქ ანიას სძინავს, მე კი ხმამაღლა ვლაპარაკობ... ვხმაურობ... ეს რა მოგსვლიათ, პეტია? რატომ ასე წამხდარხართ? რატომ ასე დაბერებულხართ?

ტროფიმოვი. ვაგონში ერთმა დედაკაცმა გაქუცული, ჩამოტყავებული ვაჟბატონი შემარქვა.

ლიუბ. ანდ. მაშინ თქვენ სულ ბავშვი იყავით, საყვარელი სტუდენტი. ახლა კი თმა შეგთხელებიათ. სათვალეს ატარებთ. ნუთუ თქვენ კიდევ სტუდენტი ხართ? (კარებისაკენ მიდის).

ტროფიმოვი. ეტყობა, მუდმივი სტუდენტი გავხდი.

ლიუბ. ანდ. (ჰკოცნის ძმას, შემდეგ ვარიას). აბა ახლა წადით და დაიძინეთ... შენც დაბერებულხარ, ლეონიდ.

პიშჩიკი (მიჰყვება ლიუბოვ ანდრეევნას). მაშ დავიძინოთ?... აჰ, რა ეშველება ჩემ ნიკრისის ქარებს!... მე თქვენსა დავრჩები, ლიუბოვ ანდრეევნა... მხოლოდ... ძვირფასო, საყვარელო... დილით ორას ორმოცი მანეთი მჭირდება.

გაევი. ო, ეს კიდევ თავისას გაიძახის.

პიშჩიკი. ორას ორმოცი მანეთი... გირავნობის სარგებელი უნდა გადავიხადო.

ლიუბ. ანდ. ფული მე არა მაქვს, ჩემო კარგო.

პიშჩიკი. მასესხე, გეთაყვა... არც ისე დიდი ფულია.

ლიუბ. ანდ. კარგი, კარგი... აგერ ლეონიდი მოგცემს, მიეცი, ლეონიდ.

გაევი. დიახ, როგორ არა, მაგის იმედით იყოს!...

ლიუბ. ანდ. აბა რა ვუყოთ... მიეცი... ესაჭიროება... დაგიბრუნებს. (ლიუბოვ ანდრეევნა, ტროფიმოვი, პიშჩიკი და ფირსი გავლენ. რჩებიან გაევი, ვარია და იაშა).

გაევი. ჩემ დას კიდევ ვერ მიუტოვებია ფულების ფლანგვა. (იაშა). გაიწი იქით, გეთაყვა, ქათმის სუნი გიდის.

იაშა (დაცინვით). თქვენ კი, ლეონიდ ანდრეევიჩ, ისეთივე ხართ, როგორიც იყავით.

გაევი. ვინაო? (ვარიას) რა თქვა?

ვარია (იაშას). სოფლიდან დედაშენი ჩამოვიდა, გუშინსაქეთ სამოახლოში ზის, შენი ნახვა უნდა.

იაშა. ჰოდა, იყოს.

ვარია. არც კი გრცხვენია!

იაშა. აბა რაში მეპრიანება. განა ხვალ ვერ მოვიდოდა? (გადის).

ვარია. დედა ისეთივეა, როგორიც იყო, სრულებით არ გამოცვლილა. თავის ნებაზე რომ მიუშვა, სულ ყველაფერს დაარიგებს.

გაევი. დიახ... (პაუზა). თუკი რაიმე ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ ბევრ წამალს იძლევიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფობა განუკურნავია. მე ვფიქრობ, ტვინს ძალას ვატან და მგონია, რომ ბევრი საშუალება მაქვს, ძალიან ბევრი საშუალება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არცერთი არა მაქვს. კარგი იქნებოდა, რომ ვინმესგან მემკვიდრეობა მიგვეღო, ანია ძალიან მდიდარი კაცისათვის მიგვეთხოვებინა, კარგი იქნებოდა იაროსლავს წავსულიყავით გრაფინია-ძალუასთან ბედი გვეცადა. ძალუა ხომ ძალიან, ძალიან მდიდარია.

ვარია (ტირის). ღმერთი რომ შეგვეწეოდეს...

გაევი. ნუ ღრიალებ, ძალუა მდიდარია, მაგრამ ჩვენ არ ვუყვარვართ. ჩემი და ნაფიც ვექილს გაჰყვა ცოლად და ეს ვექილი აზნაური არ იყო.

კარებში ანია გამოჩნდება.

აზნაურს არ გაჰყოლია ცოლად და უნდა ითქვას, რომ არც თუ მაინცდამაინც კეთილი ზნეობის ქალი იყო. კარგი ქალია ძალიან, კეთილი, საუცხოო, მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ რაც არ უნდა გამოიგონო მისთვის შემამსუბუქებელი მიზეზები, მაინც უნდა გამოვტყდეთ, რომ ცოდვილია, მანკიერი. ეს ეტყობა ყველა მის უბრალო საქციელსაც.

ვარია (ჩურჩულით). კარებში ანია დგას.

გაევი. ვინაო?

პაუზა.

საკვირველია, მარჯვენა თვალში რაღაც ჩამივარდა... ცუდადა ვხედავ. ხუთშაბათს კი, როდესაც ოლქის სასამართლოში ვიყავი...

შემოდის ანია

ვარია. რად არა გძინავს, ანია?

ანია. არ მეძინება. არ შემიძლია.

გაევი. ჩემო პაწია. (უკოცნის პირისახე, ხელებს) ჩემო ბავშვო... (ცრემლიანი) შენ ჩემი დისწული კი არა ხარ, შენ ჩემი ანგელოზი ხარ, შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ. დამიჯერე, დამიჯერე.

ანია. მჯერა, ძია, მჯერა. შენ ყველას უყვარხარ, პატივს გცემენ, მაგრამ, ძია, ძვირფასო, საყვარელო, შენ ჩუმად უნდა იყო, ყოველთვის ჩუმად. რას ამბობდი წეღან დედაჩემზე? შენ საყვარელ დაზე? რატომ, რისთვის ამბობდი?

გაევი. მმ... მართალი ხარ... დიახ, დიახ... (ანია ხელით პირისახეს იფარავს). მართლაც რომ ეს საშინელებაა! ღმერთო ჩემო, ღმერთო, მიხსენი! დღეს კიდევ კარადას სიტყვით მივმართე... რა სისულელე იყო. როცა სიტყვა დავასრულე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი როგორი სისულელეც ჩავიდინე.

ვარია. ეს მართალია, ძია, თქვენ ჩუმად უნდა იყოთ. გაჩუმდით და იყავით თქვენთვის.

ანია. თუ ჩუმად იქნები, შენც დამშვიდებული იქნები.

გაევი. ჩუმადა ვარ (ანიას და ვარიას ხელებს უკოცნის) ჩუმად. მხოლოდ აგერ საქმეზე გეტყვით. ხუთშაბათს მე ოლქის სასამართლოში ვიყავი, იქ ნაცნობ-მეგობრები ვნახე, ვილაპარაკეთ ამაზე, იმაზე, ცის, ბარის და მგონია, მოხერხდეს ვექსილით ფულის სესხება, რომ ბანკში სარგებელი შევიტანოთ.

ვარია. ღმერთი რომ შეგვეწეოდეს!

გაევი. სამშაბათს წავალ და კიდევ მოვილაპარაკებთ. (ვარიას) ნუ ღრიალებ. (ანიას) დედაშენი ლოპახინს მოელაპარაკება. ის, რასაკვირველია, უარს არ ეტყვის... შენ კი, როგორც დაისვენებ, წახვალ იაროსლავს გრაფინიასთან, ბებიაშენთან. ამგვარად ვიმოქმედოთ სამი მხრით და ჩვენი საქმე გაკეთდება. დარწმუნებული ვარ, რომ სარგებელს გადავიხდით... (პირში შაქარყინულს ჩაიდებს). ჩემს სინდისსა ვფიცავ, ვფიცავ რაც გნებავთ იმას, მამული არ გაიყიდება. (აღტაცებული). ჩემ ბედნიერებას ვფიცავ! აი ჩემი ხელი; თუ მე საქმე საჯარო ვაჭრობამდე მივიყვანო, მაშინ სულმდაბალი, უპატიოსნო ადამიანი მიწოდეთ. მთელს ჩემს სიცოცხლესა ვფიცავ!

ანია (თანდათან მშვიდდება, ბედნიერია). რა კარგი რამა ხარ, ძია, რა ჭკვიანი! (მოეხვევა) ახლა დამშვიდებული ვარ, სრულიად დამშვიდებული! ბედნიერი ვარ! (შემოდის ფირსი).

ფირსი (საყვედურობს). ლეონიდ ანდრეევიჩ, ღვთისა არ გეშინიათ, როდისღა უნდა დაიძინოთ?

გაევი. ახლავე, ახლავე. შენ წადი, ფირს. მე როგორმე თვითონ გავიხდი. აბა, ბავშვებო, ახლა დაიძინეთ!... დაწვრილებით – ხვალ. (ჰკოცნის ანიას და ვარიას) მე ოთხმოციანი წლების ადამიანი ვარ... ამ წლებს არ აქებენ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ჩემი რწმენის გამო ცხოვრებაში ბევრი მომხვედრია. ტყუილად კი არაა, რომ მე გლეხს ვუყვარვარ. გლეხს უნდა იცნობდე! უნდა იცოდე, თუ საიდან...

ანია. ისევ დაიწყე, ძია!

ვარია. ძია, გაჩუმდით, რა!

ფირსი (გაჯავრებული). ლეონიდ ანდრეევიჩ!

გაევი. მოვდივარ, მოვდივარ... დაწექით... ორი კიდიდან შუა ბუდეში ვაგდებ წმინდად... (გადის, მას ცუხცუხით მიჰყვება ფირსი).

ანია. ახლა დამშვიდებული ვარ. იაროსლავს წასვლა კი არ მინდა, ბებია არ მიყვარს. ისე კი დამშვიდებული ვარ. ძიას მადლობელი ვარ (ჯდება).

ვარია. უნდა დავიძინოთ. წავალ, აქ კი უშენობა ძალიან გვაწუხებდა. სამოახლოში, როგორც იცი, ჩვენი მოხუცი მოსამსახურეები ცხოვრობენ: ეფიმუშკა, პოლია, ევსტიგნეი და კარპიც. ღამღამობით ვიღაც ვიგინდარებს ნება მისცეს მათთან ღამის გათევისა. მე ხმა არ ამომიღია, მაგრამ გავიგე, ხმა გაევრცელებინათ, ვითომ მე იმათ მარტო მუხუდოთი ვკვებავდე, თითქოს სიძუნწის გამო... ეს სულ ევსტიგნეის ბრალია... კარგი-მეთქი, ვიფიქრე, რაკი ასეა, დამაცადეთ-მეთქი. დავუძახე ევსტიგნეის... (ამთქნარებს). მოვიდა... ეს რა ამბავია-მეთქი, ევსტიგნეი... შე ჩერჩეტო... (შეხედავს ანიას) ანიჩკა!... (პაუზა) სძინავს. (ანიას მკლავს მკლავში გაუყრის) წავიდეთ, წამო, დაგაწვენ, წამოდი... (მიჰყავს) ჩემ სულიკოს დაეძინა! წამო!

მიდიან. ბალის კარგა მოშორებით მწყემსი სალამურზე უკრავს, ტროფიმოვი გაივლის სცენაზე. ვარიასა და ანიას რომ დაინახავს, შედგება.

ვარია. ჩშშ... სძინავს... სძინავს... წავიდეთ, ჩემო კარგო.

ანია (ხმადაბლა, ძილ-ღვიძილში). ისე დავიღალე... ზანზალაკები... ძია... ჩემი კარგი დედა და ძია...

ვარია. წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო კარგო... (გავლენ ანიას ოთახში).

ტროფიმოვი (გრძნობამორეული). ჩემო მზისიერო! გაზაფხულო ჩემო!

მოქმედება მეორე

მინდორი. ძველი, გვერდმოქცეული, მიტოვებული სამლოცველო, მის ახლოს ჭა. დიდრონი ქვები, ეტყობა, ოდესღაც საფლავის ქვებად იყო გამოყენებული, და ძველი მერხი. მოჩანს გზა გაევის სახლ-კარისაკენ. განზე აშოლტილი ალვის ხეები. იმის იქით ალუბლის ბაღი. მოშორებით ტელეფრაფის ბოძების მწკრივი. შორს, შორს ბუნდოვნად ისახება დიდი ქალაქი, რომელიც ძალიან კარგ და ნათელ ამინდში უფრო დასანახია. მზე მალე ჩადის, შარლოტა, იაშა და დუნიაშა სხედან მერხზე; ეპიხოდოვი იქვე დგას და გიტარას უკრავს; ყველანი ჩაფიქრებულნი სხედან. შარლოტას ძველი ქუდი ახურავს. მას მხრიდან თოფი ჩამოუღია და ღვედის აბზინდას ასწორებს.

შარლოტა (ფიქრში). მე ნამდვილი პასპორტი არა მაქვს და არ ვიცი რამდენი წლისა ვარ, ამიტომ მე მგონია, რომ ახალგაზრდა უნდა ვიყო. როდესაც პაწია გოგონა ვიყავი, მამაჩემი და დედაჩემი ბაზრობაზე დადიოდნენ. იქ მშვენიერ წარმოდგენებს მართავდნენ. მე ყირამალა გადავდიოდი და რაღაც რაღაცეებს ვაკეთებდი. როცა დედ-მამა გარდამეცვალა, ერთმა გერმანელმა ქალბატონმა ამიყვანა და მასწავლა. რომ წამოვიზარდე, გუვერნანტკად წავედი. ამიტომ საიდან ვარ და ვინა ვარ, ეს მე არ ვიცი... ვინ არიან ჩემი მშობლები, შეიძლება ჯვარდაუწერლებიც იყვნენ... არ ვიცი, (ჯიბიდან კიტრს ამოიღებს და ჭამს). არაფერი არ ვიცი.

პაუზა.

ისე მინდა გამოველაპარაკო ვინმეს... არავინ კი არ არის, არავინ არა მყავს.

ეპიხოდოვი (გიტარაზე უკრავს და მღერის). „რას დავეძებ მე ქვეყნის ხმაურსა, თუნდ მეგობრებსა, ან თუნდაც მტრებსა“... რა სასიამოვნოა მანდოლინაზე დაკვრა!

დუნიაშა. ეგ გიტარაა და არა მანდოლინა, (სარკეში იხედება და იპუდრება).

ეპიხოდოვი. უჭკუო შეყვარებულისათვის ეს მანდოლინაა. (მღერის) „ოღონდ კი მქონდეს გული გამთბარი თანაზიარი სიყვარულითა“...

იაშა მიუმღერებს

შარლოტა. საძაგლად მღერის ეს ხალხი... ფუჰ! ტურებივით.

დუნიაშა (იაშას). რა ბედნიერებაა საზღვარგარეთ ყოფნა, იქაურობას რომ მოივლი კაცი!

იაშა. რასაკვირველია. არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ. (ამთქნარებს, შემდეგ სიგარას უკიდებს).

ეპიხოდოვი. ეგ თავისთავად იგულისხმება. საზღვარგარეთ დიდი ხანია ყოველივე სრულ კომლექციაშია მოყვანილი.

იაშა. რაღა თქმა უნდა.

ეპიხოდოვი. მე განვითარებული კაცი ვარ, ვკითხულობ სხვადასხვა შესანიშნავ წიგნებს, მაგრამ ვერაფრით ვერ გამომირკვევია ჩემი მიმართულება – რა მინდა მე, ვიცხოვრო, ვიცოცხლო თუ თავი მოვიკლა. მიუხედავად ამისა რევოლვერს მუდამ თან ვატარებ, აგერ... (რევოლვერს ამოიღებს).

შარლოტა. გავათავე. ახლა წავალ (თოფს აიკიდებს) შენ, ეპიხოდოვ, ძალიან ჭკვიანი კაცი ხარ და თან ძალზე საშიში; შენ ქალებს გაგიჟებით უნდა უყვარდე. ბრრრ“ (მიდის) ყველა ეს ჭკვიანები ისეთი სულელები არიან, რომ ვერავის ვერ გამოვლაპარაკებივარ... მარტო ვარ, მარტო და არავინ არა მყავს. თან... არ ვიცი ვინა ვარ, რათა ვარ... ვერ გამომიცნია... (აუჩქარებლად გადის).

ეპიხოდოვი. კაცმა რომ თქვას, სხვა საგნებს რომ არ შევეხო, ისე ჩემ შესახებ შემიძლიან ვთქვა ის, რომ, სხვათა შორის, ბედი არა მწყალობს და არცა მზოგავს, ისე მეპ-

ყრობა, როგორც ქარიშხალი პატარა ხომლადს. თუ მე ვცდები, მაშინ რატომ იყო, რომ დღეს დილით როცა გავიღვიძე, მაგალითისთვის ვამბობ, დავინახე, რომ მკერდზე საზარელი სიდიდის ობობა მაჯდა... აი ამხელა (უჩვენებს ორივე ხელით). ამას გარდა, ვთქვათ, ბურახი მინდა დავლიო, შეხედავ შიგ რაღაც ყოვლად უმსგავსი აგდია, აბანოს ჭიის მაგვარი.

პაუზა.

ბოკლი წაგიკითხავთ?

პაუზა.

ავდოტია ფეოდოროვნა, უნდა შეგაწუხოთ, ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

დუნიაშა. თქვით.

ეპიხოდოვი. მე მინდოდა ცალკე მომელაპარაკა (ამოიოხრებს).

დუნიაშა (შემკრთალი). კარგი... მხოლოდ მანამ ჩემი წამოსასხამი მომიტანეთ... კარადასთან ჰკიდია... აქ ცოტა ნესტია...

ეპიხოდოვი. კარგი, მოვიტან... ახლა კი ვიცი რაც უნდა გავაკეთო ჩემო რევოლვერით... (აიღებს გიტარას, თან უკრავს და თან გადის).

იაშა. ოცდაორი ფათერაკი! ჩვენს შორის დარჩეს და სულელი კაცია (ამთქნარებს).

დუნიაშა. ღმერთმა ნუ ქნას, რევოლვერი არ დაიხალოს.

პაუზა.

უჰ, როგორ შემაშფოთა, აფორიაქებული ვარ. მე ჯერ კიდევ პაწია გოგონა ვიყავი, ბატონებთან რომ მიმიყვანეს, სრულებით გადავეჩვიე უბრალო ცხოვრებას და ხელები ისეთი თეთრი მაქვს, ისეთი თეთრი, როგორც ბატონის ქალს. ნაზი შევიქენი, თავაზიანი, კეთილშობილი, ყველაფერის მეშინია... საშინელებაა. იაშა, თუ თქვენ მომატყუეთ, არ ვიცი მაშინ ჩემს ნერვებს რა მოუვა.

იაშა. (ჰკოცნის) კიტრუნა! რასაკვირველია, ყველა ქალიშვილი თავის თავზე უნდა ფიქრობდეს. არ მიყვარს, როდესაც გასათხოვარი ქალი ცუდი ყოფაქცევისა არის.

დუნიაშა. მე თქვენ სულით და გულით შეგიყვარეთ, იაშა. თქვენ განათლებული კაცი ხართ, ყველაფერზე შეგიძლიათ იმსჯელოთ.

პაუზა.

იაშა (ამთქნარებს). ჰო... მე ასე მგონია, – თუ ქალიშვილს ვინმე უყვარს, ის უზნეო არის (პაუზა) სასიამოვნოა წმინდა ჰაერზე სიგარის მოწევა... (მიაყურებს) აქეთ მოდიან, ბატონები არიან...

დუნიაშა გრძნობამორეული ეხვევა იაშას.

იაშა. გასწით სახლში, თითქო საბანაოდ იყავით წამოსული, აი ამ გზით წადით, თორემ შემოგეყრებიან და ჩემზე იფიქრებენ. თითქო მე თქვენთან პაემანზე ვიყავი, ამის მოთმენა კი არ შემიძლიან.

დუნიაშა (ნელა ახველებს). სიგარისაგან თავი ამტკივდა. (გადის).

იაშა რჩება, სამლოცველოს გვერდით ზის. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი და ლოპახინი.

ლოპახინი. უნდა საბოლოოდ გადაწყვიტოთ. დრო არ ითმენს. საკითხი სრულიად უბრალოა. თანახმა ხართ თუ არა, რომ თქვენი მიწა სააგარაკოდ გასცეთ? ჰო თუ არა? თქვით ერთი სიტყვა: ან ჰო, ან არა. მხოლოდ ერთი სიტყვა!

ლიუბ. ანდ. ვინ არის, რომ აქ საძაგელ სიგარას ეწევა. (ჯდება).

გაევი. აი, რკინიგზა გაიყვანეს და კარგი გამოვიდა. ვიმგზავრეთ, ვიყავით ქალაქში და ვისაუზმეთ... ყვითელი ბურთულა შუა ბუდეში. წავალ სახლში და ერთ ხელს ვითამაშებ...

ლიუბ. ანდ. მოასწრებ.

ლოპახინი. მხოლოდ ერთი სიტყვა! (ვედრებით) მომეცით პასუხი!

გაევი (ამთქნარებს). ვინაო?

ლიუბ. ანდ. (ჩასცქერის თავის პორტმონეს). გუშინ ბევრი ფულები მქონდა, დღეს კი ძალიან ცოტა. საცოდავი ჩემი ვარია მომჭირნეობის გამო ყველას მარტო რძის წვენითა ჰკვებავს, სამზარეულოში მოხუცებს მხოლოდ მუხუდოს აძლევენ, მე კი უაზროდ ვფლანგავ... (პორტმონე ხელიდან გაუვარდა, ოქროები გადმოცვივდა). აი, დაიბნა... (სწყინს).

იაშა. ნება მიბოძეთ, ახლავე ავკრეფ (ფულებს კრეფს).

ლიუბ. ანდ. ჰო, გაისარჯე, გეთაყვა... აბა რათ წაველ სასაუზმოდ? საძაგელი რესტორანია ეგ თქვენი რესტორანი თავისი მუსიკით. სუფრასაც საპნის სუნი ასდის... ან შენ, ლეონიდ, ამდენს რათა სვამ? ან ამდენსა სჭამ? რამდენს ლაპარაკობ? დღესაც რესტორანში რა ბევრი ილაპარაკე და რა უადგილოდ. სამოცდაათიან წლებზე, დეკადენტებზე. მერე ვისთან? ლაქიებს ესაუბრებოდი დეკადენტებზე!

ლოპახინი. დიახ.

გაევი (ხელს ჩაიქნევს). ჩემი გამოსწორება აღარ შეიძლება. ეს ცხადია. (გაგულისებული იაშას) რა არის მუდამ ჩვენ თვალწინ ტრიალებ?

იაშა (იცინის). არ შემიძლია თქვენი ხმა ისე მოვისმინო, რომ არ გამეცინოს...

გაევი (დას). ან ეს უნდა იყოს, ან მე.

ლიუბ. ანდ. წადით, იაშა, გასწით...

იაშა (ლიუბოვ ანდრეევნას გადასცემს ქისას). ახლავე წავალა... (სიცილს ძლივს იკავებს) ამ წუთას... (გადის).

ლოპახინი. დერიგანოვს უნდა თქვენი მამული იყიდოს. ხომ იცით რა მდიდარიც არის. საჯარო ვაჭრობაზე, ამბობენ, თვითონ მოვაო.

ლიუბ. ანდ. ეგ თქვენ საიდან გაიგეთ?

ლოპახინი. ქალაქში ლაპარაკობენ.

გაევი. იაროსლაველი ძალია დაგვპირდა, მხოლოდ როდის და რამდენს გამოგზავნის არ ვიცით...

ლოპახინი. მერედა, რამდენს გამოგზავნის? ასი ათასს? ორასს?

ლიუბ. ანდ. აბა რას ბრძანებთ... ათი-თხუთმეტი ათასი თუ გამოგზავნა, ისიც დიდი ამბავი იქნება.

ლოპახინი. მომიტევეთ, მაგრამ თქვენისთანა ფუქსავატი, უქნარა და უცნაური ადამიანები ჯერ მე არ მინახავს. თქვენ გასაგები ენით გეუბნებიან, თქვენი მამული იყიდებაო, და თქვენ თითქო არც კი გაგეგებოდეთ.

ლიუბ. ანდ. რა უნდა გავაკეთოთ, გვასწავლეთ.

ლოპახინი. მე ყოველდღე ჩაგჩიჩინებთ. ყოველდღე ერთსა და იმავეს გიმეორებთ. ალუბლის ბაღიც და მიწებიც აუცილებლად ახლავე უნდა გასცეთ იჯარით სააგარაკოდ. ეს ახლავე უნდა მოახდინოთ, თორემ საჯარო ვაჭრობა აგერ ცხვირწინაა! გაიგეთ და შეისმინეთ? როგორც კი ამას გადაწყვეტთ, რომ აგარაკები გაშენდეს, მაშინ ფულებს, რამდენიც გინდათ, იმდენს მოგცემენ და თქვენც გეშველებათ.

ლიუბ. ანდ. აგარაკები და მოაგარაკეები, – ეს ისეთი უხამსი რამ არის, რომ... მომიტევეთ.

გაევი. გეთანხმებით.

ლოპახინი. მე ნამდვილად ან ავქვითინდები, ან ყვირილს მოვრთავ, ან უთუოდ გული შემიწუხდება და წავიქცევი! მეტი აღარ შემიძლია! პირდაპირ დამტანჯეთ. (გაევს) თქვენ კი დიაცი ხართ!

გაევი. ვინაო?

ლოპახინი. დიაცი! (წასვლა უნდა).

ლიუბ. ანდ. (შეშინებული). არა, არ წახვიდეთ, დარჩით, გეთაყვა. გთხოვთ. შეიძლება რამე მოვიფიქროთ!

ლოპახინი. რა უნდა მოვიფიქროთ!

ლიუბ. ანდ. ნუ წახვალთ, გთხოვთ, თქვენთან უფრო მხიარულად ვართ...

პაუზა.

მე თითქო რაღაცას ველოდები, ასე მგონია, სახლი ჩამოინგრევა-მეთქი.

გაევი (ღრმა ფიქრშია). დუპლეტი კუთხეში... კრუაზე შუაში...

ლიუბ. ანდ. ძალიან ბევრი შეცოდება მიგვიძღვის...

ლოპახინი. თქვენ რა ცოდვა უნდა გქონდეთ?...

გაევი (შაქარყინულს პირში ჩაიდებს). ამბობენ, რომ მე მთელი ჩემი ქონება თითქო შაქარყინულში დამეხარჯოს... (იცინის).

ლიუბ. ანდ. ოო, ჩემი ცოდვები... მე ფულს გიჟივით, თავშეუკავებლად ვხარჯავდი, კაცსაც ისეთს მივთხოვდი, რომელიც მხოლოდ ვალებს იღებდა. ჩემი ქმარი შამპანურისაგან გარდაიცვალა. საშინლად სვამდა. საუბედუროდ, მე სხვა შევიყვარე, დავიწყე მასთან ცხოვრება და აი სწორედ მაშინ, ეს იყო პირველი ჩემი სასჯელი, თითქო თავში ჩამკრეს... აი აქ, მდინარეში ჩემი ბიჭი დაიხრჩო. მე საზღვარგარეთ წავედი. სულ წავედი, რომ არასოდეს არ დავბრუნებულიყავი და ეს მდინარე აღარ დამენახა... თვალები დავხუჭე, გავიქეცი, თავი არ მახსოვდა ისე, ის კი დამედევნა... შეუბრალებლად, ტლანქად. მენტონის ახლო აგარაკი ვიყიდე. ის იქ ავად გახდა, მთელი სამი წელიწადი არ მომისვენია არც დღე, არც ღამე. ავადმყოფმა გამტანჯა, სულიერად გამოვიფიტე. შარშან კი, როცა ვალებში აგარაკი გავყიდე, პარიზს გადავედი, იქ კი მან გამძარცვა, სხვა ქალი გაიჩინა, მე ვეცადე თავი მომეწამლა... ეს ისეთი სისულელე იყო, სამარცხვინო რამ... გულმა კი რუსეთისაკენ გამომწია, სამშობლოსაკენ, ჩემი ქალიშვილისაკენ... (ცრემლებს იწმენდს) ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, მომიტევე შეცოდებანი! მეტს ნუღარ დამსჯი (ჯიბიდან ტელეგრამას ამოიღებს) დღეს მივიღე პარიზიდან... პატიებას მთხოვს, მეველდრება – მიმიღე, დავბრუნდებიო... (დახევს ტელეგრამას) თითქო სადღაც მუსიკას უკრავენ. (მიაყურებს).

გაევი. ეს ჩვენი განთქმული ებრაელთა ორკესტრია. ხომ გახსოვს ოთხი ვიოლიონო, ფლეიტა და კონტრაბასი.

ლიუბ. ანდ. კიდევ არსებობს? კარგი იყო ერთი მოგვეწვია, პატარა საღამო გაგვემართა.

ლოპახინი (მიაყურებს). არ ისმის... (ნელა წაიმღერებს) „რუსის ფულით გერმანელი გაგვაფრანგებს“. (იცინის) რა პიესა ვნახე გუშინ თეატრში, ძალიან სასაცილო იყო.

ლიუბ. ანდ. ალბათ არაფერი სასაცილო არ იყო. თქვენ პიესებს კი არ უნდა უყურებდეთ, არამედ უფრო ხშირად თქვენ თავზე უნდა დაიხედოთ. რა უფერულად ცხოვრობთ. რამდენს ზედმეტს ლაპარაკობთ.

ლოპახინი. ეს მართალია. უნდა პირდაპირა ვთქვათ, რომ ბრიყვულ ცხოვრებას ვეწევით...

პაუზა.

მამაჩემი გლეხი იყო, ერთი გამოყეყეჩებული ვინმე, არაფერი არ გაეგებოდა, მე არ მასწავლიდა, მაგრამ სიმთვრალისას მცემდა და ისიც ჯოხით. არსებითად მეც ეგეთი რეგვენი ვარ და ყეყეჩი. არაფერი არ მისწავლია, წერითაც საძაგლად ვწერ, ისეთი ხელი მაქვს, სამარცხვინო.

ლიუბ. ანდ. ცოლი უნდა შეირთოთ, ჩემო მეგობარო.

ლოპახინი. ჰო... ეგ მართალია.

ლიუბ. ანდ. აი თუნდაც ჩვენი ვარია, კარგი გოგოა!

ლოპახინი. დიახ.

ლიუბ. ანდ. ძალიან უბრალო ვინმე მყავს, მთელი დღე მუშაობს და, რაც მთავარია, თქვენ უყვარხართ.

ლოპახინი. მერმე, რა უშავს? მე უარზე არა ვარ. კარგი გოგონაა.

პაუზა.

გაევი. ბანკში მე ადგილს მაძლევენ. წელიწადში ექვსი ათასი მექნება. არ გაგიგია?

ლიუბ. ანდ.: კარგია ერთი! იჯექი შენთვის...

შემოდის ფირსი. მოაქვს პალტო.

ფირსი (გაევს). ინებეთ, ბატონო, ჩაიცვით. აქ ნესტია.

გაევი (იცვამს). ეჰ, თავი მომაბეზრე, ძმაო.

ფირსი. კარგია ახლა... დილითაც არ გითქვამთ, ისე ნასულხართ. (ახედ-დახედავს).

ლიუბ. ანდ. როგორ დაბერებულხარ, ფირს!

ფირსი. რას მიბრძანებთ?

ლოპახინი. გეუბნებიან, რომ ძალზე დაბერებულხარო!

ფირსი. დიდი ხანია ვცხოვრობ. ცოლის შერთვას ჯერ კიდევ მაშინ მიპირებდნენ, როცა მამათქვენი დაბადებულიც კი არ იყო... (იცინის) როცა თავისუფლება გამოცხადდა, მაშინ უფროსი კამერდინერი ვიყავი – მე განთავისუფლება არ მოვინდომე, ბატონებთან დავრჩი...

პაუზა.

მახსოვს, ყველა გახარებული იყო და რა ახარებდათ თვითონაც არ იცოდნენ.

ლოპახინი. წინათ კარგი იყო. გაწკეპლვა იცოდნენ.

ფირსი (ვერ გაიგონა). რაღა თქმა უნდა. გლეხები ბატონებთან იყვნენ, ბატონები გლეხებთან, ახლა კი ყველა გაიფანტა, ვერაფერს ვერ გაიგებ.

გაევი. გაჩუმდი, ფირს. ხვალ უნდა ქალაქს წავიდე. ღამპირდნენ, რომ ერთ გენე-რალს გამაცნობენ და ის ვექსილით ფულს მოგვცემს.

ლოპახინი. არაფერი არ გამოგივათ. სარგებელსაც ვერ გადაიხდით. ამაზე დამშვი-დებული ბრძანდებოდეთ.

ლიუბ. ანდ. მაგას აბოდებს. არავითარი გენერლები არ არიან.

შემოდიან ტროფიმოვი, ანია და ვარია.

გაევი. აგერ ჩვენებიც.

ანია. აგერ დედა ჩამომჯდარა.

ლიუბ. ანდ. (ნაზად). მოდით, მოდით... ჩემები არიან ესენი... (ეხვევა ანიასა და ვარიას). რომ იცოდეთ როგორ მიყვარხართ. დაჯექით აქ, ჩემთან აი ასე.

ყველანი სხდებიან.

ლოპახინი. ჩვენი მუდმივი სტუდენტი მუდამ ქალებთან დადის.

ტროფიმოვი. ეგ თქვენი საქმე არ არის.

ლოპახინი. მალე ორმოცდაათი წლისა გახდება და ჯერ კიდევ სტუდენტია.

ტროფიმოვი. დაეთხოვეთ ბრიყვულ ოხუნჯობას.

ლოპახინი. რა იყო, შე ჩერჩეტო, ჯავრობ?

ტროფიმოვი. აბა, რას მომადექი?

ლოპახინი. (იცინის). ახლა ეს მინდა გკითხო, რა აზრისა ხართ ჩემზე?

ტროფიმოვი. მე, ერმოლაი ალექსეევიჩ, იმ აზრისა ვარ, რომ თქვენ მდიდარი კაცი ხართ, ძალიან მალე მილიონერი გახდებით და როგორც მტაცებელი მხეცი ნივთიერებათა ცვლის თვალსაზრისით ყველაფერსა ნთქავს, რაც კი გზაზე შეხვდება, ამგვარად თქვენც საჭირო ხართ.

ვარია. პეტია, თქვენ ჯობია ვარსკვლავებზე გვიამბოთ.

ლიუბ. ანდ. არა, ჯობია გუშინდელი საუბარი განვაგრძოთ.

ტროფიმოვი. ეგ რაზე?

გაევი. ამაყ ადამიანზე.

ტროფიმოვი. გუშინ ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივედით. თქვენის აზრით, ამაყ კაცს რაღაც მისტიურიც ახლავს. შეიძლება თქვენ თქვენებურად მართალიც იყოთ, მაგრამ უბრალოდ, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რა სიამაყეზე უნდა ვილაპარაკოთ, განა ამას რაიმე აზრი აქვს, თუკი ადამიანი ფიზიოლო-გიურად უხეიროდ არის შექმნილი, თუ მისი უდიდესი ნაწილი უხეშია, ტლანქი, უჭკუო და დიდათ უბედურიც. თავმომწონეობას უნდა დავეთხოვოთ. მუშაობაა მხოლოდ საჭირო, მუშაობა.

გაევი. სულერთია მოკვდები.

ტროფიმოვი. ვინ იცის? ანდა რას ნიშნავს „მოკვდები"? შეიძლება ადამიანს ასი გრძნობა აქვს და სიკვდილთან ერთად მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ხუთი გრძნობა კვდება, დანარჩენი ოხმოცდათხუთმეტი კი ცოცხლობს.

ლიუბ. ანდ. რა ჭკვიანი ხართ, პეტია!...

ლოპახინი (ირონიულად). ო, მეტისმეტად!

ტროფიმოვი. კაცობრიობა წინ მიდის, თავის ძალ-ღონეს ავითარებს. ყველაფერი, რაც ახლა მისთვის მიუწვდომელია, ოდესმე ხელმოსაკიდი შეიქნება, გასაგები, მხოლოდ ამისა-თვის საჭიროა მუშაობა და დახმარება იმათი, ვინც ჭეშმარიტებას ეძებს. ჩვენში, რუსეთში ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა მუშაობს. დიდი უმრავლესობა იმ ინტელიგენციისა, რომელ-საც მე ვიცნობ. არაფერს არ ეძებს, არაფერს არ აკეთებს და შრომა არ ეხერხება. თავის თავს ინტელიგენტებს უწოდებენ და მსახურს შენობით ელაპარაკებიან, გლეხებს პირუტყვივით ეპყრობიან, ცუდად სწავლობენ, გულდასმით არაფერს არ კითხულობენ, სრულებით არაფერს არ აკეთებენ, მეცნიერებაზე მხოლოდ ლაპარაკობენ და ხელოვნებისა ძალიან ცოტა გაეგებათ. ყველა თითქო სერიოზულია; ყველანი მხოლოდ მაღალფარდოვან საგნებზე ლაპარაკობენ, ფილოსოფობენ. ამასობაში კი მათ თვალწინ მუშები საძაგლად იკვებებიან, სძინავთ უბალიშოდ, ოცდაათი, ორმოცი კაცი ერთ ოთახშია მოთავსებული, ყველგან ბაღლინჯოები, შმორის სუნი, ნესტი, ზნეობრივი უწმინდურება... ეტყობა, ჩვენში ყველა ეს სასიკეთო საუბარი მხოლოდ იმისთვის წარმოებს, რომ თვალი აუხვიონ თავის თავსაც და სხვებსაც. ერთი მაჩვენეთ, სად არის ჩვენში ბაგა ბავშვებისათვის, რომელზე-დაც ასე ბევრს და ასე ხშირად ლაპარაკობენ, ან სამკითხველოები? ამის შესახებ მხო-ლოდ რომანებში წერენ, სინამდვილეში კი ისინი არ არსებობენ. არის მხოლოდ სიბინძურე. უწმაწურობა, აზიელობა... მე მეშინია და არ მიყვარს ძალიან სერიოზული ფიზიონომიები, მაშინებს სერიოზული საუბარი, ჯობია გავჩუმდეთ!

ლოპახინი. იცით რა, მე დილით ხუთ საათზე ვდგები, ვმუშაობ დილიდან საღამომდე და მუდმივ მაქვს ჩემი და სხვისი ფულები, თან ვხედავ ირგვლივ რა ხალხია. საკმარისია რაიმე საქმე დაიწყოთ, რომ მიხვდეთ, თუ რა ცოტაა პატიოსანი, წესიერი ადამიანი. ზოგჯერ, როცა

არა მძინავს, ვფიქრობ: „ღმერთო, შენ მოგვეცი ჩვენ უზარმაზარი ტყეები, თვალუწვდენელი მინდვრები, უფართოესი ჰორიზონტი და აქ მცხოვრებნი სწორედ რომ გოლიათები, ბუმბერაზები უნდა ვიყოთ...“

ლიუბ. ანდ. ახლა ბუმბერაზები მოინდომეთ... ეგენი ზღაპრებში არიან კარგები, თორემ ისე საშინელნი არიან.

სცენის სიღრმეში ეპიხოდოვი გაივლის და გიტარას უკრავს.

ლიუბ. ანდ. (ფიქრიანი). ეპიხოდოვი მოდის.

გაევი. მზე ჩაიდა, ბატონებო!

ტროფიმოვი. დიახ.

გაევი (ხმადაბლა, თითქო დეკლამაციით). ჰოი, ბუნებავ, საკვირველო და საუცხოო, შენ ბრწყინავ მარადიული სინათლითა; შენ, მშვენიერო და გულგრილო, შენ, რომელსაც დედას გეძახით, შენში შერწყმულია არსებობა და სიკვდილი, შენ აცოცხლებ და ანადგურებ...

ვარია (ვედრებით). ძია!

ანია. ძია კიდევ დაიწყე?

ტროფიმოვი. თქვენ ჯობია ყვითელი დუპლეტით შუაში ჩაადგოთ.

გაევი. ჩუმადა ვარ, ჩუმად.

ყველანი სხედან. ყველამ ფიქრს მისცა თავი. სიჩუმეა, მოისმის მხოლოდ ფირსის ბურტყუნი. უეცრად შორიდან, ციდან გაისმება ისეთი ბგერა, თითქო სიმი გაწყდაო. ბგერა სევდიანია და თანდათან მიწყდება.

ლიუბ. ანდ. ეს რა იყო?

ლოპახინი. არ ვიცი. სადმე შორს მაღაროში ქვაბუნა თუ მოწყდა ჯაჭვს. მხოლოდ ძალიან შროს კი უნდა იყოს.

გაევი. ან შეიძლება ფრინველია... ყანჩასავით.

ტროფიმოვი. შეიძლება ზარნაშოა...

ლიუბ. ანდ. (გააკანკალებს). რატომღაც უსიამოვნო რაღაცაა.

პაუზა.

ფირსი. მაშინაც ასე იყო იმ უბედურების წინ... ზარნაშოც ყიოდა და სამოვარიც განუწყვეტლივ გუგუნებდა.

გაევი. რომელი უბედურების წინ?

პაუზა.

ფირსი. აი, თავისუფლების გამოცხადების წინ.

პაუზა.

ლიუბ. ანდ. იცით რა გითხრათ, მეგობრებო, წავიდეთ, უკვე ღამდება. (ანიას). თვალები ცრემლითა გაქვს სავსე, რატომ გოგო?

ანია. ისე, დედა, არაფერია.

ტროფიმოვი. ვიღაც მოდის.

გამოჩნდება გამვლელი, ახურავს და აცვია ძალზე ნახმარი ქუდი დაპ ალტო; ცოტათი მთვრალია.

გამვლელი. ნება მიბოძეთ გკითხოთ, აქედან პირდაპირ სადგურისაკენ შემიძლია გავიდე?

გაევი. შეგიძლიათ, გასნიეთ პირდაპირ ამ გზით.

გამვლელი. მთელი ჩემი გრძნობით მადლობგას მოგახსენებთ. (ახველებს) ჩინებული ამინდია... (დეკლამაციით) „ძმაო, შენ ჩემო ტანჯულო ძმაო... გადი ვოლგაზე... ვინ არის, კვნესის?“ (ვარიას) ქალიშვილო, უბოძეთ რუსეთის მშიერ მცხოვრებს ოცდაათი კაპიკი... (ვარიას შეეშინდება, მიაკივლებს).

ლოპახინი. (გაჯავრებული): ყოველ უმსგავსობას თავისი საზღვარი აქვს!

ლიუბ. ანდ. (შემკრთალი). წაიღეთ, აი აგერ... (ეძებს საფულეში) ვერცხლის ფული არა მქონია... სულერთია, წაიღეთ ოქრო...

გამვლელი. მთელი გრძნობით მადლობას მოგახსენებთ! (გადის).

სიცილი.

ვარია (შეშინებული). მე წავალ... წავალ... ეეჰ, დედიკო, აბა რა ჩაიდინეთ! ხალხს სახლში საჭმელი არა აქვთ, თქვენ კი მაგას ოქრო მიეცით.

ლიუბ. ანდ. აბა რა უნდა მიყოთ მე სულელს! სახლში მოგცემ ყველაფერს, რაც კი გამაჩნია. ერმოლაი ალექსსევიჩ, კიდევ ვერ მასესხებთ?

ლოპახინი. მზადა ვარ გემსახუროთ.

ლიუბ. ანდ. წავიდეთ, ბატონებო, დროა. ჩვენ კი, ვარია, აქ შენ უკვე ქმარიც გაგირიგეთ. მომილოცავს.

ვარია (ცრემლებმორეული). დედიკო, ეს ვერაფერი ხუმრობაა!

ლოპახინი. ოფელია, წადი მონასტერში...

გაევი. მე კი ხელები მიკანკალებს, დიდი ხანია ბილიარდი არ მითამაშია.

ლოპახინი. ოფელია, ო, ნიმფავ, მომიხსენიე შენს ლოცვებში!

ლიუბ. ანდ. წავიდეთ, ბატონებო. მალე ვახშამიც იქნება.

ვარია. როგორ შემაშინა. გულს ახლაც გააქვს ბაგაბუგი.

ლოპახინი. გაგახსენებთ, ბატონებო, რომ აგვისტოს ოცდაორს საჯარო ვაჭრობით გაი-ყიდება ალუბლის ბაღი. იფიქრეთ ამაზე! იფიქრეთ!

ყველანი გადიან ტროფიმოვისა და ანიას გარდა.

ანია (სიცილით). იმ გამვლელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ვარია შეაშინა. ახლა ჩვენ მარტონი ვართ.

ტროფიმოვი. ვარიას ეშინიან ჩვენ ერთი მეორე არ შევიყვაროთ და იმიტომ მთელი დღე-ობით არ გვშორდება. მას თავის მოკლე ჭკუით ვერ გაუგია, რომ სიყვარულზე მაღლა ვდგევართ. ყოველივე იმ წვრილმანსა და მოჩვენებითს, რაც ხელს უშლის თავისუფლად და ბედნიერად ყოფნას, ჩვენ გვერდი უნდა ავუაროთ. აი რა არის ჩვენი მიზანი. წინ გავ-სწიოთ! ჩვენ შეუკავებლად მივემართებით კაშკაშა ვარსკვლავებისაკენ, რომელიც იქ შორს ანათებს. წინ გავსწიოთ, წინ! მეგობრებო, ნუ ჩამოვრჩებით!

ანია (ხელს ხელზე შემოკრავს). რა კარგად ლაპარაკობთ!

პაუზა.

დღეს აქ მშვენიერებაა!

ტროფიმოვი. დიახ, საკვირველი ამინდია.

ანია. ეს რა მიყავით, პეტია, რატომ არის, რომ ძველებურად აღარ მიყვარს ალუბლის ბაღი? მე ისეთი ნაზი გრძნობით მიყვარდა ის, რომ მეგონა მთელს დედამიწაზე ამ ბაღზე უკეთესი ადგილი არ მოიპოვებოდა.

ტროფიმოვი. მთელი რუსეთია ჩვენი ბაღი. დედამიწა დიდია და ლამაზი და ზედ ბევრი საუცხოო ალაგიც მოიძებნება.

პაუზა.

აბა იფიქრეთ, ანია, თქვენი პაპა, პაპის პაპა და ყველა, თქვენი წინაპრები მებატონეები იყვნენ, რომელთაც ყმები ჰყავდათ, ცოცხალ ადამიანებსა ფლობდნენ და ნუთუ თქვენ ყოველი ალუბლიდან, ყოველი ფოთლიდან, ყოველი ღეროდან არ გადმოგცქერიან ცოც-ხალი ადამიანები, ნუთი მათი ხმა არ გესმით?... ადამიანთა მფლობელობა – ამან ხომ ყველა თქვენ გადაგაგვარათ... ყველა, ვინც წინათ ცხოვრობდა და ვინც ახლა ცხოვრობს, გადაგაგვარათ ისე, რომ ახლა ვერც დედათქვენი, ვერც თქვენ, ვერც თქვენი ბიძა ვერ ამჩნევთ, რომ ვალებითა ცხოვრობთ, სხვის ხარჯზე, იმათ ხარჯზე, ვისაც თქვენ დერეფნის იქით სახლში არ უშვებთ... ჩვენ ჩამოვრჩით ერთი ორასი წლით მაინც, ჩვენ სრულებით არაფერი არ გაგვაჩნია, არა გვაქვს გარკვეული დამოკიდებულება წარსულთან. ჩვენ მხო-ლოდ ვფილოსოფოსობთ, ვუჩივით მოწყენას, ან ვსვამთ არაყს, იმისათვის კი, რომ ნამ-დვილი ცხოვრება დავიწყოთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი წარსული შეცოდებანი უნდა გამოვისყიდოთ, მოვუღოთ მათ ბოლო. ეს აშკარაა, ნათელია, მხოლოდ გამოსყიდვა ტანჯვით შეიძლება, არაჩვეულებრივი, განუწყვეტელი შრომით. ეს გაიგეთ, ანია.

ანია. ის სახლი, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ, დიდი ხანია ჩვენი სახლი არ არის და მეც წავალ ამ სახლიდან, სიტყვას გაძლევთ.

ტროფიმოვი. თუ თქვენ მეურნეობის გასაღებები გაქვთ, გადაისროლეთ ჭაში და გასწით. იყავით ისეთი თავისუფალი, როგორც ქარი.

ანია (აღტაცებული). რა კარგადა სთქვით!

ტროფიმოვი. დამიჯერეთ, ანია, დამიჯერეთ! მე ჯერ ოცდაათი წლის არც კი ვარ, ახალ-გაზრდა ვარ, სტუდენტი ვარ, მაგრამ რამდენი რამ გადამიტანია, ზამთარი რომ დადგება, მშიერი ვარ, ავადმყოფი, აფორიაქებული; ღარიბი ვარ მათხოვარივით. მერე, ბედმა სად არ გადამაგდო, სად არ ვყოფილვარ! მაგრამ ჩემი შეგნება ყოველთვის, ყოველ წუთას აღსავსე იყო გამოუთქმელი წინაგრძნობით. მე ვგრძნობ მომავალ ბედნიერებას, ანია, მე უკვე ვხედავ მას...

ანია (ფიქრში). მთვარი ამოდის.

ისმის, თუ ეპიხოდოვი როგორ უკრავს გიტარას და მღერის ისევ ნაღვლიან სიმღერას. ამოდის მთვარე, სადღაც ალვის ხეებში ვარია ეძებს ანიას. ეძახის: „ანია, სადა ხარ?“

ტროფიმოვი. დიახ, მთვარე ამოდის.

პაუზა.

აგერ ბედნიერება, მოდის, მოდის, თანდათან ახლოვდება, უკვე მესმის მისი ფეხის ხმა, მხოლოდ ჩვენ თუ ვერ ვნახავთ, ვერ გავუგებთ, ეს დიდი უბედურება არ არის. სხვები ნახავენ.

ვარიას ხმა: „ანია! სადა ხარ?“

ტროფიმოვი. კიდევ ვარია! (გაჯავრებული) პირდაპირ აღმაშფოთებელია.

ანია. წავიდეთ მდინარისაკენ. იქ კარგია.

ტროფიმოვი. წავიდეთ.

მიდიან.

ვარიას ხმა. „ანია, ანია!“

ფარდა

მესამე მოქმედება

თაღიანი სასტუმრო ოთახი, თაღის იქით მოჩანს დარბაზი. ხომლი ანთებულია. მოისმის დერეფნიდან ებრაელთა ორკესტრის ხმა, რომელზეც ლაპარაკი იყო მეორე მოქმედებაში. საღამოს წვეულება. დარბაზში ცეკვავენ grand-rond-ს. სიმეონოვ-პიშჩიკის ხმა: „Promenade a une paire!“ შემოდიან სასტუმრო ოთახში: პირველ წყვილად პიშჩიკი და შარლოტა ივანოვნა, მეორეში – ტროფიმოვი და ლიუბოვ ანდრეევნა, მესამეში – ანია ფოსტის მოხელესთან ერთად, მეოთხეში – ვარია სადგურის უფროსთან და სხვ. ვარია ნელა ტირის და ცეკვის დროს ცრემლებს იწმენდს. უკანასკნელ წყვილში დუნიაშაა. შემოუვლიან სასტუმრო ოთახს. პიშჩიკი ყვირის: „Grand-rond, balancez!“ და „Les cavaliers a genoux et remerciez vos dames!“

ფირსს ფრაკი აცვია და ხონჩით მოაქვს სელტერის წყალი. სასტუმროში შემოდიან პიშჩიკი და ტროფიმოვი.

პიშჩიკი. მე სისხლჭარბი კაცი ვარ, ორჯერ მომივიდა დამბლა, ცეკვა მიძნელდება, მაგრამ აკი ნათქვამია – ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო! ჯანმრთელობით კი ცხენის ჯანმრთელობა მაქვს. განსვენებული ჩემი მშობელი ხუმარა კაცი იყო და ამბობდა:ჩვენო, სიმეონოვ-პიშჩიკები, იმ ცხენის შთამომავლები ვართ, კალიგულამ სენატში რომ დასვა... (ჯდება) მხოლოდ უბედურება ეს არის: ფულები არა მაქვს. მშიერ ძაღლს მხოლოდ ხორცი სწამს... (ხვრინავს, იმ წამსვე გაეღვიძება) მეც ისე ვარ... მხოლოდ ფულები მელანდება.

ტროფიმოვი. თქვენს აგებულებას მართლა რაღაც ახლავს ცხენისებური.

პიშჩიკი. რა ვუყოთ მერე... ცხენი კარგი პირუტყვია... ცხენი შეიძლება, რომ გაჰყიდო...

მეზობელ ოთახიდან მოისმის ბილიარდის თამაშის ხმა. დარბაზში თაღის ქვეშ გამოჩნდება ვარია.

ტროფიმოვი (აჯავრებს). ქალბატონი ლოპახინისა! ქალბატონი ლოპახინისა!...

ვარია (გულმოსული). ჩამოტყავებული ვაჟბატონი!

ტროფიმოვი. დიახ, მე ჩამოტყავებული ვაჟბატონი ვარ და ვამაყობ კიდეც ამით.

ვარია (მწარე ფიქრშია). აი, მემუსიკეები დაიქირავეს, რით გავისტუმრებთ? (გადის).

ტროფიმოვი (პიშჩიკს). რასაც თქვენ მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე ენერგიას ხარჯავთ ფულის ძებნაში, სარგებელის გადასახდელად, სხვა რამეზე რომ მოგეხმარათ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოს და ბოლოს მთელ ქვეყანას გადააბრუნებდით.

პიშჩიკი. ნიცშე... დიდებული, განთქმული ფილოსოფოსი... უდიდესი ჭკუის პატრონი თავის თხზულებებში წერს, თითქოს ყალბი ფულის კეთება შეიძლებოდეს.

ტროფიმოვი. მერედა, თქვენ წაგიკითხავთ ნიცშე?

პიშჩიკი. მე კი არა... ჩემმა დაშენკამ მიამბო, ახლა კი ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ყალბი ფულის მოჭრასაც ვიკისრებდი. სამას ათი მანეთი უნდა გადავიხადო. ას ოცდაათი უკვე ნაშოვნი მაქვს. (ეძებს ჯიბეში, შეშფოთდება) ვითომ დამეკარგა? ნამდვილად დავკარგე! (აცრემლებული) სად არის, რა მექნა? (გახარებული) აგერ არ ყოფილა!... სარჩულის შიგნით... უჰ, სიმწრის ოფლი დამასხა...

შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა და შარლოტა ივანოვნა

ლიუბ. ანდ. (მღერის „ლეზგინკა"-ს). რატომ არის, რომ აქამდე ლეონიდი არა ჩანს? რას აკეთებს ქალაქში? (დუნიაშას) დუნიაშა, მუსიკოსებს ჩაი მიართვით...

ტროფიმოვი. ეტყობა, ვაჭრობა არ შემდგარა.

ლიუბ. ანდ. მუსიკოსები უდროო დროს მოვიწვიეთ და ეს საღამოც უდროო დროს გავმართეთ... მაგრამ არაფერია... (ჯდება და ნელა მღერის).

შარლოტა (პიშჩიკს მიაწოდებს სათამაშო ქალალდის დასტას). აგერ სათამაშო ქარალდის დასტა. ჩაიფიქრეთ რომელიმე ქალალდი.

პიშჩიკი. ჩავიფიქრე.

შარლოტა. ახლა ეს დასტა ჩაჭერით. ძალიან კარგი. მომეცით, ჩემო მშვენიერო ბატონო პიშჩიკ. Ein, zwei, drei![33] ახლა მოიძებნეთ, გვერდის ჯიბეში გაქვთ...

პიშჩიკი. (გვერდის ჯიბიდან ქალალდს ამოიღებს). ყვავის რვიანია, სწორედ ის არის! (გაკვირვებული) უყურეთ!

შარლოტა (ხელის გულზე სათამაშო ქალალდის დასტა უდევს, ტროფიმოვს). ჩქარა მითხარით, ზემოდან რა ქალალდია?

ტროფიმოვი. რაო მერე? ყვავის ქალია.

შარლოტა. აგრეა! (პიშჩიკს) ახლა თქვენ. რა ქალალდია ზემოთ?

პიშჩიკი. თხილის ტუზი.

შარლოტა. აგრეა!.. (ტაშს შემოჰკრავს და ქალალდის დასტა ქრება). რა მშვენიერი ამინდია დღეს!

ამაზე საიდუმლო, ქალის ხმა თითქოს იატაკიდან უპასუხებს:„დიახ, მშვენიერი ამინდია, ქალბატონო!"

თქვენ ჩემთვის ისეთი კარგი ვინმე ხართ, იდეალური...

ხმა:„თქვენ, ქალბატონო, მეც ძალიან მომეწონეთ"

სადგურის უფროსი: (ტაშს უკრავს). ბრავო, ბრავო, რა კარგი მუცელმოგვი ყოფილხართ, ქალბატონო!

---

[33] ერთი, ორი, სამი! (გერმ.)

პიშჩიკი (გაკვირვებული). თქვენ წარმოიდგინეთ! მომხიბვლელო შარლოტა ივანოვნა... პირდაპირ შეყვარებული ვარ... სიყვარული შეგიძლიათ? Guter Mensch, aber schlechter Musikant.[34]

ტროფიმოვი (პიშჩიკს მხარზე ხელს დაჰკრავს). აი, შე ცხენო, შენა!...

შარლოტა. ყურადღება! კიდევ ერთ ფოკუსს გიჩვენებთ. (სკამიდან პლედს აიღებს) ეს მშვენიერი პლედია და მინდა გავყიდო... (გაბერტყავს) არავისა სურს იყიდოს?

პიშჩიკი (უკვირს). თქვენ წარმოიდგინეთ!

შარლოტა. Ein, zwei, drei!(ჩქარა ასწევს ჩამოშვებულ პლედს; პლედის უკან გამოჩნდება ანია: ის აკეთებს რევერანსს, გაიქცევა დედისაკენ, მოეხვევა და შემდეგ გაიქცევა უკანვე დარბაზში, ყველანი აღტაცებულნი არიან).

ლიუბ. ანდ.: (ტაშს უკრავს). ბრავო, ბრავო!..

შარლოტა. ერთი კიდევ! Ein, zwei, drei! (ასწევს პლედს, გამოჩნდება ვარია და სალამს იძლევა).

პიშჩიკი. თქვენ წარმოიდგინეთ!

შარლოტა. დასრულდა! (პლედს პიშჩიკს ესვრის, აკეთებს რევერანსს და დარბაზში გაიქცევა)

პიშჩიკი (სიჩქარით დაედევნება). ოჰ, შე ბოროტო სულო, ბოროტო... როგორია, ა? როგორი? (გადის).

ლიუბ. ანდ. ლეონიდი კიდევ არა ჩანს. რას აკეთებს ქალაქში ამდენ ხანს ვერ გამიგია! იქ ხომ ახლა ყველაფერი გათავებული იქნება, მამული გაიყიდა ან ვაჭრობა თუ არ შედგა, ხომ მაინც გათავებული იქნება, ჩვენ კი ამდენ ხანს რატომ არაფერი არ გაგვაგებინა!

ვარია (ცდილობს ანუგეშოს). ძია იყიდდა, ამაში დარწმუნებული ვარ.

ტროფიმოვი (დაცინვით). ვითომ?

ვარია. ბებიამ ვექილობა გამოუგზავნა, რომ მის სახელზე ეყიდა მამული და დავალი-ანებაც მის სახელზე გადაე-

[34] კარგი ადამიანი, მაგრამ ცუდი მუსიკოსი (გერმ.)

ტანა. ამას ანიასათვის აკეთებს, დარწმუნებული ვარ. ღმერთი შეგვეწევა და ძია იყიდის.

ლიუბ. ანდ. იაროსლაველმა ბებიამ თხუთმეტი ათასი გამოგზავნა, რომ თავის სახელზე მამული შეესყიდა, – ჩვენ არ გვენდობა, – ეს ფულები კი მარტო სარგებელს ვერ აანაზ-ღაურებს. (ხელებს სახეზე მიიფარებს) დღეს წყდება ჩემი ბედი... ბედი!

ტროფიმოვი (ვარიას აჯავრებს). ქალბატონი ლოპახინისა!

ვარია (გამწყრალი). მუდმივი სტუდენტი! ორჯერ მაინც ხომ დაგითხოვეს უნივერსიტეტიდან.

ლიუბ. ანდ. აბა რათა წყრები, ვარია? ეგ შენ ლოპახინით გაჯავრებს, რა ვუყოთ მერე? თუ გინდა, მისთხოვდი, კარგი კაცია, საყურადღებო. თუ არ გინდა, ნუ წაჰყვები; შენ, ჩემო სულიკო, არავინ არ გაძალებს...

ვარია. მე ეს საქმე სახუმროდ არ მიმაჩნია. უნდა პირდაპირ ვთქვა, რომ კარგი კაცია და მეც მომწონს.

ლიუბ. ანდ. ჰოდა, მისთხოვდი. რას უცდი, არ მესმის!

ვარია. დედიკო, აბა როგორ? მე ხომ ვერ მივცემ წინადადებას. აგერ ორი წელიწადია მა-გაზე ლაპარაკობენ, ყველა ლაპარაკობს, ის კი ან ჩუმად არის, ან ხუმრობს. კარგად მესმის: ის მდიდრდება, საქმით არის დაკავებული, ჩემთვის არა სცალია. ფულები რომ მქონდეს, ცოტაოდენი მაინც, ერთი ასი მანეთი მაინც, ყველაფერს დავტოვებდი და წავიდოდი აქედან შორს. მონასტერში წავიდოდი.

ტროფიმოვი. ო. მაგას არაფერი აჯობებს!

ვარია (ტროფიმოვს). სტუდენტი ჭკვიანი უნდა იყოს! (უფრო ლმობიერად, აცრემლებული). როგორ დაუშნოვდით, პეტია, როგორ დაბერდით! (ლიუბოვ ანდრეევნას). ეს არის, დედიკო, რომ უსაქმოდ არ შემიძლიან, ყოველ წუთს რამეს უნდა ვაკეთებდე.

შემოდის იაშა

იაშა (სიცილს ძლივს იკავებს). ეპიხოდოვმა ბილიარდის ჯოხი გატეხა!.. (გადის).

ვარია. რა უნდა ეპიხოდოვს აქ? ბილიარდზე თამაშის ნება ვინ მისცა? ამ ხალხის მე ვერაფერი გამიგია... (გადის).

ლიუბ. ანდ. ნუ აჯავრებთ, პეტია, ხომ ხედავთ უიმისოდაც შეწუხებულია.

ტროფიმოვი. მეტისმეტი გულმოდგინეა, რაც მისი საქმე არ არის, იმაშიც ერევა. მთელი ზაფხული მე და ანიას მოსვენება არ მოგვცა, ეშინოდა, რომ ჩვენს შორის რომანი არ გაჩაღებულიყო. რა მისი საქმეა, ამას გარდა, მე ამის მიზეზი არ მიმიცია. უგვანობა კი მე არა მჩვევია. ჩვენ სიყვარულზე უფრო მაღლა ვდგევართ.

ლიუბ. ანდ. მე კი, ეტყობა, დაბლა ვდგევარ. (ძლიერ შეშფოთებული) რად არ მოდის ლეონიდი? მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე: მამული გაყიდულია თუ არა? უბედურება იმ ზომამდე უსიამოვნოდ მიმაჩნია, რომ არც კი ვიცი რა მოვიფიქრო, დავიბენი... ახლა მე შემიძლია ვიყვირო, ვიკივლო... შემიძლია სისულელე რამ ჩავიდინო. მიშველეთ პეტია, თქვით რამე, თქვით...

ტროფიმოვი. დღეს მამული გაიყიდა თუ არა, განა სულერთი არ არის? ეგ საქმე დიდი ხანია გათავებულია უკანდახევის საშუალება აღარ არსებობს, გზა უკვე დაფარულია, ზედ ბალახბულახმა გადაიარა. დამშვიდდით, ძვირფასო, თავის თავი არ უნდა მოიტყუოთ, ერთხელ მაინც უნდა შეხედოთ სიმართლეს პირდაპირ თვალებში.

ლიუბ. ანდ. რომელ სიმართლეს? თქვენ ხედავთ სად არის სიმართლე და სად არ არის, მე კი თითქო მხედველობაც დავკარგე, ვერაფერს ვერა ვხედავ. თქვენ გაბედულად სწყვეტთ დიდ საკითხებს, მაგრამ ერთი მითხარით, გეთაყვა, ეს იმიტომ ხომ არ არის, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ და ჯერ არ მოგისწრიათ, რომ რომელიმე საკითხისათვის დატანჯული-ყავით? თქვენ თამამად იყურებით წინ და ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ თქვენ ვერა ხედავთ და არც არაფერ საშინელს არ მოელით, რადგან ცხოვრება ჯერ კიდევ მოფარე-ბულია თქვენი ახალგაზრდა თვალებისაგან? თქვენ ჩემზე უფრო გაბედული ხართ, უფრო პატიოსანი, უფრო ღრმა, მაგრამ

ჩაუფიქრდით, მოიხმარეთ სულგრძელობა და აი ამ თითის წვერის ოდენა მაინც მიშველეთ. მე ხომ აქა ვარ დაბადებული, აქ უცხოვრიათ ჩემ დედ-მამას, პაპაჩემს, მე მიყვარს ეს სახლი. თუ ალუბლის ბაღი არ მექნება, უიმისოდ მე ჩემი სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. და თუ აუცილებელია მისი გაყიდვა, მაშინ მეც გამყიდეთ ამ ბაღთან ერთად... (მოეხვევა, ტროფიმოვს და შუბლზე აკოცებს) აქ ხომ ჩემი ვაჟი დაიხრჩო... (ტირის) შემიბრალეთ, კარგო, კეთილო კაცო.

ტროფიმოვი. თქვენ იცით, რომ მე სულით და გულით თანაგიგრძნობთ.

ლიუბ. ანდ. მართალია, მაგრამ ეს სხვანაირად უნდა მითხრათ, სხვანაირად (ამოიღებს ცხვირსახოცს, იატაკზე ტელეგრამა დავარდება) დღეს ისე მიმძიმს, რომ ვერ წარმოიდგენთ. აქ ჩემთვის ძალიან დიდი ხმაურია, ყოველ გახმაურებაზე ვთრთი და ვძიგძიგებ, ჩემ ოთახში შესვლა კი არ შემიძლია, მარტოდ დარჩენა, სიჩუმე ჩემთვის საშინელებაა. ნუ დამძრახავთ, პეტია... მე თქვენ ისე მიყვარხართ, როგორც ახლობელი, ნათესავი, სიამოვნებით მოგათხოვებდით ანიას, გეფიცებით, მაგრამ თქვენ ხომ უნდა ისწავლოთ, კურსი დაასრულოთ, თქვენ არაფერს არ აკეთებთ, მხოლოდ ბედი ხან სად გადაგაგდებთ და ხან სად. ეს ხომ უცნა-ურია, განა მართალი არა ვარ? ხომ? ამას გარდა, წვერსაც რამე უნდა მოუხერხოთ, რომ როგორმე წამოიზარდოს... (ეცინება) სასაცილო რამა ხართ!

ტროფიმოვი (აიღებს ტელეგრამას). მე არ მინდა ლამაზი ვიყო.

ლიუბ. ანდ. ეს ტელეგრამა პარიზიდანაა. ყოველდღე მომდის. გუშინაც, დღესაც. ის ველური კაცი ისევ ავად გამხდარა, ცუდად არის... მთხოვს მივუტევო, მევედრება, რომ ჩავიდე. კაცმა რომ თქვას, უნდა წავსულიყავი პარიზს, მის გვერდით უნდა ვიყო. თქვენ, პეტია, სახე შეიჭმუხნეთ, მაგრამ აბა რა ვქნა, ჩემო კარგო. ავად არის, მარტოხელა კაცია, უბედურია, ვინ მოუვლის, შეცდო-

მებისაგან ვინ შეაკავებს, თავის დროზე წამალს ვინ მიაწოდებს? რაღა დავმალო, ან რატომ უნდა გავჩუმდე, ცხადია, რომ მიყვარს, მიყვარს... ეს ქვა არის ჩემ კისერზე ჩამოკიდებული. მეც აგერ-აგერ მასთან ერთად ჩამძირავს ეს ქვა, მაგრამ მე მიყვარს ეს ქვა და უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია. (ტროფიმოვს ხელს ხელზე უჭერს). ნუ იფიქრებთ ჩემზე ცუდს, პეტია, არაფერი არ თქვათ, არ მითხრათ არაფერი.

ტროფიმოვი (აცრემლებული). მომიტევეთ გულახდილობა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ იმან თქვენ გაგძარცვათ.

ლიუბ. ანდ. არა, არა, ნუ ამბობთ, აგრე... (ყურებს დაიცობს).

ტროფიმოვი ის ხომ არამზადაა, მარტო თქვენ არ იცით ეს! ის კი არამზადაა და ისიც მდარე არამზადა, არაკაცია...

ლიუბ. ანდ. (გული მოუვა, მაგრამ თავს იკავებს). თქვენ ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა ხართ და ჯერ კიდევ მეორე კლასის გიმნაზისტს ჰგავხართ.

ტროფიმოვი. დე, აგრე იყოს.

ლიუბ. ანდ. ვაჟკაცი უნდა იყოთ, შეყვარებულების უნდა გაგეგებოდეთ. თვითონ უნდა გიყვარდეთ... უნდას შეიყვაროთ! (გაჯავრებული) დიახ, დიახ! თქვენ კი სიწმინდე არა გაქვთ, ისე ხართ ვითომ სუფთა, სასაცილო რამ, ობროდი კაცი ხართ, გონჯი...

ტროფიმოვი (შეძრწუნებული). რაებს ლაპარაკობს!

ლიუბ. ანდ. ოო, „მე სიყვარულზე მაღლა ვდგავარ!“ თქვენ სიყვარულზე მაღლა კი არ დგახართ, არამედ, როგორც ფირსი ამბობს, უმწიფარი ხართ. გამოუმცხვარი, თქვენ ხანში საყვარლის უყოლობა...

ტროფიმოვი (კიდევ უფრო შეძრწუნებული). ეს საშინელებაა! რაებს ლაპარაკობთ! (თავზე ხელის წაივლებს, ჩქარა მიდის დარბაზისაკენ) ეს საშინელებაა... მე არ შემიძლია... წავალ... (გადის და იმწამსვე ბრუნდება). ჩვენს შორის ყოველივე გათავებულია! (მიდის).

ლიუბ. ანდ. (მიაძახებს). პეტია! დაიცადეთ! რა სასაცილო ხართ, მე გეხუმრეთ! პეტია!

მოისმა, რომ დერეფანში ვიღაც აჩქარებული ჩამოდიოდა კიბეზე და უეცრად დიდი ხმაურით გადავარდა. ანია და ვარია მიაკივლებენ, მაგრამ მალე მოისმის სიცილი.

ლიუბ. ანდ. რა ამბავია?

შემორბის ანია.

ანია. პეტია კიბიდან გადავარდა! (გარბის).

ლიუბ. ანდ. რა უცნაურია ეს პეტია!...

სადგურის უფროსი შეჩერდება დარბაზში და კითხულობს ა. ტოლსტოის „ცოდვილ ქალს“. უსმენენ, მაგრამ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ მუსიკა დერეფანში დაუკრავს ვალსს და კითხვაც შეწყდება. ყველანი ცეკვავენ, დერეფნიდან გამოივლიან ტროფიმოვი, ანია, ვარია და ლიუბოვ ანდრეევნა.

აბა, პეტია... წმინდა სულო... მოტევებასა გთხოვ... წავიდეთ, ვიცეკვოთ... (ცეკვავს პეტიასთან).

ანია და ვარია ცეკვავენ.

ფირსი შემოდის. ჯოხს გვერდის კარებთან მიაყუდებს. იაშაც სასტუმრო ოთახიდან შემოვიდა და ცეკვას უყურებს.

იაშა. რა იყო, ბაბუა?

ფირსი. ვერა ვარ კარგად. წინათ ასეთ საღამოებზე, მეჯლისზე ცეკვავდნენ გენერლები, ბარონები, ადმირალები, ახლა კი ვიწვევთ ფოსტის მოხელეს, სადგურის უფროსს და ისინიც კი არ მოდიან ხალისით, როგორღაც დავუძლურდი, ჩემი განსვენებული ბატონი ყველას ყოველგვარ ავადმყოფობისაგან ლუქით გვწამლობდა. მეც აგერ ოცი წელიწადია, ყოველდღე ლუქს ვღებულობ. შეიძლება იმიტომაც ვარ ცოცხალი.

იაშა. თავი მომაბეზრე, ბებერო. (ამთქნარებე). ნეტავ მალე გადაიღრძობოდე.

ფირსი. ეი, შენ... უმწიფარო, გამოუმცხვარო! (ბურტყუნებს).

ტროფიმოვი და ლიუბოვ ანდრეევნა ჯერ დარბაზში ცეკვავენ, შემდეგ სასტუმრო ოთახში.

ლიუბ. ანდ. Merci! ჩამოვჯდები (ჯდება). დავიღალე.

შემოდის ანია.

ანია (აღელვებული). სამზარეულოში ვიღაც კაცი ახლა ამობობდა, დღეს ალუბლის ბაღი გაიყიდაო.

ლიუბ. ანდ. ვის უყიდია?

ანია. არ უთქვამს. წავიდა. (ცეკვავს ტროფიმოვთან. ორივენი დარბაზში გადიან).

იაშა. ვიღაც ბებერი ლაყბობდა. გარეშე იყო.

ფირსი. ლეონიდ ანდრეიჩი კიდევ არ არის, არ ჩამოსულა. თხელი პალტო აცვია, დემი-სეზონ, ერთიც ვნახოთ გაცივდეს. ეეჰ, რა არის თავქარიანი ახალგაზრდობა.

ლიუბ. ანდ. მე ახლავე მოვკვდები. წადით, გაიგეთ, იაშა, ვინ იყიდა.

იაშა. ის ბებერი დიდი ხანია წავიდა. (იცინის).

ლიუბ. ანდ. (ცოტა ნაწყენი). აბა რა გაცინებთ? რა გახარებთ?

იაშა: მეტად სასაცილო რამ არის ეს ჩვენი ეპიხოდოვი. ჭკუათხელი კაცი, ოცდაორ-ფათერაკიანი.

ლიუბ. ანდ. ფირს, მამული თუ გაიყიდა, შენ სად წახვალ?

ფირსი. სადაც მიბრძანებთ, იქ წავალ.

ლიუბ. ანდ. რა ცუდად გამოიყურები! ავადა ხარ? წადი, გამოიძინე...

ფირსი. ჰმ... მე რომ დასაძინებლად წავიდე, აქ ვინ გემსახურებათ, განკარგულებას ვინ გასცემს? ერთადაერთი კაცი ვარ მთელს სახლში.

იაშა. ლიუბოვ. ანდრეევნა! ნება მიბოძეთ მოგმართოთ თხოვნით, მოიღეთ მოწყალება! თუ პარიზს კვლავ წაბრძანდებით, მოიღეთ მოწყალება და თან წამიყვანეთ. ჩემი აქ დარჩენა კი ყოვლად შეუძლებელია. (მიიხედ-მოიხედავს, ხმადაბლა). არაა საჭირო იმის მტკიცება, თქვენ თვითონ ხედავთ, რომ გაუნათლებელი ქვეყანაა,

ხალხი – გარყვნილი, თან საშინელი მოწყენილობაც. სამზარეულოშიც საძაგლად გვკვებავენ. აქ კიდევ ფირსი დაიარება და ბურტყუნებს სხვადასხვა უწმაწურ სიტყვებს. წამიყვანეთ, მოიღეთ მოწყალება!

შემოდის პიშჩიკი.

პიშჩიკი. ნება მიბოძეთ გთხოვოთ... ვალსში გამომყვეთ, უმშვენიერესო!.. (ლიუბოვ ანდრეევნა მიჰყვება). მომხიბვლელო... ას ოთხმოც მანეთს კი წავიღებ თქვენგან... (ცეკვავს). წავიღებ ას ოთხმოც მანეთს...

დარბაზში გავიდნენ.

იაშა (ნელა მღერის). „გაიგებ განა ჩემ სულის შფოთვას...“

დარბაზში ერთი ვინმე ნაცრისფერი ცილინდრით და კომიკური ჭრელი შარვლით ხელებს იქნევს, ხტის, შეძახილები: „ბრავო, შარლოტა იავნოვნა!“

დუნიაშა (შედგება, იპუდრება). მიბრძანეს, იცეკვაო. კავალერები ბევრია, ქალები – ცოტა. მე კი ცეკვისაგან თავბრუ მეხვევა და გული მიფრიალებს. ფირს ნიკოლაევიჩ, ახლა ფოსტის მოხელემ ისეთი რამე მითხრა, რომ სუნთქვა შემეკრა.

მუსიკა ჩუმდება.

ფირსი. რა გითხრა?

დუნიაშა. თქვენ ისეთი ხართ, როგორც ყვავილიო...

იაშა (ამთქნარებს). უზრდელობაა. (გადის).

დუნიაშა. როგორც ყვავილიო... მეტად სათუთი ქალიშვილი ვარ, ნაზი სიტყვა ძალიან მიყვარს.

ფირსი. თავბრუ დაგეხვევა შენ.

შემოდის ეპიხოდოვი

ეპიხოდოვი. თქვენ, ავდოტია ფეოდოროვნა, არ გინდათ დამინახოთ... თითქოს მე რაღაც მწერი ვიყო. (ამოიოხრებს). ეჰ, ცხოვრებავ, ცხოვრებავ!

დუნიაშა. რა გნებავ?

ეპიხოდოვი. უეჭველია, თქვენ შეიძლება მართალიც იყოთ. (ამოიოხრებს). მაგრამ, რასა-კვირველია, თუ თვალთა ხედვის ისრით შევხედავთ, მაშინ თქვენ... ჩემ თავს მივცემ ნებას ასე გამოვთქვა, მომიტევეთ გულახდილობა, თქვენ მე შემირყიეთ სულის მშვიდობა. მე ვიცნობ ჩემ ფორტუნას, ყოველდღე უთუოდ რაიმე უბედურება უნდა შემემთხვეს, მაგრამ ამას დიდი ხანია ისე შევეჩვიე, რომ ღიმილით შევცქერი ჩემ ბედს. თქვენ სიტყვა მომეცით, თუმცა მე...

დუნიაშა. გთხოვთ, ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. ახლა კი თავი დამანებეთ. ახლა მე ვოცნებობ. (მარაოს ათამაშებს).

ეპიხოდოვი. მე ყოველდღე უბედურება მჭირს და – მივცემ ჩემ თავს ნებას და ასე ვიტყვი – ვიღიმები, ვიცინი კიდეც.

დარბაზიდან შემოდის ვარია.

ვარია. შენ კიდევ არ წასულხარ, სემიონ? რა უპატივცემულო კაცი ხარ. (დუნიას) გასწი აქედან. (ეპიხოდოვს) ხან ბილიარდზე თამაშობ და ჯოხიც კი გატეხე, ხან აქ დასეირნობ სტუმარივით.

ეპიხოდოვი. მოთხოვნილების წამოყენების უფლება ჩემდამი, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, თქვენ არ გაქვთ.

ვარია. მე მოთხოვნილებას კი არ გიყენებ, არამედ გეუბნები, რომ იქით-აქეთ დადიხარ და საქმეს კი არ აკეთებ. კანტორაში გვყავხარ და კაცმა კი არ იცის, თუ რისთვის.

ეპიხოდოვი (შეურაცხყოფილი). მე თუ ვმუშაობ, ანდა დავდივარ, ვჭამ და ბილიარდზე ვთამაშობ, ამის შესახებ შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ იმათ, ვინც შესმენილები არიან და უფროსები.

ვარია შენ მიბედავ ამის თქმას? (გაფიცხდება) შეენ? მაშ მე არაფერი არ მესმის? გადი, დაიკარგე აქედან! ახლავე!

ეპიხოდოვი (დაფრთხება). გთხოვთ უფრო თავაზიანად მომმართოთ.

ვარია (თავს ვერ იკავებს). დაიკარგეთ-მეთქი, ახლავე, ამ წუთას! დამეკარგე!

ეპიხოდოვი მიდის კარებისაკენ, ვარია მისდევს.

შე ოცდაორფათერაკიანო! შენი ჭაჭანებაც არ იყოს აქა! არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! (ეპიხოდოვი გავიდა. მოისმის მისი ხმა: „მე თქვენ გიჩვენებთ!“) როგორ, უკან ბრუნდები? (ფირსის ჯოხს ხელს დასტაცებს). აბა მოდი... მოდი... მე შენ გიჩვენებ სეირს! მოდიხარ? მოდიხარ? აბა ესეც შენ... (მოუქნევს, ამ დროს შემოდის ლოპახინი).

ლოპახინი ოო, დიდად გმადლობთ!

ვარია (გულმოსული, დაცინვით). უკაცრავად!

ლოპახინი არაფერია, უმდაბლესად გმადლობთ ასეთი სასიამოვნო გამასპინძლებისათვის.

ვარია. არ ღირს მადლობად. (მოშორდება, შემდეგ მოიხედავს და ლმობიერად ეკითხება) ხომ არ გატკინეთ?

ლოპახინი. არა, არაფერია. კარგა დიდი კოპი კი დამაჯდება.

დარბაზში ხმები: „ლოპახინი მოვიდა! ერმოლაი ალექსეიჩი!“

პიშჩიკი. სახით ვხედავ, ყურით ვისმენ... (ჰკოცნის ლოპახინს). კონიაკის სუნი გიდის, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო! ჩვენ აქ ვმხიარულობდით.

შემოდის ლიუბოვ ანდრეევნა.

ლიუბ. ანდ. ეს თქვენა ხართ, ერმოლაი ალექსეიჩ, რათ დაიგვიანეთ? ლეონიდი სად არის?

ლოპახინი. ლეონიდ ანდრეიჩი ჩემთან ერთად ჩამოვიდა, მოვა...

ლიუბ. ანდ. (ღელავს) მერე, რა მოხდა? შედგა საჯარო ვაჭრობა? თქვით!

ლოპახინი (დარცხვენილია, ერიდება, რომ თავისი სიხარული გამოთქვას). საჯარო ვაჭრობა ოთხი საათისათვის დასრულდა... ჩვენ მატარებელზე დაგვაგვიანდა და ათის ნახევრამდე მოგვი-ხდა მოცდა. (ღრმად ამოიოხრებს). უფ! ცოტა არ იყოს, თავბრუ მესხმის.

შემოდის გაევი. მარჯვენა ხელში ნავაჭრი უჭირავს, მარცხენათი ცრემლებს იწმენდს.

ლიუბ. ანდ. ლეონიდ, რა მოხდა, როგორ? ლეონიდ, აბა! (მოუთმენლად, თვალცრემლიანი). მალე, მალე, თუ ღმერთი გწამს...

გაევი (არავითარ პასუხს არ იძლევა, მხოლოდ ხელს აქნევს, ფირსს, ატირებული). აჰა, წაიღე... აქ ანჩოუსები და ქერჩის ქაშაყებია. დღეს არაფერი არ მიჭამია... რამდენი რამ გადავიტანე!

საბილიარდო ოთახის კარები გაღებულია. მოისმის ბურთულების ხმაური და იაშას სიტყვები: „შვიდი და თვრამეტი!“ გაევს სახე ეცვლება, აღარ ტირის.

საშინლად დავიქანცე. ფირს, გამომიცვალე ტანისამოსი. დარბაზს გაივლის და შედის თავის ოთახში, ფირსი მიჰყვება.

პიშჩიკი. რა მოხდა საჯარო ვაჭრობაზე? გვიამბე.

ლიუბ. ანდ. ალუბლის ბაღი გაიყიდა?

ლოპახინი. გაიყიდა.

ლიუბ. ანდ. ვინ იყიდა?

ლოპახინი. მე ვიყიდე.

პაუზა.

ლიუბოვ ანდრეევნა განადგურებულია, წაიქცეოდა კიდეც სავარძელსა და მაგიდასთან ახლო რომ არ იდგეს. ვარია წელიდან მოიხსნის გასაღებებს და სასტუმრო ოთახის შუაგულ იატაკზე დააგდებს. თვითონ კი გადის.

ლოპახინი. დიახ, მე ვიყიდე. დამაცადეთ, ბატონებო, მოიღეთ მოწყალება, თავი მიბრუის, ლაპარაკი არ შემიძლია... (იცინის). მივედით საჯარო ვაჭრობაზე, დერიგანოვი კი იქ დაგვიხვდა. ლეონიდ ანდრეიჩს მხოლოდ თხუთმეტი ათასი ჰქონდა, დერიგანოვმა კი დავალიანების გარდა ერთბაშად ოცდაათი ათასი დაუმატა. რომ

დავინახე, საქმე ასეთ სახეს ღებულობს, ორმოცი დავუმატე. იმან ორმოცდახუთი. მე ორმოცდახუთმეტი. ის ხუთიათასობით უმატებდა, მე ათიათასობით... ჰოდა, გავათავეთ. დავალიანების გარდა მე ოთხმოცდაათი ათასი გავიღე და მე დამრჩა ალუბლის ბაღი, ახლა ჩემია, ჩემი! (ხარხარებს). ღმერთო ჩემო, ალუბლის ბაღი ახლა ჩემია! მითხარით, რომ მე მთვრალი ვარ, რომ ჭკუიდან შევცდი, რომ ეს ყველაფერი მეჩვენება... (ფეხებს აბრახუნებს). არ დამცინოთ! მამაჩემი და პაპაჩემი რომ საფლავებიდან წამოდგნენ და გაიგონ რაც მოხდა, რომ მათმა ნაცემ-ნატყეპმა ერმოლაიმ, წერაკითხვის უცოდინარმა ერმოლაიმ, ფეხშიშველი რომ დარბოდა ზამთრობით, რომ სწორედ ამ ერმოლაიმ იყიდა ისეთი მამული, რომლის უკეთესი მთელს დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა, არ ვიცი რა მოუვათ. მე ვიყიდე ის მამული, სადაც მამაჩემი და პაპაჩემი მონები იყვნენ, სადაც მათ სამზარეულოშიც კი არ უშვებდნენ. არა, მე მძინავს ნამდვილად, მეჩვენება, მე მგონია ასე. ეს ჩემი წარმოდგენის ნაყოფია, რომლის მომავალიც ბურუსით არის მოცული... (გასაღებებს აიღებს. იღიმება ალერსით). გასაღებები გადააგდო, უნდა გვიჩვენოს, რომ ის აქ უკვე დიასახლისი აღარ არის... (გასაღებებს არაჩხუნებს). ეეჰ, განა სულ ერთი არ არის?!

მოისმის მემუსიკეები როგორ მართავენ საკრავებს.

ეი, მუსიკავ, დაუკარით, მე მინდა მოგისმინოთ! მოდით ყველანი, დაინახეთ ერმოლაი ალექსეიჩი როგორ აიღებს ნაჯახს, დაუშენს ალუბლის ბაღს და როგორ დაეშვებიან ხეები მიწაზე! გავაშენებთ აგარაკებს და ჩვენი შვილიშვილები და შვილიშვილიშვილები დაინახავენ აქ ახალ ცხოვრებას – მუსიკა დაუკარით!

უკრავს მუსიკა. ლიუბოვ ანდრეევნა სკამზე დაეშვება და მწარედ ტირის.

(ყველრებით). რატომ, რატომ არ გამიგონე, არ დამიჯერეთ, ჩემო კარგო, ჩემო საცოდავო! ახლა ვეღარ დაიბრუნებ. (ცრემლიანია). ჰო, ნეტა მალე გავიდეს, როგორმე შეიცვალოს ჩვენი უხეირო მოუწყობელი და უბედური ცხოვრება.

პიშჩიკი (მკლავს მკლავში გაუყრის). ტირის. (უჩვენებს ლიუბაზე). გავიდეთ დარბაზში, ეგ მარტო იყოს... წავიდეთ (ხელგაყრილი მიჰყავს დარბაზისაკენ).

ლოპახინი. ეს რა ამბავია? მუსიკავ! უფრო მკაფიოდ დაუკარი! ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მე მსურს. (დაცინვით). მოდის ახალი მებატონე, ალუბლის ბაღის პატრონი! (უეცრად მაგიდას დაეტაკა, კინაღამ კანდელაბრები გადააგდო). არაფერია, ყველაფერს ავანაზღაურებ!

გადის პიშჩიკთან ერთად. დარბაზსა და სასტუმრო ოთახში არავინ არ არის, გარდა ლიუბოვ ანდრეევნასი. ის კი ზის, მწარედ ტირის. მუსიკა ნელა უკრავს. საჩქაროდ შემოდიან ანია და ტროფიმოვი. ანია მიდის დედასთან და დაუჩოქებს. ტროფიმოვი შესასვლელ დარბაზთან ჩერდება.

ანია. დედა! სტირი? დედა, ჩემო კეთილო დედა, ჩემო მშვენიერო, მიყვარხარ, მიყვარხარ... მინდა დაგლოცო... ალუბლის ბაღი გაყიდულია, ის ჩვენი აღარ არის, ეს მართალია, მართალი, მაგრამ ნუ ტირი, დედა, შენ ცხოვრება კიდევ წინ გიძევს, შენ დაგრჩა შენი წმინდა, უმანკო სული... წამოდი ჩემთან, ჩემო მშვენიერო საყვარელო დედა, წამოდი, წავიდეთ აქედან... ჩვენ გავაშენებთ ახალ ბაღს, ამაზე კიდევ უკეთესს, შენ დაინახავ, შენ შეისმენ და სიხარული, წყნარი და ღრმა, მიეფინება შენს სულს, ისე როგორც საღამო ჟამს მზის სხივი, და შენ გაიღიმებ, დედა! წამოდი, გეთაყვა, წამოდი!

ფარდა.

პირველი მოქმედების დეკორაცია. ფანჯრებზე ფარდები აღარ არის, აღარც სურათებია კედლებზე. დარჩენილია ცოტაოდენი ავეჯი და ისიც მიწყობილია ერთ კუთხეში თითქო გასაყიდად. იგრძნობა სიცარიელე. გასასვლელ კარებთან და სცენის სიღრმეში აწყვია ჩემოდნები. სამგზავრო ტომსიკები და სხვა. მარცხნივ კარი გაღებულია, იქიდან მოისმის ანიასა და ვარიას ლაპარაკი. ლოპახინი დგას და იცდის. იაშას ხონჩა უჭირავს, რაზედაც შამპანურით სავსე ჭიქები აწყვია. დერეფანში ეპიხოდოვი ყუთსა კრავს. სცენის გარეთ, სიღრმეში ხმაურია. გლეხები მოსულან გამოსათხოვრად. გაევის ხმა: „გმადლობთ, ძმებო, გმადლობთ!“

იაშა. გამოსათხოვრად მოვიდა უბრალო ხალხი. მე ასეთი აზრისა ვარ, ერმოლაი ალექსეიჩ, რომ კეთილი ხალხია, მაგრამ შეუსმენელია.

ხმაური შენელდა: დერეფნიდან შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა და გაევი. ლიუბოვ ანდრეევნა აღარ ტირის, მაგრამ ფერმიხდილია, სახე უძიგძიგებს, ლაპარაკი არ შეუძლია.

გაევი. შენ შენი ქისა მიეცი, ლიუბა, ასე არ შეიძლება, არ შეიძლება-მეთქი!

ლიუბ. ანდ. არ შემეძლო, არ შემეძლო!

ორივენი გავლენ.

ლოპახინი (კარებში მიაძახებს). მობრძანდით გთხოვთ უმორჩილესად, თითო ჭიქა მიირთვით! ვერ მოვისაზრე ქალაქიდან მომეტანა, სადგურზე კი მხოლოდ ერთი ბოთლი ვიშოვე. მობრძანდით!

პაუზა.

რა იყო, ბატონებო, არ გნებავთ? (კარებს მოშორდება) რომ მცოდნოდა, არ ვიყიდდი. მაშ არც მე დავლევ.

იაშა სიფრთხილით სკამზე ხონჩას დგამს.

შენ მაინც დალიე, იაშა!

იაშა. წამსვლელებს გაუმარჯოს! დამრჩენთ – ბედნიერება! (სვამს). ეს არ არის ნამდვილი შამპანური, მე თქვენ გარწმუნებთ!

ლოპახინი რვა მანეთი ღირს ბოთლი.

პაუზა.

რა უბედურად ცივა აქ.

იაშა. დღეს არ გაუთბიათ. სულერთია, მივემგზავრებით... (იცინის).

ლოპახინი. რა გაცინებს?

იაშა. კმაყოფილი ვარ.

ლოპახინი. უკვე ოქტომბერია, მაგრამ მზიანი და მყუდრო ამინდია, როგორც ზაფხულში. ახლა მშენებლობაა კარგი. (საათს დახედავს, შემდეგ კარებში). ბატონებო, იცოდეთ, რომ მატარებლამდე ორმოცდაექვსი წუთი დარჩა! მაშასადამე ოცი წუთის შემდეგ სადგურისაკენ უნდა გაემართოთ. იჩქარეთ.

ეზოდან პალტოჩაცმული შემოდის ტროფიმოვი.

ტროფიმოვი. მე მგონია, რომ წასვლის დროა. ეტლები მზად არის. დასწყევლოს ღმერთმა, სად არის ჩემი კალოშები, დაიკარგა. (გასძახის) ანია, ჩემი კალოშები არა ჩანს, ვერ ვნახე.

ლოპახინი. მე კი ხარკოვს უნდა წავიდე. თქვენთან ერთად წამოვალ ხარკოვში, მთელი ზამთარი დავრჩები. მე თქვენ შეგრჩით, გავწვალდი უსაქმურობით. უმუშევრად ყოფნა არ შემიძლია, არ ვიცი ამ ხელებს რა ვუყო. როგორღაც უცნაურად ქანაობენ, თითქო ვიღაც გარეშეს ხელებიაო.

ტროფიმოვი. აი, წავალთ და თქვენც სასარგებლო მუშაობას შეუდგებით.

ლოპახინი. დალიე ერთი ჭიქა.

ტროფიმოვი. არა.

ლოპახინი. მაშ ახლა მოსკოვს? არა?

ტროფიმოვი. დიახ, ამათ ქალაქამდე მივაცილებ და ხვალ მოსკოვს გავწევ.

ლოპახინი. ჰო... უშენოდ ხომ პროფესორები ლექციებს არ წაიკითხავენ, გელო-დებიან – როდის ჩამოვაო.

ტროფიმოვი. ეგ შენი საქმე არ არის.

ლოპახინი. რამდენი წელიწადია, რაც შენ უნივერსიტეტში სწავლობ?

ტროფიმოვი. რაიმე ახალი თქვი. ეს მოძველებულია და გაცვეთილი. (კალოშებს ეძებს). იცი, ჩვენ შეიძლება ერთიმეორეს ველარ შევხვდეთ, ამისათვის ნება მიბოძე გამოთხო-ვებისას ერთი რჩევა მოგცე. ნუ აქნევ ხელებს! მოიშალე ეგ ჩვეულება – ხელების ქნევა. ისიც კიდევ, აგარაკების შენებას რომ აპირებ და იმედი გაქვს, რომ მოაგარაკეები თავის კერძო მეურნეობას შექმნიანო, ესეც ერთგვარი ხელის ქნევაა. მაგრამ ასეა თუ ისე, შენ მაინც მიყვარხარ. შენ სათუთი, არტისტივით ნაზი თითები და სულიც ეგრევე ნაზი გაქვს.

ლოპახინი (ეხვევა). მშვიდობით, ჩემო კარგო, მადლობელი ვარ ყველაფრისათვის. თუ გინდა, სამგზავრო ფული ნაიღე ჩემგან.

ტროფიმოვი. რათაო ვითომ? რა საჭიროა!

ლოპახინი. რომ არა გაქვს?

ტროფიმოვი. მაქვს. მადლობელი ვარ. თარგმანში მივიღე. აქა მაქვს, ჯიბეში. (შეშფოთებული) კალოშები კი არა ჩანს!

ვარია (მეორე ოთახიდან). აჰა, წაიღეთ ეს საზიზღრობა! (სცენაზე გამოაგდებს ერთ წყვილ რეზინის კალოშს).

ტროფიმოვი. აბა რათა ჯავრობთ, ვარია... ჰმ... ეს ხომ ჩემი კალოში არ არის...

ლოპახინი. გაზაფხულზე ათასი დესეტინა ყაყაჩო დავთესე, ახლა კი ორმოცი ათასი მოვიგე წმინდა. როდესაც ჩემი ყაყაჩო ყვაოდა, იშვიათი სანახავი იყო. ახლა კი ვამბობ, რომ ორმოცი ათასი წმინდა მოგება ვნახე-მეთქი. მაშასადამე, გაძლევ სესხს, რადგან მე ეს შემიძლია. ცხვი-

რის აწევა რა საჭიროა? მე გლეხი ვარ, უბრალოდ ვიძლევი სესხს.

ტროფიმოვი. მამაშენი გლეხი იყო, მამაჩემი – აფთიაქარი, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოდის.

ლოპახინი საფულეს ამოიღებს.

დაეხსენ, არ უნდა, არა... ორასი ათასიც რომ მომცე, არ ავიღებ. მე თავისუფალი კაცი ვარ. ყოველივე იმას, რაც თქვენ ყველა მდიდრებს და ღარიბებს დიდად და ძვირფასად მიგაჩნიათ, ჩემზე არავითარი გავლენა და უფლება არა აქვს. მე შემიძლია უთქვენოდ გავძლო, შემიძლია გვერდი აგიაროთ, მე ძლიერი ვარ და ამაყი. კაცობრიობა მიისწრაფვის უმაღლესი სიმართლისაკენ, უმაღლესი ბედნიერებისაკენ, რაც კი შესაძლებელია ამქვეყნად და მეც მის პირველ რიგებში ვიმყოფები.

ლოპახინი. მიაღწევ?

ტროფიმოვი. მივაღწევ.

პაუზა.

მივაღწევ ან სხვებს ვუჩვენებ გზას – როგორ მიაღწიონ.

მოისმის ნაჯახს როგორ სცემენ ხეს.

ლოპახინი. მშვიდობით, ჩემო კარგო. წასვლის დროა. ჩვენ ყველანი ცხვირს ზევით ვწევთ. ცხოვრება კი, ნუ გეშინია, მიდის თავისთვის. როდესაც მე დიდი ხნით, დაუღა-ლავად ვმუშაობ, მაშინ უფრო ძალდაუტანებლად ვაზროვნებ და მგონია, რომ ვიცი, თუ რისთვის ვარსებობ. რუსეთში კი, ჩემო ძმაო, რამდენია ისეთი, რომ არ იცის, თუ რისთვის არსებობს. მაგრამ სულერთია, საქმის ცირკულაცია ამით არ აიხსნება. ამბობენ, ლეონიდ ანდრეიჩმა ადგილი მიიღო ბანკში და წლიურად ექვსი ათასი ექნებაო... მაგრამ რომ ვერ დაუჯდება?... ძალზე ზარმაცია...

ანია (კარებში). დედამ გთხოვათ, სანამ არ წავსულვართ, ბაღს ნუ აჩეხავენო.

ტროფიმოვი. მართლაცდა, ნუთუ ამისათვის ტაქტი არა ჰყოფნით!... (გადის დერეფანში).

ლოპახინი. ახლავე, ახლავე... მართლაცდა, როგორები არიან... (ტროფიმოვს გაჰყვება).

ანია. ფირსი გაგზავნეთ საავადმყოფოში?

იაშა. დილით ვუთხარი. უნდა ვიფიქროთ, რომ გაგზავნილია.

ანია (ეპიხოდოვს, რომელმაც დარბაზზე გამოიარა). სემიონ პანტელეიჩ, გაიგეთ, გეთაყვა, ფირსი საავადმყოფოში გაგზავნეს თუ არა.

იაშა (ნაწყენი). დილით მე ეგორს ვუთხარი. რა საჭიროა ამდენჯერ ამის კითხვა?

ეპიხოდოვი. მრავალხნოვანი ფირსი, ჩემი აზრით, შესაკეთებლად აღარ გამოდგება, უნდა გაემგზავროს წინაპრებისაკენ. და მე კი უნდა მშურდეს მისი (ჩემოდანი საქუდე მუყაოს კოლოფზე დადო და გაჭყლიტა). რასაკვირველია... შეხედეთ. ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა! (გადის).

იაშა (დაცინვით). ოცდაორფათერაკიანი...

ვარია (კარებში). ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

ანია. წაიყვანეს.

ვარია. ექიმთან წერილი რატომ არ წაიღეს?

ანია. ტელეგრამა უნდა დავადევნოთ... (გადის).

ვარია (ოთახიდან). სად არის იაშა? უთხარით, რომ დედამისი მოვიდა და უნდა გამოეთხოვოს.

იაშა (ხელს ჩაიქნევს). მოთმინებიდან გამოიყვანენ კაცს.

დუნიაშა სულ ბარგთან ფუსფუსებს. ახლა, როდესაც იაშა მარტო დარჩა. მიდის მასთან.

დუნიაშა. ერთხელ მაინც შემოგეხედათ, იაშა. მიემგზავრებით... მე მტოვებთ. (ტირის, მივარდება და ყელზე ეხვევა).

იაშა. აბა, რათა სტირით? (სვამს შამპანურს). ექვსი დღის შემდეგ ისევ პარიზში ვიქნები. ხვალ რომ კურიერის მატარებელში ჩავჯდებით და მოვუსვამთ, ისე გავქრებით, თითქო აქ არც კი ვყოფილიყავით. არც კი მჯერა,

ვივ ლა ფრანს!...[35] აქ მე გული არ მიდგება, არ შემიძლია ცხოვრება... აბა რა უნდა ვქნა! გადავხედე აქაურ გაუთლელობას და – მეყოფა. (სვამს შამპანურს). ტირილი რა საჭიროა? წესიერად მოიქეცით და მაშინ აღარ იტირებთ.

დუნიაშა (იპუდრება, სარკეში იხედება). პარიზიდან წერილი გამომიგზავნეთ, მე ხომ თქვენ მიყვარდით. იაშა, ისე მიყვარდით, რომ... მე ხომ ნაზი არსება ვარ, იაშა!

იაშა. აქეთ მოდიან. (შეუდგება ჩემოდნების სამზადისს. ნელა მღერის შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი, ანია, შარლოტა ივანოვნა).

გაევი. ახლა უნდა მივდიოდეთ. ცოტაღა დარჩა. (იაშას შეაჩერდება). ვინ არის, რომ მყრალი თევზის სუნი უდის?

ლიუბ. ანდ. ერთი ათი წუთის შემდეგ ჩავსხდეთ ეკიპაჟებში... (ოთახს თვალს შეავლებს). მშვიდობით, საყვარელო კუთხევ, ჩვენო პაპავ. გაივლის ზამთარი, დადგება გაზაფხული და შენ უკვე აღარ იქნები, დაგშლიან, დაგარღვევენ. რამდენი რამ უნახავთ ამ კედლებს! (მხურვალედ ჰკოცნის ანიას). ჩემო საუნჯევ, მთელი სახე გიბრწყინავს, თვალები გიციმციმებს ალმასავით, კმაყოფილი ხარ? ძალიან?

ანია. ძალიან. ახალი ცხოვრება იწყება, დედა!

გაევი (მხიარულად). მართლაცდა, ახლა ყველაფერი კარგადაა. ალუბლის ბაღის გაყიდვამდე ჩვენ ყველანი ვღელავდით, ვიტანჯებოდით, ხოლო როდესაც საკითხი საბოლოოდ შეუბრუნებლივ გადაწყდა, ყველანი დავმშვიდდით და გავმხიარულდით კიდეც... მე ბანკის მსახური ვარ, ფინანსისტი ვარ უკვე... ყვითელი შუაში. შენ კი, ლიუბა, რაც გინდა ისა თქვი და ბევრად უკეთ გამოიყურები, ეს ცხადია.

ლიუბ. ანდ. ნერვები დამიმშვიდდა, ეს მართალია.

მოართმევენ ქუდსა და პალტოს.

---

[35] გაუმარჯოს საფრანგეთს! (ფრანგ.)

კარგადაც მძინავს. გაიტანეთ ბარგი. იაშა, დროა. (ანიას). ჩემო გოგონი, ჩვენ მალე ვნახავთ ერთიმეორეს... მივემგზავრები პარიზს და ვიცხოვრებ იმ ფულებით, შენმა იაროს-ლაველმა ბებიამ რომ გამოგზავნა მამულის გამოსასყიდად. გაუმარჯოს ბებიას! ფულები კი ბევრ ხანს არ იკმარებს.

ანია. შენ, დედა, მალე დაბრუნდები, ძალიან მალე... ხომ? მე მოვემზადები, გამოცდებს ჩავაბარებ გიმნაზიაში, შემდეგ კი ვიმუშავებ და შენ დაგეხმარები... ჩვენ, დედა, ერთად ვიკითხავთ სხვადასხვა წიგნებს... ხომ? (ხელებს უკოცნის) ჩვენ ვიკითხავთ შემოდგომის საღამოობით, წავიკითხავთ ბევრ წიგნებს, და ჩვენ წინ გადაიშლება ახალი, საუცხოო ქვეყანა... (ოცნებობს). დედა, ჩამოდი...

ლიუბ. ანდ. ჩამოვალ, ჩემი ოქრო (მოეხვევა შვილს).

შემოდის ლოპახინი. შარლოტა ნელა მღერის.

გაევი. ბედნიერია შარლოტა, მღერის!

შარლოტა (აიღებს რაღაც შეხვეულს, რომელიც ისეა გამწყაზრული, რომ ბავშვს ჰგავს). ნანინა, ნანინა, ჩემო პანია.

მოისმის ბავშვის ტირილი: „უა, უა!...“

გაჩუმდი, ჩემო კარგო, გაჩუმდი, ჩემო სასურველო!

„უა, უა!...“

ძალიან მებრალები, შენმა გაზრდამ! (შეხვეულს თავის ადგილზე დააგდებს). მომიძებნეთ, მიშოვეთ რაიმე ადგილი. ისე არ შემიძლია.

ლოპახინი. გიშოვით, შარლოტა ივანოვნა, გიშოვით, ნუ სწუხართ.

გაევი. ყველანი გვტოვებენ. ვარიაც მიდის. ჩვენ უკვე მათთვის საჭირონი აღარა ვართ.

შარლოტა. ქალაქში არსად არ მეცხოვრება, უნდა წავიდე... (მღერის) ახ, სულერთია...

შემოდის პიშჩიკი.

ლოპახინი. მოვიდა ბუნების სასწაული!

პიშჩიკი. ოჰ, ერთი სული ამომათქმევინეთ... დავიტანჯე... ჩემო საპატიო ბატონებო... მომეცით...

გაევი. ფულებზე მოხვიდოდი ვიცი, მაგრამ, უკაცრავად, ამ განსაცდელს თავს ვარიდებ (გადის).

პიშჩიკი. დიდი ხანია თქვენსა არა ვყოფილვარ... (ლიუბას). უმშვენიერესო. (ლოპახინს). შენ აქა ხარ... მიხარია შენი ნახვა. უდიდესი ჭკუის კაცი ხარ... აჰა, მიიღე... (აძლევს ლოპახინს ფულებს). ოთხასი მანეთია... ჩემზე რვაას ორმოცი დარჩება...

ლოპახინი (უკვირს, მხრებს აიწევს). სიზმარში ვარ მგონია... სად იშოვე?

პიშჩიკი. დაიცა... ცხელა... არაჩვეულებრივი მოვლენაა... ინგლისელები მეწვივნენ და მიწაში რაღაც თეთრი თიხა აღმოაჩინეს... (ლიუბოვ ანდრეევნას) თქვენც აგერ ოთხასი... მშვენი-ერო და უსაკვირლესო... (ფულს აძლევს). დანარჩენი შემდეგ. (წყალსა სვამს). აგერ ახლა მატარებე-ლში ერთი ყმაწვილი კაცი გვიამბობდა, თითქო რომელიღაც ფილოსოფოსი რჩევას იძლევა – გადახტით სახურავიდანო. გადახტითო, და ეს არის თურმე ყველაფერი (გაკვირვებული) თქვენ წარმოიდგინეთ! წყალი!

ლოპახინი. ეგ ვინ ინგლისელებია?

პიშჩიკი. თიხიანი მიწა ოცდაოთხი წლით გადავეცი... ახლა კი უკაცრავად, მაგრამ უნდა გავიქცე... ზნოიკოვს უნდა მივაშურო და კარდამონოვს... ყველასი მმართებს... (სვამს). გისურვებთ დღეგრძელობას... ხუთშაბათს შემოვივლი...

ლიუბ. ანდ. ჩვენ ახლავე ქალაქს მივდივართ და ხვალ კი საზღვარგარეთ.

პიშჩიკი. როგორ? (შეშფოთებული) ქალაქში რატომ? მეც არ გამიკვირდა... ავეჯი... ჩემოდნები... ბარგი-ბარხანა... (ცრემლმორეული). მაგრამ არაფერია... დიდი ჭკუის ხალხი კი ეს... ინგლისელები... არაფერია, ბედნიერად იყავით... ღმერთი შეგეწევათ... არაფერია, ყველაფერს ამქვეყნად ბოლო აქვს... (ლიუბოვ ანდრეევნას ხელზე

ჰკოცნის). აი, მოგივათ ამბავი ჩემ შესახებ, რომ ჩემი აღსასრულიც მოვიდა... მაშინ გაიხსენეთ ერთი ცხენი და თქვით, რომ იყო-თქო ასეთი და ისეთი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ღმერთმა განუსვენოს-თქო... შესანიშნავი ამინდი დგას... (გადის ძალზე დარცხვენილი, მაგრამ მაშინვე ბრუნდება, ამბობს კარებში). დაშენკამ მოგიკითხათ! (გადის).

ლიუბ. ანდ. ახლა კი შეიძლება, რომ წავიდეთ. მივდივარ და ორი საზრუნავი თან მიმაქვს. პირველი ეს ავადმყოფი ფირსია. (დახედავს საათს). ერთი ხუთი წუთი კიდევ შეიძ-ლება...

ანია. დედა, ფირსი ამ დილით საავადმყოფოში გაგზავნეს. იაშამ გაგზავნა.

ლიუბ. ანდ. მეორე ვარიაა. ის მიჩვეულია ადრე ადგომას და მუშაობას, ახლა კი უშრომლად ისე იქნება, როგორც თევზი უწყლოდ. გახდა. ფერი წაუვიდა და ტირის საცოდავი!

პაუზა.

თქვენ ეს ყველაფერი კარგად იცით, ერმოლაი ალექსეიჩ, მე ვოცნებობდი... თქვენთვის მომეთხოვებინა. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ თქვენ შეირთავდით. (ანიას უჩურ-ჩულებს. ის შარლოტას თავს დაუქნევს და ორივენი გავლენ). მას თქვენ უყვარხართ, თქვენც მოგწონთ და არ ვიცი სწორედ რატომ იჩენთ ორივენი ასეთ მიუკარებლობას. ვერ გამიგია!

ლოპახინი. მართალი გითხრათ, ვერც მე გამიგია. უცნაური რამ არის სწორედ... თუ ჯერ დრო არის კიდევ, მზად ვარ... გავათავოთ ერთბაშად და ის იქნება, უთქვენოდ კი, ვგრძნობ, რომ მე წინადადებას ვერ მოვცემ.

ლიუბ. ანდ. ჰოდა, ძალიან კარგი. ერთი წუთია მხოლოდ ამისათვის საჭირო. ახლავე დავუძახებ...

ლოპახინი. ბედზე შამპანურიცა გვაქვს. (შეხედა ჭიქებს). ცარიელია, ვიღაცას დაულევია.

იაშა დაახველებს.

ამას ჰქვია ამოლოკვა.

ლიუბ. ანდ. (გამოცოცხლებულია). ძალიან კარგი. ჩვენ გავალთ, იაშა, allez! ახლავე დავუძახებ. (გასძახის). ვარია, მაგას ყველაფერს თავი დაანებე და აქ მოდი, მოდი, მოდი! (გადის იაშასთან ერთად).

ლოპახინი (საათს დახედავს). დიახ...

პაუზა.

კარებს იქით თავშეკავებული სიცილი, ჩურჩული, ბოლოს შემოდის ვ ა რ ი ა.

ვარია (დიდხანს ათვალიერებს ბარგს). საკვირველია, ვერაფრით ვერ მომინახავს...

ლოპახინი. რას ეძებთ?

ვარია. თვითონ ჩავალაგე და არ მახსოვს.

პაუზა.

ლოპახინი. თქვენ ახლა საით, ვარვარა მიხაილოვნა?

ვარია. მე? რაგულინებთან. უკვე მოვილაპარაკეთ. მათ მეურნეობას უნდა მივხედო...

ლოპახინი. ეს იაშნევოში? აქედან სამოცდაათი ვერსი იქნება.

პაუზა.

აჰა, უკვე დასრულდა ცხოვრება ამ სახლში...

ვარია (ბარგს ათვალიერებს). სად არის... ან შეიძლება ზანდუკში ჩავდე... დიახ, დასრულდა ცხოვრება ამ სახლში... მეტი აღარ იქნება.

ლოპახინი. მე კი ხარკოვს მივდივარ... ამ მატარებლით. ბევრი საქმეები მაქვს. აქ კი ეპიხოდოვსა ვტოვებ. დავიქირავე.

ვარია. რა უშავს!

ლოპახინი. შარშან ამ დროს, თუ გახსოვთ, უკვე თოვლი მოდიოდა, ახლა კი სიწყნარეა, მზიანია. მხოლოდ სიცივეკია... სამი გრადუსი იქნება.

ვარია. მე არ დამიხედავს.

პაუზა.

მაგრამ, მართლა, ჩვენი თერმომეტრი გატეხილია...

პაუზა.

ხმა ეზოდან კარებში: „ერმოლაი ალექსეიჩ!"

ლოპახინი (თითქო ამ დაძახილს დიდი ხანია ელოდაო). ახლავე! (საჩქაროდ გადის).

ვარია იატაკზე ზის. კარების ფუთაზე თავი უდევს და ნელა ტირის. გაიღება კარები და ფრთხილად შემოდის ლიუბოვ ანდრეევნა.

ლიუბ. ანდ. რა იყო?

პაუზა.

უნდა წავიდეთ!

ვარია (აღარ ტირის, ცრემლები მოიწმინდა). დიახ, დროა, დედიკო. დღეს მე რაგულინებს მივუსწრებ, ოღონდ მატარებელზე არ დამაგვიანდეს...

ლიუბ. ანდ. (გასძახის). ანია, ჩაიცვი!

შემოდიან ანია, შემდეგ გაევი, შარლოტა. გაევს ყაბალახიანი თბილი პალტო აცვია. თავს იყრიან მოსამსახურეები და მეეტლები, ბარგთან ეპიხოდოვი ფუსფუსებს.

ლიუბ. ანდ. ახლა შეიძლება გზას გავუდგეთ!

გაევი. ჩემო მეგობრებო, საყვარელო, ძვირფასო მეგობრებო! სამუდამოდ ვტოვებ ამ სახლს და განა შემიძლია ჩუმად ვიყო, თავი შევიკავო იმისგან, რომ გამოთხოვებისას არ გამოვთქვა ის გრძნობები, რომლებითაც აღსავსეა ახლა მთელი ჩემი არსება?...

ანია (ვედრებით). ძია!

ვარია. აბა რად გინდა, ძია!

გაევი (მოდუნებული). დუპლეტით ყვითელი შუაში... ჩუმადა ვარ...

შემოდის ტროფიმოვი, შემდეგ ლოპახინი.

ტროფიმოვი. რას უყურებთ, ბატონებო, ნასვლის დროა!

ლოპახინი. ეპიხოდოვ, ჩემი პალტო!

ლიუბ. ანდ. მე ერთ წუთას ჩამოვჯდები კიდევ. თითქო წინათ არასოდეს არ მენახოს, თუ როგორი კედლები აქვს ამ სახლს, როგორი ჭერი, და ახლა დიდი სიხარბით, უნაზესი სიყვარულით შევცქერი...

გაევი. მახსოვს, ექვსი წლის ვიყავი სულიწმინდის მოფენის დღეს აი, ამ ფანჯარაზე ვიჯექი და ვუყურებდი, მამაჩემი რომ საყდარში მიდიოდა.

ლიუბ. ანდ. ბარგი სულ წაიღეს?

ლოპახინი. მგონი, სულ. (პალტოს იცვამს ეპიხოდოვს) შენ კი ეპიხოდოვ, თვალყური ადევნე, რომ ყოველივე წესრიგზე იყოს.

ეპიხოდოვი (ჩახრინწული ხმით). ამაზე ნუ სწუხართ, ერმოლაი ალექსეიჩ!

ლოპახინი. ეს არის წყალი დავლიე და რაღაც ჩავყლაპე.

იაშა (ზიზღით). რა უმეცრებაა!...

ლიუბ. ანდ. აი ჩვენ წავალთ და აქ არც ერთი სულიერი არ დარჩება.

ლოპახინი. გაზაფხულამდე.

ვარია (შეხვეულიდან გამოგლეჯს ქოლგას და ისე დაეტყობა, თითქოს უნდა მოიქნიოსო. ლოპახინი სახეს ისე უჩვენებს, თითქო შეუშინდაო). აბა როგორ, წარმოიდგინეთ?.. არც კი მიფიქრია.

ტროფიმოვი. ბატონებო, წავიდეთ, ჩავსხდეთ. დრო არის უკვე! საცაა მატარებელი მოვა!

ვარია. პეტია, აგერ თქვენი კალოშები, ჩემოდნის გვერდით. (აცრემლებული). რა დასვრილია, დაძველებულიც...

ტროფიმოვი (კალოშებს იცვამს). წავიდეთ, ბატონებო!..

გაევი (ძალზე აღელვებულია, ეშინია ტირილი არ აუტყდეს). მატარებელი... სადგური... კრუაზე შუაში, თეთრი დუპლეტით კუთხეში...

ლიუბ. ანდ. წავიდეთ!

ლოპახინი. ყველა აქ არის? იქ ხომ აღარავინ არის? (მარცხნივ გვერდის კარებს ჩაკეტავს). აქ ბარგი აწყვია, უნდა ჩაიკეტოს, წავიდეთ!

ანია. მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, ძველო ცხოვრებავ!

ტროფიმოვი. გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას! (გადის ანიასთან ერთად).

ვარია თვალს შეავლებს ოთახს და აუჩქარებლად გადის. გავლენ იაშა და შარლოტა თავისი ძაღლით.

ლოპახინი. მაშასადამე, გაზაფხულამდე. მიბრძანდით, ბატონებო... ნახვამდის! (გადის).

ლიუბოვ ანდრეევნა და გაევი რჩებიან მარტო. ისინი თითქო ამას მოელოდნენო, მივარდებიან ერთიმეორეს გადაეხვევიან და ქვითინებენ, მხოლოდ თავშეკავებით, მორიდებით რომ სხვებმა არ გაიგონონ.

გაევი (სასოწარკვეთილი). დაო ჩემო, ჩემო დაო!

ლიუბ. ანდ. ჩვენი საყვარელი, ჩვენი ნაზი, მშვენიერი ბაღი!... მშვიდობით, ჩემო ცხოვრებავ, ჩემო ახალგაზრდობავ, ჩემო ბედნიერებავ, მშვიდობით! მშვიდობით!

ანიას მხიარული ძახილი: „დედა!..“

ტროფიმოვის მხიარული აღფრთოვანებული ხმა: „აუ!..“

ლიუბ. ანდ. უკანასკნელად შევხედო ამ კედლებს, ამ ფანჯრებს... ამ ოთახში უყვარდა სიარული განსვენებულ დედაჩემს...

გაევი. ჩემო დაო, დაო ჩემო!

ანიას ხმა: „დედა!...

ტროფიმოვის ხმა: „აუ!...“

ლიუბ. ანდ. მოვდივართ!

გადიან

სცენა ცარიელია. მოისმის, თუ როგორა ჰკეტავენ ყველა კარებს, შემდეგ მოისმის ეტლების წასვლის ხმა. სიჩუმე ჩამოვარდება. სიჩუმეში ყრუდ გაისმის როგორა ჩეხენ ალუბლის ხეებს ნაჯახით. ეს ხმა თითქო ობოლია და ნაღვლიანი. მოისმის ფეხის ხმა. მარჯვენა კარებში გამოჩნდება ფირსი, მას, როგორც ყოველთვის, აცვია პიჯაკი და თეთრი ჟილეტი, ფეხებზე – ტუფლები, ავადაა.

ფირსი (მიდის კარებთან, ხელს შეახებს სახელურს). დაკეტილია... წასულან... (ჯდება დივანზე). მე კი დავავიწყდი... არაფერია... ცოტა ხანს აქ ჩამოვჯდები... ლეონიდ ან-

დრეიჩი, ნუ გეშინია, ქურქს არ წაიღებდა, საზაფხულო პალტოთი წავიდოდა. (დარდიანად ამოიოხრებს). მე კი ვერ მივაყოლე თვალი... (რაღაცას ბურტყუნებს) წავიდა ცხოვრება. თითქოს არც კი ყოფილიყოს... (წვება) წამოვწვები. ღონე აღარა გაქვს, ღონე, არაფერი აღარ დაგრჩა, აღარაფერი... ეეჰ, შე დონდლო, შენა! (წევს უძრავად).

თითქოს ციდან მოისმის გაწყვეტილი სიმის გაჟღერება, სამწუხარო და სევდიანი, ჩამოვარდება სიჩუმე, მხოლოდ გაისმის როგორ ჩეხენ ბაღში ხეებს.

ფარდა.

ანტონ ჩეხოვი

ალუბლის ბაღი*

კომედია ოთხ მოქმედებად

თარგმნა *მიხეილ ქვლივიძემ.*

მოქმედი პირები:

ლუბოვ ანდრეევნა რანევსკაია – მემამულე ქალი
ანა – მისი ქალიშვილი, 17 წლის
ვარა – მისი ნაშვილები, 24 წლის
ლეონიდ ანდრეევიჩ გაევი – რანევსკაიას ძმა
ერმოლაი ალექსეევიჩ ლოპახინი – ვაჭარი
ტროფიმოვი – სტუდენტი
სიმეონოვ-პიშჩიკი – მემამულე
შარლოტა ივანოვა – გუვერნანტი ქალი
ეპიხოდოვი – შინამოსამსახურე
ფირსი – ლაქია, 87 წლის
იაშა – ახალგაზრდა ლაქია
გამვლელი
სადგურის უფროსი
ფოსტის მოხელე
სტუმრები, მსახურები
მოქმედება ლ. ა. რანევსკაიას მამულში ხდება

---

* თარგმანი იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" 1982 წლის №4 გამოქვეყნებულის ელექტრონული ვერსიის მიხედვით, რომელიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

დიდფანჯრებიანი ოთახი, რომელიც ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. ერთ კარს ანას ოთახში გავყავართ. თენდება. საცაა მზე ამოვა. მაისია. ბაღში ალუბლები ჰყვავიან, თუმცა ჯერ კიდევ სიცივეა. ოთახის ფანჯრები ჩაკეტილია.

შემოდიან დუნიაშა და ლოპახინი. დუნიაშას ხელში ანთებული სანთელი უჭირავს, ლოპახინს – წიგნი.

ლოპახინი. – ძლივს ეღირსა მატარებელს ჩამოსვლა რომელი საათია?

დუნიაშა. მალე ორი გახდება (სანთელს ჩააქრობს) თენდება უკვე.

ლოპახინი. მატარებელს სულ ნაკლები, ორი საათი დააგვიანდა. (ამთქნარებს და იზმორება) მეც კაი სულელი ვარ: განგებ ადრე ჩამოვედი, თქვენებს რომ დავხვედროდი და ჩამძინებია! თანაც სად, სავარძელში! საწყენია, ღმერთმანი... ვერ გამაღვიძე?

დუნიაშა. მე ვიფიქრე ნახვედით. (მიაყურადებს) მგონი მოდიან.

ლოპახინი. (ისიც უსმენს) – ჯერ სადაა! ბარგი უნდა მიიღონ... ათასი რამეა... (პაუზა) შენმა ქალბატონმა საზღვარგარეთ ხუთი წელი გაატარა; ნეტა როგორია ახლა? კარგი ქალი კი იყო – უბრალო გულისხმიერი... მახსოვს, ბავშვობაში, – თხუთმეტი წლის ვიქნებოდი მაშინ, – განსვენებულმა მამაჩემმა, – მას ამ სოფელში სავაჭრო ჰქონდა, – გამარტყა და ცხვირიდან სისხლი წამომადინა... მაშინ რაღაც საქმეზე მოვედით აქ და მამა ნასვამი იყო... ჰოდა, ლუბოვ ანდრეევნამ, ისე კარგად მახსოვს, სულ ახალგაზრდა იყო გამხდარი, ტანწერწეტა – პირსაბანთან მიმიყვანა. – ამ ოთახში იმ დროს ბავშვების ოთახი იყო – და „ნუ ტირი, გლეხის ბიჭოო, – მითხრა, – ქორწინებამდე გაგიელისო!"... (პაუზა) „გლეხის ბიჭოო"... მამაჩემი მართლაც გლეხი იყო, მუჟიკი, მე კი ახლა თეთრი ჟილეტი მაცვია და ყვითელი ბათინკებით დავიარები! კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო! ერ-

თი კია, მდიდარი ვარ და ფული ბევრი მაქვს, თორე ისე, კაცმა რომ თქვას, სუფთა წყლის მუჟიკი ვარ!.. (წიგნს გადაფურცლავს) აი, ახლაც... წიგნს ვკითხულობდი და ვერაფერი გავიგე, კითხვის დროს ჩამძინებია... (პაუზა)

დუნიაშა. ძაღლები მთელ ღამეს ფხიზლობდნენ, ეტყობა, ბატონების ჩამოსვლას გრძნობდნენ.

ლოპახინი. დღეს სხვანაირი მეჩვენები, დუნიაშა. რა მოგდის?

დუნიაშა. ხელები მიკანკალებს, ლამის არი, გული წამივიდეს!

ლოპახინი. მეტისმეტად აზიზი გახდი, გოგო! ბარიშნასავით იცვამ, თმასაც სხვანაირად ივარცხნი... ეგრე არ შეიძლება, შენი ადგილი უნდა იცოდე. (შემოდის ეპიხოდოვი თაიგულით ხელში. პიჯაკი და მაგრად გაპრიალებული, საშინლად ჭრაჭუნა ჩექმები აცვია. შემოსვლისთანავე წაიბორძიკებს და თაიგული ხელიდან გაუვარდება).

ეპიხოდოვი. (თაიგული ასაღებად დაიხრება) – აი, მებაღემ გამომატანა, სასადილო ოთახში დადგითო. (თაიგულს დუნიაშას გადასცემს).

ლოპახინი (კარისკენ მიმავალ დუნიაშას მიაძახებს)
– ბურახიც გამოიყოლე, ყელი გამიშრა!

დუნიაშა. კი, ბატონო (გადის).

ეპიხოდოვი. მაგარი სუსხია გარეთ, სამი გრადუსი მაინც იქნება. ალუბლები კი თეთრად გადაპენტილან!... არა, გეთაყვა, რაც გინდა თქვით და აქაურ კლიმატს მოწონების ღირსად ვერ ჩავთვლი! ჩვენს ჰავას არ შეუძლია, ასე ვთქვათ, ზუსტად შეესატყვისებოდეს... აი, ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ დავსძინო: სამი დღის წინათ ჩექმები შევიძინე და ისეთი ჭრაჭუნი გააქვთ, არ ვიცი, რა ვქნა!... მასწავლეთ, რით გავპოხო!

ლოპახინი. თავი გამანებე!

ეპიხოდოვი. მარცხიანი კაცი ვარ საერთოდ. ყოველდღე რაღაც უბედურება უნდა შემემთხვას... თუმცა, მე ამას აღარ ვჩივი და მელიმება კიდეც. (შემოდს დუნიაშა, ლოპახინს ბურახს მიართმევს) წავედი მე... (სკამს დაეჯა-

ხება და წააქცევს) აი, ხედავთ? რა გითხარით? (თითქოს გაუხარდება კიდეც) მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ ხომ დარწმუნდით, რა ვითარებაა? სხვათა შორის, ეს შესანიშნავიცაა. (გადის).

დუნიაშა. იცით, ერმოლაი ალექსეიჩ, ეპოხოდოვმა ხელი მთხოვა.

ლოპახინი. მერე?

დუნიაშა. არ ვიცი, რა ვქნა. წყნარი კაცი ჩანს, მაგრამ ლაპარაკს რომ დაიწყებს, ვერაფერს გაუგებ. თითქო დალაგებულად ამბობს, გრძნობიერადაც, მაგრამ ვერ მიხვდები, რისი თქმა უნდა... მე პირადად მომწონს ეგ კაცი, მას კი გაგიჟებით ვუყვარვარ, ბედკრულია, თარსიანი, სულ რაღაც ემართება – ჩვენებმა მეტსახელად „ბედოვლათი“ შეარქვეს!

ლოპახინი. (მიაყურადებს) – მგონი მოდიან...

დუნიაშა (აწრიალდება) – მოდიან?... ღმერთო, რა მომდის... ცივმა ოფლმა დამასხა!

ლოპახინი. ჰო, მოდიან. წავიდეთ, მივეგებოთ... ნეტა თუ მიცნობს შენი ქალბატონი, ხუთი წელია არ ვუნახივარ.

დუნიაშა. (საშინლად ღელავს) – მუხლები მიკანკალებს... ვაიმე... წავიქცევი!

(გარედან მოახლოებული ეტლის ჟღარუნი ისმის. ლოპახინი და დუნიაშა სწრაფად გადიან. ერთხანს სცენა ცარიელია. კედლებს იქით ალიაქოთი ძლიერდება, შემდეგ სცენას აჩქარებული ნაბიჯით ფირსი გადაჭრის: იგი ჯოხს ეყრდობა, ძველებული ლივრეა აცვია და წოწოლა შლიაპა ახურავს. გაუგებრად რაღაცას ბურტყუნებს... სცენის მიღმა ხმაური მატულობს. ვიღაც წარმოიძახებს: „აქეთ მობრძანდით, ბატონებო, აქეთ!“ ოთახში შემოდიან სამგზავროდ ჩაცმული ლუბოვ ანდრეევნა, ანა და შარლოტა ივანოვნა, რომელსაც პატარა ფინია უკავია ხელში. მათ მოყვება თავშლიანი, პალტოში გამოწყობილი ვარა. შემდეგ გამოჩნდებიან გაევი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ლოპახინი და ბარგით დატვირთული დუნიაშა ქოლგით ხელში).

ანა. აქ გავიაროთ, დედა,... გახსოვს ეს ოთახი?

ლუბოვ ანდრეევნა. (გახარებული, თვალცრემლიანი) – როგორ არა, შვილო, ბავშვების ოთახია!

ვარა. რა სიცივეა, ხელები გამეყინა! (ლუბოვ ანდრეევნას) თქვენი თეთრი და ცისფერი ოთახები კი ისევ ისეა!

ლუბოვ ანდრეევნა. (ანას) – ბავშვების ოთახია, საყვარელო! შესანიშნავი ოთახია, პატარაობისას აქ მეძინა ხოლმე... (ტირის) ჩემი თავი ახლაც პატარა მგონია... (გადაჰკოცნის ძმას, ვარას, შემდეგ ისევ ძმას მოეხვევა) ჩვენი ვარაც სულ არ შეცვლილა, ისევ ისეთია, მოლოზანს გავს!... დუნიაშაც ვიცანი. (დუნიაშას კოცნის).

გაევი. მატარებელმა ორი საათით დაიგვიანა. საქმეა ეს?

შარლოტა. (პიშჩიკს) – ჩემი ფინია ნიგოზსაც ჭამს.

პიშჩიკი (გაკვირვებით) – უყურე შენ!

(ყველანი, ანასა და დუნიაშას გარდა, გადიან)

დუნიაშა. დავიტანჯეთ თქვენს ლოდინში... (ანას პალტოს გახდის ქუდს ჩამოართმევს)

ანა. ოთხი ღამე არ მძინებია... ისე გავიყინე, ტანში მაჟრიალებს.

დუნიაშა. თქვენ რომ წახვედით, დიდმარხვა იყო, თოვდა, ახლა კი... ჩემო საყვარელო, ჩემო ლამაზო! (იცინის, კოცნის) იცით, როგორ მომენატრეთ?! გული გადამელია თქვენს ლოდინში... მოიცათ... ახლავე გეტყვით, ერთი წუთიც არ შემიძლია მოვითმინო!...

ანა (უინტერესოდ) – ისევ რაღაც იქნება...

დუნიაშა. კანტორის მოსამსახურე ეპიხოვმა ხელი მთხოვა!

ანა. შენ ხომ სულ მაგაზე ფიქრობ! (თმებს ისწორებს) სარჭები შემომეფანტა გზაში... (ძალზე დაღლილია, ფეხზე ძლივს დგას).

დუნიაშა. არ ვიცი, რა ვუპასუხო... ისე ვუყვარვარ, ისე...

ანა. (თავისი ოთახის კარს მისჩერებია სიყვარულით) – ჩემი ოთახი! ჩემი ფანჯრები! თითქოს არც მოვცილებივარ აქაურობას... ო, ნეტავ დაძინება შემეძლოს! მატარებელში თვალი არ მომიხუჭავს. სულ მოუსვენრად ვიყავი...

დუნიაშა. გუშინწინ ტროფიმოვი ჩამობრძანდნენ...

ანა. (გაუხარდება) პეტია?

დუნიაშა. დიახ. აბანოში ძინავთ, იქვე ცხოვრობენ... თქვენები არ მინდა შევაწუხოო... (თავის ჯიბის საათს დახედავს) გავაღვიძებდი, მაგრამ ვარვარა მიხაილოვნამ მიბრძანა, ხელი არ ახლო, ეძინოსო. (შემოდის ვარა. ქამარზე გასაღებების აცმა ჰკიდია).

ვარა. (დუნიაშას) – ყავა მოხარშე, სწრაფად! დედიკომ ყავა მოითხოვა.

დუნიაშა. ამ წუთში. (გადის)

ვარა. მადლობა ღმერთს, ჩამოხვედით, ისევ შენს სახლში ხარ! (ეალერსება) ჩემი ანგელოზი ჩამოვიდა, ჩემი კარგი, ლამაზი გოგო!

ანა. იცი, როგორ გავწვალდი!

ვარა. წარმომიდგენია.

ანა. ვნების კვირას გამოვემგზავრეთ... მაშინ კიდევ ციოდა. შარლოტას გზაში ენა არ გაუჩერებია, ყბედობდა, თან ფოკუსებს გვაჩვენებდა... რა ჭირად ამკიდე?

ვარა. მარტო როგორ გაგიშვებდი. საყვარელო, ჩვიდმეტი წლისა ხარ!

ანა. პარიზში ჩავედით და იქაც სიცივეა, თოვს... მე ფრანგულთან, მოგეხსენება, მწყრალად ვარ... დედა მეხუთე სართულზე ცხოვრობს. მივედი და ვიღაც ფრანგები დამხვდნენ: რამდენიმე ქალი, მოხუცი პადრე ნიგნით... ოთახი თამბაქოს კვამლითაა გაჟღენთილი, ძალზე მოუწყობელია. შემეცოდა, გულში ჩავიკარი და დიდხანს არ ვეშვებოდი... დედაც სულ მეალერსებოდა და ტიროდა...

ვარა. (ცრემლი მოადგება) – ნუ იტყვი, ნუ!

ანა. ის აგარაკი, მენტონის ახლო რომ ჰქონდა, გაუყიდია. არაფერი დარჩენია საწყალს... მეც უკაპიკოდ ჩავედი, ძლივს მივაღწიე პარიზამდე... დედა კი საქმის ბაიბურში არ არი! სადილად დავსხედით და ყველაზე ძვირფას კერძებს თხოულობს, ფეხის ქირად ლაქიას მანეთიანზე ნაკლებს არ აძლევს! შარლოტაც იმას ბაძავს, იაშაც გა-

თამაშებულია... მოკლედ, საშინელებაა! იაშა ახლა დედას ლაქიაა, ისიც ჩამოვიყვანეთ.

ვარა. ვნახე ის არამზადა!

ანა. რას შვრებით, პროცენტები გადაიხადეთ?

ვარა. მეტი არაა ჩვენი მტერი!

ანა. ღმერთო ჩემო...

ვარა. აგვისტოში მამულს გაგვიყიდიან.

ანა. ღმერთო ჩემო...

ლოპახინი. (კარში თავს შემოყოფს და დაიზმუვლებს) – მუ-უ-უ! (მიიმალება).

ვარა. (ატირდება) – უჰ, შენი... თავში ჩაგაფარებდი! (მუშტს მოუღერებს).

ანა. (ვარას მოეხვევა, ჩუმად) – ხელი არ უთხოვია? (ვარა თავს გაიქნევს) ხომ გიყვარდათ ერთმანეთი, რაღას უცდით?

ვარა. მე მგონი, არაფერი გამოგვივა. ეგ კაცი საქმეს გადაყოლილია, ყურადღებას არ მაქცევს... რას იზამ? ღმერთმა კარგად ამყოფოს, ოღონდ მომცილდეს და ნუღარ დამენახვება! მთელი ქვეყანა ჩვენს ქორწინებაზე ლაპარაკობს, სინამდვილეში კი... ასე მგონია, სიზმარში ვიყო... (კილოს შეიცვლის) შენი ქინძისთავი პატარა ფუტკარს ჰგავს!

ანა. (ნაღვლიანად) – დედამ მიყიდა. (თავის ოთახში გადის და ბავშვივით ენამოჩლექით ლაპარაკობს) იცი, პარიზში ჰაერბურთით ვიფრინე!

ვარა. ჩემო საყვარელო! როგორ გამახარე, რომ ჩამოხვედი!

(შემოდის დუნაშა პატარა ჩაიდნით ხელში და ყავის მომზადებას შეუდგება)

ვარა. (ანას ოთახის კარში დგას) – აი, დავდივარ, მთელი დღე ვფუსფუსებ, ოჯახს ვუვლი, და სულ შენზე ვფიქრობ... რა კარგი იქნებოდა, ვინმე მდიდარ კაცს რომ გაჰყოლოდი! მეც მოვისვენებდი. სადმე უდაბნოში წავიდოდი ღვთის სადიდებლად, მერე კიევში, მოსკოვში... სულ ვივლიდი და ვივლიდი, ყველა სალოცავს მოვივლიდი... ო, რა დიდებული იქნებოდა!

ანა. ჩიტები გალობენ... რომელი საათია?

ვარა. სამი სრულდება. დაიძინე, საყვარელო! (ანა ოთახში შედის) ო, რა დიდებული იქნებოდა!

(შემოდის იაშა, ხელში პლედი და სამგზავრო ჩანთა უკავია)

იაშა. (ზრდილობიანად) – აქ შეიძლება გავიარო?

დუნიაშა. ძნელი საცნობი გახდით, იაშა. უცხოეთი მოგხდომიათ.

იაშა. ჰმ... თქვენ ვინ ხართ?

დუნიაშა. აქედან რომ გაემგზავრეთ, ამხელა ვიყავი... (ხელით აჩვენებს) დუნიაშა, ფედორ კოზოდოევის ქალიშვილი... გახსოვთ?

იაშა. უყურე შენ, რა პუტკუნა ყოფილხარ?! (მიმოიხედავს და წელზე ხელს შემოხვევს. დუნიაშა შეჰკივლებს, ხელიდან ლამბაქი გაუვარდება. იაშა სწრაფად გადის).

ვარა. (კარში გამოჩნდება, უკმაყოფილო სახით) – რა მოხდა?

დუნიაშა. ლამბაქი გამიტყდა.

ვარა. ეგ კარგი ნიშანია.

ანა. (თავისი ოთახიდან გამოდის) – დედა უნდა გავაფრთხილოტ, პეტია ტროფიმოვი აქ ყოფილა...

ვარა. მე უკვე დავუბარე, არ გააღვიძებენ.

ანა. (ჩაფიქრებული) – ექვსი წლის წინათ მამა გარდაიცვალა... მერე ჩემი ძმა გრიშა მდინარეში დაიხრჩო... შვიდი წლის ბავშვი იყო, ლამაზი და გონიერი... დედაჩემმა მწუხარებას ვერ გაუძლო, მიატოვა აქაურობა და გაიქცა... (შემკრთალი) ო, როგორ მესმის მისი მდგომარეობა! (პაუზა) პეტია ტროფიმოვი ჩემი ძმის მასწავლებელი იყო... ნეტა არ გაახსენოს...

(შემოდის ფირსი, თეთრი ჟილეტი და პიჯაკი აცვია)

ფირსი. ქალბატონი აქ ისაუზმებს. (თეთრ ხელთათმანებს იკეთებს ყავა მზად არი? (დუნიაშას, მკაცრად) შენ, ეი! ნაღები?

დუნიაშა. დამიდგა თვალი! (სწრაფად გადის)

ფირსი. (ყავის ჩაიდანთან ფუსფუსებს) დოყლაპია! (თავისთვის, ბურტყუნით) პარიზიდან ჩამოსულან... დიდი ბა-

ტონიც თავის დროზე პარიზში იყო... ეტლით ჩამობრძანდა... (იცინის)

ვარა. რა გაცინებს, ფირს?

ფირსი. რა ბრძანეთ? (სიხარულით) ჩემი ქალბატონი ჩამოსულა-მეთქი, ვენაცვალე იმას! ახლა შეიძლება მოკვდე კიდეც... (სიხარულისგან ატირდება).

(შემოდიან ლუბოვ ანდრეევნა, გაევი და პიშჩიკი. პიშჩიკს მაუდის უსახელებო ახალოხი და შარვალი აცვია. გაევი შემოსვლისთანავე ხელებით და ტანით ისეთ მოძრაობას აკეთებ, თითქოს ბილიარდს თამაშობდეს)

ლუბოვ ანდრეევნა. როგორ არი? მოიცა, გავიხსენო... დუპლეტით შუაში!

გაევი. კუთხეში ვჭრი!.. მე და შენ, ჩემო დაო, ოდესღაც ამ ოთახში გვეძინა. ახლა კი, წარმოიდგინე, ორმოცდაჩვიდმეტისა გავხდი.

ლოპახინი. რას იზამ, დრო გადის.

გაევი. (ვერ გაიგონებს) – ვისაო?

ლოპახინი. დრო გადის-მეთქი!

გაევი. ამ ოთახში ახლაც ბავშვთა საცვლების სუნი ტრიალებს!

ანა. წავალ, დავიძინებ... ღამე მშვიდობისა, დედა! (კოცნის)

ლუბოვ ანდრეევნა. ღამე მშვიდობისა, შვილო, გენაცვალოს დედაშენი! (ხელებს უკოცნის) გიხარიან შინ რომ ხარ? მე პირადად გონს ვერ მოვსულვარ!

ანა. ნახვამდის, ძია!

გაევი. (სახეს და ხელებს უკოცნის) – ღმერთი შეგეწიოს, ჩემო კარგო! ვერ წარმოიდგენ, დედაშენს როგორ გავხარ! (დას) ამის ასაკში ზუსტად ასეთივე იყავი!

(ანა ხელს ჩამოართმევს ლოპახინს, პიშჩიკს, გადის და კარს გაიხურავს).

ლუბოვ ანდრეევნა. ძალზე დაღლილია.

პიშჩიკი. აბა, იმხელა გზა გამოიარეთ!

ვარა. (ლოპახინს და პიშჩიკს) – თქვენ რაღას აპირებთ, ბატონებო? სამი საათი გახდა, სინდისიც კარგი საქონელია!

ლუბოვ ანდრეევნა (გაეცინება) – ისევ ისეთი ხარ, ვარინკა! (მოეხვევა და კოცნის) ცოტაც გვაცალე, ყავას დავლევ და ყველანი დავიშლებით. (ჯდება. ფირსი ფეხქვეშ პატარა ბალიშს დაუდებს) გმადლობთ, ჩემო მოხუცო! (კოცნის).

ვარა. გავხედო ერთი, ბარგი თუ გადმოტვირთეს, (გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. ნუთუ ეს მართლა, მე ვარ? (იცინის) ნეტა რას ვუზივარ? ისეთი სურვილი მაქვს ახლა წამოვხტე, ვირბინო, ხელები ვიქნიო... (სახეზე ხელებს აიფარავს) მითხარით, გეთაყვა, იქნებ მძინავს? ღმერთია მოწმე, გაგიჟებით მიყვარს ჩემი სამშობლო. მატარებელში ისე ვღელავდი, ფანჯრისკენ ერთხელაც არ გამიხედია, სულ ვტიროდი და ვტიროდი... (ცრემლი მოერევა) ყავა მაინც დასალევია. მადლობელი ვარ შენი, ფირს! გმადლობთ, ჩემო კეთილო! ისე მიხარია, ცოცხალს რომ გხედავ!

ფირსი. გუშინწინ.

ლუბოვ ანდრეევნა. რაო?

გაევი. ყურთ აკლია.

ლოპახინი (ლუბოვ ანდრეევნას) – ლუბოვ ანდრეევნა! ხუთ საათზე ხარკოვში უნდა გავემგზავრო. ძალზე მწყინს, რომ ხეირიანად ვერც შეგხედეთ, ვერც დაგელაპარაკეთ... ისევ ისეთი ლამაზი კი ხართ!

პიშჩიკი (მძიმედ სუნთქავს) – რას ამბობ, რას?! უფრო გალამაზებულა! პარიზულ ყაიდაზე აცვია... ეჰ, ჩემი თავი რა ვთქვი!

ლოპახინი. აი, თქვენი ძმა სულ ხეპრესა და მუჟიკს მეძახის, თუმცა ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ილაპარაკოს რამდენიც უნდა... მე კი მხოლოდ ის მინდა, ძველებურად გჯეროდეთ ჩემი და თქვენი საკვირველი, გულისამაჩუყებელი თვალები ისეთივე ნდობით შემომყურებდნენ, როგორც ადრე მიყურებდნენ... ღმერთო მოწყალეო! მამაჩემი თქვენი პაპისა და ცხონებული მამათქვენის ყმა იყო, მაგრამ თქვენ პირადად, დიახ, თქვენ, – იმდენი სიკეთე გაგიკეთებიათ ჩემთვის, რომ ყველაფე-

რი დავივიწყე და ღვიძლი ნათესავივით მიყვარხართ! ნათესავი რომელია, საკუთრ თავზე უფრო მეტი მიყვარხართ!

ლუბოვ ანდრეევნა. არ შემიძლია ერთ ადგილზე ჯდომა, არა! (წარმოხტება და აღელვებული დადის) ამ სიხარულს ალბათ ვერ გადავიტანე! ჰო, იცინეთ იცინეთ, სულელი ვარ დიახ, სულელი... ჩემი მშობლიური კარადა! (კარადას კოცნის) ჩემი პატარა მაგიდა...

გაევი. შენს არყოფნაში ძიძა გარდაიცვალა.

ლუბოვ ანდრეევნა. ვიცი, შემატყობინეს... ღმერთმა შეიწყალოს, საცოდავი.

გაევი. ბრუციანი ანასტასიც მოკვდა. პეტრუშამ კი მიმატოვა და ახლა ქალაქშია, პრისტავთან ცხოვრობს. (ჯიბიდან კოლოფს ამოიღებს და შაქარყინულს პირში ჩაიდებს. წუწნის).

პიშჩიკი. ჩემი ქალიშვილი, დაშენკა... ისიც მოკითხვას გითვლით.

ლოპახინი. რაღაც სასიამოვნო მინდა გითხრათ, (საათს დახედავს) თუმცა, ჩემი წასვლის დრო ახლოვდება, ვერ მოვასწრებ... მაინც ვეცდები, (პაუზა) თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ალუბლის ბაღი ვალებში იყიდება და ოცდაორ აგვისტოს საჯარო ვაჭრობაა დანიშნული. მაგრამ ამაზე ნუ იდარდებთ, ძვირფასო! არხეინად იყავით და მშვიდად დაიძინეთ! გამოსავალი არი. ჩემი პროექტი ასეთია... გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ... თქვენი მამული ქალაქიდან სულ ოციოდე ვერსითაა დაშორებული, თან მოხერხებულ ადგილზეა, გვერდით რკინიგზა ჩაუდის... თუ თქვენ ალუბლის ბაღსა და მდინარის მიმდებარე მიწას სააგარაკო უბნებად დაყოფთ და მოაგარეაკეებს მიაქირავებთ, წელიწადში, სულ ცოტა, ოცდახუთი ათასი შემოსავალი გექნებათ.

გაევი. მაპატიეთ, მაგრამ... ეს სისულელეა!

ლუბოვ ანდრეევნა. კარგად ამიხსენით ვერ გავიგე რას ამბობთ.

ლოპახინი. მოაგარაკენი, ყოველ წელიწადს, დესეტინაში არანაკლებ 25 მანეთს მოგცემენ და თქვენი გადაწყვეტილება ახლავე რომ გააცხადოთ, დარწმუნებული ვარ, შემოდგომამდე მიწის ერთი მტკაველიც არ დაგრჩებათ დაუქირავებელი, სულ დაიტაცებენ!.. ერთი სიტყვით, მომილოცავს, თქვენ გადარჩენილი ხართ!... ადგილმდებარეობა შესანიშნავია, მდინარე წყალუხვია... მართალია, აქაურობა ცოტა უნდა მოწესრიგდეს... ძველი ნაგებობები, მაგალითად, უნდა დაინგრეს. ეს სახლიც ასაღებია, არაფრად ვარგა... ალუბლის ბაღიც უნდა გაიჩეხოს...

ლუბოვ ანდრეევნა. რაო?.. მაპატიეთ, მაგრამ თქვენ არაფერი გესმით. მთელ ჩვენს მაზრაში საინტერესო და გამორჩეული რამ თუ არსებობს. – ეს ჩვენი ალუბლის ბაღია!

ლოპახინი. საინტერესო და გამორჩეული თქვენი ბაღი მარტო იმითაა, რომ დიდია. ალუბალი კი მოსავალს ორ წელიწადში ერთხელ იძლევა, თან კაცმა არ იცი, სად წაიღო, არავინ ყიდულობს!

გაევი. ეს ბაღი თვით „ენციკლოპედიურ ლექსიკონშია“ მოხსენებული!

ლოპახინი. (საათს დახედავს) – რაღაც უნდა მოვიფიქროთ, საერთო აზრი უნდა გამოვნახოთ, თორემ ოცდაორ აგვისტოს ალუბლის ბაღსაცა და მთელ მამულს აუქციონით გიყიდიან! გაბედეთ და გადაწყვიტეთ, ბატონებო! გეფიცებით, სხვა გამოსავალი არ არსებობს! არა და არა!

ფირსი. ძველად, ასე 40-50 წლის წინათ, ალუბალს ჩირად ახმობდნენ, ამწნილებდნენ, ამჟავებდნენ, მურაბას ხარშავდნენ. მახსოვს...

გაევი. დაგვაცალე, ფირს.

ფირსი. მახსოვს, ალუბლის ჩირს მოსკოვსა და ხარკოვში ფურგონებით ეზიდებოდნენ... ქვეყნის ფული კეთდებოდა... თან მაშინდელი ჩირი ტკბილი იყო, სურნელოვანი... ხერხი იცოდნენ ისეთი...

ლუბოვ ანდრეევნა. სადაა მერე ის ხერხი?

ფირსი. დაივიწყეს... არავის ახსოვს.

პიშჩიკი. (ლუბოვ ანდრეევნას) – პარიზი, რაო? როგორია? ბაყაყი თუ გიჭამიათ?

ლუბოვ ანდრეევნა. ნიანგი გიახელით.

პიშჩიკი. უყურე შენ!

ლოპახინი. ძველად სოფელში მარტო ბატონები და გლეხები ცხოვრობდნენ, ახლა მოაგარაკენიც გაჩნდნენ. რომელი ქალაქიც გინდა დამისახელეთ, სულ პატარაც რომ იყოს, აგარაკების ალყაშია მოქცეული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოციოდე წლის შემდეგ მოაგარაკეთა მოდგმა კიდევ უფრო მომრავლდება... ახლა მოაგარაკე მარტო ჩაის მიირთმევს აივანზე, მალე კი შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მან თავის ერთ დესეტინა მიწაზე მეურნეობა გაიჩინოს და მაშინ თქვენი ალუბლის ბაღი ნამდვილად ბარაქიანი და თვალწარმტაცი გახდება...

გაევი (აღშფოთებულია) – რა სისულელეა!

(შემოდიან ვარა და იაშა)

ვარა. დედიკო, თქვენ სახელზე ორი დეპეშაა მოსული. (ქამარზე ჩამოკიდებული აცმიდან ერთ გასაღებს შეარჩევს და ძველებურ კარადას ჭრიალით გამოაღებს) აი!

ლუბოვ ანდრეევნა. პარიზიდანაა... (წაუკითხავად დახევს) პარიზის საქმე მოთავებულია.

გაევი. იცი, ლუბა, ეს კარადა რა ხნისაა? ამ ერთი კვირის წინათ ქვედა უჯრა გამოვაღე და მის ფსკერზე ამოტვიფრული თარიღი აღმოვაჩინე... ზუსტად ასი წლის ყოფილა! როგორი საქმეა, ჰა? იუბილეც შეიძლება გადავუხადოთ! მართალია, უსულო საგანია, მაგრამ მაინც... წიგნების კარადაა!

პიშჩიკი. (გაკვირვებული) – ასი წლის ყოფილა, უყურე შენ?!

გაევი. დიახ... კარგი ქმნილებაა! (კარადას ხელით მოეალერსება) ძვირფასო, დიდად პატივცემულო კარადავ! მივესალმები შენს არსებობას, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია სიკეთისა და სამართლიანობის ნათელ იდეალებს ემსახურებოდა! ასი წლის მანძილზე ერთი წამი-

თაც არ მიჩუმებულა შენი უსიტყვო ძახილი, ნაყოფიერი შრომისკენ რომ მოუწოდებდა ჩვენი ოჯახის მრავალ თაობას... (ცრემლი მოერევა) უნერგავდა მათ მხნეობას, უკეთესი მომავლის რწმენას და თვითეულ ჩვენგანში სიკეთისა და საზოგადოებრივი თვითშეგნების იდეალებს აღვივებდა...

(პაუზა)

ლოპახინი. დიახ.

ლუბოვ ანდრეევნა. ისევ ისეთი ხარ, ლეონიდ

გაევი. (ცოტა უხერხულად გრძნობს თავს) – მარჯვენა კუთხეში ვურტყავ! დუპლეტით შუაში!

ლოპახინი. (საათს დახედავს) – მაპატიეთ. ჩემი წასვლის დროა!

იაშა. (ლუბორ ანდრეევნას წამალს მიაწვდის) – აბებს ახლა მიირთმევთ?

პიშჩიკი. წამლის სმას თავი გაანებეთ, ძვირფასო! არც გაწყენთ, არც გარგებთ... მომეცით აქ... (აბებს გამოართმევს, ხელის გულზე დაიყრის, სულს შეუბერავს, პირში გადაუძახებს და ბურახს დააყოლებს) აი, ასე!

ლუბოვ ანდრეევნა. (შეშინებული) – გაგიჟდით?!

პიშჩიკი. ერთიც არ დამიტოვებია!

ლოპახინი. ეს რა ღორმუცელობაა!

(ყველანი იცინიან)

ფირსი. ეგენი ჩვენთან ყველიერზედაც იყვნენ და ნახევარი ვედრო კიტრი შეჭამეს... (ბურტყუნებს)

ლუბოვ ანდრეევნა. რა მინდაო?

ვარა. სამი წელია ეგრე ბურტყუნებს, მივეჩვიეთ.

იაშა. ხანდაზმულ ასაკშია.

(შემოდის შარლოტა, ჩხირივით გამხმარ ტანზე თეთრი კაბა შემოტმასნია, ქამარზე ლორნეტი ჰკიდია)

ლოპახინი. შარლოტა ივანოვნა! ბოდიშს ვიხდი, რომ ამ ორომტრიალში რიგიანად ვერ მოგესალმეთ. ნება მიბოძეთ... (დაიხრება, ხელზე უნდა ემთხვიოს)

შარლოტა. (ხელს გამოსტაცებს) – ა-პა-პა! ხელზე რომ გაკოცნინოთ, მერე იდაყვზეც მოინდომებთ, მერე მხარზე და ასე შემდეგ...

ლოპახინი. ბედი არ მწყალობს! (ყველანი იცინიან, შარლოტას) ფოკუსი მაინც გვაჩვენეთ!

ლუბოვ ანდრეევნა. ჰო, მართლა, შარლოტა...

შარლოტა. რა საჭიროა, მეძინება. (გადის)

ლოპახინი. აბა, წავედი. სამი კვირის შემდეგ კიდევ გინახულებთ. (ლუბოვ ანდრეევნას ხელზე კოცნის) ნახვამდის! (ხელს ჩამოართმევს ვარას, შემდეგ ფირსს და იაშას) რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა წასვლა!... (ლუბოვ ანდრეევნას) აგარაკების თაობაზე თუ რამეს გადაწყვეტთ, 50 ათას მანეთამდე შემიძლია გასესხოთ...

ვარა. (გაბრაზებული) – ბოლოს და ბოლოს, წადით, თუ მიდიხართ!

ლოპახინი. მივდივარ, მივდივარ... (გადის)

გაევი. ხეპრე, თუმცა, პარდონ... ვარას სასიძო გალავთ.

ვარა. ზედმეტი ლაპარაკი ნუ იცით, ძია!

ლუბოვ ანდრეევნა. რა უჭირს, გენაცვალე? თუ გაყვები, ნამდვილად გამიხარდება. ლოპახინი კარგი ადამიანია.

პიშჩიკი. მართლაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ღირსეული ადამიანია... ჩემი დაშენკაც იტყვის ხოლმე... ათას რამეს ამბობს... (ხვრინვას ამოუშვებს და უმალ გაეღვიძება, ლუბოვ ანდრეევნას) – ჰო, დიდად პატივცემულო... ორას ორმოცი მანეთი კი უნდა მასესხოთ... ხვალ გირავნობის პროცენტი მაქვს გადასახედი...

ვარა. (შეშინებული) – არა გვაქვს, არა!

ლუბოვ ანდრეევნა. მართლა არა მაქვს ფული.

პიშჩიკი. მოიძებნება. (იცინის) მე იმედს არასოდეს არ ვკარგავ... ზოგჯერ, მგონია ცუდადაა ჩემი საქმე, ვიღუპები, მაგრამ გავიხედავ, ჩემს მიწაზე რკინიგზას გაიყვანენ და ფულიც გაჩნდება!.. მერე კიდე რაღაც მოხდება, დღეს ან ხვალ... შეიძლება დაშენკამ ორასი ათასი მანეთი მოიგოს... მას ხომ ლატარიის ბილეთი აქვს...

ლუბოვ ანდრეევნა. ყავა დავლიეთ, ახლა შეიძლება დავისვენოთ კიდეც.

ფირსი. (გაევს ჯაგრისით ტანსაცმელს უწმენდავს, საყვედურით) – ისევ სხვა შარვალი ჩაგიცვიათ... რა გიყოთ, არ ვიცი!

ვარა. (ხმადაბლა) – ანას ძინავს. (ფანჯარას ფრთხილად გამოაღებს) მზეც ამოსულა. აღარ ცივა... უყურეთ, დედიკო, რა ლამაზი ხეებია! ღმერთო, რა ჰაერია! შოშიებიც უსტვენენ.

გაევი. (მეორე ფანჯარას გამოაღებს) – ბარი მთლად გათეთრებულილა... შეხედე ლუბა! ეს გრძელი ხეივანი სულ პირდაპირ მიემართება, ლარივით სწორია და ღამიტ, მთვარიანში ლაპლაპებს ხოლმე. გახსოვს?

ლუბოვ ანდრეევნა. (ფანჯრიდან ბაღს გასცქერის) – ო, ჩემო ბავშვობავ, ჩემო სიწმინდევ!... ამ ოთახში პატარაობისას მეძინა, აქედან ბაღს გავცქეროდი... ჩემთან ერთად, ასე მეგონა, ყოველ დილით ბედნიერება იღვიძებდა და ბაღიც მაშინ ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ახლაა... (სიხარულისაგან იცინის) თეთრი, სულ თეთრი!.. ო, ჩემო ბაღო! პირქუში, ავდრიანი შემოდგომისა და სუსხიანი ზამთრის შემდეგ ისევ ახალგაზრდად გამოიყურები, ისევ ხალისით სავსე ხარ და კეთილი ანგელოზების თვალი ისევ დაგყურებს ზემოდან... ო, ნეტავ შემეძლოს მოვიცილო ის ნაღველი, გულზე რომ მაწევს! ნეტავ შემეძლოს ჩემი წარსულის დავიწყება!..

გაევი. დიახ... უცნაურია, მაგრამ ამ ბაღსაც ვალებში გაყიდიან.

ლუბოვ ანდრეევნა. შეხედეთ, შეხედეთ! ხეებს შორის განსვენებული დედაჩემი დადის! (გახარებული იცინის) ის არი, ის!

გაევი. სად?

ვარა. ჯვარი გწერიათ, დედიკო, რას ამბობთ?!

ლუბოვ ანდრეევნა. არავინაა, მომეჩვენა... აგერ იქ, მარჯვნივ, ფანჩატურთან გადასახედი რომ არი, ალუბლის ხეა დახრილი... ქალს მივამსგავსე. (შემოდის ტროფი-

მოვი. სტუდენტის მუნდირი აცვია, ძველი და შელახული, სათვალე უკეთია)

რა საკვირველი ბაღია! ეს თოვლიც რა ლამაზია, თეთრ ყვავილებს გავს! ცაც ისეთი ლურჯია...

ტროფიმოვი. ლუბოვ ანდრეევნა... (ლუბოვ ანდრეევნა მოიხედავს) მე მარტო მოგესალმებით და წავალ. (ხარბად კოცნის ხელებს) ხვალამდე მოიცადეთ, მითხრეს, მაგრამ გულმა ვერ მომითმინა... (ლუბოვ ანდრეევნა გაკვირვებული მისჩერებია)

ვარა. ეს პეტიაა, ტროფიმოვი.

ტროფიმოვი. დიახ, ტროფიმოვი გახლავართ, თქვენი პატარა გრიშას მასწავლებელი. ვერ მიცანით?

(ლუბოვ ანდრეევნა გადაეხვევა და ტირის)

გაევი. კმარა, ლუბა... არ გინდა...

ვარა. (ისიც ატირდება, ტროფიმოვისს) – აკი გითხარით, მოიცადეთ-მეთქი!

ლუბოვ ანდრეევნა. ჩემი გრიშა... ჩემი პატარა ბიჭი...

ვარა. რა ვქნათ, დედიკო, ღვთის ნება ყოფილა.

ტროფიმოვი. (ატირდება, დაყვავებით) – დამშვიდდით, დამშვიდდით...

ლუბოვ ანდრეევნა. (უხმოდ ტირის) – შვილი დამეხრჩო... შვილი... რატომ? რისთვის? (ხმას დაუწევს) იმ ოთახში ანას ძინავს მე კი ხმამაღლა ვლაპარაკობ... რა მოგივიდათ, პეტია? ეგრე რამ შეგცვალათ? დაბერებულხართ, დაუშნოებულხართ...

ტროფიმოვი. (ჩაიცინებს) – ამასწინათ, მატარებელში, ვიღაც დედაკაცმა „გაქუცული ბატონი“ მიწოდა.

ლუბოვ ანდრეევნა. მაშინ სულ ბავშვი იყავით... სტუდენტი... ახლა კი თმა გაგცვევნიათ, სათვალესაც ატარებთ... ნუთუ ისევ სტუდენტი ხართ?

(კარისკენ მიდის)

ტროფიმოვი. ეტყობა, სიბერემდე სტუდენტი დავრჩები.

ლუბოვ ანდეევნა. (ძმას კოცნის, მერე ვარას გადაეხვევა) – წადით ახლა, მოისვენეთ... შენც მობერებულხარ, ლეონიდ.

პიშჩიკი. (გამოეკიდება) – მაშ ასე, ახლა ვიძინებთ... ეჰ, ჩემი სიბერე რა ვთქვი! მუხლებსი მტეხავს!.. მე, ბატონებო, ამაღამ თქვენთან დავრჩები... (ლუბოვ ანდრეევნას) ხვალ კი, საყვარელო, თუ შეიძლება... ორას ორმოცი მანეთი...

გაევი. ისევ თავისას გაიძახის!

პიშჩიკი. ორას ორმოცი მანეთი... პროცენტები მაქვს გადასახდელი...

ლუბოვ ანდრეევნა. არა მაქვს ფული, ძვირფასო, არა!

პიშჩიკი. დაგიბრუნებთ, საყვარელო, რა დიდი თანხა ეგ არი?!

ლუბოვ ანდრეევნა. ჰო, კარგი. ჩემი ძმა მოგცემთ... ლეონიდ, მიეცი.

გაევი. მამა უცხონდა დიახ ამ წუთში მივართმევ!

ლუბოვ ანდრეევნა. აბა რას იზამ, უნდა მივცეთ. ჭირდება კაცს. აკი თქვა, დაგიბრუნებთო.

(ლუბოვ ანდრეევნა, ტროფიმოვი, პიშჩიკი და ფირსი გავლენ. სცენაზე რჩებიან: გაევი, ვარა და იაშა)

გაევი. ჩემი დაიკო, ეტყობა, ვერ გადაეჩვია ფულების ფლანგვას. (იაშას) მომცილდი, გეთაყვა, ქათმის სუნი გდის!

იაშა. (ჩაიცინებს) – თქვენ კი, ბატონო, ისევ ისეთი ხართ, როგორიც იყავით.

გაევი. (ვარას) – ვისაო?

ვარა. (იაშას) დედაშენი ჩამოსულა სოფლიდან. გუშინდელს აქეთია სამზარეულოში ზის. შენი ნახვა უნდა.

იაშა. აი, დარდი!

ვარა. რა უნამუსო ხარ!

იაშა. ძალიანაც მჭირდება! ხვალაც შეეძლო მოსვლა! (გადის)

ვარა. დედა მართლაც ისეთია, როგორიც იყო, სულ არ შეცვლილა... თავის ნებაზე რომ მიუშვა, მთელ სახლს გააწიავებს.

გაევი. ჰო... (პაუზა) ასეა, დიახ... ავადმყოფობის მოსარჩენად კაცს ნაირნაირ წამლებს რომ ასმევენ, ეს იმას ნიშნავს, ავადმყოფობა მოურჩენელია... სულ ვფიქრობ, გამოსავალს ვეძებ... ასე მგონია, ჩვენი გასაჭირიდან თავის და-

სარწევად უამრავი საშუალება არსებობს და არც შეიძლება იყოს!.. (პაუზა) რა კარგი იქნებოდა, ვინმეს რომ ჩემთვის მემკვიდრეობა დაეტოვებინა... და სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ გამოსავალი არ არსებობს და არც შეიძლება იყოს!.. (პაუზა) რა კარგი იქნებოდა, ვინმეს რომ ჩემთვის მემკვიდრეობა დაეტოვებინა და არც იქნებოდა ურიგო, იაროსლავლში წავსულიყავი დედაჩემთან, გრაფინიასთან და მასთან ურთიერთობა აღმედგინა... ის ხომ საოცრად მდიდარია, თავზე საყრელი ფული აქვს!

ვარა. (ტირის) – რა მოცდება, ღმერთო, ერთხელ ჩვენც მოგვხედო მოწყალების თვალით!

გაევი. ნუ ღრიალებ!.. დეიდაჩემი მდიდარია, მაგრამ ვერ მოუნელებია, რომ ჩემი და უბრალო მოხელეს გაჰყვა და არა ვინმე თავადიშვილს.

(კარში ანა გამოჩნდება)

თან, რაც მთავარია, ჩემი და მაინცდამაინც წესიერი ყოფაქცევით არ გამოირჩევა. მართალია, კარგი ადამიანია, კეთილი, ძალიან მიყვარს კიდეც, მაგრამ რაც უნდა ვეცადო და რამდენი გასამართლებელი საბუთიც არ უნდა მოვიყვანო, იგი მაინც ბიწიერი არსებაა! დიახ! ეს გარეგნობაზეც ეტყობა: ყოველ მის მოძრაობაში უზნეობა გამოსჭვივის.

ვარა. (ჩუმად) – ჩუმად... ანა გისმენთ.

გაევი. ვინა? (პაუზა) დასწყევლოს ღმერთმა, მარჯვენა თვალში რაღაც ჩამივარდა, ვერ ვიხედები... ჰოდა, იმას ვამბობდი... ხუთშაბათს საოლქო სასამართლოში სხდომას ვესწრებოდი...

(შემოდის ანა)

ვარა. რატომ არ გძინავს?

ანა. ვერ ვიძინებ, არ შემიძლია.

გაევი. ჩემო პატარავ... (ანას სახეს და ხელებს უკოცნის) ჩემო შვილო! (ცრემლი მოერევა) დისშვილი კი არა, ჩემი მფარველი ანგელოზი ხარ! ყველაფერი ხარ ჩემთვის! გეფიცები, მართალს ვამბობ!

ანა. მჯერა, ძია. შენ ყველას უყვარხარ, ყველა პატივს გცემს, ოღონდ... თუ ღმერთი გწამს, ამდენს ნუ ლაპარაკობ!.. ჩუმად იყავი! აბა, რა იყო ის, დედაჩემზე ახლა რომ თქვი? რაში დაგჭირდა?

გაევი. მართალი ხარ, შვილო, მართალი! (ანას ხელებში სახეს ჩარგავს) ეს საშინელებაა! ღმერთო, შენ შემეწიე და დამიფარე!.. დღსაც. აი... კარადას რაღაც სისულელეებს ვეუბნებოდი. ეს ხომ აბსოლუტური სისულელე იყო?! სიბრიყვე და ტუტუცობა1.. დავამთავრე თუ არა, ხელად მივხვდი, რომ სისულელეა!

ვარა. სწორია, ძია. ნაკლები უნდა ილაპარაკო.

ანა. ეს შენთვისაც უკეთესია, აღარ აღელდები.

გაევი. ჰო, კარგი, გავჩუმდები! ხმას აღარ ამოვიღებ! (ანას და ვარას ხელებს უკოცნის) აი, ხედავთ. ჩუმად ვარ... ოღონდ ორიოდ სიტყვა საქმეზე მათქმევინეთ... ჰოდა, იმას ვყვებოდი... ხუთშაბათს საოლქო სასამართლოს სხდომას ვესწრებოდი. შევიყარეთ რამდენიმე კაცი. ვისაუბრეთ, აქეთური ვთქვით, იქითური და ბოლოს, წარმოიდგინეთ, მგონი გამოსავალს მივაგენი... თამასუქით რომ აგველო სესხი, ჰა? მაშინ ხომ პროცენტებსაც გადავიხდიდით?

ვარა. ღმერთო, შენ შეგვეწიე! (ტირის)

გაევი. სამშაბათს ისევ წავალ, იმ ხალხს მოველაპარეკები. (ვარას) ნუ ღრიალებ! (ანას) დედაშენი კი ლოპახინს მოეთათბიროს. ის, რასაკვირველია, უარს არ იტყვის, შენ ცოტა მოისვენე, მოსულიერდი, და მერე იაროსლავლში წადი, იქნებ ბებიაშენი დაიყოლიო... ასე, ერთობლივ ვიმოქმედოთ, სამივე მხრიდან, და... ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! პროცეენტებს ნამდვილად გადავიხდით დარწმუნებული ვარ! (პირში შაქარყინულს ჩაიდებს და წუწნის) პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რასაც გინდათ დაგიფიცებთ, რომ ჩვენს მამულს ეგენი ვერ გაჰყიდიან! ვერა! (აღიგზნება) საკუთარ თავს გეფიცებით, ჩემს კაცობას ვფიცავ... აი ჩემი ხელი! დაჰკარი! უნამუსო კაცი ვიყო, თუ საქმე აუქციონამდე მივიიყვანო!

ანა. (სახე გაუბრწყინდება, ლამის ბედნიერია) – რა კარგი ხარ, ძია, რა ჭკვიანი! (მოეხვევა) როგორ მომეშვა გულზე! სულ დავმშვიდდი... დავმშვიდდი კი არა, ბედნიერი ვარ! (შემოდის ფირსი)

ფირსი. (საყვედურით) – ლეონიდ ანდრეიჩ! ღმერთი არა გწამთ? როდისღა უნდა მოისვენოთ?

გაევი. ახლავე... შენ წადი, ფირს, მე თვითონ გავიხდი... აბა, ბავშვებო, დავიძინოთ! ხვალ ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ. (კოცნის ანას და ვარას) მე, ჩემო ბატონო, ოთხმოციანი წლების წარმომადგენელი ვარ! იმ პერიოდს, მართალია, ახალ პატივს აღარ სცემენ, მაგრამ, გამოგიტყდებით, და ჩემი შეხედულებების გამო ცხოვრებაში არაერთი უსიამოვნება შემხვედრია. ტყუილად კი არ ვუყვარვარ გლეხობას, გლეხის ხასიათს გაგება უნდა! უნდა იცოდე, საიდან და როგორ...

ანა. ისევ დაიწყე, ძია?

ვარა. გაჩუმდი რა, ძია!

ფირსი. (უკმაყოფილოდ) – ლეონიდ ანდრეიჩ!

გაევი. ჰო, კარგი, მოვდივარ... (ქალებს) წადით ახლა, დაიძინეთ... კუთხიდან ვურტყავ! მარჯვენა ლუზაში ვდებ! დუპლეტით შუაში! (გაევი გადის, ფირსი მას მიჰყვება0

ანა. ახლა მშვიდად ვარ... იაროსლავლში, რასავირველია, არ წავალ, რადგან ბებიაჩემი არ მიყვარს, მაგრამ გული მაინც დამიმდშვიდდა... ვენაცვალე ძიას, ოქო კაცია! (სკამზე ჩამოჯდება).

ვარა. დაძინება კი საჭიროა. წავედი მე... (მიდის, ჩერდება) უშენოდ აქ სხვათა შორის, ერთი უსიამოვნება მოხდა. ჩვენს ძველ საჯალაბოში, – მოგეხსენება, იქ მხოლოდ მოხუცი მსახურები ცხოვრობენ: ეფიმი, პოლინა, ევსტიგნეი და კარპი... ჰოდა, ამათ თურმე ვიღაც უცხო ხალხი მოჰყავდათ სტუმრად და ღამეს ათევინებდნენ, ეს რომ გავიგე, გავჩუმდი, მაგრამ მერე ამ უნამუსოებმა ხმა დამიყარეს, თითქო მე მეთქვას, სტუმრებს მუხუდოს მეტი არაფერი აჭამოთო! წარმოგიდგენია? ვითომ ეგეთი ძუნწი ვარ! ეს სულ ევსტიგნეის ოინებია!.. კარ-

გი-თქვა, ვიფიქრე, თუ ასეა, მაცალეთ-მეთქი. დავუძახე ევსტიგნეის... (ამთქნარებს) დავუძახე და ვეუბნები: შე სულელო-მეთქი... (ანას შეხედავს) ანიკო! (პაუზა) ჩასძინებია! (ხელზე მოკიდებს) წამოდი, გენაცვალე, ლოგინში ჩაგაწვენ... (მიჰყავს) წამო, საყვარელო, წამო... (გადიან).

(გარედან მეცხვარის სალამურის ხმა ისმის – იგი დახურულ ფანჯრებში ატანს. შემოდის ტროფიმოვი, ვარას და ანას დაინახავს და შეჩერდება)

ვარა. (ტროფიმოვს) – ჩუმად... დაიძინა... (ანას) წამოდი, გენაცვალე.

ანა. (ძილბურანშია ჩურჩულით) – ო, რაოგორ დავიღალე... რა სიცივეა, ღმერთო... ძია, საყვარელო... დედა...

ვარა. წამოდი გენაცვალე, წამო... (ანას ოთახსი შედიან)

ტროფიმოვი. (გულაჩუყებული) – შენ შემოგევლე, ჩემო კარგო... ჩემო გაზაფხულო...

ფარდა

მეორე მოქმედება

ტრიალ მინდორში ძველი, მიტოვებული სამლოცველოა. მის გვერდით – ჭა, რომლის ირგვლივ უწესრიგოდ მიმოყრილი ქვებია (როგორც ჩანს, ყოფილი საფლავის ლოდები)... იქვე წვიმებისაგან გათეთრებული, მორყეული ძელსკამი დგას. ხელმარჯვნივ – გაევის მამულისაკენ მიმავალი საურმე გზაა, მის გასწვრივ – ალვის ხეები, ხოლო მათ მიღმა – ალუბლის ბაღია... შორს, სცენის სიღრმეში, ტელეგრაფის ბოძების წყება ჰორიზონტისკენ მიემართება, სადაც გაურკვეველი ტეხილი ხაზი – დიდი ქალაქის სილუეტი მოჩანს.

მზე საცაა ჩავა. შარლოტა, იაშა და დუნიაშა ძელსკამზე სხედან. იქვე ეპიხოდოვი გიტარას აჟღარუნებს. ყველანი ფიქრს მისცემიან. შარლოტას მამაკაცის ძველი კარტუზი ახურავს, ხელში სანადირო თოფი უჭირავს და ბალთას უკირკიტებს – თასმის დამოკლება უნდა.

შარლოტა. (ჩაფიქრებული) – პასპორტი როგორც ასეთი, არ გამაჩნია, ამიტომ არ ვიცი, რამდენი წლისა ვარ. ჩემი თავი სულ ახალგაზრდა მგონია, პატარა რომ ვიყავი, ჩემი მშობლები ხშირად იარმუკაზე დადიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ. კარგი წარმოდგენები იყო, მე ვმონაწილეობდი: სალტომორტალესა და სხვა ამგვარ რამეებს ვაკეთებდი... მშობლები რომ დამეხოცნენ, ერთმა გერმანელმა ქალმა შემიკედლა. წერა-კითხვას მასწავლიდა. ეს, რასაკვირველია, კარგია. მერე გავიზარდე და გუვერნატობა დავიწყე... ისე კი, საიდან ვარ ან ვინ ვარ, – წარმოდგენა არა მაქვს! ისიც არ ვიცი, ჩემი მშობლები ვინ იყვნენ... იქნებ, ცოლ-ქმრობაც არ ჰქონიათ... (ჯიბიდან კიტრს ამოიღებს და ჩაკბიჩავს) მოკლედ, არაფერი ვიცი! (პაუზა) ზოგჯერ მინდა ვინმეს დაველაპარაკო, მაგრამ არავინაა, სულ მარტო ვარ.

ეპიხოდოვი. (გიტარას უკრავს და მღერის) – „რას დავეძებ ხალხის ჭორებს, სულ არ ვნაღვლობ, იტყვის ვინ რას...“ მაინც სასიამოვნოა მანდალინაზე დაკვრა!

დუნიაშა. ეგ მანდალინა კი არა, გიტარაა. (სარკეში იხედება და იპუდრება)

ეპიხოდოვი. გაგიჟებით შეყვარებული კაცისთვის ეს სწორედ რომ მანდალინაა! (მღერის) „ოლონდ გული შენი ეშხით დაიდაგოს და დაიწვას...“

(იაშა ხმას აუწყობს)

შარლოტა. რა საშინლად მღერიან... ტურების ჩხავილი გეგონება!

დუნიაშა. (იაშას) – უცხოეთში ცხოვრება, ალბათ, ბედნიერებაა.

იაშა. რასაკვირველია, მაგაში ნამდვილად გეთანხმებით (დაამთქნარებს და სიგარას მოუკიდებს).

ეპიხოდოვი. გასაგებიცაა. საზღვარგარეთ ყველაფერი თავის სრულ კომპლექციამდეა მიყვანილი.

იაშა. ცხადია.

ეპიხოდოვი. მე განათლებული კაცი ვარ, სხვადასხვა შესანაიშნავ წიგნებს ვკითხულობ, და მაინც ვერაფრით ვერ

გავრკვეულვარ ამ მიმართულებაში, რომელიც, ასე ვთქვათ... რა მინდა, ბოლოს და ბოლოს? ვიცოცხლო თუ თავი მოვიკლა? მიუხედავად ამისა, რევოლვერი ყოველთვის თან დამაქვს. აი! (რევოლვერს ამოიღებს).

შარლოტა. (თოფს გადაიკიდებს და წამოდგება) – წავედი მე... სხვათა შორის, ეპიხოდოვ, შენ ძალზე ჭკვიანი და საშიში კაცი ხარ! ქალები, ალბათ, შენთვის ჭკუას კარგავენ... ბრრ! (მიდის) ღმერთო„ რა სულელი ხალხია! კაცისშვილს ვერ დაელაპარაკები... მარტო ვარ, მარტო... რას წარმოვადგენ ან რისთვის ვარ – გაუგებარია... (ნელა გადის).

ეპიხოდოვი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, მე მაინც იმ თვალსაზრისზე ვდგავარ, რომ ბედი მაინც და მაინც არ მწყალობს და ქარიშხლიანი ზღვისა არ იყოს თავის ნებაზე მათამაშებს, როგორც პატარა ხომალდს... დავუშვათ ვცდები. მაშინ რას უნდა მივაწეროთ, მაგალითად, ის ამბავი, რომ დღეს დილით, გავიღვიძე თუ არა, უზარმაზარი ობობა დავინახე! აი აქ, ზედ გულზე მეჯდა! თანაც, ამხელა იყო! (ორივე ხელით აჩვენა) სხვა დროს კი ისიც მომხდარა, ბურახს დავისხამდი, ჭიქაში ჩავიხედავდი და შიგ, ჭიქაში, წარმოიდგინეთ, ხოჭოს ან რაიმე სხვა უმსგავსობას აღმოვაჩენდი, ბუზს, მაგალითად! (პაუზა) ბიოკლი თუ წაგიკითხავს? (პაუზა) ავდოტია ფედოროვნა! ორიოდე წუთით მსურს შეგაწუხოთ, შეიძლება?

დუნიაშა. გისმენთ.

ეპიხოდოვი. ჩემთვის სასურველი იქნებოდა მარტო დავრჩენილიყავით (ღრმად ამოიხრავს).

დუნიაშა. (მორცხვად) – კარგი, მაშინ ჩემი მოსასხამი მომიტანეთ, აივანზეა, კარადის გვერდით... შემცივდა!

ეპიხოდოვი. კეთილი ინებეთ, ამ წუთში მოგართმევთ... ახლა კი ვიცი, რისთვის დამჭირდება რევოლვერი! (მიდის, თან გიტარას აჟღარუნებს)

იაშა. სულელია ეგ უბედური! მართლა ბედოვლათია!

დუნიაშა. მეშინია, თავი არ მოიკლას. (დაამთქნარებს. პაუზა) ისეთი აზიზი ვარ, ყველაფრის მეშინია. ბაონების სახლში რომ მომიყვანეს, ერთი ციცქნა ვიყავი, არაფერი გამეგებოდა. ახლა კი სოფლურ ცხოვრებას გადავეჩვიე, ბარიშნას დავემსგავსე, ხელებიც გამითეთრდა, კანიც, და ისეთი აზიზი და კეთილშობილი გავხდი, ყველაფრის მეშინია... მართლაც საშიშია! აი, თქვენ, მაგალითად, იაშა... თქვენ რომ მომატყუოთ, არ ვიცი რა მომივა! ალბათ, გავგიჟდები!

იაშა. (ზანტად კოცნის) – ქორფა კიტრივითა ხარ!.. ისე კი, ქალიშვილი ქალი თავის პატიოსნებას უნდა უფრთხილდებოდეს. მე პირადად ცუდი ყოფაქცევის ქალებს ვერ ვიტან!

დუნიაშა. რა ვქნა, იაშა, თავდავიწყებით შემიყვარდით. თქვენ ისეთი განათლებული ხართ, ყველაფერზე შეგიძლიათ იმსჯელოთ. (პაუზა).

იაშა. (ამთქნარებს) – დიახ, ასეა... ჩემი აზრით, შეყვარებული ქალიშვილი პატიოსანი უკვე აღარ არი... ის, ასე ვთქვათ, ზნედაცემული არსებაა. (პაუზა) სასიამოვნო კია სუფთა ჰაერზე სიგარის გაბოლება! (მიაყურადებს) მგონი ვიღაც მოდის... ბატონები იქნებიან. (დუნიაშას მოეხვევა) წადით ახლა, ვითომ საბანაოდ იყავით, მდინარეზე... ბილიკს გაჰყევით, რომ არავინ დაგინახოთ, თორემ ჩემზე რაღაცას იფიქრებენ, ვერ ვიტან ასეთ რამეებს.

დუნიაშა. (ჩუმად ახველებს) – თქვენმა სიგარამ თავი ამატკივა. (მიდის). იაშა ისევ ძელსკამზე ზის. შემოდიან ლუბოვ ანდრეევნა გაევი და ლოპახინი)

ლოპახინი. ბოლოს და ბოლოს უნდა გადავწყვიტოთ, დრო აღარ ითმენს. უბრალო საკითხია: თანახმა ხართ თუ არა გააქირაოთ მამული, რომ თქვენს მიწაზე აგარაკები აშენდეს? ჰო თუ არა? მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო.

ლუბოვ ანდრეევნა. ღმერთო ჩემო, ვინ ეწევა ასეთ საშინელ სიგარებს?!

გაევი. (ჯდება) – კარგია, რომ რკინიგზა გაიყვანეს: ქალაქში წავედით და ვისაუზმეთ!.. მარცნიდან კუთხეში ვურტყავ! დუპლეტით შუაში!.. ისე კი, შინ მისვლა აჯობებდა, ბილიარდს ვითამაშებდი!

ლუბოვ ანდრეევნა. მოესწრები.

ლოპახინი. პასუხს ველოდები, ბატონებო! ჰო თუ არა? (მუდარით) გემუდარებით, მაღირსეთ ეს ერთი სიტყვა!

გაევი. (ამთქნარებს) – ვისაო?

ლუბოვ ანდრეევნა. (საფულეში იხედება) – გუშინ უამრავი ფული მქონდა, დღეს კი საფულე ცარიელია... საწყალი ჩემი ვარინკა! კაპიკს კაპიკზე აწებებს. რძის სუპით გვიმასპინძლდება ყველას, სამზარეულოში მოხუცებს ცარიელ მუხუდოს აჭმევენ, მე კი ამ ფულებს ვყრი და ვყრი! (საფულე გაუვარდება და ხურდა დაეპნევა) აი, ინებეთ! რაც დამრჩა, ისიც დამეფანტა! (გულმოსულია)

იაშა. ნუ წუხდებით. ახლავე ავკრიფავ. (დაიხარა და კრეფავს)

ლუბოვ ანდრეევნა. თუ შეიძლება, იაშა... მადლობელი ვარ, ნეტა ვიცოდე, რა მიმარბენინებდა იმ ქალაქსი? საზიზღარი რესტორანი გქონიათ! ან ის მუსიკა რას გავდა, ან მაგიდის გადასაფარებლები, საპნის სუნი რომ უდიოდა!.. და, საერთოდ, რა საჭიროა ამდენი სმა? ან იმდენი ჭამა რა იყო, ლეონიდ? ენაც არ გაგიჩერებია?! სულ ლაპარაკბდი... სამოცდაათიანი წლები ახსენე რატომღაც, მერე დეკადენტებს გადასწვდი... ვის ეუბნებოდი ამას? ლაქიებს? ძალიანაც აინტერესებდათ!

ლოპახინი. დიახ.

გაევი. (დაიჭყანება ხელებს იქნევს) – ვიცი, ვიცი! გამოუსწორებელი ვარ, არ ყოფილა ჩემი საშველი და ეგ არი! (გაღიზიანებული, იაშას) გაიწი იქით, თვალში ნუ მეჩხირები!

იაშა. (ჩაიფრუტუნებს) – მეცინება, თქვენ რომ გისმენთ.

გაევი. (დას) ლუბა! ან ეს ვაჟბატონი, ან მე!

ლუბოვ ანდრეევნა. წადით, იაშა.

იაშა. (ფულს გადასცემს) – ახლავე, ქალბატონო, (სიცილს ძლივს იკავებს) ამ წუთში... (მიდის).

ლოპახინი. თქვენი მამულის ყიდვას ვინმე დერიგანოვი აპირებს, ძალზე მდიდარი კაცია. ამბობენ, აუქციონზე თვითონ ჩამოვაო.

ლუბოვ ანდრეევნა. რა იცით?

ლოპახინი. ქალაქში თქვეს.

გაევი. დედაჩემს შემოუთვლია იაროსლავლიდან, ფულს გამოგიგზავნითო ოღონდ როდის და რამდენს გამოგზავნის არ ვიცით.

ლოპახინი. რამდენი უნდა გამოგზავნოს? ასი, ორასი ათასი?

ლუბოვ ანდრეევნა. ათი თუ გამოგზავნა, ისიც კარგია.

ლოპახინი. მაპატიეთ, ბატონებო, მაგრამ თქვენისთანა არასერიოზული და უცნაური ხალხი ჯერ არ შემხვედრია. სავსებით გარკვეულად, ყველასათვის გასაგებ ენაზე გეუბნებით: თქვენი მამული იყიდება, – თქვენ კი ყურსაც არ იბერტყავთ, თითქო არაფერი გაგეგებოდეთ!

ლუბოვ ანდრეევნა. ჰო, კარგი, გავიგეთ. რა ვქნათ ახლა? გვასწავლეთ, როგორ მოვიქცეთ?

ლოპახინი. ყოველდღე მაგის გეუბნებით და რით ვერ გაიგეთ? ალუბლის ბაღიცა და მიწაც აგარაკების ასაშენებლად უნდა გააქირაოთ! თან, რაც შეიძლება ჩქარა, თუნდაც ახლავე, რადგან აუქციონი საცაა დაიწყება! გაიგეთ ეს! თუ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტთ ამ თქვენს მიწაზე აგარაკების აშენებას. ფულიც გაჩნდება და გაკოტრებასაც გადაურჩებით.

ლუბოვ ანდრეევნა. აგარაკები... მოაგარაკენი... ეს ისეთი უმსგავსობაა, რომ... მაპატიეთ.

გაევი. სავსებით გეთანხმებით, ლუბა.

ლოპახინი. ღმერთო ჩემო! ან ავტირდები ახლა, ან დავიყვირებ, ანდა გული წამივა და წავიქევი! აღარ შემიძლია, არა! გავიტანჯე თქვენს ხელში! (გაევს) ქალაჩუნა ხართ!

გაევი. ვისაო?

ლოპახინი. ქალაჩუნა ხართ-მეთქი! წავედი მე!

(წასვლას დააპირებს)

ლუბოვ ანდრეევნა. (შეშინებული) – მოიცათ... დარჩით ცოტა ხანს. იქნებ რამე მოვიფიქროთ.

ლოპახინი. ფიქრის დრო არ არი ან რა უნდა მოიფიქროთ?

ლუბოვ ანდრეევნა. არ წახვიდეთ, გთხოვთ... თქვენთან ყოფნა სახალისოა, უთქვენოდ სულ მოვიწყენთ. (პაუზა) უცნაურია... ასე მგონია, რაღაცის მოლოდინში ვარ... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო ჭერი უნდა დამექცეს თავზე...

გაევი. (ღრმად ჩაფიქრებული) – დუპლეტით კუთხეში... თავისუფალს ვურტყავ...

ლუბოვ ანდრეევნა. (ისიც ჩაფიქრდება) – ალბათ, ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი...

ლოპახინი. თქვენ რა ცოდვა უნდა გქონდეთ?

გაევი. (შაქარყინულს ამოიღებს და წუწნის) – ჩემზე ამბობენ, მთელი ქონება შაქარყინულს დაახარჯაო... შენიჭამია და ეგ არი! (იცინის)

ლუბოვ ანდრეევნა. (ლოპახინს) – მართლა ცოდვილი ვარ... ყოველთვის სულელურად და უანგარიშოდ ვფანტავდი ფულს, ცოლად კი ისეთ კაცს გავყევი, ვალების აღების მეტი რომ არაფერი შეეძლო... ჩემი ქმარი შამპანურმა მოკლა, საშინლად სვამდა. მე კი საუბედუროდ, სხვა შემიყვარდა, დავუახლოვდი იმ კაცს და სწორედ ამ დროს, – ეს პირველი სასჯელი იყო! – აი აქ, მდინარეში, ჩემი ბიჭუნა დაიხრჩო... ყველაფერი მივატოვე და გავიქეცი. საზღვარგარეთ წავედი, რათა უკან არასოდეს მომეხედა და ეს საშინელი მდინარე არ დამენახა... თვალდახუჭული გავრბოდი, არაფერი მახსოვდა, მაგრამ ის კაციც... ისიც გამომყვა!.. უმოწყალოდ, უხეშად, ჩემი მდგომარეობისათვის ანგარიში არ გაუწევია და... მერე მენტონის მახლობლად აგარაკი ვიყიდე, რადგან ჩემი თანამგზავრი ავად გახდა და სამი წელიწადი თავს ვადექი, ვუვლიდი, ერთი წამით მოსვენება არ მქონია. ავადმყოფი კი ჭირვეულობდა... ერთი სიტყვით, გამახმო და დამაჭკნო, მთლად გამოფიტა ჩემი სული... შარ-

შან კი, აგარაკი ვალებში რომ გამიყიდეს და პარიზში გადავსახლდი, იმ კაცმა მიმატოვა! წაიღო რაც მქონდა, გამძარცვა და მიმატოვა. სხვა ქალი გაიჩინა... თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ... ეჰ, სამარცხვინოა ყველაფერი! სამარცხვინო და უაზრო!.. მერე გულმა სამშობლოსაკენ გამიწია. რუსეთი მომენატრა, ჩემი ქალიშვილის ნახვა მომინდა... (ცრემლს იწმენდს) ღმერთო ჩემო, მაპატიე ამდენი ცოდვა! გემუდარები. ნულარ დამსჯი და ნულარ გამაწამებ!.. (ჯიბიდან დეპეშას ამოიღებს) აი, დღესაც, პარიზიდან მომივიდა... პატიებას მთხოვს, დამიბრუნდიო, მეხვეწება... (დეპეშას ხევს) სადღაც მუსიკას უკრავენ...

გაევი. ჩვენი ცნობილი ებრაული ორკესტრია. გახსოვს? ოთხი ვიოლინო, ფლეიტა და კონტრაბასი.

ლუბოვ ანდრეევა. ნუთუ კიდევ არსებობს? კარგი იქნებოდა შინ მოგვეწვია, მუსიკალურ საღამოს გავმართავდით...

ლოპახინი. (ყურს უგდებს) – აღარ უკრავენ. (თავისთვის ჩაიღიღინებს) „ფული იყოს, თორემ ფრანგი – რუსსაც გააგერმანელებს...“ (იცინის) წუხელ თეატრში წარმოდგენას ვუყურე, სიცილით მოვკვდი!

ლუბოვ ანდრეევნა. დარწმუნებული ვარ, სასაცილო არაფერი იქნებოდა. წარმოდგენებს კი არა, ჩვენს თავს უნდა ვუყუროთ და რაც შეიძლება ხშირად... ეჰ, ბატონებო, მოსაწყენია თქვენი ცხოვრება! რამდენს ლაპარაკობთ... ღმერთო, რამდენს ლაპარაკობთ!

ლოპახინი. მართალი ხართ. ნამდვილად უბადრუკია ჩვენი ცხოვრება. (პაუზა) მამაჩემი გლეხი იყო, უვიცი და გაუნათლებელი. ჩემთვის არაფერი უსწავლებია, მარტო მცემდა ხოლმე, როცა დათვრებოდა... არსებითად, მეც არ განვსხვავდები მისგან, ისეთივე იდიოტი ვარ. სწავლა-განათლება არ მიმილია, ბატიფეხურით ვწერ... სირცხვილია, ღმერთმანი! ჩემს ნაწერს კაცმა რომ შეხედოს გული აერევა, ღორი ვარ, ერთი სიტყვით!

ლუბოვ ანდრეევნა. ცოლი უნდა შეირთო, მეგობარო.

ლობახინი. მართალია.

ლუბოვ ანდრეევნა. ჩვენი ვარინკა ითხოვეთ, კარგი გოგოა.

ლოპახინი. ვიცი.

ლუბოვ ანდრეევნა. უბრალო გლეხის ქალივით აღვზარე, მთელი დღე შრომობს. თან უყვარხართ კიდეც... მე მგონი, თქვენც უნდა მოგწონდეთ?

ლოპახინი. განა უარს ვამბობ, კარგი ქალიშვილია.
(პაუზა)

გაევი. (დას) – გაიგე? ბანკში ადგილს მთავაზობენ, წელიწადში ექვსი ათასი მექნება.

ლუბოვ ანდრეევნა. შენ ტყავში დაეტიე, მაგის კაცი ხარ?!
(შემოდის ფირსი, პალტო მოაქვს)

ფირსი. (გაევს) – კეთილი ინებეთ, ჩაიცვით. ნესტიანი ჰაერია.

გაევი. (პალტოს იცვამს) – თავი მომაბეზრე, ძმაო.

ფირსი. ჩაიცვით, ჩაიცვით... დილითაც ისე წახვედით, არაფერი გამიგია. (ყურადღებით შეათვალიერებს)

ლუბოვ ანდრეევნა. როგორ დაბერებულხარ, ფირს!

ფირსი. რა ბრძანეთ?

ლოპახინი. დაბერებულხარო!

ფირსი. დიდი ხანია ვცხოვრობ და იმიტომ... ცოლის შერთვას რომ მიპირებდნენ, მამათქვენი ჯერ დაბადებულიც არ იყო... (იცინის) გლეხობა რომ გაათავისუფლეს, უკვე კამერდინერი ვიყავი, განთავისუფლებაზე უარი ვთქვი და ისევ ბატონთან დავრჩი... (პაუზა) მახსოვს, ყველა გახარებული იყო, მაგრამ რა უხაროდათ, თვითონაც არ იცოდნენ...

ლოპახინი. ძველად ყველაფერი კარგი იყო. გლეხებს როზგავდნენ მაინც!

ფირსი. (ვერ გაიგონა) – მაგას არ ვამბობ! გლეხი ბატონთან იყო, ბატონი – გლეხთან... ახლა კი ერთი ალთას არი, მეორე ბალთას, ვერაფერს გაიგებ!

გაევი. ცოტა ხანს გაჩუმდი, ფირს!.. ხვალ ისევ ქალაქში წავალ, ვიღაც გენერლის გაცნობას დამპირდნენ, თამასუქით ფულს იძლევაო.

ლოპახინი. ეგეც არ გიშველით, პროცენტებს მაინც ვერ გადაიხდით. აი, ნახავთ!

ლუბოვ ანდრეევნა. რის გენერალი, რა გენერალი? იგონებს რაღაცას! (შემოდიან ტროფიმოვი, ანა და ვარა)

გაევი. ჩვენებიც მოვიდნენ.

ანა. დედაც აქ ყოფილა.

ლუბოვ ანდრეევნა. (ალერსიანად) – მოდი, შვილო... თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი! (მოეხვევა ანას და ვარას) რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! გვერდით დამიჯექით. (ყველანი ჩამოსხდებიან).

ლოპახინი. ჩვენი მუდმივი სტუდენტი კი სულ ბარიშნებთან დაიარება!

ტროფიმოვი. ეს თქვენ არ გესაქმებათ!

ლოპახინი. მალე ორმოცდაათისა გახდება და ისევ სტუდენტია!

ტროფიმოვი. აღარ მოეშვებით სულელურ ხუმრობას?

ლოპახინი. რას ბრაზობ, ადამიანო?

ტროფიმოვი. თავი გამანებე.

ლოპახინი. (იცინის) – ერთი შეკითხვა მხოლოდ... ნება მომეცით, გავიგო: რა შეხედულებისა ხართ ჩემზე?

ტროფიმოვი. მე ვფიქრობ, მდიდარი კაცი ხართ, საცაა მილიონერი გახდებით... ბუნებაში, ნივთიერებათა ცვლის გამო, აუცილებელია მტაცებელი ცხოველიც, რომელიც ყველაფერს, რაც წინ დაუხვდება... ნთქავს... ჰოდა, თქვენც ასევე ამ ცხოვრებისთვის საჭირო და აუცილებელი ხართ!

(ყველანი იცინიან)

ვარა. (ტროფიმოვს) – პლანეტებზე მოყევით, ის უფრო საინტერესოა.

ლუბოვ ანდრეევნა. არა, გუშინდელი თემა განვაგრძოთ.

ტროფიმოვი. რა თემა იყო?

გაევი. ამაყი ადამიანი.

ტროფიმოვი. გუშინ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ... ამაყ ადამიანში, თქვენი აზრით, რაღაც მისტიური უნდა იყოს. შესაძლოა, მართალი

ხართ, მაგრამ უბრალოდ, ყოველგვარი ხრიკების გარეშე თუ ვიმსჯელებთ, რა ფასი აქვს მაგ თქვენს ყბადაღებულ სიამაყეს, თუ ადამიანი ფიზიოლოგიურად უხეიროდ არის მოწყობილი, თუ მათი უმრავლესობა ტლანქი, უვიცი და უბედურია?! უნდა მოვეშვათ საკუთარი თავით აღტაცებას... შრომაა საჭირო, შრომა!

გაევი. რა ჭკუა აქვს შრომას? მაინც მოკვდები!

ტროფიმოვი. ვინ იცის? თანაც რას ნიშნავს – მოკვდები? იქნებ ადამიანს ასი გრძნობა გააჩნია და სიკვდილი მხოლოდ ერთს ანადგურებს, დანარჩენი ოთხმოდათხუთმეტი კი ცოცხალი რჩება?!

ლუბოვ ანდრეევნა. რა ჭკვიანი ხართ, პეტია!

ლოპახინი. (ჩაიცინებს) – აბა.

ტროფიმოვი. კაცობრიობა თანდათან სრულყოფს თავის შესაძლებლობებს და სწორედ ესაა მისი განვითარების მთავარი პირობა. ყველაფერი, რაც ჩვენთვის ამჟამად მიუწვდომელია, ოდესმე ახლობელი და გასაგები გახდება. მაგრამ ამისთვის კაცმა უნდა იშრომოს და მხარში ამოუდგეს იმათ, ვინც ცხოვრებაში ჭეშმარიტებას ეძებს, ჩვენთან, რუსეთში, მშრომელი ხალხი ჯერჯერობით ძალზე ცოტაა. ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში, ყველა, ვისაც მე ვიცნობ, არც არაფერს აკეთებს, არც არაფერს ეძებს და, არსებითად, მათ შრომის უნარიც არ გააჩნიათ. თავიანთ თავს ინტელიგენტებს ეძახიან, მოსამსახურეს კი „შენობით“ მიმართავენ, გლეხებს ხომ პირუტყვებად თვლიან! არც სწავლობენ, არც კითხულობენ, არაფერი არ აინტერესებთ! მეცნიერებაზე მხოლოდ ყბედობენ, ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ... რომ შეხედო, ყველას სერიოზული გამომეტყველება აქვს, მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობენ, ფილოსოფოსობენ, ამ დროს კი, მათ გვერდით, მშრომელი კაცი, ღმერთმა იცის, რას ჭამს, როგორ ცხოვრობს! ბალიში რაა, ისიც ენატრება, რომ ნორმალურად დაიძინოს! ერთ ოთახში ორმოცამდე სული ცხოვრობს, ყველგან სიბინ-

ძურეა, სინესტე, ბაღლინჯო და ათასი ზნეობრივი უმსგავსობა! ჰოდა, გამოდის, რომ ამდენი დაპირებითა და ლამაზი სიტყვებით ჩვენ მხოლოდ თავს ვიტყუებთ, თვალს ვუხვევთ ერთმანეთს!.. აბა, მითხარით, სად არი ჩვენში, მაგალითად, საბავშვო ბაგები, რომლებზეც ამდენს ვყბედობთ? ან სამკითხველოები სადაა? ამაზე მხოლოდ რომანებში წერენ, სინამდვილეში კი არაფერი გვაქვს! არის მხოლოდ ჭუჭყი, უხამსობა და გაველურება!.. მართალი გითხრათ, ვერ ვიტან მეტისმეტად სერიოზულ სახეებს, მეშინია ჭკვიანი ლაპარაკის... მოდით, გავჩუმდეთ.

ლოპახინი. მე პირადად ყოველდღე დილის ხუთ საათზე ვდგები და დაღამებამდე ვმუშაობ. სულ ფულთან მაქვს საქმე. – ან ჩემია, ას სხვისი, – და ვხედავ რა ხალხიც მახვევია... საქმეს უნდა მოეკიდო და მაშინ მიხვდები რა ცოტაა ამქვეყნად ნორმალური, წესიერი და პატიოსანი ადამიანი!.. ზოგჯერ, უძილო ღამით, მიფიქრია ხოლმე: „ღმერთო დიდებულო! ეს ხომ სულ შენი წყალობაა – ეს უსასრულო ტყეები, თვალუწვდენელი მინდვრები, წყალუხვი მდინარეები... და ნუთუ ჩვენ, ამ სიმდიდრისა და სიდიადის პატრონნი, თვითონაც გოლიათები არ უნდა ვიყოთ?!“

ლუბოვ ანდრეევნა. გოლიათობა მოინდომა! გოლიათები ზღაპრებშია კარგი, სინამდვილეში მათი ყველას ეშინია. (სცენის სიღრმეში, გიტარით ხელში, ეპიხოდოვი გამოჩნდება) აგერ, ეპიხოდოვიც მოდის.

ანა. (ჩაფიქრებული) – ეპიხოდოვი მოდის...

გაევი. მზე ჩავიდა, ბატონებო.

ტროფიმოვი. დიახ...

გაევი. (ჩუმად, გამოთქმით, თითქოს ლექსს კითხულობდეს) – ჰოი, ბუნებავ! საკვირველო, მარადიულო შუქის წყაროვ! მშვენიერი ხარ, მაგრამ გულგრილი; დედას გეძახით შენი შვილები, შენ კი სიკვდილ-სიცოცხლეს აერთიანებ შენს არსებაში, და ერთდროულად ცოცხლობ და ანადგურებ...

ვარვარა. (საყვედურით) – ძია!

ანა. კარგი რა, ძია! ისევ დაიწყე?

ტროფიმოვი. დუპლეტით შუაში დაურტყით, – ის ჯობია!

გაევი. ჰო, კარგი, გავჩუმდები! აი, ჩუმად ვარ.

(ყველანი ერთხანს გარინდებული სხედან. სიჩუმეში მარტო ფირსის ჩიფჩიფი ისმის... უცებ შორიდან – თუ მაღლიდან? – შემზარავად დაიგრუხუნებს რაღაც. ეს ხმა გაწყვეტილი სიმის კვნესას გავს, რომელიც თანდათან წყდება).

ლუბოვ ანდრეევნა. (შეშინებული) – რა იყო ეს?

ლოპახინი. არ ვიცი... სადმე მაღაროში ბადია ჩამოწყდებოდა... შორს კი იყო ძალიან.

გაევი. იქნებ ჩიტია? ყანჩა, მაგალითად.

ტროფიმოვი. ან ბუკიოტი...

ლუბოვ ანდრეევნა. (მოიბუზება) – რა საშინელი ხმა იყო...

ფირსი. ის უბედურება რომ მოხდა, მაშინაც, მახსოვს, ბუკიოტი კიოდა და სამოვარიც გუგუნებდა.

გაევი. რომელ უბედურებაზე ამბობ?

ფირსი. აი, ის გლეხები რომ გაანთავისუფლეს.

(პაუზა)

ლუბოვ ანდრეევნა. წავიდეთ, მეგობრებო, უკვე გვიანია. (ანას) რა მოგივიდა, შვილო? სტირი? (მოეხვევა)

ანა. არაფერია, დედიკო... ასე...

ტროფიმოვი. ვიღაც მოდის.

(გამოჩნდება გამვლელი. პალტოშია, საკმაოდ შელანძღული თეთრი კარტუზი ახურავს. ნასვამია)

გამვლელი. ბოდიშს ვიხდი, პატივცემულნო... ნება მომეცით გკითხოთ, რკინიგზის სადგური საით არი?

გაევი. ამ გზას გაჰყევით.

გამვლელი. უღრმესი მადლობა!.. (ჩაახველებს) შესანიშნავი ამინდია. (გამოთქმით) მრავალტანჯულო ძმაო ჩემო! ვოლგის ნაპირზე გადი, მოუსმინე, კვნესა თუ გესმის?.. (ვარვარას) მადმუაზელ! რუსეთის მშიერ მოქალაქეს... ოცდაათ კაპიკს თუ გაიმეტებთ...

ლოპახინი. გაიარე, ძმობილო... თავხედობასაც საზღვარი აქვს!

ლუბოვ ანდრეევნა. (დაბნეული) – მოიცათ! (ხელჩანთანში იქექება) ვერცლის ფული არა მაქვს... აი, ოქრო ინებეთ.

გამვლელი. უღრმესი მადლობა. (მიდის).

(ყველას გაეცინება)

ვარა. (შეშინებულია, აღელვებული) – მე წავალ, წავალ... ღმერთო ჩემო, რანაირი ხარ, დედა?! სახლში ხალხს აღარ ვიცით, რა ვაჭამოთ, თქვენ კი ოქროს მანეთიანებს არიგებთ!

ლუბოვ ანდრეევნა. რა გაეწყობა, შვილო, სხვანაირად არ შემიძლია, აი, მივალთ სახლში და რაც მაქვს, ყველაფერს ჩაგაბარებ, შენ თვითონ მოუარე! (ლოპახინს) ერმოლაი ალექსეიჩ, კიდევ უნდა მასესხოთ.

ლოპახინი. სიამოვნებით.

ლუბოვ ანდრეევნა. წავიდეთ, ბატონებო... იცი, ვარინკა, ჩვენ უკვე თითქმის გაგათხოვეთ კიდეც! მომილოცავს!

ვარა. ნუ ხუმრობთ, დედა. სულ არა ვარ მაგის გუნებაზე.

ლოპახინი. ოფელია! მონასტერში წადი!..

გაევი. თითები გამიშეშდა, რა ხანია ბილიარდი არ მითამაშია!

ლოპახინი. ოფელია, ფერიავ! შენს ლოცვებში მომიხსენიე!

ლუბოვ ანდრეევნა. წავიდეთ, ბატონებო, ვახშმობის დროა.

ვარა. როგორ შემაშინა ამ კაცმა... სულ ვკანკალებ!

ლოპახინი. ნება მომეცით, ბატონებო, შეგახსენოთ: ოცდაორ აგვისტოს ალუბლის ბაღი გაიყიდება! იფიქრეთ ამაზე, კარგად იფიქრეთ!

(ყვლანი მიდიან, ტროფიმოვისა და ანას გარდა)

ანა. ღმერთმა უშველოს იმ კაცს, ვარა რომ დააფრთხო. ძლივს მარტო დავრჩით!

ტროფიმოვი. თქვენ დას ეშინია, რომ მე და თქვენ ერთმანეთი შეგვიყვარდება და კუდში დაგვდევს. მაგ ჭკუის კოლოფს ვერ გაუგია, რომ ჩვენ სიყვარულზე მაღლა ვართ... შორს ჩვენგან ყოველივე, რაც ადამიანს ხელს უშლის თავისუფალი და ბედნიერი გახდეს! აი, ჩვენი ცხოვრების მიზანი და აზრი! წინ, მხოლოდ წინ, იმ ნა-

თელი ვარსკვლავისაკენ, ბედნიერ მომავალს რომ გვპირდება! არავინ ჩამოგვრჩეთ, მეგობრებო!

ანა. (აღტაცებული) – ო, რა ლამაზად ლაპარაკობთ! (პაუზა) დღეს აქ ყველაფერი გადასარევია.

ტროფიმოვი. მართლაც საკვირველი საღამოა.

ანა. რა მიქენით პეტია, როგორ შემცვალეთ!.. მე უკვე აღარ მიყვარს ჩვენი ალუბლის ბაღი. ადრე მეგონა, უკეთესი ადგილი დედამიწაზე არ მოიძებნებოდა, ახლა კი...

ტროფიმოვი. ჩვენი ბაღი – მთელი რუსეთია! დედამიწა კი დიდია და მასზე ბევრი შესანიშნავი ადგილია. (პაუზა) აბა დაფიქრდით, ანა... თქვენი პაპა, პაპისპაპა და სხავ წინაპრები, ყველანი მემამულეები იყვნენ და ადამიანთა ცოცხალი სულები მათ საკუთრებას წარმოადგენენ. ეს კი ამას ნიშნავს, რომ თქვენი ალუბლის ბაღის ყოველი ხის ძირიდან, ყოველი ტოტიდან თუ ფოთლიდან თქვენი ყმების სამდურავით სავსე თვალები იყურებიან, მათი დამონებული სულები ღაღადებენ! ნუთუ არ გესმით ეს ხმები? ადამიანის დასაკუთრება! ეს ხომ საშინელებაა, ანა! სწორედ ამან გადაგვაგვარა ყველანი – ისინი, ვინც ადრე იყვნენ და ვინც ახლა ვართ! დიახ, ჩვენ გადავგვარდით და ვერც დედათქვენი, ვერც მისი ძმა, ვერც თქვენ, უკვე ვეღარ ამჩნევთ, რომ ვალის ანგარიშში ცხოვრობთ, სხვის ხარჯზე, ვისაც თქვენ სახლში არ შეესვლება, ვისაც დერეფანში აცდევინებთ ხოლმე!.. ჩვენ ბარე ორასი წლით ჩამოვრჩით ქვეყანას, ჯერ არაფერი გაგვაჩნია, არაფერი! წარსულისადმი გარკვეული დამოკიდებულებაც კი არა გვაქვს! ჩვენ მხოლოდ ვფილოსოფოსობთ, ვწუწუნებთ და არაყს ვხურავთ! გამოსავალი კი უბრალოა. ამისთვის, რომ აწმყოში ფეხი მოვიკიდოთ, ჯერ ჩვენი სამარცხვინო წარსული უნდა გამოვისყიდოთ. ამის გამოსყიდვა კი მხოლოდ ტანჯვით, არაადამიანური, გამუდმებული შრომით შეიძლება! გაიგეთ, ეს ანა!

ანა. ეს სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი ხანია ჩვენ აღარ გვეკუთვნის. მე წავალ იქიდან, პირობას გაძლევთ!

ტროფიმოვი. გამოიკეტეთ კარი, ჭაში ჩააგდეთ გასაღები და წადით! წადით! ქარივით თავისუფალი გახდით!

ანა. რა კარგად თქვით! (თვალები უბრწყინავს)

ტროფიმოვი. დამიჯერეთ, ანა! მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, ოცდაათი წლისაც არ გამხდარვარ, მაგრამ ბევრი გამოვცადე... ზამთარი დგება და ვშიმშილობ, სულიერ სიმშვიდეს ვკარგავ, სიღარიბე მკლავს. – მე ხომ მათხოვარივით ღარიბი ვარ... ეს, სად არ მატარა ბედმა, სად არ გადამისროლა, და მაინც ჩემი სული ყოველთვის, ყოველ წამს, დღისითა თუ ღამით, გამოუცნობი წინათგრძნობით ყოფილა სავსე. მე ვგრძნობ ბედნიერების მოახლოებას! მე უკვე ვხედავ მას!..

ანა. (ჩაფიქრდება) – მთვარე ამოდის...

(გიტარის ხმა ისმის, ეპიხოდოვი ისევ თავის ნაღვლიან მელოდიას უკრავს. ამოდის მთვარე. ალვის ხეების მხრიდან ვარა დაიძახებს: „ანა! სად ხარ?“)

ტროფიმოვი. მთვარე ამოდის... (პაუზა) ანა, ანა! აგერ ის, ბედნიერება! მოდის, გვიახლოვდება, მე უკვე მესმის მისი ფეხის ხმა!.. ეს, ანა! რა ვუყოთ, თუ ჩვენ მას ვერ დავინახავთ, ვერ ვიცნობთ, – სხვები ხომ დაინახავენ და იცნობენ!

(ვარას ძახილი: „ანა! სად ხარ? აუუ!“)

დასწყევლოს ღმერთმა, რა აყვირებს იმ სულელს!

ანა. მდინარისკენ წავიდეთ, იქ კარგია.

ტროფიმოვი. წავიდეთ.

(ვარას ხმა: „ანა, აუუ, სად ხარ?“)

ფარდა

სასტუმრო ოთახი დარბაზისგან თაღით არის გამოყოფილი. ყველგან ჭაღები ანთია. დერეფნიდან მუსიკის ხმა ისმის (იქ ის ებრაელთა ორკესტრი უკრავს, მეორე მოქმედებაში რომ ვახსენეთ). სალამოა, დარბაზში grand rond-ს ცეკვავენ. სემიონოვ-პიშჩიკი წამდაუწუმ იძახის: „Prumenade à une paire!" სასტუმროში მოცეკვავეები შემოდიან. პირველ წყვილშია პიშჩიკი და შარლოტა, მეორეში – ტროფიმოვი და ლუბოვ ანდრეევნა, მესამეში – ანა და ფოსტის მოხელე, მეოთხეში – ვარა და სადგურის უფროსი და ა. შ. ვარა ცეკვის დროს ტირის და თვალებს იმშრალებს. ბოლო წყვილშია – დუნიაშა. მოცეკვავეები სასტუმროში წრეს უვლიან და დარბაზში გადიან. პიშჩიკი ხმამაღლა გაიძახის:

„Grand-rond balanzez!" და „Zes cavaliers à genoux et remenciez vos dames!"

(ფრაკში გამოწყობილი ფირსი ხონჩით ზელტერის წყალს დაატარებს. სასტუმროში შემოდიან ცეკვით დაღლილი პიშჩიკი და ტროფიმოვი!

პიშჩიკი. მე, ბატონო წნევა მაწუხებს, ამის გამო უკვე ორჯერ ჩამექცა სისხლი, და ცეკვა ჩემთვის არ შეიძლება. მაგრამ, რას იზამ? როგორც იტყვიან, ხროვაში თუ გაერევი და ყეფა არ იცი, კუდი მაინც გააქიცინეო! საერთოდ კი ცხენის ჯანმრთელობა მაქვს! განსვენებული მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ხუმარა კაცი იყო და ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩვენ, სემიონოვ-პიშჩიკები იმ ცხენის შთამომავლები ვართ, კალიგულამ რომის სენატში რომ წამოასკუპაო! (ჯდება) ერთი უბედურება მჭირს მხოლოდ: ფული არა მაქვს! ერთი უბედურება მჭირს მხოლოდ: ფული არა მაქვს! მშიერი ძაღლი, მოგეხსენებათ, მარტო ხორცს იპარავს... (ხვრინვას ამოუშვებს და იმ წამსვე გაელვიძება) ჰოდა, მეც ასევე, მარტო ფულზე შემიძლია...

ტროფიმოვი. ტანის აღნაგობით მართლა ცხენს გავხართ.

პიშჩიკი. რა უჭირს, ცხენი კარგი მხეცია... ცხენის გაყიდვა შეიძლება!

(გვერდით ოთახიდან ჭახა-ჭუხი ისმის: იქ ბილიარდს თამაშობენ. დარბაზიდან ვარა შემოიხედავს და გაჩერდება)

ტროფიმოვი. (გამოაჯავრებს) – ქალბატონო ლოპახინა! ქალბატონო ლოპახინა!

ვარა. (გულმოსულად) – გაქუცულო ბატონო!

ტროფიმოვი. დიახ, გაქუცული ბატონი ვარ და ვამაყობ ამით.

ვარა. (შეწუხებული სახე აქვს) – მუსიკოსები დაიქირავეს... ნეტა, რით გაუსწორდებიან? (გადის)

ტროფიმოვი. (პიშჩიკს) – მთელი ის ენერგია, რაც თქვენი ცხოვრების მანძილზე პროცენტების გადასახდელად საჭირო ფულის მოგროვებას შეალიეთ, სხვა მიზნით რომ გამოგეყენებინათ, დარწმუნებული ვარ, დედამიწის ბურთს გადაატრიალებდით!

პიშჩიკი. აი, ნიცშე... განთქმული ფილოსოფოსია. უზარმაზარი ჭკუის ადამიანი... იმას უთქვამს თურმე, ყალბი ფულის გაკეთებაც შეიძლება.

ტროფიმოვი. ნიცშე წაგიკითხავთ?

პიშჩიკი. არა, ჩემმა შვილმა დაშენკამ მითხრა... მე ახლა ისეთ დღეში ვარ, ლამის ყალბი ფულის გაკეთება დავიწყო. ხვალ, მაგალითად, სამასი მანეთი უნდა გადავიხადო. ას ოცდაათი უკვე ვიშოვნე... (ჯიბეებს მოისინჯავს, შეშფოთდება) ვაი, დავკარგე! (ლამის ატირდეს) ფული დავკარგე! ღმერთო ჩემო!.. (უცებ გახარებული) უყურე შენ, სარჩულში ჩამვარდნია! კინაღამ გული გამისკდა.

(შემოდიან ლუბოვ ანდრეევნა და შარლოტა)

ლუბოვ ანდრეევნა. („ლეკურის" მოტივს ღიღინებს) – ნეტა ჩემი ძმა რა იქნა? ამდენ ხანს ქალაქში რას აკეთებს? (დუნიაშას) დუნიაშა, მუსიკოსებს ჩაი შესთავაზეთ.

ტროფიმოვი. იქნებ ბაზრობა გადაიდო?

ლუბოვ ანდრეევნა. ეს მუსიკოსები ტყუილად მოვიყვანეთ. წვეულებაც უდროოდ გავმართეთ... თუმცა, არაფერია. (ჯდება და თავისთვის ღიღინებს)

შარლოტა. (პიშჩიკს ბანქოს დასტას გაუწვდის) – აიღეთ ერთი კარტი და ჩააფიქრეთ.

პიშჩიკი. ჩავიფიქრე.

შარლოტა. ახლა კარტი ჩაჭერით. კარგია. (განქოს გამოართმევს) ო, ჩემო ძვირფასო ბატონო პიშჩიკ! Ein, zwei, drei! ის კარტი თქვენ მარჯვენა ჯიბეშია, ამოიღეთ!

პიშჩიკი. (ჯიბიდან კარტს ამოიღებს) – ყვავის რვიანი! (გაოცებული) უყურე შენ, სწორია!

შარლოტა. (ხელის გულზე კარტის დასტა უდევს, ტროფიმოვს) – მითხარით, ჩქარა: ზემოდან რა კარტია?

ტროფიმოვი. ყვავის ქალი.

შარლოტა. ჰოპ! (ყვავის ქალს გადმოაბრუნებს, მერე პიშჩიკს მოუბრუნდება) ზემოდან რა კარტია?

პიშჩიკი. აგურის ტუზიანი.

შარლოტა. ჰოპ! (აგურის ტუზს დაანახვებს კარტის დასტას ხელს დაჰკრავს და გააქრობს) ახლა ყურადღება! (მკვეთრად, დამარცვლით წარმოთქვამს) დ ღ ე ს კ ა რ გ ი ა მ ი ნ დ ი ა!.. (ამაზე საიდანღაც მამაკაცის ბოხი ხმა უპასუხებს: „დიახ, ქალბატონო, დღეს კარგი ამინდია!“)

თ ქ ვ ე ნ ძ ლ ი ე რ კ ა რ გ ი ხ ა რ თ, თ ქ ვ ე ნ ჩ ე მ ი ი დ ე ა ლ ი ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი თ!.. (ისევ მამაკაცის ხმა უპასუხებს: „თქვენც, ქალბატონო, ძლიერ მომწონხართ!“)

სადგურის უფროსი. (ტაშს შემოჰკრავს) – ბრავო! ბრავო! ქალბატონი მუცლით მეზღაპრეც ყოფილა!

პიშჩიკი. (თავზარდაცემული) უყურე შენ! შარლოტა ივანოვნა, ძვირფასო... მე... მე თითქმის შეყვარებული ვარ...

შარლოტა. შეყვარებულიო? (მხრებს აიჩეჩავს, ამრეზით) განა თქვენ იცით, სიყვარული რა არი?

Guter Mensch, aber schlechter Musikant!

ტროფიმოვი. (პიშჩიკს მხარზე ხელს დაჰკრავს) – ესეც თქვენ, ცხენო! კარგი ულაყი, ხომ იცით მათრახს არ მიიკარებს.

შარლოტა. ყურადღება, ბატონებო... კიდევ ერთი ფოკუსი. (სავარძლიდან მოსასხამს აიღებს) ეს ძვირფასი მოსასხამია. მე მსურს მისი გაყიდვა. (მოსასხამს ააფრიალებს) ვინ ყიდულობს?

პიშჩიკი. Ein, zwei, drei! (პირდაღებული მისჩერებია) – უყურე შენ!

შარლოტა. (მოსასხამს დაიქნევს, ისევ ააფრიალებს და მის უკან ანა გაჩნდება. იგი რევერანსს გააკეთებს, მერე დედასთან მიირბენს, აკოცებს და დარბაზში გარბის. ყველანი აღტაცებული არიან).

ლუბოვ. ანდრეევნა. ბრავო! ბრავო! (ტაშს უკრავს)

შარლოტა. ახლა კიდევ ერთი. Ein, zwei, drei! (მოსასხამს ააფრიალებს. მის უკან ვარა დგას და თავის დაკვრით ესალმება სტუმრებს)

პიშჩიკი. ეს გადასარევია... სასწაულია ღმერთმანი!

შარლოტა. მორჩა! წარმოდგენა დამთავრებულია! (მოსასხამეს პიშჩიკს მიუგდებს. რევერანსს გააკეთებს და დარბაზში გარბის).

პიშჩიკი (გადმოეკიდება) – უყურე შენ! ხედავთ, რა ყოფილა?! ეშმაკის ფეხია ეს ოხერი (გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. ჩემი ძმა კი არ ჩანს... აქამდე ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო. ან გაიყიდებოდა ჩვენი მამული, ანდა... არ ვიცი პირდაპირ რა ვიფიქრო... იქნებ ვაჭრობა მართლა არ შედგა? მოსულიყო მაინც, ეთქვა... რას გვაწვალებს ის დალოცვილი!

ვარა. (მის დამშვიდებას ცდილობს) – დარწმუნებული ვარ, ალუბლის ბაღი ძიამ იყიდა. აი, ნახავთ!

ტროფიმოვი. (ირონიულად) – რასაკვირველია.

ვარა. ნამდვილად ასეა! იაროსლავლელმა ბებიამ ფული გამოგვიგზავნა, რომ მამული მის მაგივრად გვეყიდა და ვალიც მის სახელზე გადაგვეწერა... ბებიას სურს ყველ-

ფერი ანას დაუტოვოს. ასე რომ, ღმერთი არ გაგვწირავს, მამულს ძია იყიდის!

ლუბოვ ანდრეევნა. ბებიამ თხუთმეტი ათასი სწორედ იმიტომ გამოგზავნა რომ მამული თავისთვის უნდა, ჩვენ არ გვენდობა. – მაგრამ ეს თანხა პროცენტების დასაფარავადაც არ კმარა. (სახეს ხელებში ჩარგავს) ო, ღმერთო! დღეს უნდა გადაწყდეს ჩემი ბედი... დღეს...

ტროფიმოვი. (ვარას გამოაჯავრებს) – ქალბატონო ლოპახინა!

ვარა. (გაბრაზებული) – მუდმივო სტუდენტო! რამდენჯერ გაგრიცხეს უნივერსიტეტიდან?!

ლუბოვ ანდრეევნა. რატომ ბრაზობ, ვარა? ლოპახინას რომ გეძახის, იმიტომ? გაჰყევი, თუ გინდა, კარგი კაცია. არ გინდა და ნუ გაჰყვები, ვინ გაძალებს?

ვარა. ეჰ, დედიკო... მე ამ საქმეს სერიოზულად ვუყურებ. რაღა დასამალია და ლოპახინი მართლა კარგი კაცია, მომწონს კიდევაც, მაგრამ...

ლუბოვ ანდრეევნა. რაღას უცდი მერე?

ვარა. რა ვქნა, დედა, ძალად ხომ არ შევეტენები?! ორი წელია ყველა ამას მეუბნება, მილოცავენ ის კი ან გაჩუმებულია, ან ხუმრობს... მესმის განა არ მესმის, ასე რატომ იქცევა? ის გამდიდრებაზე ფიქრობს, საქმით გართულია, ჩემთვის არ სცალია?! ...ეჰ. ფული რომ მქონდეს, სულ ცოტა, ასი მანეთი თუნდაც, მივატოვებდი ყველაფერს და სადმე გადავიკარგებოდი... მონასტერში წავიდოდი.

ტროფიმოვი. ეგ მართლა ჩინებული იქნებოდა!

ვარა. (ტორფიმოვს) – სტუდენტ კაცს მეტი ჭკუა მოგეთხოვებათ! (გულაჩუყებული, მტირალა ხმით) რა არი, პეტია, რა ულამაზო გახდით? როგორ დაბერებულხართ!.. (ლუბოვ ანდრეევნას, უკვე დამშვიდებული) უსაქმოდ არ შემიძლია ყოფნა, ყოველ წუთს რაღაცას უნდა ვაკეთებდე.

(შემოდის იაშა)

იაშა. (სიცილს ძლივს იკავებს) – ეპიხოდოვმა საბილიარდოში კია გატეხა! (გადის)

ვარა. (შეშფოთებული) – რაო? ეპიხოდოვს აქ რა უნდა? ან საბილიარდოში ვინ შეუშვა"?.. გადამრევს ეს ხალხი! (სწრაფად გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. (ტოფიმოვს) – თავი დაანებეთ, პეტია ნუ დასცინით. მაგას თავის დარდიც ეყოფა.

ტროფიმოვი. აბა რატომ მეტიჩრობს? მთელი ზაფხული მე და ანას მოსვენება რა მოგვცა, სულ კუდში დაგვდევდა, ეშინოდა, ჩვენ შორის რომანი არ გაჩენილიყო... ვინ ეკითხებოდა მაგას? ანდა რამ აფიქრებინა ასეთი სისულელე? მე პირადად არავითარი საბაბი არ მიმიცია! და საერთოდ ვერ ვიტან, როცა ადამიანი სხვის საქმეში ეჩრება! მე და ანა სიყვარულზე მაღლა ვდგავართ!

ლუბოვ ანდრეევნა. მე კი, ეტყობა, სიყვარულზე დაბლა ვარ... (საშინლად ღელავს) სად დაიკარგა ჩემი ძმა? ნეტა ვიცოდე რით დამთავრდა ვაჭრობა! ნუთუ გაყიდეს ჩვენი მამული?.. არა, არა! ეს უბედურება იმდენად შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ არც კი ვიცი, რა ვიფიქრო... მთლად დავიბენი... მე შემიძლია ახლა დავიყვირო, რაღაც სისულელე ჩავიდინო... მიშველეთ, პეტია! თუ ღმერთი გწამთ, ილაპარაკეთ, თქვით რამე...

ტროფიმოვი. გაიყიდა თუ არ გაიყიდა თქვენი მამული, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მამულის საქმე გათავებულია, უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. დამშვიდდით და თავს ნუ იტყუებთ, ერთხელ მაინც გაბედეთ სიმართლეს თვალებში ჩახედეთ.

ლუბოვ ანდრეევნა. რომელ სიმართლეზე მელაპარაკებით? თქვენ, ეტყობა, კარგად იცით, სად სიმართლეა და სად ტყუილი, მე კი, თითქოს ბრმა ვიყო, ვერაფერს ვხედავ. თქვენ სულ ადვილად შეგიძლიათ ურთულესი საკითხების გადაწყვეტა, წინ იყურებით თამამად, უშიშრად. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ თქვენი საკითხებიდან თქვენ პირადად, ჯერ არცერთი არ გამოგიცდიათ და არ გადაგიტანიათ?! იქნება, მომავ-

ლისაც იმიტომ არ გეშინიათ, რომ თქვენი ახალგაზრდა თვალი ჯერ კიდევ ცხოვრებას ვერ ხედავს ისეთს, როგორიც ის არი... მიკვირს, ღმერთმანი! კარგი კაცი ხართ, პატიოსანი, გაბედული, ჩვენ შორის, შესაძლოა, ყველაზე კეთილი, რატომ არ გინდათ ცოტათი მაინც დაუფიქრდეთ იმას, რაც ხდება და მითანაგრძნოთ, შემიცოდოთ მე უბედური?.. მე ხომ აქ გავიზარდე, ამ ჭერქვეშ, ჩემი დედ-მამაც აქ ცხოვრობდა, პაპაჩემიც და რა ვქნა, გეთაყვა, მიყვარს ეს სახლი! მიყვარს! ალუბლის ბაღის გარეშე ჩემი ცხოვრება შეუძლებელია და თუ მაინც და მაინც ასე საჭიროა მისი გაყიდვა, მაშინ მეც გამყიდონ ბაღთან ერთად! (მოეხვევა ტროფიმოვს, შუბლში კოცნის) აქ ხომ ჩემი შვილი დაიღუპა, (ტირის) შემიბრალეთ, პეტია, მართლა ცოდვა ვარ...

ტროფიმოვი. დამიჯერეთ, სულით და გულით გითანაგრძნობთ.

ლუბოვ ანდრეევნა. ეგრე არა, არა! სხვანაირად უნდა გეთქვათ!.. (ხელსახოცს ამოიღებს, ჯიბიდან დეპეშა დაუვარდება) ო, რა საშინელ გუნებაზე ვარ! ყველაფერი მაღიზიანებს... ეს ხალხიც, ეს ხმაურიც... სულ ვკანკალებ... ჩემ ოთახში წავიდოდი, მაგრამ სიჩუმის მეშინია... ნუ დამძრახავთ, პეტია. თქვენ იცით როგორ მიყვარხართ და იმიტომ ვარ ასეთი გულახდილი... სიამოვნებით დავთანხმებოდი, რომ ჩემი ანა ცოლად შეგერთოთ, მაგრამ, ძვირფასო... სწავლა უნდა დაამთავროთ, ასე არ იქნება! როდემდე უნდა იყოთ უსაქმოდ? სულ სადღაც დაეხეტებით... ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურია... განა სწორს არ ვამბობ? ამ თქვენ გაჩეჩილ წვერსაც უნ და რამე მოუხერხოთ... (იცინის) არა, მართლა! გინდათ, სარკეს მოგიტანთ, იცით, რა სასაცილო ხართ?!

ტროფიმოვი. (დეპეშას აიღებს და მიაწვდის) კოპწიაობაზე თავს არ ვდებ.

ლუბოვ ანდრეევნა. ეს დეპეშაც პარიზიდანაა. ყოველდღე ვიღებ. გუშინაც მომივიდა, დღესაც... ის ველური კაცი ისევ ავად გამხდარა და მეხვეწება, ჩამოდიო, პატიებს

მთხოვს... (პაუზა) წესით კი უნდა წავსულიყავი, მიმეხედა იმ უბედურისთვის... რატომ მოიღუშეთ? მკიცხავთ? აბა, რა ვქნა, ძვირფასო, ის საწყალი ავადაა, მარტოა და მე თუ არ მოვუარე, ჭკუა თუ არ დავარიგე, დროზე წამალი თუ არ დავალევინე, ვინ გააკეთებს ამას?.. თუმცა, რა დასამალია, ანდა რისი უნდა მრცხვენოდეს... მიყვარს ის კაცი! დიახ, მიყვარს! ვიცი, რომ ეს სიყვარული მარწუხივითაა და შეიძლება დამახრჩოს კიდეც, მაგრამ უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია!.. (ტროფიმოვს სახელოზე მოებღაუჭება) ოღონდ, ცუდად ნუ იფიქრებთ, ახლა არაფერი მითხრათ!

ტროფიმოვი. მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, მაგრამ... იმ კაცმა თქვენ გაგძარცვათ!

ლუბოვ ანდრეევნა. არა, არა! ეგ არ თქვათ, სიცურეა! (ყურებში თითებს დაიცობს)

ტროფიმოვი ის არამზადაა! მარტო თქვენ არ გესმით ეს! ის სულმდაბალი არსებაა! გაიძვერაა! არარაობა..

ლუბოვ ანდრეევნა. (ძალზე გულმოსულია, თუმცა ცდილობს თავი შეიკავოს) – ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა ხართ და გიმნაზისტივით მსჯელობთ!

ტროფიმოვი. იყოს ასე!

ლუბოვ ანდრეევნა. მამაკაცობა გაკლიათ! თქვენს ასაკში ადამიანს უკვე უნდა ესმოდეს შეყვარებულთა გულისთქმა, ასეთი მიამიტობა უბრალოდ სასაცილოა! დასწყევლოს ღმერთმა, თქვენ ახლა თვითონაც უნდა გყავდეთ შეყვარებული! დიახ! (გაბოროტებით) სიკეთის ნატამალიც არ ყოფილა თქვენში! ცინგლიანი ვიღაც ყოფილხართ, სულელი და ახირებული (ზიზღით) დამიხედეთ ერთი ამ მახინჯს!

ტროფიმოვი. (თავზარდაცემული) – რას ამბობთ, რას?!

ლუბოვ ანდრეევნა. (გამოაჯავრებს) – „სიყვარულზე მაღლა ვდგავარო!“ სიყვარულზე მაღლა კი არა, ჩვენი ფირსის თქმისა არ იყოს, დოყლაპია ყოფილხართ! გაგონილა, ამხელა კაცს საყვარელი არ ჰყავდეს?! სასაცილოა, მაშ რა არი?!

ტროფიმოვი. (გაოგნებული) – ეს საშინელებაა! ღმერთო ჩემო, რას ლაპარაკობს?! (თავში ხელს იტაცებს, დარბაზისკენ გაემართება) არ შემიძლია, არა! მე წავალ... (მიდის და ისევ ბრუნდება) ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია! (სწრაფად გადის დერაფანში)

ლუბოვ ანდრეევნა. (მიაძახებს) – მოიცათ, მოიცათ... რა უცნაური ხართ... მე ვიხუმრე პეტია! დერეფანში აჩქარებული ფეხის ხმა ისმის, ვიღაც კიბეზე ჩარბის. ამას საშინელი ხმაური მოყვება. ანა და ვარა დერეფანში გაცვივდებიან. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან სასტუმროში მათი ხარხარი შემოიჭრება)

ლუბოვ ანდრეევნა. რა ამბავია?

ანა. (შემორბის სიცილით) – ტროფიმოვი კიბეზე დაგორდა! (ისევ დერეფანში გავარდება)

ლუბოვ ანდრეევნა. რა ახირებული ყოფილა... (ნელა გადის დერეფანში, სასტუმროდან ჩანს სადგურის უფროსი შუა დარბაზში გამოდის და ა. ტოლსტოის „ცოდვილ ქალს" გამოთქმით კითხულობს. ყველანი უსმენენ. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზსა და სასტუმროს ვალსის მელოდია მოეფინება. დეკლამაცია წყდება და სტუმრები ცეკვას იწყებენ. დერეფნიდან ტროფიმოვი, ანა, ვარა და ლუბოვ ანდრეევნა შემოდიან)

ლუბოვ ანდრეევნა. მაპატიეთ, პეტია, არ ვიცოდი, ეგეთი ჩვილი გული თუ გქონდათ... წამოდით, ვიცეკვოთ. (ტორფიმოვთან ცეკვავს).

იაშა. (ფირსს) – რაო, ბებერო?

ფირსი. შეუძლოდ ვარ... წინათ ჩვენ სახლში, წვეულების დროს, ღენერლები, ბარონები და ადმირალები ცეკვავდნენ, ახლა კი ფოსტის მოხელესა და სადგურის უფროსს ვეპატიჟებით და ისინიც ფეხს ითრევენ... დავსუსტდი ამ ბოლო დროს... განსვენებული დიდი ბატონი ყველას არაყზე დაყენებული ლუქით მკურნალობდა, ყველანაირ ავადმყოფობას არჩენდა. მეც, ბარე ოცი წელია. ლუქსა ვსვამ და... იმიტომაც ვარ ალბათ ცოცხალი.

იაშა. გული გააწყალე, ბებერო. ნეტა მალე ჩაძაღლდებოდე!

ფირსი. – ეჰ... შენ დოყლაპიავ! (ბურტყუნებს)

ლუბოვ ანდრეევნა. (ტროფიმოვს) – ცოტა ხანს ჩამოვჯდეთ, დავიღალე. (ჯდება. შემოდის ანა)

ანა. (აღელვებულია) – სამზარეულოში ერთ კაცს უთქვამს, ალუბლის ბაღი გაიყიდაო!

ლუბოვ ანდრეევნა. ვინ იყიდა?

ანა. არ ვიცი. (ტოფიმოვს საცეკვაოდ გაიწვევს და ორივენი დარბაზში გადიან)

იაშა. ვიღაც მოხუცი იყო, ყბედობდა რალაცას...

ფირსი. ჩვენი ბატონი კი ჯერაც არ ჩანს... თხელი პალტო აცვია, ემანდ არ გაცივდეს!.. ეჰ, ახალგაზრდობავ)

ლუბოვ ანდრეევნა. გული შემიღონდება ახლა... წადით, იაშა, გაიგეთ ვინ იყიდა.

იაშა. რალა დროისია, წავიდოდა ის მოხუცი. (იცინის)

ლუბოვ ანდრეევნა. რა გაცინებს?!

იაშა. ეპიხოდოვზე მეცინება. მართლა ჩერჩეტია. „ბედოვლათს" ტყუილად კი არ ეძახიან!

ლუბოვ ანდრეევნა. (ფირსს) – ცუდი ფერი გადევს, შე საწყალო, ავად ხომ არ ხარ? წასულიყავი, დაგესვენა...

ფირსი. (ჩაეცინება) – მე რომ დავისვენო, თქვენ ვიღა მოგემსახურებათ? ჩემს მეტი სახლში არავინაა..

იაშა. ლუბოვ ანდრეევნა, ერთი რამ მინდა გთხოვთ... პარიზში რომ წახვალთ, მოწყალება გაიღეთ და მეც წამიყვანეთ! ჩემი აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია! (მიმოიხედავს, ჩუმად) აბა, რა უნდა გითხრათ. თვითონაც ხედავთ რა მდგომარეობაა! ქვეყანა გაუნათლებელია, ხალხი გარყვნილია, თან საშინელი მოწყენილობაა. სამზარეულოში, ბოდიში ამ სიტყვისთვის და ღმერთმა იცის, რას აჭმევენ!... ეს ფირსიც აქ დაეთრევა, რალაც შეუფერებელ სიტყვებს ბურტყუნებს, წამიყვანეთ. უმორჩილესად გთხოვთ!

(შემოდის პიშჩიკი)

პიშჩიკი. (ლუბოვ ანდრეევნას) – ნება მიბოძეთ, მშვენიერო, ვალსზე დაგპატიჟოთ! (ლუბოვ ანდრეევნა მიყვება) ის

ოთხმოცი მანეთი კი, როგორც გენებოთ და (ცეკვავს) ას ოთხმოც მანეთს მაინც გამოგართმევთ.

(დარბაზში გადიან ცეკვით)

იაშა. (ღიღინებს) – „ჩემი გულის მღელვარების თუ გაიგებ, მიხვდები...“

(შუა დარბაზში, მოცეკვავეთა შორის, ნაცრისფერ ცილინრში და კუბოკრულ შარვალში გამოწყობილი ახალი პერსონაჟი გამოჩნდება. იგი ხელებს იქნევს და ხტის. მოისმის შეძახილებით („ბრავო, შარლოტა ივანოვნა! ბრავო!“)

დუნიაშა. (დარბაზიდან შემორბის და ფერუმარილს იცხებს) – ჩვენი ბარიშნა მეუბნება, იცეკვეო, – კავალერი ბევრია, ქალები კი არ გვყოფნისო! მე კი ცეკვისაგან თავბრუ მეხვევა და გული მიფრიალებს... (ფირსს) ფირს ნიკოლაევიჩ, ფოსტის მოხელემ ეს წუთია ისეთი სიტყვები მითხრა, კინაღამ გული წამივიდა!

(მუსიკის ხმა მიჩუმდება)

ფირსი. რაო, რა გითხრა?

დუნიაშა. ყვავილს გავხარო!

იაშა. (დაამთქნარებს) – ღმერთო, რა უმეცრებაა! (ტუჩამრეზილი გადის)

დუნიაშა. ყვავილს გავხარო... მე ისეთი აზიზი ვარ, საშინლად მიყვარს ლამაზი სიტყვები.

ფირსი. გაგაგიჟებენ, გოგო... აი, ნახავ.

(შემოდის ეპიხოდოვი)

ეპიხოდოვი. (დუნიაშას) – ავდოტია ფედროვნა! თქვენ, როგორც ვატყობ, ჩემი დანახვა არ გსურთ. ისე მექცევით, თითქო მე მწერი ან რალაც ინფუზორია ვიყო... (ამოოხვრით) ეჰ, ცხოვრებას რა უთხარი!

დუნიაშა. (მედიდურად) – რა გნებავთ?

ეპიხოდოვი. სავსებით შესაძლოა და, რასაკვირველია, მართალიც ბრძანდებით. (ისევ ამოიოხრავს) მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით თუ მივუდგებით ამ საკითხს, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის და თავს უფლებას მივცემ მოგახსენოთ, რომ თქვენ, ასე ვთქვათ, სულიერ მდგომარეობაში ჩამაყენეთ!.. დიახ, ჩემო ფორტუნა

ჩემთვის ცნობილია, ყოველდღე რაღაც უბედურება უნდა შემემთხვას, მაგრამ მე შევეჩვიე ამას და ჩემ ბედიღბალს გაღიმებული შევცქერი. თქვენ თუ გახსოვთ, პირობა მომეცით...

დუნიაშა. სხვა დროს ვილაპარაკოთ, მე ახლა ვოცნებობ. (მარაოს ხელში ათამაშებს)

ეპიხოდოვი. უბედურებას შევეჩვიე-მეთქი და მხოლოდ ვიღიმები, ანდა, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, უბრალოდ ვიცინი.

(შემოდის ვარა)

ვარა. (ეპიხოდოვს) – შენ ჯერ არ წასულხარ? რა უპატივცემულოდ იქცევი სიმონ! (დუნიაშას) წადი აქედან. (ეპიხოდოვს) ვითომ რაო, სტუმარივით რომ გიჭირავს თავი? ან ის რა იყო, ბილიარდის კია რომ გატეხე?

ეპიხოდოვი. ჩემი ამბავი, სხვათა შორის, თქვენ არ გეკითხებათ.

ვარა. დალოცვილო, კი არ გიჯავრდები. უბრალოდ გითხარი, უსაქმოდ ნუ დაეხეტები-მეთქი! შენი ადგილი აქ არ არი. წადი და საქმეს მიხედე. კანტორის მოხელედ ამისთვის კი არ დაგიქირავეთ, უნდა იმუშაო.

ეპიხოდოვი. (ეწყინება) – ვმუშაობ თუ დავდივარ, ვჭამ თუ ბილიარდს ვთამაშობ, ამ საკითხზე თქვენ კი არა, საქმეში ჩახედულმა ხალხმა და ჩემმა უფროსებმა უდან იმსჯელონ. თქვენ ეს არ გეკითხებათ!

ვარა. (აფეთქდება) – როგორ მიბედავ?! მაშ არაფერი მესმის? გაეთრიე აქედან!

ეპიხოდოვი. (ცოტა დამფრთხალი) – მე გთხოვთ, ზრდილობიანი გამოთქმები იხმაროთ...

ვარა. (გაცეცხლებული) – გაეთრიე-მეთქი, თვალით აღარ დამენახო!

(ეპიხოდოვი მიდის, ვარა გაეკიდება)

უყურე ამ ბედოვლათს?! ჰო, რას მომჩერებიხარ? მიბრძანდი, მიბრძანდი! აბა, გაგიბედია და აქ შემოსულხარ, თავს გაგიხეთქავ! (ეპიხოდოვი გაიძურწება, კარს უკან მისი ხმა ისმის: „მე თქვენ გიჩივლებთ!“) კი-

დევ მოძვრები? (კართან მიყდებულ ჯოხს ხელს დაავლებს) მოდი, თუ ბიჭი ხარ! მე შენ გაჩვენებ... (ჯოხს მოიქნევს, ამ დროს სასტუმროში ლოპახინი შემოვა)

ლოპახინი. დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ვარა. (გაბრაზებულია, თან შეწუხებული, ოდნავ დამცინავად) – მაპატიეთ...

ლოპახინი. არაფერი... დიდად მასიამოვნეთ. გმადლობთ!

ვარა. არ ღირს. (ოდნავ მოლბება) გეტკინათ?

ლოპახინი. ისე რა... კოპი კი ნამდვილად დამიჯდება.

(დარბაზში დაიძახებენ: „ლოპახინი ჩამოსულა! ერმოლაი ალექსეიჩ!“)

პიშჩიკი. ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! (გადაეხვევა და კოცნის) კონიაკის სუნი გდის, საყვარელო, ეტყობა, გიქეიფია! ჩვენც, როგორც ხედავ, ვმხიარულობთ! (სწრაფად შემოდის ლუბოვ ანდრეევნა)

ლუბოვ ანდრეევნა. ერმოლაი ალექსეევიჩ! რატომ დაიგვიანეთ? ჩემი ძმა სად არი?

ლოპახინი. ერთად ჩამოვედით, ამ წუთში მოვა.

ლუბოვ ანდრეევნა. (საშინლად ღელავს) – მითხარით, ჩქარა აუქციონი შედგა?

ლოპახინი. (იშმუშნება, ეტყობა რაღაც უხარია, მაგრამ გრნობის გამჟღავნება არ სურს) – დიახ... ოთხი საათისთვის დამთავრდა. მატარებელზე დავაგვიანეთ და ათის ნახევრამდე მოგვიხდა მოცდა. (ღრმად ამოიოხრავს) უჰ, თავბრუ მეხვევა... დარეტიანებულივით ვარ... (შემოდის გაევი. მარჯვენა ხელში საყიდლები უჭირავს, მარცხენათი ცრემლს იწმენდს)

ლუბოვ ანდრეევნა. (პაუზის შემდეგ) როგორაა საქმე, ლეონიდ? (მოუთმენლად, ლამის ატირდეს) ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ!

გაევი. (ხელს ჩაიქნევს და ფირსს მიუბრუნდება) – აი გამომართვი, სარდალა თევზია და ქერჩის ქაშაყი... დილიდან არაფერი მიჭამია... ღმერთო ჩემო, რა გადავიტანე! (საბილიარდოს კარი ღიაა, იქიდან ბურთების ჭახაჭუხი და იაშას ხმა ისმის: „შვიდი და თვრამეტი!“ გაევს სახე

დაუმშვიდდება, იგი აღარ ტირის) საშინლად დავიღალე... წამომყევი, ფირს, ტანსაცმელს გამოვიცვლი... (მიდის, ფირსი მიყვება)

პიშჩიკი. (გაეკიდება) – მაშ, ვაჭრობა შედგა? მოიცა, კაცო, გაგვაგებინე რა მოხდა?!

ლუბოვ ანდრეევნა. (პაუზის შემდეგ – როგორია საქმე ლეონიდ? (მოუთმენლად, ლამის ატირდეს) ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ!

ლოპახინი. გაიყიდა.

ლუბოვ ანდრეევნა. ვინ... იყიდა?

ლოპახინი. მე ვიყიდე... მოიცათ, ბატონებო... ღვთის გულისათვის მოიცათ... გონება დამიბნელდა და ლაპარაკი მიჭირს... (იცინის) მაშ ასე, თავიდან დავიწყებ... ბაზრობაზე მივედით. დერიგანოვი, რასაკვირველია, აქ დაგვხვდა. ლეონიდ ანდრეევიჩს ჯიბეზე მხოლოდ თხუთმეტი ათასი ჰქონდა, დერიგანოვმა კი თავიდანვე, ვალს ზევით ოცდაათი ათასი გამოაცხადა... ვხედავ, საქმე ცუდადაა. შევავაჭრე და ორმოცი დავიძახე, იმან – ორმოცდახუთიო, მე – ორმოცდათხუთმეტი... და ასე: ის თანდათან ხუთ-ხუთს უმატებდა, მე კი ათზე ნაკლებს არ ვიძახდი... ბოლოს, იმით გათავდა, რომ მე, ვალს ზევით ოთხმოცდაათი ვთქვი და... ალუბლის ბაღი ჩემია!.. ჩემი (ხარხარებს) ღმერთო დიდებულო, ალუბლის ბაღი ჩემია!.. მითხარით, გეთაყვა, იქნებ მთვრალი ვარ? იქნებ ჭკუაზე არა ვარ? იქნებ ეს ყველაფერი მესიზმრება? (ფეხებს აბაკუნებს) ნუ დამცინით, ნუ! ნეტა ახლა საფლავიდან მამაჩემი და პაპაჩემი წამოაყენა, რომ საკუთარი თვალით დაენახათ, საკუთარი ყურით გაეგონათ, რაც მოხდა!.. მათმა ნაშიერმა ერმოლაიმ, წერაკითხვის უცოდინარმა, სოფლელმა ბიჭმა ერმოშკამ, ყველა რომ თავში უტყაპუნებდა, ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი რომ დარბოდა, მამული იყიდა! თან რა მამული? რომლის მსგავსი ქვეყანაზე არ მოიძებნება!.. მე, მე ვიყიდე. მე დავეპატრონე ამ მიწას, ამ კარმიდამოს, ამ სახლს, სადაც მამაჩემი და პაპაჩემი ყმები იყვნენ და

მათ სამზარეულოს იქით არ უშვებდნენ! არ მჯერა, არ ღმერთმანი, არ მჯერა! ეს შეუძლებელია!... იქნებ სიზმარში ვარ? იქნება ეს ყველაფერი თქვენი ფანტაზიის ნაყოფია და სინამდვილეში არაფერიც არ მომხდარა?! (იატაკზე დაგდებულ გასაღებებს აიღებს, ალერისანად გაეღიმება) გასაღები გადააგდო... აქაოდა, ამ სახლის პატრონი აღარა ვარო... (ასხმას ხელში შეათამაშებს) დე, ასე იყოს... სულერთია.

(დარბაზში ორკესტრი დასაკრავად ემზადება, მუსიკალური ინსტრუმენტების არეული ხმა ისმის)

თქვენ, ეი! რომელი ხართ მანდ? მუსიკის მოსმენა მსურს! ყველანი აქ მოდით! მოდით და ერმოლაის ლოპახინს შეხედეთ? თქვენი თვალით დაინახეთ, როგორ მიადგება ცულით ხელში ალუბლის ბაღს და ძირფესვიანად გადაჩეხავს!.. დაინახეთ, როგორ დაემხობიან მიწაზე ალუბლის ხეები!.. მერე აქ აგარაკები აშენდება და ჩვენი შვილები და შვილიშვილები ახალ ცხოვრებას დაიწყებენ!.. მუსიკავ, დასცხე!

(მუსიკის ხმა ისმის, ლუბოვ ანდრეევნა სავარძელში ჩაეშვა და ტირის. ლოპახინი მიუახლოვდება)

რატომ არ დამიჯერეთ? რატომ? დამშვიდდით, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო... ახლა უკვე გვიანაა, ვეღარაფერს დაიბრუნებთ! (ცრემლი მოერევა) ღმერთო ჩემო, ნეტა მალე გათავდებოდეს ეს ტანჯვა, რაღაცნაირად მაინც შეიცვალოს ჩვენი უხეირო და უბადრუკი ცხოვრება!

პიშჩიკი. (ხელს გამოსდებს, ხმამადაბლა). – ნუღარ შეავწუხებთ, დარბაზში გავიდეთ. (დარბაზში გაყავს).

ლოპახინი. არ ამბავია, რა მოწყენილობაა?! მუსიკავ, დასცხე! მკაფიოდ დაუკარით! ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მე მსურს! (ირონიით)

ახალი მემამულე მოდის. ალუბლის ბაღის პატრონი! (უცაბედად მაგიდას ფეხს წამოკრავს და ზედ დადგმული ძვირფასი ვერცხლის შანდალი შექანდება) ჯანი გავარდეს, ყველაფერს გადავიხდი (პიშჩიკთან ერთად გადის)

(სასტუმროში და დარბაზში აღარავინაა, მარტო ლუბოვ ანდრეევნა მოკალათებულა სავარძელში და ჩუმად ქვითინებს. სწრაფად შემოდიან ანა და ტროფიმოვი. ანა დედას მიუახლოვდება და მის წინ დაიჩოქებს. ტროფიმოვი დარბაზის შემოსასვლელში გაჩერდება)

ანა. დედა, დედიკო! ჩემო კეთილო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო... ნუ სტირი, საყვარელო! მე ხომ მიყვარხარ... მე ხომ შენთან ვარ... ალუბლის ბაღი გაიყიდა. იგი უკვე აღარ არსებობს... ეს მართალია, მაგრამ ნუ სტირი, შენ ხომ ცოცხალი ხარ, ხომ შეინარჩუნე შენი უმწიკვლო, სუფთა სული! წამოდი ჩემთან, საყვარელო... წავიდეთ აქედან. ნუ დარდობ. ჩვენ ახალს, ამაზე უკეთეს და დიდებულ ბაღს გავაშენებთ, შენ მას კიდევ იხილავ, მისი სილამაზით დატკბები და შენს სულში ისევე, როგორც მთის უბეში ჩასული მზე, წყნარი და უსაზრვრო სიხარული დაივანებს... და შენ მაშინ გაიღიმებ, დედა, გაიღიმებ და ისევ ბედნიერი გახდები! წამოდი, საყვარელო, წავიდეთ...

ფარდა

მეოთხე მოქმედება

პირველი მოქმედების დეკორაცია, მხოლოდ ახლა ფანჯრებს ფარდები აღარ აფარია და კედლებზეც სურათები არ ჩანს. მცირედი ავეჯიღა დარჩა, ისიც კუთხეშია მიდგმული, თითქო გასაყიდად გაამზადესო.

სცენაზე უცნაური სიცარიელე სუფევს. კართან, რომელსაც ბაღში გავყავართ, აგრეთვე სცენის სიღრმეში, – ჩემოდნები, ფუთები და სხვა, სამგზავროდ გამზადებული ნივთები აწყვია. მარცხენა კარი ღიაა, იქიდან ვარას და ანას ლაპარაკი ისმის. შუა ოთახში ლოპახინი დგას და ელოდება. იაშას ხელში ლანგარი უჭირავს – ზედ შამპანურით გავსებული სირჩებია. დერეფანში ეპიხოდოვი ხის ყუთს ლურსმნებს აჭედებს... სცენის მიღმა ხალხის მოგუდული ყაყანი ისმის: ეს გლეხები

მოსულან ბატონებთან გამოსამშვიდობებლად. გაევის ხმა: „გმადლობთ, ძმებო! დიდი მადლობა!"

იაშა. მდაბიო ხალხი მოსულა გამოსათხოვებლად... მე იმ აზრისა ვარ, რომ ამ ხალხს კეთილი გული აქვს, მაგრამ არაფერი გაეგება!

(ყაყანი წყდება. დერეფნიდან ლუბოვ ანდრეევნა და გაევი შემოდიან. ლუბოვ ანდრეევნა აღარ ტირის, მხოლოდ ძლიერ გაფითრებულია, სახე ემანჭება და ლაპარაკი უჭირს).

გაევი. აბა, ეს საქმეა? მთელი საფულე აჩუქე! არ შეიძლება ასე, ლუბა, არა!

ლუბოვ ანდრეევნა. რა ვქნა, სხავნაირად არ შემეძლო! არ შემეძლო სხვანაირად!

(მიდიან)

ლოპახინი. (ხმას დაადევნებს) – ბატონებო! მობრძანდით, სატალახო მაინც დავლიოთ! თითო ჭიქა გამოსამშვიდობებლად!.. ქალაქში ვერ მოვიფიქრე ყიდვა, სადგურში კი ერთი ბოთლის მეტი არ აღმოაჩნდათ... მობრძანდით! (პაუზა) მაშ არ გინდათ? ბატონებო, ბატონებო... (კარს მოშორდება) რომ მცოდნოდა, – არ ვიყიდდი... მარტო ხომ არ დავლევ! (იაშა ლანგარს ფრთხილად სკამზე ჩამოდგამს) შენ მაინც დალიე, იაშა.

იაშა. ნამსვლელ-დამრჩომს გაუმარჯოს! ბედნიერად გამყოფოთ! (სვამს) ეს შამპანური ნამდვილი არ უნდა იყოს.

ლოპახინი. არ ვიცი, რვა მანეთი კი მივეცი! (პაუზა) ცივა, ეს ოხერი!

იაშა. დღეს ფეხი არ აგვინთია, მაინც მივდივართ... (გაეცინება)

ლოპახინი. რა მოგივიდა?

იაშა. მესიამოვნა და ვიცინი.

ლოპახინი. ოქტომბერია, მზე კი როგორ ანათებს, თან რა სიჩუმეა, ზაფხული გეგონება! სწორედ ასეთ დროს უნდა დაიწყო კაცმა მშენებლობა... (საათს დახედავს და კარს გასძახებს) ბატონებო! მატარებლის გასვლამდე ზუსტად ორმოცდაექვსი წუთი დარჩა! ოცი წუთის შემდეგ სადგურში უნდა წავიდეთ! იჩქარეთ!

(შემოდის ტროფიმოვი, პალტო აცვია)

ტროფიმოვი. მე მგონი, წასვლის დროა, ეტლებიც მზად არის... დასწყეველოს ღმერთმა, ჩემი კალოში რა იქნა? (კარში) ანა! არც აქ ყოფილა! ვერ ვიპოვე!

ლოპახინი. მეც თქვენს მატარებელს გავყვები, ხარკოვში საქმე მაქვს. იქ, ალბათ, მთელ ზამთარს დავრჩები... არ შემიძლია უსაქმოდ ყოფნა! თქვენი გადამკიდე პირდაპირ გავიტანჯე! ამ ხელებს აღარ ვიცი რა ვუყო, ისე უცნაურად მკიდია, თითქოს მე არ მეკუთვნოდეს!

ტროფიმოვი. აი, წავალთ და ისევ თქვენ სასარგებლო საქმეს დაუბრუნდებით.

ლოპახინი. შამპანურს დალევს?

ტროფიმოვი. არ მინდა.

ლოპახინი. მაშ, ახალ მოსკოვში?

ტროფიმოვი. ჰო, ჩვენებს ქალაქში გავაცილებ და ხვალ მოსკოვისკენ გაწევ.

ლოპახინი. იქაური პროფესორები ალბათ ლექციებს აღარ კითხულობენ, სულ თქვენ მოლოდინში არიან?

ტროფიმოვი. შენ არ გეკითხება!

ლოპახინი. რამდენი წელია, რაც უნივერსიტეტში სწავლობ?

ტროფიმოვი. დალოცვილო, სხვა რომ გეთქვა, ამ ხუმრობას ყავლი გაუვიდა! (კალოშს ეძებს) იცი, რა... ჩვენ, ალბათ, უკვე აღარ შევხვდებით და ნებას თუ მომცემ, წასვლის წინ, ერთი რამ მინდა გირჩიო. ხელებს ნუ იქნევ! მოიშალე ეგ უშნო ჩვეულება – ხელების ქნევა! ის შენი ყბადაღებული აგარაკების მშენებლობაც. ის ვარაუდიც, რომ მოაგარაკენი თავის დროზე მეპატრონენი გახდებიან. – ეს ყველაფერი ხელების ქნევაა... ჰოდა, მოიშალეთ, თუ ღმერთი გწამს! ასეა თუ ისეა, მე მაინც მიყვარხარ და შენთვის სიკეთე მინდა – თითები გაქვს უცნაური: ნაზი და ჩამოქნილი, თითქოს არტისტი იყო... სულიც მგრძნობიარე გაქვს.

ლოპახინი. (გულაჩუყებული მოეხვევა) – მშვიდობით, ჩემო კარგო! მადლობელი ვარ... გინდა, ფულს მოგცემ, გზაში დაგჭირდება.

ტროფიმოვი. რა საჭიროა?

ლოპახინი. უფულოდ რომ ხარ?

ტროფიმოვი. ვინ გითხრა? დღეს თარგმანში მივიღე. აი, აქ მიდევს! (ჯიბეზე ხელს დაიკრავს) მაინც გმადლობთ. (შეშფოთებული) სად დაიკარგა ის ოხერი კალოში?

ვარა. (გვერდით ოთახიდან) – ინებეთ თქვენი სისაძაგლე! (სცენაზე გამოისვრის წყვილ კალოშს)

ტროფიმოვი. რა გაჯავრებს, ქალო?... (დახედავს) ეს ჩემი კალოში არ არი!

ლოპახინი. წლეულს გაზაფხულზე ათასი დესეტინა ხაშხაში დავთესე და ორმოცი ათასი მანეთი მოგება მერგო! უნდა გენახა, რა ლამაზად ჰყვაოდა ჩემი ხაშხაში!.. ჰოდა, იმას ვამბობდი ორმოცი ათასი სუფთა მოგება მერგო-მეთქი. რამდენიც გინდა შემიძლია გასესხო!.. ცხვირს რატომ იბზუებ? მე, ძმაო, უბრალო კაცი ვარ, გლეხის შვილი, და ალალი გულით გეუბნები!

ტროფიმოვი. მამაშენი გლეხი იყო, მამაჩემი – აფთიაქარი რა განსხვავებაა? ეს არაფერს არ ნიშნავს. (ლოპახინი საფულეს ამოიღებს) შეინახე, არ მინდა, ორასი ათასიც რომ მომცე, არ ავიღებ. მე თავისუფალი კაცი ვარ. ყველაფერი, რასაც თქვენ, მდიდრებიც და მათხოვრებიც, ასე დიდად აფასებთ, ჩემზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს, ისევე, როგორც მაგალითად, მტვერი ან ბუმბული, ჰაერში რომ დაფრინავს... უთქვენოდაც მშვენივრად გავძლებ! ისე ჩაგივლით გვერდით, რომ ზედაც არ შემოგხედავთ! ამაყი ვარ და ძლიერი! კაცობრიობა უმაღლესი ჭეშმარიტებისაკენ მიისწრაფვის, ბედნიერებას ეწაფება, და მისი პირველ რიგებში თუ ვინმე მიაბიჯებს, მათ შორის – მეცა ვარ.

ლოპახინი. მიხვალ კი, იმ შენ ჭეშმარიტებასთან თუ ბედნიერებასთან?

ტროფიმოვი. (დაბეჯითებით) – მივალ. (პაუზა) მე თუ ვერ მოვედი, სხვებს მივასწავლი გზას! (გარედან ოთახში ცულის კაკუნი შემოიჭრება) ბაღში უკვე ხეებს ჩეხავენ...

ლოპახინი. მშვიდობით, ჩემო კარგო... წასვლის დროა. ჩვენ აქ ერთმანეთის წინაშე ცხვირს ვიბზუებთ, ვიჭიმებით, ცხოვრება კი ამ დროს მიდის და თითებშუა გვეცლება.. მუშაობაა საჭირო, მუშაობა! დიდხანს რომ ვშრომობ, დაღლასაც ვერ ვგრძნობ, ფიქრიც მიადვილდება და ისე მგონია, ჩემთვისაც გასაგები ხდება, რისთვის ვარსებობთ ამქვეყნათ... არადა, რამდენია რუსეთში ისეთი, ვინც თვითონ არ იცის. რისთვის ცხოვრობს!.. (პაუზა) ლეონიდ ანდრეიჩს, ამბობენ, ბანკში ადგილი მიუღიაო, ექვსი ათასი ექნება... მეტი არაა ჩემი მტერი, რაც იმან იქ იმუშაოს! ზარმაცია.

ანა. (კარში გამოჩნდება) – დედამ გთხოვათ, სანამ ჩვენ წავალთ, ხეებს ნუ მოჭრიანო!

ტროფიმოვი. მართლაც, რა უტიფრობაა! ვეღარ მოიცადეს?! (გაგულისებული გადის დერეფანში)

ლოპახინი. ახლავე, ახლავე... რა ხალხია, ღმერთო! (ტროფიმოვს მიყვება)

ანა. ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

იაშა. დილით უნდა წაეყვანათ, მე დავუბარე.

ანა. (შემოსულ ეპიხოდოვს) – სიმონ! გაიგეთ ერთი, ფირსი თუ წაიყვანეს საავადმყოფოში.

იაშა. (აიმრიზება) – ხომ გითხარით, დავუბარე-მეთქი, ეგორს უნდა წაეყვანა. ასჯერ ხომ არ ვეტყოდი!

ეპიხოდოვი. ღრმად მოხუცებულ ფირსს, ჩემი საბოლოო აზრით, ვერავითარი შეკეთება ვეღარ უშველის... მისი ადგილი სასაფლაოზეა და, მართალი გითხრათ, მშურს კიდეც მისი. (ჩემოდანს მუყაოს კოლოფზე დადგამს და კოლოფი ჩაიჭყლიტება) აი, ხედავთ? ასეც ვიცოდი (გადის)

იაშა. (დაცინვით) – ბედოვლათი!

ვარა. (კარს უკან) – ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში.

ანა. წაუყვანიათ.

ვარა. აბა, ექიმისთვის გადასაცემი წერილი აქ რომ დარჩა?

ანა. დაავიწყდებოდათ, გავატანოთ ვინმეს.

ვარა. (კარს უკან) – იაშა სად ბრძანდება? გადაეცით, დედამისი მოვიდა, უნდა გამოემშვიდობოს!

იაშა. (ხელს ჩაიქნევს, გაგულისებული) – მოთმინებიდან გამოიყვანენ კაცს.

(დუნიაშა ამ დროს ბარგთან ფუსფუსებს. იგი დაინახავს, რომ იაშა მარტოა და მიუახლოვდება)

დუნიაშა. ერთხელ მაინც შემხედეთ, იაშა... მაშ, მიდიხართ და მტოვებთ? (ატირდება და მოეხვევა)

იაშა. (მოიცილებს) – კმარა, კმარა... რა საჭიროა ცრემლი? (შამპანურს სვამს) მივდივარ, დიახ... ექვსი დღის შემდეგ ისევ პარიზში ვიქნები. ხვალ სასწრაფო მატარებელში ჩავსხდებით და... ადიუ! კარგად მეყოლეთ! ღმერთო ჩემო, არა მჯერა, თუ ასე იქნება! ვივ ლა ფრანს! ყელში ამოვიდა თქვენთან ცხოვრება. რას იზამ? ველურობას გადავეჩვიე და მიკვირს კიდეც თქვენს გაუნათლებელ საზოგადოებაში ამდენ ხანს როგორ გავძელი! (შამპანურს სხვამს) აბა, რა გატირებთ? წესიერად მოქცეულიყავით და აღარ იტირებდით.

დუნიაშა. (იპუდრება, სარკეში იყურება) – პარიზიდან წერილი მაინც მოიწერეთ, მე ხომ მიყვარდით იაშა... ო, როგორ მიყვარდით! არ ვიცი, უთქვენოდ როგორ გავძლებ!

იაშა. აქეთ მოდიან... (ბარგს უტრიალებს და ჩუმად ღიღინებს)

(შემოდიან ლუბოვ ანდრეევნა, გაევი, და შარლოტა)

გაევი. წავიდეთ, თორემ დავაგვიანებთ. (იაშას მიაშტერდება) დასწყევლოს, ისევ ქათმის სუნი მცემს!

ლუბოვ ანდრეევნა. ათ წუთში წავალთ...

(ოთახს თვალს მოავლებს) მშვიდობით, ჩემო სახლო, ჩემო ტკბილო და ბებერო სახლო! ზამთარი გავა, ზაფხული დადგება და შენ უკვე აღარ იქნები, დაგანგრევენ. ო, ღმერთო! რამდენი რამ ახსოვთ ამ კედლებს! (ანას ხარბად კოცნის) ჩემო საუნჯევ, ჩემო ანგელოზო... შენ იცინი შენი თვალები ალასებივით ბრწყინავენ... კმაყოფილი ხარ? გიხარია?

ანა. მიხარია, დედა! ახალი ცხოვრება იწყება!

გაევი. (გახალისებული) – მართლაც, ლუბა, ხომ იცი! ყველაფერი კარგად მოეწყო, სანამ ალუბლის ბაღს გაყიდიდნენ, ყველანი ვღელავდით, ვწუხდით, გამოსავალს ვეძებდით, ახლა კი, საბოლოოდ რომ გაირკვა მდგომარეობა, გული დაგვიმშვიდდა და გავმხიარულდით კიდეც... მე, მაგალითად, ამჟამად ბანკის მოხელე ვარ, ასე ვთქვათ, ფინანსისტი... რათა ცუდი? დუპლეტით შუაში ვურტყავ! შენც, ჩემო დაო, ასეა თუ ისეა, უკეთესად გამოიყურები. განა ასე არ არი, ბატონებო?

ლუბოვ ანდრეევნა. ჰო, ასეა. ნერვები დამიწყნარდა. (შლიაპას და პალტოს მიართმევენ) უკეთესად მძინავს!.. იაშა, ჩემი ხელბარგი გაიტანეთ... (ანას) ჩემო გოგონავ, ჩვენ მალე ისევ შევხვდებით. პარიზში, ალბათ დიდხანს არ გავჩერდები. ის ფული, შენმა იაროსლაველმა ბებიამ მამულის გამოსასყიდად რომ გამოგზავნა.

– გაუმარჯოს ბებიას! – სულ ცოტა ხანს მეყოფა...

ანა. შენ მალე დაბრუნდები დედა, სულ მალე. მე დარწმუნებული ვარ. ამასობაში ვიმეცადინებ, გიმნაზიაში გამოცდებს ჩავაბარებ და სამსახურში მოვეწყობი. თუ გაგიჭირდა, დაგეხმარები კიდეც! მერე კი სულ ერთად ვიქნებით, ერთად წავიკითხავთ საინტერესო წიგნებს... (დედას ხელბს უკოცნის) შემოდგომით, საღამო ხანს ბუხართან დავსხდებით, წიგნებს წავიკითხავთ და ჩვენს წინაშე ახალი, გასაოცარი სამყარო გადაიშლება... (ოცნებაშია) შენ ოღონდ მალე ჩამოდი, დედა!

ლუბოვ ანდრეევნა. ჩამოვალ, შვილო... რასაკვირველია, ჩამოვალ. (ეხვევა, კოცნის).

(შემოდის ლოპახინი. შარლოტა ჩუმად აღიღინდება)

გაევი. ბედნიერია შარლოტა, მღერის!

შარლოტა. (ერთ-ერთ ფუთას აიღებს, ჩვილი ბავშვივით გულში ჩაიკრავს და უნანავებს) – ჩემო შვილო, ჩემო პატარავ... ნანა, შვილო, ნანა...

(მოისმის ბავშვის ღნავილი: „უაააა!“)

სუ, გენაცვალე! ნუ ტირი, ჩემო ბიჭიკო!

(„უაა! უაა!“)

ო, როგორ მეცოდები!.. (ფუთას გადააგდებს, ლოპახინს) მაშ, თქვენ სამსახურს მპირდებით? იმედია, სიტყვას არ გადახვალთ, უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია!

ლოპახინი. სადმე მოგაწყობთ, შარლოტა ივანოვნა. უეჭველად.

გაევი. ყველანი გვშორდებიან, ვარინკაც მიდის... აღარავის არ ვჭირდებით.

შარლოტა. ქალაქში სად ვიცხოვრო? არადა, უნდა წავიდე... (ღიღინებს) ეჰ. სულერთია!

(სწრაფად შემოდის პიშჩიკი)

ლოპახინი. ბუნების სასწაული გვეწვია!

პიშჩიკი. (სულს ძლივს ითქვამს) – ვაიმე... მაცალეთ, სული მოვითქვა... გავწვალდი კაცი... სალამი, პატივცემულნო!.. წყალი დამალევინეთ, თუ ღმერთი გწამთ...

გაევი. ფულის სასესხებლად მოვიდოდა... მამა გიცხონდა, დიახ! წავედი მე. (გადის)

პიშჩიკი. რა ხანია თქვენთან არ ვყოფილვარ... (ლუბოვ ანდრეევნას) ულამაზესო... (ლოპახინს) გამარჯობა შენი... მიხარია, რომ გხედავ... უზარმაზარი ჭკუის კაცი ხარ... აჰა, აიღე... გამომართვი... (ფულს გაუწვდის) აქ ოთხასი მანეთია, რვაასორმოცი ჩემზე იყოს.

ლოპახინი. (გაკვირვებით მხრებს აიჩეჩავს) – სიზმარში ხომ არ ვარ? სად იშოვნე?

პიშჩიკი. მაცალე ერთ წამს... უჰ, ცხელა! სასწაული ამბავი მოხდა. ინგლისელები ჩამოვიდნენ და ჩემს მამულში რაღაც თეთრი თიხა აღმოაჩინეს! (ლუბოვ ანდრეევნას) თქვენც, ულამაზესო, აი... ოთხასი მანეთი, ინებეთ. (სულს აძლევს) დანარჩენს მერე მოგართმევთ. (წყალს სვამს) ახლახან, ვაგონში, ერთი ახალგაზრდა კაცი ყვებოდა, თითქოს ვიღაც გამოჩენილი ფილოსოფოსი ადამიანებს სახლის სახურავიდან გადმოხტომას ურევდაო..., „გადმოხტითო, – უთქვამს – და ყველაფერი ერთ წუთში გაირკვევაო!.." (გაოცებული) ხედავ შენ, რაში ყოფილა საქმე?!.. წყალი!..

ლოპახინი. (დაინტერესებით) – ვინ ინგლისელები არიან?

პიშჩიკი. არ ვიცი... მიწის ნაკვეთი იჯარით მივეცი... ოცდაოთხი წლის ვადით... ახლა კი, მაპატიეთ, გაქცევაზე ვარ, არა მცალია... ზნოიკოვთან უნდა მივიდე, კარდანოვთან... ყველასი მმართებს... (წყალს სვამს) კარგად მენახეთ! ოთხშაბათს გინახულებთ...

ლუბოვ ანდრეევნა. ჩვენ ქალაქში გადავდივართ საცხოვრებლად... მე კი ხვალ საზღვარგარეთ...

პიშჩიკი. რაო? (შეშფოთდება) ქალაქში? ღმერთო ჩემო... მეც არ ვიფიქრე, ეს ავეჯი, ეს ჩემოდნები... თუმცა არა უშავს... (ცრემლი მოადგება) არაფერია... უდიდესი ჭკუის ხალხია ეს ინგლისელები... არა უშავს... ღმერთი შეგეწევათ... ბედნიერებას გისურვებთ... არა უშავს, ყველაფერს ამქვეყნად ბოლო აქვს... (ლუბოვ ანდრეევნას) (ხელზე კოცნის) ერთი რამ მინდა გთხოვოთ... ვინიცობაა, ჩემი აღსასრულის ამბავს თუ გაიგებთ, გაიხსენეთ ის... ცხენი... და თქვით: „ასეთი და ასეთი კაცი იყოთქო. სემიონოვ-პიშჩიკი. ღმერთმა შეიწყალოს-თქო!.." გადასარევი ამინდია დღეს... ჰო... (საშინლად აღელვებული მიდის, მერე დაბრუნდება და კარში გაჩერდება) ჰო, მართლა... დაშენკამ მოკითხვა შემოგითვალათ... (გადის)

ლუბოვ ანდრეევნა. ახლა კი წავიდეთ, მგონი ყველაფერი მოვაგვარე. ორი საზრუნავიღა დამრჩა: ერთი – ავადმყოფი ფირსია. (საათს დახედავს) ხუთი წუთი კიდევ გვაქვს.

ანა. ნუ წუხარ, დედა, ფირსი უკვე საავადმყოფოშია, იაშას გადაუყვანია ამ დილით.

ლუბოვ ანდრეევნა. მეორე სადარდებელი ვარინკაა. ადრე ადგომასა და შრომას მიეჩვია და ახლა უსაქმოდ რომ დარჩა, წყლიდან ამოგდებული თევზივითაა. გახდა საწყალი, ფერი წაუვიდა, სულ ტირის... (პაუზა) ერმოლაი ალექსეიჩ! ვარას ამბავი თქვენ სხვებზე უკეთესად იცით... დიდი ხანია ვოცნებობდი... ერთი სიტყვით, მუდამ მინდოდა, რომ ცოლად გეთხოვათ და თქვენც, მგონი, უარზე არ იყავით *(ანას შარლოტაზე ანიშნებს და*

ისინი გადიან) მე მგონი მოგწონთ ჩემი ქალიშვილი? გამაგებინეთ, რაშია საქმე? რატომ გაურბიხართ ერთმანეთს?

ლოპახინი. თვითონაც არ ვიცი... რაღაც უცანურად ხდება ყველაფერი... თუმცა, დრო თუ დაგვრჩა და მატარებელზე არ დაგვაგვიანდება – მე მზად ვარ, თუნდაც ახლავე... არა, მართლა! გადავწყვიტოთ და მოვრჩეთ ამ საქმეს! ისევ თქვენ თუ დამეხმარებით, თორემ უთქვენოდ ვერაფერს გავხდები!

ლუბოვ ანდრეევნა. ჩინებულია! ამ ამბავს სულ ერთი წუთი დასჭირდება. ახლავე დავუძახებ.

ლოპახინი. ბარემ შამპანურიც გვაქვს... (სირჩებს გადახედავს) ვიღაცას დაულევია... (იაშა ჩაახველებს) ამაზე იტყვიან, გამოწრუპაო!

ლუბოვ ანდრეევნა. (გამოცოცხლებული) – შესანიშნავია... ჩვენ გავალთ. იაშა, ***allez***!

ახალვე დავუძახებ. (კარში) ვარანკა თავი გაანებე ყველაფერს და მოდი! გესმის! ვარა (იაშასთან ერთად გადის)

ლოპახინი. (საათს უყურებს) – მაშ ასე... (პაუზა)

(კარს უკან თავშეკავებული სიცილი და ჩურჩული ისმის. შემოდის ვარა)

ვარა. (ბარგს მიაშურებს და ათვალიერებს) – სად დაიკარგა, ნეტა?'ლოპახინი. რას ეძებთ?

ვარა. თვითონ ჩავდე და აღარ მახსოვს.

(პაუზა)

ლოპახინი. საით აპირებთ ახლა, ვარვარა მიხაილოვნა?

ვარა. რაგულინებთან წავალ... მეკუჭნავედ დავუდგები. უკვე მოველაპარაკე.

ლოპახინი. ეგ სად, იაშნევოში? იქამდე, თუ არ ვცდები სამოცდაათი ვერსია? (პაუზა) მაშ ასე... ამ სახლში ცხოვრება დამთავრებულია.

ვარა. (ისევ ბარგს ათვალიერებს) – სად დაიკარგა ის ოხერი? ზანდუკში ხომ არ ჩავდე?.. ამ სახლში ცხოვრება მართლა დამთავრდა, და აღარასოდეს არ განმეორდება...

ლოპახინი. მეც დღეს ხარკოვში მივდივარ – თქვენთან ერთად, იმავე მატარებლით... აქ კი ეპიხოდოვს ვტოვებ, მოურავად მეყოლება, უკვე გავურიგდი.

ვარა. კარგია, რა უჭირს... (პაუზა)

ლოპახინი. შარშან ამ დროს გვარიანად თოვდა. ახლა კი მზიანი ამინდია. ერთია მხოლოდ, მაინც ახლა კი მზიანი ამინდია. ერთია მხოლოდ, მაინც ყინავს... არანაკლებ სამი გრადუსი იქნება.

ვარა. შესაძლოა... თერმომეტრისათვის არ შემიხედავს... (პაუზა) თანაც, გატეხილია ჩვენი თერმომეტრი. (პაუზა).

(გარედან ვიღაც დაიძახებს: „ერმოლაი ალექსეიჩ!“)

ლოპახინი. (თითქოს ამ ძახილს ელოდაო) – ახლავე) (სწრაფად გადის) (ვარა ძირს დაეშვება, თავს ბარგზე მიდებს და გულამომჯდარი ქვითინებს. კარი გაიღება. ფრთხილად შემოდის ლუბოვ ანდრეევნა)

ლუბოვ ანდრეევნა. რაო?

(პაუზა)

წავიდეთ, შვილო, დროა...

ვარა. (აღარ ტირის, თვალებს იმშრალებს) – ჰო, დედიკო, წავიდეთ. დღეს კიდე მოვასწრებ რაგულინებთან მისვლას...

ლუბოვ ანდრეევნა. (კარს გასძახებს) – ანა! ჩაიცვი, მივდივართ! (შემოდიან ანა, შემდეგ გაევი, შარლოტა ივანოვნა. გაევს პალტო აცვია, მხარზე ყაბალახი აქვს გადაგდებული. შემოდიან მოსამსახურეები, მეეტლები, ეპიხოდოვი ბარგს უტრიალებს)

აბა, გზას გავუდგეთ!

ანა. (სიხარულით) – გზას გავუდგეთ!

გაევი. მეგობრებო! ჩემო ძვირფასო, საყვარელო მეგობრებო! ვტოვებ რა სამუდამოდ ამ სახლს, არ შემიძლია არ გამოვთქვა ის გრძნობა, ის მღელვარება, რომელიც...

ანა. (საყვედურით, მუდარით) – ძია!

ვარა. გაჩერდი, ძია, რა საჭიროა?

გაევი. (ნირწამხდარი) – დუპლეტით კუთხიდან ვურტყავ... ჰო, კარგი... ჩუმად ვარ, ჩუმად!

(შემოდის ტროფიმოვი, მერე ლოპახინი)

ტროფიმოვი. დავიძრათ, ბატონებო. რაღას ვუცდით?

ლოპახინი. ეპიხოდოვ, პალტო!

ლუბოვ ანდრეევნა. ერთ წამს ჩამოვჯდები... ასე მგონია, ეს სახლი არასოდეს მინახავს: რანაირი კედლებია, ჭერი, ფანჯრები... როგორ მინდა ყოველივე ეს დავიმახსოვრო!

გაევი. მახსოვს. ექვსი წლის რომ ვიყავი, წმინდა სამების დღეს ამ ფანჯრის რაფაზე ვიჯექი და მამაჩემს ვუყურებდი, ეკლესიაში მიდიოდა...

ლუბოვ ანდრეევნა. ბარგი გაიტანეს?

ლოპახინი. ჰო, გაიტანეს. (ეპიხოდოვს, რომელიც პალტოს აცვამს) აბა, შენ იცი, კარგად მიხედე აქაურობას!

ეპიხოდოვი. (ხმაჩახლეჩით) – არხეინად იყავით, ყველაფერი რიგზე იქნება!

ლოპახინი. ხმა რატომ ჩაგხლეჩია?

ეპიხოდოვი. წყალი დავლიე და რაღაც გადავაყოლე!

იაშა. (ტუჩამრეზით) – უმეცრება!

ლუბოვ ანდრეევნა. აი, წავალთ ახლა და ამ სახლში ერთი სულიერიც არ დარჩება.

ლოპახინი. მხოლოდ გაზაფხულამდე.

ვარა. (ფუთიდან ქოლგას ამოაძრობს, მოიქნევს. ლოპახინი განზე გახტება) – როგორ გეკადრებათ... არც მიფიქრია.

ტროფიმოვი. წავიდეთ, ბატონებო, წავიდეთ! მატარებელი საცაა ჩამოდგება.

ვარა. (ტროფიმოვს) – აი, თქვენი კალოში, ჩემოდნის გვერდით ეყარა. (ცრემლი მოადგება) რა მოსვრილია, რას გავს!

ტროფიმოვი. (კალოშს იცვამს) – დაუჩქარეთ, დროა!

გაევი. (ღელავს, ლამის ატირდეს) – მატარებელი... სადგური... დუპლეტით შუაში!.. თავისუფალ კუთხეში ვურტყამ!..

ლუბოვ ანდრეევნა. აბა, წავედით!

ლოპახინი. ყველანი აქ ხართ? იქით ხომ არავინ დარჩენილა?

(მარცხენა კარს გასაღებით კეტავს) გაბრძანდით ახლა!

ანა. მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, ძველო ცხოვრებავ!

ტროფიმოვი. ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს! (ანასთან ერთად გადის)

(ვარა ოთახს თვალს მოავლებს და აუჩქარებლად მათ მიყვება. გადიან იაშაც და შარლოტაც, რომელსაც ხელში ფინია უჭირავს).

ლოპახინი. მაშ, გაზაფხულამდე! გადით, ბატონებო, ნახვამდის! (გადის) ლუბოვ ანდრეევნა და გაევი მარტო რჩებიან. ისინი თითქო ამას ელოდნენო: გადაეხვევიან ერთმანეთს და ჩუმად, თავშეკავებულად ქვითინებენ)

გაევი. (სასოწარკვეთილი ჩურჩულით) – დაო... ჩემო საყვარელო დაო...

ლუბოვ ანდრეევნა. ო, ჩემო ერთადერთო, ჩემო მშვენიერო, დაუვიწყარო სახლო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ახალგაზრდობავ, ჩემო სიხარულო და ბედნიერებავ! მშვიდობით! მშვიდობით!

(ანას ხალისიანი ხმა: „დედა!"

ტროფიმოვის მხიარული, მგზნებარე შეძახილი: „აუუ!"

ლუბოვ ანდრეევნა. უკანასკნელად... უკანასკნელად მინდა შევხედო ამ კედლებს, ამ ფანჯრებს... ამ ოთახში განსვენებულ დედაჩემს უყვარდა ყოფნა...

გაევი. დაო... ჩემო საყვარელო დაო...

(ანას ხმა: „დედა!"

ტროფიმოვის ხმა: „აუუ!")

ლუბოვ ანდრეევნა. მოვდივართ!

(გადიან)

(სცენა ერთხანს ცარიელია. გარედან გარკვევით ისმის როგორ კეტავენ კარებს, დარაბებს, როგორ დაიძრებიან ეტლები... მერე სრული სიჩუმე დაისადგურებს. ამ სიჩუმეში ისევ ცულის კაკუნი შემოიჭრება: ბაღში ხეებს ჩეხავენ. ეს კაკუნი საოცრად ობლად და მწუხარედ ჟღერს... მერე ფეხის ხმა ისმის. შემოდის ფირსი. მას ჩვეულებრივად შავი პიჯაკი და თეთრი ჟილეტი აცვია. ძლივს მოლასლასებს. იგი ავადაა)

ფირსი. (მარცხენა კართან მიდის და სახელურს ხელს მოკიდებს) – ჩაუკეტიათ, ყველანი წასულან. (დივანზე ჯდება) მეკი დამივიწყეს... რას იზამ? დავჯდები აქ – და ვიქნები ჩემთვის... ლეონიდ ანდრეიჩი, ალბათ, ისევ ზაფხულის თხელ პალტოში გაემგზავრა... (შეწუხებული ამოიოხრავს) მეც ვერ მივხედე. ... ეჰ, ახალგაზრდობავ!.. (ბურტყუნებს გაუგებრად) ისე გაიარა ცხოვრებამ, თითქო არც მიცხოვრიაო.... (წამოწვება) აი, დავისვენებ ცოტას და... ეს ოხერი ღონეც რომ გამომელია?! აღარაფერი დაგრჩენია, ბებერო, აღარაფერი... ჰოდა, იყავი ასე, შე დოყლაპიავ! (უძრავად წევს).

(უცებ შორიდან გაწყვეტილი სიმის შემზარავი ხმა შემოიჭრება. იგი თითქო მაღლიდან მოდის – მწუხარე, ნაღვლიანი – და თანდათან წყდება. სცენაზე სრული სიჩუმეა. მხოლოდ ბარიდან შემოჭრილი ცულის რიტმული კაკუნი არღვევს მყუდროებას).

ფარდა

ანტონ ჩეხოვი

ალუბლის ბაღი*

კომედია 4 მოქმედებად

დაიწერა 1904 წელს.
თარგმნა მანანა ანთაძე-ციციშვილმა 2004 წელს.
პიესა ითარგმნა გიორგი მარგველაშვილისთვის
სპექტაკლი მიეძღვნა მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნას.

მოქმედი პირნი:

რანევსკაია, ლიუბოვ ანდრეევნა, მემამულე
ანია, მისი ქალიშვილი, 17 წლის
ვარია, რანევსკაიას შვილობილი, 24 წლის
გაევი, ლეონიდ ანდრეევიჩი, რანევსკაიას ძმა
ლოპახინი, ერმოლაი ალექსეევიჩი, ვაჭარი
ტროფიმოვი, პიოტრ სერგეევიჩი, სტუდენტი
სიმეონოვ-პიშჩიკი, ბორის ბორისოვიჩი, მემამულე
შარლოტა ივანოვნა, გუვერნანტი
ეპიხოდოვი, სემიონ პანტელეევიჩი, მოხელე
დუნიაშა, მოახლე
ფირსი, ლაქია, 87 წლის
იაშა, ახალგაზრდა ლაქია
გამვლელი
სადგურის უფროსი
ფოსტის მოხელე
სტუმრები, მოსამსახურე.

მოქმედება ხდება რანევსკაიას მამულში.

---

* იბეჭდება გამომცემლობა „კენტავრის“ მიერ გამოქვეყნებული თარგმანის მიხედვით (თბილისი, 2014).

პირველი მოქმედება

ოთახი, რომელსაც ჯერ ისევ ბავშვების ოთახს ეძახიან. ერთ-ერთი კარი ანიას ოთახში გადის. თენდება, მალე მზე ამოვა. უკვე მაისია, ალუბალი ყვავის, მაგრამ ბაღში დილის სუსხია და ცივა. ფანჯრები დახურულია.

შემოდის **დუნიაშა** სანთლით და **ლოპახინი** წიგნით ხელში.

ლოპახინი. მოვიდა მატარებელი, მადლობა ღმერთს. რომელი საათია?

დუნიაშა. ორი იქნება მალე. *(სანთელს აქრობს).* თენდება.

ლოპახინი. რამდენი დაიგვიანა მატარებელმა? სულ ცოტა ორი საათი მაინც. *(ამთქნარებს, იზმორება).* მეც კარგი ვინმე ვარ, რა სისულელე მომივიდა, განგებ ჩამოვედი, მინდოდა სადგურზე დავხვედროდი და დამეძინა... დავჯექი და დავიძინე. გული მწყდება... შენ მაინც გაგელვიძებინე

დუნიაშა. ვიფიქრე წახვედით. *(ყურს მიუგდებს)* მგონი მოდიან.

ლოპახინი. არა... ჯერ ბარგიო, მერე ესაო, ისაო....

პაუზა

ლიუბოვ ანდრეევნამ ხუთი წელი იცხოვრა საზღვარგარეთ... არ ვიცი, როგორი გახდა... ისე კარგი ადამიანია, უბრალო. მახსოვს, თხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, განსვენებულმა მამაჩემმა - ამ სოფელში სავაჭრო ჰქონდა - სახეში მუშტი ჩამარტყა... ცხვირიდან სისხლი მომდიოდა... რატომღაც ერთად მოვედით აქ და მამა ნასვამი იყო. ქალბატონმა, კარგად მახსოვს, ახალგაზრდა იყო, გამხდარი, მიმიყვანა პირსაბანთან, სწორედ ამ ოთახში და მითხრა: ნუ ტირი, გლეხის ბიჭო, ქორწილამდე მოგირჩებაო...

პაუზა

გლეხის ბიჭოო, ჰო, მამაჩემი გლეხი იყო. მე კი თეთრი ჟილეტი მაცვია, ყვითელი ფეხსაცმელები. საიდან სადაო, არა? რაც მართალია, მართალია, მდიდარი ვარ, ფული ბევრი მაქვს, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდე, მაინც გლეხი ვარ... (*წიგნს გადაფურცლავს*). აჰა, ვკითხულობ ამ წიგნს და ვერაფერი ვერ გავიგე. კითხვაში დამეძინა.

დუნიაშა. ძაღლებს მთელი ღამე არ უძინიათ, გრძნობენ პატრონები მოდიან.

ლოპახინი. რატო ხარ დუნიაშა ასე...

დუნიაშა. ხელები მიკანკალებს, ახლა გული წამივა.

ლოპახინი. რა ნაზი გახდი, გოგო. ქალბატონივით იცვამ, თმაც ისე გაქვს. როგორ შეიძლება. უნდა გახსოვდეს ვინა ხარ.

*შემოდის **ეპიხოდოვი** თაიგული მოაქვს. აცვია პიჯაკი და გაპრიალებული ჩექმები, რომლებიც მეტისმეტად ჭრაჭუნობენ. შემოვა თუ არა, თაიგული გაუვარდება.*

ეპიხოდოვი (*აიღებს თაიგულს*). მებაღემ გამომატანა, სასადილოში დადეთო. *(თაიგულს დუნიაშას აძლევს).*

ლოპახინი. და ბურახსაც მომიტან.

დუნიაშა. ახლავე. (*გადის*).

ეპიხოდოვი. დილის სუსხია. ყინვა. სამი გრადუსი. ეს ალუბალი კი ყვავის. არა, ვერ მივიღებ ჩვენს კლიმატს. (*ამოიოხრებს*). არაფრად არ ვარგა. ჰო, ბატონო ერმოლაი, ნება მიბოძეთ დავსძინო, სამი დღის წინ ჩექმები ვიყიდე, ისე ჭრაჭუნებენ, რომ აღარ შემიძლია, რა წავუსვა?

ლოპახინი. ნადი რა, თავი გამანებე...

ეპიხოდოვი. სულ რაღაც უბედურება უნდა დამემართოს. მაგრამ არ ვწუწუნებ, მივეჩვიე და ვიღიმები.

შემოდის დუნიაშა, ლოპახინს წყალს მიუტანს.

ეპიხოდოვი. წავედი. (*დაეჯახება სკამს. სკამი წაიქცევა*). აი... (*თითქოს გაეხარდა*). აი, ხედავთ... ბოდიში ამ გამოთქმისათვის და რა ვითარებასთან გვაქვს საქმე. არა, ეს ნამდვილად შესანიშნავია. (*გადის*).

დუნიაშა. ერმოლაი ალექსეიჩ, გამოგიტყდებით, ეპიხოდოვმა ცოლობა მთხოვა.

ლოპახინი. ოო!

დუნიაშა. არ ვიცი რა ვქნა... წყნარი კაცია, მაგრამ ლაპარაკს რომ დაიწყებს, არ მესმის რას ამბობს. დალაგებულად ყვება, გრძნობით. ვერ ვიგებ. თითქოს მომწონს. იმას გაგიჟებით ვუყვარვარ. უბედური კაცია - დღე არ გავა, რამე არ დაემართოს. ჩვენები დასცინიან, თარსი ხარო.

ლოპახინი: მგონი მოდიან.

დუნიაშა: მოდიან! ვაიმე, რა დამემართა, სულ გავიყინე.

ლოპახინი. მოდიან... ჰო, ნამდვილად მოდიან. წამო, შევხვდეთ. ნეტავ თუ მიცნობს? ხუთი წელია ერთმანეთი არ გვინახავს.

დუნიაშა. (*აღელვებულია*). ახლა წავიქცევი... ვაიმე, წავიქცევი!

ისმის სახლს როგორ მოადგა ორი ეტლი. ლოპახინი და დუნიაშა სწრაფად გავლენ. სცენა ცარიელია. მეზობელ ოთახებში იწყება ჩოჩქოლი., მთელ სცენას სწრაფი ნაბიჯით გადაჭრის ჯოხზე დაყრდნობილი ფირსი, რომელიც ლიუბოვ ანდრეევნას შესახვედრად იყო წასული. აცვია ძველებური ლივრეა. ახურავს მაღალი ქუდი; რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის, ოღონდ არ ისმის. სცენის მიღმა ხმაური მატულობს. ვილაც ამბობს: „აქეთ მობრძანდით".. შემოდიან. ***ლიუბოვ ანდრეევნა, ანია და შარლოტა,*** *ჯაჭვზე მიბმული ძაღლით, სამგზავროდ ჩაცმულები,* ***ვარია*** *პალტოში, თავზე შალით,* ***გაევი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ლოპახინი, დუნიაშა*** *ფუთითა და ქოლგით,* ***მოსამსახურე*** *სხვადასხვა ბარგით. ყველანი გაივლიან ოთახზე.*

ანია. აქ შემობრძანდით. დედა, გახსოვთ ეს რა ოთახია?

ლიუბ. ანდ. (*გახარებული და ცრემლმორეული*). ბავშვების ოთახი!

ვარია. როგორ ცივა, ხელები გამეთოშა. (*ლიუბოვ ანდრეევნას.*) თქვენი თეთრი და იისფერი ოთახები, დედიკო, ისევ ისეა, როგორც იყო.

ლიუბ. ანდ. ბავშვების ოთახი. ჩემი საყვარელი, ლამაზი ოთახი... აქ მეძინა, პატარა რომ ვიყავი... (*ტირის*) ახლაც

თითქოს პატარა ვარ... (*ჰკოცნის ძმას, ვარიას, შემდეგ ისევ ძმას.*) ვარია სულ არ შეცვლილა, მონაზონს ჰგავს. დუნიაშაც ვიცანი. (*ჰკოცნის დუნიაშას.*)

გაევი. მატარებელმა მთელი ორი საათი დაიგვიანა. როგორია! რა წესია ეს!

შარლოტა. (*პიშჩიკს.*) ჩემი ძაღლი თხილსაც ჭამს.

პიშჩიკი (*გაკვირვებით*). უყურე შენ!

ანიასა და დუნიაშას გარდა ყველანი გავლენ.

დუნიაშა. (*ანიას პალტოს და ქუდს ჩამოართმევს*). როგორ გელოდებოდით...

ანია. გზაში ოთხი ღამეა არ მიძინია. გავითოშე.

დუნიაშა. დიდმარხვაში წახვედით. მაშინ თოვდა, ყინავდა, ახლა აღარ! ჩემო საყვარელო! (*იცინის, ჰკოცნის*) როგორ გელოდით, რომ იცოდე ჩემო კარგო... რაღაც უნდა გითხრა, არ შემიძლია, ვერ ვითმენ.

ანია (*უხალისოდ*). ისევ რაღაც...

დუნიაშა. ეპიხოდოვმა ნააღდგომევს ხელი მთხოვა.

ანია. სულ ერთი და იგივე... (*თმას ისწორებს.*) თმის სამაგრები დავკარგე (*ძალიან დაღლილია, ფეხზე ძლივს დგას*).

დუნიაშა. არ ვიცი რა ვქნა! ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ...

ანია (*თავისი ოთახის კარს უცქერის, თითქოს ეფერება*). ჩემი ოთახი, ჩემი ფანჯრები, ასე მგონია, არსადაც არ წავსულვარ. სახლში ვარ! დილით ავდგები და ბაღში გავიქცევი... ოჰ, ნეტავ დამაძინა! მთელი გზა არ მიძინია, ვერ მოვისვენე

დუნიაშა. სამი დღის წინ პიოტრ სერგეიჩი ჩამოვიდა.

ანია (*გაეხარდება*). პეტია!

დუნიაშა. აბანოში ძინავს, არ მინდა შეგაწუხოთო. (*დახედავს თავის ჯიბის საათს.*) უნდა გამეღვიძებინა, მაგრამ ვარიამ ბრძანა - არ გააღვიძოო.

შემოდის ვარია. გასაღებების ასხმა აქვს ქამარზე ჩამოკიდებული.

ვარია. დუნიაშა, დედიკომ ყავა მოითხოვა. ჩქარა.

დუნიაშა. ახლავე. (*გადის*).

ვარია. მადლობა ღმერთს, ჩამოხვედით. ისევ სახლში ხარ (*ეფერება*). ჩემი საყვარელი გოგო ჩამოვიდა! ჩემი ლამაზი გოგო!

ანია: რამდენი რამ გადავიტანე!

ვარია: წარმომიდგენია.

ანია. ვნების კვირა იყო, რომ წავედი. ციოდა. შარლოტა მთელი გზა არ გაჩუმებულა, ფოკუსებს მიჩვენებდა. შარლოტა რატომ გამაყოლე...

ვარია. შენი მარტო წასვლა როგორ შეიძლება, 17 წლის ხარ.

ანია. პარიზში რომ ჩავედით, იქაც ციოდა, თოვდა. ფრანგული ცუდად ვიცი. დედა მეხუთე სართულზე ცხოვრობდა! რომ მივედი, მასთან ვილაც ფრანგები იყვნენ, ქალბატონები, მოხუცი პადრე, წიგნით. თამბაქოს კვამლით სავსე ოთახი. ყველაფერი უცხო. დედაჩემი უცებ ისე შემეცოდა, ხელი მოვხვიე და აღარ ვუშვებდი. დედა ტიროდა... თან მეფერებოდა

ვარია (*ტირის*). რას ამბობ... რას ამბობ!

ანია. მენტონთან რომ აგარაკი იყო, გაეყიდა. იქიდან არაფერი დარჩენოდა, სულ არაფერი. მეც ერთი გროში არ მქონდა, ძლივს ჩავაღწიეთ. დედას ვერ გააგებინებ, სადგურში რესტორანში რომ შევდიოდით, უკვეთავდა ყველაფერს ძვირიანს... ოფიციანტებსაც ჩუქნიდა... შარლოტაც ასე იქცევა, იაშაც, საშინელებაა. დედას რომ ლაქია ჰყავს, იაშა, თან წამოვიყვანეთ.

ვარია. ვნახე ის თავხედი!

ანია. აქ რა ხდება? გადაიხადეთ პროცენტები?

ვარია. რას ამბობ?!

ანია. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

ვარია. აგვისტოში მთელი მამული გაიყიდება...

ანია. ღმერთო ჩემო!

ლოპახინი (*კარებში შემოიხედავს, ზმუის*). მუ... უ... (*გადის*).

ვარია (*აცრემლებული*). ოჰ, ერთს ისეთს ვლეწავდი, რომ... (*მუშტს უღერებს*).

ანია (*ვარიას მოეხვევა, ხმადაბლა ამბობს*). ვარია, მაგან გთხოვა ხელი? (*ვარია უარის ნიშნად თავს გააქნევს*) აკი უყვარხარ... რაღას ელოდებით?

ვარია ვფიქრობ არაფერი გამოვა. ბევრი საქმე აქვს, ჩემთვის სად სცალია... თითქოს არც ვარსებობ. ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგის დანახვაც არ მინდა... ყველა ჩვენს ქორწინებაზე ლაპარაკობს, ყველა მილოცავს. სინამდვილეში არაფერი არ ხდება. თითქოს სიზმარია. (*სხვა კილოთი*) შენი ქინძისთავი ფუტკარს ჰგავს.

ანია (*ნაღვლიანად*). დედამ მიყიდა. (*შედის თავის ოთახში. ლაპარაკობს მხიარულად, ბავშვურად*) პარიზში საჰაერო ბუშტით ვიფრინე!

ვარია. ჩემი ლამაზი გოგო ჩამოვიდა!

დუნიაშა დაბრუნდა. ყავას ამზადებს.

ვარია (*დგას ანიას კართან*) მთელი დღე თან საქმეს ვაკეთებ, თან ვოცნებობ, ერთი შენი თავი გამათხოვებინა ვინმე მდიდარ კაცზე, დავწყნარდებოდი, წავიდოდი ჩემთვის უდაბნოში, მერე კიევში... მოსკოვში, მოვივლიდი წმიდა ადგილებს... ვივლიდი და ვივლიდი. რა კარგი იქნებოდა.

ანია. ბაღში ჩიტები გალობენ. რომელი საათია?

ვარია. სამი დაიწყო, ალბათ. უნდა დაიძინო ჩემო კარგო! (*შედის ანიასთან*).

შემოდის იაშა, მოაქვს პლედი და სამგზავრო კალათა.

იაშა (*თავაზიანად*). შეიძლება აქ გავიაროთ?

დუნიაშა. იაშა. ძლივს გიცანი, როგორი გამხდარხარ საზღვარგარეთ...

იაშა. ჰმ... თქვენ ვინ ბრძანდებით?

დუნიაშა. აქედან რომ გაემგზავრეთ, მაშინ აი ამხელა ვიყავი (*უჩვენებს*) დუნიაშა ვარ, ფიოდორ კაზაედოვის ქალიშვილი.

იაშა. რა ქორფა ხარ! (*მიხედ-მოიხედავს და მოეხვევა, დუნიაშა შეჰკივლებს, ხელიდან ლამბაქი გაუვარდება. იაშა სასწრაფოდ გადის*).

ვარია (*გამოდის და უკმაყოფილო კილოთი*). რა იყო, რა მოხდა?

დუნიაშა (*ცრემლმორეული*). ლამბაქი გამიტყდა...

ვარია. კარგი ნიშანია.

ანია (*თავისი ოთახიდან გამოდის*). დედა გავაფრთხილოთ: პეტია რომ აქ არის...

ვარია. მე ვუბრძანე, არ გააღვიძონ.

ანია (*თავისთვის*). ექვსი წლის წინ მამა გარდაიცვალა, ერთი თვის მერე მდინარეში ჩემი ძმა გრიშა დაიხრჩო. რა კარგი ბიჭი, შვიდი წლის!. დედამ ვერ გადაიტანა. წავიდა. ისე გაიქცა, უკან არ მოუხედავს... ოჰ, რომ იცოდეს, როგორ მესმის მისი!

პაუზა.

პეტია ტროფიმოვი გრიშას მასწავლებელი იყო, შეიძლება მოაგონოს...

შემოდის ***ფირსი,*** *პიჯაკი და თეთრი ჟილეტი ჩაუცვამს.*

ფირსი (*მიდის ჩაიდანთან*) ქალბატონი აქ მიირთმევს... (*იცვამს თეთრ ხელთათმანებს*). ყავა მზად არის? (*დუნიაშას მკაცრად.*) დუნიაშა! ნაღები?!

დუნიაშა ღმერთო ჩემო! /*საჩქაროდ გადის.*/

ფირსი. (*ფუსფუსებს მაგიდასთან*). ო, შე დოყლაპია, შე... (*ბურტყუნებს თავისთვის*). ჩამოვიდნენ პარიზიდან... ბატონიც ბრძანდებოდა ოდესლაც პარიზში... ცხენებით... (*იცინის*).

ვარია. რას ლაპარაკობ ფირს?

ფირსი. რა მიბრძანეთ? ჩემი ქალბატონი ჩამობრძანდა! მოვესწარი! ახლა შემიძლია მოვკვდე კიდეც... (*სიხარულისაგან ტირის*).

შემოდიან ***ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი, ლოპახინი, სიმეონოვ-პიშჩიკი.*** *სიმეონოვ-პიშჩიკს აცვია თხელი მაუდის ხიფთანი და შარვალი. გაევი შემოსვლისას ხელებს და სხეულს ისე ამოძრავებს, თითქოს ბილიარდს თამაშობს.*

ლიუბ. ანდ. როგორ არის? დაიცა, გავიხსენო... ყვითელი კუთხეში! დუპლეტი შუაში!

გაევი. ვჭრი კუთხეში! ოდესღაც, დაო, მე და შენ ამ ოთახში გვეძინა. ახლა უკვე ორმოცდათერთმეტი წლისა ვარ. რა უცნაურიც არ უნდა იყოს. .

ლოპახინი. დიახ, დრო გადის.

გაევი. ვისაო?

ლოპახინი. დრო გადის-მეთქი.

გაევი. აქ პაჩულის სურნელი დგას.

ანია. მე წავალ, დავიძინებ. ღამე მშვიდობის, დედა. (*ჰკოცნის დედას*).

ლიუბ. ანდ. ჩემო პატარა! (*უკოცნის ხელებს*). გიხარია, შინ დაბრუნება? მე ჯერ გონს ვერ მოვსულვარ.

ანია. ღამე მშვიდობის, ძია!

გაევი (*უკოცნის სახეს, ხელებს*). ღმერთი შეგეწიოს, როგორ გავხარ დედაშენს! შენ, ლუბა, მაგის ასაკში ზუსტად ასეთი იყავი.

ანია ხელს ჩამოართმევს ლოპახინს და პიშჩიკს, გადის და კარებს მიიხურავს.

ლიუბ. ანდ. დაიღალა. ძალიან

პიშჩიკი. გზა ალბათ გრძელი იყო.

ვარია (*ლოპახინს და პიშჩიკს*). რაღას უცდით, ბატონებო? მესამე საათია, დროა უკვე.

ლიუბ. ანდ. (*იცინის*). ისევ ისეთი ხარ, ვარია. (*თავისკენ მიიზიდავს და აკოცებს*). აი დავლევ ყავას და ყველანი წავალთ.

ფირსი ფეხებქვეშ ბალიშს დაუდებს.

გმადლობ, ჩემო კარგო. ყავას შევეჩვიე. დღისითაც ვსვამ და ღამითაც. გმადლობ, ჩემო მოხუცო! (*კოცნის ფირსს*).

ვარია. ვნახავ, ბარგი მოიტანეს თუ არა... (*გადის*).

ლიუბ. ანდ. ნუთუ ეს მე ვარ, რომ ვზივარ? (*იცინის*). მინდა, წამოვხტე, ვირბინო, ხელები ვიქნიო. (*სახეზე ხელებს აიფარებს*). ხომ არ მძინავს! ღმერთია მოწმე, მიყვარს ჩემი სამშობლო. ძალიან მიყვარს, მატარებლიდან ვერ ვუცქერდი, სულ მეტირებოდა. (*ცრემლი მოადგება*). ყავა მაინც უნდა დავლიო. დიდი მადლობა, ფირს, ჩემო ბებერო. მიხარია, რომ ცოცხალი ხარ.

ფირსი. გუშინწინ...

გაევი. ყურს აკლია.

ლოპახინი. აი ახლა, დილის ხუთ საათზე ხარკოვში მივდივარ. ვწუხვარ! მინდოდა ცოტა ხანს კიდევ ვყოფილიყავი თქვენთან. გვესაუბრა. ისევ ისეთი მშვენიერი ხართ.

პიშჩიკი *(მძიმედ სუნთქავს)*. გალამაზებულა კიდეც... პარიზულად აცვია... ეხ!

ლოპახინი. თქვენი ძმა, ლეონიდ ანდრეიჩი, ჩემზე ამბობს, ერთი ტუტუცი ვინმეაო, სხვისი შრომით გამდიდრებულიო. ჩემთვის სულერთია. ილაპარაკოს. მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენ ძველებურად გჯეროდეთ ჩემი, რომ თქვენი საოცარი, სიკეთით სავსე თვალები ისევ ისე შემომცქეროდნენ, როგორც უწინ. ღმერთო დიდებულო! მამაჩემი თქვენი პაპისა და მამის ყმა იყო, მაგრამ თქვენ, პირადად თქვენ, ოდესღაც იმდენი რამ გამიკეთეთ, რომ მე ყველაფერი დავივიწყე და როგორც ახლობელი, ისე მიყვარხართ, არა, ახლობელზე უფრო მეტად.

ლიუბ. ანდ. არ შემიძლია ერთ ადგილზე ჯდომა... ვერა. *(წამოხტება და ძალზე აღელვებული დადის)*. ამ სიხარულს ვერ ვუძლებ. დამცინეთ, ჰო, სულელი ვარ... ჩემო საყვარელო კარადა... *(ჰკოცნის კარადას)*. ჩემო პატარა მაგიდა...

გაევი. შენს არყოფნაში ჩვენი ძიძა გარდაიცვალა.

ლიუბ. ანდ. *(ჯდება, ყავას სვამს)*. ჰო. ღმერთმა აცხონოს. მომწერეს.

გაევი. ანასტასიც მოკვდა. ბრუციანმა პეტრუშკამ მიმატოვა და ახლა ქალაქში ცხოვრობს., პრისტავთან *(ჯიბიდან შაქარყინულს ამოიღებს და წუწნის)*.

პიშჩიკი. ჩემმა ქალიშვილმა დაშენკამ მოგიკითხათ.

ლოპახინი. მინდოდა რაღაც ძალიან კარგი, სასიამოვნო მეთქვა *(საათს დახედავს)*. უნდა წავიდე, საუბრის დრო აღარ არის... ორი-სამი სიტყვით მაინც გეტყვით. უკვე იცით, რომ თქვენი ალუბლის ბაღი ვალში იყიდება, 22 აგვისტოს დანიშნულია აუქციონი. ამაზე არ ინერვიუ-

ლოთ, ჩემო ძვირფასო, იძინეთ მშვიდად, გამოსავალი არის... აი, ჩემი პროექტი. თქვენი მამული ქალაქთან ახლოს მდებარეობს, რკინიგზაც აქვე გაიყვანეს. ალუბლის ბაღი და მდინარის მიმდებარე მიწა სააგარაკო ნაკვეთებად რომ დაყოთ და იჯარით გასცეთ, წელიწადში სულ ცოტა, ოცდახუთ ათასს აიღებთ.

გაევი. დიდი ბოდიში, რა სისულელეა!

ლიუბ. ანდ. უკაცრავად, ვერ გავიგე, რა ბრძანეთ!

ლოპახინი. მოაგარააკეებისგან წელიწადში ოცდახუთი ათასი შეგიძლიათ აიღოთ! თითო დესეტინაში. ახლავე თუ გამოაცხადებთ, გარწმუნებთ, შემოდგომამდე თავისუფალი ნაკვეთი არ დაგრჩებათ, დაიტაცებენ. მოკლედ, გილოცავთ, გადარჩენილი ხართ. ადგილმდებარეობა მშვენიერია, მდინარე ღრმაა. ოღონდ, რა თქმა უნდა, საჭიროა აქაურობის გაწმენდა, გასუფთავება. უნდა დაინგრეს ძველი შენობები, აი ეს სახლიც. აღარ ვარგა. ალუბლის ბაღი უნდა გაიჩეხოს.

ლიუბ. ანდ. გაიჩეხოს? ჩემო კარგო, ნუ გეწყინებათ და თქვენ არაფერი გესმით. მთელს გუბერნიაში თუკი რამ არის საინტერესო, არა, ღირსშესანიშნავი, ეს მხოლოდ ჩვენი ალუბლის ბაღია.

ლოპახინი. ღირსშესანიშნავი ამ ბაღს მხოლოდ ისა აქვს, რომ ძალიან დიდია. ალუბალი კი ორ წელიწადში ერთხელ მოდის და აღარავინ ყიდულობს.

გაევი. ეს ბაღი „ენციკლოპედიურ ლექსიკონშია“ შეტანილი.

ლოპახინი *(საათს დახედავს)*. თუ ვერაფერი მოვიფიქრეთ და გამოსავალი არ მოვძებნეთ, 22 აგვისტოს ალუბლის ბაღი და მთელი თქვენი მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. გადაწყვიტეთ რა! სხვა გამოსავალი არ არის. გეფიცებით, არ არის. არა და არა.

ფირსი. უწინდელ დროში, ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ, ალუბალს ახმობდნენ, ამწნილებდნენ, მურაბას ადუღებდნენ, და ზოგჯერ...

გაევი. გაჩუმდი, ფირს!

ფირსი. ზოგჯერ, ალუბლის კერკს ფუთობით აგზავნიდნენ მოსკოვსა და ხარკოვში. რა ფული შემოდიოდა! ალუბლის კერკი რბილი იყო, წვნიანი, ტკბილი, სურნელოვანი... იცოდნენ ამის ხერხი...

ლიუბ. ანდ. ახლა სადაა ეს ხერხი?

ფირსი. დაავიწყდათ. აღარავის ახსოვს.

პიშჩიკი (*ლიუბოვ ანდრეევნას*). პარიზში რა ხდება? ბაყაყი მიირთვით?

ლიუბ. ანდ. ნიანგი მივირთვი!

პიშჩიკი. უყურე შენ!

ლოპახინი. ადრე სოფელში მხოლოდ ბატონები და გლეხები იყვნენ, ახლა მოაგარაკეები გაჩნდნენ. ყველა ქალაქი, სულ პატარაც კი, აგარაკებით არის გარშემორტყმული. ოც წელიწადში მოაგარაკეთა რიცხვი წარმოუდგენლად გაიზრდება. ის ახლა მხოლოდ ჩაის სვამს თავის აივანზე, მაგრამ ხომ შეიძლება, მის კუთვნილ დესეტინაზე მეურნეობაც გაიჩინოს, აი მაშინ თქვენი ალუბლის ბაღი გამშვენიერდება, ბარაქიანი და საუცხოო გახდება.

გაევი. (*აღშფოთებული*). რა სისულელეა!

შემოდიან **ვარია** და **იაშა.**

ვარია. დედიკო, თქვენს სახელზე ორი დეპეშა მოვიდა. (*აარჩევს გასაღებს და აღებს კარადას კარადა ძველია და ჭრიალებს*). აი ნახეთ.

ლიუბ. ანდ. პარიზიდან! (*დახევს დეპეშას*). პარიზი აღარ მაინტერესებს.

გაევი. იცი, ლუბა, ეს კარადა რამდენი წლის არის? ერთი კვირის წინ ქვედა უჯრა გამოვწიე, ვხედავ ციფრებია ამომწვარი. ზუსტად ასი წლის წინათ გაუკეთებიათ. როგორია, ა? შეგვეძლო იუბილეც გადაგვეხადა. უსულო საგანია, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, წიგნის კარადაა.

პიშჩიკი (*გაოცებით*). ასი წელიწადი... უყურე შენ!

გაევი. დიახ... მშვენიერი რამაა! (*ხელს შეახებს კარადას*) ძვირფასო, ღრმად პატივცემულო კარადა! მივესალმე-

ბი შენს არსებობას, რომელიც უკვე ას წელზე მეტია სიკეთისა და სამართლიანობის ნათელ იდეალებს ემსახურება, შენი მდუმარე მოწოდება ნაყოფიერი მუშაობისკენ ასი წელია არ შესუსტებულა. /ცრემლი მოადგება/ ჩვენი ოჯახის თაობებს უნერგავდი სიმხნევეს, უკეთესი მომავლის რწმენას, ამკვიდრებდი ჩვენში სიკეთისა და საზოგადოებრივი თვითშეგნების იდეალებს.

პაუზა.

ლოპახინი. დიახ...

ლიუბ. ანდ. ისევ ისეთი ხარ, ლეონიდ.

გაევი. მარჯვენა კუთხეში ვურტყამ! ვჭრი შუაში!

ლოპახინი. (*დახედავს საათს*). ჩემი წასვლის დროა.

იაშა (*ლიუბოვ ანდრეევნას წამალს აწოდებს*). წამლის მიღების დროა.

პიშჩიკი. ძვირფასო, ნუ იღებთ ამდენ მედიკამენტებს. მაგათ არც ზიანი მოაქვთ და არც ხეირი... მიბოძეთ აქ... (*აიღებს აბებს, დაიყრის ხელის გულზე, ერთიანად გადაყლაპავს და თან ბურახს დააყოლებს*). აი ასე!

ლიუბ. ანდ. (*შეშინებული*). გაგიჟდით!

პიშჩიკი. ყველა აბი მივიღე.

ლოპახინი. რა უბედურებაა!

იცინიან

ფირსი. ეგ რა არის. აღდგომაზე ჩვენთან ბრძანდებოდა და ნახევარი ვედრო კიტრი მიირთვა... (*რაღაცას ბურტყუნებს*).

ლიუბ. ანდ. რას ლაპარაკობს?

ვარია. სამი წელია ასე ბურტყუნებს. მივეჩვიეთ.

იაშა. ძალიან დაბერდა.

შარლოტა *თეთრ კაბაში გამოწყობილი გაივლის სცენაზე. ძალზე გამხდარია, წელზე ლორნეტი ჰკიდია,.*

ლოპახინი. უკაცრავად, ქალბატონო შარლოტა, ვერ მოვახერხე მოგსალმებოდით. (*უნდა ხელზე აკოცოს*).

შარლოტა (*ხელს წაართმევს*). თქვენ რომ ხელზე კოცნის უფლება მოგცეთ, შემდეგ მოინდომებთ იდაყვზე კოცნას, შემდეგ მხარზე და...

ლოპახინი. დღეს ბედი არ მწყალობს.

იცინიან

ქალბატონო შარლოტა, ფოკუსი მაინც გვიჩვენეთ.

ლიუბ. ანდ. შარლოტა, უჩვენეთ ფოკუსი!

შარლოტა. საჭირო არ არის. მე მსურს დავიძინო. *(გადის).*

ლოპახინი. სამი კვირის მერე შევხვდებით. (*ლიუბოვ ანდრეევნას ხელზე ჰკოცნის).* მშვიდობით. უკვე დროა. *(გაევს)* ნახვამდის. (*პიშჩიკს ჰკოცნის*) ნახვამდის. *(ხელს ართმევს ვარიას, შემდეგ ფირსსა და იაშას).* როგორ არ მინდა წასვლა. *(ლიუბოვ ანდრეევნას).* აგარაკების თაობაზე თუ რამეს გადაწყვეტთ, შემატყობინეთ. სესხად ორმოცდაათ ათასს გიშოვნით. კარგად დაფიქრდით.

ვარია. (*გაჯავრებული*) აღარ ნახვალთ?!

ლოპახინი. მივდივარ... მივდივარ... (*გადის*).

გაევი. ბრიყვი. თუმცა... პარდონ. ვარია მაგას ცოლად მიჰყვება, ვარიას საქმროა.

ვარია. ზედმეტს ლაპარაკობ, ძია!

ლიუბ. ანდ. თუ ასეა, ძალიან გამეხარდება, ვარია. კარგი კაცია.

პიშჩიკი. ნამდვილად ღირსეული ადამიანია... ჩემი ქალიშვილიც ამბობს... ბევრ რამეს ამბობს. (*ხვრინავს მაგრამ მაშინვე გამოეღვიძება.*) ჩემო ძვირფასო, ორას ორმოცი მანეთი უნდა მასესხოთ, ხვალ გირავნობის პროცენტი მაქვს გადასახდელი...

ვარია (*შეშინებული*). არა გვაქვს, არა.

ლიუბ. ანდ. მართლა არაფერი არა მაქვს.

პიშჩიკი. გამოჩნდება რამე. (*იცინის*) იმედს არასოდეს არ ვკარგავ. რომ მგონია მორჩა, ცუდადაა საქმე, გაიხედავ და აგერ რკინიგზა არ გაიყვანეს ჩემს მიწაზე?.. გადამიხადეს. იქით კიდევ გაიხედავ და რამე მოხდება, ან დღეს, ან ხვალ... ორას ათასს მოიგებს ჩემი დაშენკა... ლატარიის ბილეთი აქვს.

ლიუბ. ანდ. ყავა დავლიე, ახლა შეგვიძლია დავიძინოთ.

ფირსი (*ტანისამოსს უწმენდს გაევს*). რა არის, რა, ისევ სხვა შარვალი ჩაგიცვამთ.

ვარია *(ხმადაბლა)* ანიას სძინავს. (*ფანჯარას აღებს*) მზე ამოვიდა, აღარ ცივა. შეხედეთ, დედიკო: რა საოცარი ხეებია! ღმერთო, რა ჰაერია! შოშიები უსტვენენ!

გაევი (*გამოაღებს მეორე ფანჯარას*). ბაღი სულ თეთრია. ლუბა გახსოვს, აი ეს გრძელი ხეივანი, სულ პირდაპირ რომ მიდის, ლარივით გაჭიმული, მთვარიან ღამეში როგორ ბრწყინავს ხოლმე. გახსოვს?

ლიუბ. ანდ. (*ფანჯრიდან ბაღს გასცქერის*). ჩემი ბავშვობა! უსპეტაკესი! აქ მეძინა, ბავშვების ოთახში. აქედან ვუცქერდი ბაღს. ყოველ დილით ჩემთან ერთად ბედნიერება იღვიძებდა. მაშინაც ზუსტად ასეთი იყო. სულ არ შეცვლილა. თეთრი, თეთრი, ქათქათა! ჩემო ბაღო, ავდრიანი რუხი შემოდგომის და სუსხიანი ზამთრის შემდეგ ისევ ახალგაზრდა ხარ, ბედნიერებით სავსე. ციურმა ანგელოზებმა არ მიგატოვეს. როგორ მოვიცილო ეს მძიმე ლოდი, მკერდზე და გულზე რომ მაწევს, ნეტავ შემეძლოს დავივიწყო ჩემი წარსული...

გაევი. ჰო, და ამ ბაღს ვალში გაყიდიან. რაც არ უნდა უცნაური. .

ლიუბ. ანდ. შეხედეთ, განსვენებული დედა დადის ბაღში... თეთრ კაბაში! (*გახარებული იცინის*). ის არის, ის.

გაევი. სად?

ვარია. რას ამბობ, დედიკო

ლიუბ. ანდ. არა, არავინ არის. მომეჩვენა. აი იქ, მარჯვნივ, ფანჩატურთან, თეთრი ხეა გადახრილი, ქალს მიაგავდა...

შემოდის ***ტროფიმოვი,*** *სტუდენტის გაცვეთილი მუნდირი აცვია და სათვალე უკეთია*

საოცარი ბაღია! ამდენი თეთრი ყვავილი, ლურჯი ცა...

ტროფიმოვი: ლიუბოვ ანდრეევნა!

ლიუბოვ ანდრეევნამ ტროფიმოვს შეხედა.

ტროფიმოვი: მე მხოლოდ თავს დაგიკრავთ და წავალ. (*მხურვალედ ჰკოცნის ხელზე*). მიბრძანეს დილამდე დამეცადა, ვერ მოვითმინე.

ლიუბოვ ანდრეევნამ ვერ იცნო.

ვარია: პეტიაა, ტროფიმოვი.

ტროფიმოვი. პეტია გახლავართ, თქვენი გრიშას ყოფილი მასწავლებელი... ნუთუ ასე შევიცვალე? (*ლიუბოვ ანდრეევნა მოეხვევა და ნელა ტირის*).

გაევი (*შეწუხებული*). კარგი რა, ლუბა.

ვარია (*ტირის*). ხომ გთხოვეთ, პეტია, მოგეცადათ ხვალამდე.

ლიუბ ანდ. ჩემი გრიშა... ჩემი ბიჭი... გრიშა... ჩემი შვილი...

ვარია. რას იზამ! ყველაფერი ღვთის ნებაა, დედიკო.

ტროფიმოვი. /*გული აუჩუყდება*/ დაწყნარდით. .

ლიუბ. ანდ. (*ჩუმად ტირის*). დაიღუპა ბიჭი. დაიხრჩო. რატომ... რისთვის, (*ხმადაბლა*). ანიას სძინავს, მე კი ხმამაღლა ვლაპარაკობ... რა ამბავი ავტეხე... პეტია, რა დაგემართათ, რას დაემსგავსეთ, ასე როგორ დაბერდით?

ტროფიმოვი: მატარებელში ერთმა ქალმა ჩემზე თქვა: 'ის გაქუცული ბატონიო..'.

ლიუბ. ანდ. სულ ახალგაზრდა იყავით. სტუდენტი. თმა გაგცვენიათ, სათვალე გიკეთიათ. ნუთუ ისევ სტუდენტი ხართ? (*კარისკენ მიდის*).

ტროფიმოვი. ეტყობა მარადი სტუდენტი ვიქნები.

ლიუბ. ანდ. (*ჰკოცნის ძმას, შემდეგ ვარიას*). ახლა წადით და დაიძინეთ... შენც კარგად დაბერებულხარ, ლეონიდ.

პიშჩიკი. (*მიჰყვება ლიუბოვ ანდრეევნას*) მაშ დავიძინოთ?.. ოჰ, ეს ჩემი ნიკრისის ქარი... თქვენთან დავრჩები... მხოლოდ... ძვირფასო, საყვარელო... დილით ორას ორმოცი მანეთი მჭირდება.

გაევი. ო, ეს ისევ თავისას გაიძახის.

პიშჩიკი. ორას ორმოცი... პროცენტია გადასახდელი.

ლიუბ. ანდ. ფული არა მაქვს, ჩემო კარგო.

პიშჩიკი. დაგიბრუნებთ, საყვარელო... არც ისე დიდი თანხაა.

ლიუბ. ანდ. კარგი, კარგი... აგერ ლეონიდი მოგცემს. მიეცი, ლეონიდ.

გაევი. როგორ არა, ახლავე მივართმევ!

ლიუბ. ანდ. აბა რა ვუყოთ... მიეცი... სჭირდება... დაგიბრუნებს. *(ლიუბოვ ანდრეევნა, ტროფიმოვი, პიშჩიკი და ფირსი გავლენ. რჩებიან გაევი, ვარია და იაშა).*

გაევი. ჩემი და ვერ გადაეჩვია ფულის ფლანგვას. *(იაშას).* გაიწი იქით, თუ შეიძლება, ქათმის სუნი გიდის.

იაშა *(დაცინვით).* ლეონიდ ანდრეიჩ, ზუსტად ისეთი ხართ, როგორიც იყავით.

გაევი. ვისაო? *(ვარიას)* რა თქვა?

ვარია. *(იაშას)* დედაშენი ჩამოვიდა სოფლიდან, ორი დღეა გელოდება, შენი ნახვა უნდა.

იაშა. აი დარდი.

ვარია. არც კი გრცხვენია!

იაშა. გააწყალა გული! ხვალ ვერ მოვიდოდა? *(გადის).*

ვარია. დედიკო ისევ ისეთია, რომ მიუშვა, ყველაფერს სხვებს დაურიგებს.

გაევი. დიახ...

პაუზა

რაიმე დაავადების წინააღმდეგ თუ ბევრი წამალი არსებობს, იმას ნიშნავს, რომ დაავადება არ ინკურნება. სულ ვფიქრობ, გამოსავალს ვეძებ, ასე მგონია, ბევრი საშუალება მაქვს, ძალიან ბევრი. ესე იგი არცერთი არა მაქვს. კარგი იქნებოდა, ვინმესგან მემკვიდრეობა მიგველო, კარგი იქნებოდა ანია მდიდარი კაცისთვის მიგვეთხოვებინა. კარგი იქნებოდა დეიდაჩემთან წავსულიყავი, გრაფინიასთან, იაროსლავში, ბედი მეცადა. დეიდა ხომ ძალიან, ძალიან მდიდარია.

ვარია: *(ტირის)* ღმერთო, შენ გვიშველე.

გაევი. ნუ ღრიალებ! დეიდა მდიდარია, მაგრამ ჩვენ არ ვუყვარვართ, რადგან ჩემი და უბრალო ჩინოვნიკს გაჰყვა ცოლად, თანაც მდაბიოს.

კარში ანია გამოჩნდება.

დიახ. მდაბიოს გაყვა და ვერ იტყვი, რომ უმწიკვლოდ ცხოვრობდა. კარგია კეთილია, ძალიან მიყვარს, მაგრამ, რაც

არ უნდა გამოვიგონო შემამსუბუქებელი გარემოებები, უნდა ვაღიარო, ცოდვილია. მის მოძრაობაშიც კი იგრძნობა ეს.

ვარია (*ჩურჩულით*). კარებში ანია დგას.

გაევი. ვისაო?

პაუზა.

საკვირველია, მარჯვენა თვალში რაღაც ჩამივარდა... ცუდად ვხედავ. ჰოდა, ხუთშაბათს, საოლქო სასამართლოში რომ ვიყავი...

შემოდის ანია.

ვარია. რატომ არ გძინავს, ანია?

ანია. არ მეძინება.

გაევი. ჩემი პატარა. (*ჰკოცნის ხელებზე, ლოყაზე*) ჩემი გოგო. შენ დისწული არა ხარ, ჩემი ანგელოზი ხარ, ჩემი ყველაფერი... დამიჯერე, დამიჯერე.

ანია. მჯერა, ძია, მჯერა. შენც ყველას უყვარხარ, პატივს გცემენ. . მაგრამ, ძია, ძვირფასო, ჩუმად უნდა იყო, ჩუმად. რას ამბობდი წელან დედაჩემზე? შენს დაზე? რატომ უნდა თქვა ეს?

გაევი. ჰო, ჰო,. */სახეზე ხელებს აიფარებს/* მართლაც საშინელებაა! ღმერთო შენ დამიფარე! დღეს კიდევ კარადას სიტყვით მივმართე... რა სისულელე იყო. დავასრულე და მაშინვე მივხვდი, რომ სისულელე იყო.

ვარია. ჰო, ძია, იყავით ჩუმად თქვენთვის.

ანია. ასე უფრო წყნარად იქნები.

გაევი. ჩუმად ვარ *(ანიას და ვარიას ხელებს უკოცნის*). ჩუმად. მხოლოდ საქმეზე გეტყვით. ხუთშაბათს საოლქო სასამართლოში ვიყავი, ნაცნობ-მეგობრები ვნახე, ვისაუბრეთ ამაზე, იმაზე, და მგონია, მოხერხდეს თამასუქით სესხის აღება. ბანკის პროცენტს გადავიხდით.

ვარია. ღმერთო, შენ გვიშველე!

გაევი. სამშაბათს წავალ და კიდევ ერთხელ მოვილაპარაკებთ. (*ვარიას.*) ნუ ღრიალებ, რა... *(ანიას.)* დედაშენი ლოპახინს დაელაპარაკება. ის, რასაკვირველია, უარს არ ეტყვის... შენ კი, როცა დაისვენებ, წახვალ იაროსლავში, ბებიაშენთან. სამივე მხრიდან ვიმოქმედოთ და

საქმე კარგად იქნება. პროცენტებს გადავიხდით... *(პირში შაქარყინულს ჩაიდებს)*. სინდისს გეფიცებით, ყველაფერს გეფიცებით, მამული არ გაიყიდება. (*აღტაცებული*). აი ნახეთ, საქმე საჯარო ვაჭრობამდე თუ მივიყვანო. შემიძლია დავიფიცო!

ანია (*გახარებული*). კარგი ხარ, ძია, ჭკვიანი ხარ! *(მოეხვევა)*. უკვე დავწყნარდი! რა ბედნიერი ვარ!

შემოდის ფირსი

ფირსი (*საყვედურით*). ლეონიდ ანდრეიჩ, ღმერთი არა გწამთ, როდისღა უნდა დაიძინოთ?

გაევი. ახლავე, ახლავე. წადი, ფირს, როგორმე თვითონ გავიხდი. აბა, ბავშვებო, დაიძინეთ!.. დანარჩენი, დეტალები ხვალ. (*ჰკოცნის ანიას და ვარიას*). მე ოთხმოციანი წლების კაცი ვარ. იმ წლებს არ აქებენ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, ჩემი შეხედულებების გამო ცხოვრებაში ბევრჯერ მომხვდა. გლეხებს ტყუილად კი არ ვუყვარდი... გლეხი უნდა იცოდე ვინ არის! ისიც იცოდე...

ანია. ისევ დაიწყე, ძია!

ვარია. ძია!

ფირსი. *(გაჯავრებული)*. ლეონიდ!

გაევი. მოვდივარ, მოვდივარ... დანექით! დუპლეტით შუაში! *(გადის, მას ფირსი მიჰყვება)*.

ანია. ახლა დავმშვიდდი. იაროსლავში წასვლა არ მინდა, ბებია არ მიყვარს, მაგრამ რატომღაც დავწყნარდი. მადლობა ძიას. *(ჯდება)*.

ვარია. ძილის დროა, წავედი, ჰო. უშენოდ აქ რა ამბები მოხდა რომ იცოდე, ჩვენი მოხუცი მსახურები ხომ იცი, ეფიმი, პოლია, ევსტიგნეი და კარპი: უცხო ხალხი მოყავდათ და ღამეს ათევინებდნენ. ამაზე ხმა არ ამომიღია, მაგრამ როცა ჭორები დამიყარეს, თითქოს ჩემი ბრძანებით მათ მუხუდოს გარდა არაფერს აჭმევდნენ... თითქოს ასეთი ძუნწი ვარ! ევსტიგნეის საქმე იქნება ეგ... დავუძახე და ვეუბნები... შე სულელო... *(შეხედავს ანიას)* ანია..

პაუზა

წავიდეთ, დავწვეთ.

შორიდან ისმის სალამურის ხმა. შემოდის ტროფიმოვი. დაინახავს ვარიას და ანიას

ვარია. ჩჩჩ! ძინავს. . .ძინავს. . . წავიდეთ, საყვარელო...

ანია: (*ძილბურანში*) როგორ დავიღალე... ზანზალაკები წკრიალებენ... ძია კარგია, ძიაც... დედაც...

ვარია: წამო, ჩემო კარგო... წამო. . (*გადიან*).

ტროფიმოვი: ჩემი სიხარული! ჩემი გაზაფხული!

ფარდა

მეორე მოქმედება

მინდორი. ძველი, მიტოვებული სამლოცველო, მის ახლოს ჭა. დიდი ლოდები, ალბათ ოდესღაც საფლავის ქვები იყო, და ძველი მერხი. მოჩანს გზა გაევის მამულისაკენ. შორს, აშოლტილი ალვის ხეებია, საიდანაც იწყება ალუბლის ბაღი. მოშორებით ტელეგრაფის ბოძების მწკრივია. შორს, შორს ჰორიზონტზე ბუნდოვნად ისახება დიდი ქალაქი, რომელიც მხოლოდ კარგ ამინდში მოჩანს. მზე ჩადის, ***შარლოტა, იაშა და დუნიაშა*** *სხედან მერხზე;* ***ეპიხოდოვი*** *იქვე დგას და გიტარას უკრავს; ყველანი ფიქრს მისცემიან. შარლოტას ძველი, კეპიანი ქუდი ახურავს. მხრიდან თოფი ჩამოუღია და ღვედის შესაკრავს ასწორებს.*

შარლოტა (*ფიქრში*). არა მაქვს ნამდვილი პასპორტი. არ ვიცი რამდენი წლისა ვარ და სულ მგონია, რომ ახალგაზრდა ვარ. პატარა გოგო რომ ვიყავი, მამაჩემი და დედაჩემი დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში და მოედნებზე წარმოდგენებს მართავდნენ. მხიარულ წარმოდგენებს. მე სალტო-მორტალეს და რაღაცეებს ვაკეთებდი. როცა მამაც გარდაიცვალა და დედაც, მერე ერთმა გერმანელმა ქალბატონმა წამიყვანა. მასწავლა. ასე იყო. გამზარდა, შემდეგ გუვერნანტად წავედი. საიდან ვარ, ვინ

ვარ, არ ვიცი. ან ჩემი მშობლები ვინ იყვნენ, იქნებ ჯვარიც არ ჰქონდათ დაწერილი... არ ვიცი. (*ჯიბიდან კიტრს ამოიღებს და ჭამს*). არაფერი არ ვიცი.

პაუზა.

როგორ მინდა ვესაუბრო ვინმეს... ვის... არავინ არა მყავს.

ეპიხოდოვი (*გიტარაზე უკრავს და მღერის*).

'რას დავეძებ აურზაურს ქვეყნისას,
რას დავეძებ მტრები მყავს თუ მოყვრები.'. კარგი რამეა მანდოლინა!

დუნიაშა. ეგ გიტარაა და არა მანდოლინა. (*სარკეში იხედება და პუდრს ისვამს*).

ეპიხოდოვი. იმისთვის, ვინც სიყვარულმა გააგიჟა, ეს მანდოლინაა (*მღერის*).

'ოლონდ გამიღოს გულის კარები.
ამ სიყვარულში დავიკარგები. . . '

იაშა მიუმღერებს.

შარლოტა. საშინლად მღერის ეს ხალხი... ფუჰ! ტურებივით ჩხავიან.

დუნიაშა (*იაშას*) რა ბედნიერებაა არა, საზღვარგარეთ ყოფნა.

იაშა. რა თქმა უნდა გეთანხმებით. (*ამთქნარებს, შემდეგ სიგარას უკიდებს*).

ეპიხოდოვი. გასაგებია რატომ. საზღვარგარეთ ყველაფერი სრულ კომპლექციაშია მოყვანილი.

იაშა. რასაკვირველია.

ეპიხოდოვი. განათლებული კაცი ვარ, ვკითხულობ სხვადასხვა შესანიშნავ წიგნებს, მაგრამ ვერ გამოვარკვიე ჩემი მიმართულება, რა მინდა, ბოლოსდაბოლოს. ყოფნა თუ თავის მოკვლა. მიუხედავად ამისა, რევოლვერს მუდამ თან ვატარებ, (*რევოლვერს ამოიღებს*). აი!

შარლოტა. მოვრჩი, ახლა წავედი. (*თოფს გადაიკიდებს*). შენ, ეპიხოდოვ, ძალიან ჭკვიანი კაცი ხარ და თან ძალიან საშიში; ქალებს გაგიჟებით ეყვარები. (*მიდის*). ეს ჭკვიანები ყველანი ისეთი სულელები არიან, ვის ველაპარა-

კო... მარტო ვარ, მარტო, არავინ არა მყავს. . ვინ ვარ, რატომ ვარ. არ ვიცი (*აუჩქარებლად გადის*).

ეპიხოდოვი. არსებითად თუ ვიტყვი და სხვა საკითხებს არ შევეხები, ჩემს შესახებ გამოვთქვამ: ბედი დაუნდობლად მეპყრობა, ვით ქარიშხალი პატარა ხომალდს. თუ დავუშვათ, ვცდები, მაშ რატომ იყო, რომ დღეს, მაგალითად, გავიღვიძე და ვხედავ, მკერდზე უზარმაზარი ობობა მაზის... აი ამხელა (*უჩვენებს ორივე ხელით*). ბურახის დალევა მომინდება და შიგ უაღრესად უხერხული რამ უნდა ეგდოს, ტარაკანის მსგავსი.

პაუზა.

ბოკლი ნაგიკითხავთ?

პაუზა

მსურს ავდოტია ფიოდოროვნა, შეგაწუხოთ, თქვენთან ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

დუნიაშა. თქვით.

ეპიხოდოვი. სასურველი იქნებოდა ცალკე... (*ამოიოხრებს*).

დუნიაშა. მაშინ... ჩემი მოსასხამი მომიტანეთ... კარადასთან არის... აქ ცოტა ნესტია...

ეპიხოდოვი. კეთილი... მოგართმევთ... უკვე ვიცი რისთვის მჭირდება რევოლვერი... (*აიღებს გიტარას, თან უკრავს და თან გადის*).

იაშა. რა თარსია. ჩვენს შორის დარჩეს და სულელი კაცია. (*ამთქნარებს*).

დუნიაშა. ღმერთმა ნუ ქნას, თავი მართლა მოიკლას.

პაუზა.

უჰ, ყველაფერზე როგორ ვღელავ, ვნერვიულობ. ძალიან პატარა ვიყავი, ბატონებმა რომ ამიყვანეს და აქ სულ სხვა ცხოვრებას შევეჩვიე. აი როგორი თეთრი ხელები მაქვს... ქალბატონივით. ნაზი გავხდი, თავაზიანი, კეთილშობილი, ყველაფრის მეშინია... ოჰ როგორ. რომ მომატყუოთ, იაშა, არ ვიცი რა ეშველება ჩემს ნერვებს

იაშა ქალიშვილმა თავი არასოდეს არ უნდა დაკარგოს. ვერ ვიტან ცუდი ყოფაქცევის ქალებს.

დუნიაშა. შემიყვარდით იაშა, ისეთი განათლებული ხართ, ყველაფერზე მსჯელობთ.

პაუზა.

იაშა (ამთქნარებს). ჰოდა, იცი რა... თუ ქალიშვილს ვინმე შეუყვარდა, ის უკვე უწესოა. (პაუზა) სუფთა ჰაერზე სიგარის გაბოლებას არაფერი ჯობია. ვიღაც მოდის... ბატონები არიან. .

დუნიაშა სწრაფად მოეხვევა იაშას.

იაშა. ამ გზით წადით, ვითომ მდინარეზე იყავით საბანაოდ, თორემ თუ მოგვისწრეს, ჩემზე იფიქრებენ, რომ პაემანი მქონდა თქვენთან. ვერ ვიტან ასეთ რამეებს

დუნიაშა (*ახველებს*). სიგარამ თავი ამატკივა (*გადის).*

იაშა რჩება, სამლოცველოს გვერდით ჩამოჯდება. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი და ლოპახინი.

ლოპახინი. დრო არ ითმენს. უნდა გადავწყვიტოთ. ამაზე მარტივი რა შეიძლება იყოს. თანახმა ხართ თუ არა, თქვენი მიწა სააგარაკოდ გასცეთ? ერთი სიტყვა: ან ჰო, ან არა. მხოლოდ ერთი სიტყვა!

ლიუბ. ანდ. ვინ ეწევა აქ ამ საშინელ სიგარას?

გაევი. აი, რკინიგზა გაიყვანეს და უკვე კარგია, ქალაქში წავედით, ვისაუზმეთ... ყვითელი შუაში... წავალ სახლში, ერთ ხელს ვითამაშებ...

ლიუბ. ანდ. მოასწრებ.

ლოპახინი. მხოლოდ ერთი სიტყვა! (*ვედრებით*) მიპასუხეთ რამე!

გაევი. (*ამთქნარებს*) ვისაო?

ლიუბ. ანდ. (*ჩასცქერის თავის საფულეს*) გუშინ ბევრი ფული მქონდა, დღეს ცოტა მაქვს. საწყალი ჩემი ვარია, მომჭირნეობის გამო ყველას რძის სუფით ჰკვებავს, სამზარეულოში მოხუცებს მუხუდოს გარდა არაფერს აჭმევენ, მე კი უაზროდ ვფლანგავ... *(საფულე ხელიდან უვარდება*). აი, დაიბნა...

იაშა. ნება მიბოძეთ, ახლავე ავკრეფ. (*კრეფს*).

ლიუბ. ანდ. აკრიფეთ, იაშა. რა მინდოდა იქ სასაუზმოდ. აუტანელი იყო ის თქვენი რესტორანი თავისი მუსიკით.

სუფრას საპნის სუნი ასდიოდა... შეიძლება ამდენი სმა ლიონია, ამდენი ჭამა? ამდენი ლაპარაკი?! დღეს რესტორანში ისევ დაიწყე უაზრო ლაპარაკი. სამოცდაათიანი წლებიო, დეკადენტებიო. ვის ელაპარაკები დეკადენტებზე, ლაქიებს?!.

ლოპახინი. დიახ.

გაევი (*ხელს ჩაიქნევს*). ჩემი გამოსწორება აღარ შეიძლება. (*იაშას*). რა არის სულ თვალში რომ მეჩხირები

იაშა (*იცინის*). გისმენთ და მეცინება.

გაევი (*დას*). ან ეს, ან მე.

ლიუბ. ანდ. იაშა, დაგვტოვეთ!

იაშა. (*ლიუბოვ ანდრეევნას აძლევს აკრეფილ ფულს*). ახლავე (*სიცილს ძლივს იკავებს*). ამ წუთას... (*გადის*).

ლოპახინი. თქვენი მამულის ყიდვას დერიგანოვი აპირებს. მდიდარი კაცია. ამბობენ აუქციონს პირადად დაესწრებაო.

ლიუბ. ანდ. თქვენ საიდან გაიგეთ?

ლოპახინი. ქალაქში ამბობენ.

გაევი. იაროსლაველი დეიდა დაგვპირდა, მხოლოდ როდის და რამდენს გამოგზავნის არ ვიცით...

ლოპახინი. რამდენს გამოგზავნის? ასიათასს? ორასიათასს?

ლიუბ. ანდ. ათი-თხუთმეტი ათასი თუ გამოგზავნა, იმაზეც მადლობა უნდა ვთქვათ.

ლოპახინი. მომიტევეთ, ბატონებო, მაგრამ თქვენისთანა უდარდელი და უცნაური ხალხი ჯერ არ მინახავს. გეუბნებიან, თქვენი მამული იყიდება. ნუთუ არ გესმით.

ლიუბ. ანდ. რა ვქნათ, გვასწავლეთ, რა გავაკეთოთ

ლოპახინი. აბა რას ვაკეთებ, ყოველდღე ერთსა და იმავეს გიმეორებთ. ალუბლის ბაღიც, მიწებიც, აუცილებლად, ახლავე, უნდა გასცეთ იჯარით, სააგარაკოდ. სასწრაფოდ, თორემ აუქციონის დრო ახლოვდება! გაიგეთ! როგორც კი გადაწყვეტთ, რომ აგარაკები აშენდეს, მაშინ ფულს, რამდენსაც გნებავთ, იმდენს მოგცემენ და გეშველებათ.

ლიუბ. ანდ. აგარაკები, მოაგარაკეები, ეს ისეთი უხამსი რამ არის... მაპატიეთ.

გაევი. გეთანხმები.

ლოპახინი. ან ავტირდები ახლა, ან ვიყვირებ, ან გული წამივა და წავიქცევი! აღარ შემიძლია! (*გაევს*) შენ ვინ ყოფილხარ! ქალაჩუნა!

გაევი. ვისაო?

ლოპახინი. ქალაჩუნა! (*მიდის*).

ლიუბ. ანდ. (*შეშინებული*). არა, არ წახვიდეთ, დარჩით, ჩემო კარგო, გთხოვთ. იქნებ რამე მოვიფიქროთ!

ლოპახინი. საფიქრალი რა არის!!

ლიუბ. ანდ. ნუ წახვალთ, გთხოვთ, თქვენთან მხიარულად ვართ...

პაუზა.

რას ველოდები არ ვიცი, თითქოს სახლი უნდა დამემხოს თავზე.

გაევი (*ჩაფიქრებული*). დუპლეტი კუთხეში... კრუაზე შუაში...

ლიუბ.ანდ. მეტისმეტად ბევრი ცოდვა გვაქვს ჩადენილი...

ლოპახინი. თქვენ რა ცოდვა უნდა გქონდეთ?

გაევი (*შაქარყინულს ჩაიდებს პირში*). ჩემზე ამბობენ, მთელი ქონება შაქარყინულში შეჭამაო (*იცინის*).

ლიუბ. ანდ. ოო, ჩემი ცოდვები... ფულს ყოველთვის უაზროდ ვხარჯავდი, ვფლანგავდი, გიჟივით და ისეთ კაცს მივთხოვდი, რომელიც სულ ვალებს იღებდა. ჩემი ქმარი შამპანურმა მოკლა, იმდენს სვამდა. ჩემდა საუბედუროდ, სხვა შემიყვარდა, დავუახლოვდი და სწორედ მაშინ, ეს იყო ჩემი პირველი სასჯელი, პირველი დარტყმა! აქ, მდინარეში, ჩემი ბიჭი დაიხრჩო. საზღვარგარეთ წავედი, სამუდამოდ. თვალი დავხუჭე და გავიქეცი რომ აღარასოდეს დავბრუნებულიყავი. ეს მდინარე აღარ დამენახა... გავრბოდი, არაფერი მახსოვდა. ისიც დამედევნა... რა სისასტიკეა. მენტონის ახლოს აგარაკი ვიყიდე, რადგან ის იქ გახდა ავად, მთელი სამი წელი არც დღისით, არც ღამით მოსვენება არ მქონდა. გამტანჯა თავისი ავადმყოფობით, სული გამომიფიტა.

შარშან აგარაკი ვალებში გამიყიდეს. პარიზში გადავედი, იქ კი იმან გამქურდა და მიმატოვა. სხვასთან წავიდა. თავის მოწამვლა ვცადე, რა სისულელეა. ისე მრცხვენია. მერე უცებ ჩემი რუსეთი მომენატრა, ჩემი სამშობლო. ჩემი ქალიშვილი... (*ცრემლებს იწმენდს*). ღმერთო, შემიწყალე, მომიტევე ჩემი ცოდვები! მეტს ნუღარ დამსჯი (ჯიბიდან დეპეშას ამოიღებს). დღეს მივიღე პარიზიდან... პატიებას მთხოვს, მევედრება, დამიბრუნდიო... (*დახევს დეპეშას*). თითქოს საიდანღაც მუსიკა ისმის.

გაევი. ჩვენი განთქმული ებრაული ორკესტრია. ხომ გახსოვს, ოთხი ვიოლინო, ფლეიტა და კონტრაბასი.

ლიუბ. ანდ. კიდევ არსებობს? მოდი მოვიწვიოთ, საღამო გავმართოთ.

ლოპახინი (*მიაყურებს*). მე არ მესმის... (*ნელა წაიმღერებს*). 'ფული უნდა ყველაფერს'. რა პიესა ვნახე გუშინ თეატრში, ბევრი ვიცინე.

ლიუბ. ანდ. ვინ იცის, სასაცილო სულაც იყო. პიესებს კი არა თქვენს თავს უცქირეთ. რა ნაცრისფერია თქვენი ცხოვრება, რამდენს ლაპარაკობთ, უაზროდ...

ლოპახინი. მართალია. პირდაპირ ვთქვათ, ბრიყვულ ცხოვრებას ვეწევით...

პაუზა.

მამაჩემი გლეხი იყო, ხეპრე, იდიოტი. არც თვითონ იცოდა რამე, არც მე მასწავლა. რომ დათვრებოდა მცემდა, ჯოხით. სხვათაშორის მეც მასავით ბრიყვი ვარ. იდიოტი. არაფერი არ მისწავლია. ისე ვწერ, ხალხის მრცხვენია. .ბატისფეხური!

ლიუბ. ანდ. ცოლი უნდა შეირთოთ, ჩემო კარგო!

ლოპახინი. ჰო... მართალია.

ლიუბ. ანდ. აი ჩვენი ვარია, კარგი გოგოა!

ლოპახინი. დიახ.

ლიუბ. ანდ. უბრალო გოგოა. მთელი დღე შრომობს და, რაც მთავარია, უყვარხართ. თქვენც მგონი მოგწონთ.

ლოპახინი. უარს არ ვიტყოდი. კარგი გოგოა.

პაუზა.

გაევი. ბანკში ადგილს მთავაზობენ. წელიწადში ექვსი ათასი მექნება. არ გაგიგია?

ლიუბ. ანდ. კარგი რა! იჯექი შენთვის...

შემოდის ფირსი. მოაქვს პალტო.

ფირსი (*გაევს*). ინებეთ ბატონო, აქ ნესტია.

გაევი (*იცვამს*). ეე, თავი მომაბეზრე.

ფირსი. დილითაც არაფერი მითხარით, ისე წახვედით. (*ახედ-დახედავს*).

ლიუბ. ანდ. როგორ დაბერდი, ფირს!

ფირსი. რა ბრძანეთ?

ლოპახინი. დაბერდიო!

ფირსი. დიდი ხანია ვცხოვრობ. ცოლის შერთვას ჯერ კიდევ მაშინ მიპირებდნენ, როცა მამათქვენი დაბადებულიც არ იყო... (*იცინის*) თავისუფლება რომ გამოცხადდა, უფროსი კამერდინერი ვიყავი. გათავისუფლება არ მოვინდომე, თქვენთან დავრჩი...

პაუზა.

მახსოვს, ყველა გახარებული იყო. რა უხაროდათ არავინ იცოდა.

ლოპახინი. წინათ კარგი იყო, გაროზგვა იცოდნენ.

ფირსი (ვერ გაიგონა). აბა რა! გლეხი გლეხი იყო, ბატონი ბატონი, ახლა ვინ ვინ არის, ვერ გაიგებ.

გაევი. გაჩუმდი ფირს. ხვალ ქალაქში უნდა წავიდე. დამპირდნენ, ერთ გენერალს გამაცნობენ. შეუძლია თამასუქით ფული მოგვცეს.

ლოპახინი. მაინც ვერ გადაიხდით. პროცენტებს ვერ დაფარავთ, დამიჯერეთ..

ლიუბ. ანდ. ბოდავს რაღაცას! გენერალი საიდან მოიგონა.

შემოდიან ტროფიმოვი, ანია და ვარია.

გაევი. აი ჩვენებიც მოდიან.

ანია. დედა აქ ყოფილა!

ლიუბ. ანდ. მოდით, მოდით... ჩემო კარგებო... (*ეხვევა ანიასა და ვარიას*). როგორ მიყვარხართ ორივენი რომ იცოდეთ. აქ დასხედით.

სხდებიან.

ლოპახინი. ჩვენი მარადიული სტუდენტი გოგონებს არ შორდება.

ტროფიმოვი. ეგ თქვენი საქმე არ არის.

ლოპახინი. მალე ორმოცდაათი წლის გახდება და ჯერ ისევ სტუდენტია.

ტროფიმოვი. მოეშვი ამ სულელურ ხუმრობებს

ლოპახინი. შენ კიდე რა გჭირს, ბრაზობ?

ტროფიმოვი. ჰოდა, თავი გამანებე.

ლოპახინი. (*იცინის*). ნება მომეცი გკითხო, რა აზრისა ხართ ჩემზე?

ტროფიმოვი. მე, ერმოლაი ალექსეიჩ, აი ასეთი აზრის ვარ: თქვენ მდიდარი კაცი ხართ. მალე მილიონერი გახდებით. ნივთიერებათა ცვლის თვალსაზრისით, ბუნებაში საჭიროა მტაცებელი ცხოველი, რომელიც ყველაფერს ნთქავს, რაც გზაზე შეხვდება. ამიტომ ბრძანდები საჭირო.

ვარია: პეტია, პლანეტებზე გვიამბეთ.

ლიუბ. ანდ. არა, მოდი გუშინდელი საუბარი განვაგრძოთ.

ტროფიმოვი. რაზე ვსაუბრობდით?

გაევი. ამაყ ადამიანზე.

ტროფიმოვი. ბევრი ვიმსჯელეთ, დასკვნამდე კი ვერ მივედით. თქვენ მიგაჩნიათ, ამაყ ადამიანში არის რაღაც მისტიური. შეიძლება მართალი ხართ, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, რომელ სიამაყეზეა საუბარი, როცა ფიზიოლოგიურად უხეიროდ არის აწყობილი. ადამიანთა უმეტესობა უხეშია, უჭკუოა, საოცრად უბედურია. მოვეშვათ საკუთარი თავით აღტაცებას. შრომაა საჭირო, შრომა.

გაევი. სულერთია მაინც მოკვდები.

ტროფიმოვი. ვინ იცის? ანდა რას ნიშნავს „მოკვდები"? იქნებ ადამიანს ასი გრძნობა აქვს. სიკვდილთან ერთად მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ხუთი გრძნობა კვდება, დანარჩენი ოთხმოცდათხუთმეტი კი ცოცხლობს.

ლიუბ.ანდ. რა ჭკვიანი ხართ, პეტია!..

ლოპახინი (*ირონიულად*). საშინლად!

ტროფიმოვი. კაცობრიობა წინ მიდის, ვითარდება, იხვეწება. რაც ამჟამად მიუწვდომელია, ოდესმე ახლობელი და გასაგები გახდება. ოღონდ, ამისათვის შრომაა საჭირო. უნდა დავეხმაროთ მათ, ვინც ჭეშმარიტებას ეძებს. ჩვენთან, რუსეთში, ძალიან ცოტა ადამიანი შრომობს. ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ვისაც მე ვიცნობ, არაფერს აკეთებს. შრომის უნარი არ გააჩნია. თავი ინტელიგენტებად მოაქვთ, მსახურებს კი შენობით მიმართავენ, გლეხებს ისე ეპყრობიან, რიგორც პირუტყვებს. ცუდად სწავლობენ, რაც საჭიროა, იმას არ კითხულობენ. უსაქმურები არიან. მეცნიერების შესახებ მხოლოდ ლაპარაკობენ. ხელოვნება არ ესმით. ყბედობენ. სერიოზული გამომეტყველებით რაღაცას მსჯელობენ, ფილოსოფოსობენ, ამ დროს კი, მათ გვერდით მშრომელი კაცი, ღმერთმა იცის, რას ჭამს, როგორ ცხოვრობს! 30–40 კაცი იძინებს ერთ ოთახში, უბალიშოდ. ყველგან ბაღლინჯოები, სინესტე, სიბინძურე, ათასი უზნეობა! ეტყობა, ჩვენში სასიკეთო საუბრები მხოლოდ იმისთვის წარმოებს, რომ თვალი აუხვიონ თავის თავსაც და სხვასაც. აბა სადა გვაქვს საბავშვო ბაღები, სამკითხველოები, რაზედაც ამდენს ლაპარაკობენ? დაპირებები, ლამაზი სიტყვები, და არაფერიც არა გვაქვს. არის სიბინძურე, უხამსობა, აზიატობა. მეშინია სერიოზული ფიზიონომიების და არ მიყვარს. მეშინია სერიოზული საუბრების. აჯობებს გავჩუმდეთ!

ლოპახინი. იცით რა, მე დილით ხუთ საათზე ვდგები, ვმუშაობ დილიდან საღამომდე. სულ ფულთან მაქვს საქმე. ზოგი ჩემია, ზოგი სხვისი. ვხედავ გარშემო როგორია ხალხი. საკმარისია რაიმე საქმის კეთება დაიწყო, მიხვდები, რა ცოტაა პატიოსანი, წესიერი ადამიანი. ზოგჯერ, არ მეძინება და ვფიქრობ: „ღმერთო, შენ მოგვეცი ეს უზარმაზარი მთები, ვრცელი მინდვრები, თვალუწვდენელი ჰორიზონტები, აქ მცხოვრებნი მართლაც ნამდვილი დევგმირები უნდა ვიყოთ, გოლიათები..."

ლიუბ. ანდ. ახლა დევგმირები მოინდომეთ... ეგენი ზღაპრებში არიან კეთილები, თორემ სინამდვილეში მათი ყველას ეშინია.

სცენის სილრმეში ეპიხოდოვი გაივლის და გიტარას უკრავს.

ეპიხოდოვი მოდის.

გაევი. მზე ჩავიდა, ბატონებო!

ტროფიმოვი. დიახ.

გაევი *(ხმადაბლა, დეკლამაციით)*. ჰოი, ბუნებავ, საოცარო, მშვენიერო და გულგრილო, დედას გიწოდებთ. შენ გვანიჭებ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც... თავად ქმნი და თავადვე ანადგურებ.

ვარია. ძია!

ანია. ძია, კიდევ დაიწყე?

ტროფიმოვი. თქვენ ჯობია ყვითელი დუპლეტით შუაში ჩააგდოთ..

გაევი. ჩუმად ვარ, ჩუმად.

ყველამ ფიქრს მისცა თავი. სიჩუმეა, მოისმის მხოლოდ ფირსის ბუტბუტი. უეცრად შორიდან, თითქოსდა ციდან გაისმება გაწყვეტილი სიმის მსგავსი ხმა, ძალიან სევდიანი, რომელიც თანდათან მიწყდება.

ლიუბ. ანდ. ეს რა იყო?

ლოპახინი. არ ვიცი. სადღაც შორს, მაღაროში ბაგირი ჩაწყდა. მაგრამ შორს იყო, ძალიან შორს

გაევი. შეიძლება რაღაც ფრინველი იყო... ვთქვათ ყანჩა .

ტროფიმოვი. ანდა ჭოტი...

ლიუბ. ანდ. უსიამოვნო ხმა იყო!

პაუზა.

ფირსი. იმ უბედურების წინაც ასე მოხდა... ჭოტი კიოდა და სამოვარი გუგუნებდა.

გაევი. რომელი უბედურების წინ?

პაუზა.

ფირსი. გლეხები რომ გაათავისუფლეს.

პაუზა.

ლიუბ. ანდ. იცით რა, მეგობრებო, წავიდეთ, უკვე ღამდება. (*ანიას*) თვალზე ცრემლი გაქვს *(მოეხვევა)* რატომ, მითხარი

ანია. არაფერია დედა, ისე

ტროფიმოვი. ვიღაც მოდის.

გამოჩნდება გამვლელი, აცვია პალტო, ახურავს ძველი, თეთრი ქუდი, ცოტა მთვრალია.

გამვლელი. ნება მიბოძეთ გკითხოთ, ამ გზით სადგურთან მივალ?

გაევი. დიახ. ამ გზით უნდა იაროთ.

გამვლელი. მადლობას მოგახსენებთ. (*ჩაახველებს)* რა კარგი ამინდია... *(პათეტიკურად)* „მრავალტანჯულო ჩემო ძმაო, გამოდი ვოლგაზე, მის კვნესას დაუგდე ყური...“ (*ვარიას*) მადმუაზელ, უბოძეთ მშიერ რუსს ოცდაათი კაპიკი... (*ვარიას შეეშინდება, შეჰკივლებს).*

ლოპახინი. (*გაჯავრებული*). თავხედობასაც საზღვარი აქვს!

ლიუბ. ანდ. (*შეშფოთებული*). აი აიღეთ... (*ეძებს საფულეში*) ვერცხლის ფული არა მქონია... აი ინებეთ, ოქრო.

გამვლელი. გულაჩუყებული გწირავთ მადლობას (*გადის).*

იცინიან.

ვარია. /*შეშინებული*/ მე წავალ... წავალ... დედიკო, სახლში საჭმელი არა გვაქვს, თქვენ კი მაგას ოქრო მიეცით.

ლიუბ. ანდ. რა ვქნა, სულელი ვარ. რაც დამრჩა, შინ რომ მივალთ, ყველაფერს შენ ჩაგაბარებ. ერმოლაი ალექსეიჩ, მასესხებთ კიდევ!

ლოპახინი. მზად ვარ გემსახუროთ.

ლიუბ. ანდ. წავიდეთ, ბატონებო, დროა. იცი, ვარია, ჩვენ თითქმის გაგათხოვეთ. მომილოცავს.

ვარია დედიკო, ასე ხუმრობა არ შეიძლება!

ლოპახინი. ოხ, ფერია, წადი მონასტერში...

გაევი. ხელები მიკანკალებს, დიდი ხანია ბილიარდი არ მითამაშია.

ლოპახინი. ოხ, ფერია, ფერიავ, მომიხსენიე შენს ლოცვებში!

ლიუბ. ანდ. წამობრძანდით, ბატონებო. ვახშმობის დროა.

ვარია. როგორ შემაშინა, გული გამისკდა.

ლოპახინი. არ დაგავიწყდეთ ბატონებო, 22 აგვისტოს ალუბლის ბაღი იყიდება. იფიქრეთ ამაზე! იფიქრეთ!

ყველანი გადიან ტროფიმოვისა და ანიას გარდა.

ანია. იმ უცხო კაცს მადლობა, ვარიას გული რომ გაუხეთქა. ახლა მარტო ვართ.

ტროფიმოვი. ვარიას ეშინია ერთმანეთი არ შევიყვაროთ და მთელი დღე არ გვშორდება. თავის მოკლე ჭკუით ვერ გაუგია, რომ სიყვარულზე მაღლა ვდგავართ. ჩვენი მიზანია მოვიცილოთ ყოველივე წვრილმანი, მოჩვენებითი, რაც ხელს გვიშლის ვიყოთ თავისუფალი, ბედნიერი. წინ, იმ კაშკაშა ვარსკვლავისაკენ, შორს რომ ციმციმებს. მეგობრებო, ნუ ჩამოგვრჩებით.

ანია *(აღტაცებით).* რა კარგად ლაპარაკობთ! რა მშვენიერია დღეს აქაურობა!

პაუზა.

ტროფიმოვი. საოცარი ამინდია.

ანია. ეს რა მიყავით, პეტია, რატომ აღარ მიყვარს ძველებურად ჩვენი ალუბლის ბაღი? როგორ მიყვარდა! სულ მეგონა, ამ ბაღზე უკეთესი ადგილი მთელს დედამიწაზე არ მოიძებნებოდა.

პაუზა.

ტროფიმოვი. მთელი რუსეთია ჩვენი ბაღი. დედამიწა ვრცელია და მშვენიერი. რამდენი საუცხოო ადგილია!

პაუზა

დაფიქრდი, ანია, თქვენს პაპას, დიდ პაპას, წინაპრებს ყმები ჰყავდათ, ცოცხალი ადამიანები ყავდათ საკუთრებაში. თითოეული ალუბლიდან, ხიდან, ფოთლიდან, ის ადამიანები შემოგვცქერიან. მათი ხმა არ გესმით? ცოცხალი სულების მფლობელობამ გადაგაგვარათ ისე, რომ ახლა ვერც დედაშენი, ვერც შენ, ვერც ბიძაშენი ვერ ამჩნევთ, რომ ვალი გაქვთ იმ ხალხის, ვისაც სახლშიც არ უშვებდით...მოსაცდელში აჩერებდით. ჩვენ ჩამოვრჩით ორასი წლით მაინც, არა გვაქვს გარკვეული დამოკიდებულება წარსულთან. მხოლოდ ვფი-

ლოსოფოსობთ, ვწუწუნებთ, რომ სევდა გვეძალება და ვსვამთ არაყს. ნამდვილი ცხოვრება რომ დავიწყოთ, ჯერ წარსული შეცოდებანი უნდა გამოვისყიდოთ. ეს კი მხოლოდ ტანჯვით შეიძლება და განუწყვეტელი შრომით, გაიგეთ ეს, ანია.

ანია. სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი ხანია ჩვენი არ არის, მეც წავალ ამ სახლიდან, სიტყვას გაძლევთ.

ტროფიმოვი. აიღე ყველა გასაღები, ისროლე ჭაში და წადი აქედან. გახდი ქარივით თავისუფალი.

ანია. *(აღტაცებული)* რა კარგად თქვი!

ტროფიმოვი. დამიჯერე ანია, დამიჯერე! ჯერ ოცდაათი წლისაც არა ვარ, ჰო, ისევ სტუდენტი ვარ, მაგრამ რამდენი რამ გადავიტანე. ზამთარი რომ დადგება, ვარ მშიერი, ავადმყოფი, აფორიაქებული, ღარიბი, მათხოვარივით. ბედმა საით არ გადამაგდო, სად არ ვყოფილვარ! მაგრამ ჩემი სული ყოველთვის, ყოველ წუთს, დღისით თუ ღამით, აღსავსე იყო გამოუთქმელი წინათგრძნობით. ვგრძნობ, ბედნიერება გვიახლოვდება, ანია, მე ვხედავ მას...

ანია (*ფიქრში*). მთვარე ამოდის.

ისმის, როგორ უკრავს ეპიხოდოვი გიტარას და მღერის ისევ იმ თავის ნაღვლიან სიმღერას. ამოდის მთვარე. სადღაც ალვის ხეებთან ვარია ეძებს ანიას. ეძახის: „ანია! სადა ხარ?"

ტროფიმოვი. ჰო, მთვარე ამოდის.

პაუზა.

აი ისიც, ბედნიერება, მოდის, მოდის, სულ ახლოს არის, ნაბიჯების ხმაც კი მესმის. ჩვენ თუ მას ვერ დავინახავთ, ვერ ვიცნობთ, არაფერია, სხვები დაინახავენ.

ვარიას ხმა: „ანია! სადა ხარ?"

ისევ ეს ვარია! *(გაჯავრებული)*. პირდაპირ აღმაშფოთებელია.

მიდიან.

ვარიას ხმა. „ანია, ანია!"

ფარდა.

მესამე მოქმედება

სასტუმრო ოთახი, თაღს იქით მოჩანს დიდი დარბაზი, ჭაღები ანთია. დერეფნიდან ებრაული ორკესტრის ხმა ისმის. ეს ის ორკესტრია, მეორე მოქმედებაში რომ ვახსენეთ. საღამოა. დარბაზში ცეკვავენ გრანდ-რონდ-ს. სიმეონოვ-პიშჩიკის ხმა: „რომენადე ა უნე პაირე!“ შემოდიან: პირველი წყვილი პიშჩიკი და შარლოტა, მეორე ტროფიმოვი და ლიუბოვ ანდრეევნა, მესამე ანია და ფოსტის მოხელე, მეოთხე ვარია და სადგურის უფროსი და სხვ. ვარია თან ტირის, თან ცეკვავს. ბოლო წყვილში დუნიაშაა. წრეს შემოუვლიან სასტუმრო ოთახს. პიშჩიკი ხმამაღლა აცხადებს: „რანდ-რონდ, ბალანცე ზ!“ და „ლეს ცავალიერს ა გენოუხ ეტ რემერციე ზ ვოს დამეს!“

ფირსს ფრაკი აცვია და სინით დააქვს ზელტერის მინერალური წყალი. სასტუმროში შემოდიან პიშჩიკი და ტროფიმოვი.

პიშჩიკი. წნევა მაქვს. უკვე ორჯერ ჩამექცა სისხლი. ცეკვა მიჭირს, მაგრამ აბა რა ვქნა! მარაქაში რომ გაერევი, კუდიც უნდა გააქიცინო... ისე კი ცხენის ჯანმრთელობა მაქვს. განსვენებული მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ხუმარა კაცი იყო და ამბობდა: ჩვენო, სიმეონოვ-პიშჩიკებიო, იმ ცხენის შთამომავლები ვართ, კალიგულამ სენატში რომ დასვაო... *(ჯდება)*. ერთი უბედურება მჭირს: ფული არა მაქვს. მშიერ ძაღლს კი მხოლოდ ხორცი ელანდება... *(ხვრინავს, იმ წამსვე გაეღვიძება)*. მეც... სულ ფული მელანდება.

ტროფიმოვი. თქვენს აღნაგობაში მართლაც არის რაღაც ცხენისებური.

პიშჩიკი. რა ვუყოთ მერე... ცხენი კარგი ცხოველია. შეგიძლია გაყიდო...

გვერდით ოთახიდან ისმის ბილიარდის თამაშის ხმა. შემოდის ვარია.

ტროფიმოვი. *(გამოაჯავრებს)* მადამ ლოპახინა! მადამ ლოპახინა!

ვარია. *(ბრაზდება)* შე მართლა გაქუცულო!

ტროფიმოვი. კი ბატონო, ვარ და ვამაყობ ამით.

ვარია. *(თავისთვის)*. მუსიკოსები დაიქირავეს, რითი უხდიან? *(გადის)*

ტროფიმოვი. *(პიშჩიკს)* ის ენერგია, რასაც თქვენ ფულის ძებნაში ხარჯავთ, რომ პროცენტები იხადოთ, სხვაგვარად რომ მოგეხმარათ, დედამიწას გადააბრუნებდით.

პიშჩიკი. ნიცშე... ცნობილი ფილოსოფოსი... უდიდესი ჭკუის პატრონი, თავის თხზულებებში ამბობს, ყალბი ფულის კეთება შეიძლებაო.

ტროფიმოვი. თქვენ ნიცშე წაიკითხეთ?

პიშჩიკი. არა... დაშენკამ მითხრა, ახლა ისეთ დღეში ვარ, ლამის ყალბი ფულის მოჭრა დავიწყო. ზეგ სამას ათი მანეთი უნდა გადავიხადო. ას ოცდაათი უკვე ვიშოვნე. *(ეძებს ჯიბეში, შეშფოთდება)*. ვაიმე, დავკარგე! სად წავიდა, რა იქნა?! *(გახარებული.)* აი სად ყოფილა!.. სარჩულში ჩავარდნილა... უჰ, სიმწრის ოფლმა დამასხა...

შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა და შარლოტა.

ლიუბ. ანდ. *(ლილინებს „ლეკურს")* სად არის აქამდე ჩემი ძმა, რას აკეთებს ამდენ ხანს ქალაქში? *(დუნიაშას)* მუსიკოსებს ჩაი მიართვი...

ტროფიმოვი. ალბათ აუქციონი არ შედგა.

ლიუბ. ანდ. უდროო დროს მოვიწვიეთ ეს მუსიკოსები. რა დროს მეჯლისი იყო.... არაფერია... *(ჯდება და ისევ ლილინებს)*.

შარლოტა *(პიშჩიკს მიაწოდებს ბანქოს დასტას)*. ამოიღეთ ერთი კარტი და ჩაიფიქრეთ!

პიშჩიკი. ჩავიფიქრე.

შარლოტა. ახლა კარტი აჭერით. ძალიან კარგი. მომეცით ჩემო კარგო ბატონო პიშჩიკ. ინ, ზწეი, დრეი! ის კარტი თქვენს გვერდითა ჯიბეშია... მოძებნეთ!

პიშჩიკი (*ჯიბიდან კარტს ამოიღებს*). ყვავის რვიანი, ის არის! (*გაკვირვებული*) უყურე შენ!

შარლოტა (*ბანქოს დასტას გაუწვდის ტროფიმოვს*). ჩქარა მითხარით, ზემოდან რა კარტია?

ტროფიმოვი. ყვავის ქალია.

შარლოტა. ინებეთ! (*პიშჩიკს*). რა კარტია ზემოდან?

პიშჩიკი. გულის ტუზი.

შარლოტა. სწორია!.. (*ხელს დაჰკრავს და მთელი დასტა ქრება*). ო, რა მშვენიერი ამინდია დღეს!

ქალის იდუმალი ხმა თითქოს ქვემოდან პასუხობს: „დიახ, მართლაც მშვენიერი ამინდია, ქალბატონო!"

თქვენ ისეთი კარგი ხართ, იდეალური...

ხმა: „თქვენც, ქალბატონო, მეც მომწონხართ".

სადგურის უფროსი (*ტაშს უკრავს*). ბრავო, ბრავო, მუცლით მეზღაპრე ქალბატონო!

პიშჩიკი (*გაკვირვებული*) უყურე შენ! მშვენიერო შარლოტა ივანოვნა... პირდაპირ შეყვარებული ვარ...

შარლოტა. შეყვარებული? (*მხრებს აიჩეჩს.*) ნუთუ თქვენ სიყვარული შეგიძლიათ? უტერ ენსცჰ, აბერ სცჰლეცჰტერ უსიკანტ.

ტროფიმოვი (*პიშჩიკს მხარზე ხელს დაჰკრავს*). შე მართლა ცხენო, შენა!..

შარლოტა. ყურადღება! კიდევ ერთი ფოკუსი. (*სკამიდან პლედს აიღებს*). ეს ძალიან კარგი პლედია. ვყიდი... (*დაიქნევს*). ვის სურს იყიდოს?

პიშჩიკი (*უკვირს*). უყურე შენ!

შარლოტა. ინ, ზვეი, დრეი! (*სწრაფად აწევს პლედს/*

პლედის უკან გამოჩნდება ანია; ის აკეთებს რევერანსს, გაიქცევა დედისკენ, მოეხვევა, შემდეგ გაიქცევა დარბაზისკენ. ყველანი აღტაცებულნი არიან.

ლიუბ. ანდ. (*ტაშს უკრავს*). ბრავო, ბრავო!..

შარლოტა. ერთი კიდევ! ინ, ზვეი, დრეი! (*ასწევს პლედს: გამოჩნდება ვარია და ყველას მიესალმება*).

პიშჩიკი. უყურე შენ!

შარლოტა. მორჩა! (*პლედს პიშჩიკს ესვრის, აკეთებს რევერანსს და მირბის დარბაზისკენ*).

პიშჩიკი (*დაედევნება*). შე ბოროტო სულო. ეს ვინ ყოფილა! (*გადის*).

ლიუბ. ანდ. ჩემი ძმა არ ჩანს. რას აკეთებს ამდენ ხანს ქალაქში ვერ გავიგე! ალბათ ყველაფერი დამთავრდა, ან გაიყიდა ან აუქციონი არ შედგა, ამდენ ხანს რატომ არაფერი გაგვაგებინა!

ვარია (*ცდილობს ანუგეშოს*). ძია იყიდდა, დარწმუნებული ვარ.

ტროფიმოვი (*დაცინვით*). როგორ არა!

ვარია. ბებიამ მინდობილობა გამოუგზავნა, რომ თავის სახელზე იყიდოს და ვალსაც თავის სახელზე გადაიტანს. ანიასათვის აკეთებს. ღმერთი შეგვეწევა და ძია იყიდის.

ლიუბ. ანდ. მხოლოდ თხუთმეტი ათასი გამოგზავნა, ეს მარტო პროცენტებს არ ეყოფა. ჩემს სახელზე იყიდეთო, არ გვენდობა. (*სახეზე ხელებს მიიფარებს*). დღეს ჩემი ბედი წყდება... ბედი...

ტროფიმოვი (*ვარიას*). მადამ ლოპახინა!

ვარია (*ბრაზდება*). მუდმივო სტუდენტო! ორჯერ ხომ გაგრიცხეს უნივერსიტეტიდან.

ლიუბ. ანდ. რატომ ბრაზობ, ვარია? ლოპახინას რომ გეძახის, მერე რა? თუ გინდა, მისთხოვდი, არ არის ცუდი კაცი, თუ არ გინდა, ნუ წაჰყვები; შენ, ჩემო კარგო, არავინ გაძალებს...

ვარია. რა ხუმრობაა. დიახ, კარგი კაცია და მართლაც მომწონს

ლიუბ. ანდ. ჰოდა, მისთხოვდი. რას უცდი!

ვარია. როგორ? მე ხომ ვერ მივცემ წინადადებას. ორი წელია ყველა ამაზე ლაპარაკობს. ის კი ჩუმად არის, ან ხუმრობს. მესმის: საქმით არის დაკავებული, მდიდრდება, ჩემთვის არ სცალია. ფული რომ მქონდეს, სულ ცოტა მაინც, ასი მანეთი, ყველაფერს მივატოვებდი და წავიდოდი აქედან შორს. მონასტერში წავიდოდი.

ტროფიმოვი. ო, ეგ ნამდვილად მადლი იქნებოდა!

ვარია *(ტროფიმოვს).* სტუდენტს მეტი ჭკუა მოეთხოვება! *(უფრო რბილად/* როგორ დაუშნოვდით, პეტია, როგორ დაბერდით! *(ლიუბოვ ანდრეევნას).* უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია დედიკო, სულ რაღაცას უნდა ვაკეთებდე.

შემოდის იაშა.

იაშა *(სიცილს ძლივს იკავებს).* ეპიხოდოვმა ბილიარდის ჯოხი გატეხა!.. *(გადის).*

ვარია. რა უნდა ეპიხოდოვს საერთოდ აქ? ბილიარდის თამაშის ნება ვინ მისცა? რა ხალხია... *(გადის).*

ლიუბ. ანდ. თავი გაანებეთ, პეტია, ხომ ხედავთ, ისედაც გამწარებულია.

ტროფიმოვი. ყველაფერში ცხვირს ყოფს. მთელი ზაფხული მე და ანიას მოსვენება არ მოგვცა, ეშინოდა, ჩვენს შორის რომანი არ გაბმულიყო. რა მისი საქმეა, თანაც ამის საბაბი არ მიმიცია. უხამსობას არ ვიკადრებ. ჩვენ სიყვარულზე მაღლა ვდგავართ.

ლიუბ. ანდ. მე კი, ეტყობა, სიყვარულზე დაბლა ვდგავარ. *(ძლიერ შეშფოთებული.)* რატომ არ მოდის ლეონიდი? ვიცოდე მაინც, გაიყიდა თუ არ გაიყიდა? ეს იმდენად წარმოუდგენელია, რომ არც კი ვიცი რა ვიფიქრო... ახლა შემიძლია ვიყვირო, შემიძლია სისულელე ჩავიდინო. მიშველეთ პეტია, მითხარით რამე, თქვით...

ტროფიმოვი. გაიყიდა თუ არა რა მნიშვნელობა აქვს. ეგ ყველაფერი დიდი ხნის წინ დამთავრდა. უკან დასახევი გზა აღარ არსებობს. ბალახმა დაფარა, წაიშალა. დამ-

შვიდდით, ძვირფასო, თავი არ მოიტყუოთ, ერთხელ მაინც შეხედეთ სიმართლეს თვალებში.

ლიუბ. ანდ. რომელ სიმართლეს? თქვენ იცით, სად არის სიმართლე, ან სიცრუე. მე თითქოს ბრმა ვარ, ვერაფერს ვხედავ. რა ადვილად წყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ მითხარით, გეთაყვა, ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ჯერ ახალგაზრდა ხართ და ვერ მოასწარით რომელიმე მათგანის გამო დატანჯულიყავით? თამამად უცქერით მომავალს და საშინელს არაფერს მოელით, რადგან ცხოვრებას არ იცნობთ. თქვენ ჩვენზე მეტად გაბედული ხართ, უფრო პატიოსანი, უფრო ღრმა. სულ ცოტა დიდსულოვნება მაინც გამოიჩინეთ, დამინდეთ. მე აქ დავიბადე, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, ჩემი წინაპრები, მიყვარს ეს სახლი. ალუბლის ბაღის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. თუ ასე აუცილებელია მისი გაყიდვა, მაშინ მეც გამყიდეთ ამ ბაღთან ერთად... (*მოეხვევა ტროფიმოვს და შუბლზე კოცნის*). აქ ჩემი შვილი დაიხრჩო... (*ტირის*). შემიბრალეთ კეთილო, კარგო ადამიანო.

ტროფიმოვი. სულით და გულით გითანაგრძნობთ, თქვენ იცით ეს.

ლიუბ. ანდ. სხვაგვარად, სხვაგვარად უნდა მითხრათ... (*ამოიღებს ცხვირსახოცს, ჯიბიდან ტელეგრამა ამოუვარდება.*) მე დღეს ძალიან მიჭირს, ვერ წარმოიდგენთ როგორ. აქ აუტანელი ხმაურია, სული მითრთის, ვერ დამიწყნარდა, ვერც ჩემს ოთახში მივდივარ, სიჩუმეში მარტო დარჩენის მეშინია, ნუ დამძრახავთ პეტია... მიყვარხართ, სიამოვნებით მოგათხოვებდით ანიას, გეფიცებით, მაგრამ ძვირფასო, სწავლა ხომ უნდა დაასრულოთ, თქვენ არაფერს აკეთებთ, ბედი ხან საით გადაგაგდებთ, ხან საით. ეს ისე უცნაურია. . არ მეთანხმებით? წვერსაც მოუხერხეთ რამე, რომ გაგეზარდოთ... (*ეცინება*). სასაცილო ხართ!

ტროფიმოვი (*აიღებს დეპეშას*). მე არ მსურს ვიყო ლამაზი.

ლიუბ. ანდ. პარიზიდანაა. ყოველდღე ვიღებ. გუშინაც, დღესაც. ის ველური კაცი ისევ ავად გამხდარა, ცუდად არის... მეევედრება, ჩამოდიო, პატიებას მთხოვს. წესით, უნდა წავიდე პარიზში, მის გვერდით ვიყო. რა მკაცრად მიცქერით პეტია?! აბა რა ვქნა, ჩემო კარგო. ავად არის, მარტოა, უბედურია, ვინ მოუვლის, ხელს ვინ შეუშლის რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს, წამალს ვინ მიაწოდებს? რატომ დავმალო, რაც ისედაც ცხადია, მიყვარს ის კაცი... ვიცი, ლოდივით მკიდია კისერზე და უფსკრულისკენ მიმაქანებს, მაგრამ მიყვარს ეს ჩემი ლოდი და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. (*ტროფიმოვს ხელს ხელზე უჭერს*). ცუდს ნუ იფიქრებთ ჩემზე პეტია და ნურაფერს მეტყვით, ნუ...

ტროფიმოვი. ღვთის გულისათვის, მაპატიეთ გულახდილობა, მაგრამ მან თქვენ გაგქურდათ.

ლიუბ. ანდ. არა, არა, ნუ ამბობთ, არ გინდათ... (*ყურებზე ხელს იფარებს*).

ტროფიმოვი. ის არამზადაა, მარტო თქვენ არ იცით ეს! ის არამზადაა და სულმდაბალი...

ლიუბ. ანდ. (*ბრაზდება, მაგრამ თავს იკავებს*). თქვენ ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა ხართ, მაგრამ ბავშვივით მსჯელობთ.

ტროფიმოვი. მერე რა!

ლიუბ. ანდ. მამაკაცი უნდა იყოთ. თქვენს ასაკში უნდა გაუგოთ იმათ, ვისაც უყვარს. თვითონაც უნდა გიყვარდეთ... შეყვარებული უნდა იყოთ. (*გაჯავრებული*) დიახ, დიახ! თქვენ წმინდა კი არა ხართ, „წმინდანობთ“, სასაცილო ხართ, მახინჯი!

ტროფიმოვი (*შეძრწუნებული*) რას ამბობს!

ლიუბ. ანდ. ოო, „მე სიყვარულზე მაღლა ვარ!“ თქვენ სიყვარულზე მაღლა კი არა, როგორც ფირსი ამბობს, დოყ-

ლაპია ხართ. თქვენს ასაკში საყვარელიც კი არა გყავთ...

ტროფიმოვი (*შეძრწუნებული*). საშინელებაა! რას ლაპარაკობს! (*ჩქარა მიდის დარბაზისკენ თავზე ხელს წაივლებს*). ამას ვერ ავიტან!... არ შემიძლია... მივდივარ! (*გადის და მაშინვე ბრუნდება*). ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა (*მიდის*).

ლიუბ. ანდ. (მიაძახებს) პეტია! შეჩერდით! რა სასაცილო ხართ, გეხუმრეთ! პეტია!

ისმის, რომ დერეფანში ვილაც სწრაფად ჩადიოდა კიბეზე და უეცრად დიდი ხმაურით დაგორდა. ანია და ვარია შეჰყვირებენ, მაგრამ მალე ისმის სიცილი.

ლიუბ. ანდ. რა მოხდა?

შემორბის ანია.

ანია. პეტია კიბეზე დაგორდა (*გარბის*).

ლიუბ. ანდ. უცნაური კაცია ეს პეტია!..

შემოდის სადგურის უფროსი და დარბაზის შუაგულში კითხულობს ა. ტოლსტოის „ცოდვილ ქალს". უსმენენ, მაგრამ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ იწყება ვალსი და კითხვა შეწყდება. ყველანი ცეკვავენ. შემოდიან ტროფიმოვი, ანია, ვარია და ლიუბოვ ანდრეევნა.

ჩემო კარგო, ჩემო კეთილო, მაპატიეთ!.. წამოდით, ვიცეკვოთ... (*ცეკვავს პეტიასთან ერთად*).

ანია ვარიასთან ცეკვავს

შემოდის ფირსი. ჯოხს გვერდით კარებთან მიაყუდებს. იაშაც სასტუმრო ოთახიდან შემოვა და ცეკვას უყურებს.

იაშა. რა იყო ბაბუ?

ფირსი. შეუძლოდ ვარ. წინათ ჩვენს მეჯლისებზე ცეკვავდნენ გენერლები, ბარონები, ადმირალები, ახლა კი ვიწვევთ ფოსტის მოხელეს, სადგურის უფროსს და ისინიც არ მოდიან დიდი ხალისით. როგორღაც დავუძლურდი... განსვენებული ჩვენი დიდი ბატონი თუკი რა-

მე შეანუხებდა, ლუქს სვამდა. მეც, უკვე ოცი წელი იქნება, ყოველდღე ვსვამ ლუქს. ალბათ ეგ მშველის.

იაშა. თავი მომაბეზრე, ბებერო. (*ამთქნარებს*). ნეტავ მალე ჩაძაღლდებოდე!

ფირსი. ეი, შე... დოყლაპია შენა! *(ბურტყუნებს).*

ტროფიმოვი და ლიუბოვ ანდრეევნა ჯერ დარბაზში ცეკვავენ, შემდეგ სასტუმრო ოთახში.

ლიუბ. ან დ. ერცი! ჩამოვჯდები (*ჯდება*). დავიღალე.

შემოდის ანია.

ანია (*აღელვებული*). სამზარეულოში ვიღაც კაცმა თქვა, დღეს ალუბლის ბაღი გაიყიდაო.

ლიუბ. ან დ. ვინ იყიდაო?

ანია. ეგ არ უთქვამს. წავიდა. (*ცეკვავს ტროფიმოვთან.*)

ორივენი დარბაზში გადიან

იაშა. ერთი ბებერი ყბედობდა რაღაცას, უცხო კაცი იყო.

ფირსი. ლეონიდი ჯერაც არ ჩანს. არ ჩამოვიდა. თხელი პალტო აცვია, დემისეზონ, არ გაცივდეს. ეეჰ, თავქარიანია ახალგაზრდობა!

ლიუბ. ან დ. ახლა მოვკვდები. წადით იაშა, გაიგეთ ვინ იყიდა.

იაშა. რა ხანია წავიდა ის ბებერი. (*იცინის).*

ლიუბ. ან დ. რას იცინით? რა გიხარიათ?

იაშა. ეპიხოდოვზე მეცინება, ჭკუათხელი კაცია, ჩერჩეტი.

ლიუბ. ან დ. ფირს, თუ მართლა გაიყიდა, შენ სად წახვალ?

ფირსი. სადაც მიბრძანებთ, იქ წავალ.

ლიუბ. ან დ. რა ცუდად გამოიყურები! ავადა ხარ? წადი, დაიძინე, დაისვენე...

ფირსი. ჰმ... მე რომ დავისვენო, თქვენ ვინ მოგემსახურებათ, მთელს სახლში ჩემს გარდა არავინაა.

იაშა. *(ლიუბოვ ანდრეევნას)* ლუბოვ ანდრეევნა, ნება მიბოძეთ რაღაც გთხოვოთ, პარიზში თუ წახვალთ, თან წამიყვანეთ. ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია. (*მიიხედ-მოიხედავს, ხმადაბლა*). ხომ ხედავთ, ქვეყანა გაუნათლე-

ბელია, ხალხი გარყვნილი, თანაც რა მოწყენილობაა. სამზარეულოში ღმერთმა იცის, რას გვაჭმევენ. ეს ფირსი დაეთრევა და რაღაც სიტყვებს ბურტყუნებს. წამიყვანეთ, გემუდარებით.*(მღერის).*

შემოდის პიშჩიკი.

პიშჩიკი. ნება მომეცით, გთხოვოთ... უმშვენიერესო, ვალსში გამომყევით. (*ლიუბოვ ანდრეევნა მიჰყვება*). ძვირფასო... ას ოთხმოცი მანეთი მაინც უნდა მომცეთ... *(ცეკვავენ/.* ას ოთხმოცი მანეთი...

დარბაზში გადიან.

მოჩანს როგორ დახტის დარბაზში ვიღაც ნაცრისფერი ცილინდრით და კუბოკრული პანტალონით, თან ხელებს იქნევს. შეძახილები: „ბრავო, შარლოტა!"

დუნიაშა (*შედგება, პუდრს ისვამს*). მიბრძანეს, იცეკვეო. კავალერი ბევრია, ქალები ცოტაო. ცეკვისგან თავბრუ მეხვევა, გული როგორ მიცემს. ფირს, ფოსტის მოხელემ ისეთი რამ მითხრა, სუნთქვა შემეკრა.

მუსიკა წყდება.

ფირსი. რაო, რა გითხრა?

დუნიაშა. თქვენო, ყვავილს გავხართო...

იაშა. (*ამთქნარებს*). ტუტუცობა! (*გადის*).

დუნიაშა. ყვავილსო... ისეთი სათუთი ვარ, მიყვარს ნაზი სიტყვები.

ფირსი. გაგაგიჟებენ, გოგო...

შემოდის ეპიხოდოვი.

ეპიხოდოვი. თქვენ, ძვირფასო ავდოტია ფიოდოროვნა, არ გინდათ შემამჩნიოთ... თითქოს მე რაღაც მწერი ვიყო. *(ამოიოხრებს*).

დუნიაშა. რა გნებავთ?

ეპიხოდოვი. შესაძლოა მართალიც ბრძანდებით. *(ამოიოხრებს*). მაგრამ, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით თუ განვჭვრიტეთ, სწორედ თქვენ... მომიტევეთ გულახდი-

ლობა, მაგრამ შემიქმენით სულიერი მდგომარეობა. ვიცნობ ჩემს ფორტუნას, ყოველდღე რაღაც უბედურება უნდა შემემთხვეს. ამას შევეჩვიე და ღიმილით შევცქერი ბედს. თქვენ სიტყვა მომეცით, თუმცა მე...

დუნიაშა. გთხოვთ, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. ახლა თავი დამანებეთ. ახლა მე ვოცნებობ. *(მარაოს ათამაშებს).*

ეპიხოდოვი. ყოველდღე უბედურება მემართება. ჩემს თავს ნებას მივცემ და ვიტყვი, მაინც ვიღიმები, ვიცინი კიდეც.

დარბაზიდან შემოდის ვარია.

ვარია. */ეპიხოდოვს/* შენ კიდევ არ წასულხარ? როგორ იქცევი?! *(დუნიაშას).* წადი აქედან. *(ეპიხოდოვს).* ხან ბილიარდს თამაშობ და ჯოხიც კი გატეხე, ხან მიდი-მოდიხარ აქ სტუმარივით.

ეპიხოდოვი. მოთხოვნილების წამოყენების უფლება ჩემდამი, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, არა გაქვთ.

ვარია. მოთხოვნილება კი არა, გეუბნები, საქმეს მიხედე, აქეთ-იქით დაეხეტები და არაფერს აკეთებ, მოხელედ ავიყვანეთ და გაუგებარია რისთვის.

ეპიხოდოვი *(შეურაცხყოფილი).* მე ვმუშაობ, დავდივარ, ვჭამ თუ ბილიარდს ვთამაშობ, ამ საკითხზე შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ იმათ, ვინც გაგებულია და ჩემი უფროსია!

ვარია. მე მიბედავ ამის თქმას? შეენ? მაშ გაგებული არა ვარ არა?! გაეთრიე აქედან! ახლავე!

ეპიხოდოვი *(დაფრთხება).* გთხოვთ უფრო თავაზიანი გამოთქმებით მომმართოთ.

ვარია *(თავს ვერ იკავებს).* გაეთრიე-მეთქი, ახლავე, ამ წუთას!

ეპიხოდოვი მიდის კარისკენ, ვარია მისდევს.

ეს ვინ ყოფილა, შენი ფეხი არ იყოს აქ. არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! *(ეპიხოდოვი გადის. ისმის მისი ხმა: „მე თქვენ*

გიჩივლებთ!") მე შენ გიჩვენებ სეირს! *(ფირსის ჯოხს ხელს დასტაცებს, მოუქნევს, ამ დროს შემოდის ლოპახინი).*

ლოპახინი. ოო, დიდად გმადლობთ!

ვარია *(გულმოსულია).* უკაცრავად!

ლოპახინი. გმადლობთ სასიამოვნო გამასპინძლებისთვის.

ვარია. არ ღირს მადლობად. *(მოშორდება, შემდეგ მოიხედავს და ეკითხება).* გატკინეთ?

ლოპახინი. არა არაფერია, თუმცა... დიდი კოპი მექნება.

დარბაზში ხმები: „ლოპახინი მოვიდა!"

პიშჩიკი. ამას ვის ვხედავ, ვისი ხმა მესმის... *(ჰკოცნის ლოპახინს).* კონიაკის სუნი გიდის, ჩემო კარგო, ჩვენც ვმხიარულობდით აქ...

შემოდის ლიუბოვ ანდრეევნა.

ლიბ. ანდ. რატომ დაიგვიანეთ? ჩემი ძმა სად არის?

ლოპახინი. ჩემთან ერთად ჩამოვიდა, მოვა...

ლიუბ. ანდ. *(ღელავს)* შედგა აუქციონი? თქვით, ბოლოსდაბოლოს!

ლოპახინი. *(ერიდება, თავისი სიხარული გამოხატოს).* ოთხი საათისთვის დამთავრდა. ჩვენ მატარებელზე დაგვაგვიანდა და ათის ნახევრამდე მოგვიხდა ლოდინი. *(ამოიოხრებს).* უფ! ცოტა არ იყოს, თავბრუ მეხვევა.

შემოდის გაევი. რაღაც უყიდია, მარჯვენა ხელში უჭირავს, მარცხენათი ცრემლებს იწმენდს.

ლიუბ. ანდ. ლეონიდ, რა მოხდა, თქვი... *(მოუთმენლად, თითქმის ტირილით).* თუ ღმერთი გწამს ხმა ამოიღე...

გაევი. *(პასუხს არ იძლევა, მხოლოდ ხელს ჩაიქნევს. ფირსს, ტირილით).* აჰა, წაიღე... ანჩოუსებია და ქერჩის ქაშაყი. დილიდან არაფერი მიჭამია... რამდენი ვინერვიულე!

საბილიარდო ოთახის კარი ღიაა. მოისმის ბურთების ჭახუნი და იაშას ხმა: „შვიდი და თვრამეტი!" გაევს სახე ეცვლება, აღარ ტირის.

დავიღალე საშინლად. ფირს, მომეხმარე, ტანზე გამოვიცვლი.

შედის თავის ოთახში, ფირსი მიჰყვება.

პიშჩიკი. რა მოხდა აუქციონზე? გვითხარით რამე!

ლიუბ. ანდ. ალუბლის ბაღი გაიყიდა?

ლოპახინი. გაიყიდა.

ლიუბ. ანდ. ვინ იყიდა?

ლოპახინი. მე ვიყიდე.

პაუზა.

ლიუბოვ ანდრეევნა განადგურებულია, ალბათ წაიქცეოდა სავარძელსა და მაგიდასთან ახლოს რომ არ მდგარიყო. ვარია წელიდან მოიხსნის გასაღებების ასხმას, იატაკზე დააგდებს და გადის.

ლოპახინი. მე ვიყიდე. მოიცათ, ბატონებო, ღვთის გულისათვის მოიცათ... თავში ყველაფერი ამერია, ვერ ვლაპარაკობ... (*იცინის*). მივედით აუქციონზე, დერიგანოვი იქ დაგვხვდა. თქვენს ძმას მხოლოდ თხუთმეტი ათასი ჰქონდა, დერიგანოვმა პროცენტებს ერთბაშად ოცდაათი ათასი დაუმატა. დავინახე, საქმე ცუდადაა, ორმოცი ვთქვი. იმან ორმოცდახუთი. მე ორმოცდათხუთმეტი. ის ხუთიათასობით უმატებდა, მე ათიათასობით... ჰოდა, მორჩა! ოთხმოცდაათი ათასი თქვი პროცენტებს ზევით და ალუბლის ბაღი ჩემია, ჩემი! (*ხარხარებს*). ღმერთო ჩემო, ალუბლის ბაღი ჩემია! მითხარით, რომ მთვრალი ვარ, რომ ჭკუიდან შევიშალე, რომ ეს ყველაფერი მეჩვენება... (*ფეხებს დააბრახუნებს*) არ დამცინოთ! მამაჩემი და პაპაჩემი რომ საფლავებიდან წამოდგნენ და დაინახონ რა მოხდა! მათმა ნაშიერმა ერმოლაიმ, წერა-კითხვის უცოდინარმა ბიჭმა, ფეხშიშველი რომ დარბოდა ზამთრობით, იმ ერმოლაიმ იყიდა მამული, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ვიყიდე მამული, სადაც მამაჩემი და პაპაჩემი მონები იყვნენ. სამზარეულოშიც კი არ ადგმევინებდნენ ფეხს. არა, ნამდვილად მძინავს და ეს ყველაფერი სიზ-

მარია. თქვენი წარმოსახვის ნაყოფია, გაუგებრობის ბურუსით მოცული. (*გასაღებებს აიღებს. ილიმება*). გასაღებები გადააგდო, აქაოდა, აქ უკვე დიასახლისი აღარ ვარო... (*გასაღებებს არაჩხუნებს*) კი ბატონო, ჩემთვის სულერთია.

ისმის ორკესტრანტები როგორ აწყობენ ინსტრუმენტებს.

ეი, თქვენ, მუსიკოსებო, დაუკარით! მე მსურს მოგისმინოთ. მოდით და უცქირეთ ერმოლაი ლოპახინი როგორ აიღებს ნაჯახს და გაჩეხავს ალუბლის ბაღს, როგორ დაწვებიან ხეები მიწაზე! აქ გავაშენებთ აგარაკებს. ჩვენი შვილიშვილები და მათი შვილები იცხოვრებენ ახალი ცხოვრებით. დაუკარით! მუსიკა!

უკრავს მუსიკა. ლიუბოვ ანდრეევნა სკამზე დაეშვება და მწარედ ტირის.

რატომ, რატომ არ დამიჯერეთ, ჩემო კარგო, ჩემო საბრალო! ვეღარ დაიბრუნებ. (*ეტირება*) ოჰ, ნეტავ მალე შეიცვლებოდეს ეს ჩვენი უხეირო, მოუწყობელი და უსიხარულო ცხოვრება.

პიშჩიკი (*მკლავს მკლავში გაუყრის ხმადაბლა ტირის. უჩვენებს ლიუბაზე*). გავიდეთ დარბაზში, მარტო დავტოვოთ. წავიდეთ. (*მიჰყავს დარბაზისკენ*).

ლოპახინი. მუსიკა! უფრო ხმამაღლა დაუკარით! ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მსურს. მოდის ალუბლის ბაღის ახალი პატრონი! (*უეცრად მაგიდას დაეჯახა, კინალამ გადაყირავა*). შემიძლია ყველაფერი ვიყიდო! (*გადის პიშჩიკთან ერთად*).

დარბაზსა და სასტუმრო ოთახში აღარავინ დარჩა, ლიუბოვ ანდრეევნას გარდა. ის სკამზე მოკუნტულა. მწარედ ტირის. მუსიკა წყნარად უკრავს. შემოდიან ანია და ტროფიმოვი. ანია მიდის დედასთან და მის წინ დაიჩოქებს. ტროფიმოვი კართან ჩერდება.

ანია. დედა, ტირიხარ?! ჩემო კეთილო, ჩემო კარგო, მიყვარ-

ხარ, მიყვარხარ... ალუბლის ბაღი გაიყიდა, აღარ არის, მაგრამ ნუ ტირი, დედა, ცხოვრება არ დამთავრებულა. შენი სუფთა, სპეტაკი სული ხომ შენია... წამოდი დედა, ერთად წავიდეთ აქედან... ჩვენ გავაშენებთ ახალ ბაღს, ამაზე უკეთესს, ნახავ მას და სიხარული, მშვიდი, უსაზღვრო, მოეფინება შენს სულს, როგორც საღამო ჟამს მზის სხივი. მაშინ გაიღიმებ, დედა! წამოდი, საყვარელო, წავიდეთ!

ფარდა.

მეოთხე მოქმედება

პირველი მოქმედების დეკორაცია. ფანჯრებზე ფარდები აღარ არის, აღარც სურათებია კედლებზე. დგას ცოტაოდენი ავეჯი. ისიც ერთ კუთხეში მიუწყვიათ, ალბათ გასაყიდად. იგრძნობა სიცარიელე. გასასვლელ კართან და სცენის სიღრმეში აწყვია ჩემოდნები, სამგზავრო ფუთები და სხვა. მარცხნივ კარი ღიაა, იქიდან ისმის ანიას და ვარიას ხმა. ლოპახინი დგას და იცდის. იაშას ლანგარი უჭირავს, ზედ შამპანურით სავსე ჭიქები აწყვია. დერეფანში ეპიხოდოვი ყუთს კრავს. სცენის მიღმა, ჩოჩქოლი ისმის. გლეხები მოსულან გამოსამშვიდობებლად. გაევის ხმა: „გმადლობთ, ძმებო, გმადლობთ!"

იაშა. დასამშვიდობებლად მოვიდა უბრალო ხალხი. ერომალაი ალექსეიჩ, ჩემის აზრით ხალხი კეთილია, მაგრამ არაფერი ესმის.

ხმაური შენელდა. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა და გაევი. ლიუბოვ ანდრეევნა აღარ ტირის, მაგრამ გაფითრებულია, კანკალებს და ლაპარაკი უჭირს.

გაევი. მთელი ფული იმათ დაურიგე ლიუბა, ასე როგორ იქნება!

ლიუბ. ანდ. არ შემეძლო სხვანაირად! არ შემეძლო!

ორივენი გადიან.

ლოპახინი (*კარებში მიაძახებს*). მობრძანდით, გთხოვთ, უმორჩილესად! წასვლის წინ თითო ჭიქა მიირთვით! ქალაქში ვერ მოვიფიქრე ყიდვა და სადგურში მხოლოდ ერთი ბოთლი ჰქონდათ. ის ავიღე. მობრძანდით!

პაუზა.

ბატონებო, არ ინებებთ? (*კარს მოშორდება*). რომ მცოდნოდა, არ ვიყიდდი. მაშინ მეც არ დავლევ.

იაშა ფრთხილად დადებს სკამზე ლანგარს.

შენ მაინც დალიე, იაშა!

იაშა. წამსვლელებს კეთილი მგზავრობა! დამრჩენთ გაუმარჯოს! (*სვამს*) ეს არ არის ნამდვილი შამპანური, გარწმუნებთ!

ლოპახინი. რვა მანეთი ღირს ბოთლი.

პაუზა.

რა საშინლად ცივა აქ.

იაშა. დღეს ღუმელი არ აგვინთია. მაინც მივდივართ. (*იცინის*).

ლოპახინი. რა გაცინებს?

იაშა. კმაყოფილი ვარ.

ლოპახინი. ოქტომბერია, მაგრამ მზიანი, წყნარი ამინდია, როგორც ზაფხულში. კარგი დროა მშენებლობისთვის. (*საათს დახედავს და გასძახებს*) ბატონებო, მატარებლის გასვლამდე ორმოცდაექვსი წუთი დარჩა! მაშასადამე ოცი წუთის შემდეგ სადგურში მივდივართ. იჩქარეთ.

შემოდის ტროფიმოვი. პალტო აცვია.

ტროფიმოვი. უკვე წასვლის დროა. ეტლი გელოდებათ. ჩემი კალოში სად დაიკარგა. (*გასძახის*) ანია, ჩემი კალოში არ არის. ვერ ვიპოვე.

ლოპახინი. ხარკოვში მივდივარ. თქვენი მატარებლით წამოვალ, მთელი ზამთარი ხარკოვში ვიქნები, გავგიჟდი უსაქმურობით, რამდენი დრო დავკარგე. არ შემიძლია ასე ყოფნა. ხელები თითქოს ჩემი არ არის.

ტროფიმოვი. აი წავალთ და თქვენც თქვენს სასარგებლო შრომას შეუდგებით.

ლოპახინი. დალიეთ ერთი ჭიქა.

ტროფიმოვი. არ დავლევ.

ლოპახინი. მაშ ახლა მოსკოვში არა?

ტროფიმოვი. დიახ, ამათ ქალაქამდე გავაცილებ და ხვალ მოსკოვში წავალ.

ლოპახინი. ჰო... უშენოდ პროფესორები ლექციებს არ კითხულობენ, გელოდებიან როდის ჩამოვაო.

ტროფიმოვი. ეგ შენი საქმე არ არის.

ლოპახინი. რამდენი წელია, რაც შენ უნივერსიტეტში სწავლობ?

ტროფიმოვი. რაიმე ახალი თქვი რა, ეგ დაძველდა და არ გვეცინება. *(კალოშებს ეძებს).* იცი, ჩვენ ალბათ აღარ შევხვდებით ერთმანეთს, ნება მომეცი გამოთხოვებისას რჩევა მოგცე. ხელებს ნუ იქნევ! მოიშალე ეგ ჩვეულება ხელების ქნევა. აი კიდევ რა, აგარაკების შენებას რომ აპირებ და გეგმავ, მოაგარაკეები თანდათან კერძო მესაკუთრეები გახდებიანო, ეგეც ხელების ქნევაა. მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც მიყვარხარ. არტისტივით ნაზი თითები გაქვს და სულიც ასეთივე...

ლოპახინი. *(მოეხვევა)* მშვიდობით, ჩემო კარგო. მადლობელი ვარ ყველაფრისათვის. თუ გჭირდება, სამგზავროდ ფულს მოგცემ.

ტროფიმოვი. რაში მჭირდება?!

ლოპახინი. რომ არა გაქვს?

ტროფიმოვი. მაქვს. მადლობელი ვარ. თარგმანში მივიღე. აქა მაქვს, ჯიბეში. *(შეშფოთებული).* კალოში კი ვერ ვნახე!

ვარია (*მეორე ოთახიდან*). ინებეთ თქვენი ჯღანები. (*სცენაზე რეზინის კალოშებს გადმოყრის*).

ტროფიმოვი. რატომ ბრაზობთ, ვარია. ეს ჩემი კალოში არ არის...

ლოპახინი. გაზაფხულზე ათასი დესეტინა ხაშხაში დავთესე და ორმოცი ათასი მოვიგე. უნდა გენახა რა ლამაზად ყვაოდა, ორმოცი ათასი სუფთა მოგება ვნახე. სესხად გთავაზობ. მოგცემ-მეთქი, გეუბნები, ესე იგი შემიძლია. ცხვირის აწევა რა საჭიროა? გლეხი ვარ, უბრალოდ ვამბობ...

ტროფიმოვი. მამაშენი გლეხი იყო, მამაჩემი აფთიაქარი, მერე რა...

ლოპახინი საფულეს ამოიღებს.

ორასი ათასიც რომ მომცე, არ ავიღებ, მე თავისუფალი კაცი ვარ. რაც თქვენ მდიდრებს და ღარიბებს რამედ მიგაჩნიათ, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. დღეს არის, ხვალ არა. მე ძლიერი ვარ და ამაყი. ჩემნაირებს მიჰყავთ კაცობრიობა ჭეშმარიტი სიმართლისაკენ, ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ.

ლოპახინი. მიხვალ იქამდე?

ტროფიმოვი. მივალ.

პაუზა

მივალ ან სხვებს ვასწავლი გზას.

ისმის როგორ ჩეხავენ ხეებს.

ლოპახინი. წასვლის დროა, მშვიდობით, ჩემო კარგო. ჩვენ ერთმანეთის წინაშე თავს ვიწონებთ, ცხოვრება კი, მიდის თავისთვის. იცი, როდესაც ბევრს ვმუშაობ, მაშინ მგონია ხოლმე, რომ ვხვდები, რისთვის ვარსებობ. ამ ქვეყნად ჩემო ძმაო, რამდენია ისეთი, ვინც არ იცის, რისთვის არსებობს. თუმცა საქმის დინებისთვის ეს სულერთია. ამბობენ, ლეონიდმა ადგილი მიიღო ბანკში და წლიურად ექვსი ათასი ექნებაო... მაგრამ იმუშავებს? ძალიან ზარმაცია...

ანია *(კარებიდან)* დედამ გთხოვათ, ჩემს წასვლამდე, ბაღს ნუ გაჩეხავენო.

ტროფიმოვი. მართლაცდა, რა უტაქტობაა! *(გადის).*

ლოპახინი. ახლავე, ახლავე... მართლაც.. *(გადის).*

ანია. ფირსი გაგზავნეთ საავადმყოფოში?

იაშა. დილით ვუთხარი. ალბათ უკვე გაგზავნეს.

ანია *(ეპიხოდოვს, რომელმაც დარბაზზე გამოიარა).* გაიგეთ, თუ შეიძლება, ფირსი საავადმყოფოში გაგზავნეს თუ არა.

იაშა *(ნაწყენი).* დილით ვუთხარი ეგორს. ათჯერ ხომ არ შევეკითხები?

ეპიხოდოვი. ჩვენი ხანდაზმული ფირსი, ჩემი საბოლოო შეხედულებით ვეღარ შეკეთდება. წინაპრებთან მიდის და უნდა გითხრათ, მშურს მისი. *(ჩემოდანი ქუდის მუყაოს კოლოფზე დადო და ჩაჭყლიტა).* ხედავთ. ასეც ვიცოდი! *(გადის).*

იაშა. *(დაცინვით)* თარსი!

ვარია *(გარედან)* ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

ანია. წაუყვანიათ.

ვარია. აბა წერილი რატომ არ წაიღეს ექიმთან?

ანია. იქნებ ვინმე დაეწიოს

ვარია. */გარედან/* იაშა სად არის, უთხარით დედამისი მოვიდა დასამშვიდობებლად

იაშა. */ხელებს იქნევს/* მოთმინებიდან გამოგიყვანენ!

დუნიაშა ბარგთან ტრიალებს. როდესაც იაშა მარტო დარჩება, მიდის მასთან.

დუნიაშა. ერთხელ მაინც შემომხედე, იაშა. მიდიხარ, მტოვებ! *(ტირის, ყელზე ეხვევა).*

იაშა. რა გატირებს? *(სვამს შამპანურს).* ექვსი დღე და ისევ პარიზში ვიქნები! ხვალ, ჩქარ მატარებელში ჩავჯდებით და წავალთ! არც კი მჯერა. ვივ ლა ფრანს!.. აქ არ შემიძლია ცხოვრება... რა ვქნა! მომბეზრდა გაუნათლებელი ხალხის ცქერა. *(სვამს შამპანურს),* ტირილი

არ არის საჭირო. წესიერად უნდა მოიქცე და სატირალი აღარ გექნება.

დუნიაშა. (*პუდრს ისვამს, სარკეში იხედება*). პარიზიდან წერილი მაინც გამომიგზავნე, მიყვარხარ იაშა! ხომ იცი რა სათუთი ბუნების ვარ!

იაშა. აქეთ მოდიან. *(შეუდგება ჩემოდნების ალაგებას. ღიღინებს. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი, ანია, შარლოტა).*

გაევი. წავედით, თორემ დავიგვიანებთ. *(იაშას შეხედავს).* თევზის სუნით ვინ ყარს ასე?

ლიუბ. ანდ. ათ წუთში წავალთ. */ოთახს თვალს მოავლებს/* მშვიდობით ჩემო ბებერო სახლო, აი გავა ზამთარი, დადგება გაზაფხული და შენ უკვე აღარ იქნები, დაგშლიან, დაგანგრევენ. რამდენი რამ უნახავთ ამ კედლებს. (*მხურვალედ ჰკოცნის ანიას*). ჩემო საყვარელო, თვალები ალმასივით გიბრწყინავს, კმაყოფილი ხარ?

ანია. ძალიან. ახალი ცხოვრება იწყება, დედა!

გაევი (*მხიარულად*). მართლაც ყველაფერი კარგად მოეწყო. ალუბლის ბაღის გაყიდვამდე ვღელავდით, ვიტანჯებოდით, ხოლო როდესაც საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, დავმშვიდდით და გავმხიარულდით კიდეც... მე ბანკის მოხელე გავხდი, ფინანსისტი... ყვითელი შუაში. შენ კი, ლიუბა, რაც გინდა ისა თქვი და ბევრად უკეთ გამოიყურები.

ლიუბ. ანდ. ჰო, ნერვები დამიწყნარდა, ეს მართალია.

აწოდებენ პალტოს და ქუდს.

უკეთ მძინავს. გაიტანეთ ჩემი ბარგი. იაშა, დროა. *(ანიას).* ჩემო გოგონა, მალე შევხვდებით... მივდივარ. პარიზში იმ ფულით ვიცხოვრებ, შენმა ბებიამ მამულის შესასყიდად რომ გამოგზავნა. გაუმარჯოს ბებიას! ისე კი დიდხანს არ მეყოფა.

ანია. მალე დაბრუნდები დედა, ძალიან მალე... მე მოვემზადები, გამოცდებს ჩავაბარებ, შემდეგ ვიმუშავებ და

დაგეხმარები. სულ ერთად ვიქნებით. ერთად წავიკითხავთ საინტერესო წიგნებს... ხომ ასეა? (*ხელებს უკოცნის*). შემოდგომის საღამოებს სულ კითხვაში გავატარებთ და ჩვენს წინ გადაიშლება ახალი, საუცხოო სამყარო... (*ოცნებობს*). ჩამოდი რა, დედა...

ლიუბ. ანდ. ჩამოვალ, ჩემო ანგელოზო *(მოეხვევა შვილს). შემოდის ლოპახინი. შარლოტა წყნარად მღერის.*

გაევი. რა ბედნიერია შარლოტა, მღერის!

შარლოტა. (*აიღებს რაღაც შეხვეულს, რომელიც ბავშვს ჰგავს*). ჩემი პატარა... ნანა... ნანააა...

მოისმის ბავშვის ტირილი.

გაჩუმდი ჩემო კარგო, ჩემო ბიჭო!

„უა, უა!"

როგორ მებრალები. (*შეხვეულს თავის ადგილზე დააგდებს*). მომიძებნეთ, მიპოვეთ რაიმე სამსახური, არ შემიძლია ასე.

ლოპახინი. გიპოვით, შარლოტა, გიპოვით, ნუ სწუხართ.

გაევი. ყველა თავს გვანებებს. ვარიაც გარბის. აღარავის ვჭირდებით.

შარლოტა. ქალაქში არ ვიცი სად ვიცხოვრო, არადა უნდა წავიდე... (*ღიღინებს*). ახ, სულერთია...

შემოდის პიშჩიკი.

ლოპახინი. მოვიდა ბუნების საოცრება!

პიშჩიკი. ოჰ, ერთი სული მოვითქვა... აღარ შემიძლია... პატივცემულო ბატონებო... წყალი დამალევინეთ.

გაევი. ფული გენდომება! ნურას უკაცრავად, მე წავედი. (*გადის*).

პიშჩიკი. რა ხანია თქვენთან არ ვყოფილვარ, უმშვენიერესო... (*ლოპახინს*). შენც აქ ყოფილხარ... მიხარია შენი ნახვა. უდიდესი ჭკუის კაცი... აჰა, გამომართვი... (*ლოპახინს ფულს გაუწოდებს*). ოთხასი მანეთია... ჩემზე რვაას ორმოცი დარჩა...

ლოპახინი (*გაოცებული მხრებს იჩეჩავს*). ნამდვილად სიზმარია... სად იშოვე?

პიშჩიკი. ახლავე... უჰ, ცხელა... დაუჯერებელი ამბავია. ინგლისელები ჩამოვიდნენ და ჩემს მიწაში რაღაც თეთრი თიხა აღმოაჩინეს... (*ლიუბოვ ანდრეევნას*) თქვენც ოთხასი... ინებეთ, მშვენიერო... (*ფულს აძლევს*). დანარჩენს მოგვიანებით. (*სვამს წყალს*) ახლა მატარებელში ერთი ყმაწვილი კაცი ამბობდა, თითქოს რომელიღაც ცნობილი ფილოსოფოსი გვირჩევს სახურავიდან ვისკუპოთ „გადახტითო“, და მეტი არაფერი. წარმოგიდგენიათ? წყალი!

ლოპახინი. ვინ ინგლისელები ჩამოვიდნენ?

პიშჩიკი. ჩემი თიხიანი მიწა ოცდაოთხი წლით მივეცი... ახლა უკაცრავად, არ მცალია, უნდა გავიქცე... ზნოიკოვთან მივდივარ, კარდამონოვთანაც. ვალები დავარიგო. (*სვამს*) კარგად იყავით... ხუთშაბათს შემოგივლით...

ლიუბ. ანდ. მივემგზავრებით. ქალაქში, ხვალ კი მე საზღვარგარეთ...

პიშჩიკი. როგორ? (*შეშფოთებული*) ქალაქში რატომ? ჰო, ვხედავ... ეს ავეჯი... ჩემოდნები... (*გულაჩუყებული*) არაფერია... დიდი ჭკუის ხალხი... ეს ინგლისელები... არაფერია, აბა, ბედნიერად იყავით... ღმერთი შეგეწევათ... არაფერია, ყველაფერს ამქვეყნად დასასრული აქვს... (ლიუბოვ ანდრეევნას ხელზე ჰკოცნის) ერთხელაც იქნება გაიგებთ ამბავს, რომ ჩემი აღსასრულიც დადგა... მაშინ გაიხსენეთ ერთი ცხენი კაცი და თქვით, „იყო-თქო ასეთი და ასეთი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ღმერთმა აცხონოს-თქო.“.. რა კარგი ამინდია დღეს... დიახ... (*აღელვებული გადის, კართან შეჩერდება*). დაშენკამ მოკითხვა გადმოგცათ. /*გადის*/

ლიუბ. ანდ. ახლა უკვე წავიდეთ. ორი დარდი მიმყვება. ერთი, ეს ავადმყოფი ფირსია. (*შეხედავს საათს*). ხუთი წუთი კიდევ მაქვს.

ანია. დედა, ფირსი ამ დილით წაიყვანეს საავადმყოფოში, იაშამ გაგზავნა.

ლიუბ. ანდ. მეორე დარდი ვარიაა. ის მიჩვეულია ადრე ადგომას და შრომას, ახლა ისეა, როგორც თევზი უწყლოდ. გახდა. ფერი აღარა აქვს, სულ ტირის

პაუზა.

ერმოლაი ალექსეიჩ, თქვენ იცით, როგორ ვოცნებობდი, ვარია თქვენთვის მომეთხოვებინა. თითქოს ყველაფერი ისე იყო, გვეგონა ირთავდით. *(ანიას უჩურჩულებს. ის შარლოტას რაღაცას ანიშნებს და ორივენი გავლენ).* მას უყვარხართ, თქვენც მოგწონთ და არ ვიცი, არ ვიცი, რატომ გაურბიხართ ერთმანეთს, ვერ გამიგია!

ლოპახინი. თვითონაც არ ვიცი. მართალი გითხრათ, უცნაურია. თუ დრო გაქვთ, ახლავე გადავწყვიტოთ. უთქვენოდ ვგრძნობ, ვერაფერს მოვახერხებ.

ლიუბ. ანდ. ჰოდა, ძალიან კარგი. ერთი წუთია მხოლოდ ამისთვის საჭირო. დავუძახებ...

ლოპახინი. თან შამპანურიც გვაქვს. *(შეხედა ჭიქებს).* ცარიელია, ვიღაცას დაულევია.

იაშა ჩაახველებს.

ლიუბ. ანდ. ძალიან კარგი. ჩვენ გავალთ. იაშა, ალლეზ! ახლავე დავუძახებ. *(გასძახის).* ვარია, თავი დაანებე ყველაფერს და აქ მოდი! (*გადის იაშასთან ერთად*).

ლოპახინი (*საათს დახედავს*) დიახ...

პაუზა

გარედან ისმის ჩუმი სიცილი, ჩურჩული, ბოლოს შემოდის ვარია.

ვარია (*დიდხანს ათვალიერებს ბარგს*) უცნაურია, ვერაფრით ვერ ვნახე.

ლოპახინი. რას ეძებთ?

ვარია. თვითონ ჩავალაგე და აღარ მახსოვს.

პაუზა.

ლოპახინი. თქვენ ახლა სად მიდიხართ?

ვარია. მე? რაგულინებთან. მოვილაპარაკეთ. მათ მეურნეობას გავუძღვები...

ლოპახინი. ეგ იაშნევოა ხომ? მგონი აქვეა ახლოს.

პაუზა.

მაშ უკვე დასრულდა ცხოვრება ამ სახლში...

ვარია (*ბარგს ათვალიერებს*). სად წავიდა... შეიძლება სკივრში ჩავდე... დიახ, დასრულდა ცხოვრება ამ სახლში... მორჩა!

ლოპახინი. მე ხარკოვში მივდივარ... ამ მატარებლით. ბევრი საქმე მაქვს. აქაურობა ეპიხოდოვს ჩავაბარე. დავიქირავე.

ვარია. რა გაეწყობა!

ლოპახინი. შარშან ამ დროს, თუ გახსოვთ, როგორ თოვდა. ახლა კარგი ამინდია, მზეა. მხოლოდ ყინავს. სამი გრადუსი იქნება.

ვარია. არ მინახავს.

პაუზა.

თუმცა ჩვენი თერმომეტრი გატეხილია...

პაუზა.

გარედან ისმის „ერმოლაი ალექსეიჩ!“

ლოპახინი: *(თითქოს ამას ელოდა ამდენი ხანი)* ახლავე, მოვდივარ. *(სწრაფად გადის).*

ვარია იატაკზე ზის. ფუთაზე თავი უდევს და ჩუმად ტირის. გაიღება კარი და ფრთხილად შემოდის ლიუბოვ ანდრეევნა.

ლიუბ. ანდ. რაო?

პაუზა.

უნდა წავიდეთ!

ვარია. (*აღარ ტირის, ცრემლს მოიწმენდს*). წავიდეთ, დედიკო არ დაგვაგვიანდეს... რაგულინებთან დღესვე მოვასწრებ მისვლას.

ლიუბ. ანდ. (*გასძახის*) ანია, ჩაიცვი!

შემოდიან ანია, გაევი, შარლოტა. გაევს თბილი პალტო აცვია. თავს იყრიან მოსამსახურეები და მეეტლეები. ბარგთან ეპიხოდოვი ტრიალებს.

ლიუბ. ანდ. აბა, გზას გავუდგეთ!

ანია. (*მხიარულად*) წავედით!

გაევი. მეგობრებო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! სამუდამოდ ვტოვებ ამ სახლს და არ შემიძლია გამოთხოვებისას არ გამოვთქვა ის გრძნობები, რომლებითაც აღსავსე გახლავთ მთელი ჩემი არსება.

ანია. (*ვედრებით*) კარგი რა, ძია!

ვარია. არ გინდა, ძია!

გაევი (*უხალისოდ*). დუპლეტით ყვითელი შუაში... ჩუმადა ვარ..

შემოდის ტროფიმოვი, შემდეგ ლოპახინი.

ტროფიმოვი. წავიდეთ ბატონებო, დროა!

ლოპახინი. ეპიხოდოვ, ჩემი პალტო!

ლიუბ. ანდ. ერთი წუთით ჩამოვჯდები. თითქოს პირველად დავინახე ეს სახლი... ეს კედლები... ეს ჭერი... მინდა ვუცქირო... როგორ მიყვარს...

გაევი. მახსოვს, ექვსი წლის ვიყავი, სულიწმინდის მოფენის დღეს აი, ამ ფანჯარაზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდა მამაჩემი საყდარში.

ლიუბ. ანდ. ბარგი სულ წაიღეს?

ლოპახინი. მგონი სულ. (*პალტოს იცვამს. ეპიხოდოვს*), მიხედე აქაურობას. წესრიგი იყოს.

ეპიხოდოვი. (*ჩახრინწული ხმით*) მაგაზე ნუ სწუხხართ!

ლოპახინი. რა ხმა გაქვს?

ეპიხოდოვი. წყალს ვსვამდი და რაღაც ჩამყვა

იაშა. (*ზიზღით*). აუ, ეს ვინ არის!..

ლიუბ. ანდ. მივდივართ და აქ ერთი სულიერი აღარ რჩება.

ლოპახინი. გაზაფხულამდე.

ვარია. (*ბარგიდან გამოგლეჯს ქოლგას და თითქოს უნდა მოიქნიოსო. ლოპახინი სახეს ისე უჩვენებს, თითქოს შეეშინდაო*). როგორ გეკადრებათ, არც კი მიფიქრია.

ტროფიმოვი. ბატონებო, წავიდეთ, დროა! საცაა მატარებელი ჩამოდგება.

ვარია. პეტია, თქვენი კალოშები, ჩემოდნის გვერდით არის (*აცრემლებული*). რა დასვრილი ყოფილა, რა დაგლეჯილი...

ტროფიმოვი (*კალოშებს იცვამს*). წავიდეთ, ბატონებო!..

გაევი (*აღელვებულია, ეშინია არ ატირდეს*). მატარებელი... სადგური... კრუაზე შუაში, თეთრი დუპლეტით კუთხეში...

ლიუბ. ანდ. წავედით!

ლოპახინი. ყველა აქ არის? შიგნით ხომ აღარავინ დარჩა? (*მარცხნივ გვერდითა კარს ჩაკეტავს*) ბარგი რჩება. უნდა ჩაიკეტოს. წავიდეთ!

ანია. მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, ძველო ცხოვრებავ!

ტროფიმოვი. გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას! *(გადის ანიასთან ერთად).*

ვარია თვალს შეავლებს ოთახს და აუჩქარებლად გადის. გავლენ იაშა და შარლოტა თავისი ძაღლით.

ლოპახინი. მაშ გაზაფხულამდე... გამობრძანდით ბატონებო... ნახვამდის! *(გადის).*

ლიუბ. ანდ. და გაევი მარტო რჩებიან. თითქოს ამას ელოდნენო, ერთმანეთს მოეხვევიან და ჩუმად, ჩუმად ტირიან.

გაევი (*სასოწარკვეთილი*) ჩემო დაიკო... ჩემო...

ლიუბ. ანდ. ჩემო ძვირფასო... ჩემო კარგო... ულამაზესო ბაღო... ჩემო ცხოვრებავ... ჩემო ახალგაზრდობავ, ბედნიერებავ, მშვიდობით! მშვიდობით!

ისმის ანიას მხიარული ხმა: „დედა!"

ტროფიმოვის ასევე მხიარული „ეი სადა ხართ"...

ლიუბ. ანდ. უკანასკნელად ვხედავ ამ კედლებს, ამ ფანჯრებს... ამ ოთახში უყვარდა ყოფნა განსვენებულ დედაჩემს...

გაევი. ჩემო დაიკო...

ისევ ანიას და ტროფიმოვის მხიარული ხმები: „დედა!"

ლიუბ. ანდ. მოვდივართ!

გადიან.

სცენა ცარიელია. ისმის, ჩხაკუნით როგორ იკეტება ყველა კარი, შემდეგ ეტლების წასვლის ხმა. სიჩუმე ჩამოვარდება. ყრუდ გაისმის როგორ ჩეხავენ ხეებს ნაჯახით. ეს ხმა სიმარტოვისა და სევდის განცდას ამძაფრებს. მოისმის ნაბიჯების ხმა. მარჯვენა კარებში გამოჩნდება ფირსი, მას, როგორც ყოველთვის, აცვია პიჯაკი და თეთრი ჟილეტი, ფეხებზე ფეხსაცმელი. ავადაა.


ფირსი (*მიდის კართან, მოსინჯავს სახელურს*). დაკეტილია, წასულან... (*ჯდება დივანზე*). ყველას დავავიწყდი... არაფერია... აქ ჩამოვჯდები... ლეონიდ ანდრეიჩმა ალბათ ქურქი არ ჩაიცვა, პალტოთი წავიდა (*ამოიოხრებს*). მეც ვერ მივაქციე ყურადღება. ეს ახალგაზრდები. (*შემდეგ რაღაცას გაუგებრად ბურტყუნებს*) დამთავრდა ცხოვრება. თითქოს არც ვყოფილვარ... (*წვება*). დავწვები. ღონე აღარა გაქვს, ღონე. რა გაქვს, არაფერი... ეეჰ, შე დოყლაპია შენა! (*წევს გაუნძრევლად*).

ისმის სიმის გაწყვეტის ხმა, მწუხარე და სევდიანი, ჩამოვარდება სიჩუმე, მხოლოდ შორიდან ისმის როგორ ჩეხავენ ბაღში ხეებს.


ფ ა რ დ ა.

„ალუბლის ბაღი“















კ. ს. სტანისლავსკი და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო





სახლი ბათუმში, სადაც უცხოვრია ა. პ. ჩეხოვს
(მასალები მოგვაწოდეს რამაზ სურმანიძემ და უჩა ოქროპირიძემ).



კ. ს. სტანისლავსკი გაევის როლში



სცენები „ალუბლის ბაღის“ პირველი დადგმიდან


II

СБОРНИКЪ

ТОВАРИЩЕСТВА „ЗНАНІЕ“ ЗА 1903 ГОДЪ.


КНИГА ВТОРАЯ.

СОДЕРЖАНІЕ.


Цѣна 1 рубль

С.-ПЕТЕРБУРГЪ

1904.


ДѢЙСТВІЕ ПЕРВОЕ.

ა. პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ პირველი პუბლიკაცია





სოფიო (სონა) ციციშვილი




შალვა დადიანი




მიხეილ ქვლივიძე



მანანა ანთაძე-ციციშვილი




მიხეილ თუმანიშვილი




გიორგი მარგველა[illegible]ი



ანდრო ენუქიძე



სოსო ნემსაძე



გიორგი ქავთარაძე



დავით დოიაშვილი



დავით მღებრიშვილი

სცენები სპექტაკლებიდან „ალუბლის ბაღი“


თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი





















გორის გ. ერისთავის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი


























გურანდა გაბუნია გრიბოედოვის თეატრის სპექტაკლში
„ალუბლის ბაღი“


TNB
I.L. CARAGIALE
Anton Cehov
Livada de vișini

The Georgian narrative of Anton Chekhov's "The Cherry Orchard"

Abstract

Chekhov was loved, read and translated in Georgia even until he was alive. This was enhanced by two arrivals of Russian writer in Georgia (1888, 1900 years) and meeting with Georgian intellectual elite.

First translations of Chekhov belong to 1889 year. Grigol Volskii (Umtsiparidze) translated the play "Medvedi". In 1890 M. Nasidze made theatrical version of "Ivanov", in 1903 "Diadia Vania" was translated. At the end of XIX century 24 works were already translated into Georgian. At the first stage of translation and throughout the beginning of XX century theatrical adaptations were predominant. Tradition continues even in XX century. In our article we paid our attention to translations of the last play of A.P. Chekhov "Vishnovii Sad". Hoping to perform on Georgian stage 4 translations were done: in 1905 by the translator and actress Sofio Tsitsishvili, in 1954 by the writer, actor and producer Shalva Dadiani, in 1990 by the poet Mikhail Qvlividze an in 2004 by the translator Manana Antadze.

Studying "Georgian Chekhovina" it is obligatory to consider translation trend and methodology of the beginning of XX century, 1950-s and the end of century. Georgian translations of "Vishniovii Sad" reflected the hope to prepare the text for future plays on Georgian stage.

Грузинский наратив пъесн Антон Чехова «Вишневый сад»

Резюме

А.П. Чехова любили, читали, переводили в Грузии ещё при его жизни. Этому способствовали два приезда видного русского писателя в Грузию (1888, 1900 года) и встречи с грузинской интелигенцией. Первые переводы А.П. Чехова принадлежат 1889 году, когда Григол Вольский (Умцифаридзе) перевёл пьесу «Медведь». В 1890 году М. Насидзе переделал «Иванова», 1903 году перевели «Дядю Ваню». Уже к концу XIX века было переведено на грузинский язык 24 произведения. На первом этапе развития грузинского театра доминируют переделки, но с рядом переводов, которые уже к началу XX столетия занимают единственное и главное место для постновки на сцене. Традиция продолжается и в XX веке.

В нашей статье мы остановились на переводах последней пьесы А.П. Чехова «Вишнёвый сад». Для постановки пьесы на грузинской сцене было сделано 4 перевода: В 1905 году Софио Цицишвили, переводчицей и актрисой, в 1954 году Шалва Дадиани, писателем, актёром и режисёром, в 1990 году поэтом Михаилом Квливидзе и в 2004 году переводчицей Манана Антадзе. Изучая «грузинскую чеховиану» объязательно надо учесть переводческие тенденции и методологию начала XX века, 50-ых годов и конца столетия.

Грузинские переводы «Вишневого сада» вынашивали надежду подготовить текст для будущих спектаклей на грузинской сцене.

თამარ გოგოლაძე
Tamar Gogoladze

ნინო მინდიაშვილი
Nino Mindiashvili

ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ ქართული ნარატივი

THE GEORGIAN NARRATIVE OF ANTON CHEKHOV'S "THE CHERRY ORCHARD"